

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**იოსებ სანიკიძე**

**ქურნალისტიკის  
თეორიის ფორმობრივი  
და შინაარსობრივი  
საფუძვლები**



**გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2015**

UDC(უაკ) 070

ს-262

ნიგნში წარმოდგენილია თანამედროვე ჟურნალისტიკის თეორიული საკითხები, განხილულია კომუნიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტის - მედიატექსტის ფორმოზრივ-ჟანროზრივი ნიშან-თვისებები. მდიდარი ქრესტომათიული ნიმუშების მოშველიებით ავტორი აანალიზებს პუბლიცისტური გამოსახვის შინაარსოზრივ თავისებურებებს. ნიგნი განკუთვნილია ჟურნალისტიკისა და მასოზრივი კომუნიკაციის სპეციალოზის ყველა საფეხურის სტუდენტთათვის, ასევე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
**თემურ ჯაგოდნიშვილი**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ასოცირებული პროფესორი

**თამარ მალალურაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ასოცირებული პროფესორი

**გიგლა გოზენია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ასოცირებული პროფესორი

**ინგა შამილიშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ასოცირებული პროფესორი

**ნანა ცეცხლაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ასოცირებული პროფესორი

**ემენ დავითაძე**

საავტორო უფლებები დაცულია. წერილობითი ნებართვის გარეშე ნიგნის გადაბეჭდვა ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, არ შეიძლება.

© ი. სანიკიძე, 2015

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჰაჰავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-577-2

## რედაქტორისაბან

ჟურნალისტიკის, როგორც სპეციფიკური პროფესიული მოღვაწეობის სფეროს, შინაარსის გააზრებაში იმთავითვე გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა. მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ თავიდანვე და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ჟურნალისტიკის სფერო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების გარეშე არსებობდა, ანუ დიდზე დიდი ხნის განმავლობაში ჟურნალისტებს არ სჭირდებოდათ სპეციალური განათლება.

ჟურნალისტური პროფესიული განათლების საჭიროება გვიან გაცნობიერდა. მაგალითად, საქართველოში ჟურნალისტიკა უმაღლესი განათლების სივრცეში, 1949 წელს დამკვიდრდა. ამავე პერიოდში იქნა შემოღებული სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებშიც (რუსეთი, უკრაინა), ევროპასა და ამერიკაში უფრო ადრე. საკვირველია, მაგრამ სპეციალური ჟურნალისტური განათლების საჭიროება არც ამის შემდეგ უღიარებიათ საყოველთაოდ. არც თუ ისე ცოტა აღმოჩნდა ისეთი ექსპერტი, ვინც ჟურნალისტური პროფესიული განათლების საჭიროებას უარყოფდა, ყველაფერი წერის ნიჭზე დაჰყავდა. კიდევ ერთი მოსაზრებით ჟურნალისტის პროფესიული დაოსტატებისათვის საკმარისი იყო სამაგისტრო ორწლედ, სპეციფიკური ჟურნალისტური სასწავლო კურსების ათვისების საფუძველზე.

ჟურნალისტური სპეციალური განათლების თავისებური გააზრების ერთ ფორმად წარმოსდგა ამ ბოლო დროს დამკვიდრებული ტენდენცია – ჟურნალისტიკამცოდნეობის ყველა ძირითადი სასწავლო კურსის ერთ ნიგნში მოქცევის მცდელობა.

ერთი ასეთი ცდა ამ ცოტა ხნის წინ განხორციელდა, სხვადასხვა ავტორთა ერთობლივი ძალისხმევით გამოიცა კრებული „ჟურნალისტიკა“, რომელსაც დაეკისრა ჟურნალისტიკის პროფესიული განათლების ყველა ასპექტის კონცეპტუალური თავმოყრა და მთლიანობაში გააზრების სა-

ფუძვლის შექმნა. როგორც ჩანს, ამ ცდას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ და ერთიან ტენდენციად მკვიდრდებან. ამ ტენდენციის გამოხატულებად გვესახება იოსებ სანიკიძის წიგნი „ჟურნალისტიკის თეორიის ფორმოზორივი და შინაარსოზორივი საფუძვლები“. იგი აღნიშნული თვალსაზრისით ერთგვარად წინგადადგმულ ნაბიჯსაც კი წარმოადგენს, რადგან აქ უკვე ერთი ავტორის კონცეპტუალური ხედვის წარმოდგენასთან გვაქვს საქმე. ი. სანიკიძის ნაშრომი სახელმძღვანელო გამიზნულობის წიგნია, სადაც ერთად არის წარმოდგენილი და კონცეპტუალურად გააზრებული ის „თეორიული და პრაქტიკული მასალა“, რომლითაც იხელმძღვანელებენ და „ისარგებლებენ ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე“ სტუდენტები და შეძლებენ „ქართული მედიის მაგალითებზე გაიაზრონ და გაანალიზონ მედიატექსტის შექმნის მეტად რთული ხელოვნება“.

ამ უაღრეს ნოვაციას საინტერესოდ გამოეხმაურნენ ის სპეციალისტები, ვინც ხელნაწერში გაეცნო ი. სანიკიძის წინამდებარე ნაშრომს, რადგან ავტორის გადანყვეტილება – ერთ წიგნად აკინძოს თეორიული და პრაქტიკული მასალა „ჟურნალისტიკისა და მასოზორივი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტის – ტექსტის შექმნის და შესწავლის ფორმოზორივი (ჟანროზორივი) და შინაარსოზორივი მხარის“ შესახებ – არც თუ მარტივი შესასრულებელია.

უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართული ჟურნალისტიკისმცოდნეობა მაინც და მაინც არ არის გამორჩეული ქართული სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით და ამდენად ყოველი ახალი ნაშრომის გამოჩენა მნიშვნელოვან ფაქტად აღიქმევა. საინტერესოა ავტორის დაკვირვებები ცალკეულ ჟურნალისტურ ჟანრზე, კორესპონდენციის, სტატიის, რეცენზიის, ნარკვევის, ფელეტონის, პამფლეტის ჟანროზორივ თავისებურებათა გააზრება.

პროფ. ი. სანიკიძის წიგნის ნოვაციად წარმოგვიდგება თითოეული ჟანრის აღწერა-დახასიათებაზე დართული ქრეს-

ტომათიული ნიმუშები და ფაქტობრივი მასალა. დარწმუნებული ვარ იგი დიდ ინტერესს გამოიწვევს როგორც სპეციალისტების, ისე მასობრივი კომუნიკაციის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველის მხრიდან. ამის ღრმა რწმენით დავულოცავ გზას პროფესორ იოსებ სანიკიძის წიგნს და მკითხველის ცნობიერებაში კვალის დატოვებას, ფიქრის აღდგრასა და კითხვებზე პასუხების ძიებაში შედეგისმომტანობას ვუსურვებ.

თ. ჯაგოდნიშვილი  
პროფესორი, საქართველოს  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

## წინასიტყვაობა

ჟურნალისტიკის თეორიული თუ ჟანრობრივი პრობლემათიკის შესწავლასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი შრომა არის გაწეული ცნობილი და ავტორიტეტული თანამედროვე ქართველი მეცნიერების: მ. გაგოშიძის, რ. სურგულაძის, ნ. ტაბიძის, ე. იბერის, ბ. იმნაძის, თ. ჯაგოდნიშვილის, მ. ვეკუას, დ. ჩიქვილაძის, თ. ჯოლოგუას, დ. ოსეფაიშვილის, მ. გერსამიას, თ. მალალურაძის, მ. შამილიშვილის, ნ. კუპრაშვილის, გ. გობეჩიას, ე. ლომიძის, ხ. კაჭარავას და სხვათა მიერ, მაგრამ ჟურნალისტიკის ასახვის საგნისა და თეორიულ თუ ჟანრობრივ პრობლემათიკასთან მიმართებაში ჯერ კიდევ ბევრია გასარკვევ-გასაანალიზებელი. წინამდებარე ნაშრომი ჟურნალისტიკის თეორიაში აღნიშნული ხარვეზის შევსების ცდაა. მასში თავმოყრილია თეორიული და პრაქტიკული მასალა, რომლითაც შესაბამისი პროფილის სტუდენტები იხელმძღვანელებენ, დაინტერესდებიან, ისარგებლებენ ლექციებისა თუ პრაქტიკული მეცადინეობისას, შეძლებენ გაიაზრონ და გააანალიზონ მედიატექსტების ასახვის საგნის მეტად რთული და რისკიანი ხელოვნება, ეზიარონ სიტყვის თავისუფლების პროდუქტს – იმ პრობლემათიკის არსს, რომლის გარეშეც არა მხოლოდ მედიახელოვნება, ზოგადად კაცობრიობა, ადამიანური ცხოვრება აზრს კარგავს.

აქ ერთ წიგნადაა აკინძული თეორიული და პრაქტიკული მასალა, ჟურნალისტური ტექსტის შექმნისა თუ ფორმობრივი (ჟანრობრივი) და შინაარსობრივი საფუძვლები. ამ კუთხით ვეცადეთ წარმოგვეჩინა თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის თეორიული, ფორმობრივი თუ შინაარსობრივი ასპექტები. ის, რაზეც ამ წიგნშია საუბარი, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ კუთხით ქართული ჟურნალისტიკა სერიოზულ დეფიციტს განიცდის. სურვილი, აუცილებლად უნდა შეიქმნას თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ქართულენოვანი სახელმძღვანელო წიგნი ჟურნალისტიკის თეორიაში

შესაბამისი ქრესტომათიული (დოკუმენტური) მასალების მოშველიებით, ნაწილობრივ შესრულებულია. წიგნის შექმნაში დაგვეხმარა ის გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო და საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტებში ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით ლექციების კითხვისას, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, ასევე გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ რედაქციაში მუშაობისას, (2006 წლიდან ვხელმძღვანელობ). ეს უკანასკნელი ცოცხალი მაგალითებით ავსებდა და ავსებს თანამედროვე მედიასივრცის საინტერესო არეალს. წიგნში წარმოდგენილი ცალკეული საკითხი თანაბრად პრობლემურია როგორც ევროპული, ისე რუსული, ამერიკული, ასევე ქართული მედიასივრცისათვის, გაანალიზებულია თანამედროვე პერიოდულ ბეჭდურ გამოცემებზე დაყრდნობით. მასალა იძლევა საშუალებას, გავიგოთ რა საკითხებით, რა პრობლემებით ინტერესდება მოქმედი მედიასივრცე, რამდენად პროფესიონალურად და მიუკერძოებლად შეუძლება ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ არსებული სინამდვილე და პასუხობს თუ არა ყოველივე ეს თანამედროვე გამონწვევებს? ინფორმაციული ბუმისა და ქაოსის პირობებში, როდესაც ფაქტობრივად აღარ ან არ (ვერ) იფილტრება ინფორმაცია, დაცულია თუ არა ჟურნალისტიკის პროფესიული სტანდარტი? ეთიკური ნორმები და კრიტერიუმები? ან რა არის მთავარი: ეროვნული ინტერესები, სიტყვის თავისუფლება, მაღალი პროფესიონალიზმი, დამფუძნებლის ინტერესები თუ კიდევ ბევრი სხვა რამ, რომელიც სწორედ 21-ე საუკუნის მედიის აქტიურობის ქუსლია? სად არის სიმართლე? ან საერთოდ, რამდენია ის? მედია იარაღია თუ შემოქმედებითი თავისუფლება? აქვს თუ არა ზღვარი მედიამანიპულირებას და სადამდე შეიძლება გაგრძელდეს მედიატექნოლოგიათა მონაპოვარი? რა შეიძლება მოჰყვეს კიდევ ტექნოლოგიათა განვითარებას? ...რომ დაინტერესებუ-

ლი მედიამომხმარებელი მალე შექმნის საკუთარ ტელევიზიას ანუ შეიქმნება ე.წ. „ქვეითად მოსიარულეთა ტელევიზიები,“ რომელთა შემოსავლები კოლოსალური სისწრაფით გეომეტრიული პროგრესით გაიზრდება? რომ მასობრივი აუდიტორიის შესაძლებლობებს რობოტექნიკა ჩაანაცვლებს?!

თანამედროვე ადამიანი სამყაროს შესახებ ცოდნის ნყურვილს ძირითადად ელექტრონული და ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით იკმაყოფილებს, ამდენად მას აღარავისი სჯერა, ვიდრე საკუთარი თავისა... ამიტომაც, ერთიანობის მიღწევა, არა მხოლოდ მედიაში, ერთგვარი აუხდენელი ოცნებაა, მიზეზი კი სწრაფვაა პირველობისკენ. ყოველი მედიამაგნატის სურვილია ყველა დანარჩენი მისივე კალაპოტში იყოს ჩამოსხმული, მისნაირი ხასიათი ჰქონდეს, მასავით ფიქრობდეს და განიცდიდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსად მოქმედებდეს... დღეისათვის ეს და სხვა მრავალი საკითხი ერთგვარი დილემის წინაშე დგას და ვფიქრობ, ამ მიმართულებით კვლავაც ბევრია სამუშაო, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს ყოველივე მაინც პუბლიცისტური ტექსტის შექმნის ხელოვნებას უკავშირდება. ვიმეორებ, ჯერ კიდევ ბევრია ამ მიმართულებით საფიქრალ-საზრუნავი და ეს წიგნიც ამის გარკვევის სურვილით არის ნაკარნახევი.

წიგნში ჟურნალისტური ასახვის ყველა ფორმა არაა წარმოდგენილი, ეს მომავლის საქმეა.

დასასრულს მადლობა მინდა გადავუხადო წიგნის რედაქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ თემურ ჯაგოდნიშვილს, რეცენზენტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ თამარ მაღალურაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ „... ი. სანიკიძის ნაშრომი, თუნდაც თემატიკიდან გამომდინარე, უაღრესად აქტუალურია, რადგან დღეს საქართველოში ცოტა ორიგინალური სახელმძღვანელო გამოდის ჟურნალისტიკაში და ეს წიგნი უდავოდ დაეხმარება როგორც სტუდენტებს, ისე პროფესორ-მასწავლებლებსაც...



იგი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება დაინტერესებული მკითხველისა და ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტთათვის“.

მადლობას ვუხდით ასევე რეცენზენტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ბატონ გიგლა გობეჩიას, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ „... ქართული ჟურნალისტიკათმცოდნეობა არ არის ქართველ მკვლევართა წიგნებით განებივრებული. ჭარბობს უცხოელ ავტორთა თარგმნილი წიგნები, რომელთა უმეტესობა, სამწუხაროდ, სრულიად მიუღებელია ქართული სინამდვილისათვის. ამდენად, მისასალმებელია იოსებ სანიკიძის მცდელობა ამ ხარვეზის გამოსწორებისა. წარმოდგენილი წიგნის უდავო ღირსებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ავტორი თითოეულ ჟანრს თან ურთავს მის მიერვე შერჩეულ ქრესტომათიულ ნიმუშს... წიგნი როგორც დაინტერესებული მკითხველისთვის, ასევე საქართველოს ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი ამქრისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება“...

ასევე მაღლიერებას გამოვხატავ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორების ნანა ცეცხლაძისა და ინგა შამილიშვილისადმი, ასევე ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონ ემენ დავითაძისადმი, რომელთაც საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს წიგნის შესახებ.

ი. სანიკიძე,  
2015 წელი, მაისი

## ჟურნალისტიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი

ჟურნალისტი რწმენასა და იმედთან, ძალასა და ენერჯი-ასთან, სიტბოსა და ნუგეშთან, სიკეთესა და პატიოსნებასთან, სიყვარულსა და უბრალოებასთან ასოცირდება, განურჩევლად ასაკისა, ეროვნებისა, კანის ფერისა, სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, საცხოვრებელი ადგილისა. ამდენად, ის ყველას მიმართ თანაბრად უნდა გამოხატავდეს პატივისცემას, იყოს სიმართლისა და სამართლიანობის ერთგული დამცველი დროისა და სივრცის მიუხედავად. რთულია ჟურნალისტიკის პროფესია, ხშირად რისკიანი და სახიფათო, მაგრამ ნამდვილ, ჭეშმარიტ და ღირსეულ ჟურნალისტს ყოველთვის გათავისებული აქვს და კარგად ესმის, რომ შესაბამისად საკუთარი საქმიანობისა და დამსახურებისა, მიაგებს ხოლმე საზოგადოება ღირსეულ პატივს და როგორც გმირს, ისე აცხოვრებს საკუთარ გულელებში. გმირები კი ადვილად, უბრალოდ და მარტივად არ იბადებიან, ამიტომაცაა, არც ერთი გმირი არ დაბერებულა და არც მომკვდარა, ისინი მარად ცოცხლობენ ყველა თაობისა და ყველა ასაკის ადამიანში და არც არასოდეს მოკვდებიან. იქნებ გადაჭარბება ან ზედმეტი პათეტიკა შენიშნოთ ან იგრძნოთ კიდევ ამ აბზაცის წაკითხვისას, მაგრამ გულის სიღრმეში ყველა თქვენგანი დამეთანხმება და დამიდასტურებს კიდევ, რომ ბრძოლის ველზე ტყვიების წვიმაში უიარალოდ გასვლა მხოლოდ რეპორტიორი ჟურნალისტიკის მოვალეობაა, მხოლოდ მას შეუძლია განუმეორებელი დოკუმენტური კადრების გადაღება და საზოგადოებამდე მიტანა კოსმოსური ხომალდიდან, წყალქვეშა ატომური ნავიდან, სიკვდილმისჯილთა საკნებიდან... ეს სხვა არაფერია, თუ არა გმრობა, მაგრამ არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ყველას გმრობას ვერ მოვთხოვთ, ეს ერთგვარი თვით-

ნაბადი ნიჭია უფლის მიერ ნაბოძები. ამიტომაც არჩევანი ჟურნალისტის პროფესიაზე ერთობ საპასუხისმგებლოა და სახიფათოც. როდესაც ასეთ გადამწყვეტილებას ლეზულობს პიროვნება, ის უპირველესად სხვა პროფესიულ შესაძლებლობებთან ერთად დიდი შინაგანი კულტურითა და სულიერი დისციპლინით უნდა გამოირჩეოდეს. ამიტომაცაა, რომ საზოგადოება მეტ პასუხისმგებლობას ხშირად სწორედ ჟურნალისტს აკისრებს და ხანდახან, სამწუხაროდ, ადვილადაც ელევა, სწირავს ხოლმე მას, ექცევა არა როგორც გმირს, არამედ როგორც უბრალო მოკვდავს... მაგრამ ამაში, იმავე საზოგადოებისადმი ამგვარი განწყობისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში თვითონ ჟურნალისტები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს და ხელს უწყობენ ვითარებისა და სიტუაციის არა განმუხტვას, არამედ დაძაბვას, დაპირისპირებას, ეჭვისა და უნდობლობის გაღრმავებას. შესაბამისად საზოგადოებაც იხსნის პასუხისმგებლობას, შექმნილ სიტუაციაში ნაკლებად დამნაშავედ გრძნობს თავს და საბოლოო ჯამში კი ჩრდილი ადგება პროფესიულ ღირსებას, პატიოსნებას, ერთგულებას... ამიტომაც, კარგად უნდა გვახსოვდეს, განსაკუთრებით დამწყებ ჟურნალისტებს, რომ უპირველესად მაღალი პროფესიონალიზმი და სულის დისციპლინა არის საუკეთესო საშუალება ჟურნალისტის ეკლიან გზაზე დიდებით სვლისა. ღირსეული ჟურნალისტის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ყოველი მისი სიტყვა თუ საქმე, არასოდეს რჩება ყურადღების მიღმა. ამიტომაც გვაქვს სურვილი აღვზარდოთ ნიჭიერ ჟურნალისტთა ახალი თაობა, რომელიც აქცენტს გააკეთებს ადამიანურ სიკეთესა და სამართლიანობაზე და არა ფულსა და ანგარებაზე, რომელთაგან პირველს სახელი და დიდება მოაქვს, მეორეს კი – ფუფუნება და კეთილდღეობა. დღევანდელი გადასახედიდან ნამდვილად რთულია დაძლიო ცდუნება, ერთს ანაცვალო მეორე ან პირიქით, მაგრამ გმირისა და გმირობის რანგში აყვანილი პროფესია, უპირველეს ყოვლისა, უდიდეს პასუხისმგებლობასა და

ერთგულებასთან ერთად მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობასთანაც ასოცირდება. ამიტომაც ჟურნალისტი არა მხოლოდ საზოგადოებრივი საქმიანობით, პირადი განწყობითა და დამოკიდებულებითაც კი სასიამოვნო და საინტერესო გარემოს ქმნის და აყალიბებს გარშემომყოფთადმი. ცნობილია, რომ ხალისიანი, მხიარული განწყობა ეხმარება ადამიანს ადვილად გამოვიდეს მძიმე, სტრესული მგომარეობიდან და თავი „გაითავისუფლოს“ ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემებისაგან, რომელიც გადაულახავ წინააღმდეგობად წარმოუდგენია. მეცნიერთა აზრით, სიცილი, ხალისიანი განწყობა ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ზოგადად, ნებისმიერი განწყობა „გადამდებია“ და ამიტომაც ჟურნალისტს ძალიან კარგად უნდა ესმოდეს, რომ ჟურნალისტის პროფესია, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებასთან, მასობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობის ხელოვნებაა, როდესაც ერთდროულად ასეული ათასობით ან მილიონობით ადამიანი ჟურნალისტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას კითხულობს, ისმენს, მსჯელობს, კამათობს, აკვირდება, ანალიზებს, აკეთებს დასკვნებს და მის შესაბამისად იქმნის განწყობას. საზოგადოებრივი ყოფა და ცხოვრება არასდროს, არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. ადამიანური გზა ცხოვრებისა ვისთვის სასურველი გზით მიიმართება, ვისთვის მტკივნეულად. ამიტომაც ადამიანური განწყობები და შესაბამისად ურთიერთობებიც, ხშირად ძირითადად დამოკიდებულია პირად უნარსა და შესაძლებლობებზე, რაც ერთი მხვრივ, გამოიხატება არსებული რეალობით, მძიმე ცხოვრებისეული პრობლემატიკით, და მეორე მხვრივ, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით. ამ ყველაფერში მთელი არსებით ჩართულია მასმედიის ყველა საშუალება, (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული). საზოგადოებას, ხალხს, ადამიანებს ხშირად უჭირთ მტყუან-მართლის გარკვევა, სიმართლის გაგება. ერთი სიტყვით, ინფორმაციის ბუმი, უფრო ზუსტი განმარტება იქნება თუ ვიტყვით: სრული

ინფორმაციული ქაოსია და მასში სიმართლისა და არაობიექტურობის გამიჯვნა ხშირად პროფესიონალ თეორეტიკოსებსაც კი უჭირთ... ამდენად, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ხდება თანამედროვე ცხოვრებაში ჟურნალისტის როლი, ფუნქცია, მნიშვნელობა, ამოცანა და დანიშნულება, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი ცხოვრების გაკეთილშობილების, ადამიანების სულიერი ამაღლებისა და წინსვლის საქმეში. რატომ არ უნდა შეგვეტკიოდეს გული ჩვენი ქალაქის ქუჩებში გავლისას, როდესაც ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც შენუხებული სახით მიიჩქარიან და შესაძლებელია მათგან უმეტესს თავში ერთი და იგივე აზრი უტრიალებს: რა აჭამოს დღეს ბავშვს? ან სად იშოვოს ფული, რომელიც იგივე ბავშვის წიგნების შესაძენად სჭირდება? ან რით შეიძინოს წამალი, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია საკუთარი მეუღლისათვის? ან როგორ გადაიხადოს წყლის დავალიანება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გაუთიშეს?

როგორც ჩანს, საზრუნავი დღეს ხალხს გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე ეს სინამდვილეში წარმოგვიდგენია. როდესაც არიან ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ ლუკმაპურს კვლავაც ნაგვის ყუთებში ექექებიან, რომელთაც პურის შესაძენი გროში არ გააჩნიათ. მოგეხსენებათ, მსგავსი სიტუაციის შეცვლა არც თუ ისე მარტივია, რომელიც თითქოსდა ადვილად მოგვარებადი გვეჩვენება, და ჩვენდა სამნუხაროდ, მისი მოგვარება უახლოეს დროში ერთგვარად შეუძლებელიც ჩანს. და მაინც, მიუხედავად მთელი რიგი პრობლემემატიკისა, თუ არ შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი პირადი მდგომარეობა, ასეთ დროს აუცილებელია ვიზრუნოთ შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულებები მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში. ამდენად დღეს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვისაუბროთ არა ყველასათვის კარგად ცნობილ პრობლემებზე, არამედ ადამიანის უნარზე გამოავლინოს საუკეთესო პირადი თვისებები, შეიქმნას კარგი და

მხიარული განწყობა და სითბო აჩუქოს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს. ეს ყველაფერი გაცილებით ფასეული იქნება მაშინ, როდესაც ყოველივე ამის უკან ჟურნალისტი იქნება.

სიცოცხლის მოყვარული, ხალისიანი და მომღიმარი სახის ჟურნალისტი ადვილად იპყრობს სხვათა ყურადღებას. მის მიმართ საზოგადოებაც კეთილგანწყობილია ხოლმე, რადგან სწორედ მასში ამოიკითხავს სასონარკვეთილი ადამიანი მეგობარს, ჭირისუფალს, ტკივილის გამზიარებელს, სულის მესაიდუმლეს. გარეგნული ეფექტი მძიმე სტრესული მდგომარეობიდან თავისდასაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამიტომაც ნიჭიერი ჟურნალისტი ყოველთვის ცდილობს საზოგადოებასთან ურთიერთობისას, რა ფორმითაც არ უნდა მიმდინარეობდეს იგი, ის „ეფექტი“ შეინარჩუნოს, რომელიც საზოგადოებისათვის მოცემულ მომენტში ყველაზე მომგებიანი და წარმატებული იქნება. მაგალითად, ჟურნალისტი პროდუქტების შესაძენად სუპერმარკეტში, საცურაო აუზში, ქუჩაში, სახლში, მეგობრის ქორწილში, ან მძიმე ავარიისა თუ საგანგებო შემთხვევების ადგილას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მიტინგებზე, სასამართლოებსა თუ საპატიმროებში. პროფესიონალ ჟურნალისტს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ის ყველგან უნდა იყოს, მაგრამ მარტოდ-მარტო არსად, არასდროს არ არის და არც იქნება, თვით უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრის შემთხვევაშიც კი საზოგადოების ინტერესების ერთგული და უღალატო დამცველის როლში უნდა იყოს მხოლოდ, როგორც ობიექტური, სამართლიანი და პრინციპული, მიუკერძოებელი გულშემატკივარი, რომელსაც არ აშინებს დაღლა, მანძილი, სიშორე, „გადაიფრენს, გასცურავს“, სიმართლეს კი მიაღწევს...

და თქვენ წარმოგიდგენიათ, როდესაც ჟურნალისტის გარეგნული ეფექტი ასე გადამდებია, მაშინ როგორი ეფექტი და გავლენა ექნება მის მიერ დამუშავებულ ინფორმაციას? ინფორმაცია ხომ, შეიძლება ითქვას, ადამიანის სულია, მისი

შინაგანი სამყაროს ნაწილია და როდესაც ამ ყველაფერს უსამართლოდ და დაუმსახურებლად შეურაცხყოფ, ტალახსა და სიბინძურეში ამოსვრი, მის უკან ხომ კონკრეტული პიროვნება დგას: აბუჩად აგდებული, შეურაცხყოფილი, დაუმსახურებლად, უსამართლოდ გალანძღული, დანიხლული ან უბრალოდ ნაწყენი და გულნატკენი!?

რა თქმა უნდა რთულია ყოველთვის, (რა დონის ჟურნალისტიც არ უნდა იყო), ნებისმიერ დროს მოიგერიო ცხოვრებისეული „კაპრიზები“, მითუმეტეს მაშინ, როდესაც წინასწარ არავისთვის არაფერია ცნობილი: მაგალითად, რა გელოდება ხვალ ან ზეგ? მაგრამ ჟურნალისტიკისათვის ყოველდღიური მზადყოფნა და იმის გათავისება, რომ ის არის ერთგვარი რწმენა და იმედი საზოგადოების თითოეული წევრისა, სამართლიანი, ჭეშმარიტი და ღირსეული საზოგადოებისა, როდესაც ტყუილი და ორპირობა, მოჩვენებითობა და სიყალბე ადგილს ვერ იმკვიდრებს, ასეთ დროს მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს იხვეჭ, დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად დიდ პიროვნულ შესაძლებლობებს იძენ, რომელიც გარკვეულ რისკებსა და სულიერ რესურსს მოითხოვს. დამერწმუნებით, ჟურნალისტიც ერთი ჩვეულებრივი ადამიანია, სხვა ადამიანთაგან არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი ყოველდღიური ყოფითა და ცხოვრებით, მაგრამ მეტი პასუხისმგებლობითა და მოვალეობით, მეტი ერუდიციით, ალლოთი და შემართებით, რადგანაც სწორედ ეს პასუხისმგებლობისა და მოვალეობის განცდა არის საფუძველი მისი პროფესიული განსაკუთრებულობისა, რაც გამოიხატება თუნდაც ერთი კონკრეტული ადამიანისადმი თანაგრძნობისა და თანადგომის გამოხატვით. შესაძლოა ძალიან ხმამაღლა, თამამად და გარკვევით ითქვას: ყველაზე დიდი მსახური და ერთგული ჯარისკაცი მშობელი ქვეყნისა, დღეს ჟურნალისტიკა და თუ ეს ასე არ ხდება და ის ხშირად გამოყენებულია როგორც იარაღი, ამაზე უფრო დიდი ცოდვა და სატანჯველი არ არსებობს და რომ ამაში ბრალის მაღალი პროცენტი სწორედაც რომ საზოგა-

დოებაზე მოდის... ამიტომაც მის შესაბამის სიტბოს, სიყვარულს, დაფასებას, აღიარებას ითხოვს ჭეშმარიტი, ღირსეული, სამართლიანი, ობიექტური, მიუკერძოებელი და დაბალანსებული ჟურნალისტი. ასეა მეგობრებო, როდესაც ვინმეს მეტ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ, შესაბამისად თავადაც მეტ ყურადღებასა და თანადგომას საჭიროებენ...

ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ანტივირუსია, რომელიც მის გაკეთილშობილებას ემსახურება. ამიტომაც შეუძლებელია მოქმედი შოუბიზნესის წარმომადგენლები ჟურნალისტებად, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია კი ჟურნალისტურ პროდუქციად იწოდებოდეს. სწორედ მსგავსმა დამოკიდებულებამ შექმნა პრეცედენტი ნამდვილი ჟურნალისტებისადმი საზოგადოების მხრიდან ხშირ შემთხვევაში ცუდი დამოკიდებულებისა. როგორ შეიძლება ნებისმიერ სახის „შეტყობინებას“ ჟურნალისტიკა ეწოდოს? როგორ შეიძლება ნებისმიერი სახის „სისულელესა და ჭორს“ გავრცელების ფართო ასპარეზი მიეცეს? რას ვაზიანებთ ასეთ დროს? რა თქმა უნდა საზოგადოებრივ აზრს, მისი საშუალებით კი საზოგადოებას და მისსავე ცნობიერებას. ინფორმაცია, ნამდვილად ჟურნალისტური ანუ ცხოვრებისეული და სასიცოცხლოდ აუცილებელი, უნდა მოიცავდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და ა.შ. იმ ყველა მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ღირსეულად გამოკვებავენ ყველა თაობის ადამიანს, რომელიც არ იქნება ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული, როგორც ნაფოტი წყლის ზედაპირზე. სხვადასხვა კატეგორიებად დიფერენცირებული ინფორმაცია ის სულიერი საზრისია, რომელიც რთულად და ჩახლართულად კი არ წარმოიდგენს რეალობასა და სინამდვილეს, არამედ გაცილებით ადვილად და მარტივად აღსაქმელად აქცევს მას.

ერთი სიტყვით, რეალობა და ჭეშმარიტებაა ჟურნალისტიკის ამოსავალი და არა ჭორი და მოგონილი, ტყუილი, რომელიც უკარგავს ჟურნალისტიკას ელფერს, შინაარსსა



და მნიშვნელობას, ხოლო ჟურნალისტებს ადამიანურ სახეს და ზოგადად კი ეს ყველაფერი თავად ჟურნალისტის პროფესიაზე – დედამიწის ზურგზე ამ ერთ-ერთ ყველაზე უძველესსა და ამასთან, ყველაზე თანამედროვე, ურთულეს პროფესიაზე დამლუპველ ზემოქმედებას ახდენს. წარმოიდგინეთ კარგი, სუფთა, წლებს გამოტარებული ღვინო, რომელსაც წინაპარი თავის შვილებს უტოვებს, ის კიდევ ღვინის გათავების შიშით ყოველდღე ამ ღვინოში წყალს ამატებს, იმის მაგივრად რომ ვაზს უვლიდეს და ეფერებოდეს, რომ მისგან მოწეული ყურძნით ახალ, სუფთა, უანკარეს და უგემრიელეს ღვინოს ამზადებდეს. რა მოუვა ასეთ დანატოვარ ღვინოს? პასუხი ნათელია: ის ძმრად გადაიქცევა. რა მოუვა ასეთ გზიდან გადასულ ჟურნალისტიკას? ჟურნალისტიკა იქცევა სიძულვილის, დაპირისპირების, იჭვიანობის, გაუტანლობის, ერთა შორის შუღლის ჩამოგდებისა და კაცთა კვლის იარაღად. ამდენად, თავად საზოგადოებამ უნდა შექმნას ჟურნალისტიკა ეთიკური კრიტერიუმები და ქცევის კოდექსი, გამიჯნოს ზღვარი პროფესიონალ ჟურნალისტიკასა და შოუბიზნესს შორის, რომ ჟურნალისტიკამ დაიბრუნოს საზოგადოების დამსახურებული სიყვარული და პატივისცემა.

## II

### ჟურნალისტური ტექსტის შექმნის გააზრებისათვის

ჟურნალისტური შემოქმედებითი საქმიანობის დასაწყისი რთული, და ხშირ შემთხვევაში, წარუმატებელია, რადგან წერის შესაძლებლობები არ ემთხვევა სურვილს შექმნა ღირებული და მნიშვნელოვანი, ამასთან მიიპყრო სხვისი ყურადღებაც... ეს გზა სირთულეებისა და სიძნელეების გარეშე არ არსებობს და იგი გადალახული აქვთ თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ მწერალსა თუ ჟურნალისტს. დამწყები ჟურნალისტების დიდ ნაწილს ხშირად უჩნდება სურვილი თუ მისწრაფება პირველივე მცდელობაზე შექმნან საინტერესო და საყურადღებო ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მოვლენასა თუ ფაქტზე, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მცდელობა უშედეგოა, არაფერი გამოდის, სათქმელი თითქოს ხაფანგში გაება და რისთვისაც მოემზადე, ყველაფერი ერთიანად გაქრა, გაფრინდა, წავიდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ფარ-ხმალი დაყარო და სასწონარკვეთილებას მიეცე. მონდომება, მცდელობა, სურვილი თავისას გაიტანს და შედეგსაც გამოიღებს. შემოქმედებითი ნიჭი ჟურნალისტური ფანტაზიისა იპოვის დღის სინათლეს. საკუთარ შეხედულებათა და წარმოდგენათა პუბლიცისტური ლექსიკური მარაგი ცხოვრებისეულ ფაქტებსა და მოვლენებს კიდევ ერთხელ თვალს გაადევნებს, დააკვირდება, გააანალიზებს, პირად და საზოგადოებრივ წარმატებად ან წარუმატებლობად აღიქვამს და ამ ყველაფერს ერთგული გულშემატკივრის, ჭირისუფლის, მხარდამჭერის პოზიციით წარმოაჩენს. ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისა და ფაქტების პირად და საზოგადოებრივ ტკივილად თუ სიხარულად განცდა აღიქმება როგორც პირველი ჟურნალისტური ნათლობა და სწორედ ამგვარი გრძნობითა და განწყობით დამუხტული სიტყვების ჯერი წინადა-

დებებად აკინძული და საბოლოოდ პუბლიცისტურ ტექსტად ჩამოყალიბებული მოაწყდება ცოცხალ სინამდვილედ თეთრი ფურცლების ნაკადს ან კომპიუტერის ეკრანს. მოვლენებისა და ფაქტების თანამიმდევრული გააზრება, მეტყველი წინადადებები, მოხდენილი ფრაზები, თითო აბზაცში ჩატეული თითოეული სათქმელი, წვრილმანი დეტალებითა და გარემოებებით გამოკვეთილი და საკუთარი სტილით „აღფრთოვანებული“ ჟურნალისტური ტექსტი მოვევლინება მასობრივ აუდიტორიას. მაგრამ, აქამდე ჯერ კიდევ შორია. ამ გზის გავლა გულისხმობს მრავალ რჩევას უფროსი მეგობრისა თუ კოლეგისაგან წერის ოსტატობის ამაღლებაზე. ზოგიერთის რჩევა, შესაძლოა, იყოს ზედმეტად მკაცრი და ერთგვარად სასონარკვეთილებაში ჩამგდებიც, ზოგიერთის პირიქით. ორივე შემთხვევაში ნაკარნახევი ერთი სურვილით: პუბლიცისტური ტექსტი ობიექტური, მიუკერძოებელი, მართალი, მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებული უნდა იყოს. წერის ოსტატობის ამაღლებაზე ზრუნვა დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვს, სადაც თავისთავადი, ბუნებრივი ნიჭი და გამორჩეული მონაცემები განსაკუთრებულ როლს თამაშობს. სწავლება იმისა, თუ როგორ უნდა წერო, ან რა მეთოდებით იხელმძღვანელო, საკმაოდ რთულია. თუმცადა, ამის მრავალი რეცეფტი არსებობს. უპირველესად საკითხის ღრმა ცოდნა, დიდი შინაგანი კულტურა, შრომისმოყვარეობა და მაღალი პასუხისმგებლობა - ის უმთავრესი კრიტერიუმებია, რომელსაც დამწყები ჟურნალისტი ეყრდნობა. რჩევა მეგობრისა თუ მასწავლებლისა, გასათვალისწინებელია, მაგრამ ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისას თუ პირად ინტუიციას და ხედვას მოწყდა დამწყები ჟურნალისტი, შესაძლოა, სათქმელი საერთოდ დაიკარგოს. ის, რაც პირადად შესაფასებელია, უნდა შეფასდეს კიდევ დამწყები ჟურნალისტის მიერ. ამიტომ, რჩევა, რომ ფაქტები ისე აიხსნას, როგორც სტაჟიანსა თუ გამოცდილ ჟურნალისტს მიაჩნია და არა ისე, როგორც მოვლენების ეპიცენტრში მყოფ დამწყებ, ან თუნდაც

გამოუცდელ ჟურნალისტს, ძალზე საპასუხისმგებლოა. კონკრეტულ სიტუაციაში მყოფი პირველწყაროს, ამ შემთხვევაში ჟურნალისტის (თუნდაც დამწყების) ორიგინალური ხედვა გაცილებით საინტერესოა, ვიდრე გამოცდილი, სტაჟიანი ჟურნალისტისა. ამიტომ შეიძლება მიეთითოს გარკვეულ შემთხვევაში როგორ წეროს დამწყებმა ჟურნალისტმა, მაგრამ თუ ყოველ წინადადებას ჩაუკირკიმელავებ, „კონტროლს გაუნევ“, ეს „მისი“ აღარ იქნება. აქ სიტყვა უნდა თქვას საკუთარმა შემოქმედებითმა ნიჭმა და პუბლიცისტურმა შესაძლებლობებმა, (საქმის არსში წვდომა, ოპერატიულობა, მიუკერძოებლობა, ბალანსი...), ასევე წერის შინაგანმა კულტურამ (სტილი, ჟურნალისტური ლექსიკური მარაგი, მარტივი, გასაგები, მოკლე და ნათელი წინადადებები, სასვენი ნიშნები, აბზაცების შერჩევა და გამოყოფა). შემოქმედებითი შესაძლებლობები ადამიანისა ძნელად განსასაზღვრია, შეუძლებელიც კი. ვერავინ შეძლებს კონკრეტული ადამიანის, მათ შორის ჟურნალისტ(ებ)ის ფანტაზიის საზღვრების დადებას. აქედან გამომდინარე, ვერავინ ვერ „უბრძანებს“ ვერავის, როგორ და რანაირად წეროს ან როგორ აღწეროს ესა თუ ის მოვლენა ან ფაქტი. კონკრეტული ფაქტი კონკრეტულმა პიროვნებამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ასახოს ვითარების, სიტუაციის შესაბამისად. სასიამოვნოა, როდესაც კონკრეტული მოვლენისა და ფაქტის ირგვლივ ისეთი პუბლიცისტური მასალა მომზადდება, რომელიც ყველაზე რთულსა და მასშტაბურს ყველასათვის გასაგები, მარტივი და უბრალო ენით აღწერს, როდესაც მომხდარი ან მიმდინარე ისე აღიქმება, როგორც სინამდვილე. მნიშვნელოვანი მოვლენების, ფაქტების, პროცესების, პრობლემების, საკითხების, იდეების ხელოვნურად, შეგნებულად გაუბრალოება, მეორეხარისხოვნად ქცევა ბუნებრივ სახეს უკარგავს სინამდვილეს. ცხოვრებისეული მოვლენებისა და ფაქტების არასწორი ინტერპრეტირება კი სარისკოცაა და საპასუხისმგებლოც. ასეთ შემთხვევაში აღარ ხდება მთავარისა და მეორე-

ხარისხოვანის გამოყოფა, გამიჯვნა და შესაბამისად, ტექსტი არაადეკვატურის, ხელოვნურის, ზედმეტად მოდელირებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სინამდვილის, რეალობის, არსებულის შენარჩუნების პრინციპი უმნიშვნელოვანესია ჟურნალისტური ტექსტების შექმნისას. როდესაც პუბლიცისტური წერის ნიჭსა და შესაძლებლობებზე ვსაუბრობთ, წინა პლანზე უნდა წამოინიოს ფაქტებით აგიტაცია და პროპაგანდა; როცა სათქმელი პუბლიცისტურია, არა ზედმეტად მხატვრული, მოგონილი, რეალობას აცდენილი და ფანტაზიით გაჯერებული, არამედ ცოცხალი მშრალი, უფრო მეტად კი სიღრმისეული, ამასთან საინტერესო. ჟურნალისტი ღრმად უნდა იჭრებოდეს ფაქტის არსში, კარგად ერკვეოდეს მის წარმომშობ მიზეზებში, რათა ზუსტად განისაზღვროს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ფაქტსა და რეალობას შორის. პუბლიცისტი ვარაუდების, ეჭვების, გამოგონილი, შეთხზული ვერსიების მიხედვით ვერ ესაუბრება მასობრივ აუდიტორიას, მას კონკრეტული ფაქტი სჭირდება, სჭირდება როგორც ხელჩასაჭიდი მასალა, რომელიც კონკრეტულ სივრცესა და დროში ფიქსირდება, რომლის საფუძველზედაც უნდა მომზადდეს და შეიქმნას კიდევ ჟურნალისტური ტექსტი.

როდესაც ჟურნალისტური ტექსტის შექმნა-აგებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ მოვიშველიოთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება პუბლიცისტიკასთან მიმართებაში. მწერალი და პუბლიცისტი ერთ-ერთ თავის მორიგ პერიოდულ გამოცემაზე მუშაობისას საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზე“ აკეთებს დასკვნას, რომ პრესისათვის უმთავრესი საკითხი ჩვენი ყოველდღიური ყოფა და ცხოვრებაა, მისი წარმატებული თუ წარუმატებელი ნაბიჯის დღის სამსჯავროზე გამოტანა, ქვეყნისა და ხალხის სამსახური: „ჩვენი მიზანი ქართველი ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ (1-1). ეს არის სწორედ პუბლიცისტური ტექსტის არსი – სიმართლესა და სამართლიანობაზე აღმოცენებული ობიექტური

ჭეშმარიტება, რადგან სიმართლისშემცველი ინფორმაცია სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული ადეკვატურობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. „კაცობრიობისათვის შთაგონება უხსოვარი დროიდან არის ცნობილი“ (2-1), ამიტომ, ჟურნალისტი უნდა ეცადოს, აუდიტორიამ სინამდვილე დამახინჯებულად არ აღიქვას. მხედველობაშია პირველადი შეტყობინების ფენომენი. პირველად მიწოდებული ინფორმაცია მეტი ეფექტურობით გამოირჩევა, უფრო დამახსოვრებადია, და შესაბამისად, კონკრეტული ადამიანის წარმოდგენაშიც გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს. ჟურნალისტები როდესაც ცდილობენ მათ მიერვე დაშვებული შეცდომის გასწორებას იმავე არხით, დიდი ეფექტი აღარ მოაქვს, რადგან შემეცნების პროცესში დარწმუნება გაცილებით მარტივია, ვიდრე გადარწმუნება.

პუბლიცისტურ ტექსტში რეალურ სინამდვილესთან ერთად ჟურნალისტის პირადი, სუბიექტური შეხედულების მოდელირებაც ხდება. მოდელირება დამფუძნებლის, რედაქტორის და საზოგადოების ინტერესთა და შეხედულებათა ერთობლიობას გულისხმობს. ფაქტიურად, ეს არის ჟურნალისტის სინამდვილესთან დამოკიდებულების მატერიალიზებული სახე, როდესაც იდეაში არსებული სინამდვილე ტექსტად რეალიზდება. ზოგადად, ამა თუ იმ შინაარსისა თუ ხასიათის ინფორმაცია საზოგადოებაში იმის შესაბამის განცდას ამკვიდრებს, რის (ვის) შესახებაც არის საუბარი ტექსტში. ცხოვრებისეული საკითხების გააზრება-გაანალიზების უნარის გამომუშავება საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესია იმავე საზოგადოებაში ჯანსაღი დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის. ჟურნალისტიკა ცხოვრებისეულ ფაქტებსა და მოვლენებს აკვირდება, აღწერს და აანალიზებს, ამასთან ცდილობს ადამიანური ურთიერთობების პრობლემატიკის ჩვენებით სწორი ორიენტაცია აჩვენოს აუდიტორიას. ამიტომაც ჟურნალისტის „სუბიექტური სინამდვილის“ მოდელირება რეალურად არსებულის საზღვრებს

არ უნდა გასცდეს. „ყოველი ტექსტი ყოფილი საქციელია, ახალ მისწრაფებათა და ქცევათა აღმძვრელი, ხოლო ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა სიტყვა“ (3-1). დამწყებმა ჟურნალისტმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ინფორმაციის ძიების საწყისი, ფუნდამენტური ეტაპი მოვლენებზე თვალის გადავებაა, კონკრეტული ფაქტ(ებ)ისა და მოვლენ(ებ)ის ანალიზი და დაკვირვებაა. აქედან გამომდინარე, რამდენად ადეკვატურია ტექსტი, ხშირად აუდიტორიის განსასაზღვრია. სამწუხაროდ, აუდიტორიის დიდი ნაწილი უკრიტიკოდ ლებულობს ჟურნალისტური ტექსტების უმრავლესობას. შესაბამისად ირღვევა უკუპროცესიც. არ ხერხდება დადგენა ინფორმაციამ მოახდინა თუ არა ზემოქმედება, არის თუ არა შედეგი და ა.შ. შეტყობინება, მასობრივი აუდიტორიისთვის, ქმნის გარკვეული დონის დამაჯერებლობისა და სარწმუნოების ეფექტს. ამდენად, ჟურნალისტის მიერ მიწოდებული მესიჯი, არ უნდა გასცდეს სინამდვილის საზღვრებს. თუ ასე მოხდა, ტექსტი მხოლოდ ნაწილობრივ აღწევს თავის მიზანს. ჟურნალისტის შედეგიანობა საბოლოოდ სწორედ უკუპროცესის საშუალებით მონმდება...

პუბლიცისტური საქმიანობის „თავისებურებათა“ დაუფლება ჟურნალისტური პროფესიონალიზმის ამოსავალი წერტილია. ამიტომაც, ჟურნალისტის დამოკიდებულება სინამდვილესთან მიმართებაში მრავალმხრივია. პირველ რიგში ჟურნალისტისა და დამფუძნებლის ინტერესთა თანხვედრაა აუცილებელი, შემდგომ მოვლენებისა და ფაქტების შერჩევისა და ინტერპრეტირებისა, ასევე სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტთა ინტერესების გაანალიზება-განსაზღვრისა, რომელსაც ფეხდაფეხ სდევს თემის შერჩევა-განსაზღვრის პროცესი, ერთი მიზანით: ფაქტობრივი მასალების საფუძველზე მნიშვნელოვანი წვრილმანების გამოკვეთით ერთი მთლიანი პუბლიკაციის შექმნა და მიტანა მასობრივ აუდიტორიამდე.

შესაძლოა, სხვადასხვა პოზიციის მიხედვით ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვანაირად აღიქმებოდეს. ამიტომაც თემის შერჩევის პროცესი მოიაზრებს აუდიტორიის განწყობისა და დამოკიდებულების გათვალისწინებას კონკრეტულ ფაქტსა თუ მოვლენაზე. „პრაქტიკული მოღვაწეობისას ჟურნალისტი უმეტესწილად თვითონ ქმნის პუბლიცისტურ ნაწარმოებს...“ (4-1). სწორედაც, რომ კონკრეტულ პირს, ამ შემთხვევაში დამწყებ ჟურნალისტს - მის ნიჭიერებას, დიპლომატიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ შესაძლებლობებს, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა თვით დამფუძნებლის ინტერესებზეც კი. ამიტომაც, პატივი ეცით და მიეცით ასპარეზი საკუთარ ჟურნალისტურ შესაძლებლობებს, მაგრამ არ უნდა გადაიზარდოს ეს ყველაფერი ჟინიანობასა და ანგარებაში.

ნიჭიერი ჟურნალისტი არასოდეს ელოდება, ის ეძიებს და პოულობს კიდეც. მოვლენების წინმსწრები, ცხოვრების ეპიცენტრში მყოფი ჟურნალისტი არის მასობრივი აუდიტორიისათვის ყველაზე სანდო და საინტერესო პირველწყარო.

ჟურნალისტური მასალის ლიტერატურული დამუშავება არის საბოლოო პროცესი მოპოვებული, გაანალიზებული და გადამონმებული ინფორმაციის პუბლიცისტურ ტექსტად ჩამოყალიბებისა მასობრივ აუდიტორიამდე მისატანად.

## **ლიტერატურა:**

1. თ.ჯოლოგუა, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ. 2013, გვ.211
2. შ. გაგოშიძე, ჟურნალისტიკის საფუძვლები, თბ. 1996, გვ.108
3. რ. სურგულაძე, ჟურნალისტიკამცოდნეობის საფუძვლები, თბ.1996, გვ.50
4. ვ. მჭედლიშვილი, ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა, თბ.1999, გვ.19



### III

## სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები

ჟურნალისტური საქმიანობის სულიერ და ზნეობრივ ღირებულებებზე დისკუსია დიდი ხნის წინათ დაიწყო. ეთიკური ნორმების დამკვიდრება პროფესიულ საქმიანობაში აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა. იგულისხმება ქცევის იმ წესებისა და ნორმების დაკანონება, რომელიც განსაზღვრავს ჟურნალისტების დამოკიდებულებას პროფესიული მიდგომისადმი და საზოგადოებრივი კრიტიკერიუმებისადმი. „ჟურნალისტის პროფესიაში პროფესიონალიზმი და ეთიკა განუყოფელია ისევე, როგორც ბზუილი და ბუზი“, – წერდა არგენტინელი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი თავის ესეში „საუკეთესო საქმე ამქვეყნად“(1-1), რომელიც ჟურნალისტიკის პრობლემებს შეეხებოდა.

რას ნიშნავს ცნება ეთიკა და როგორ უნდა იქნას გაგებული ის დღეისათვის? „მოხელის სამაგიდო ლექსიკონში“ (თბ.,2004) ეთიკა განმარტებულია, როგორც „ჩვეულება, ხასიათი, ზნე, აზროვნების წესი 1. ფილოსოფიური მოძღვრება მორალის შესახებ, რომელიც შეისწავლის მორალის წარმოშობას, მის არსს და ფორმებს. მაგ. ჰეგელის ეთიკა, მატერიალისტური ეთიკა და სხვ. ნორმატიული ეთიკის საგანს წარმოადგენს მორალური იდეალი, ფასეულობები და მოთხოვნები, მათი ფუნქციონირების თავისებურებები; სოციალური ეთიკა ზნეობრიობას შეისწავლის სოციალური ცხოვრების თვალთახედვის კუთხით; ინდივიდუალური ეთიკა შეისწავლის პიროვნების მორალურ ცხოვრებას; 2. პიროვნების, საზოგადოებრივი ან პროფესიული ჯგუფის ზნეობრივი ნორმების სისტემა. მაგ. საექიმო ეთიკა; 3. ბიოსამედიცინო ეთიკა, ბიოეთიკა - დისციპლინათაშორისი კვლევის დარგი, რომე-

ლიც წარმოიშვა მედიცინაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის შედეგად. ბიოეთიკის საგანს წარმოადგენს ექიმისა და პაციენტის ურთიერთობების, ჯანდაცვის სფეროში სოციალური პოლიტიკის, ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციის, მშობიარობის ახალი ტექნოლოგიებისა და ა.შ. ეთიკური პრობლემები”. „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ (1989წ. გამოცემა) მიხედვით ეთიკა არის 1.ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის- როგორც საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმის- შესახებ. მაგ; ჰეგელის ეთიკა. მატერიალისტური ეთიკა; 2. რომელიმე კლასის, გარკვეული საზოგადოებრივი წრის, პროფესიის წარმომადგენელთა ყოფაქცევის ნორმები, მორალი. მაგ; ექიმის ეთიკა. მეცნიერული ეთიკა”. ჟურნალისტიკის მკვლევარები მსგავსი საქმიანობის საწყის ეტაპად მიიჩნევენ XVII საუკუნეს, როდესაც ევროპელი დემოკრატი მწერლები და ლიტერატორები ასევე მსჯელობდნენ ლიტერატურულ ასპარეზზე არსებულ პრობლემატიკაზე, როდესაც თავისუფალი სიტყვა თანაბრად იყო მიუღებელი ძალმომრეობასა და სისასტიკეზე დამყარებული რეჟიმებისათვის და გზა ელობობოდა აზრის თავისუფლად გადაადგილებასა და მოძრაობას ცივილიზაციის გზაზე მდგარი ქვეყნების მცხოვრებთათვის. საწყის ეტაპზე შექმნილი და მიღებული ეთიკის ამ თავისებური კოდექსის შესაბამისად ჟურნალისტი არ იქნება საზოგადოების მხრიდან დაფასებული, არც ავტორიტეტული და რეიტინგული, თუ ის ამახინჯებს მოვლენათა ჭეშმარიტ სურათს, იძლევა ფაქტების არასწორ ინტერპრეტირებას, აქცენტი მხოლოდ ნეგატივზე აქვს გადატანილი, იყენებს მკვეთრ გამოთქმებს ვინმეს მიმართ და სათანადო საფუძვლის გარეშე შეურაცყოფს პიროვნების ღირსებასა და პატივს, დაბავს ვითარებას და ხელს უწ-

ყოფს საზოგადოებაში ნეგატიური შეხედულებების, დამანგრეველი იდეების გავრცელებას.

დრო მიდიოდა. თანდათანობით ზუსტდებოდა და იხვენებოდა ჟურნალისტური კრიტიერიუმები, რასაც შედეგად პროფესიონალიზმის ნიშნულის მატებაც ფეხდაფეხ ჰყვებოდა ხოლმე. ეშხსა და ლაზათს იძენდა ასევე თავისუფლებასა და ცნობისმოყვარეობას ატაცებული ჟურნალისტიკა და სამწუხაროდ ძალიან ბევრმა ჟურნალისტმა, ვისაც სწორედ მისი დაცვა და გაფრთხილება ესაჭიროებოდა, სწორედ მათ დაიწყეს იმ ნორმებიდან და ქცევის წესებიდან გადახვევა, რაც ადრე სხვა ბევრმა მათმა მსგავსმა ჟურნალისტმა წესად და ნორმად მიიღო და დაამკვიდრა. ჟურნალისტების მხრიდან მრავალჯერ დაარღვეული ეთიკური წესების უგულვებლყოფამ მეოცე საუკუნის დასასრულისათვის გამოიწვია მასობრივი აუდიტორიის ნდობის მნიშვნელოვანი დეფიციტი ჟურნალისტური სიტყვისადმი. საზოგადოება რატომღაც ძველებურად აღარ იჯერებდა და აღარც ენდობოდა თანამედროვე ახალი ამბების ურთულესი სოციალური კატაკლიზმებისა და პოლიტიკური დაძაბულობის ფანჯარაში შეეჭვრიტა, რადგან იქ სინათლისა და სიმართლის შუქის პანანინა სხივსაც კი ვერ შეამჩნევდა. სამწუხაროდ, ამგვარმა დამოკიდებულებამ აჩვენა, თუ რამდენად სახიფათო იარაღია ინფორმაცია და როგორ შეუძლია მას მანიპულირება საზოგადოებრივი ცნობიერებით.

თანდათანობით საზოგადოებამ დაინახა და გაიგო, რომ მასმედია მთელ რიგ ქვეყნებში სამწუხაროდ გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, საშუალება, რითაც პრივილეგიებული ფენები საკუთარ შეხედულებებსა და ინტერესებს იცავენ. მსგავსი მიდგომები შეინიშნებოდა და იკვეთებოდა როგორც ბექდურ, ასევე სამაუნწყებლო მედიასაშუალებებში. ადამიანები ამჩნევდნენ, რომ ხში-

რად სრულიად უსაფუძვლოდ იწყებოდა „მტრის ხატის“ შექმნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეული ჟურნალისტების მხრიდან გამოიძებნა კონკრეტული ბრალდებები იმ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის ჯერ შესაქმნელად, მერე ამავე სიტუაციის გადასაფარად, რომელშიც აღმოჩნდნენ მთელი რიგი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა მრავალი ადამიანის ცნობიერებაზე- განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, კულტურული ფასეულობებისა... ჩვენს შემთხვევაში საქართველო არის თავისებურად უნიკალური სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს მრავალი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი და ასეთ დროს ძალზე მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებმა გამოავლინონ ობიექტურობისა და ტოლერანტობის მაქსიმუმი თავიანთ პუბლიკაციებში, რომლებიც შეეხება ნაციონალურ საკითხებს...

რეალობა აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით კვლავაც ბევრია გასაკეთებელი და სამუშაო. მედიაგავლენები ტექნიკურ პროგრესთან ერთად ცვლილებებს კვლავაც განიცდის და რაც უფრო წინ მივდივართ, პრობლემები მატულობს, ვიდრე კლებულობს. ამიტომაც მთელ რიგ ქვეყნებში კვლავაც მიმდინარეობს შემუშავება იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც დააზუსტებენ და განსაზღვრავენ ჟურნალისტის ზემოქმედებისა და გავლენის სფეროებსა და შესაძლებლობებს. თუმცა ამ მხრივ კვლავაც აქტიურობს და მოწინავე პოზიციაზე იმყოფება სოციალური პასუხისმგებლობის თეორია, რომლის შესაბამისად ზოგადად, არა მხოლოდ მედია აკონტროლებს სახელისუფლებო სტრუქტურებს, რათა გაარკვიოს თუ რა არის მათ საქმიანობაში პოზიტიური-სარგებლის მომტანი ქვეყნისთვის, ე.ი. კონკრეტული პიროვნებისთვის და რას მოაქვს საზოგადოებისათ-

ვის ზიანი, არამედ თავის მხვრივ თვითონ მედიასაშუალებას უნდა აკონტროლებდეს საზოგადოება, უბრალო მკითხველები, მსმენელები, მაყურებლები და თვით პუბლიკაციებში, სიუჟეტებში წარმოდგენილი პირები, რომლებიც სწორედ უნდა განსაზღვრავდნენ და იძლეოდნენ დაკვეთებს იგივე მედიამესვეურებისათვის.

განვითარებული დემოკრატიის პირობებში, სადაც სიტყვის თავისუფლება მაქსიმალურად დაცულია, ყველამ კარგად იცის, როგორ და რანაირად უნდა მოიქცეს, რაზე მოეთხოვება პასუხი და რისი უფლება-მოვალეობანი აკისრია. ამგვარი პასუხისმგებლობის მეტი წილი სწორედ ჟურნალისტიკასა და ჟურნალისტებზე უნდა მოდიოდეს და უპირველეს ყოვლისა, ობიექტურად სწორედ ჟურნალისტიკა უნდა შეაფასოს არსებული რეალობა, გააკეთოს ლოგიკური დასკვნები და აწონ-დანონოს ის ეფექტი, რომელსაც მის მიერ მიწოდებული მასალა გამოიწვევს. ერთი მხვრივ, ჟურნალისტის ამოცანაა—მიიტანოს ინფორმაცია მომხმარებლამდე, მეორე მხვრივ, ის პასუხისმგებელია იმაზე, თუ რას გამოიწვევს წარმოდგენილი ფაქტები. ჟურნალისტური ეთიკის ერთ-ერთი მთავარი წესის მიხედვით, არ შეიძლება პიროვნების მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევა, არ შეიძლება ადამიანების პირად ცხოვრებაში და მათ პროფესიულ საიდუმლოებაში შეჭრა მათი ცნობისა და თანხმობის გარეშე. არის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული შემთხვევები—ჟურნალისტური გამოძიებები, რომელთა ვალდებულებაა გამოავლინონ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური მოვლენების მიზეზები. მაგრამ მთლიანობაში, უნდა გვახსოვდეს, უკეთესია მსხვერპლად გავიღოთ სენსაციური ფაქტი, ვიდრე ზიანი მივაყენოთ და შეურაცხყოთ ადამიანის პირადი ღირსება. სამწუხაროდ კვლავაც ხშირია ჟურნალისტების არაპროფესიონალუ-

რი და არაადექვატური ქცევები, პროფესიული დონის დამამდაბლებელი და შეუფერებელი დამოკიდებულებები როგორც კონკრეტულ ფაქტებთან და მოვლენებთან, ასევე საზოგადოებასთან მიმართებაში. ხშირ შემთხვევაში, მსგავსი პრობლემები გამომწვეულია მასობრივი აუდიტორიის რაოდენობრივ და თვისობრივ ზრდაზე, რომელშიც ყველა საშუალება გამოიყენება, ოღონდ გადარჩე, რადგანაც ადაპტირებადი სამყარო თანაბრად ისრუტავს და იტევს ყველაფერს, ხოლო მისი გადამუშავების პროცესი არავის აღარ ადარდებს; დრო უკან არ იხედება, ამიტომაც პრობლემებსაც წარსულში ტოვებს და ეს თავსატეხი იმ თაობის ამოსახსნელ ამოცანად რჩება, ვინც სწორედ წარსულიდან მოდის. ეთიკური ასპექტის საფრთხე ხშირად მიტომაც უკავშირდება სწორედ ინფორმაციის მოპოვების არაკორექტულ ქცევებს, მიუღებელ საშუალებებს, სხარტი გამონათქვამებით გატაცებას, სენსაციისაკენ მისწრაფებას. ეს ყოველივე წარსულს ადარდებს მხოლოდ, რადგან წარსულშივე რჩება როგორც წადილისა და სურვილის განუხორციელებელი ნადავლი. თანამედროვე საზოგადოებაში გართობა და „პოპულარული“ მასმედია ახლა უფრო საჭირო გახდა, ვიდრე ოდესმე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ამ ფუნქციასაც უმთავრესად ისევ მედია ასრულებს. მომხმარებელი მედიისგან ამ მიმართულებით გააქტიურებასაც კი უფრო მოელის, ვიდრე სხვა რამეს. დღეისათვის ერთ-ერთი უდიდესი როლი ამ მიმართულებით მოდის სწორედ რეკლამაზე. გაყიდვა მედია რეკლამის გავრცელების მთავარი საშუალებაა. აქედან გამომდინარე, მედია საშუალებების მესაკუთრეთა უმთავრესი მიზანი ძალიან ხშირად არის საზოგადოების ცდუნება და შემდეგ რეკლამის განმთავსებლებისათვის ფართის ან დროის მიყიდვა. ისინი ცდილობენ რეკლამისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. ზოგიერთს რეკლამა

პოზიტიურ სამსახურს უწევს: უზრუნველყოფს ინფორმაციით, მოხმარებისა და კონკურენციის სტიმულირების გზით ინვესტორებს ფასების (მედიის ფასების ჩათვლით) ვარდნას. კრიტიკოსები კი პირიქით თვლიან, რომ რეკლამირება ინვესტორებს ადამიანებით მანიპულირებას, გარემოს დაბინძურებასა და სახსრების ფლანგვას.

ამდენად თავიდანვე ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად უნდა გავმიჯნოთ მედია, რომელიც ინფორმირებაზეა ორიენტირებული და მედია, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე აკეთებს ფოკუსირებას. ეთიკური ნორმების დაცვა, პირველ რიგში, ნებისმიერი მედიასაშუალებების ვალია, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მედიის მიუკერძოებლობას. არსებობს მოსაზრება, რომ თვალსაზრისს, ეთიკური იქნება ის თუ პოლიტიკური, იდეოლოგიური საფუძვლის გამო შეუძლია დამახინჯებულად წარმოაჩინოს რეალობა, ბუნდოვნად გადმოსცეს იდეები, იყოს უსამართლო ან შეურაცმყოფელიც კი. ამიტომაც, ეთიკური ნორმა არ უნდა ეფუძნებოდეს მცდარ ფაქტებს, ან აღვივებდეს რასობრივ სიძულვილს და ძალადობას. სამწუხაროდ, დღეისათვის ჟურნალისტიკასა და გართობას შორის ზღვარი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება. შესაბამისად პოპულარული პრესის გადახრა გასართობისაკენ და კომერციალიზაციისაკენ მათ უმეტესობას „შოუ-ბიზნესად“ ქცევის სურვილს უმძაფრებს. ამიტომაცაა ახალი ამბები ხშირად საინტერესო, მაგრამ არააქტუალური და პირიქით.

საერთოდ, მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია საზოგადოებაში ცოდნისა და განათლების უზრუნველყოფაცაა. ის ამ მხრივ შესანიშნავ სამსახურს უწევს საზოგადოებას. მაგრამ არ უნდა მოვახდინოთ მათი ერთმანეთში აღრევა, მით უფრო, რომ მათი მიზნებიც განსხვავ-

ვებულის: ერთის მხრივ, ზუსტი და საჭირო ახალი ამბებით უზრუნველყოფა და მეორეს მხრივ, გართობა, რომელიც არც ცალკეულ ინდივიდებს ვნებს და არც საზოგადოებას. ნებისმიერ შემთხვევაში სიტყვისა და პრესის თავისუფლება მხოლოდ მედიის პრეროგატივა არ არის: ეს უფლება ზოგადად საზოგადოებას, ხალხს, ადამიანებს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა ყველას კარგად ესმის, რომ მედია გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე და მისით მანიპულირებს“(2-1). ეთიკურ კრიტერიუმებსა და მედიაგავლენებზე საუბრისას არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ სფეროსთან და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ერთობ მნიშვნელოვანია. კანონმდებლობის საფუძველზე მედიის პრობლემების გადანყვეტა ყოველთვის ხიფათს შეიცავს. ამას მრავალი მიზეზი აქვს: კანონი მხოლოდ იმდენადაა ეფექტური, რამდენადაც ამის საშუალებას სოციალურ-პოლიტიკური გარემო იძლევა. ამა თუ იმ მთავრობამ შეიძლება, კონკრეტული საკანონმდებლო ნორმის არაერთგვაროვანი ინტერპრეტირება მოახდინოს მედიის შესუსტების ან ჩაჩუმების მიზნით. კანონს, რომელიც ან ზედმეტად გაუგებარია ან ზედმეტად ზუსტი, გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე სიკეთის. „ზოგიერთი ჟურნალისტისათვის ტერმინებს „მორალი“ და „ეთიკა“ არასასიამოვნო განცდა აქვთ. ეს ტერმინები მათში ქადაგების, ფილოსოფიის გაკვეთილების და ტოტალიტარული რეჟიმების „მორალური წესების“ ასოციაციებს აღძრავს. „მორალი“ და „ეთიკა“ ძირითადად არარელევანტურად გამოიყურება ისეთ სამყაროში, სადაც უმკაცრესი კონკურენციის პირობებში მედია თანდათან უფრო კომერციული ხდება“(2-2). მედია თანამედროვე საზოგადოების ძალზედ რთული სოციალური სისტემის ნაწილია. მთლიანობაში ის უზარმაზარი ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად მოქმედებს. მისი ყოველი ელემენტი



მენტი სხვა ელემენტებზეა დამოკიდებული. ერთი ქვესისტემის ნაკლოვანებამ შესაძლოა, გამოიწვიოს მთელი მექანიზმის სათანადო ფუნქციონირების მოშლა. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები მედიის სამმაგი ბუნება, განსაკუთრებით ეთიკასთან მიმართებაში. ის, რომ მედია ერთდროულად წარმოადგენს წარმოებას, საზოგადოებრივ სამსახურსა და პოლიტიკურ ინსტიტუტს, მას ორაზროვან სტატუსს ანიჭებს. ეს ფაქტორი კი მედიასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების საფუძველია.

მასობრივი კომუნიკაციის შედეგად პირველად ისტორიაში შესაძლებელია ყველა მოქალაქემ მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ქვეყნის მართვაში. ეს ყოველივე შესაძლებელი გახდა სწორედ მედიის ინდუსტრიული სტრუქტურის განვითარების შედეგად. მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლეთის ქვეყნებში უმსხვილესი კაპიტალდაბანდებების შედეგად მედიის დიდი ნაწილი მსხვილი ბიზნესის ხელში მოექცა, რომლის პირდაპირ მიზანს საზოგადოებრივი სამსახური არ წარმოადგენს. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის მილტონ ფრიდმანის აზრით, „ბიზნესის უპირველესი და ერთადერთი სოციალური მოვალეობა მოგების გაზრდაა“ (3-1), იგულისხმება მედია ინდუსტრიის ხარჯების რეგულარული ზრდა (მედიის წარმომადგენელთა ხელფასების მატება და ტექნიკური პროგრესის შესაბამისად გაზრდილი ინვესტიციები). ცხადია, რაც უფრო მეტი ფინანსური რესურსი აქვს მედიას, მით უკეთეს სამსახურს შესთავაზებს საზოგადოებას, მაგრამ საზოგადოებრივ ინტერესებს შეიძლება საფრთხე დაემუქროს, როცა მედიას კონგლომერატი შთანთქავს. უზარმაზარი პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრირება მცირერიცხოვან ადამიანთა ხელში მთავარ მიზნად საზოგადოების ინფორმირებას არ დაისახავს. ადამიანები, რომლებიც არავის წინაშე ანგარიშვალდებულებას არ გრძნობენ, ფლობენ ძა-

ლაუფლებას გადაწყვიტონ, თუ რა ხდება მსოფლიოში, რადგან შეუძლიათ განსაზღვრონ, შესაძლოა თუ არა ამა თუ იმ მოვლენის მედიაში გაშუქება.

უფლება და მოვალეობა ერთგვარად განუყოფელი ცნებებია, მაგრამ ადამიანებს რატომღაც უხარიათ მოითხოვონ უფლებები და არაფერი თქვან მოვალეობებზე. მედია ეთიკის მთავარი ინტერესი კი სწორედ მოვალეობებს უკავშირდება. მას კარგად ესმის, რომ თავისუფლება და პასუხისმგებლობა უდიდესი ფასეულობებია, რომლებიც უერთმანეთოდ ფაქტიურად არ არსებობენ. ამდენად, ჟურნალისტიკის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია. იგი წარმოადგენს საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბების მოპოვების, ცალკეული სპეციფიკური ჟურნალისტური არხის სინამდვილეში გადაწყვეტილ, დამუშავებულ და მზამზარეული სახით მიწოდებულ სინამდვილეს, რომელიც უმალ ექცევა საზოგადოების უდიდესი ნაწილის ყურადღების ქვეშ. იგივე საზოგადოება, ჟურნალისტური ინფორმაციიდან გამომდინარე, იქმნის გარკვეულ აზრს, შეხედულებასა თუ წარმოდგენას მისთვის საინტერესო თემაზე. ესე იგი, საქმე გვაქვს მეტად რთულ, წინააღმდეგობრივ პროცესთან ერთი მხვრივ იმის გამო, რომ მასობრივი აუდიტორია ღებულობს თავისსავე წიაღში არსებული ფაქტებისა და მოვლენების ირგვლივ კარგად მოდელირებულ მასალას, შესაბამისი ჟანრობრივი სამოსელით და მეორე მხვრივ, იგივე აუდიტორიას არ ძალუძს ამავე ინფორმაციის გარეშე. რაც უფრო ტევადია ინფორმაციული თვალსაზრისით ტექსტი, იმდენად და იმის შესაბამისია აუდიტორიის ადექვატურობის ხარისხი. ინტერესი და მისწრაფება ახალი ინფორმაციისადმი ნებისმიერი დონის აუდიტორიისათვის განსაკუთრებულია. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ასაკს ზღვარი არა

აქვს. ოღონდაც, ასეთ დროს მნიშვნელობა ნამდვილად ენიჭება ასაკის მიხედვით ინტერესთა დიფერენცირებას. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რა ინვევს ადამიანის ამგვარ დაინტერესებას ახალი ინფორმაციით? რა მაგნიტური ძალა გააჩნია სიახლეს, რომლის განცდის წყურვილი კაცობრიობას დაარსებიდან დღემდე უფრო და უფრო მეტად იზიდავს? სწრაფვა სიახლისადმი, როგორც ჩანს, ადამიანს გენეტიკურად მოსდგამს. ყოველი ახალი დღის გათენება კონკრეტული პირისათვის სიახლისა და სინათლის შეგრძნების მძაფრი წყურვილით ხასიათდება. ასე გამოდის, ყოველ ახალ მოვლენას, ყოველ ახალ აზრს, პიროვნება საკუთარ მსოფლმხედველობრივ ცვლილებად, საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების ზრდად, პირად ცხოვრებაში წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, ან თუნდაც საკუთარ კეთილდღეობად აღიქვამს, მეგობრებთან და ნაცნობებთან ურთიერთობის ახალ, მაღალ საფეხურად განსაზღვრავს, ან პირადი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას უკავშირებს? ინფორმირებული, სიახლეებს დაუფლებული ადამიანი საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობს, „გახსნილი“ და კომუნიკაბელურია. ადვილად ძლევს ირგვლივ არსებულ წინააღმდეგობებს, ერთი სიტყვით, ინფორმაციით აღჭურვილი ადამიანი ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში ჟურნალისტის პოზიციას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც, პასუხისმგებლობა ჟურნალისტისა გაცილებით მაღალია. მას უნდა ესმოდეს, რომ მოპოვებული ინფორმაცია სიახლესთან ერთად სხვა აუცილებელ ჟურნალისტურ ელემენტებსაც უნდა მოიცავდეს, რომ ტენდენციური დამოკიდებულება საზოგადოებაში ზრდის მოვლენისა თუ ფაქტის არასწორად გაგების ალბათობას და დაპირისპირებისა თუ

ექვანიანობის საფუძველს. ამის ნათელ დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ XXI- საუკუნის დამდეგისათვის ჟურნალისტების მისამართით საზოგადოების მხრიდან ერთგვარი იმედგაცრუება, რაც გამოწვეულია მათ მიერ საზოგადოებისათვის არასწორი, ტენდენციური, გადაუმონწმელებელი ინფორმაციის მიწოდებით. ამდენად არჩევანი უალტერნატივოა – ობიექტური ინფორმაცია, მაღალპროფესიონალურ დონეზე დამუშავებული, ბალანსის სრული დაცვით, რადგან გარკვეული წლების (იქნებ საუკუნეებისაც) შემდგომ მომავალი თაობები წარსულის გაანალიზებისას არ იქნენ შეცდომაში შეყვანილი და საშვილიშვილო ცოდვის ჩამდენი არ აღმოჩნდეს ჟურნალისტი. თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა საგრძნობლად შეცვალა დამოკიდებულება ჟურნალისტებისა და ზოგადად ჟურნალისტიკისადმი. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია იმ ინფორმაციული ბუმით, რომელიც დღეს საზოგადოების წინაშე არსებობს. ცოდვა გამხელილი სჯობს, აღინიშნოს, რომ არაპროფესიონალიზმის მოძალებამ თვით ჟურნალისტურ წრეებშიც გააჩინა ეჭვი და უნდობლობა, დაპირისპირება და გაუგებრობა რიგი ინფორმაციის გაგებასა თუ ინტერპრეტირებაში, ამან კი გაცილებით გაართულა საზოგადოების დამოკიდებულება და განწყობა ამავე პროფესიისადმი.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპულ სამაუწყებლო სივრცეში სახელმწიფო მონოპოლიისა და კონტროლის დასასრულმა ბებერ კონტინენტზე დემოკრატიის დონე საგრძნობლად გააუმჯობესა და მედიის განვითარებასაც შეუწყო ხელი. მაგრამ მე-20 საუკუნის მიწურულს მედიის მზარდი კომერციალიზაციისა და საკუთრების კონცენტრაციის თანაარსებობა მედიის პლურალიზმთან სათუო გახდა. კონგლომერაცია არასახარბიელო კონტექსტია მედიისათვის აუცილებელი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. მედიის მიზანი ვერ

იქნება მხოლოდ ფულის კეთება, ისევე როგორც, მხოლოდ თავისუფლება: თავისუფლება აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. „მედიის ამოცანაა, კარგად ემსახუროს ყველა მოქალაქეს“(4-1). მიუხედავად იმისა, რომ ყველგან, მათ შორის დასავლეთში, კერძო მედია დიდი ხანია პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობს, იგი ხშირად საკმაოდ ცუდ სერვისს სთავაზობს საზოგადოებას. ჟურნალისტების მხრიდან კი პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გადახვევა სწორედაც საფუძველია ასეთი გაუგებრობების გაჩენისა. როდესაც ჟურნალისტი საკუთარი არაპროფესიონალიზმის ხარჯზე ცდილობს ყურადღების მიპყრობას და არ ერიდება ისეთი მასალების გამოქვეყნებას, რომელიც საჭიროებს გადამონმშებას, დაზუსტებას, მიუკერძოებლობას, ბალანსს, პროფესიონალი ექსპერტების შეფასებებებს. დასწრების პრინციპით მოქმედი ჟურნალისტი არაფრად დაგიდევს ეთიკურ ნორმებს და აქვეყნებს ისეთი ხასიათისა თუ შინაარსის შემცველ მასალას, რომელიც ადვილად იჭრება სენსაციას გადევნებული საზოგადოების ფსიქიკაში. დემოკრატიულ ინსტიტუტებს შორის ჟურნალისტიკა განსაკუთრებულია. მის სტატუსს არ განსაზღვრავს სოციალური კონტრასტი. ამიტომაც, მედიას ბალანსისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის სჭირდება უპირველესი მოვალეობის შესრულება: უზრუნველყოს კარგი საზოგადოებრივი ადვოკატირება. გავრცელებულია აზრი, თითქოს ჟურნალისტებს კრიტიკული ხასიათის შემცველი სტატიების წერა უფრო ეხერხებათ, ვიდრე დადებითზე ყურადღების გამახვილება. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რეალობაა. დავიჯეროთ, რომ საზოგადოების ყურადღება სწორედ ისეთი შინაარსის მქონე მასალებზე მახვილდება, როდესაც აქცენტი კრიტიკაზე კეთდება? რით აიხსნება ეს? ადამიანის დაუოკებე-

ლი ინტერესი სიახლისადმი კრიტიკაში პოულობს გაგრძელებას. იქ, სადაც კრიტიკაა, მოვლენები მეტ-ნაკლებად დინამიკაში ვითარდება, პროცესი მიმდინარეობს, ავტორი მკითხველს განაწყობს ისე, რომ წერილის წაკითხვის შემდეგ იგივე მოვლენასა თუ ფაქტზე რაიმე სიახლეს კვლავაც ელოდება. სწორედ მოვლენებსა და ფაქტებზე-სიახლეებზე თვალყურის მიდევნების სურვილი საჭიროებს დინამიკურ აზროვნებას, რომელიც თავის მხვრივ განაპირობებს მეტი ინტერესის წარმოშობას საზოგადოებაში. დადებით ტენდენციებზე დაწერილ მასალას აუდიტორია აღიქვამს, როგორც უკვე გასულ მოვლენასა თუ ფაქტს. ეს მისთვის დინამიკაში შეთავაზებული სიახლე აღარაა. ასეთი ფაქტი თუ მოვლენა უკვე იყო, მოხდა, და ეს კარგია, მაგრამ დასრულდა. მომხდარისადმი ინტერესი ნაკლებად საინტერესოა, შესაბამისად ნაკლებეფექტურიც. კრიტიკული ხასიათის პუბლიკაციებისა თუ სიუჟეტების შემთხვევაში საზოგადოება ელოდება კვლავაც „ახალ“ პასუხს ან კრიტიკის ობიექტის მხრიდან, ან სულაც იგივე ჟურნალისტის მხრიდან. სწორედ „მოლოდინის რეჟიმში“ მყოფი საზოგადოებრივი მუხტი არის თავიდათავი ინფორმაციის ხელმეორედ მიღების მძაფრი წყურვილისა. თანამედროვე ჟურნალისტურ საქმიანობაში ორი მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება: ერთი, როდესაც ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობაა გააშუქოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და მეორე, მიწოდებული ინფორმაცია ვნებს სახელმწიფო ინტერესს, ან ლახავს პიროვნების პირად უფლებასა და თავისუფლებას. როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი? რა უფრო მნიშვნელოვანია მისთვის? ეზიაროს აუდიტორია სიახლეს და გასცეს სახელმწიფოებრივად საპასუხისმგებლო, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც საფრთხის შემცველია და საზიანო

ქვეყნის ინტერესებისა, ან შეურაცმყოფელია და შემლახველი პიროვნების ღირსებისა და თავისუფლებისა? თუ დაივინყოს „პროფესიული ვალი“? ჟურნალისტიკა „მეოთხე ხელისუფლებაა“, გვესმის ასეთი გამოთქმა. ეს ნიშნავს ჟურნალისტის, ჟურნალისტიკის გაზრდილ როლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ჟურნალისტები ავრცელებენ, ასაჯაროებენ ინფორმაციას პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე, მწერლობასა და მუსიკაზე, მედიცინასა და სპორტზე და ყველა იმ მოვლენასა თუ ფაქტზე, რომელიც ჩვენი ცხოვრების თანამდევია. ვინ ჩაახედებს საზოგადოების თითოეულ წევრს ახალ მოვლენებსა და ამბებში, თუ არა მედია? მაგრამ მედიის უვარგისობა მათაც კი ვნებს, ვისაც საინფორმაციო საშუალებებზე პასუხისმგებლობა აკისრია. მედიამფლობელები თითქმის ყველგან უჩივიან აუდიტორიის რაოდენობის შემცირებას. რეკლამის განმთავსებლებიც სამართლიანად გამოთქვამენ წუხილს იმ მედია საშუალებების სანდობასთან დაკავშირებით, სადაც ისინი განათავსებენ რეკლამას. მედიის მზარდი ორიენტაცია მოგებაზე ხელს უწყობს ახალი ამბების დამახინჯებასა და ვულგარული გასართობის სიჭარბეს, ან ორივეს აღრევას. ესე იგი, რა გამოდის? ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტების გარეშე ყოველგვარი მასობრივი „სიახლე“ მიუწვდომელია. მასობრივი სიახლის წვდომის სურვილი კი არის საზოგადოებრივი მოთხოვნა. მედიაპუბლიკაციები ადამიანურ ურთიერთობებს, მათ ცხოვრებისეულ წარმატებებსა თუ წარუმატებლობებს, ნეგატივსა თუ პოზიტივს, ერთი სიტყვით ყველაფერს ერთად აღებულს, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით, მოიცავს. ცხოვრება კი ყოვლისმომცველი ფენომენია, სადაც მედიის მიერ შექმნილ საზოგადოებრივ აზრს დი-

დი წონა აქვს. ჟურნალისტიკა სწორედ საზოგადოებრივი აზრის საშუალებით აღწევს მეოთხე ხელისუფლების შკალამდე და მის იქით მისი უფლებებიც იზღუდება...

იყო დრო, როდესაც არ ჰქონდა ფასი ჟურნალისტურ საქმიანობას, როდესაც საზოგადოებრივი აზრი არ იყო გადამწყვეტი, როდესაც „დაქირავებული მჯღაბნელების“ მთელი კანტორა გუნდრუკის კმევით იყო დაკავებული. დღესდღეობით მედია იმდენად სრულყოფილი და ყოვლისმომცველი გახდა, მის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საზოგადოება. ჟურნალისტიკა თუ კი ქმნის და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, მისივე საშუალებით მართავს საზოგადოებას ანუ უყალიბებს მათ ძირითად შეხედულებასა და წარმოდგენას, ესეიგი თავადაა ხელისუფლებაზე ზემოქმედებისა და ზეგავლენის მომხდენიც. აი, რატომ არის დღეს ასე მნიშვნელოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროფესიული დონის ამაღლება და ჟურნალისტთა ახალი თაობის აღზრდა, რომელთა საქმიანობის პრინციპები სიმართლე და ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და ბალანსი, მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობაა ყოველი სიტყვისათვის. 21-ე საუკუნის მედიაინდუსტრიას კარგად ესმის, ცივილიზებული სამყაროს განვითარებასა და სრულყოფაში ძალიან ბევრია დამოკიდებული პროფესიონალი ჟურნალისტის პირად ნვლილზე და იმაზე, თუ როგორ წარმოვიდგენთ ჟურნალისტის პროფესიას. ჟურნალისტური პროფესიის სწორად არჩევა, ცხოვრებაში საიმედო გზის პოვნა გულისხმობს ჟურნალისტიკის აღმოცენების ისტორიაში ღრმად ჩახედვას, ცოდნას იმისას რა გზა განვლო დასაწყისიდან და განვითარების რა ეტაპზე იმყოფება დღეს... „ჟურნალისტიკა“ როგორც ცნება, პირველ რიგში გამოხატავს საზოგადო-



ებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ სახეს, სოციალური პრაქტიკის სფეროს, წარმოადგენს საზოგადოების განსაკუთრებულ სოციალურ ინსტიტუტს, რომელიც ორგანიზაციულად შედგება სხვადასხვა დანესებულებათა სისტემებისაგან და იგი არა მარტო მოღვაწეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახეა, არამედ ამასთანავე საინფორმაციო, იდეოლოგიური, ორგანიზაციული და შემოქმედებითი საქმიანობის სახეცაა”(5-1). ჟურნალისტიკა ნაწარმოებთა სისტემაა, რომლებიც მზადდება და სათანადო ფორმასღებულობს გარკვეული კანონების მიხედვით გაზეთებში, ჟურნალებში, რადიოში, ტელევიზიაში, ინტერნეტში. იგი იმ პროფესიათა ერთობაა, რაც საჭიროა მასობრივი აუდიტორიისათვის შესაბამისი აქტუალური ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და გავრცელებისათვის. ჟურნალისტიკა სპეციფიკური საშუალებების სისტემაა-პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, რომელთა გამოყენება ჟურნალისტური მიზნებით განსაზღვრავს შემოქმედებითი საქმიანობის თავისებურებებს. ჟურნალისტიკა მეცნიერებაა, რომლის მიზანია მასობრივი ინფორმაციის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა, მისი განზოგადება. ხოლო თეორიის ცოდნას კი დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფისათვის.

სიტყვა „ჟურნალისტიკა“ წარმოდგება ფრანგული სიტყვისაგან „ჟურნალი“, რაც გულისხმობს დღიურს, გაზეთს (ფრანგული „jour“ ნიშნავს დღეს) და იგი შეესაბამება ინგლისურ და გერმანულ ჟურნალისტიკას. სიტყვა „გაზეთის“ წარმოშობა დაკავშირებულია აღებ-მიცემობასთან, ფულთან, კერძოდ იტალიის ქალაქ ვენეციის წვრილი ვერცხლის ფულის „გაძეცას“ სახელწოდებასთან. ვაჭრები, ხელოსნები, რომელთაც აინტერესებდნენ სხვადასხვა ცნობები პოლიტიკურ თუ სხვადასხვა მოვლენებზე, ყიდულობდნენ სპეციალურ ფურცლებს, რომლებშიც ახალი

ამბები იყო გადმოცემული და ისინი იყიდებოდა წვრილ ფულზე – გაძეტაზე. პირველი გაზეთები ევროპაში გამოჩნდნენ 1609 წელს გერმანიაში, რამდენიმე წლის შემდეგ 1618-1619 წლებში გაზეთები გამოდის ამსტერდამში (ინგლისში). ფრანგულ ენაზე პირველი გაზეთი დაიბეჭდა 1620 წელს. რუსეთში პირველ გაზეთად აღიარებულია „კურანტი“, რომელსაც ხელნაწერის სახით უშვებდნენ, 1621 წლიდან, ნაბეჭდი გაზეთი პეტრე I-ის ბრძანებით გამოიცა „ვედომოსტის“ სახელწოდებით 1705 წელს (6-1). საქართველოში „პირველი ქართული გაზეთი თბილისში 1819 წლის 8 მარტს გამოიცა. მისი სახელწოდება იყო „საქართველოს გაზეთი“. იგი წარმოადგენდა ერთადერთ პერიოდულ გამოცემას მთელს კავკასიაში და ამდენად მისი როლი და მნიშვნელობაც თავიდანვე მეტად საპასუხისმგებლო და უდიდესი იყო”(7-1). ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს, ეროვნებებს, სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლა რამდენიმე საუკუნეს ითვლის. თავდაპირველად ეს ხდებოდა ჩირაღდნული სიგნალიზაციის, სასიგნალო დოლების, მძლეოსნების საშუალებით, შემდეგ საფოსტო მტრედების, საფოსტო დილიჟნების, იალქნიანი გემების მეშვეობით. ეს იყო კავშირგაბმულობის არასრულყოფილი საშუალებები. ახლა კავშირგაბმულობის ძველ სახეობათა ნაცვლად გაჩნდა სწრაფმოქმედი მავთულისა და უმავთულო ტელეგრაფი, კოსმოსური თანამგზავრები და თუ ძველად ახალი ამბების გადასაცემად არაერთი დღე იყო საჭირო, ახლა ამისათვის საკმარისია რამოდენიმე წამი. ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების დროს ბეჭდვითი სიტყვის სააგენტოები სარგებლობენ კავშირგაბმულობის ყველა საშუალებით: ფოსტით, ტელეგრაფით, ტელეფონით, რადიოთი, ტელევიზიით, ინტერნეტით. ამათგან სატელეფონო კავშირი ძირითადია. ...მრავალი საუკუნის წინათ წიგნებს წერდნენ პაპირუსზე, ქალაღზე, ტყავზე, ეტრატზე, არ-

ყის ხის ქერქსა და სხვა მასალაზე. ეს წესი ერთობ ზღუდავდა წიგნის გავრცელებას და გამრავლებას და ისინი დიდი იშვიათობა, უბრალო ადამიანისათვის მიუწვდომელი იყო.... XV საუკუნის პირველ ნახევარში გერმანელმა იოჰან გუტენბერგმა წიგნების დასაბეჭდად ცალკეული ლიტერები, (სტამბური ნადნობისაგან ჩამოსხმული მართკუთხა ძელაკი, რომლის ზედა ნაწილზე არის ასობგერის ან ნიშნის რელიეფური შებრუნებული გამოსახულება) გამოიყენა. ამან შესაძლებელი გახდა წიგნების შედარებით დიდი რაოდენობით გამოშვება. ეს არის სწორედ სიტყვა „პოლიგრაფიის“ მნიშვნელობა. იგი წარმოიშვა ბერძნული სიტყვებიდან „პოლი“—ბევრი და „გრაფო“—ვწერ. გუტენბერგი დასაწყისში პატარა ბროშურებსა და ფურცლებს ბეჭდავდა. მათგან უძველესს მკვლევარები 1445 წელს მიაკუთვნებენ. პირველი დიდი წიგნი—ბიბლია— გერმანელმა ოსტატმა მხოლოდ 1456 წელს დაამთავრა. წიგნის ბეჭდვის დაწყებიდან 1500 წლის 31 დეკემბრამდე გამოცემულ ყველა წიგნს ეწოდება ინკუნაბული (ლათინური სიტყვიდან „ინკუნაბულა“—აკვანში. ახლა ამ პერიოდს წიგნის ბეჭდვის აკვანი ეწოდება). რუსეთში პირველ ნაბეჭდ წიგნად ითვლება „აპოსტოლიც“, რომელიც მოსკოველმა პირველმბეჭდავებმა-ოსტატებმა ივანე ფეოდოროვმა და პეტრე მსტისლავეცმა გამოუშვეს (6-2). მზარდი ტექნიკური პროგრესი მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში უნიკალური რადიომიმდებისა და შემდგომ კი ტელევიზიის გამოგონებით დაგვირგვინდა და მსოფლიო მოიცვა სიხშირემ, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ინფორმაციის შეუფერხებელ და უფასო გადაადგილებას. გასული საუკუნის ბოლო მეოთხედის კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა საერთოდ შეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება სიახლეებისადმი და თუნდაც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისადმი. თანა-

მედროვე ადამიანს ახლა თავად შეუძლია ახალი სოციალური ქსელების მეშვეობით თავადვე ჩაერთოს მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებში, იყოს აქტიური მონაწილე იმ გლობალური და მასშტაბური გამონვევებისა, რაც უფრო და უფრო მეტად აწუხებს საზოგადოებას. ვერავინ იტყვის იმას, რომელი სჯობდა ან სჯობია: მასობრივი ჩართულობა და აქტიური მონაწილეობა ყველაფერში, მაშინ, როდესაც ვერაფერს ვერ ცვლი თუ ამ ყველაფრის ერთგვარად შორიდან ყურება, რომელიც შედარებით მშვიდი ცხოვრების საშუალებას მაინც მოგვცემდა? მეტად მტკივნეული შეკითხვებია და ამ კითხვებს ალბათ მომავალი გასცემს სამართლიან პასუხს.

ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა ყოველივე ნაწიხი და მოსმენილი დაიმახსოვროს, აღბეჭდოს და გადასცეს მეორე ადამიანს. ეს თვისება შორეულ წარსულს უკავშირდება. არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანმა აზრის გადაცემის ბევრი საშუალება გამოიმუშავა, რომელთა შორის ხატოვან დამწერლობას პირველი ადგილი ეკუთვნის. მრავალმა საუკუნემ განვლო, ვიდრე ადამიანის აზრის გადაცემის სისტემა ამას მიაღწევდა. ეს იყო პირდაპირი გზა ანბანის შექმნის, ბეჭდვის გამოგონებისა და მოძრავი ლიტერების დამზადებისაკენ. როცა კულტურამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ხელნაწერი წიგნები აღარ აკმაყოფილებდა ადამიანს, დაიწყო ბეჭდვის საშუალებების ძიება და საუკუნეთა მანძილზე ამისათვის სხვადასხვა წესს იყენებდნენ. მოძრავი ლიტერების იდეა ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში ჩაისახა. წიგნის ოსტატები მწებარე თიხისაგან ძელაკებს ძერწავდნენ და წვეტიანი ჩხირით მათზე ასოს გამოსახულება გამოჰყავდათ. შემდეგ მათ ლუმელში გამონვაავდნენ და ისინი მაგრდებოდა. იმისათვის, რომ საბეჭდი ფორმები შეექმნათ, რკინის დაფას ფისის, სანთლისა და ქალღლის ნაცრის ნარევით დაფა-

რავდნენ და ზედ ლიტერებს აყენებდნენ. დღემდე შემონახულია ლითონის ლიტერებით დაბეჭდილი პირველი კორეული წიგნები. ამ წიგნებში არის 1403 წლის დამლევით დათარიღებული ბოლოსიტყვაობა, სადაც ნათქვამია: ხის დაფებით დაბეჭდილი წიგნები სშირად უნესივროა, და, გარდა ამისა, ამ წესით ძნელია ყველა არსებული წიგნის დაბეჭდვა. ამიტომ მე ვბრძანე (მეფე ტაი ტუნგმა), რომ ლიტერები ბრინჯაოსაგან დაემზადებინათ...” ლითონის ლიტერებს ევროპელებიც ხმარობდნენ (XIVსაუკუნე). შემორჩენილია პატარა წიგნი „კაცობრიობის ხსნის სარკე“, რომელიც თითქოს XVსაუკუნეში ჰოლანდიელმა ლორენც იანსენმა ტყვიის ლიტერებით დაბეჭდა. მაგრამ წიგნის გამომგონებლად გერმანელ იოანეს გუტენბერგს (1400-1468) თვლიან. მან ლითონის ლიტერები დაამზადა, მათგან საბეჭდი ფორმები შექმნა და წნეხის გამოყენებით ქალაქდზე ერთი ტიპის მრავალჯერი ანაბეჭდი მიიღო. ...ქართული მოძრავი ანბანი ლითონზე პირველად გაკეთდა და მხედრული ასოებით პირველი ქართული წიგნი 1629 წელს რომში დაიბეჭდა. ეს იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი (6-3). ამ დღიდან მოყოლებული, ქართული ანბანი შრიფტად იქცა. ახლა უკვე შრიფტი მარტო ასობგერას აღარ ნიშნავდა. ამ ცნებაში მოექცა ყველა ელემენტი, რომლებიც აუცილებელია მოძრავი ასოს შესაქმნელად. ამან კი მოითხოვა ახალი საშრიფტო მეურნეობის შექმნა. შრიფტი მნიგნობრობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ამიტომ გუტენბერგის შემდეგ მბეჭდავები ცდილობდნენ გაემრავალფეროვნებინათ შრიფტები და ამით წიგნი უფრო ლამაზი გაეხადათ. გუტენბერგის მონაფემ შეფერმა 1467 წელს ციცერონის წერილების გამოცემის დროს გამოიყენა 12 პუნქტიანი კეგელის შრიფტი. შემდგომში ამ შრიფტს ციცერო უწოდეს. დღეს გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების ასაწყობად და დასაბეჭ-

დად იყენებენ ზომითა და მოხაზულობით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ახალ-ახალ შრიფტებს. ისინი ძირითადად რთული შენადნობის-ჰარტისაგან არის ჩამოსხმული.

...ძნელი წარმოსადგენია წიგნი ან გაზეთი უქალაქოდ. მაგრამ ისტორია გვაუწყებს, რომ უქალაქო წიგნები იყო. წიგნი წარმოიშვა კაცობრიობის განვითარების ადრინდელ საფეხურებზე. მისი პირვანდელი სახე იყო ქვაზე, ხეზე, თიხის ნაკეთობებზე, ბრინჯაოზე, პალმის ფოთლებზე, ძვალსა, ტყავსა და სხვა მასალაზე შესრულებული წარწერები. ამგვარი ნიმუშები მრავლად მოიპოვება უძველესი კულტურის ქვეყნებში. მაგალითად, ეგვიპტეში, ნილოსის ნაპირზე, ფარაონ რამზეს მეორის ტაძრის ორ ვეებერთელა კედელზე ამოკვეთილია ყველაზე დიდი წიგნი მსოფლიოში. მისი „გვერდების სიგანე 40 მეტრს აღწევს. სამხედრო ტრიუმფების ეს უძველესი მატთანე 3000 წელიწადზე მეტია უძლებს დროსა და სტიქიის დამანგრეველ ძალას. ... მაგრამ ბუნება ასე ღმობიერი როდი ყოფილა ისტორიული ძეგლებისადმი. ერევნის „მატენადარანში“, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი საცავია მსოფლიოში, ვიტრინის მინის ქვეშ დევს ნაცრისფერი ქვა.

დაკვირვებისას მის ხეშემ ზედაპირს ეტყობა გაურკვეველი წარწერები. მათ შორის ზოგი სიტყვა უფრო მკაფიოა და შეიძლება ამოკითხვა. ეს ქვა ოდესღაც წიგნი ყოფილა. ვინ იცის რა უბედურება არ გადახდენია. მრავალი საუკუნის განმავლობაში იგი ღრმა გამოქვაბულში გდებულა. ნიადაგის წყალს, რომელიც გახსნილ მინერალებს შეიცავს, გაუჟღენთია მისი ეტრატის ფურცლები და წიგნი გაქვავებულა. მართალია მისი ნაკითხვა ახლა შეუძლებელია, მაგრამ ამ სახითაც ეს იშვიათი ძეგლი უაღრესად ძვირფასი მონაპოვარია კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

„მესოპოტამიაში არქეოლოგებმა გათხრების დროს იპოვნეს 22ათასი თიხის ფირფიტა მათ ზედაპირზე ამოკვეთილი ნიშნებით. ეს იყო მეფე აშურბანიპალის ცნობილი ბიბლიოთეკა. მასში ინახებოდა ბევრი „ნიგნი“, რომელთა ხნოვანება დაახლოებით 5 ათას წელიწადს ითვლის. თითოეული ნიგნი ასობით ასეთი ფირფიტისაგან შედგებოდა და ათობით კილოგრამს იწონიდა. აზიაში ყველაზე ძველი ნიგნი დაწერილია ლერწმის დაფაზე. მათ, ისევე როგორც თანამედროვე ნიგნების ფურცლებს, ერთმანეთთან აერთიანებდნენ. საამისოდ აბრეშუმის აბზინდს იყენებდნენ. მაგრამ ეს ნიგნებიც მძიმე და დიდი იყო. იმისთვის, რომ ასეთი ნიგნი სადმე თან წაეღოთ, სულ ცოტა ღონიერ ცხენებშებმული სამი ფორანი მაინც იყო საჭირო. ჩვენამდე მოაღწიეს ნიგნ-რულონების ერთეულმა ეგზემპლარებმა, რომლებსაც ძველ ეგვიპტეში პაპირუსისაგან ამზადებდნენ. კანგაცლილ პაპირუსებს თხელ ფირფიტებად ჭრიდნენ. შემდეგ ამ ფირფიტებს ერთმანეთზე აწებებდნენ, აშრობდნენ და აპრიალებდნენ. ფირფიტების დაწებების შედეგად იღებდნენ 20 მეტრამდე სიგრძის თხელ ღია ყავისფერ ფურცლებს. შავი საღებავით აჭრელებულ პაპირუსის ფურცლებს მრგვალ ჯოხზე რულონებად ახვევდნენ და ქსოვილის ან ტყავის ბუდეში ინახავდნენ“ (6-4), მოგვიანებით პაპირუსი შეცვალა ეტრატმა – წვრილფეხა შინაური ცხოველების –ცხვრის, თხის, ხბოს სპეციალურად გამოყვანილმა ტყავმა. მდიდრული გამოცემებისათვის ხშირად ეტრატს ყვითლად, მწვანედ, ცისფრად, მენამულ ფერად ღებავდნენ, რის შემდეგაც მასზე მეღნით, ვერცხლის ან ოქროს საღებავებით წერდნენ. ეტრატი გაცილებით უფრო ხანგამძლე იყო, ვიდრე მყიფე პაპირუსი, მაგრამ მისი დამზადება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მარტო ერთი ასეთი ნიგნის შესაქმნელად მთელი ფარის ტყავის გამოყ-

ვანა იყო საჭირო. ... ქვა და ძვალი, ხე და თიხა, არყის ხის ქერქი და ტყავი, ნამჯა და ჩალა—ბევრი რამ გამოსცადეს ადამიანებმა, ვიდრე წიგნებს ქალაქისაგან დაამზადებდნენ. ქალაქის გამოგონებამ, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის 93-98 წლებს მიეკუთვნება, გაამარტივა წიგნის დამზადება. მაგრამ ახალი სახეობის, უფრო მოსახერხებელი და იაფი მასალა, ძალზე ნელა ვრცელდებოდა. 650 წელს ქალაქით სარგებლობდნენ სამარყანდაში, 880 წელს—ბაღდადში, 1100 წელს—კაიროში. საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ქალაქის დამზადება XII-XIII საუკუნეებში დაიწყო. თუ აზიაში თავდაპირველად ქალაქს ლერწმისაგან ამზადებდნენ, ევროპის ქვეყნებში, სადაც ლერწამი არ ხარობდა, ამ მიზნისათვის ჩვარს იყენებდნენ. სპეციალურ ნისქვილში ჩვარს ჭრიდნენ, დოლაბებსა და სპეციალურ დანადგარებში (როდინებში) აქუცმაცებდნენ და წარმოქმნილი მასისაგან ქალაქს ამზადებდნენ. 1840 წელს საქსონელმა ფეიქარმა კელერმა აღმოაჩინა ხისაგან ქალაქის დამზადების წესი. ახლა ნედლეულის ნაკლებობა უკვე აღარ იყო, მისი მოპოვება შეიძლებოდა ყველგან, სადაც ტყე ხარობდა. პირველი ქალაქის მანქანა(რომელიც 1799 წელს ფრანგმა ლუი რობერტმა გამოიგონა), მექანიკოსმა დონკინმა მხოლოდ 1803 წელს ააგო ინგლისში, 1817 წელს ქალაქის მანქანა გაჩნდა რუსეთში, 1819 წელს კი ასეთი მანქანა გაჩნდა გერმანიაში, ამერიკაში კი 1827 წელს (6-5). ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა ცალკეულ მედიასაშუალებათა ამოცანები, მაგრამ ძირითადში უცვლელი რჩებოდა პრინციპები. სხვადასხვა მედიასაშუალებათა შემოქმედებითი საქმიანობანი ნათლად გამოკვეთს ჟურნალისტიკის მიზანსწრაფულობას ემსახუროს სიმართლეს, დაიცვას ობიექტურობა, პრინციპულობა და



საჯაროობა, რომლებიც შეადგენენ მტკიცე საძირკველს ჟურნალისტური საქმიანობის გზაზე.

თვალი გადავავლოთ რამოდენიმე თანამედროვე მედიის ტექნიკურ აღჭურვილობას და დავინახავთ: მობილური ტელეფონებს, ტელეკამერებს, ჩამწერ მონყობილობებს, კომპიუტერს, უსწრაფესი და ფაქტიურად უფასო სოციალური ქსელებით... დღეს უკვე უბრალო მობილური ტელეფონითაც შეიძლება ადამიანი ჟურნალისტი გახდეს: საინტერესო ინფორმაციას მოკლე ტექსტური შეტყობინებით აგზავნის, არ სჭირდება რედაქტორი, არც გამომცემელი... ხშირად ვამბობთ, საინფორმაციო ეპოქაში ვცხოვრობთ. თუ დავაკვირდებით, კაცობრიობა ყოველთვის ასეთ ეპოქაში ცხოვრობდა. მაგალითად, XVII საუკუნის საქართველოში საფიხვნოები არსებობდა, ასეთივე იყო პარიზში ადგილი, რომელსაც "კრაკოვის ხეს" ეძახდნენ. იქ უბრალო მოქალაქეები იკრიბებოდნენ და ერთმანეთს მეფეებზე, ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე ახალ ამბებს უცვლიდნენ. რა თქმა უნდა, ნაწილი ამ ამბებისა სიმართლეს შეესაბამებოდა, მაგრამ ისეთ რამეებსაც ამბობდნენ, რაც მათ არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, მაგალითად, თუ რა უთხრა წინა ღამით მეფემ დედოფალს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ადამიანები სწორედ ასეთ გადაუმოწმებელ და ცრუ ინფორმაციაზე დაყრდნობით იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ეს იმ ეპოქის შესაბამისი ქცევებისა თუ ინტელექტუალური შესაძლებლობების საუკეთესო გამოვლენა იყო. ამიტომაც, შესაბამისი ეპოქა შესაფერისი ინფორმაციულობით იყო ყოველთვის აღჭურვილი. კარგად თუ დავაკვირდებით, ზემონახსენები ეპოქა დიდად არ განსხვავდება თანამედროვეობისგან. დღეს ადამიანები არა რომელიმე კონკრეტულ ადგილას, არამედ სოციალურ ქსელებში იკრიბებიან, მობილური ტელეფონებით ავრცელებენ ინ-

ფორმაციას და გარკვეულ გადანყვეტილებებს იღებენ, ნაწილი ინფორმაციისა არის სანდო, ნაწილი - არა. ასეთი დაუჯერებელი და გადაუმონმებელი ინფორმაცია ვრცელდება ყველგან. შესაბამისად, ასეთ ტექნოლოგიურ და ინფორმაციულ ეპოქაშიც კი გადაუმონმებელი ინფორმაციის წილი ძალიან დიდია. საბოლოო ჯამში, ჟურნალისტიკის დონე საკმაოზე მაღალია, რადგან ხალხი მიხვდა, რომ ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია და მას ბევრი ბერკეტი აქვს სოციალური პროცესების კატალიზატორის ფუნქციის შესასრულებლად. მაგრამ პარადოქსულია, რომ ამავდროულად თანამედროვე ტექნოლოგიებმა ჟურნალისტიკა სწორედ იმ ეპოქას დაუბრუნა, რომელზეც უკვე გვექონდა საუბარი: მობილური ტელეფონით ჟურნალისტური საქმიანობის დაწყება არ გამორიცხავს საფრთხეს, რომ გადაუმონმებელი ინფორმაციის ზღვამ წაღვეოს საინფორმაციო სივრცე. ეს არის უზარმაზარი სოციალური და პოლიტიკური პრობლემა, რადგან ზუსტი, ობიექტური და სანდო ინფორმაციის გარეშე დემოკრატიის არსებობასა და განვითარებაზე საუბარიც ზედმეტია. ამიტომაც თანამედროვე ჟურნალისტურ განათლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება. ჟურნალისტებს აქვთ პასუხისმგებლობა არა მხოლოდ დაეუფლონ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას, არამედ მისცენ საზოგადოებას მიწოდებული ინფორმაციის გააზრების საშუალება, რადგან თანამედროვე ინფორმაციის თემატური მრავალფეროვნება არ იძლევა საშუალებას ადამიანები თავად ჩანვდნენ და გაერკვნენ რეალურ სინამდვილესა და სიტუაციებში და გამოიტანონ სწორი დასკვნები. პასუხისმგებლობა ჟურნალისტიკისა ძალიან დიდია, შესაძლოა განუსაზღვრელიც კი, ამიტომაც ყველა დამწყებ ჟურნალისტს კარგად უნდა ესმოდეს: შეიძლება გახდეს ჟურნალისტი, მაგრამ ყველა ნამდვილად ვერ გახდება კარგი ჟურნალისტი.

## ლიტერატურა:

1. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
2. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, თბ., 2004
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ.1989
4. მედიაეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები“, თბ.2004, გვ. 37, გვ. 38
5. *heconomic.wordpress.com*
6. A HISTORY OF NEWS< MITCELL STEPHENS, 2005, გვ.104
7. რ.სურგულაძე, ჟურნალისტიკამცოდნეობის საფუძვლები, თბ.1996, გვ.29
8. ჟურნალისტიკის ცნობარი, თბ.1975, გვ.78-80
9. ი. სანიკიძე, ქართული პერიოდული გამოცემები, ნაკვეთი-I, ბათუმი 2009, გვ. 7
10. ჟურნალისტიკის ცნობარი, თბ.1975, გვ.129, იქვე, გვ. 133, გვ.580

## IV

### ქურნალისტიკის ასახვის საგანი

თანამედროვე მასმედიის ასახვის საგანი მასშტაბურია და ყოვლისმომცველი. იგი გასცდა ტრადიციულ საზღვრებს და არის არა მხოლოდ საინტერესო, მიმზიდველ, მნიშვნელოვან, გამორჩეულ ამბავთ მაცნე და წარმომჩენი, არამედ გარკვეულწილად ერთგვარი ზღვარის დამდები საზოგადოებრივ სამართლიანობასა და უსამართლობას, სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და უპასუხისმგებლობას, პიროვნების უფლებას და მოვალეობას შორის.

ცხოვრების, არსებობისა და საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა კატეგორიებითა და ცნებებით გამდიდრებული ადამიანური სამყარო ურთიერთობათა გარკვეული დონეების საფუძველზე ქმნის და აყალიბებს ეპოქის მოთხოვნათა შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ფილოსოფიურ, ისტორიულ, ლიტერატურულ, რელიგიურ, ფსიქოლოგიურ და ა.შ. ღირებულებებს. ღირებულებათა საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრების თვალსაზრისით მასმედია გადამწყვეტ როლს ასრულებს, სადაც ინფორმაციას ძირითადი და მთავარი პასუხისმგებლობა აკისრია. ღირებულებები სწორედ ამა თუ იმ დონეზე მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად მკვიდრდება და ყალიბდება. სწორედ ინფორმაციის – ამ ძირითადი მამოძრავებელი ელემენტის – მასაზრდოებელი „თვალისჩინი“ – ასახვის საგანი არის უმნიშვნელოვანესი ორიენტირი თანამედროვე ქურნალისტიკაში, რომელიც სწორედ საზოგადოებრივი ინტერესის ასახვის საგანს წარმოადგენს და შესაბამისად კონკრეტული ფაქტის არსში ნვდომით გამოიხატება.

ამ მხრივ ინფორმაციამ კაცობრიობის განვითარების მესამე ათასწლეულის მიჯნაზე ახალი, ჯერარნახული მასშტაბები შეიძინა. ის ახლა ცდილობს გადამცემის, ინფორმატორის, მიმწოდებლის ფუნქცია ანალიტიკოსი მკვლევარის,

ნყარობით გაჯერებული დოკუმენტალისტის, სანდო და ობიექტური დამკვირვებლის, შეუმცდარი დასკვნების გამომტანით ჩაანაცვლოს. ამიტომაც ხშირად თანამედროვე ინფორმაციული ნაკადი რეალობას ისე ჭრის თვალს, როგორც ქათქათა თოვლზე ამომავალი დილის მზის სხივის ელვარება, ხანაც ისე იზიდავს მას, როგორც იმავე ქათქათა თოვლზე ამოსული იის სურნელება, სიკეკლუცე და სილამაზე. „კომუნიკატორის როლურ სტრუქტურაში დღეს სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ინტეგრაციისა და დიფერენციაციის პროცესები. დემასიფიკაცია, რომელსაც უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ელექტრონული მასმედია ინვესს, ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას გახდეს მასობრივი არხის კომუნიკატორი“(1-1). არავინ დავობს იმაზე, რომ ჟურნალისტიკის ასახვის საგანი კონკრეტული ფაქტია, რომ ფაქტი პუბლიცისტიკის ხერხემალია, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე აუცილებელი გახდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მედიადისკურსის საგანი და ასახვის ობიექტი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ „საგანი არ არის ნივთი არსებული ობიექტის გვერდით. საგნის შინაარსი მასზე კი არ საუბრობს, არამედ გადმოსცემს, გვიყვება მის გარკვეულ, კონკრეტულ ასპექტზე გარეშე ობიექტისა“(2-1). ფაქტის სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული რესურსი, მრავალი სოციალური რეპრეზენტაციული უნარების გააზრებით მასობრივ აუდიტორიასთან მიმართებაში ახლებურ გაგებას გვთავაზობს, რომელიც მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მომხმარებლის ესთეტიკურ და ფილოსოფიურ ღირებულებებს. ტექსტის რეპრეზენტაციული უნარი, როგორც უფრო ვიწრო, უფრო კონკრეტული შესაძლებლობა, არა მხოლოდ რეალური ფაქტის, არამედ მასობრივი კომუნიკაციის განსაზღვრული ტიპის ამოცანასაც წარმოადგენს. „დღეს ყველაზე ღირებულ კაპიტალად ინფორმაციაა აღიარებული და შესაბამისად განიზომება ინფორმაციის გადაცემა-გავრცელების გზებისა და საშუალებების – კომუნიკაცი-

ური ტექნოლოგიების მნიშვნელობაც“(3-1). საინტერესო მოვლენებმა შესაძლებელია სხვადასხვა პროცესები გამოიწვიოს (მაგ. არაბული რევოლუციები, რომელმაც პიროვნების კულტის დოქტრინის წინააღმდეგ გაილაშქრა და რიგ ქვეყნებში გარკვეული დემოკრატიზაციის ხარისხის აღმავლობით აღინიშნა). ასევე გარკვეულმა პროცესებმა შესაძლებელია წარმოშვას სიტუაციური ექსცესები: (კრიმინალური, ეკონომიკური, რომელმაც შესაძლოა სახელისუფლებო ბერკეტების მოშლის პროცესი განავითაროს...). სიტუაცია შეიძლება გადაიზარდოს გარკვეულ ექსცესებშიც. (მაგ. სიტუაციამ ქვეყანაში ხელფასების არგადახდისა გამოიწვიოს მესახტეთა, მასწავლებელთა და ა.შ. საგაფიცვო მოძრაობის დაწყების პროცესი). ასახვის საგნის კვლევის პროცესში ყურადღების ცენტრში ექცევა ის მხარე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც მოცემულ მომენტში კვლევისა და ანალიზის ყველაზე მაღალ ინტერესს წარმოადგენს.

ასახვის პროცესის უმთავრესი ელემენტი – ფაქტი ტექსტის სტრუქტურული და მაკონსტრუირებელი ელემენტია. სწორედ ის არის ბაზისი იმ მსოფლმხედველობრივი საძირკვლისა, რომელზედაც ჟურნალისტს საკუთარი, პიროვნულ-შემოქმედებითი და ფორმოზრივ-შინაარსობრივი კონსტრუქცია ამოჰყავს. მართალია ტექსტის არქიტექტურული კომპლექსი ფორმითა და მოცულობით არ განისაზღვრება, (რადგანაც სილამაზე უბრალოებაშია), და ის მით უფრო მიმზიდველია, რაც უფრო ახლოა ავტორისა და აუდიტორიის ნადილისა და ინტერესის ერთიანობა, მაგრამ მას მაინც მნიშვნელოვანი როლი აკისრია. „პუბლიცისტური ოსტატობა მრავალმხრივ ვლინდება. ის შეიძლება მჟღავნდებოდეს პრობლემის დასმასა თუ წაწარმოების იდეურ-აზრობრივი მხარის გამახვილებაში, მასალის შერჩევასა თუ სიუჟეტური ხაზის გამოკვეთაში, პორტრეტის მოხატვასა თუ კომენტარში და ა.შ.“ (4-1). ასახვის საგნის სპეციფიკა არა ვირტუალური, არამედ კონკრეტული ფაქტისა და ადამიანური ინტერესის

ან ინტერესების გადაკვეთის საფუძველზე ყალიბდება, რომელიც აჩქარებს ინფორმაციული ზემოქმედების ხარისხს მასობრივ აუდიტორიაზე, (მიუხედავად მასში არსებული სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციისა) და ქმნის შესაბამის საფუძველს ცალკეულ ღირებულებათა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო... და ა.შ. დამკვიდრებისათვის. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ადამიანები ხშირად არ არიან ისეთები, როგორც წარმოგვიდგენია. გადაწყვეტილებებს ისინი უმეტესწილად არა საკუთარი შეხედულებისამებრ, არამედ საზოგადოების, გარემო პირობების გათვალისწინებით იღებენ, ანუ საზოგადოება მართავს ადამიანის ფსიქიკას და შესაბამისად განსაზღვრავს მის ქმედებებს და ცხოვრებისეულ არჩევანსაც კი. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედება და მის შესაბამისად პიროვნების მართვა განმსაზღვრელია იმავე ადამიანის ქმედებებისა თუ ცხოვრებისეული არჩევანისაც კი. შესაბამისად, ადამიანური ქცევა ინდივიდუალური არ არის და ყოველთვის უნდა მოხდეს მისი სოციალურ კონტექსტში განხილვა და შესწავლა. ამიტომაც ასახვის საგნის საკუთარ, პირად კონტროლს დაქვემდებარება ან მისი გარკვეულ საზღვრებში მოქცევა შესაძლებელია, თუ იგი თავსებადია საზოგადოებაში აღიარებულ, დამკვიდრებულ, ადაპტირებულ ნორმებთან. „თუ კი ქცევის ხასიათს სოციალური გარემო, სოციალური ინტეგრაციის ხარისხი განაპირობებს, ამ შემთხვევაში ყველაზე კარგად კონკრეტული პიროვნების აზროვნება წარმოჩნდება საზოგადოებისგან გარიყული, ანუ მარგინალი პირების შესწავლის დროს“ (5-1). საზოგადოებისაგან გარიყვა ეს არის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. ის ადამიანები, ვინც ამ მდგომარეობაში კარგად გრძნობენ თავს, სწორედ ისინი აღიქვამენ საზოგადოებას სხვა მხრიდან. მაგალითად სექსუალური უმცირესობები, უნარ-შეზღუდული ადამიანები ან უსახლკაროები, რომლე-

ბიჯ ყველაზე კარგად გრძნობენ სოციალური შაბლონების, განწყობებისა თუ ნორმების არსებობას საზოგადოებაში. მათზე დაკვირვება დაგვეხმარება უფრო ნათლად დავინახოთ საზოგადოების სიღრმეში მიმალული პრობლემები, რათა რეალობის შესაბამისად შევძლოთ და მოვახდინოთ შეფასებები.

მასიური სოციალური კრიზისები თითოეული ადამიანის ცხოვრებაში ცვლილებების მოლოდინს ამკვიდრებს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები ხშირად განაპირობებენ მასობრივი აუდიტორიის აზროვნების ადეკვატურობის ხარისხს კონკრეტული ასახვის საგანთან მიმართებაში. ცვლილებებისადმი შეგუების ხარისხი ერთგვარი ბარომეტრია აუდიტორიისა და ასახვის საგნის ურთიერთშესაბამისობისა და ის მაშინ თანაბრდება, როდესაც ასახვის საგანსა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის ადგილს სურვილის შესაბამისი შერწყმადი ან შემგუებლური ბუნების მატარებელი ინსტინქტი ენაცვლება. ამიტომაც მნიშვნელოვანია კარგად ნაცნობი ცხოვრებისეული ასპექტები ახლებურ ქრილში განიხილებოდეს მისი შეცნობის სურვილის, საზოგადოებრივი ინტერესის გაგების გამძაფრების მიზნითაც. საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი კრეატიული მისწრაფებანი: მიზნის მიღწევის, საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრების, პოტენციურიდან რეალურის წარმოჩენის, ფართოდ აღიარებული შეხედულებების კრიტიკულად გააზრების, საზოგადოებრივ ინსტინქტებზე ორიენტირებული ტექსტების ურთიერთშესაბამისობა იმავე საზოგადოების კრეატიულ განწყობაზე მიანიშნებს, რადგან ასახვის საგანი საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია და შესაძლოა მისი განვითარების შემაფერხებელი მიზეზიც გახდეს.

ჩვენი სამყარო სავსეა მოულოდნელობებით. შესაძლებელია ერთი საათის წინ მოძიებული ინფორმაცია სავსებით უსარგებლო ან უსუსურიც აღმოჩნდეს. ასახვის საგნის პიროვნულ-მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური ან ფსიქო-



ლოგიური კონტექსტი მასობრივი აუდიტორიის ინტერესების განმაპირობებელიც უნდა იყოს. რეალობისაკენ სწრაფვის სურვილი ხშირად ინდივიდუალური წვდომის, „ჭვრეტის“ უნარს საზღვრებს უფართოებს, რომელიც აჩენს მკვეთრ კონტრასტს მიმწოდებელსა და მიმღებს შორის, რაც ორივე მხარის – მიმწოდებლისა და მიმღების – ურთიერთობის ახალ ეტაპზე(ფორმაზე) გადასვლას მოითხოვს. რაც უფრო შეუმჩნეველი, მარტივი და ადვილად გადასალახი იქნება ეს წინააღობა, მით უკეთესი, რადგან რთული პროცესის მარტივი ფორმით მიღებისას ნაკლებად ან საერთოდაც არ ზიანდება და შესაბამისად არ ღიზიანდება საზოგადოებრივი ცნობიერება და პროცესებიც უმტკივნეულო ხდება.

ჟურნალისტიკის ასახვის საგანი წარმოადგენს მთელის ნაწილს, რომელიც უფრო მეტად ზრდის ჟურნალისტიკის პასუხისმგებლობას ასახვის საგნის სპეციფიკისადმი. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ასახვის პროცესში ენიჭება თვით კონკრეტულ სოციალურ სიტუაციას, იმ აზრს, რომელიც მასში ობიექტურად არსებობს და მის საზოგადოებრივ ღირებულებას, ხანაც მოტივაციას განაპირობებს. სწორედ ფაქტის ქმედების არსის განმარტება, საზოგადოებისათვის მისი შინაგანი ფილოსოფიური სამყაროს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა ღირებულებათა კუთხით „მნიშვნელობის ჩვენება უდევს საფუძვლად შერჩევის ოპტიმალურობას, მათი ინტერპრეტაციის შესაბამისობის მოთხოვნას“(6-1). რთულია შეისწავლო საზოგადოება და არ იყო ამავდროულად ამ საზოგადოების წევრი. ნებისმიერი ჟურნალისტი, რაც არ უნდა მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდეს, ეთნოცენტრისტია – მის აზროვნებას მისი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობა განსაზღვრავს. ესე იგი, ჟურნალისტური ტექსტი საზოგადოების ცხოვრების ნაწილი ხდება მაშინ, როდესაც ასახვის საგანი საზოგადოების ცოდნის ნაწილია. ჟურნალისტები ქმნიან იდეებს, დღის სინათლეზე გამოაქვთ

ცხოვრებაში მიმდინარე ყოველდღიურობა, რომლებიც შემდეგ განსაზღვრავს იმას, თუ როგორ რეაგირებს ამ ყველაფერზე აუდიტორია.

ასახვის საგანზე გადანყვეტილების მიღება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჟურნალისტთა უმრავლესობა ჩქარობს არსებული ვარიანტებიდან მისთვის სასურველის არჩევას და უშუალოდ გადანყვეტილების მიღების პროცესი ყურადღების მიღმა რჩება. გადანყვეტილების მიღება კი სპეციფიკური პროფესიული უნარია, ხოლო ჟურნალისტი ამ უნარს ისე ვერ დახვეწს, თუ ღრმად არ გაიზრებს იმ პროცესს, რომელშიც პრობლემა წარმოიშვა. გადანყვეტილების მიღების მრავალი დეფინიცია არსებობს. გადანყვეტილების მიღების პროცესი ძირითადად სამი მნიშვნელოვანი ფაზისგან შედგება: გადანყვეტილების მიღების საბაზის არსებობა, სავარაუდო სამოქმედო კურსის განსაზღვრა და რამდენიმე ქმედებისგან ერთის ამორჩევა, რაც გულისხმობს მიზნის მისაღწევად ალტერნატივათა შეფასების პროცესში არსებული სიტუაციის პირველადობის გათვალისწინებას. ამ დროს განსაკუთრებული ქმედების დეფინიცია გადანყვეტილების მიღებას აიძულებს შეარჩიოს ის გზა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასახული მიზნით გათვალისწინებულ შედეგს. გადანყვეტილების მიღების მრავალგვარობა გვაფიქრებინებს, რომ მსგავს მოვლენათა განსაზღვრას გარკვეული პირობითობა ახასიათებს. მიუხედავად ამისა, გადანყვეტილება თითქმის ყოველთვის გულისხმობს აუცილებელ რესურსებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამასთანავე, მის მიღებაში ყოველთვის მონაწილეობს ინტუიცია, საზოგადოებრივი ინტერესი და გარემო, რომელშიც ასახვის საგანი წარმოიშვა (ან წარმოიშობა, რაც გადანყვეტილების მიღებაზე მუდამ ახდენს გავლენას). გადანყვეტილების მიღების პროცესი პირდაპირპროპორციულია პრობლემის განსაზღვრისა, (შედეგის მიღწევადობისა), რომელიც უკუკავშირით სარგებლობასაც ითვალისწინებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს გადანყვე-

ტილების დროულად მიღების მნიშვნელოვან პირობასაც.. ასახვის საგნის მიზნის განსაზღვრის ალტერნატიულ გადამწყვეტილებათა შემუშავების და პრიორიტეტების გამოკვეთის ციკლური პროცესი მეტ ეფექტსა და შედეგს იძლევა, ვიდრე მდიდარი ინფორმაციის ცუდი ანალიზი. თუ ისტორიის მამოძრავებელი ტექნოლოგიათა ცვლაა, რომელსაც თავის მხრივ კომუნიკაციურ საშუალებათა პროგრესიც განაპირობებს, მაშინ ასახვის საგანი მნიშვნელოვანწილად რეალურ წარმოდგენათა კრეატიულობით განისაზღვრება იმ სოციალურ სამყაროში, სადაც „ყველაფერი წარმოიშობა და ყველაფერი კვდება“. ბუნებრივია ჟურნალისტიკა მიისწრაფვის უსასრულო სივრცეებისაკენ და იგი ამ ყველაფერს დროისა და სივრცის ერთიანობით ახორციელებს. ეს ენერგია საშუალებას აძლევს მას საზოგადოებრივი ცნობიერების ნაწილად იქცეს და კაცობრიობის გამთლიანების საშუალებად მოგვევლინოს.

### **ლიტერატურა:**

1. რ.სურგულაძე, ე.იბერი, მასობრივი კომუნიკაცია, თბ., 2003, გვ.111
2. Прохоров Е.П. Введение в теорию журналистики. М., 2002. გვ. 223
3. თ.ჯაგოდნიშვილი, ი. ჯაგოდნიშვილი, ვერბალური კომუნიკაციები, თბ., 2009, გვ.9
4. ნ.ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, წიგნი I, თბ.2011, გვ. 282
5. ს.სიგუა, მედია და კულტურა, გვ.127
6. *Валгина Н.С.* теория текста, учебное пособие , москва, логос. 2003, გვ.123

## მოვლენა

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ჟურნალისტიკის ასახვის ძირითადი საგანია. მნიშვნელოვან მოვლენათა შესახებ დისკურსი წარმოადგენს მეოთხე ხელისუფლების „ყოველდღიურ პურს არსობისას“. მსგავსი სახის პუბლიკაციები გვეხმარება მოვლენათა სიღრმისეული კვლევის ან მხატვრული გააზრების ობიექტური გააზრებისათვის.

რა არის მოვლენა? როგორ შეიძლება განისაზღვროს ის? მოვლენა (როგორც ყველა სხვა ჟურნალისტური ასახვა) ზუსტად დაფიქსირებული ფაქტია კონკრეტული სივრცითა და დროთი. მოვლენის მასშტაბურობას კი მისივე შინაარსი, ბუნება განაპირობებს, რომელიც კონკრეტული ადამიანების გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე ანუ საზოგადოებრივ დაინტერესებაზე გადის. სწორედ ეს „საზოგადოებრივი ინტერესია“ მთავარი, რადგან მოვლენას არა მხოლოდ ვიზუალური, ვერბალური ეფექტიც გააჩნია და ორივე დონეზე მოიცავს ისეთ განცდებსა და ემოციებს, რომლებიც შესაძლოა ჟურნალისტიკის ბუნებას, თვისებას განაპირობებს. ინტერესი შეიძლება იყოს პირადი და ზოგადი, როდესაც პირი ან საზოგადოება არ გამოხატავს მოვლენებში აქტიური მონაწილეობის სურვილს, მაგრამ ირიბად ეხება მას-მის ახლობელ ადამიანს – მშობლებს, მეუღლეს, შვილებს, ნათესავებს და აქედან გამომდინარე, სურს იცოდეს რა ხდება, რა შეიძლება მოხდეს, როგორ განვითარდება მოვლენები. მოვლენა მაშინ ინვესს პიროვნების ფანტაზიის გააქტიურებას, როდესაც ცნების შემუშავების პროცესში თავს იყრის კონკრეტული საგნის ამსახველი არსებითი ნიშნები. კონკრეტული პირი (ან საზოგადოება) ასეთი ცნებების გამოყენებით, აბსტრაგირებული სიტყვებით მსჯელობს, განიხილავს და, როგორც ლოგიკოსები ამბობენ, დაგროვილი წანამძღვრებიდან დე-

დუქციის, ინდუქციისა და ანალოგიის ხერხებით მიდის დასკვნისაკენ. „თეორია მატერიალურ ძალად მაშინ იქცევა, როგორც კი ის მასებს დაეუფლება“(1-1). მოვლენის მასიურობაც სწორედ რომ საზოგადოებრივ დაინტერესებაზე გადის. ეს გამოსატყვია რაც უფრო ცნებითია, მით უფრო ტყვადია და მასშტაბური... მოვლენა კონკრეტულ არეალში ყოველთვის მხოლოდ იმდენად ხორციელდება, რამდენადაც თვითონ ის მის მოთხოვნილებათა განხორციელებაც არის. იქცევა თუ არა მოვლენური მოთხოვნილება უშუალოდ პრაქტიკულ მოთხოვნილებად? ცნობილია, რომ ინდივიდები იმას ჩადიან, რაც სურთ, მაგრამ წარმატებას აღწევენ მუშაობის უნარის მქონე და მოსურნე ადამიანები. ამდენად მოვლენათა განსაზღვრის, გამორჩევისა და გამიჯვნის პროცესში მნიშვნელოვანია ერთგვარი თვითდახმარება: ინდივიდმა უპირველესად თავად იგრძნოს და განიცადოს, რადგან უფალი იმას ეხმარება, ვინც საკუთარ თავს ეხმარება. პირადი პასუხისმგებლობის უნარი არა მხოლოდ მოვლენათა დანახვა-შეცნობის გაუმჯობესებას, არამედ პიროვნული თავდაჯერებულობის იდეებსაც აძლიერებს, რაც ძირითადად არა კანონების, არამედ საკუთარი მცდელობითა და საკუთარ თავზე დაყრდნობით უნდა მიიღწიოს. დედამინაზე მიმდინარე მოვლენათა მრავალფეროვნება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, განიცდის შემთხვევითი ფიზიკური და ფსიქიკური ცვლილებების სერიას. ზოგიერთი ცვლილება რომელიმე მოვლენას გადარჩენისა და წარმატებით განვითარების პირობებს უქმნის, ზოგი მუტაცია ნაკლებად სასარგებლოა და გადარჩენას უფრო რთულს, ხან კი შეუძლებელს ხდის. ამიტომაც დედამინაზე მრავალი საინტერესო მოვლენა განვითარდა, ვითარდება და კვლავაც განვითარდება, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ან კვლავ მოახდენენ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. „ბუნებრივი გადარჩევის“ პროცესი თავად წყვეტს რომელ მოვლენას გადაარჩენს რეალობა და რომელს არა“(2-1). ამ იდეათა და შეხედულებათა სოციალურ და პოლიტიკურ

კონტექსტში გადანაცვლება ნათელი დასტურია პრინციპისა – გადარჩება ყველაზე შემგუებელი. საზოგადოებას, სადაც ინდივიდთა შორის გადარჩენისათვის ბრძოლა წარმოადგენს, საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური მდგომარეობის და პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების თუ სხვა სახის უთანასწორობას გარდაუვალს და ბუნებრივსაც ხდის. ადამიანი რაციონალური პირადი ინტერესით მოქმედი არსებაა და იგი ყოველთვის შეეცდება პირადი მდგომარეობა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს. მოვლენათა გამიჯვნის პროცესში მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ დემოკრატიული ან არსებული სინამდვილისა თუ სიტუაციის ცდომილება, არამედ კარიერისაკენ სწრაფვის სურვილიც. თანამედროვე მედიაბაზარი სასწაულებრივი თვისებებით ხასიათდება, რომელიც მისივე წონასწორობას უწყობს ხელს. ამასთან იგი თვითმმართველი უზარმაზარი ნერვული სისტემაცაა, რომელსაც საზოგადოების მართვა შეუძლია ყოველგვარი კანონმდებლობისა და იარაღის გამოყენების გარეშე საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და მიზანმიმართული მიწოდების მექანიზმის მეშვეობით, სადაც ერთდროულად თითქმის უსასრულო რაოდენობის მოვლენურ ინფორმაციას გადასცემს. მედიარესურსები გამალებით მიედინება იქით, სადაც ყველაზე მეტი სარგებელია და სადაც მდიდრებსაც და ღარიბებსაც შეტყობინების ერთნაირი სტიმული აქვთ. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოვლენათა „გადარჩევის“ პროცესში კერძო მედიაბიზნესი უფრო ეფექტური აღმოჩნდება? მით უმეტეს მაშინ, როდესაც კერძო ბიზნესს მართავს მოგების ინტერესი? ეს ყოველივე მას ფასების დაბალ დონეზე შენარჩუნებას აიძულებს, ე.ი. მოვლენათა „გამუქება“, ე.წ. „ყვითელი მოვლენებით“ გაჯერება კვლავაც დიდხანს შეინარჩუნებს უპირატესობას(3-1). მგრძობელობა და კონკურენცია მედიამესვეურებს მისცემს საშუალებას აწარმოონ ის პროდუქცია, რაზეც მოთხოვნილებაა. მოკლედ ცნობილი გამოთქმა – „მომხმარებელი მე-

ფეა და მას გაფრთხილება სჭირდება“, მით უფრო საპასუხისმგებლო ხდება, რადგანაც ბაზარი კეთილსინდისიერებასა და ეკონომიკურ სამართლიანობას ამკვიდრებს. ის ყველას აძლევს შანსს, თავისი ნიჭისა და გარჯის წყალობით აღზევდეს ან დაეცეს. ამგვარი „მოვლენური“ არათანაბრობა „კაცობრიობისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ უთანასწორობას გამოხატავს“. მოვლენები ბუნებრივ კატაკლიზმებსაც უკავშირდება, მაგრამ განსხვავებით ბუნებრივი მოვლენებისგან საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია უპ. ყოვლისა, მოვლენები, რომლებიც წარმოადგენს ადამიანთა ქცევებისა და მოქმედებების არეალს გარკვეული მიზნებით, ამოცანებითა და შედეგებით, რაც არა მხოლოდ გავლენას ახდენს ამა თუ იმ საზოგადოებრივ პროცესზე...

განვიხილოთ მაგალითები: მაგ. 1 „კვირის პალიტრა“-27-01-2014 , პუბლიკაციიდან „ რას წარმოადგენს „ბერკუტი“?

„მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა არაერთი ვიდეო და ფოტოკადრი გაავრცელეს კიევის ქუჩებიდან, სადაც ერთმანეთს დაუზოგავად სცემენ უკრაინის შსს-ს სპეციალური დანიშნულების დანაყოფის – „ბერკუტის“ მებრძოლები და ქვებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ოპოზიცია. კიევში გრუშევსკის ქუჩაზე მიმდინარე დაპირისპირებისას ოპოზიციის წარმომადგენლები ძირითადად ქვებს და „მოლოტოვის კოქტილებს“ (ბენზინიან ბოთლს ფითილი უკეთია, რომელსაც გადაგდების წინ ცეცხლს უკიდებენ, თუმცა შამპანურის ბოთლები ხშირად არ ტყდება და „ბერკუტი“ ასწრებს, ისინი მსროლელებს უკან „დაუბრუნოს“) ისვრიან, წვავენ საბურავებს, ქვებითა და ხელკეტებით ცდილობენ შეტევაზე გადმოსული „ბერკუტის“ მოგერიებას. ამასთან, ოპოზიციის აქტიურ წევრებს სახე დამალული აქვთ, რათა მათი იდენტიფიცირება არ მოხდეს (სხვათა შორის, „ბერკუტის“ მებრძოლებსაც ნიღბები უკეთიათ), თავზე საბჭოთა დროინდელი სამხედრო მუზარადები და მშენებლის

ჩაფხუტები ახურავთ, ბევრს აირწინალი უკეთია, რათა „ბერკუტის“ ნასროლი ცრემლსადენი და კვამლსადენი ხელყუმბარებისგან დაიცვას თავი. რაც შეეხება „ბერკუტს“, მისი საერთო რაოდენობა არცთუ დიდია – 3 ათას კაცამდე, რომლებიც ორ პოლკში არიან გაერთიანებული ექვსი ბატალიონისა და 19 ასეულის სახით.

... უკვე ყველასთვის ცხადია, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები სცილდება ამ ქვეყნის შიდაპოლიტიკური არჩევანის ფარგლებს და მაიდანის იქცა ადგილად, სადაც გადის გლობალური პოლიტიკის ფრონტის ხაზი. ამასთან, რჩება შთაბეჭდილება, რომ დღეის მდგომარეობით შიდაპოლიტიკურ ელიტაზე უკვე ცოტა რამ არის დამოკიდებული, ხოლო გარე ძალებმა ამოწურეს მოვლენებზე პოზიტიური ზემოქმედების რესურსი.

მაგ. 2. „კვირის პალიტრა“ – 27-01-2014 პუბლიკაციიდან „ინფლაცია ჯანსაღი პროცესია, თუ ეკონომიკური ზრდითაა გამოწვეული“

ეროვნული ვალუტა ორი წლის განმავლობაში მყარად ინარჩუნებდა გაცვლით კურსს და საქართველოში 1 აშშ დოლარის ფასი 1,67 ლარს თითქმის არ ასცილებია. ამჟამად კი 1 დოლარი უკვე 1,78 ლარი ღირს. მთავრობის ეკონომიკური გუნდი ლარის კურსის ცვლილებაში საგანგაშოს კვლავაც ვერაფერს ხედავს და აცხადებს, რომ ეროვნულ ბანკს ყველა რესურსი აქვს, რათა ვალუტის მკვეთრი გაუფასურება არ დაუშვას...

– მართალია, ქვეყანაში შემოსული გზავნილებიც გაიზარდა, ექსპორტიც, ინვესტიციების 4%-იანი მატებაც აღირიცხება, თუმცა იმ ფაქტორების გავლენა, რომელიც ლარს აუფასურებს, უფრო მეტია: კერძოდ, იმპორტის ზრდა, ფულადი კაპიტალის გადინება ქვეყნიდან და გადაზიდვების შემცირება – სწორედ ამ ფაქტორებმა გადაწონა ზემოთ ჩა-



მოთვლილი დადებითი მომენტები. საბოლოო ჯამში, იზრდება მოთხოვნა დოლარზე, რაც ამცირებს ლარზე მოთხოვნას. ამიტომაც გვაქვს დღეს ლარის ასეთი კურსი.

მაგ. 3. „კვირის პალიტრა“ – 27-01-2014 პუბლიკაციიდან „კითხვები, რომლებიც მკითხველს აინტერესებს.“

კურორტებზე დასვენების ღირებულებას მისი მომსახურების სერვისი განსაზღვრავს. გუდაურში ათდღიანი დასვენება საოჯახო სასტუმროში ორჯერადი კვებით 35 დოლარიდან იწყება და 70 დოლარამდე აღის. კოტეჯებში ღამე შეიძლება 30 ლარადაც გაათიოთ, მაგრამ თუ პაკეტში შედის კვება და მანქანით მომსახურება, ფასი იზრდება. ბაკურიანში ყველაზე დიდი მოთხოვნა საოჯახო სასტუმროებზეა. აქ სამჯერადი კვებით ერთი დამსვენებელი დაახლოებით 45-50 დოლარს იხდის. შესაბამისად, ათდღიანი დასვენება 450-500 დოლარამდე ჯდება. ზამთრის კურორტებზე დასვენების ფასი დღესასწაულებზე იზრდება. თუმცა ფასები საოჯახო სასტუმროებმა შესაძლებელია კლიენტთან მოლაპარაკების შემდეგ მნიშვნელოვნად დასწიონ. ზოგადი ფასდაკლება კი ზამთრის სეზონის დასასრულს, თებერვალში იწყება.

მაგ. 4. „კვირის პალიტრა“ – 12-04-2010 პუბლიკაციიდან „უჩვეულო მოვლენები „შირნჰოფერში“.

გასულ კვირას თბილისში, „შირნჰოფერი-საქართველოს“ მთავარ შენობაში, უჩვეულო რამ ხდებოდა: ოფისში თვით კარლ შირნჰოფერი დადიოდა და კომპანიის ყველა თანამშრომელს – დამლაგებლით დაწყებული და დირექტორით დამთავრებული – ფეშენებელურ საპრეზენტაციო დარბაზში ეპატიჟებოდა. უცნაურობა ამით არ დასრულებულა: მას შემდეგ, რაც ყველა თანამშრომელი დარბაზში განთავსებულ კომფორტულ მაგიდებთან მოეწყო, კარლ შირნჰოფერმა უზარმაზარ მონიტორზე ავსტრიიდან ჩამოტანილი ფილმი გაუშვა და „შირნჰოფერი-საქართველოს“ თანამშრომლებს

ანგარიში ჩააბარა გასულ წელს კომპანიის განვითარებისთვის განეულ მუშაობაზე.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებს თუ თვალს გადავაგვლებთ, გასაგები გახდება, რომ წარმოდგენილ ინფორმაციებში საუბარია სრულიად რეალურ პირებზე, ადამიანებზე, რომლებიც მოქმედებენ საქმიანობის გარკვეულ სფეროში, კონკრეტულ სივრცესა და დროში. ამასთან მათი მოქმედებების მიზეზებსა და მიზნებს, აგრეთვე შედეგებს განსვავებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის.

მაგ.1 ასახული სინამდვილე განეკუთვნება ისეთ ვითარებას, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ადამიანთა დიდი ჯგუფები-მასები, მიუხედავად მათი პარტიული, ჯგუფური კუთვნილებისა. მიზნის ერთიანობამ ერთ დროს და ერთ კონკრეტულ ადგილზე გააერთიანა უამრავი ადამიანი. ეს მიზანია-ქვეყნის განვითარების კურსის სამართლიანობის საკითხი, ასევე ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ეს ყოველივე კი მაჩვენებელია მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გათვითცნობიერებისა და დაინტერესებისა, რომელიც თავისთავად გამოიწვევს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს. ამგვარ მოვლენას შესაძლოა შორს მიმავალი შედეგები მოჰყვეს მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის.

მაგ. 2 განპირობებულია ადამიანების მცირე ჯგუფის – მთავრობის საქმიანობით. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება შეეხოს როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად მცხოვრებ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს. რადგან ლარის კურსის გაუფასურება პირდაპირ კავშირშია პროდუქტის გაძვირებასთან და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიც მცირდება. ძირითადად დაზარალდება ის, ვისაც აქვს შემოსავალი ლარში და ვალდებულია – დოლარში.

მაგ. 3 აჩვენებს ზამთრის კურორტებით დაინტერესებულ ადამიანთა საქმიანობის შედეგს. ის, უპ. ყოვლისა, შეეხება საოჯახო ტიპის სასტუმროების მფლობელთა ინტერე-

სებს, აგრეთვე, ზოგიერთი კლიენტის ინტერესებშიც – ვისთვისაც მნიშვნელოვანია ზოგადად ფასდაკლება და სეზონის შესაბამისად გართობა.

მაგ. 4 გვაუწყებს ერთი ადამიანის მოქმედებაზე: ამასთან, მის მიერ მიღწეულ შედეგს მნიშვნელობა აქვს პირველ რიგში მისთვის და მისი ზოგიერთი თაყვანისმცემლისთვის და მიმდევრისთვის.

ცხადია, რომ უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნია მაგ.1. პირველ რიგში სწორედ მან უნდა მიიზიდოს ზოგადპოლიტიკური თემატიკით დაინტერესებული ყურნალისტის ყურადღება. მოცემულ შემთხვევაში ყურნალისტის მიერ გაანალიზებული მოვლენის შემადგენელი: სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში გაერთიანებული ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობაა, რომელთა მოქმედებები ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას ხორციელდება. მათი მისწრაფებაა გადაჭრან გარკვეული ამოცანა და კონკრეტულ შედეგებს მიაღწიონ.

გაზეთი „კვირის პალიტრა“-27-01-2014; პუბლიკაციიდან: უკრაინის მოვლენები – რას ფიქრობენ საერთაშორისო ექსპერტები “. რუკა – კიევის მოვლენების გასაღები“ მაქს ფიშერი, „ვაშინგტონ პოსტი“.

„რუკა, რომელსაც გთავაზობთ, საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, რაც დღეს უკრაინაში ხდება. რუკაზე ფერებად არის დაყოფილი ქვეყნის მთავარი ეთნიკური და ლინგვისტური სხვაობები. აი, რატომ არის ეს რუკა ასეთი მნიშვნელოვანი: უკრაინის პოლიტიკას დიდი ხანია, რაც ქვეყნის დემოგრაფია ორ მთავარ ნაწილად ყოფს. ის, რაც დღეს ხდება, დიდწილად სწორედ ამ დაყოფის შედეგია. უკრაინის ეთნო-ლინგვისტური პოლიტიკური დაყოფა შეერთებული შტატების „ნითელი ამერიკისა“ (რესპუბლიკელები) და „ლურჯი ამერიკის“ (დემოკრატები) მსგავსია, მაგრამ ამერიკული მაგალითისგან მას ძალიან ბევრი რამ განასხვავებს – წარმო-

იდგინეთ, რომ „ნითელი“ და „ლურჯი“ ამერიკა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. მიმდინარე პოლიტიკური კონფლიქტი, რომლის ძირითადი ხაზი გადის იმაზე, თუ საით უნდა წავიდეს ქვეყანა – ევროპისკენ თუ რუსეთისკენ, ისეთი ამერიკული თემების უკრაინული ეკვივალენტია, რომელზეც „ნითლები“ და „ლურჯები“ კომპრომისს ვერასდროს პოულობენ – იარაღით ვაჭრობის კონტროლი, აბორტი და ერთსქესიანთა ქორწინება. უკრაინულ პოლიტიკასაც ახასიათებს ის, რაც ამერიკულ პოლიტიკაში გვხვდება, კერძოდ ის, რომ პოლიტიკური ოპონენტების აზრით, მონინაალმდევე მხარე ერს არ წარმოადგენს“.

ამ შემთხვევაში მოვლენა თავისი შინაარსით, მოცემულობითა და მოქმედებებით პოლიტიკური ხასიათისაა, ამდენად უფრო მოცულობითი და მასშტაბური. მოვლენის არსი ამ შემთხვევაში სწორედ მის მასშტაბურობასა და მასიურ აქტიურობაში მყდარდება. მსგავს მოვლენათა მნიშვნელობა-მნიშვნელოვნება სწორედ არეალით განისაზღვრება. მართალია ნებისმიერი ჟურნალისტური ტექსტის საფუძველი ფაქტია, მაგრამ არის ფაქტები, რომლებიც თავიანთი მასშტაბურობით გაცილებით მაღალი ხარისხისაა, ანუ მისით მრავალი ქვეყანა, მილიონობით ადამიანი ინტერესდება, განიცდის, ფიქრობს; არის მოვლენები, რომლებიც შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია და მისი არეალიც – გავრცელების ადგილი (მასშტაბი) შემოსაზღვრულია, ანუ მის არეალს ამ შემთხვევაში განსაზღვრავს ის, თუ ვინ და რა რაოდენობა ადამიანებისა ინტერესდება ამ მოვლენით. მაგრამ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც არა მხოლოდ სიახლეს, არამედ განსაკუთრებულ ცვლილებებს, განსაკუთრებულ ქმედებებს უკავშირდება. თავისი ბუნებით მოვლენად ვერ ჩაითვლება ჩვეულებრივი ფაქტი, რომელიც არ უკავშირდება უჩვეულოს, განსაკუთრებულს, იშვიათს, გამონაკლისს. მოვლენის სფეციფიკურობა მისსავე

ხასიათში, თავისებურებაში, ბუნებაში დევს.

მოვლენები თავიანთი შინაარსით მოიცავს ნებისმიერ თემას, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში-მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ხდება. ამდენად მოვლენები შეიძლება იყოს გლობალური და ლოკალური ხასიათისა. გლობალური ანუ მსოფლიო – ძალზედ მასშტაბურია და შესაბამისად მისი შინაარსიც ყველასთვის საინტერესო. ლოკალური კი ძირითადად იმ კონკრეტული სივრცისთვისაა აქტუალური და საინტერესო, მაგრამ ადგილობრივი მნიშვნელობისაა.

„კვირის პალიტრა“-23-12-2013, პუბლიკაციიდან: „წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო მოვლენები.“

2013 წელი ბოლო ათწლეულისგან განსხვავებული გამოდგა, თუმცა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო განვლილი წელი გარდამტეხი ვერ გახდა. საზოგადოების დიდი ნაწილი უფრო მეტს მოელოდა ახალი ხელისუფლებისგან, მათ შორის თავდაცვის სფეროშიც.

არმია პოლიტიკის მიღმა

ყველაზე მთავარი ცვლილება, რაც 2013 წელს მოხდა ქართულ არმიაში, ის გახლავთ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები თითქმის გათავისუფლდა პარტიული ზენონისგან. „შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ და სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის უხეშად ერეოდა ქართული არმიის საქმეებში, იქნებოდა ეს საკადრო ცვლილებები თუ საბრძოლო მოქმედებების დროს სამხედრო მართვის მცდელობა.

სწორედ „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობის დროს, 1998 წელს, მოხდა გალის ცნობილი მოვლენები, „ნაც-მოძრაობამ“ კი 2004 და 2008 წლებში ცხინვალის რეგიონში მომხდარ ტრაგედიაში საბედისწერო როლი ითამაშა“. საბედნიეროდ, ახლა მმართველი პარტია აღარ ერევა არმიის საქმეებში, რაც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზეც გამოჩინდა, როდესაც არც თავდაცვის და არც შს სამინისტროების

ხელმძღვანელობას სასურველი საპრეზიდენტო კანდიდატისთვის ხმების მოსაგროვებლად საუნყებო რესურსი არ გამოუყენებიათ. „ეს ეტყობოდა ავღანეთში, ჩვენს სამხედრო დანაყოფში ჩატარებული არჩევნების შედეგებსაც, რომელთა მიხედვით კინალამ პრეზიდენტობის ოპოზიციონერმა კანდიდატმა გაიმარჯვა. ეს რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს მომხდარიყო, ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის არა მარტო მეთაურობა, კაპრალეზიცი მკაცრად დაისჯებოდნენ“. არმიის დისციპლინისა და ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისათვის სწორედ მისი დეპოლიტიზაციაა აუცილებელი. თუკი მოიშლება დასმენის ინსტიტუტი და სამხედროები აღარ დაისჯებიან ინიციატივის გამოჩენის გამო, მაშინ ქართულ ჯარს მომავალი ნამდვილად ექნება.

ქართული ჯარი ადამიანური სახით

არმია მხოლოდ ტანკები, ჰაუბიცები თუ შვეულმფრენები არ არის. მას მომსახურეთა განწყობა და მოტივაცია ქმნის. დაზღვევის ახალი, გაუმჯობესებული პირობები, 877 სამხედროსთვის ბინების გადაცემა, ხელფასის გაზრდა, დაჭრილებსა და დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვა – ეს მხოლოდ ნაწილია იმ სიკეთისა, რაც ქართველმა სამხედრომ 2013 წელს მიიღო. ალბათ, ყველაზე საყურადღებოა ის, რომ 2014 წლიდან დახმარება (500 ლარი) დაენიშნება ყველა იმ ოჯახს, რომლის წევრი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში ან საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობისას დაიღუპა. ეს განსაკუთრებით აფხაზეთის ომში, 1998 წელს გალში თუ 2004 წელს ცხინვალთან დაღუპულთა ოჯახებისთვის იქნება მნიშვნელოვანი, რადგან დღემდე ისინი, სამწუხაროდ, ყველა მთავრობას მივიწყებული ჰყავდა. ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ თუკი ავღანეთში ქართველი სამხედრო კიდევ დაიღუპება, ოჯახი ერთჯერადი

დახმარების სახით 15.000 ლარის ნაცვლად (როგორც აქამდე იყო) 100.000 ლარს მიიღებს. ეს და სხვა სოციალურ-ფინანსური დახმარებები სამხედრო მოსამსახურეს დაანახებს, რომ სახელმწიფო ზრუნავს მასზეც და მის ოჯახზეც და არც მის გმირობას დაივინებს არასოდეს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ბრძოლის ველზე სიკვდილის პირისპირ მდგომი ქვეყნის დამცველისთვის.

ბიუჯეტი და საკონტრაქტო არმია

საქართველოს შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი 2013 და 2014 წლებში 660 მლნ ლარი იქნება, რაც საზოგადოების ნაწილის აზრით, სრულიად საკმარისი ან ბევრიცაა, თუმცა მოსახლეობის ასევე დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს თანხა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად საკმარისი არ არის. ეს თანხა, რა თქმა უნდა, ახალი, თანამედროვე შეიარაღების შესაძენად საკმარისი არ არის, თუმცა ეყოფა პირადი შემადგენლობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას და საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას, მაგრამ არმია ხომ მხოლოდ აღლუმებზე გამოსასვლელად არ ჰყავს ქვეყანას – ახალი იარაღის შეძენაც საჭიროა და ბრძოლის მეთოდების დახვეწაც, ამას კი დამატებით რამდენიმე ასეული მლნ. ლარი მაინც დასჭირდება. ასეთი მოკრძალებული სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც ჩვენი მეზობლებისას მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება (მაგალითად, აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტს თითქმის ცხრაჯერ), საკმარისი არ იქნება ქართული არმიის საკონტრაქტო სამსახურზე გადასაყვანად, რაც ორ-სამ წელში იყო დაგეგმილი.

წლის ტრაგედია

1999 წლიდან მოყოლებული, რაც ქართული სამხედრო კონტინგენტი საერთაშორისო მისიებში მონაწილეობს, არ დაღუპულა იმდენი სამხედრო, რამდენიც ავღანეთში 2013 წელს დაგველუპა. ერთი თვის განმავლობაში 10 სამხედროს

დალუპვა დიდი დარტყმა იყო ქართული არმიისთვის, თუმცა მეთაურობამ შეძლო სიტუაციის კონტროლი. საქართველოდან ჰილმენდის პროვინციაში გაიგზავნა პროფესიონალი მენაღმეები, რომელთა რეკომენდაციით გაძლიერდა ბაზების დაცვის საინჟინრო საშუალებები, რამაც მსგავსი ტრაგედიების გამეორების შესაძლებლობა შეამცირა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი – ასე ახლოს და ასე შორს...

საქართველოს NATO-ში განევრება შარშანაც აუსრულებელ ოცნებად დარჩა და უახლოეს პერიოდში ეს არც „გვემუქრება“. სამაგიეროდ, გვემუქრება რუსეთი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დახმარებით მისი სამხედრო აგრესიის მოგერიების იმედი არ უნდა გვექონდეს. ეს მწარე სიმართლეა და ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. მიუხედავად ამისა, საქართველო პირნათლად ასრულებს აღებულ ვალდებულებას და ავღანეთში ISAF-ის მისიაში თავის 1600-კაციან სამხედრო კონტინგენტს 2014 წლის ბოლომდე არ ამცირებს.

გვინდა იმედი გვექონდეს, რომ ISAF-ის ოპერაციის დამთავრებამდე, ანუ კიდევ ერთი წელი, ავღანეთში არც ერთი ქართველი აღარ დაიღუპება და ჩვენი სამხედროები სამშობლოში, რომელსაც არანაკლებ სჭირდება დაცვა, მშვიდობიანად დაბრუნდებიან.“

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი ლოკალური მნიშვნელობისაა, რადგან ის ძირითადად მხოლოდ ქართული სივრცისთვისაა საინტერესო და მნიშვნელოვანი. თუმცა არ გამოირიცხება ამ მხრივ გარკვეული ინტერესი გამოიწვიოს რეგიონში და ის რეგიონული მნიშვნელობის მოვლენადაც ჩაითვალოს. ფაქტი კი ერთია: მოვლენის ამგვარად წარმართვა საბოლოო ჯამში ემსახურება ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეს და ის ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროცესების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. პუბლიკაცია, ზოგადად



თანამედროვე ქართული ჯარის სინამდვილეზე მოგვითხრობს. მასში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ნაჩვენებია მოვლენები, რომელიც თითქმის ბოლო ერთი წლის მანძილზე ქვეყანაში განხორციელდა, თუმცა თითქმის მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში ქართული არმიის აქილევსის ქუსლად რჩებოდა. პუბლიკაციის ავტორი გვიხსნის, რომ მთავარი მოვლენა არმიის დეპოლიტიზირებაა, რომელსაც მოვლენათა შემდგომი განვითარება ფეხდაფეხ სდევს: პარტიული წინხისაგან გათავისუფლებული ქართული არმია გაცილებით მეტად ბრძოლისუნარიანი და დისციპლინირებულია, რომ ქართული ჯარის ძლიერებას მომსახურეთა განწყობა და მოტივაცია, დაზღვევის ახალი, გაუმჯობესებული პირობები, სამხედროთათვის ბინების გადაცემა, ხელფასების გაზრდა, დაჭრილებსა და დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვა ქმნის. პუბლიკაციის ავტორი ქართული ჯარისადმი მოსახლეობის განწყობაზეც მიანიშნებს, როდესაც ამბობს, რომ „არმია ხომ მხოლოდ ადღუმებზე გამოსასვლელად არ ჰყავს ქვეყანას – ახალი იარაღის შექმნაც საჭიროა და ბრძოლის მეთოდების დახვეწაც, ამას კი დამატებით რამდენიმე ასეული მლნ. ლარი მაინც დასჭირდება“. ეს ყველაფერი კი იმაზე მიანიშნებს, რომ პრობლემას მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი გულისყურით ადევნებს თვალს და განიცდის ასეთ მდგომარეობას. მნიშვნელოვან მოვლენათა თანამიმდევრობა არა მარტო ხსნის, არამედ ასაბუთებს შემდგომი ნაბიჯების სისწორეს, რომელიც მსგავსი მიმართულებით იდგმება ქართული ჯარის ცხოვრებაში და შესაბამისად დაინტერესებულ აუდიტორიას ეძლევა საუკეთესო შანსი მოვლენათა ეპიცენტრში ყოფნისა. მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობა, რომელიც ძალზე აადვილებს ქართულ ჯარში არსებული რეალობის ანალიზს, ჩვეულებრივ მოითხოვს კონკრეტულ ინფორმაციას მოვლენათა მონაწილეებზე, მათ ქმედებებზე, იდეებზე, შეხედულებებზე. თუ რასთან გვაქვს საქმე. რა მოხდა? რა ხდება? რა შედეგებს ველოდებით? ამგვარი კით-

ხვების ჩამონათვალი და შესაბამისად ამომწურავი პასუხები მათზე მთლიანი წარმოდგენაა ქართულ ჯარში განვითარებულ მოვლენებზე, რომელსაც აუცილებლად უნდა მოყვეს პოზიტიური შედეგები მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.

მოვლენის ანალიზი მოითხოვს კონკრეტულ ინფორმაციას ისეთ შემადგენელ ნაწილებზე, როგორებიცაა მოვლენათა მონაწილენი. ჟურნალისტიკა უნდა გაარკვიოს ცალკეული მოვლენის მონაწილეთა ამოცანები, რათა დადგინდეს ამგვარ ქცევათა საბოლოო მიზანი. ამ ყველაფერზე კი ინფორმაციას მივიღებთ თუ დავსვამთ ღია და მარტივ კითხვებს. მაგალითად: რა მოხდა? და რა გვაქვს შედეგად? რომელი ამოცანის გადაჭრასთან გვაქვს საქმე? რომელ სფეროს უკავშირდება მოქმედება? ვინ მონაწილეობს მასში? რომელ სოციალურ ჯგუფებს განეკუთვნებიან მონაწილეები? რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ გადასაჭრელ ამოცანასთან მიმართებაში მონაწილეებს? იყო თუ არა რაიმე კავშირი მათ შორის? სად მოხდა მოქმედება? ახასიათებს თუ არა რაიმე თავისებურება მოქმედების ადგილს? ახდენს თუ არა რაიმე გავლენას კონკრეტული ადგილი მონაწილეთა მოქმედების ხერხებსა და საშუალებებზე? რა ღონისძიების გატარებით არის მიღწეული შედეგი? რა ძალისხმევა გახდა საჭირო ამისათვის და ვისი მხრიდან? რა წინაპირობები უწყობდა ხელს ყოველივე ამას? როდის მოხდა მოვლენა? როგორია მისი დადებითი ან უარყოფითი შედეგები საზოგადოებისათვის, გარკვეული სოციალური ჯგუფებისათვის, მოქმედების მონაწილეებისათვის და სხვა. ჟურნალისტიკა შეუძლია დაადგინოს ურთიერთკავშირი მოვლენათა კანონზომიერებასა და მის მნიშვნელობაზე.

ბუნებრივია, არანაკლებ საინტერესოა მოვლენა, რომელიც ბუნებრივად წარმოიშობა და ის ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისაგან დამოუკიდებლად „მოგვევლინება“. მეტიც, მას არ ელოდებიან, არ ფიქრობენ მასზე და შესაბამისად არც განიცდიან „მასზე“. სწორედ ამ დროს არის ყველაზე საინტე-

რესო, მნიშვნელოვანი და მასშტაბური. მაგ.როდესაც 2013 წლის თებერვალში რუსეთში, ურალში მეტეორი ჩამოვარდა და ქალაქი ჩელიაბინსკიც ძალზე დააზარალა.

„კვირის პალიტრა“-18-02-2013, პუბლიკაციიდან „მეტეორი ჩამოვარდა“.

– აქ 1200-ზე მეტი კაცი დაშავდა. თვითმხილველების ცნობით, ცაში ჯერ გაურკვეველი ობიექტი გამოჩნდა, რომელსაც ნათება და გრუხუნი მოჰყვა. ქალაქში თითქმის ყველა შუშა ჩაიმტვრა, იყო ნგრევაც. დაზარალდა 3,5 ათასი სახლი, 370-ზე მეტი სასწავლო დაწესებულება. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ნასას ცნობით, ატმოსფეროში შემოსვლისას მეტეორის აფეთქების სიმძლავრე 20-ჯერ აღემატებოდა ჰიროსიმაში ატომური ბომბის აფეთქების ძალას. მეცნიერებმა ამ მოვლენის შესწავლა დაიწყეს“.

ცხადია, ამგვარ მოვლენათა სპეციფიკურობა უთუოდ განსაზღვრავს მის არეალსაც და გასაგებია, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეეცდებიან სოციალური ქსელების საშუალებით მის ნახვას. ცხადია, რომ ყოველი მოვლენა პასუხობს სამ ძირითად კითხვას: რა მოხდა? როდის მოხდა? სად მოხდა? ასეთ დროს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კითხვებს. მთავარია მოვლენით გამოწვეული ან მოსალოდნელი შედეგი რა არის ან რა იქნება.

რა? სად? როდის? ჟურნალისტიკისათვის და ზოგადად თანამედროვე სამყაროსათვის აქილევსის ქუსლად ქცეული ეს სამი კითხვა პირველ რიგში სამ კონკრეტულ პასუხს საჭიროებს, რომელთა ამოცანაა ახსნას ადამიანთა დამოკიდებულებანი რეალობისადმი, კონკრეტული მოვლენებისადმი, რომლებიც ადამიანურ ენაზე საქმისადმი დამოკიდებულებას, პოზიციას გამოხატავს, სინამდვილეში კი წარმატების მიღწევის თუ წარუმატებლობისაკენ სავალი გზების დასალაშქრად იმავე კაცობრიობას ფაქტების, მოვლენების, პროცესების ცნებებით გამოუსახავს; უამრავჯერ ახსნილი და

გათავისებული, კვლავ ახსნისა თუ ახლებურად დანახვისა და განცდის წყურვილით შეუმოსავს ან გაუთავისებია. თითოეულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მოვლენა არკვევს რეალობის ნიადაგს და მხოლოდ ამის შემდეგ მივდივართ შესაბამის დასკვნამდე, არ დაეკარგოს მოვლენას მნიშვნელობა და ზუსტად განისაზღვროს შედეგი, რათა გავიგოთ ყველაზე მთავარი, – რა შეიძლება მოხდეს მომავალში.

ლიტერატურა:

1. ე.ჭეიფუდი-პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ.,2004
2. კ. ენტონი აპია, ღირსების კოდექსი, როგორ ხდება ზნეობრივი რევოლუციები, თბ.,2014
3. მ. მენჩერი-ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბ.,2013
4. „კვირის პალიტრა“-27-01-2014
5. „კვირის პალიტრა“ – 12-04-2010
6. „კვირის პალიტრა“-23-12-2013
7. „კვირის პალიტრა“-18-02-2013

## IV-2

### პროცესი

პროცესი ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივ კავშირში მყოფ მოვლენათა თანამიმდევრული განვითარებაა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მოვლენათა განვითარების შედეგი, როგორც წინაპირობითი საფუძველი – მიზეზი ახალი რეალობის შემდგომ საფეხურზე, ახალ ეტაპზე გადასასვლელად. დინამიურ ქმედებათა მყარი თანამიმდევრობა სხვადასხვა მდგომარეობის მომცველია. პირველი ნაბიჯი მეორეს განაპირობებს, მეორე მესამეს და ასე გრძელდება მანამ, სანამ

დინამიური პროცესი სტატიკურს არ დაექვემდებარება. იგულისხმება კონკრეტულ ეტაპზე მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მყოფ მოვლენათა განვითარების საფუძველზე წარმოშობილი ახალი რეალობა თავისი განვითარების კულმინაციური გამოსახვით და დინამიკური ქმედების სტატიკურად გარდაქმნის წარმოდგენით. ეს კი თავის მხვრივ ის არსებული რეალობაა, რომელმაც „საკუთარი განვითარების“ პიკს, ზღვარს მიაღწია და უკვე ახალი სინამდვილის შექმნის თუ წარმოქმნის განცდის საფუძველზე მოცემულ ეტაპზე კვლავაც „ახალი რეალობის“ წარმოშობისათვის (ბრძოლას) მოქმედებას აგრძელებს. ეს კი თავის მხვრივ ისეთ ქმედებათა დინამიური რიგია, რომლებიც პასუხობენ კონკრეტულ ეტაპზე კონკრეტული ამოცანის შესრულებას სხვადასხვა შინაარსითა და მდგომარეობით. ე.ი. ცხოვრება, ვითარება, რეალობა, სინამდვილე, ადამიანური და საზოგადოებრივი ურთიერთობები მუდმივ „განახლებას“, ცვლილებას, მოძრაობას, დინამიკას განიცდიან და პროცესი უწყვეტ რეჟიმში გრძელდება, თუნდაც ბუნებრივი, კანონზომიერი წესითა და რიგით. „განვითარება და ევოლუცია არის მოვლენა იმისა, რაც უკვე არის“(1-1). რეალობას ვერავინ შეაჩერებს, დინამიკას ვერავინ შეცვლის, სიტუაციას სარჩულად (სარგებლად) იყენებენ მხოლოდ... ყველაფერი ეს და კიდევ მრავალი სხვა, რომელიც ადამიანური ცხოვრების გამომხატველ ურთიერთობებსაც განაპირობებს, პროცესის ერთი ეტაპის დასასრულს ნიშნავს, და ამავე დროს, მეორის ანუ ახლის დასაწყისს, როდესაც უკვე ყოფილს, ანუ „ძველს“, რაიმე ახალი მოქმედება ჩაენაცვლება... სწორედ ეს არის განსაკუთრებული ინტერესისა და ზრუნვის საგანი და კიდევ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენათა ანალიზი, ანუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, და გარკვევა იმისა, თუ კონკრეტულად რა გარემოებებმა და ფაქტორებმა განაპირობა მოვლენათა განვითარების ამგვარი ლოგიკა, რომელმაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საფუძველზე ნიადაგი მოუმზადა

ანუ შექმნა სასურველი სიტუაცია და მყარად გადაჯაჭვა ერთმანეთთან სურვილი და რეალობა, რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია და დააჩქარა კიდევ მოვლენათა შემდგომი განვითარების ამგვარი თანამიმდევრობა და დინამიკა, უპირველესი ქვაკუთხედეა პროცესების ანალიზისათვის. თუ არ გვესმის, ვერ ვგრძნობთ, ვერ ვხედავთ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერი განვითარების არსს, დინამიკას ყური მივუგდით, ჩვენს წინაშე დასმულ მთავარ კითხვებსაც: რატომ? როგორ? უპასუხოდ დავტოვებთ. შესაბამისად, ვერასოდეს გავალთ ურთიერთგამომწვევ მოვლენათა საწყის რგოლზე. ეს რგოლი კი შესაძლოა აღმოჩნდეს სწორედაც ის საწყისი რგოლი, რომელმაც არა მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულადაც კი დაგვაკავშიროს და აგვიხსნას რეალურ ქმედებათა შედეგად წარმოქმნილ ფაქტთა მნიშვნელოვნება, მრავალგვარობა, დაგვანახოს კონკრეტულ ადამიანთა ქცევებისა თუ მოტივაციის საფუძველი და გვაჩვენოს მიზანი ამგვარ ქმედებათა (ქცევათა)გამოხატვისა, რომელმაც ზუსტი, კონკრეტული, საგნობრივი სახე მიიღო. „ცხადია, ეს სამოქმედო წრე არა სტატიკურად, არამედ კუმულაციურად მიმდინარე პროცესების ჩარჩოდ მოიაზრება“(2-1). აქედან გამომდინარე, შესაძლოა გაირკვეს კიდევ თუ რა გარემოებებმა განაპირობა, რა ფაქტორებმა წარმოშვა, რა დეტალებმა უკარნახა (ფული, პირადი ან საზოგადოებრივი ინტერესი, სიყვარული, სიძულვილი, შური, ანგარება...), ანუ სად წარმოიშვა მოტივი? რა გახდა ყოველივე ამის მიზეზი? (იდეათა, შეხედულებათა სხვადასხვაობა, პირველობისათვის ბრძოლა, ქვეყნის განვითარების კურსის ცვლა, პროგრესის დამკვიდრების ნყურვილი,) ყველა ის ცხოვრებისეული-ადამიანური მისწრაფებანი, რამაც აქცია ის სხვა მოვლენების წინაპირობად და ა.შ. სავსებით შესაძლებელია, რომ ჯაჭვის მთავარი რგოლის კვლევისას ჟურნალისტიმა გამოარკვიოს თუ რა პროცესები (რომელთა მიზეზი არის მიმდინარე მოვლენები, ამბები) შესაძლოა მოყვეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შე-

დეგად განვითარებულ ფაქტებს, რომელიც მოცემულ ეტაპზე კანონზომიერი რეალობის შემქმნელ (ხელისშემწყობ) სიტუაციაში მოგვევლინა. „რა თქმა უნდა, ძნელია საზოგადოებრივ მოვლენათა მთელი მრავალსახეობის დინამიკის დაფიქსირება, მაგრამ სოციალური სივრცის ზემოქმედების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე, ყველაზე ანონილ-დანონილი სტრატეგიაც კი წარუმატებელი აღმოჩნდება“ (3-1). ამიტომაც ვირჩევთ რა საწყის მოვლენას, რომელიც თავისთავად ჩართულია შემდგომ მოქმედებათა „ესკალაციაში“, როგორც თევზი წყალში „პირველი მოვლენა“ ისე გრძნობს თავს და შესაბამისად ქმნის კიდევ სასურველ სიტუაციას – გარემო პირობებს იმისათვის, რომ ყოველი მომდევნო ქმედება მის მიერვე დასახულ მიზანს დაექვემდებაროს. თუ ჟურნალისტი მოვლენათა კვლევისას უნივერსალურ კავშირში განიხილავს ცალკეული მოვლენის წარმომშობ მიზეზებს, მარტივი გახდება ერთი მთლიანი რგოლის გამომწვევ გარემოებათა წარმოდგენა ანუ მთლიანი ჯაჭვის სათავეში მოქცევა და მიზანმიმართულ ქმედებათა კავშირების განსაზღვრა.

მოვლენათა შეფასების პირველი და უმნიშვნელოვანესი ნინაპირობაა გაირკვეს აღმოცენებული პროცესის საწყისი ეტაპი, ანუ საჭიროა შესაბამისი მტკიცებულებანი მყარი არგუმენტებით, გარემოებებითა და ფაქტორებით, რამაც უნდა შეგვიქმნას მკაფიო წარმოდგენა ძირითად, ამოსავალ მოვლენაზე, რომელიც თავის მხვრივ შესაბამისი სიტუაციისა და შინაარსის შემცველი ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო წყაროებზე გავვიყვანს. ჟურნალისტის პირადი განწყობა და მობილიზება, ფიქრი იმაზე თუ რა მატერიალურ და იდეურ რესურსებს უკავშირდება ეს ყოველივე, უზრუნველყოფს რეალობის როგორც შინაარსობრივი, ისე თეორიული და პრაქტიკული მოცემულობის ამოცნობას, შესწავლასა და პროგნოზირებას, რაც თავის მხვრივ განაპირობებს მონათესავე თემებისა და საკითხების (სამომავლოდ) დროული რეა-

გირების შესაძლებლობებს. „ჟურნალისტების „დიდი ნაწილი ამჯობინებს გულში ჩაიმარხოს თავისი რწმენის ზოგადი პრინციპები და საფუძვლები, ხოლო საჯარო გამოსვლებში ცდილობს, საკუთარი დასკვნები მაქსიმალურად მოარგოს თავისთვის შინაგანად მიუღებელ წანამძღვრებს, ვერ გამობრძმედს იმ ღია, უშიშარ ხასიათებსა და ლოგიკურად თანმიმდევრულ ინტელექტს, რომლებიც ოდესღაც ამშვენებდნენ მოაზროვნე სამყაროს“ (4-1). ყოველივე ეს, თავის მხვრივ მოითხოვს საკმარის ცოდნას არსებით პრობლემებსა და პირობებზე, რომლის დროსაც შეიძლება მოხდეს სიტუაციის სხვადასხვა მიმართულებით განვითარება. ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება შეისწავლოს და არგუმენტირებულად წარმოაჩინოს თეორიულად დასაბუთებული განხორციელებული თუ განსახორციელებელი გეგმები, რომელიც დასახული მიზნების მიღწევისათვის ძალზე მნიშვნელოვან გარემოებებს მოუყრის ერთად თავს, რაც ასევე საინტერესო იქნება სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის. არსებული რეალობის (სიტუაციის) „მკაცრი პირობების“ დაცვითა და გათვალისწინებით, ისე რომ მიუკერძოებლად, საფუძველშივე განისაზღვროს საზოგადოებრივი პროცესების წარმოშობის კანონზომიერება ლოგიკური, სოციალური, თეორიული, პირადი გამოცდილების საფუძველზე უნდა გამოვლინდეს ყველა ის მნიშვნელოვანი წინაპირობა (გარემოებები, ფაქტორები, დეტალები, წვრილმანები...), რომელმაც განსახილველი პროცესის წარმატებული (ან წარუმატებელი) განვითარება განაპირობა.

პროცესის შესწავლა-შეცნობა მისსავე აქტუალობაში, მასშტაბურობასა და საზოგადოებრივ ინტერესშია. ყოველივე ეს წარმოდგენილი რეალობის შინა არსში დევს და პრობლემემატიკით განისაზღვრება. არეალი, რომელიც მოიცავს სივრცობრივ თვალთახედვას, რაც განპირობებულია დროის ფაქტორით, შედგება სამი უმნიშვნელოვანესი ველის – სინტაქტიკის, სემანტიკისა და პრაგმატიკისაგან, რომელთა გა-



რეშე წარმოუდგენელია გავიგოთ პროცესების არსში წვდომის როლი და მნიშვნელობა. სწორედ აქ ჩანს პროცესის, როგორც განსაკუთრებული და გამორჩეული მუდმივად ცვალებადი ბუნების მქონე ელემენტის ფილოსოფიური სამყარო, თუნდაც მისი მიზნობრიობა და პრაგმატულობა. სინამდვილე-ფაქტი-მოვლენა-სიტუაცია, რომელიც განაპირობებს შესაბამისი პროცესის (პროცესების, მართული თუ უმართავი) წარმოშობის ხასიათს, ვიმეორებთ, მისსავე მასშტაბურობაზე მიანიშნებს, რაც უპირველესად ფართო არეალით განისაზღვრება. თუ პროცესები ხელოვნურად არის გამოწვეული, ანუ ვინმეს მიერ განერილ გეგმას ემორჩილება, ამ შემთხვევაში პროცესები მართული ხდება. მაგ. არაბული რევოლუციები, რომელმაც მომაკვდინებლად იმოქმედა ამ ქვეყნების ეკონომიკაზე, დემოკრატიულ პროცესებზე. „რეგიონალურმა რეფორმამ კი არ მოაშუშა, არამედ უფრო გაამწვავა არსებული ისტორიული უთანასწორობა“ (5-1), და ეს ყველაფერი ცხოვრების ყველა ეტაპზე აისახა. ეს დაეტყო არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, რომლის დროსაც აუცილებლად მოიშლება ტრადიციული მყარი ეკონომიკური საფუძველი ქვეყნისა: ფულის ინფლაცია, ეროვნული პროდუქციის წარმოების შეფერხება, ექსპორტის მაქსიმალურად შემცირება, არამედ ეს გადაიზრდება ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობაში, ეს კი გამოიწვევს ხელახალ საპროტესტო გამოსვლებს მასწავლებლების, ჯანდაცვის სფეროს მუშაკების, კულტურის დარგის მოღვაწეების და შესაბამისად, ქვეყანაში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა დაპირისპირებაში გადაიზრდება. საერთო ჯამში მოვლენების იმ მართულებით განვითარებას, რომელსაც, რა თქმა უნდა, შესაბამისი ხელოვნური სიტუაციები უქმნიან საფუძველს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირით ფეხდაფეხ ჰყვება ხოლმე პროცესების განვითარება. რა თქმა უნდა, იგივე შინაარსის ქმედებები, რაც მოვლენების განვითარების დროს იჩენს ხოლმე თავს, უმართავი პროცესების წარმოშობას განაპირობებს, რა-

საც პროცესების ესკალაციას უწოდებენ, (რაც გულისხმობს „მართული პროცესების“ სადავეების ხელიდან გაშვებას-ანუ გაუთვალისწინებელი გარემოებების საფუძველზე შექმნილი მძიმე ვითარების შედეგად წარმოშობილ უმართავ რეალობას). როდესაც რომელიმე პოლიტიკოსს „დანერვილი სცენარი ხელიდან გაუვარდება“ და საზოგადოება ბრბოდ გადაიქცევა. ეს ყველაფერი კარგად ჩანს სხვადასხვა ქვეყნების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, (მათ შორის საქართველოს მაგალითზეც. გავიხსენოთ გასული საუკუნის 90-იანი წლების თბილისში არსებული ვითარება), როდესაც სრულიად უდანაშაულო მოქალაქეები ერთმანეთს უპირისპირდებიან, იმართება ხელჩართული ბრძოლა, იღვრება სისხლი და ქვეყანა ზოგადად სამოქალაქო დაპირისპირების ქაობში იძირება. ამ შემთვევაშიც კი, ამ ყველაფერს აქვს თავისი ლოგიკური დასასრული ანუ პროცესის რალაც ზღვარი, როდესაც გარკვეულ ეტაპზე ეს ყველაფერი მთავრდება და საზოგადოებრივი ძალები ახალი წესრიგის შესათანხმებლად მოლაპარაკების მაგიდას მიუხსდებიან. სწორედ „უკვე ამ ფაზაში ჩანს, თუ როგორ მუშაობს ცენტრალური მმართველის სასარგებლოდ დაძაბულობანი საზოგადოების განსხვავებულ, სოციალურ ჯგუფებს შორის“ (6-1).

რა იწვევს პროცესს და როგორია მისი შინაარსი? ეს გამომდინარეობს იქიდან, თუ რა შინაარსის, რა ხასიათის მატარებელია პროცესის გამომწვევი მოვლენა. თუ მოვლენის არსს კარგად გავიგებთ და შესაბამისად კარგადაც გავაანალიზებთ, მაშინ შესაძლებელია პროცესების შესაბამისი, შესატყვისი გადანყვეტილლებების მიღება და ის ყოველთვის კონტროლს დაექვემდებარება. თუ ავცდით მოვლენათა განვითარების საზღვრებს, თუ გაგვექცა სადავეები, რომლითაც ჩვენ პროცესების გაკონტროლებას შევეცდებოდით, მაშინ პროცესები უმართავი ხდება. პროცესის არსი მოვლენის ანალიზში ანუ მის ბოლომდე ახსნაში მდგომარეობს. არ შეიძლება მოსავლის მოყვანის, ადების პროცესის შეჩერება ან გადა-

დება იმის გამო, რომ ქვეყანაში ფულის ინფლაცია ან სანვავის ნაკლებობა, ან ახალი ტექნიკის შეძენა საჭირო. მოსავლის აღების პროცესი შემოდგომაზე იწყება, მაგრამ დავაკვირდეთ საიდან იღებს სათავეს ეს ყველაფერი? ადრე გაზაფხულიდან, როდესაც გაზაფხული დგება, მინა თბება და ბუნება მზადაა ახალი სიცოცხლის დასაწყებად. ანუ ბუნებრივი მოვლენები ამ შემთხვევაში თანმხვედრია ადამიანური სურვილებისა თუ მცდელობებისა. ნიადაგის დამუშავებას და სათესლე მასალების დათესვას, შედეგად მეორე ეტაპი მოჰყვება ხოლმე, ამის შემდეგ კი იწყება ისევ შემდგომი ეტაპი – ანუ აღმოცენება თესლისა, ამის შემდგომ კი ისევ შემდგომი ეტაპი – ზრდის დასრულება, ნაყოფის აღმოცენება, დამწიფება ანუ ეს მოვლენები საფუძველს, ნიადაგს ამზადებს საბოლოო დასკვნითი პროცესისათვის. მაგრამ პროცესი დასრულებადი არასდროს არაა. ეს არის მხოლოდ ერთი ეტაპის დასასრული და შემდგომ კი პროცესი ახალი განვითარებისათვის ემზადება... თუ ჩვენ ამ ყველაფერს ხელს შევუშლით და არ შევქმნით ნოყიერ ნიადაგს და ხელს არ შევუწყობთ ამგვარ სინამდვილედ გარდაქმნათ რეალობა, შედეგად მოჰყვება ხოლმე ახალი იმედგაცრუება: დაუხნავ-დაუთესავი მიწები, სოფლების დაცარიელება, უკიდურესი გაჭირვება და სიღატაკე, მუშახელის საზღვარგარეთ გადინება ოჯახების გამოიკვების მიზნით – ლუკმა-პურისა და სარჩო-საბადებლის საძებრად, სოფლების მოშლას სკოლების, სხვა დაწესებულებათა მოშლა და საბოლოო ჯამში ეს „ხელოვნური“ პროცესი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ განხორციელდება, რაც შესაძლოა სახელმწიფოს ფუნქციების მოშლას გამოიწვევს, ერი გადაშენებას დაიწყებს: მამა-პაპისეულ ადგილებს უცხოტომელები დაეპატრონებიან, მიტოვებულ სოფლებში გადამთიელები ჩამოსახლდებიან, საბოლოო ჯამში ცნება – სამშობლო, მინა, მამული, ოჯახი, ადგილის დედა – აზრს დაკარგავს და პიროვნებისათვის მთავარი ღირსება ლუკმა-პურის შოვნა იქნება მხოლოდ. ეს უკვე უმართავი

პროცესია.

განვიხილოთ მაგალითები: გაზეთი „კვირის პალიტრა“, 19-12-2011, ხათუნა პაიჭაძის პუბლიკაციიდან „გამოცხადებული ომი თავისუფალი პრესის წინააღმდეგ, გამოუცხადებელი არჩევნების წინ!“

„ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღისთვის თბილისში არსებულ პრესაზე სპეციალიზებული 140-150 ჯიხურიდან სულ რამდენიმელა იქნება დარჩენილი და მათაც, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე აიღებენ. დამოუკიდებელ მედიას მძიმე დროება დაუდგა. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, თითოეული ჩვენგანი ამ სიმძიმეს სულ უფრო ნათლად გრძნობს. ჩვენთვის, დამოუკიდებელი მედიის ჟურნალისტებისთვის, დიდი ხანია საჯარო ინფორმაციის მოპოვებაც კი უდიდეს ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ახლა საფრთხე უკვე ამ მძიმე შრომით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებას ემუქრება. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, საფრთხე მით რეალური და ხელშესახები ხდება. პოლიტიკურ კრიზისში მყოფმა ხელისუფლებამ ბრჭყალები გამოაჩინა და დამოუკიდებელ მედიას აშკარა ომი გამოუცხადა.“

თვალი გავადევნოთ როგორ გადმოსცემს ჟურნალისტი არსებულ ვითარებას, როგორი თანამიმდევრობით ხსნის მიმდინარე მოვლენებს და როგორ ცდილობს აჩვენოს კიდევ რა შეიძლება მოყვეს შედეგად მოვლენათა ამგვარ განვითარებას. ჟურნალისტი იწყებს პირველ რიგში დამოუკიდებელი მედიის მძიმე დროებაზე საუბარს, შემდგომ გადადის მოახლოებულ არჩევნებზე, ხაზს უსვამს დამოუკიდებელი მედიის ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციის მოპოვებისათვის უდიდეს ძალისხმევას და ამ ჩამონათვალით ანუ ასეთი თანამიმდევრობით ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებს მკითხველს ახალი, უფრო მძიმე და აუტანელი მოსალოდნელი საფრთხის გაცნობისა თუ გაცნობიერებისათვის, რაც უმძიმესი შრომის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებას შესაძ-

ლოა დაემუქროს, რომ ეს ყველაფერი უფრო მძიმდება „პო-ლიტიკურ კრიზისში“ მყოფი ხელისუფლების გამო და ა.შ. თვალი გავადევნოთ დეტალებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მოვლენების ამგვარ განვითარებას:

**დამოუკიდებელი მედია-----მოახლოებული არჩევნე-ბი-----საჯარო ინფორმაცია-----გავრცელების შეზღუდ-ვა...**

თითოეული დეტალი თავის მხვრივ, კოლოსალურ შრო-მასა და ენერგიას მოითხოვს: თუ გავითავისებთ, რას ნიშნავს თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია, ნათელი გახდება მისი შენარჩუნებისათვის რა ტიტანური შრომაა საჭირო, რო-მელიც თავის მხვრივ გადის გონებრივ, მატერიალურ და ტექნიკურ წნეხს, რომელსაც ყველა ვერ დაძლევს, ვერ გადა-ლახავს...

მოახლოებული არჩევნები---რომელიც ნებისმიერ ეპო-ქაში, ნებისმიერი დონის ხელისუფალთათვის ყველაზე მტკიცვეული და „ცხელი“ წერტილია...

საჯარო ინფორმაცია----ნებისმიერი ინფორმაცია სა-ჯაროა, გარდა კონფიდენციალურისა, (რომელიც ეხება სა-ხელმწიფო საიდუმლოებებს, ლახავს პიროვნების პირად ღირსებასა და ინტერესებს), მაგრამ მისი მოპოვება ძალზე რთულია. რატომ? არავის არ აქვს სურვილი, არც ერთ ჩი-ნოვნისა თუ სახელმწიფო მოხელეს მასზე „მონიტორინგი“ განახორციელონ და საზოგადოებას დაწვრილებით მოუთ-ხრონ თუ რას და როგორ საქმიანობს...

გავრცელების შეზღუდვა... პირდაპირი მნიშვნელობით მედიის მოგუდვას ნიშნავს. ანუ მას ვართმევთ იმ უფლებას, რაც მის ბუნებაში დევს. სრულიად ბუნებრივია, რეაქციაც შესაბამისი რომ ჰქონდეს...

დეტალების ამგვარი ანალიზი გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება ანუ დამო-უკიდებელ მედიაზე ზემოქმედების მკაცრი ბერკეტები ადრე თუ გვიან შესაბამის უკურეაქციას, უკუპროცესს გამოიწვევს

და შედეგებიც სავალალო გვექნება. (პირველი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ქმნის სასურველ სიტუაციას მოვლენების შემდგომი განვითარებისაკენ. **პირველი რგოლი**)

„დამოუკიდებელ მედიაზე, განსაკუთრებით კი პრესაზე, იერიში პირველად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიტანა. მან ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას წარმოუდგენელი რამ ბრძანა: საშინელი ქართული გაზეთების კითხვა არ ღირსო და საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოუწოდა, მათი გამონერა შეწყვიტათ. მალე ასეც მოხდა, ბევრმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ შეწყვიტა იმ გაზეთების გამონერა, რომლებიც სახელისუფლებო მედიის სიაში არ მოიაზრებოდნენ, ხოლო დეპუტატები და სახელმწიფო მოხელეები ერთხანს გაზეთებს პიჯაკის ქვეშ საგულდაგულოდ მალავდნენ“.

გავყვეთ პუბლიკაციას: პრეზიდენტი მოუწოდებს საბიუჯეტო ორგანიზაციებს აღარ გამოიწერონ გაზეთები, ხოლო დეპუტატები გაზეთებს პიჯაკის ქვეშ მალულად კითხულობენ.

პრეზიდენტის მოწოდება-----საბიუჯეტო ორგანიზაციები---ინფორმაციის მალულად გაცნობა...

პრეზიდენტის მოწოდება, რომელიც თავიდანვე ნეგატიური მუხტითაა გაჟღენთილი, ძალზედ უარყოფითად აისახება არა მხოლოდ პრესის მესვეურთა მხრიდან, არამედ იმ ორგანიზაციების მხრიდანაც, ვის მიმართაც არის ამგვარი მოწოდება და შესაბამისად ეს ზრდის იმავე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანების უარყოფითი დამოკიდებულების ხარისხს თუნდაც პრეზიდენტისადმი. „ჟურნალისტებს სრული უფლება აქვთ წერონ კანონდარღვევების შესახებ და სასაცილოდაც კი აიგდონ ნებისმიერი ადამიანი, განსაკუთრებით, თუ ის ოფიციალური პირია“ (8-1). ამას ემატება იმ დეპუტატების უარყოფითი მუხტიც, რომლებიც გაზეთებს პიჯაკის ქვეშ მალულად კითხულობენ და აქვთ სურვილი, გაეცნონ პრესაში დაბეჭდილ ინფორმაციას

ქვეყანაში მიმდინარე ვითარებასთან და ზოგადად გაიგონ რა ხდება არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოშიც. (მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ქმნის სასურველ სიტუაციას მორიგი ახალი მოვლენის წარმოსაქმნელად, **მეორე რგოლი**).

ჟურნალისტი ცდილობს ამგვარ მოვლენათა წარმომშობ მიზეზებს ახსნა მოუძებნოს ანუ იქიდან დაიწყოს, საიდანაც ნამოვიდა ამგვარ ქმედებათა აუცილებლობა, რატომ გაჩნდა ზოგადად საჭიროება იმისა, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას სერიოზული საფრთხეები შექმნოდა? რა ფაქტორებმა განაპირობა? რა დეტალებმა წარმოშვა იგი? რა გარემოებებმა უკარნახა ხელისუფლებას ამგვარი ნაბიჯის გადასადგმელად? ვინ იყო ამ ყველაფრის ორგანიზატორი? „სიმართლე რთული და ხანდახან წინააღმდეგობრივი ფენომენია, მაგრამ, რადგან ის შეიძლება დროში განელილ პროცესად მივიჩნიოთ, ჟურნალისტს მისი აღქმა შეუძლია“ (9-1). ცხადია, ამ ყველაფრის მიზეზი იყო საშიშროება იმისა, რაც მოყვებოდა ხელისუფლების ამგვარ დამოკიდებულებას საზოგადოების მხრიდან. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ჯაჭვური რგოლი მიმდინარე მოვლენებში... ხელისუფლება, რომელიც გრძნობდა აშკარა საშიშროებას მოძალებული თავისუფალი პრესის გამო, როდესაც ხალხს ყველაფერი დროულად და ოპერატიულად მიეწოდებოდა მათსავე ჩადენილ „საგმირო საქმეებზე“, რომელსაც ადექვატური რეაქცია მოყვებოდა საზოგადოების მხრიდან, ქმედითი ღონისძიებების გატარებას ისახავდა მიზნად. რა ნაბიჯები უნდა გადაედგა ხელისუფლებას? რა თქმა უნდა მათი მხრიდან თითქოსდა ადექვატური, მაგრამ ამ ყველაფერს პირუკუ რეაქცია მოჰყვა პრესის გამავრცელებელთა მხრიდან: „მასშტაბური ბრძოლა პრესასთან 2009 წელს დაიწყო, აგრძელებს ავტორი და დასძენს, რომ ერთ-ერთი „მნიშვნელოვანი რეფორმა“, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მოსულმა ხელისუფლებამ გაატარა, დედაქალაქის ცენტრალური უბნე-

ბიდან პრესის გამავრცელებელი ჯიხურებისა და სტელაჟების აღება იყო. თურმე, ისინი თბილისს ამახინჯებდნენ“.

მოვლენები ჯაჭვური რეაქციით ანუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საფუძველზე იწყებენ განვითარებას. სწორედ ამის შედეგი იყო ხელისუფლების მხრიდან პრესის გამავრცელებელი ჯიხურებისა და სტელაჟების აღება, (ანუ ჯაჭვის მერამდენე რგოლია აღნიშნული პრობლემა, რომელიც მოვლენების განვითარების მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს?) ნათელი შეიქნა, რომ სტელაჟებისა და ჯიხურების აკრძალვა ჟურნალ-გაზეთების რეალიზაციაში ხელის შეშლას ისახავდა მიზნად.

ბუნებრივია, რაც უფრო ნაკლებია სარეალიზაციო პუნქტი, მით ნაკლებია ტირაჟი, რაც ნაკლებია ტირაჟი, მით ნაკლებია შემოსავალი. მოვლენების განვითარებაში მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელმაც განაპირობა აღნიშნული პრობლემის განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა: (1)სარეალიზაციო პუნქტების ნაკლებობა განპირობებულია (2) დაბალი ტირაჟით, შესაბამისად ნაკლები ტირაჟი (3)მცირე შემოსავალს გულისხმობს, ეს კი ასახვას პოულობს მედიის (4)განვითარების შესაძლებლობებზე... ეს არის მესამე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ქმნის სასურველ სიტუაციას პროცესის წარმოსაქმნელად... (მესამე რგოლი). ეს ყველაფერი თავისუფალი მედიის განვითარების შესაძლებლობას კლავს და იძულებულს ხდის, რალაცაზე ან ვილაცაზე იყოს დამოკიდებული. მოვლენათა შემდგომი განვითარების სიტუაციური ანალიზი, როდესაც სიტუაცია კი არ მიჯნავს ფაქტებს ერთმანეთისაგან, არამედ კიდევ უფრო საინტერესო სურათს ქმნის მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის. ანუ ადგილი აქვს მთლიანი მოქმედების სურათის მნიშვნელობის შესახებ გარკვევის მცდელობას, რაც იძლევა საშუალებას სხვადასხვა გარემოებათა საფუძველზე წარმოშობილი რეალობა



მოვლენის ერთ მთლიან კონკრეტულ რგოლად გარდაიქმნას და რაღაც ეტაპზე მნიშვნელოვან პროცესში გადაიზარდოს: „ამას კი მედიის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ამ ამბავში დროულად ჩაერია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი. (ახალი პროცესის სანყისი, პირველი ეტაპის დასაწყისი, როდესაც დინამიკური ქმედება სტატიკურად ხელოვნურად გარდაიქმნება. პროცესის დასაწყისი, როცა ფაქტისადმი ინტერესი და მასშტაბები იზრდება, ანუ ისეთი მდგომარეობაა, როდესაც დრო და სივრცე განუყოფელი ხდება, რეალობა განსაკუთრებულ კულმინაციურ სიმაღლეს აღწევს და შექმნილი სიტუაცია აუცილებელ, ქმედით რეაგირებას საჭიროებს) და ხელისუფლებამ მაშინ „უკან დაიხია: - განაცხადა, ტენდერი გამოცხადდება და ვინც საუკეთესო დიზაინის ჯიხურებს შემოგვთავაზებს, ჟურნალ-გაზეთების პრესტიჟულ ადგილებზე გაყიდვის უფლებასაც ის მიიღებს. (მორიგი ახალი პროცესის განმსაზღვრელი დეტალები, ფაქტორები, გარემოებები...(პროცესის პირველი ეტაპის ანუ დინამიკური ქმედების სტატიკურში ხელოვნურად გადატანის მცდელობა, რომელიც არა თუ განმუხტავს სიტუაციას, არამედ უბიძგებს კიდევ შემდგომი ესკალაციისაკენ) – „პრესის გამავრცელებლებმა იმუშავეს და მერიას ჟურნალ-გაზეთების ჯიხურების დიზაინის რამდენიმე ნიმუში და იმ ადგილების სია წარუდგინეს, სადაც ჯიხურების დადგმას მოისურვებდნენ. [1]-მერიის დაპირება ტენდერზე გაჭიანურდა, ჩვენ კი სულ მალე გასაკვირი ამბის მოწმენი გავხდით: ერთ მშვენიერ დღეს, უტენდეროდ და უკონკურსოდ, თბილისის ქუჩებში, მათ შორის იქაც, სადაც ადრე სხვა გამავრცელებლების ჯიხურები იდგა, ხელისუფლებასთან დაახლოებული ფირმის, პრესის სარეალიზაციო (თუმცა, მოგვიანებით როგორც გაირკვა, ისინი სულ სხვა მიზნით, ე.წ. გარე რეკლამისთვის და ლატარიის ბილეთების სარეალიზაციოდ იყო განკუთვნილი) [2]-ახალი ჯიხურები გამოჩნდნენ, ასევე ახა-

ლი [3]-გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ სარეკლამო ბანერებით, თანაც სწორედ [4]-იმ დიზაინით, რომელიც მერიას გამავრცელებლობა წარუდგინეს და სწორედ [5]-იმ ადგილებში, რომლებიც პრესის გამავრცელებლობა თავიანთ პროექტში მიუთითეს(?)“. წარმოდგენილი დეტალები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად ამწვავებენ ვითარებას, აჩვენებენ ხელისუფალთა უნიათო, გაუთვლელ და აბუჩადამგდებ დამოკიდებულებას, რაც პროცესის შემდგომი განვითარებისაკენ, ანუ ესკალაციისაკენ არის მიმართული...(პროცესის შემდგომი ეტაპის ანუ დინამიკური ქმედების სტატიკურში ხელოვნურად გადატანის მორიგი, წინდაუხედავი მცდელობა, რომელიც არა თუ განმუხტავს სიტუაციას, პირიქით უბიძგებს კიდევ შემდგომი ესკალაციისაკენ).

„როგორც ჩანს, უგულავას კანტორაში იფიქრეს, რაღა ჩვენ ვიმუშაოთ დიზაინზე, პრესის სარეალიზაციოდ მომგებიანი ადგილების შერჩევაზე ვიტყხით თავი, პრესის გამავრცელებლებს დავპირდეთ ყველაფერს, საქმე გავაკეთებინოთ და მერე „გადავადგოთ“. ასეც მოხდა, მაგრამ მერიის ახალი პროექტი, რომელიც იმთავითვე პრესის გავრცელების მონოპოლიზაციისა და შემდეგ დამოუკიდებელი პრესის ჩასაძირად წამოიწყეს, სამარცხვინოდ ჩაფლავდა. ვერც ახალი გაზეთი „პრაიმ ტაიმი“ გახდა ქართული პრესის ლიდერი და ვერც „ვაი დისტრიბიუშენის“ ჯიხურები პრესის გამავრცელებელთა ფლაგმანი...“ – (ხელისუფლების ამდაგვარმა დამოკიდებულებამ საზოგადოების მხრიდან გააჩინა მრავალი ახალი ტერმინი--კანტორა, ჯიხურები პრესის გამავრცელებელთა ფლაგმანი) პრესის ასოციაციის ინიციატივით, გამომცემლობებმა ამ ჯიხურებში საკუთარი გაზეთები არ შეიტანეს!“... (პროცესი გრძელდება. ხელისუფლების მხრიდან გადადგმულ ამგვარ ნაბიჯებს დღითი-დღე უარყოფითი შედეგები მოაქვს. თვალის გადადევნოთ მოვლენათა შემდგომ მსვლელობას, ანუ სიტუაციას, რომელიც ახალი პროცესის

ნარმოშობისათვის ინყებს ბრძოლას).

„რადგან ეს შეტევა არცთუ ეფექტური აღმოჩნდა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ცალ-ცალკე მოეველო მედიასამუშაოებისთვის და ყველაზე წარმატებული, დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციისთვის – „პალიტრამედიას“ ექვს ორგანიზაციაში ერთდროულად (როგორც გვარნმუნებდნენ, ლოტოტრონის პრინციპით) საგადასახადო სამსახური შევიდა და ძირფესვიანი საგადასახადო შემომნება დაიწყო“...

პროცესი გრძელდება, ანუ ეს არის პროცესების შემდგომი ესკალაცია, როცა სადავეების ხელიდან „გაშვება“ ხდება, როცა უკვე ე.წ. განერილი, ხელოვნური გეგმა მოქმედებებისა აღარ ამართლებს და თავად სიტუაცია და შექმნილი ვითარება განაპირობებს შესაბამის ქმედებას ანუ თავად აიძულებს ხელისუფლებას მის შესაბამისად მოქმედებას და არა მათ(ანუ ხელისუფლების გეგმის მიხედვით მოქმედებას). „თუმცა, სასურველი ნაყოფი ვერც ამ შემომნებამ გამოიღო, – დიდი მცდელობის მიუხედავად, საგადასახადო სამსახურმა „პალიტრამედიაში“ სერიოზული დარღვევები ვერ იპოვა“...

პროცესის შემდგომი ეტაპის ანუ დინამიკური ქმედების სტატიკურში გადასვლა არსებული სიტუაციიდან, რეალური ვითარებიდან გამომდინარეობს. დინამიური ქმედების სტატიკური რეალობით ჩანაცვლება პროცესის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის დასასრულია. მაგრამ ხშირად პროცესები არ არის მუდმივად სტატიკური. ნებისმიერმა პროცესმა შესაძლოა კვლავაც იჩინოს თავი ადრე თუ გვიან, რაც დამოკიდებულია თავად პროცესის არსის (ფაქტის) მნიშვნელობასა და შინაარსზე, ანუ ინტერესთა არეალზე. ყოველივე ამას დიდი ყურადღება და ანალიზი ჭირდება ჟურნალისტების მხრიდან, რადგან „არ შეიძლება, ფაქტების საეჭვო ინტერპრეტაცია. მეტიც, ფაქტებით მანიპულირებამ შესაძლოა გამოიწვიოს არაზუსტი ან არასწორი ინფორმაციის გავრცელება...“(10-1).

„დამოუკიდებელ მედიაზე პერიოდულ შეტევებს თითქმის შევეჩვიეთ, მაგრამ ისეთი აშკარა და აგრესიული თავდასხმა, როგორც ხელისუფლებამ ერთი თვის წინ წამოიწყო, ჯერ არ ყოფილა. ამჯერად ხელისუფლებამ თავისუფალ მედიაზე ახალ შეტევას „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა“ დაარქვა. სწორედ ამ საფარქვეშ დაიწყო თბილისის მერიამ დედაქალაქში პრესის ჯიხურების აღება. ამ „დიადი პროექტის“ მიხედვით, ქალაქში არსებული „ძველი და უსახური“ ჯიხურების ნაცვლად ახალი, თანამედროვე დიზაინის ჯიხურები დაიდგმება. საქმე ის არის, რომ ამ დროისთვის პრესის ჯიხურების განთავსების ნებართვის ვადაც ამოიწურა. მართალია, ვადის გახანგრძლივების თაობაზე გამავრცელებლებმა მერიას ჯერ კიდევ თვეების წინ არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. მერიამ „ელვასერვისს“, „პლანეტა ფორტეს“ და „მაცნეს“ ჯიხურების დიზაინი დაუნუნა და ახალ სავაჭრო ჯიხურებზე აუქციონი ქალაქის მასშტაბით 1000 ადგილზე გამოაცხადა. ჯიხურების ფასები აუქციონზე იმდენად მაღალი იყო, რომ ცხადი გახდა, ჯიხურში სოლიდურ თანხაგადახდილი მფლობელი იქ გაზეთების გავრცელებას ნამდვილად არ მოინდომებდა, თუნდაც მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თუ პრესას პატარა ჯიხურში თვალსაჩინოდ გამოფენ, სხვა პროდუქტისთვის ადგილი ფაქტობრივად აღარ დარჩება. უკვე ცნობილია ისიც, რომ ჯიხურების ახალ მეპატრონეებს იქ ძეხვეულის, კვერცხისა და სხვა საკვები პროდუქტების რეალიზაცია აქვთ დაგეგმილი...“ (პროცესის შემდგომი ეტაპის ანუ დინამიკური ქმედების სტატიკურში გადასვლა ნაკარნახევია არსებული სიტუაციიდან, რეალური ვითარებიდან; დინამიური ქმედების სტატიკური რეალობით ჩანაცვლება პროცესის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის დასასრულია).

„ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღისთვის თბილისში არსებულ პრესაზე სპეციალიზებული 140-150 ჯიხურიდან სულ

რამდენიმელა იქნება დარჩენილი და მათაც, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე აიღებენ. მოდის ინფორმაციები, რომ იმავე მეთოდით ჯიხურების აღება ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც იგეგმება“...

პუბლიკაციის დასასრულს ამკარად იგრძნობა განვითარებული მოვლენების შედეგად „მიღწეული კანონზომიერი“ პროცესის სტატიკური ეფექტი. რაც იმას ნიშნავს, რომ პრესის გამავრცელებელთა მხრიდან მოთხოვნებმა ხელისუფლების მიერ „დროული რეაგირების“ შედეგად მოვლენების განვითარების კონკრეტულ ეტაპზე განაპირობა ისეთი რეალობა, როდესაც ორივე მხარე, მიუხედავად პოზიტიური ან ნეგატიური შედეგებისა, ქმედითი ღონისძიებების გატარებას აღარ აპირებენ. ანუ პროცესი ერთგვარად, თავისი განვითარების კონკრეტულ ეტაპზე დინამიკური ქმედებიდან სტატიკურში გადავიდა ანუ შეწყდა, შეიძლება ითქვას, ხელოვნურად დაკონსერვდა, შეჩერდა. თუმცა ყველას კარგად ესმოდა, რომ ეს პროცესი ადრე თუ გვიან ისევ შეახსენებდა თავს ორივე მხარეს, მაგრამ მოცემულ ეტაპზე ხელისუფლებამ დროული რეაგირება მოახერხა, სიტუაცია თავის სასარგებლოდ წარმართა და შესაბამისად პროცესის შემდგომი განვითარებაც მის „სასარგებლოდ“ დასრულდა. „რატომ? ...ჩვენ ძირეულად ვიკვლევდით საკითხებს, მაგრამ ძალიან ცოტას ვსაუბრობდით ხალხზე. ჩვენ მკითხველებს უფრო ინფორმაციას ვაწვდიდით, ვიდრე ვესაუბრებოდით, მათში ინტერესს ვაღვიძებდით ან ჩვენს სტატიებში ვითრევდით. ჩვენ მივიღეთ გამოცდილება, რომ უნდა შევწყვიტოთ ბრალდებების ხატვა და ამბების მოყოლა უნდა დავიწყოთ. ეს დიდი გამოწვევა და დაუსრულებელი ბრძოლა“(11-1). რამდენ ხანს გასტანდა ეს ყოველივე, დამოკიდებული იყო იმაზე, სადამდე გაძლებდა პრესის მესვეურთა და საზოგადოების გულისწრომა თუ ნებისყოფა...ეს კი იმის მანიშნებელია, რომ პროცესი თავის შესაძლო სასურველ განვითარებას შესაბამის სიტუაციაში კვლავ გააგრძელებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მამარდაშვილი, ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში, თბ., 2013, გვ.195
2. ი. ჰაბერმასი, შემეცნება და ინტერესი, ქუთ., 2003, გვ.123
3. მ. მაცაბერიძე, პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2003, გვ.205
4. ჯ. სტიუარტ მილი, თავისუფლების შესახებ, თბ., 2010, გვ.81
5. რ.დ. პატნემი, როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, თბ.2006, გვ.74
6. ნ. ელიასი, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, წიგნი-II, თბ., 2008, გვ.199
7. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 19-12-2011
8. ჯ.მ. ჰამილტონი, ჯ. კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას, თბ., 2004, გვ.234
9. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ.2006. გვ.52
10. ტ. რეპკოვა, ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში, თბ., 2011. გვ. 140
11. ბრენტ ჰიუსტონი, ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო, მე-5 გამოცემა, თბ., 2009, გვ. 95

## IV-3

### ადამიანური ფაქტორი

ადამიანური ფაქტორი ბევრადაა დამოკიდებული იმ უნარსა და პიროვნულ შესაძლებლობებზე, რომელთა ერთობლიობა პიროვნების, კონკრეტული პირის ფსიქოტიპაჟს გამოკვეთს სხვა დანარჩენებისაგან და საზოგადოების ყურადღებაც მათი მიმართულებით მიიმართება ხოლმე. საჭიროა ამ მთავარ მახასიათებელთა ცოდნა და შესაბამისად ყურადღების გამახვილება ჟურნალისტების მხრიდან ამ საკით-

ხებზე. მსგავსი გამოკვეთილი უნარები და შესაძლებლობები შეიძლება ახასიათებდეს პოლიტიკოსს, მსახიობს, ან სხვა ვინმე ისეთ პიროვნებას, რომელიც გამოიჩინა ნიჭიერებით, მიზანმიმართულობით, ანუ იმ ძირითადი თვისებებით, რაც გარშემომყოფებს მისდამი ცნობისმოყვარეობითა და პატივისცემით განაწყობს. „უნარი ადამიანის თანდაყოლილი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობა, პოტენციალი. ადამიანის უნარების საფუძველს ქმნის გარკვეული თანდაყოლილი ნასახები, კერძოდ, ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები, ნერვული სისტემა, მემკვიდრეობითი თავისებურებები და ა.შ. უნარი მხოლოდ შესაძლებლობის, მხოლოდ პოტენციის სახითაა მოცემული. ხოლო უნარის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიეცემა ადამიანს ამ უნარის განვითარების შესაძლებლობა (მაგ. შესაბამისი წვრთნა, ცხოვრების პირობები და მოთხოვნები და სხვა)“ (1-1). ასეთი ადამიანები ყოველთვის ცდილობენ არ გახდნენ სხვისი ქცევებისა და ქმედებების მსხვერპლნი, შეინარჩუნონ ის ორიგინალური მახასიათებელი, რომლის შედეგადაც აშკარაა საზოგადოების მხრიდან მათდამი გამორჩეული ყურადღება და ინტერესი. ამ ხასიათის ადამიანები ცდილობენ ყოველთვის ყურადღებითა და სიფრთხილით გამოიჩინონ და შესაბამისად თავიანთ ქცევებს ვითარებისა და რეალობის შესაბამისად წარმართავენ. პუნქტუალურობა, რომელიც მათ უქმნის საქმიანი და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებულის იმიჯს, მათი ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. ასეთი ადამიანებისადმი საზოგადოების მხრიდან გამორჩეული ყურადღება განპირობებულია ასევე კარგი საუბრის ტონითა და მანერით, რომელიც მის საუბარსა და მეტყველებას ძალზე სასიამოვნოს ხდის და აიძულებს თვით მოწინააღმდეგეთაც მოუსმინონ მას და ბევრი რამ ისწავლონ კიდევ მისგან. გამორჩეული ყურადღება იმ სიტყვებისა და ზოგადად იმ ლექსიკური მარაგისადმი, რომ-

ლებითაც ისინი საზოგადოებას მიმართავენ, დამაჯერებელი, ლოგიკური და თანამიმდევრული საუბარი, განსაკუთრებით საინტერესოა და სასიამოვნო, ტოვებს ყოველთვის მაღალ შთაბეჭდილებას და ასეთი აზრი უმეტესად ქცევებითაც გამოიხატება – ხელის მოძრაობა, სახის მობრუნება, თვალებში შემოხედვა – საზოგადოების მხრიდან კიდევ უფრო მეტად საინტერესოდ და სასიამოვნოდ აღიქმება. ქმედებები, როგორც ის იქცევა და გამოხატავს თუნდაც ყესტებით, ძალიან ამაღლებს მას საზოგადოების თვალში. ასეთ ადამიანებს გააჩნიათ წარსულისა და შეცდომების ანალიზის უნარი. საჭიროების შემთხვევაში ისინი არასდროს გაურბიან პასუხისმგებლობას, რაც კიდევ უფრო მეტად მიანიშნებს მათს დიდ პიროვნულ შესაძლებლობებზე. მათ კარგად ესმით, რომ „ყველაზე დიდი მოთხოვნილება ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებაა“ (2-1). ცნობილი სახეები გამორჩევით სცემენ პატივს მეხსიერების, აზროვნებისა და ფიზიკური ძალის მუდმივ განვითარებას. მათ ძალიან კარგად ესმით, რომ მეხსიერების მაღალი დონე ბევრი სასიკეთო საქმის განმსაზღვრელია და საზოგადოების თვალში პოზიტიური ენერჯის მომტანი. მეხსიერება, რომელიც ასევე აზროვნებისა და ფიზიკური შესაძლებლობების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, კიდევ უფრო მეტად საინტერესო და სასიამოვნოა მსმენელთათვის. ადამიანები დაუოკებელი ბრძოლის ნყურვილითა და ჟინით არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ ამას ყველა როდი ახერხებს. მსგავსი ხასიათის ადამიანები სხვა მნიშვნელოვან შესაძლებლობებთან ერთად ცდილობენ არასდროს შეიქმნან დაღლილობისა და გადატვირთულობის განცდა, მიუხედავად ხანდახან მართლა არადამიანური დატვირთვისა. ისინი ყოველთვის არიან მზად იმისათვის, რომ ღირსეულად უპასუხონ გამონვევებს და გამოამყლავნონ ბრძოლის დაუოკებელი სურვილი და მზადყოფნა. ბევრი ოპონენტი ხშირად ამიტომაც ამბობს უარს შეენინა აღმდეგოს საჯაროდ და დაუნუნოს მათ ამგავარი ქცევა ან გამონათქვამი, რადგანაც კარგად ეს-



მით რომ მარცხი გარანტირებული აქვთ. საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევიან პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, რომელთა აზროვნების წყაროს წარმოადგენენ არა სიტყვები, არამედ – სიტუაციები. ისინი პრაქტიკული აზროვნების წყალობით ფლობენ უნარს, რომელსაც წარმატებები, სახელი და დიდება მოაქვს... ამ ორი კატეგორიის ადამიანთა პრაქტიკული აზროვნება „მაშინ არის კიდევ უფრო მეტად ეფექტური, როცა პიროვნებას ქარიზმა გააჩნია, როცა მისი სიტყვა, მზერა და მოქმედება ხიბლავს თანამებრძოლებს, თანამდევ მასას“(3-1). ქარიზმა, რომელსაც ისინი ფლობენ საუკეთესო რესურსია საზოგადოების წინაშე ყველაფერი ისე წარმართონ, რომ მათ იმიჯს მხოლოდ პოზიტივი შემატოს. ამ ხასიათის ადამიანებს ყოველთვის ძალუძთ გაუმკლავდნენ საკუთარ ემოციებს, არასდროს აჩვენონ საზოგადოების ფართო ფენებს საკუთარი სახის დაკარგვა, მდგომარეობიდან გამოსვლა. თვით უმძიმესი კრიტიკული სიტუაციის ჟამსაც კი შეუძლიათ თავი ხელში აიყვანონ და ბოლომდე აკონტროლონ საკუთარი ემოციები და შესაბამისად ქცევებიც. მათ მთავარ მახასიათებელ ფაქტორებზე საუბრისას უნდა გამოიყოს ასევე ყველაზე მთავარი, ანუ ისეთები, რომელთა საშუალებითაც ცდილობენ მაქსიმალურად მოახდინონ ზეგავლენა საზოგადოებაზე და ჰქონდეთ ავტორიტეტი. ეს მათი არჩევანია და ისინი ამისათვის თავს არ ზოგავენ, თუმცა შედეგი ამაღ ნამდვილად ღირს.

### **ლიტერატურა:**

1. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. – თბ., 2008
2. პ.ბრეგი, შიმშილობის სასწაული, თბ.1991, გვ.190
3. ს.სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, თბ., 2012, გვ. 96

## სიტუაცია

სიტუაცია ფაქტების, პროცესების, მოვლენების წარმოშობის, განვითარების, მასზე თვალის გადავხედვის რეალური სურათი და საშუალებაა. იგი შესაძლებლობას გვაძლევს დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ რა სიტუაციაში, რა ვითარებაში მოხდა ან ხდება მოქმედება. ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც შესაძლოა სიტუაციური ანალიზის გაკეთება, თუ როგორ და რანაირად გაჩნდა და დაიბადა ფაქტი, მოვლენა, პროცესი, რამ შეუწყო ან რა უწყობს ხელს ამა თუ იმ კონკრეტული რეალობის გამოვლინებას, ანუ წარმომშობი მიზეზების გამოვლენის (გარკვევის) საშუალება ყველა მიმართულებით (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) და უპირატესად მიმდინარე, მსვლელობის დროს. ამიტომაც სიტუაცია ძირითადად არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეში, მანძილში ასოცირდება. უფრო ზუსტად კი დროში, სივრცესა და მანძილში ერთნაირად ანალიზდება და მისთვის წარსული და ახლანდელი ერთი მთლიან მომავალ მოცემულობად ყალიბდება. სიტუაცია არსებული რეალობის, ვითარების არსებობის, განვითარების შეცვლის ან მისი შენარჩუნებისათვის შექმნილი პირობების ერთობლიობაა, რომელიც გარემოებას, მდგომარეობას აღნიშნავს. ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით: მოულოდნელი წარმატება, უბედური შემთხვევა, ექსტრემალური სიტუაცია, ავადმყოფობა... ამდენად, სიტუაციაზე კონტროლის დაწესებით, დაკვირვებითა და სწორი ანალიზით ხშირად შესაძლებელი ხდება მართვადი გავხადოთ ის და დავუქვემდებაროთ სასურველ რეალობას – ჩვენს მოთხოვნილებით შესაძლებლობებს. თუმცა არის როგორც კონტროლირებადი, ასევე არაკონტროლირებადი, ანუ პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი სიტუაცია. სიტუაცია ასევე შეიძლება იყოს: უხერხული, უწყინარი სიტუაცია, საგანგებო სიტუაცია,

კურიოზული სიტუაცია, დაძაბული სიტუაცია, ავარიული სიტუაცია, გამოუვალი სიტუაცია, ჩვეულებრივი სიტუაცია, იდეალური სიტუაცია, ფორსმაჟორული სიტუაცია (უბედურება, ხანძარი, კატასტროფა ..., ეკოლოგიური სიტუაცია), სტრესული სიტუაცია, ეთნიკური სიტუაცია, რეგიონული სიტუაცია, გამოუვალი სიტუაცია, ავარიული სიტუაცია, განსხვავებული სიტუაცია, სახიფათო სიტუაცია, საგანგებო სიტუაცია, მძიმე სიტუაცია, ფეთქებადი სიტუაცია და ა.შ. ზოგჯერ ყველაფერს წამები წყვეტს. ასეთ დროს ბევრი რამ არის დამოკიდებული მასზე, ვინც მსგავს ვითარებაში აღმოჩნდება. ექსტრემალურ სიტუაციებში გადამწყვეტია სისწრაფე, რეალობის სწორი აღქმა და გააზრება, ორგანიზებულობა, ყურადღების კონცენტრირება, ფსიქოლოგიური წონასწორობის, სიმშვიდის შენარჩუნება, ირგვლივ მყოფთა მობილიზება, რათა ერთიანი ძალით შეებრძოლო საფრთხეს. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან პიროვნული თვისებებით, ემოციური მდგომარეობით, ტემპერამენტით, აზროვნებით, რაც ექსტრემალურ სიტუაციაში თავისთავად მჟღავნდება. მგრძნობიარე და ემოციური ადამიანი ასეთ დროს ხშირად იბნევა, ღელავს, უჭირს მობილიზება, ყურადღების კონცენტრაცია, რის გამოც კარგავს სწრაფი მანევრირების უნარს. საფრთხე თან სდევს ჩვენს ცხოვრებას. ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც არ მოხვედრილა ისეთ სიტუაციაში, როცა ვილაცას მისი დახმარება დასჭირვებია. უცხო სიტყვათა ლექსიკონში სიტუაცია შემდეგნაირადაა განმარტებული: „შექმნილი პირობების ერთობლიობა; გარემოება, მდგომარეობა“ (1-1). „კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადანწყვეტილების მიღების, სიტუაციის დიაგნოსტიკის და დამოუკიდებელი გადანწყვეტილების მიღება; სიტუაციისა და მისი თავისებურებების გაცნობა, ძირითადი პრობლემ(ებ)ის გამოყოფა; იმ ფაქტორებისა და პირების გამოყოფა, რომელთა გავ-

ლენა გასათვალისწინებელია, გადაწყვეტისთვის კონცეფციების ან თემების შეთავაზება, ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგების ანალიზი, ერთი ან რამდენიმე ვარიანტი (ქმედებათა თანამიმდევრობა, მითითება შესაძლო პრობლემებზე, მათი პრევენციისა და გადაჭრის მექანიზმები, ის ძირითადი ქმედითი ნაბიჯებია, რომელთა გამოყენებით შესაძლოა გავიგოთ, დავინახოთ, ჩავწვდეთ, გავაანალიზოთ მოცემული კონკრეტული სიტუაცია“(1-2).

ჩვენ გვინტერესებს სიტუაცია, როგორც ასახვის საგანი – თითქოს ყველაფრის წარმომშობი: სატკივარისა თუ სასიხარულოსი, წარმატებისა თუ წარუმატებლობის, ომისა თუ მშვიდობის, ბრძოლისა და შრომის, სიკეთისა და ბოროტების, სამსახურეობრივი თუ ოჯახური, სამეგობრო თუ სამტრო, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო... გვინდა ვაჩვენოთ როგორ ავსახოთ სიტუაცია, ანუ დავინახოთ ფაქტის, მოვლენის, პროცესის რეალური სახე, მისი წარმოშობის, წარმოქმნის, დაბადების ადგილი მოცემულ, კონკრეტულ, არსებულ რეალურ დროში, მდგომარეობასა და ვითარებაში, თუ რა პირობებში ჩნდება და იბადება კონკრეტული ფაქტი, როგორ გამოისახება ან გამოიყურება, რა სურს, რა უნდა, რა წაღია, რას ფიქრობს, რას განიცდის, რა ზრახვები ამოძრავებს... ან რა შეიძლება გამოიწვიოს, რა მიმართულებით შესაძლოა განვითარდეს, რა მოყვება შედეგად... აი კითხვების ჩამონათვალი, რომელზედაც შესაძლოა დამაჯერებელი პასუხი გაგვცეს დროულმა რეაგირებამ და ეს ყველაფერი არა მხოლოდ კონფლიქტური, არამედ მშვიდობიანი, მშვიდი, ჩვეულებრივი, პოზიტიური პროცესების წარმომშობ სინამდვილეშიც საინტერესოა. ადამიანური ცხოვრება უფრო მეტად კონკრეტულ ინტერესთა სფეროა და კითხვები, რომლებიც დაისმება ჩვენს წინაშე, მასზე შეუმცდარ და უეჭველ პასუხებს სასწრაფოდ ვეძებთ ხოლმე. პასუხების სიზუსტე კი ხშირად და მეტწილად დამოკიდებულია იმ სინამდვილის წარ-

მოდგენა-გააზრება-გაანალიზება-დაკვირვებაზე, სადაც, როდესაც, რატომაც, როგორადაც, რანაირადაც, რამდენადაც, რაგვარადაც ესა თუ ის ქმედება ან ფაქტი (მოქმედება) მოხდა ან ხდება. ეს ყველაფერი მოგვცემს პასუხებს კითხვებზე: როდის? რატომ? როგორ? რანაირად? რამდენად? რაგვარად?... და ა.შ.

სიტუაცია, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ასახვის საგანი, არ არსებობს სუბიექტური და ობიექტური რეალობის, წანამძღვრების, სინამდვილის გარეშე. ამდენად, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, იკვეთება: „პრობლემური სიტუაცია – (ფსიქოლოგია) (ბერძ. *problema* – ამოცანა, დავალება და ლათ. *situatio* – მდგომარეობა) 1.წინააღმდეგობის შემცველი და ერთმნიშვნელოვანი გადანყვეტილების არმქონე გარემოებებისა და პირობების თანაფარდობა, რომლებშიც იშლება ინდივიდის ან ჯგუფის მოქმედება; 2.აზროვნების წარმოშობის პირობების ფსიქოლოგიური მოდელი, სიტუაციურად წარმოქმნილი შემეცნებითი მოთხოვნილების საფუძველზე; სუბიექტის კავშირის ფორმა შემეცნების ობიექტთან. პრობლემური სიტუაცია ახასიათებს სუბიექტისა და მისი გარემოს ურთიერთმოქმედებას, ასევე პიროვნების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ობიექტური და წინააღმდეგობრივი გარემოს ჩათვლით. მოღვაწეობის პროცესში რაიმე წინააღმდეგობის გაცნობიერება იწვევს მოთხოვნილების გაჩენას ახალი ცოდნის მისაღებად, იმ უცნობისა, რომელიც გადანყვეტდა წარმოქმნილ წინააღმდეგობას. პრობლემურ სიტუაციაში უცნობის ობიექტივაცია ხორციელდება კითხვის ფორმით, რომელიც დასმულია საკუთარი თავისადმი და წარმოადგენს სუბიექტის ობიექტთან აზრობრივი ურთიერთქმედების საწყის რგოლს. რამდენადაც სუბიექტის „გარემოცვაში“ შედიან არა მარტო ობიექტები, არამედ სოციალური გარემოც, ამდენად გენეტიკურად პირველადია კითხვის

დაყენება, მიმართული არა საკუთარი თავისადმი, არამედ სხვა ადამიანისადმი“(2-1).

საინტერესოა, როგორები ვართ კონფლიქტურ სიტუაციებში და როგორ გვებს ვეძებთ და რა ხერხებს ვიყენებთ კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლის დროს. „კონფლიქტი წარმოადგენს სხვა ადამიანებთან ჩვენი ურთიერთობის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილს. ადამიანების უკონფლიქტო არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ კონფლიქტს გააჩნია არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ პოზიტიური შემადგენელიც და კონფლიქტურ სიტუაციაში ადამიანის ქცევის დიაგნოსტიკის მეთოდისა იძლევა იმის გარკვევის შესაძლებლობას, თუ რომელ შემთხვევაში მისი მოქმედება კონსტრუქტიული ხასიათისაა, ხოლო რომელშიც ის – დესტრუქციულია“(2-2). არის ხშირად ჩვენს ცხოვრებაში შემთხვევები, რომელიც უკავშირდება სიხარულს, მწუხარებას, წარმატებას, წარუმატებლობას... აქედან გამომდინარე, გამოგვიცდია კიდევ საკუთარი თავი ან დავკვირვებივართ სხვას და ვხედავთ, რამდენად რთულია სიტუაციის მართვა, როდესაც ერთგვარად კრიტიკულ, რთულ მდგომარეობაში იმყოფება პიროვნება. როგორ ან რანაირად ვიქცევით, როგორ ვახერხებთ გამოსვლას სიტუაციიდან, რომელიც არ არის სასურველი, სხვამ ნახოს, დაინახოს, შენიშნოს... გვიკანკალებს ხელები, მატულობს გულისცემა, გვეკარგება ფერი, უაზროდ ვლაპარაკობთ, დავდივართ უმისამართოდ... მაგ. როდესაც ხანძარია და ძვირადღირებული საკუთარი ავტომობილი საფრთხეშია. როგორ გარბიხარ და გამოგყავს ხანძრის კერიდან... გინდა ყველაფერი სწრაფად გააკეთო, მაგრამ სურვილი ასწრებს შენს რეალურ, გააზრებულ ქმედებებს, ხარ დაბნეული, და ამ დროს უფრო მეტი დრო გჭირდება ვითარების განმუხტვისთვის. ან მაგ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სიტუაციაში კონკრეტული პირი კონკრეტული ადამიანებისაგან გრძნობს გამორჩეულ ყურადღე-

ბასა და ინტერესს. ან არიან არაორდინალური შეხვედრის მოლოდინში, როდესაც პირველად მოქმედებენ და არ იციან რა შეიძლება მოხდეს, ან რა მოყვება მათ ამგვარ ქცევას-სამუხარო თუ სასიხარულო. მაგ. სამსახურიდან მოხსნის ან დაწინაურების შესახებ, პირველი შეხვედრის მოლოდინი, რაღაც დიდი პრიზისა თუ პრემიის მიღება, კონკურსში გამარჯვება და ა.შ. ასეთ დროს ადვილი შესამჩნევია ის დაბნეულობა და ემოცია, რაც ემართებათ ასეთ სიტუაციაში ადამიანებს. ისინი ცდილობენ იყვნენ ერთგვარად სხვათაგან შეუმჩნეველნი, აქაოდა თითქოს არაფერი მომხდარა, მაგრამ ვერაფრით ახერხებენ შინაგანი სულიერი მდგომარეობის შენარჩუნებას და ერთგვარი „სტრესული ვითარება“ ამხელს პირადს, ძალიან შინაგანს და ადამიანს აჩვენებს „შიგნიდან“, ანუ გასცემს საკუთარ თავს...

სიტუაციის მართვა დიდად უწყობს ხელს კონკრეტულ დროში პიროვნებამ გააკეთოს საკუთარი ადამიანური შესაძლებლობების მობილიზება და შესაბამისად შეძლოს მისი სასურველი მიმართულებით წარმართვა. ამიტომაც სიტუაციური ანალიზი, სწორი და გააზრებული დასკვნები ვითარების ნორმალიზების, შენს სასარგებლოდ მასი წარმართვის, პრაგმატულობის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
2. [www.education.ge](http://www.education.ge)

## სენსაცია

სენსაციას გამოდევნებული ჟურნალისტების უპირველესი საზრუნავია რაიმე ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც უჩვეულოა და განუმეორებელიც კი თავისი შინაარსითა და ხასიათით. მსგავსი სახის ინფორმაცია აინტერესებს მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს, მათ შორის, როგორც პროფესიონალ მკითხველს, ისე მოყვარულ ადამიანებსაც. ყველა შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტის პროფესიონალიზმსა და ნიჭიერებას, რომ მან მოვლენის, ფაქტის თუ პროცესის განსაკუთრებულობა და არაორდინალურობა დროულად და ოპერატიულად შენიშნოს, დაინახოს და შემოსოს ის მიმზიდველი და საინტერესო ფერებითა თუ საღებავით. რა სახის ინფორმაცია შეიძლება ჩაითვალოს სენსაციად? ნებისმიერი ინფორმაცია, თუ ის „დაშვებულ ნორმებს“ აჭარბებს, აღემატება. ანუ ისეთი, რომლის მსგავსი საერთოდ არ მომხდარა, ან ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, რომელიც ყველას აინტერესებს, ინვესს ერთგვარ შიშსაც, აღფრთოვანებასაც, არის მიმზიდველი, ექსტრემალური, წარმოუდგენელიც კი. მსგავსი სახის ინფორმაციებს შესაძლოა ძალიან ბევრი გულშემატკივარი აღმოაჩნდეს და ეს არცაა გასაკვირი. ადამიანის ცნობიერება ხომ სწორედ ინტერესის, ძიების, გამორჩეულობისა და ორიგინალურობისადმი განსაკუთრებული გრძნობითაა დატვირთული. ამდენად სენსაციური, ჯერარსმენილი, არაორდინალური, იშვიათი ინფორმაციები დროდადრო გაიელვებს ხოლმე და ის უბრალოდ გვაინტერესებს. მისი შინაარსი შეიძლება იყოს ყოველგვარი ცხოვრებისეული, პირადი და საზოგადოებრივი, ხელოვნური და ბუნებრივი და ა.შ. ის, რაც ხანდახან პირიქითაა, უფრო მეტად აინტერესებს ადამიანებს. მაგრამ ხშირად სენსაცია ქარბორბალასავითაა, უცებ დაიპყრობს ადამიანე-



ბის ყურადღებას და გაქრება ან სულაც ჩაქრება მისდამი ინტერესი. ჟურნალისტები კი ამ ყველაფერს რაც უფრო დროულად და ოპერატიულად შენიშნავენ, მით უკეთესი. „ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც საზოგადოებაზე ახდენს რაიმე ამბავი, შემთხვევა. თვით ამბავი, შემთხვევა, რომელიც ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს, მითქმა-მოთქმას, ხმაურს იწვევს“(1-1).

მაგალითები გაზეთ „კვირის პალიტრიდან“:

„სამხრეთ აფრიკის უკიდურესი სამხრეთის ერთ-ერთი ქალაქის მაცხოვრებელი ხიდიდან წყალში გადახტა უამრავი მაყურებლის თანდასწრებით. მას აინტერესებდა, რამდენ ხანს გაძლებდა წყალის სიღრმეში, სადაც საკმაოდ სწრაფად მოძრაობდა მდინარე. სამი წუთის ლოდინის შემდეგ წყლის ზედაპირზე ამოვიდა პიროვნება საკმაოდ მოზრდილი რკინის ჩემოდნით, რომელიც მდინარის ფსკერზე უპოვნია. ჩემოდანში ხუთ კილოგრამამდე ოქრო აღმოჩნდა. უნდა გენახათ შიშველი უბედნიერესი მოყვარული მყვინთავი, სიხარულისგან როგორ ტიროდა და თან ცეკვავდა. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ძვირფასეულობა დაახლოებით სამი საუკუნის წინანდელი ნაკეთობებისაგან შედგება და მისი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი ამიერიდან მაყვარული მყვინთავია, რომელიც საკუთარ სიმდიდრეს ამიერიდან თავად განაგებს“.

„ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციის მაცხოვრებლები სენსაციის მომსწრენი გახდნენ. ქათმების ფერმაში, რომელიც გაშლილ ველზე მდებარეობდა, მოულოდნელად უშველებელი არწივი ჩავარდა და შინაურ ფრინველთა მთელი



გუნდი სულ რაღაც წამებში გაანადგურა. ფერმის მეპატრონე, რომელიც ამ ყველაფერს საკუთარი თვალით უყურებდა, უცებ მოეგო გონს, გადახტა შუაგულ „ბრძოლის ველზე“, ეძგერა ქათმების ფლეთით გართულ არწივს, მოჰკიდა ორივე კლანჭებს ხელი და გამ-

ძვინვარებული ვეება ფრინველი საკუთარი ხელებით გაგლიჯა შუაზე“.

„ქალაქის მაცხოვრებელნი მეტად უჩვეულო ფაქტის მომსწრენი აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში მათ დაინახეს როგორ დაეჭირა უშველებელ ვირთხას საკმაოდ მოზრდილი კატა, კატისათვის ზურგზე დაეველო კბილები და სასიკვდილოდ იქეთ-აქეთ აქნევდა. საცოდავი კატა სიმნრისაგან იკლაკნებოდა და განწირულის ხმით ღნაოდა“.

„კვირის პალიტრა“, 29-09-2014, ბუმბულის კაბა

„ჩინეთის ქალაქ ნანძინში გამართულ საქორწინო კაბების გამოფენა-ფესტივალზე ჩინელმა დიზაინერებმა სრულიად უჩვეულო და ორიგინალური ნამუშევარი წარმოადგინეს – ნეფრიტით განწყობილი საზეიმო კაბა ფაქტობრივად მთლიანად ფარშევანგის ბუმბულისგანაა შექმნილი! მის „შესაკერავად“ 2000-ზე მეტი ფარშევანგის ულამაზესი კუდი დაიხარჯა“.



„კვირის პალიტრა“, 18-07-2011, მტაცებლებთან გალიაში

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქი ლუხანი მეტად უჩვეულო „ექსტრემალური ზოოპარკით“ არის ცნობილი. მისი უნიკალურობა ისაა, რომ საუღ რაღაც 50 დოლარად მწვავე შეგრძნებათა მოყვარულებს საშუალება ეძლევათ, გალიაში მტაცებლებთან „დროის გასატარებლად“ შევიდნენ და მათთან ერთად ფოტოებიც გადაიღონ. ზოოპარკის ჩვეულებრივი, „უსაფრთხო“ დათვალიერება 8 დოლარი ღირს. ლომთან, ვეფხვთან, ლეოპარდსა და სხვა დიდ მტაცებლებთან გალიაში შესვლის წინ ადმინისტრაცია მსურველისგან მხოლოდ „პატარა ფორმალობის“ დაცვას ითხოვს: მოხალისეს ხელწერილს აწერინე-

ბენ, რომ თუ მტაცებელმა შეჭამა, ადმინისტრაციასთან პრეტენზია არ ექნება(!). რაც უნდა გასაკვირი იყოს, ზოოპარკს თავგადადებული ტურისტები მთელი მსოფლიოდან მრავლად აკითხავენ.



„კვირის პალიტრა“, 18-07-2011, „ლიმილი ცაზე“

ახლახან ინგლისელები 8 წუთის განმავლობაში უნიკალური სანახაობის – „გადაბრუნებული“ ცისარტყელას მოწმენი გახდნენ, რომელსაც ასევე „ლიმილი ცაზე“ ჰქვია. ეს ფენომენი მხოლოდ პოლუსების მახლობლად გვხვდება. „ლიმილი ცაზე“ ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა ღრუბლების თხელი ფენა დედამიწიდან 7-8 კმ-ით არის დაშორებული და მზე გარკვეული კუთხით ანათებს. ასეთ სიმაღლეზე ეს ფენა ყინულის კრისტალების მტვერს წარმოადგენს. ამიტომ გადაბრუნებული ცისარტყელა ჩვეულებრივთან შედარებით გაცილებით კაშკაშაა, მისი შვიდი ფერიც ასევე უკუმიმდევრობითაა დალაგებული“.



„კვირის პალიტრა“, 07-12-2009 „ ვიეტნამის „მცურავი ბაზარი“ მდინარე მეკონგის დელტაში უძველესი მცურავი ბაზარი ვიეტნამის ღირსშესანიშნაობად ითვლება. აქ ყოველ დღით ისეთივე გაცხოველებული აღებ-მიცემობაა, როგორიც საუკუნეების წინ იყო. სხვათა შორის, ბევრი ვიეტნამელი გლეხი დღემდე ფულს ჯიუტად „არ ცნობს“ და პროდუქტის გაცვლით ვაჭრობს.



„კვირის პალიტრა“, 12-10-2009, 45 გველი ცოტაა!

60 წლის ბრიტანელმა სიუ კოულმენმა 12 წლის წინ ქუჩაში ნაპოვნი რამდენიმე პატარა ეგზოტიკური გველი შეიფარა. ამჟამად კი მის სახლში უკვე 45 გველი ცხოვრობს. სიუ მთელ დროს საყვარელ „მეგობრებთან“ ატარებს. სიუმ გველები მეზობლის ბავშვებსაც შეაყვარა. ახლა კი თავისი „სერპენტარიუმის“ ბინადართა რიცხვის გაზრდაზე ოცნებობს.

„კვირის პალიტრა“, 29-04-2013, ხმაურიანი შემოსევა



ყოველ 17 წელიწადში აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე როგორც კი მიწა და ჰაერი 18 გრადუსამდე გათბება, ე.წ. „მეორე თაობის“ აურაცხელი ჭრიჭინას შემოსევა იწყება. ეს ჭრიჭინები უვნებელია ადამიანებისთვის,

მაგრამ მათგან ატეხილ ხმაურს შეწუხებული მოსახლეობა „მეტროს გვირაბში შემომავალი მატარებლისას“ ადარებს. „National Geographic“-მა პრიზებიც კი დაანესა ხმაურით შეშინებული ან შეწუხებული ადამიანების ფოტოებისთვის. ჭრიჭინები მთელ ცხოვრებას მიწის ქვეშ ატარებენ, სადაც მცენარეთა ფესვებით იკვებებიან და ზედაპირზე ამოდიან მხოლოდ განვითარების 5 სტადიის გავლის შემდეგ. ხეებზე აცოცებული დედლებიდან თვე-ნახევრის მანძილზე თითოე-

ული 24-28 კვერცხს დებს. გამოჩეკილი მატლები კი დაბლა ცვივიან და მიწაში ისევ 17 წლით იმალებიან. მეცნიერთა გათვლით, ხმაურიანი შემოსევა წელს ამერიკის 15 შტატში მაისის ბოლომდე გაგრძელდება.



„კვირის პალიტრა“, 29-09-2014, სენ-საციური აღმოჩენა – ყორღანის 4400-წლიანი საიდუმლო

– როგორ ფიქრობ, ეს ონტკოფა რა ხნის იქნება? – მკითხა ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ცენტრის უფროსმა ზურაბ მახარაძემ და კომპიუტერის ეკრანი ჩემკენ შემოატრიალა, სადაც მიწაზე გაბნეული შემქნარი ნარინჯისფერი ონტკოფა იყარა.

– ალბათ რამდენიმე დღის, – ვუთხარი მე, – ძალიან სასარგებლო ნაყოფია და საქართველოში ყველგან არის გავრცელებული.

– ზუსტად 4400 წლის არის, ანაუზურის ყორღანში სამარხი რომ გავთხარეთ, მიწაზე გაბნეული დაგვიხვდა. როგორც ჩანს, როცა სამარხი ჩაინგრა, კენკრა ქურჭლიდან გადმოცვივდა. დარბილებული იყო, თორემ ისე გამოიყურებოდა, ექსპედიციიწვერმა გემოს გასინჯვაც სცადა, – მომიგობატონმა ზურაბმა.



– ვისი იყო ყორღანი, ვისგან დაგვრჩა ეს საოცრება?

– ყორღანები ტომის ბელადების, ნარჩინებულებისაა. როცა მათ მარხავდნენ, ზემოდან ისეთ მიწაყრილს ადგამდნენ, უზარმაზარი გორები იქ-

მნებოდა. ამით ცდილობდნენ, თავიანთი ბელადი დაეცვათ. თუმცა ყორღანები, ეგვიპტის პირამიდებისა არ იყოს, თითქმის ყველგან გაძარცვულია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ დაკრძალვის ცერემონიალის მონაწილენი ძარცვავენდნენ, თორემ საუკუნეების შემდეგ ვინ იცოდა, გორების სიღრმეში რა იყო?

ანანაურის ყორღანზე ორი გვირაბია. ესე იგი, ყორღანი ორჯერ გაძარცვეს. ეტყობა, იმდენი ოქროულობა იყო, რომ გატანისას სამი უძვირფასესი ნივთი დაუვარდათ. სხვათა შორის, ალაზნის ველის ყორღანებში ნაპოვნი ოქროს ლომი და პექტორალი სწორედ ქურდობის შემდეგ დარჩენილი „ნამცვრიელა“... ბრინჯაოს ხანაში ადგილობრივ მოსახლეობას დიდძალი სიმდიდრე ჰქონდა დაგროვებული და ტომის ბელადებს საფლავში აურაცხელ განძსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს ატანდნენ მსახურებთან ერთად. ცნობილი არ არის, ამ საბრალოებს ხოცავდნენ თუ ცოცხლად მარხავდნენ. ზოგ ქვეყანაში ბელადებს ათეულობით მეომარს აყოლებდნენ, რომლებიც სამარხებში გაშეშებული „სხედან“.



რაუდობენ, რომ დამარხვის წინ ადამიანებს რაღაც ნივთიერებით აბრუებდნენ... ანანაურის ყორღანშიც 7 ადამიანის ჩონჩხია, მაგრამ ეს ყორღანი სხვა მხრივ არის საინტერესო – ცოცხალი ხილითა და ორი უზარმაზარი ეტლით, რაც სხვა-

გან არსად გვხვდება. ქსოვილი და ხილი თითქმის პირვანდელი სახით არის შემონახული.

ეს ყორღანი სწორედ იმ დროს შენდებოდა, როცა ეგვიპტელები პირამიდებს აგებდნენ. ჩვენი ყორღანები პირამიდე-



ბივით დიდებული არ არის, რადგან ეგვიპტე ამ დროს ძლიერი სახელმწიფო იყო, მაგრამ არც სხვაზე ნაკლებია, შუამდინარეთის ცივილიზაციის დონეზე დგას. თანაც ამ ყორღანების მაშენებლები ან თავად დადიოდნენ მთელ მსოფლიოში, ანდა აქ სხვები ჩამოდიოდნენ – ჩვენთან ქარვა არ მოიპოვება, ანანაურის ყორღანში კი ქარვის მძივი ინდოეთიდან ან ბალტიისპირეთიდან თუ მოხვდებოდა. სამარხში შალი და სელიც აღმოჩნდა. აკლდამა გადახურულია ორმაგი მუხის მორებით, რომელთა შორის სელის ფარდაგი იყო ჩატანებული. ხის კალათებში კი თხილი და წაბლი ეყარა, გულიც კი აქვეთ შემორჩენილი. ონტკოფასა და კვრინჩხის ნახვა მრავლისმნახველი არქეოლოგებისთვისაც საოცრება იყო: ლამის 5 ათასწლეულის წინანდელი ონტკოფა ისეთია, თითქოს გუშინ მოწყვიტესო. ამ სასწაულის ჩვენამდე მოტანა, გარდა თიხისა, თაფლმაც შეძლო. როცა ონტკოფას ჩვენს ლაბორატორიაში სინჯავდნენ, ისეთი თაფლის სუნი დატრიალდა, ხალხი გააბრუა...



– ყორღანში ჩაყოლებულ ორ ეტლზეც ბრძანეთ...  
– ეს ძალიან დიდი ეტლებია, ბორბლები მეტრ-ნახევარი დიამეტრისაა. წესისამებრ, ყორღანში თითო მიცვალებულია. ანანაურის ყორღანში კი ერთი ეტლი მამაკაცისაა, მეორე – ქალის. მათთან ერთად 14 წლის ყმანვილი ესვენა. იქნებ ოჯახი რაიმე უბედურებამ ამოწყვიტა და ამიტომ დაკრძალეს ერთად.

ჩვენ მსოფლიოს თანამედროვე ლაბორატორიებში ვგზავნით საკვლევ მასალას. ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი გარემოდან იღებს და ატარებს რადიაციას, რომელიც

ორგანიზმში მის სიკვდილამდე რჩება. ის ორგანიზმიდან სიკვდილის დადგომისთანავე იწყებს გასვლას. ამის მიხედვით დგინდება არქეოლოგიური ორგანიზმების ასაკი. ასე დადგინდა იმ ბიჭის ასაკიც...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველაფერი წარმავალია, სინამდვილეში კი არაფერი ქრება და მარადიულობაშივე რჩება“, დასძენს პუბლიკაციის ავტორი ეთერ ერაძე.

ლიტერატურა:

1. ჭაბაშვილი, მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. : განათლება, 1989
2. „კვირის პალიტრა“, 29-09-2014
3. „კვირის პალიტრა“, 18-07-2011
4. „კვირის პალიტრა“, 07-12-2009
5. „კვირის პალიტრა“, 12-10-2009
6. „კვირის პალიტრა“, 29-04-2013



## V

### თანამედროვე ჟურნალისტური გვარები

ჟურნალისტური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი, პური არსობისა-პუბლიცისტური ტექსტი, ყველა სხვა ჟურნალისტურ ელემენტთაგან განსხვავებით გამორჩეულია და განსაკუთრებული თავისი ბუნებით, შინაარსით, თვისებით, დანიშნულებით. მისი ზემოქმედება მთლიანი საზოგადოების, მისი თითოეული წევრის-კონკრეტული ადამიანების ცნობიერებასა და ქცევაზე აისახება. ადამიანებს სურთ გაიგონ, იცოდნენ, ესმოდეთ, იყვნენ საქმის კურსში, ერთი სიტყვით, ყურს უგდებდნენ ქვეყნის მაჯისცემას. ამით ისინი ცდილობენ უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახადონ საკუთარი ცხოვრება, შეცვალონ თუნდაც სტილი საკუთარი ცხოვრებისა, ურჩიონ რაიმე სხვებს, აუხსნან, შეატყობინონ, ისაუბრონ მასზე, რომელიც სწორედ სულ ახლახანს გაიგეს. ადამიანის ფსიქიკა სწორედ კონკრეტული ფაქტის, რაიმე ამბის, ცნობის გაგებისა და შეტყობინების განუწყვეტელ წადილშია და ამას იგი ცდილობს მიაღწიოს მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი საშუალებით: ამბავი, რომელიც მან უბრალოდ გაიგო, მოისმინა, ნახა – გადასცეს სხვებს, აცნობოს მის შესახებ მეზობლებს, მეგობრებს, ნაცნობებსა თუ უცნობებს. ამაში ეხმარება მას ნიჭი ამბის ნახვის, აღქმის, მიტანის, გადაცემის, ინტერპრეტირების. ყველასა აქვს განსაკუთრებული უნარი რაიმე მომხდარი ამბის თავისებური გადმოცემისა, მოყოლისა, მაგრამ ზოგიერთის უნარი გამორჩეულია და განსაკუთრებული. ეს გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა ვლინდება სწორედ მაშინ, როდესაც სათქმელი ზედმინევენით ისე ზუსტად გადმოიცემა და იმ ფორმით გამოიხატება, როგორც იყო ან არის სინამდვილეში, როდესაც მის შესახებ მკითხველები ან მსმენელები ისე გაიგებენ,

როგორც საკუთარი თვალთ ნანახსა და საკუთარი ყურით გაგონილს, როდესაც მართლა დაუფერებენ მის ავტორს, პირველ რიგში გულწრფელობის გამო, ვინც უბრალოდ ამბავს ყველა და გადმოსცემს არა ვინმეს ხათრითა თუ რიდით, არამედ ფაქტის დაინტერესების საფუძველზე, ვინც იმგვარი ნიჭიერებით არის დაჯილდოებული, რომელიც ამბის მოყოლისა თუ გადმოსცემის პროცესში ისე აღწერს და ხატავს მომხდარ მოვლენასა თუ ფაქტს, ისე უბრალოდ წარმოაჩენს სიტუაციას, როგორც ცოცხალ სინამდვილეს. ასეთი ადამიანები არა მარტო უბრალოდ გვიყვებიან, არამედ გვიხატავენ კიდევ და მათ მიერ მონაყოლსა და მონათხრობს სხვა ხიბლი, გემო, ეშხი, შნო, ლაზათი და სილამაზე აქვს. რამდენჯერ ვყოფილვართ ნებისმიერი ჩვენგანი იმის მომსწრე, როდესაც ერთი კონკრეტული პირი ყველა რაიმე საინტერესო ფაქტისა თუ მოვლენის შესახებ და შემდეგ, როდესაც მოყოლის პროცესში სათქმელს ისეთი სიზუსტით ვერ გადმოსცემს, ვერ გამოხატავს, როგორც იყო სინამდვილეში, ამბობს: მოდიო (გიორგის) მოვუსმინოთ, ისიც ჩემთან ერთად იყო, მანაც საკუთარი თვალთ იხილა, რაც მე ვნახე. მას აქვს ნიჭი ისე გადმოსცემს და აღწეროს ფაქტი, როგორადაც იყო“. ამ გულწრფელად ნათქვამი სიტყვების ყველას სჯერა. ფაქტის სრული სიზუსტით და სისავსით გადმოსცემის უნარი დიდი ხელოვნებაა. როდესაც სათქმელი ხალასია, ცოცხალია და დამუხტული, როდესაც ჯერ კიდევ სიახლის სურვილითა და წყურვილით არის გაჟღენთილი, ამასთან საინტერესო ფაქტთან, მოვლენასთან ან უბრალოდ სინამდვილესთან ერთად გიზიდავს ენა თხრობისა, გადმოსაცემი ფაქტისა, ამბისა, მოვლენისა, როდესაც ჯერ კიდევ ფეთქავს სიახლე, როდესაც გეუფლება განცდა და გიჩნდება სურვილი მისი მოსმენისა ან ნახვისა. ასეთი ასახვა აუდიტორიაზე ზემოქმედების განსაკუთრებული ეფექტით გამოირჩევა. სწორედ ეს არის მთავარი და მნიშვნელოვანი ყურნალისტიკაში. როდესაც რაიმე ფაქტის შესახებ ისე გადმოსცემ, რჩება სურვილი და

შთაბეჭდილება საზოგადოების მხრიდან „მოსმენის პროცესის“ გაგრძელებისა. ფაქტის აგიტაციისათვის ჟურნალისტიკაში მთლიან ელემენტთა ერთიანი ძალისხმევა სწორედ ერთი მიმართულებით – აუდიტორიისაკენ მიიმართება და იქ თოთოეული ელემენტი (სულ ასეთი ელემენტი შვიდია) თავის დანიშნულებასა და ფუნქციას ზედმინევით კარგად ასრულებს. ამგვარი ე.წ. სისტემური მიდგომის პრინციპი, როდესაც ყოველი ჟურნალისტური ელემენტი შეუმჩნევლად შემოქმედებს საზოგადოებაზე, ერთ-ერთი გადამწყვეტი გახდა მსოფლიო გლობალურ პროცესებთან მიმართებაში, სადაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჟურნალისტური ტექსტის, როგორც კავშირურთიერთობის განსაკუთრებული საშუალების როლი, როგორც ძველი, ისე ახალი მედიისათვის. ტექსტის მნიშვნელობა და დანიშნულება ჟურნალისტიკაში ამოუწურავია; ამდენად, იდეა – მთავარია მასობრივი აუდიტორიისათვის შეიქმნას საინტერესო ტექსტი, ხოლო არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ჟანრს ანუ სათქმელის გამოხატვის რომელ ფორმას განეკუთვნება იგი, აზრს კარგავს. ბევრი მკვლევარი თვლის, რომ საუბარი ჟურნალისტური ასახვის ფორმებზე-გვარებზე (ჟანრებზე) არ არის საყურადღებო და საინტერესო, რადგანაც თავად სიტყვა „ჟანრის“ შინაარსი და მნიშვნელობა ხშირად იცვლება, ხოლო ჟანრთა თეორია არასაკმარისად არის შესწავლილი. ნაწილი მკვლევართა კი მიიჩნევს, რომ სათქმელის გამოხატვის ფორმა და შინაარსი თავად „არსებული ფაქტის, მოვლენის, რეალობის“ არსის შეცნობაში, წვდომაში მდგომარეობს და მისი უგულებელყოფა-იგნორირება გულისხმობს ფაქტის-როგორც ბუნებრივის, რეალურის, ნამდვილის წინააღმდეგ წასვლას. მართლაც რას განაპირობებს ან უბრალოდ რა არის ჟანრი? რამდენად საჭიროა ტექსტის განსაკუთრებული ფორმა ფაქტების გადმოსაცემად? რა „ქმნის“ ჟანრის, როგორც ჟურნალისტური გამოხატვის განსაკუთრებული ფორმის კლასიკურ გაგებას? როგორ ავხსნათ ის? საინტერესოა მედია მკვლევართა პოზი-

ცია ამასთან დაკავშირებით, რომლებიც იზიარებენ აზრს, რომ „ჟურნალისტიკაში შემოთავაზებული ჟანრის არც ერთი განმარტება არ შეიძლება ამომწურავად ჩაითვალოს. ...თითოეულ ჟანრს აქვს თხრობისა და ქმედებების თანმიმდევრობის სტანდარტული სტრუქტურა, რომელიც ეფუძნება სახეების მოსალოდნელ ასორტიმენტს და შეიცავს ძირითადი თემების რამდენიმე ვარიანტს“(1-1). „ნებისმიერი დაკვირვება არ შეიძლება ავტომატურად გადაიქცეს გამოცდილების ინდიკატორად. ამასთან, ინდივიდუალური დაკვირვება პროცესია, რომელიც გარესამყაროსკენაა მიმართული. ინდივიდუალურ გამოცდილებაში (იქნება ეს პოზიტიური თუ ნეგატიური) თავმოყრილია ადამიანის შინაგანი სამყაროს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გაკეთებული დასკვნები, გაჩენილი მოსაზრებები, მიღწეული შედეგები და მარცხები“(2-1). „შეცდომის დაშვების შესაძლებლობა განსაკუთრებით დიდია რთული ამბების შემთხვევაში, რომლებშიც სიზუსტე მრავალი სხვადასხვა ფაქტიდან და ნიუანსიდან სწორი არჩევანის გაკეთებაზეა დამოკიდებული“(3-1).

ესეიგი პირველ რიგში მნიშვნელოვანია: 1.თვითონ ფაქტი, რადგან მისი ბუნება და ხასიათი განაპირობებს მისსავე გამორჩეულობას, განსაკუთრებულობას, ორიგინალურობას, საკუთარს... 2.ჟურნალისტური პროფესიონალიზმი, რომელიც თანამდევნი პროცესია ყოველი ასახვის საგნისა, როდესაც მნიშვნელოვანი როლი სწორედ კონკრეტული ჟურნალისტის მიერ ფაქტის დანახვის, შეცნობის უნარსა და ნიჭში ვლინდება.

თუ გვარის(ჟანრის) გამოხატვის სფეციფიკა სათქმელის გადმოცემის თავისებურებაში მდგომარეობს, ხოლო ეს უკანასკნელი კი „ფაქტისსავე“ წიაღში ზის, გამოდის, სათქმელი თავად ირჩევს გამოხატვის, „წარმოჩინების“ ფორმას, ხოლო თუ ჟურნალისტი ცდილობს თავად მოუძებნოს გამოხატვის ფორმა საკუთარი „გემოვნების“, პირადი შეხედულების შესაბამისად და არა მის წიაღში არსებული ბუნებრივი

მდგომარეობიდან, ვითარებიდან, სიტუაციიდან, რეალობიდან გამომდინარე, მაშინ ის მთლიანად ჟურნალისტის მიერ მოდელირებული გამოვლა და შესაძლოა აცდეს რეალობას. ჟურნალისტური ბუნება სწორედ ასახვის საგნის ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაში ვლინდება. იმას, თუ რამდენად ერწყმის ასახვის საგნის სპეციფიკა ფორმას, რამდენად პასუხობს დროისა და სივრცის მოთხოვნებს, რამდენად მოიცავს ერთი მეორეს და პირიქით, დამოკიდებულია ასევე ჟურნალისტის დროულ და ოპერატიულ რეაგირებასა და მაღალ პროფესიონალიზმზე. როგორ უნდა დაინახოს ჟურნალისტმა სათქმელის ყველაზე საუკეთესო ფორმა ან ვარიანტი? რა არის გადამწყვეტი ამ დროს: პროფესიონალიზმი თუ ფაქტის, მოვლენის, პროცესის დანახვის, აღქმის, შეცნობის უნარი? ეგებ ჟურნალისტური აღლო ან ფანტაზია? ასეთ დროს ვამბობთ ხოლმე: ყველაფერი ერთად, მაგრამ გადამწყვეტი ასაღწერი საგნის შეცნობაში მდგომარეობს, ანუ დანახვის, წარმოსახვის, გააზრების ოპერატიულობაში, „მისით“ განცდის, გააზრების უნარსა და ნიჭში.

ყოველი კონკრეტული ჟურნალისტური ტექსტი შეიცავს თავის საკუთარ, კერძო, კონკრეტულ, გამოკვეთილ ხასიათს, რომელიც პირველყოფლისა, რეალური ფაქტის, მოვლენის, პროცესის შინა-არსის, ხასიათის, ნიშან-თვისების მაჩვენებელი და გადმომცემია. „ყოველ ჟანრს თავისი პუბლიცისტური პროექტი აქვს, რომლის გარდამავალი და გარდაუვალი თვისებები ზეგავლენას ახდენენ შემოქმედებითი მუშაობის წარმართვის ტექნოლოგიასა და ინფორმირების თავისებურებებზე“ (4-1). სწორედ ასეთი ორიგინალური, გამორჩეული, ინდივიდუალური და განუმეორებელი „პიროვნული“ ნიშან-თვისებები ფაქტის, მოვლენის, პროცესის შეცნობისა იძლევა საშუალებას (როდესაც ავტორი წინასწარ არ ფიქრობს თუ როგორი იქნება მის მიერ შექმნილი ტექსტი), გამოვლინდეს ავტორის პუბლიცისტური, შემოქმედებითი, პროფესიონალური მიდგომა და დამოკიდებულება ასახვის

საგნისადმი – ანუ ჟურნალისტის მიერ სინამდვილის მოდელირების, რეალობის გადმოცემის, ჩვენების უნარი, (როდესაც ავტორმა უკვე იცის როდის, რა და როგორ უნდა იყოს ასახული ტექსტში, და ეს ყველაფერი რა მიზნით კეთდება). ჟურნალისტური ტექსტები, რომლებიც მსგავსი გამოსახვის ფორმების ერთიანობით ხასიათდებიან ექცევიან ერთ ჯგუფში, რომელსაც სიტყვა „ჟანრი“ აერთიანებს. მეცნიერ-მკვლევარები, მეთოდოლოგები, დარგის სპეციალისტები იზიარებენ თვალსაზრისს სხვადასხვა შეხედულებათა გაერთიანების აუცილებლობის თაობაზე ერთი კონკრეტული პოზიციის ჩამოყალიბებისათვის ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში რთულია ილაპარაკო ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა მსგავსი შეხედულებებისათვის მიდგომების გაერთიანებისა ან კონსენსუსისათვის, რომელიც საფუძველია შემდგომი ახალი კვლევებისა თუ მეცნიერული მიღწევებისა. ჟანრი სხვადასხვა ლექსიკონში შემდეგნაირად არის განმარტებული: (ფრ. *genre* – „სახეობა“ ან „ტიპი“), ლიტერატურული კომპოზიციის კატეგორიზებისთვის კრიტერიუმების თავისუფალი ერთობლიობა; ამ ტერმინს ხელოვნების ნებისმიერი სხვა სახის თუ გამონათქვამის ფორმის განსაზღვრისთვის იყენებენ. ხელოვნების ნებისმიერ ფორმაში, ჟანრები ბუნდოვანი კატეგორიებია, რომელთაც მკვეთრად გამოხატული საზღვრები არ გააჩნიათ. ჟანრები კონვენციური ხასიათისაა და ხელოვნების არაერთი ნიმუში ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ჟანრს განეკუთვნება, ამა თუ იმ ჟანრის პრინციპების სესხებისა და გაერთიანების გამო. სიტყვა „ჟანრი“, როგორც წესი, ვრცელდება ხელოვნებასა და კულტურაზე, განსაკუთრებით ლიტერატურაზე. ჟანრის შესწავლის საკითხში ჟანრის კონცეფცია დოგმატურობას გამორიცხავს. უფრო მეტად, აღიარებულია, რომ ხელოვნების და ლიტერატურის ნიმუშებში აისახება ესა თუ ის ჟანრი ან მიესადაგება მათ კონვენციებს. ხელოვნების რომე-

ლიმე დარგის ნაწარმოებთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ნაირსახეობა, რომელიც გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილური ნიშნებით, თემატიკით, გამომსახველობითი საშუალებებით და ა. შ. ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები გარკვეულ ჟანრს მიეკუთვნება თავისი კანონებითა და მოთხოვნებით. ასე, მაგ., ლიტერატურაში, თუ რამდენიმე ფრაზით ჩავწერთ ჩვენს შთაბეჭდილებებს, იგი განსაზღვრულ ჟანრს წარმოადგენს – პროზაულ ფრაგმენტს (პროზაული ფრაგმენტი, როგორც ჟანრი, ფართოდ იყო გავრცელებული გერმანელ რომანტიკოს მწერალთა შორის). და მაინც, ეს როდი ნიშნავს, რომ ხსენებული ფრაგმენტული ჩანაწერი ლიტერატურული ნაწარმოებია. ამ შემთხვევაში იგი სხვა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს – თავისუფალი და სილრმისეული მსჯელობა უნდა ერწყმოდეს დახვეწილ გამომსახველობით ენას. ანტიკურ ხანაში ლიტერატურულ ჟანრებად თვლიდნენ ეპოსს, ლირიკასა და დრამას. სადღეისოდ, ცნება „ჟანრი“ ხშირად უთანაბრდება „სახეს“. მუსიკალური ჟანრები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების შესრულების წესით, უძველესია ვოკალური ჟანრები, დაკავშირებული სიტყვებთან, პოეტურ ტექსტთან, ადამიანის ხმასთან (სიმღერა, რომანსი, გუნდი, კანტატა, ორატორია, ოპერა). ვოკალური მუსიკის საფუძველზე წარმოიქმნა საკრავიერი ჟანრები: კამერული (ვარიაცია, სონატა, სიუიტა, პრელუდია, ექსპრომტი, ნოქტიურნი და სხვ.), სიმფონიური (უვერტიურა, სიმფონიური ფანტაზია, სიმფონიური სიუიტა, სიმფონიური პოემა, კონცერტი, სიმფონია). სახვითი ხელოვნების სფეროში ჟანრთაგან უმთავრესია პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ისტორიული, ყოფითი, ბატალური, ანიმალისტური და სხვა ჟანრები“ (5-1).

მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ჟურნალისტურ გვარებზე (ჟანრებზე) ვსაუბრობთ. კონკრეტული

ჟურნალისტური გვარის თავისებურებათა გათვალისწინება არა მხოლოდ ეხმარება ჟურნალისტს უკეთ წარმოაჩინოს ასახვის ობიექტი, ისაუბროს მის შესახებ მარტივი, უბრალო, გასაგები ენით, არამედ გამიჯნოს, განასხვავოს გადმოსაცემი, ასაღწერი საგნის ლექსიკური მარაგი სხვა ხასიათისა თუ შინაარსის მქონე გადმოსაცემი ფაქტის ლექსიკისგან, რათა მოცემულ მომენტში ყველაზე უკეთ გადმოიცეს ასახვის ობიექტის როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ბუნება. ზოგიერთი რედაქტორი მაგ. თხოვს ჟურნალისტს მასალას ჯანდაცვის საკითხებზე, რაც ცოტათი დამაბნეველია, განსაკუთრებით დამწყები, გამოუცდელი ჟურნალისტებისათვის, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ ჩანს კონკრეტულად როგორი ხასიათის მასალის მომზადება სურს რედაქტორს. შედარებით მარტივია დავალების შესრულება მაშინ, როდესაც იგივე რედაქტორი ითხოვს მაგალითად ნარკვევს ქალაქის ცნობილ ექიმ-თერაპევტზე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ჟურნალისტი უკეთ გაიგებს თუ როგორი მასალის მომზადება სურს რედაქტორს.

ჟურნალისტიკაში სათქმელის გამოხატვის სამი ძირითადი გვარია, (გნებავთ ფორმა ან სახე ვუნოდოთ), აღიარებული, თუნდაც მიღებული, რომელიც განსხვავებული ფაქტებისა და მოვლენების ასახვისა და გადმოცემის საშუალებას იძლევა: (ყველა მათგანისათვის სათქმელის თავისებური სტილი და ფორმაა დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, მათი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა, ფუნდამენტური ზღვარის დადება შეცდომა იქნებოდა. ამის საფუძველი კი სალაპარაკო ენის ბაზისში უნდა ვეძიოთ, ასევე ასახვის საგნის თავისებურებასა და ბუნებრივ კომპოზიციაში: ინფორმაციული, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური. თუმცა ეს უკანასკნელი მიჩნეულია ანალიტიკური გამოსახვის ფორმად და მას ცალკე აღარ განიხილავენ. სწორედ ამ ორი ან სამი სახის, ფორმისა და შინაარსის განმასხვავებელი და განმსაზღვრელი ხასიათები, ნიშან-თვისებები: ფორმობრივ-



ვიზუალურ-შინაარსობრივი ბუნება გამოკვეთს ჟურნალისტიკის ერთიან, მთლიან ორგანიზმს და მიზნად ისახავს ისეთი თეორიული ტექსტების შექმნას, როდესაც ასახვის საგნის მთლიანი კონკრეტული სახე გამოიკვეთება; (მათ შორის მხატვრული სახითაც).

რას ემსახურება ან რას გულისხმობს ინფორმაციული ჟანრი? როგორია ამ ჟანრის ტექსტების ბუნება? როგორ აღინერება ის? რით განსხვავდება სხვა ჟანრისაგან ანუ სათქმელის გამოხატვის სხვა ფორმისაგან? განმასხვავებელი ნიშანი დევს სწორედ ტექსტების როგორც ფორმალურ, ისე შინაარსობრივ თვალსაზრისში და ამის გამოცნობა არც თუ ისე რთულია. ეს მდგომარეობს ინფორმაციული ჟანრის როგორც გამოხატვის ფორმალურ მხარეში, ასევე მის შინაგან სამყაროში-ფილოსოფიაში; როდესაც ის მთლიანად ფაქტების ასახვისას ეყრდნობა შედარებით გარეგნულ, ვიზუალურ, „ზედაპირულ“, მარტივ წარმოსახვასა და ჩვენებას, რომელიც გულისხმობს სიახლეზე ორიენტირებული ყველანაირი ფაქტის, მოვლენის, პროცესის (მნიშვნელოვანის, ნაკლებად მნიშვნელოვანის) „აღნუსხვას“, წარმოჩენას, მიტანას მასობრივ აუდიტორიასთან; რომელიც ასევე ფაქტის დამახასიათებელ, გამოკვეთილ, საინტერესო დეტალის გამოვლენასაც უწყობს ხელს. ასეთი წარმოჩენა-წარმოდგენა გვაძლევს საშუალებას შევუქმნათ ზოგადი შეხედულება და წარმოდგენა საზოგადოებას, მის თითოეულ წევრს ასახვის საგანზე, რომელიც თავად იყალიბებს შემდგომ ამა თუ იმ დონეზე შესაბამის შეხედულებასა და პოზიციას ამა თუ იმ კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში საკუთარი, პირადი ინტერესიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ჟურნალისტი პასუხს სცემს მხოლოდ ექვს მარტივ კითხვას: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ? დასმულ კითხვებზე სწრაფი და ოპერატიული პასუხები ამ ჟანრით დაინტერესებულ ადამიანთა ცნობის-მოყვარეობას გულგრილად არ ტოვებს.

მეორე მნიშვნელოვანი და საინტერესო ფორმა ჟურნა-

ლისტური ასახვის საგნისა, რომელიც ფაქტის, მოვლენის პროცესის, ვითარების, რეალობის გარკვევას, გაანალიზებას უწყობს ხელს, ანალიზურის სახელწოდებითაა ცნობილი. ანალიზური ტექსტები ძირითადად აქცენტირებენ ყველაზე მნიშვნელოვანისა და საინტერესოს ჩვენება-გამოვლენა-წარმოჩენა-გამოკვლევაზე, რომელიც ცხოვრებაში მიმდინარე ვითარებას ასახავს. ეს ძირითადად ცხოვრებაში არსებული პრობლემები და საკირკიტო თემებია, ხანდახან ზედმეტად მტკივნეულიც. ის შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პიროვნებებს, რომელთა შესახებ საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყოს, ასევე ცნობილ ადამიანებს: პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს, მსახიობებს, მდიდარ, გავლენიან და ფულიან ავტორიტეტებს, ასევე ჟურნალისტებსაც. ანალიტიკური თემატიკა რიგ რისკფაქტორებსაც შეიცავს და ამიტომაც მასზე მუშაობა ხიფათის შემცველიც შეიძლება აღმოჩნდეს. ანალიტიკური ასახვა ფოკუსირებულია საზოგადოებას მოუყვეს, გააგებინოს მივიწყებული, მტკივნეული და საჭირობოროტო თემების შესახებ, რომელთა მიმართ აუდიტორიას ბუნდოვანი ან არასწორი შეხედულება აქვს და ბოლომდე არ არის გარკვეული სიმართლეში. ანალიტიკური ტექსტების ყველაზე მთავარი პრინციპი სიმართლეზე, ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზეა ორიენტირებული. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სხვა გვარები აქცენტირებენ მიკერძოებას, არაობიექტურობას, უსამართლობას. არა, ეს ასე როდია, მაგრამ ინფორმაციული ასახვა სათქმელს გადმოსცემს ყოველგვარი შეფერილობის გარეშე, აჩვენებს ფაქტს, რეალობას, სინამდვილეს ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ისე რომ მომხმარებელი მას გებულობს ისე, როგორც ხედავს ან კითხულობს. ანალიტიკურ ჟანრში კი ასახვის ფორმა და შინაარსი მრავალ გამოკვლევას, დასკვნას, შესწავლას, თვალყურის მიდევნებას, დიდ პირად გამოცდილებას ეფუძნება. შეუძლებელია ანალიტიკური ტექსტის მომზადება პირადი გამოცდილების გარეშე. ანალიზი მოითხოვს როგორც თეორიულ, ასე-

ვე პრაქტიკულ გამოცდილებასაც ჟურნალისტიკის მხრიდან, რადგან ჟურნალისტი, რომელიც კონკრეტული ფაქტების შესწავლასა და მის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების გაანალიზებას დაინყებს, მას უპირველესად შესაბამისი კომპეტენცია უნდა გააჩნდეს, ანუ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რესურსი, რომელიც მისცემს მას შეუმცდარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, ანუ გამოცდილების მარაგი მასში საკმაოდ დიდი უნდა იყოს. ანალიტიკურ ტექსტში ჟურნალისტი ცდილობს ახსნას და გამოიკვლიოს ყველაზე მიუხედავად, დაფარული, მნიშვნელოვანი და საინტერესო, აჩვენოს შინაგანი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ფაქტების, მოვლენების, პროცესების ამგვარი განვითარებისა, (კითხვები, რომელსაც პასუხობს ჟურნალისტი, მნიშვნელოვნად ფართოა და ყოველმომცველი, ამასთან გასაგები და ნათელი). ანალიტიკურ ტექსტებზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება ჟურნალისტი მიერ მახვილდება ისეთ პრობლემატურ საკითხებზე, რომელიც ყველაზე მეტად აღელვებს საზოგადოებას, რომელსაც აქვს არა მხოლოდ სურვილი გაერკვეს სიტუაციაში, არამედ უფლება, ეძებოს გამოსავალი ვითარების გამოსასწორებლად საზოგადოებრივი განვითარების, პროგრესის გზაზე. „ჟურნალისტიკისთვის ყოველი დავალება ამოსახსნელი საიდუმლოა. დაკვირვების მეთოდის გამოყენებით მან შეიძლება იპოვოს გამოსავალი, ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის გარშემოც განვითარდება ამბავი“ (6-1).

მხატვრულ-პუბლიცისტური ასახვა, რომელიც ანალიზურ ჟანრში მოიაზრება, მიმართულია არა მხოლოდ მოვლენებისა და ფაქტების დეტალურ ახსნაზე, მისი შინაგანი ბუნებისა და ხასიათის გამოვლენაზე, არამედ აქცენტს აკეთებს სწორედ ფაქტების ემოციურ-მხატვრული ფორმით წარმონაჩენაზე, ექსპრესიულობაზე. ასეთი პრეზენტაცია ფაქტებისა ხელს უწყობს საზოგადოების, მასობრივი აუდიტორიის ეფექტურობას კონკრეტულ საკითხებზე განსაკუთრებული რეაგირებისათვის, როდესაც თანაბრად მუშაობს როგორც

ჟურნალისტური, ასევე ლიტერატურული შესაძლებლობანი, რაც საბოლოოდ ზრდის იმავე აუდიტორიის ემოციურ პათოსს და კიდევ უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის წარმოდგენილ სინამდვილეს. სწორედ ასეთი ჟურნალისტური და ლიტერატურული ნაზავი, როდესაც ერთმანეთს ერწყმის ლიტერატურულ-პუბლიცისტური შესაძლებლობანი (ფაქტების გარდასახვის, შეფერადების, გადაჭარბების, გაზვიადების, ჰიპერბოლიზაციის უნარი), კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ფაქტის (ფაქტების) ეფექტურ წარმოჩენას, ემოციურ გააზრებას, ზემოქმედებით „წნეხს“. სწორედ მსგავსი შემოქმედებითი და გამომსახველობითი შესაძლებლობანი აახლოებს ჟურნალისტიკას მხატვრულ ლიტერატურასთან, რომელსაც ეწოდება პუბლიცისტური (ან თუნდაც მხატვრული) ტიპიზაცია. შესაბამისი ხასიათის ჟურნალისტიკა აუდიტორიის წინაშე სვამს „ხელჩასაჭიდს“, ფაქტს, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება სინამდვილის რეალურ გააზრებას, როგორც ემოციური, ისე მომხდარი მოვლენის შინაგანი ხასიათის ახსნისა და ანალიზისათვის.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ასახვის ფორმის უპირატესი როლი ფაქტისავე განმსაზღვრელ შინაგან ხასიათსა თუ ბუნებაში, მისსავე „პიროვნულ“ სამყაროში-ფილოსოფიაში ვლინდება; თუკი, რა თქმა უნდა, მოვახერხებთ და შევძლებთ ამ ყველაფრის დანახვასა და გააზრებას. ამიტომაც არის ერთგვარად რთული ჟურნალისტური შემოქმედებითი შესაძლებლობანი მარტივად „გაამჟღავნო“ და ასევე მარტივად და ადვილად წარმოაჩინო. შემოქმედებითი ფანტაზიის გარეშე ასახვის საგნის ამ ჟანრში გადმოცემა-გამოხატვა უბრალოდ შეუძლებელია, ხოლო ფანტაზიაზე კი, მოგეხსენებათ, ვერავინ ბრძანებლობს, პირიქით-თავადაა მბრძანებელი: ისე წერ და გადმოსცემ, როგორც „ფანტაზიას სურს“. სწორედ ეს სურვილი, უფრო სწორედ სასურველი რეალობაა ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო შემოქმედებითი გააზრებისათვის: თავისუფალი, მაგრამ ერთგვარად საზღვარმიჩენი-

ლი, არა შეკვეცილი, არამედ ლალი, არა ფრთებშეჭრილი, არამედ ყოვლისმომცველი, არა შებოჭილი, არამედ ყოვლისმთქმელი, ამასთან ერთად საინტერესო, სიღრმისეული, რწმენითა და იმედით გაჯერებული, ლაკონური, მართალი, ობიექტური და დროული.

თანამედროვე მედიასაშუალებათა შესაძლებლობანი ძირითადად მიზნის პროპაგანდისტულ ზემოქმედებაზე ავლენს ორიენტირს. აუდიტორია კი ჩვეულებრივ კვლავ იმას ითხოვს, რასაც წლების განმავლობაში, გნებავთ საუკუნეების წინათაც ითხოვდა. თემები, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, და ა.შ. საკითხებს მოიცავს, ბევრმა უბრალოდ მხოლოდ ფორმა შეიცვალა, ზოგიერთმა ახალი „შირმა“ მოირგო. სინამდვილეში ყველაფერი ისევე დარჩა, როგორადაც არის. ამიტომაც, შესაძლოა ბევრმა ეს ყველაფერი საკუთარ მიზნად გამოიყენოს და დაისახოს მაქსიმალურად ბოლომდე „პირად სარგებელზე ორიენტირებული“ არსებული რეალობა საკუთარი „პრაგმატული“ ინტერესების სასარგებლოდ მიმართოს. ეს ასე ნამდვილად ხდება და ამ ყველაფერმა უკვე იმდენად ინტენსიური ხასიათი მიიღო, აუდიტორია ამ ყველაფერს ველარც კი ამჩნევს. ამის ნათელი დასტური სწორედ მედიასაშუალებათა ზედმეტი პოლიტიზირებაა, ანუ მეტი ჩართულობა სხვათა საქმიანობის გადაჭარბებული პროპაგანდირებისათვის, არასწორი შეფასებისათვის, სიყალბისა და სიცრუის ერთადერთ ჭეშმარიტებად გასაღებისათვის... იქედან გამომდინარე, რომ ჟურნალისტიკა ზრდის ინფორმაციის სოციალური აქტივობის ხარისხს საზოგადოებაში, ასევე ახდენს იმავე საზოგადოების სოციალურ ორიენტაციასაც შეთავაზებული თემების მიხედვით..

საერთო ჯამში, ჟურნალისტური ტექსტები, რომლებსაც გამოკვეთილი მიზანი ამოძრავებთ, მნიშვნელოვანი პირობაა საზოგადოებრივი აზრის შექმნის გზაზე იმ ძირითადი ამოცანის შესასრულებლად, რომელიც სინამდვილის გააზ-

რებასა და ჟურნალისტურ ფანტაზიას ერთ მთლიანობად წარმოსახავს და ფაქტის ჩვენება-გადმოცემით კონკრეტული ქმედებისაკენ უბიძგებს აუდიტორიას. ასეთი შემოქმედებითი მიზანი, რომელიც ობიექტურ რეალობას სუბიექტურ სინამდვილედ სწორედ საკუთარი ფანტაზიის კარნახის საფუძველზე წარმოაჩენს, ინტერპრეტირების განმსაზღვრელ ეტაპზე ერთადერთ ჭეშმარიტ რეალობად გვევლინება და გვაძლევს საშუალებას რეალიზება მოვახდინოთ იმ ძირითადი საზოგადოებრივი დანიშნულებისა და ფუნქციის მქონე ინფორმაციული პროდუქტისა, რომელსაც მოდელირებული საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს.

ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობს მასობრივი აუდიტორიის სოციალურ ორიენტაციას და რეგულირებას ახდენს იმავე იუდიტორიისას საკუთარი მოღვაწეობის, პირადი სოციალური კომპეტენტურობის (ავტორიტეტის) წინა პლანზე წამოწევით, აღადგენს იმავე საზოგადოების სულიერ ნონასწორობას და ეხმარება მას სწორედ განსხვავებული შეხედულებებისა და იდეების სხვადასხვაობის საფუძველზე სწორი და ადეკვატური დასკვნები გააკეთონ მიმდინარე მოვლენებზე.

### **ლიტერატურა:**

1. თ. მაღალურაძე, თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები“, თბ.2013,გვ.163-164
2. მ.გერსამია, ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, თბ.2011,გვ.53
3. ჯ.მ. ჰამილტონი, ჯ. კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას, თბ.2004. გვ.18
4. მ. გერსამია, პუბლიცისტური ინფორმირების თავისებურებანი, თბ.2004, გვ17
5. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
6. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, მე-12 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ.147

## VI

### ახალი ამბავის ჟურნალისტიკა

ჩვენ ვცხოვრობთ ახალი ამბავის ელვარე ეპოქაში და მოვლენების განვითარებას ვაკვირდებით ტელეეთერისა და მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით. სატელევიზიო სივრცე, რომელმაც მთელი სამყარო მოიცვა, მზადაა ყველა დაინტერესებულ პირს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ნებისმიერი წერტილიდან აჩვენოს. საშინაო თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ახალი ამბავისა და მოვლენებისადმი განსაკუთრებული ინტერესი განპირობებულია თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სინამდვილით, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მკვეთრად გამოხატულ ფორმას იძენს. გეოპოლიტიკურად ცვალებადი მსოფლიო, გლობალიზაცია და მსოფლიო ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია ახალ შესაძლებლობებს ქმნის საკომუნიკაციო ქსელების განვითარებისა და ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით. თანამგზავრული აპარატების საშუალებით დღეისათვის დაახლოებით მსოფლიოს 200 ქვეყნის ასეულობით მილიონი ადამიანი სარგებლობს უნიკალური ტელეარხებით: „SNN“ და „BBS“, „EVRONIUS“ და „AL JAZIRA“, რომლებიც მოვლენებისა და პროცესების გაშუქების თვალსაზრისით უკვე იქცნენ მსოფლიო საინფორმაციო ბაზრის საინტერესო მოთამაშეებად. მათი საქმიანობის სფეროფიკა გამომდინარეობს 24-საათიანი უწყვეტი გადაცემებით – ყოველდღიურად ტელეეთერში შესვენებების გარეშე მიაწოდონ ინფორმაცია ისეთ თემებზე, რომელიც მაყურებელმა შეიძლება ვერ ნახოს ნაციონალური ტელევიზიით. „რა არის ახალი ამბავი? სივრცის, დროისა და რესურსების დეფიციტის პირობებში, რა არის მნიშვნელოვანი და რა – არა, რა უნდა გავაშუქოთ და რა – უგულვებელყოთ? ვინ უნდა გასცეს ამ კითხვებს პასუხი დღევანდელი

უსაზღვრო ინტერნეტსივრცის ეპოქაში?“(1-1). სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ახალი ამბების ძალიან მაღალი პროცენტი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაზე მოდის. „ყველა პოლიტიკურ იდეას საკუთარი სოციალური და ისტორიული გარემო-პირობები და ის პოლიტიკური ამბიციები აყალიბებს, რომლებსაც ემსახურება“(2-1). პირდაპირი გადაცემის ფენომენი საშუალებას აძლევს საზოგადოებას თვალყური ადევნოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და იყოს მოვლენების შუაგულში. დღეისათვის სწორედ ზემოთხსენებული გლობალური ტელეარხები გვევლინებიან საინფორმაციო ახალი ამბების პირველ მიმწოდებლებად მსოფლიო საინფორმაციო ბაზარზე.

თუმცა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა განსაკუთრებული სიახლე შესთავაზა მედიამომხმარებელს ახალი მედიის სახით, რომელსაც ამბების შეტყობინების უნიკალურობითა და ოპერატიულობით ანალოგი არ აქვს და შეუძლია განუსაზღვრელი რაოდენობისა და მოცულობის პროდუქცია უფასოდ მიანვდინოს. ამიტომაცაა, რომ ახალმა მედიამ დღეისათვის ამბავთა მიწოდების, ასევე პირადი სუბიექტური აზრისა თუ პოზიციის მასობრივად გავრცელების საქმეში მილიონობით მხარდამჭერი შეიძინა. ინფორმაციული მონოპოლიზმი ცალკეულ მსხვილ მედიაკორპორაციებს შორის ქმნის სერიოზულ კონკურენციას გააკონტროლონ გლობალური ახალი ამბების ნაკადი. ეს ყველაფერი კი თავის მხვრივ ბადებს წინააღმდეგობებს თანამედროვე ეპოქის გლობალური ახალი ამბების გაშუქების საქმეშიც, რაც პირველ რიგში აისახება ჟურნალისტების მიერ მოვლენების ობიექტურად გაშუქების აუცილებლობაში. საერთაშორისო ახალი ამბების მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები ხასიათდებიან ტენდენციით იყვნენ განმსაზღვრელი მსოფლიო საინფორმაციო სივრცისა, რომლის პრიორიტეტად კვლავაც რჩება ინფორმაციის უსწრაფესი მიღება-გადამუშავებისა და მისი სწრაფად გავრცელების ტექნოლოგია.



„ჟურნალისტები გარკვეული ზოგადი პრინციპებით ხელმძღვანელობენ და უამრავი შემთხვევიდან თუ საინტერესო იდეიდან ირჩევენ ისეთს, რომლისთვისაც ღირს ჩვენი, ანუ ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და რომელიც „ახალ ამბად“ ღირს“(3-1). ახალი ამბების ჟურნალისტიკა, მისი თავისებურება და განსაკუთრებულობა უპირველეს ყოვლისა, თავს იჩენს ინფორმაციის მოპოვების მექანიზმის ოპერატიულობაში, მისი სწრაფად გავრცელების ხელოვნებაში, დასწრების პროცესის ამუშავებაში. ჟურნალისტი-რეპორტიორი ცდილობს პირველმა მიიტანოს აუდიტორიამდე ყველა სიახლე, რომლებიც განისაზღვრებიან როგორც ახალ ფაქტები, მოვლენები, ამბები, ცნობები, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და „სიახლეები“. ზოგადი თვალსაზრისით, ახალი ამბავი ეს არის „შემოქმედებითად“ გარდაქმნილი, ჟურნალისტის მიერ მოდელირებული ინფორმაცია ცხოვრებაში არსებულ რეალურ ფაქტებზე, სინამდვილეზე, მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე დაკვირვების შედეგი. მასობრივი აუდიტორიის მიერ ახალი რეალობით დაინტერესება მიწოდებული ინფორმაციის ოპერატიულობასა და ადექვატურობის ხარისხზეა ორიენტირებული. ისეთნაირად თანაორგანიზებული ახალი მოვლენები და ფაქტები, როდესაც საზოგადოების მხრიდან ინფორმაციული ინფლაცია გამოირიცხება და მასობრივი აუდიტორია მხოლოდ დროსთან და სივრცესთან რეალიზებად პროდუქციას მიიღებს, როდესაც მომხმარებელი ადექვატურ შესაბამისობაში იგრძნობს თავს და არ აღმოჩნდება ვირტუალურ სამყაროში. ახალი ამბების ამდაგვარი გაგება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და ამავე საზოგადოების მიზანმიმართულ მისწრაფებათა და შეხედულებათა განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანია. „ბევრი მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკაში, მაგრამ მარტო აქტივობა არ კმარა-მეთოდი აუცილებელი“(3-2). თანამედროვე საზოგადოების მთავარ, ამასთანავე მნიშვნელოვან პრიორიტეტად ამჟამად

კვლავაც მიჩნეულია ინფორმაციული ხასიათის ტექსტები, რომლებიც ყვითელი პრესის მოძალების მიუხედავად, ცდილობენ კვლავაც დარჩნენ ძირითად სამიზნედ და ჩვეულებრივმა პრესამ, რომელიც მოიაზრება როგორც ახალი ამბების და არა იდეების გავრცელების საშუალება, უპასუხოს დროის გამონწვევებს. ამაში პრესას ხელს უწყობს საზოგადოებისათვის ცნობილი სახეების, თუნდაც პროფესიონალების, ექსპერტების მხრიდან შეთავაზებული კომენტარები მათთვის საინტერესო თემებსა თუ პრობლემატიკაზე. ამ ფონზე კვლავაც აქტუალურია ბექდური მედიის ფურცლებზე დაბეჭდილი პოლემიკა მთელ რიგ ნაცნობ, ამასთან, მტკივნეულ საკითხებზე. საზოგადოების თვალში ასეთი პასუხისმგებლობა და გულღიაობა, როდესაც აშკარაა გულწრფელად საქმის კეთების სურვილი და მისკენ გადადგმული ნაბიჯები, მასობრივ აუდიტორიას პრესისადმი განაწყობს პოზიტივით. საზოგადოების მხრიდან ნდობისა და მხარდაჭერის გამოხატულება ბექდური მედიისადმი იძლევა ამოსუნთქვის საშუალებას კონცენტრირება მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობებისა და მაქსიმალურად უპასუხონ დროის გამონწვევებს. საზოგადოება კვლავაც ნდობას უცხადებს პრესას და ხანგრძლივი პოლიტიკური და ინტელექტუალური ბრძოლა სწორედ საინფორმაციო ასპარეზზე კვლავაც პრესის საშუალებით იმართება. ეს ისტორიულადაც ასე იყო, როდესაც პრესა ზოგადად გადაიქცეოდა ლიტერატურულ-პოლიტიკური პოლემიკის ველად. გავიხსენოთ მაგალითი ქართული პოლიტიკური ცხოვრებიდან მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების დამდეგისათვის, როდესაც თერგდალეულები ბრძოლას უცხადებენ ძველსა და ჩამორჩენილს. ქართულ ლიტერატურაში ეს ბრძოლა თაობათა შორის დაპირისპირებად, „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით მოინათლა. მან მთლიანი ასახვა სწორედ ბექდურ მედიაში ჰპოვა და მისი საშუალებით იქცა ჭეშმარიტად ეროვნულ-პატრიოტულ ცნობიერებად და აზროვნებად. ყველას კარგად მოეხსენება, რომ სინამდვილეში

მამებსა და შვილებს არაფერი ჰქონდათ გასაყოფი, გარდა ქვეყნის მომავალი განვითარების გზის არჩევანისა, ან კიდევ, იმავე საუკუნის დამლევისათვის, როდესაც ასპარეზზე გამოდიან ე.წ. „მესამე დასელები“. მათ მიერ კარგად პროგოცირებულ პროპაგანდისტა აქტიური მუშაობის წყალობით წინა პლანზე ინაცვლებდა არანაციონალური ინტერესები, რომელიც ძირს უთხრიდა ქვეყნის ეროვნულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. „ილიასეულმა „საერთო ნიადაგის თეორიამ“ მეტი მნიშვნელობა შეიძინა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია, ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებული“ (4-1). ეს ყველაფერი ბეჭდური მედიასაშუალებებით ვრცელდებოდა არა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით და შესაბამისად იგივე მედიასაშუალებები განსაზღვრავდნენ და აჩვენებდნენ ქვეყანაში არსებულ „დუღილის ტემპერატურას“. „ახალი ამბებისადმი განსაკუთრებული მოთხოვნილება საზოგადოების მხრიდან მისდამი ჩართულობაში გამოიხატება“ (5-1). დღეს ინფორმაცია ერთ-ერთი ძირითადი და ძვირადღირებული საქონელი ხდება. 21-ე საუკუნის მომავალი განისაზღვრება არა კერძო ან საზოგადოებრივი საკუთრების დომინირებით, არამედ საზოგადოების მომავალი ჩამოყალიბება ცოდნისა და განათლების გარკვეული დონის საფუძველზე. თანამედროვე საზოგადოებაში ისეთი დიდი ინფორმაცია მიედინება, რომ ადამიანებს უჭირთ დამოუკიდებლად გაერკვნენ, გამიჯნონ და განსაზღვრონ ქვეყნის კრიტერიუმები და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ინფორმაციული ბუმისა და ქაოსის დამკვიდრებაში ლომის წილი ეკრანის კულტურაზეც მოდის, რომელიც აუდიოვიზუალური ტექნიკის საფუძველზე უნიკალურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე. „ყველგან, სადაც კი გაივლის ინფორმაცია, მართვის პროცესი ხორციელდება“ (6-1). ამიერიდან, ინფორმაციის წარმოება, შენახვა, გადაცემა და მოხმარება ხდება პრინციპულად სხვა ტექნოლოგიურ საფუძველ-

ზე, რომელიც იწვევს საზოგადოებრივი აზროვნების ნიველირებასა და კომუნიკაციური არხების დეცენტრალიზაციას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით მიიღწევა, იწვევს ერთი მხვრივ, კულტურულ-ინფორმაციული სივრცის მნიშვნელოვან ერთგვაროვნებას, მეორე მხვრივ კი, უდიდეს მრავალფეროვნებას ამ ინფორმაციისა, რომლიდანაც შეუძლია ადამიანს აირჩიოს ის, რაც პასუხობს მის გემოვნებას. ინფორმაციული არჩევანი დიდადაა დამოკიდებული პიროვნების სულიერ და ინტელექტუალურ, გონებრივ შესაძლებლობებზე, როდესაც იგი თავს გაართმევს და არ ჩაიძირება უკიდევანო ინფორმაციის ნისლიან ლაბირინთებში. თუ მომავლის საზოგადოება მართლაც ასეთი იქნება და ის მოგვევლინება როგორც ადეკვატური რეტრანსლიატორი, მაშინ ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტიკის როლი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება, რადგან სინამდვილისა და იმიტაციის ზღვარზე მყოფმა ინსტიტუტმა თავი წარმოაჩინოს არა როგორც უბრალო რეტრანსლიატორმა, არამედ როგორც სამყაროს რეალური სურათის წარმომჩენმა, ფაქტების გამიზნულად გადმომცემმა ზუსტად მიგნებული კომენტარითა და ანალიზით. ამ თვალსაზრისით არა მხოლოდ ახალი ამბების ჟურნალისტიკას გააჩნია აღმზრდელობითი ფუნქცია, წარმართავს რა ადამიანს არამარტო სულიერი ფასეულობების არჩევანისაკენ, არამედ აყალიბებს მის ცნობიერებაში ცხოვრების საზრისს, არსს და განაპირობებს კიდევ მას. ადამიანს, რომლის ცხოვრება დაკავშირებულია გარკვეულ პროფესიულ საქმიანობასთან, იდეებთან, შეხედულებებთან, სოციალურ-პოლიტიკურ მრწამსთან მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები სთავაზობენ თანამედროვე მსოფლიოში არსებულ მოვლენებსა და ფაქტებზე დოკუმენტურად მოტანილ სურათებს, ფაქტებს, აზრებს, იდეებს, რომლებიც ბევრნილად არ ეთანხმება პიროვნულ ფილოსოფიურ სამყაროს, რაც ხშირად იმედების გაცრუებას, ან პირი-

ქით, სიმტკიცეს უწყობს ხელს.

ახალი მსოფლიო ინფორმაციული წესრიგი, რომელზედაც პრეტენზიას უმსხვილესი მედიაკორპორაციები აცხადებენ, უდიდესი საფრთხის შემცველია. მასობრივი კომუნიკაციების მსოფლიო სისტემა დამოკიდებულია კაპიტალსა და უახლეს ტექნიკურ აღჭურვილობაზე. ამიტომაც არ არის გამორიცხული ახალი ამბების გავრცელება ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოების კონტროლქვეშ მოექცეს, რომელიც გამოიწვევს ყველა მოვლენა შუქდებოდეს ამ ქვეყნის სასარგებლო თვალსაზრისით. ჟურნალისტიკა სხვადასხვა ელემენტთა ერთობლივი მოქმედებით აყალიბებს საზოგადოებრივ აზროვნებას და კონკრეტული ფაქტების საფუძველზე იძლევა საფუძვლიან განმარტებებს. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი არ ეთანხმება შეხედულებათა ღია წარმოჩენას ახალი ამბების ჟურნალისტიკაში. მათი აზრით ახალი ამბები უნდა იყოს მხოლოდ ინფორმაცია, კომენტარები კი არის ანალიტიკური ჟურნალისტიკის ამოცანა. ინფორმაციული ჟურნალისტიკის მხარდამჭერები მტკიცედ არიან დარწმუნებული იმაში, რომ მკითხველს სურს იცოდეს, რა ნახა და რა აღმოაჩინა ჟურნალისტიკა და არა ის, როგორ და რატომ მოხდა ეს. ახალი ამბების ჟურნალისტიკა, გამოყოფს რა მოვლენათა ნაკადიდან ყველაზე მნიშვნელოვანს, ქმნის მასალებს, რომლებიც გამოირჩევიან უპ. ყოვლისა ფაქტის ჩვენება-გადმოცემის განსაკუთრებული უნარით, როდესაც თავად ფაქტი ეწევა პროპაგანდას და არა ჟურნალისტი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციული ჟურნალისტიკა მხოლოდ მოვლენათა „ფოტოგრაფირებაა“. სწორედაც ახალი ამბების შესწავლა-შეტყობინების პროცესი ართმევს ჟურნალისტს საკმაოდ დიდ დროსა და ენერგიას მომხდარ ფაქტებზე ოპერატიული, ამასთან მკაცრი და მიუკერძოებელი ანალიზი მოახდინოს და სწორად და დროულად შეარჩიოს უამრავ ფაქტთაგან ისეთი, რომლებიც წარმოჩნდებიან დღის მნიშვნელოვან ახალ ამბებად. ამ მოთხოვნათა

შორის უპირველესი ოპერატიულობა, კომპეტენტურობა და სიზუსტეა, რომელიც ასახვის საგნის თავისებურებათა გათვალისწინებით, არათუ კარგავს ბუნებრივ სახეს, არამედ მაქსიმალურად ინარჩუნებს მის ნამდვილობას. ვაჩვენოთ ის, თუ რა მოხდა და როგორ მოხდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ჟურნალისტი აუდიტორიის ნდობის მოპოვებასა და დაინტერესებას, რომელიც სათანადოდ რეაგირებს და ამჟღავნებს რეაქციას.

კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ინფორმაციის გადაცემის მთავარი საშუალება იყო ენა. „ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენის სტრუქტურა განსაზღვრავს აზროვნების სტრუქტურას და სამყაროს შეცნობის წესს“(7-1). მისი საშუალებით აღწევდნენ ადამიანები ურთიერთობას, სწავლობდნენ ერთმანეთის საქმიანობას, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემას ენიჭებოდა. „როცა ადამიანი ახალ საგნებს ქმნის და ამით სამყაროს ამდიდრებს, იგი ამდიდრებს, ავითარებს და აუმჯობესებს თავის თავსაც. ამას შეიძლება ვუნოდოთ ადამიანის კულტივაცია“(8-1). თანამედროვე გლობალური კომუნიკაციური ქსელი ანალოგიურია ადამიანის ნერვული სისტემისა, რომელიც მოკლე ოპერატიულ ინფორმაციას გადასცემს სხვადასხვა სიხშირით. ამ ახალ სამყაროში, უპ. ყოვლისა, სივრცის, დროისა და ინფორმაციის სწრაფი შეკუმშვის ხარჯზე, ადამიანი იღებს შესაძლებლობას ერთდროულად მონაწილეობდეს მოვლენებში, აკვირდებოდეს პროცესებს, ამასთან აკეთებდეს რელევანტურ დასკვნებს, მიუხედავად ერთმანეთისგან უდიდესი მანძილით დაშორებული ან გამიჯნული ინფორმაციებისა. ადამიანის ტვინი, თანამედროვე ინფორმაციული პროცესების უკიდევანო ჰორიზონტზე, იღებს რა ინფორმაციას, არჩევს ქცევის ერთადერთ მისთვის მისაღებ ვარიანტს. და იმაზე, თუ რა პასუხისმგებლობით შეასრულებს თავის როლს ჟურნალისტი, რომელიც კონკრეტული ადამიანის „ტვინს“ ავსებს დადასტურებული ცნობებით,

დამოკიდებულია მთლიანად საზოგადოების განვითარება.

თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციული ჟურნალისტიკა კვლავაც მტკიცედ იკავებს თავის ნიშას, აძლევს რა საშუალებას ჟურნალისტს შეიძინოს ახალი სოციალური სტატუსი; იყოს არა მხოლოდ მიმწოდებელი, არამედ პასუხისმგებელიც მიწოდებული ინფორმაციის ხარისხსა და სანდოობაზე. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ახალი ამბების ნაკადის ხშირი განმეორებისა და მონაცვლეობის ფონზე საზოგადოება ეცნობა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, ეკოლოგიურ, სპორტულ და ა.შ. მოვლენებს, რომლის მიზანია შეიქმნას თანამედროვე მსოფლიოს მიზანმიმართული სურათი, გადმოიცეს არსებული პრობლემები, ეთნო თუ პოლიტიკური კონფლიქტები, ეკონომიკური პროცესები, ლიტერატურული მონაპოვრები და საზოგადოება ყოველთვის იყოს მოვლენების ეპიცენტრში. ჟურნალისტური საქმიანობა უპირობოდ უნდა პასუხობდეს დროის გამონვევებს ახალი ამბებისა და მოვლენების გაშუქების თვალსაზრისით მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან.

რა არის ახალი ამბავი, რომელიც მაგნიტივით იზიდავს ადამიანის ცნობიერებას? ამ კითხვას მარტივი პასუხი აქვს: ახალი ამბავი არის ის, რაც შენ არ იცი. ეს ერთგვარი ცნობილი ფორმულაა ახალ ამბებთან დაკავშირებით, რომელიც არათუ კარგავს თავის მნიშვნელობას, პირიქით კიდევ უფრო ამოუხსნელი რჩება. ახალი ამბავი, რომელიც ყველას აინტერესებს, შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, რელიგიის, ჯანდაცვის, ეკოლოგიის, სპორტული თემატიკის და ა.შ. ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც შენს გარშემო მოხდა, ხდება ან სულაც შესაძლებელია მოხდეს. „ინფორმაციული ჟურნალისტიკის თავიდათავი მოვლენა და მისი არსია. მომხდარ ამბავში მთავრის ძიებისას შესაძლებელია დაირღვეს ქრონოლოგია. ასეთ ფორმას პირამიდა,

იგივე ანტიისტორია ეწოდება“(9-1). ახალი ამბავი ექვს კითხვაზე პასუხობს. ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ? ეს კითხვები და შესაბამისად ყოველი კითხვის პასუხი უნდა მოიძებნოს იქ, სადაც ახალი ამბავი მოხდა ან ხდება. როგორც აღვნიშნეთ, ახალია ის, რაც ჯერ კიდევ არ იცოდა და გაქვს სურვილი მისი გაგებისა. ეს იქნება შენს სადარბაზოში მომხდარი ამბავი, ეზოში, მეზობელ ქუჩაზე თუ ქალაქის განაპირა მხარეს, ან სულაც მეორე ქალაქში, მეზობელ ქვეყანაში, მნიშვნელობა არა აქვს მანძილს, სიშორეს, სივრცეს, ცნობისმოყვარეობა „...გადაიფრენს, გასცურავს, იპოვის, სანადელს მიაღწევს“.... შენ გაინტერესებს და გსურს გაიგო რა მოხდა, სად მოხდა, როგორ მოხდა და ა.შ. მთავარია მოკლედ ან დანვრილებით გაიგო მომხდარი ამბისა თუ მოვლენის შესახებ. რაც უფრო სწრაფად მოახერხებ ამას, მით უკეთესი, რადგანაც ახალი ამბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება მისსავე ოპერატიულობაში მდგომარეობს, ანუ სწრაფად გაგების, გასინჯვის, მორგების, გაცნობის, გათავისების ინსტინქტის ხარისხი ძალიან მაღალია, რომელსაც ვერავინ ახსნის. რატომაა ადამიანი ასეთი ცნობისმოყვარე? რატომ სურს გაიგოს, იცოდეს, ესმოდეს? რა ისეთი „ჯადო“ დევს ახალ ამბავში, რომელიც ყველას ცნობიერებას მაგნიტივით იზიდავს? მეტად მარტივი პასუხია ამაზე: ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი, რომ მას აინტერესებს ყველაფერი ახალი, უფაღმა ასე იწებება, ასე განაგო... „ცნობის მოყვარეა ადამიანი“ ბევრ რამეს გვაფიქრებინებს ეს გამოთქმა და ბევრ რამეზე მიგვანიშნებს კიდევ. ბევრი რამ იცის ადამიანის ტვინმა, ბევრი რამ წაუკითხავს და გაუგია, მაგრამ იმაზე მეტი კვლავ წასაკითხი და გასაგებია, რაც უკვე გაგვიგია და გვინახავს. სწორედ ამ და სხვა მსგავს საკითხებზე საუბრობს ილია თავის ერთ-ერთ ფილოსოფიური ხასიათის წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. „...ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გაა-



პოზს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავისს თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა... ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე.ი ცხოვრების შიგმდებარებასა; მასში არის მთელი ანმყო თავისი დროებისა და თესლიც მომავლისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თავის დაუდგრომელ დულილშია მოუგდია ზედაპირზედა, – ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს“(10-1). ნებისმიერი შინაარსის მქონე ახალი ამბავი საინტერესოა მანამ, სანამ ახალია და მის შესახებ ბევრმა ცოტა ან საერთოდ არაფერი იცის. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ამბის დამუშავებისა და ოპერატიულად-დროულად მიწოდების ხელოვნებას. თუკი ინფორმაცია დაგვიანებით მიიღო საზოგადოებამ და მის შესახებ უკვე ყველამ ყველაფერი გაიგო, აზრი აღარა აქვს ჟურნალისტურ მცდელობას – მიიტანო იგი ფართო აუდიტორიამდე. საზოგადოება თითოეული კონკრეტული ადამიანისაგან შედგება და ამდენად სიტყვა „საზოგადოებაში“ მრავალნაირი ინტერესი, მისწრაფება, იდეა, აზრი შეხედულება დევს. საზოგადოებას არა მხოლოდ უბრალოდ ახალი ამბავი, არამედ მხოლოდ მისთვის საინტერესო ინფორმაცია აინტერესებს, ის რაც ყველაზე მეტ ემოციას, განცდას, გრძნობას აღძრავს და გამოიწვევს, ყველაზე მეტად უპასუხებს პიროვნების ფსიქოლოგიურ თუ ფილოსოფიურ გემოვნებას, რომელიც საკუთარ აზრებს, იდეებს, შეხედულებებს, მისწრაფებებს ეხამება. ყველას აინტერესებს ახალი ამბავი, მაგრამ ყველას ყველაფერი როდი იზიდავს. ეს საკმაოდ რთული, წინააღმდეგობრივი, ხი-

ფათიანი და სარისკო არჩევანია. ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა: „როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს? ვინ უნდა აღზარდოს საზოგადოებამ? დროა შეიგნონ, რომ პატიოსნება, გულწრფელობა, გატაცება, ერთგულება, მაგრამ არა ოქროსადმი, არამედ კაცობრიობის მაღალი იდეალებისადმი...“(11-1). რამდენად იცნობ აუდიტორიას, ვისთვისაც ახალ ამბავს ამზადებ? რამდენად არის ამისათვის მზად ჟურნალისტი წეროს საინტერესოდ, ორიგინალურად და მარტივად? უბრალო ენით გაშუქებული ახალი ამბები აინტერესებს დღეს მასობრივ აუდიტორიას, ვიდრე ტექსტები, რომლის გასაგებად ლექსიკონის მოშველიებაა საჭირო. სამწუხაროდ ბევრმა ცნობილმა და გავლენიანმა მედია არხმა ახალი ამბების მოპოვება-მიწოდების პროცესში საზოგადოებას შესთავაზეს ასეთი ფორმულა: „ახალი ამბები კეთდება აქ!“ ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება არათუ აფერხებს, აკნინებს მედიის ხარისხს და ლაზათს, რაც მთავარია ობიექტურობისა და სამართლიანობის განცდას უკარგავს საზოგადოებას, არა მხოლოდ ახალი ამბებისადმი, ზოგადად მედიისადმი. აქ თავს იჩენს ეჭვი, რომელიც, ერთი მხრივ, სიმართლეს, ობიექტურობას, მიუკერძოებლობას, ბალანსს და მეორე მხრივ, გაზვიადებას, ზედაპირულობას, მოჩვენებითობას ერთმანეთში აურევს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი, ისევ მედიის როლზე აისახება, მის ავტორიტეტზე ახდენს გავლენას, რაც საზოგადოების მხრიდან მედიისადმი იმედგაცრუებაში გამოიხატება. შეუძლებელია ახალი ამბის „გაკეთება“, „გამოჩარხვა“, გამოგონება. ეს ხომ რაიმე ტექნიკური დეტალი ან რკინის კონსტრუქცია არ არის? ინფორმაცია ხომ ჩვენი რეალური ცხოვრებაა, ცოცხალი სინამდვილეა. ის ისევე სუნთქავს და განიცდის, როგორც ჩვენი ყოველდღიური ყოფა, ცხოვრება, ურთიერთობანი. ყოველ ახალ ინფორმაციაში ახალი სული დევს და როგორ შეიძლება მისი ხელოვნურად შექმნა? ჟურნალისტმა ძალიან კარგად უნყის ინფორმაციის ადეკვატურობისა და შესაბამისობის ხარისხის შესახებ. რა-

საც ასახავს, თუ ყველაფერი რეალურ ცხოვრებაში, ფაქტში, სინამდვილეში, მისსავე წიაღში-შინაარსში არ დევს, ყოველივე მოჩვენებითია და ამაო. რეალობის დამახინჯება კი, ბუნების წინააღმდეგ წასვლის, საზოგადოებრივი აზროვნების დეგრადირების, უკუსვლის ტოლფასია. ადამიანი, ყოველი კონკრეტული პიროვნება ინფორმაციით მართვადი არსებაა. ამიტომაც მას აქვს უფლება იცოდეს სიმართლე, ხელი მიუწვდებოდეს მისთვის საინტერესო ინფორმაციაზე და არაფერი იყოს დამალული, გარდა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე კონფიდენციალური, ანუ ისეთი ინფორმაციისა, რომელიც შესაძლოა ზიანს აყენებდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. შეგნებულად, ხელოვნურად შექმნილი „ინფორმაციული ვაკუუმი“ არც ერთ შემთხვევაში მომგებიანი არ არის არც ერთი საზოგადოებრივი წესრიგისათვის. ჟურნალისტი საზოგადოებას უნდა აწვდიდეს კარგად გაგებულ, დაზუსტებულ, შესწავლილ და მაღალპროფესიონალურ დონეზე დამუშავებულ ახალ ამბავს – მოკლედ ან ვრცლად, როგორც ამას თავად გადაწყვეტს ხოლმე. უფრო ზუსტად კი, ამას თავად მომხდარი მოვლენა თუ ფაქტი უკარნახებს. კარგი ჟურნალისტი ამ ყველაფერს მარტივად ხედავს და ძალზე უბრალოდ გრძნობს კიდევ. ვისაც უკეთ დანახვის ნიჭი და უნარი გააჩნია, ვისაც არ აშინებს დაღლა ახალი ინფორმაციის ძიების გზაზე, წარმატებებსაც ის აღწევს. არსებული რეალობისა და სიტუაციის შესაბამისია ყოველი ახალი ინფორმაცია. თუკი ჟურნალისტური ტექსტი არაადეკვატურია, უფლება არა აქვს ჟურნალისტს მისი მიტანისა მასობრივ აუდიტორიამდე. რაც შეეხება წერის სტილსა და ენას, მის პუბლიცისტურობას, ანუ ჟურნალისტის უნარსა და შესაძლებლობას ტექსტის შესაბამისობისა სინამდვილესთან, ამ ყველაფერსაც თავად ტექსტი კარნახობს ავტორს. ოღონდაც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მაღალი პროფესიონალიზმია: სინამდვილის დანახვის, შეცნობის, გაანალიზების, წვდომის, ინტუიციისა და ინტელექ-

ტის უნარი. „ტექსტის სტილი განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, ადრესატის ასაკის, მისი განათლების, ცოდნის დონის, სოციალური სტატუსის, ინტერესთა სფეროს გათვალისწინებით“ (12-1). ამ თვისებათა ერთად თავმოყრის გარეშე რთულია აუდიტორიასთან კონტაქტი. ამ თვისებებისგან „გარეთ მყოფ“ ჟურნალისტთა პრობლემაა დღეისათვის ეგრეთ წოდებული ჟანრთა აღრევის საკითხიც. ჟანრთა აღრევა კი ამავდროულად სათქმელის აღრევისაგან გულისხმობს ანუ როცა საუბრობ ერთ კონკრეტულ თემაზე, საკითხზე, პრობლემატიკაზე, ვერ ჰგუობ მას და გიჩნდება სურვილი სხვა თემაზე გადასვლისა, საბოლოოდ კი პასუხგაუცემელი რჩება მთავარი: რითაც დაიწყე. ამით სერიოზული პრობლემები ექმნება არა მხოლოდ ინფორმაციას, რომელსაც თავისი ბუნებრივი ლაზათი, შნო, იერი ეკარგება, არამედ პროფესიონალური ნიშნითაც იქმნება სერიოზული საფრთხე და საშიშროება, რაც პირველ რიგში მოვლენებისა და ფაქტების გაშუქების ობიექტურობასა და სანდოობაში გამოიხატება. როგორია ახალი ამბის წერის ხელოვნება? სტილი? ენა? განცდა? ემოცია? როგორ უნდა შევძლოთ და მოვახერხოთ ისე, რომ ჩვენმა წერილობითმა თუ ზეპირმა ტექსტებმა ყველას ყურადღება მიიპყროს? ყველას ინტერესი გამოიწვიოს? ახალი ამბის წერა, როგორც მოკლედ, ასევე ვრცლად, საკმაოდ რთულია და პრობლემატური. მიღებულია, რომ ახალმა ამბავმა პასუხი უნდა გასცეს ექვს კარგად ცნობილ კითხვას, სათქმელი მოვყვით ძალიან ლაკონურად და ამომწურავად, ვიცოდეთ მისი სტრუქტურა, რათა განვახორციელოთ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში. ამისათვის დამწყებმა ჟურნალისტებმა ხშირად უნდა ავარჯიშონ კალამი, გაიზიარონ სხვათა გამოცდილება, ინვნიონ ერთგვარი დალლა და იგრძნონ და დაინახონ კიდევ, რომ არა თუ მარტივია მარტივად წერა, არამედ ძალიან ძნელი და რთული, რომელიც გონების მაქსიმალური დაძაბვისა და ცოდნის მოპოვების ხარჯზე მიიღწევა მხოლოდ. ამასთან უნდა ვივარჯიშოთ რაც შეიძლება მეტი არა

მხოლოდ წერაში, არამედ დაკვირვებისა და ანალიზის უნარის გამომუშავებაში, სათქმელის გონივრულ, მიზანმიმართულ, თანამიმდევრულ და ლოგიკურ წარმოჩენაში. პრაქტიკის გარეშე წარმოუდგენელია დავეუფლოთ ახალი ამბის წერის სტრუქტურას, რომელსაც „ამოყირავებულ პირამიდას“ (inverted pyramid) უწოდებენ, სადაც ჯერ ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელით იწყება-ინერება, შემდეგ ნაკლებად მნიშვნელოვანით და ასე გაგრძელდება, სანამ სათქმელი არ ამოიწურება. „ექვსი დაბლიუს“ (ხუთი დაბლიუ და ეიჩი) პრინციპი გულისხმობს ყველა ექვსივე კითხვაზე: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ? (Who? Where? What? Why? When? How?) პასუხის გაცემას. მაგრამ არ არის გამორიცხული, ნიუსი ექსივე კითხვას პასუხს არ სცემდეს, მაგრამ კონკრეტულ ფაქტსა თუ მოვლენაზე იმ მომენტისათვის საზოგადოებას „ამომწურავ“, სავსებით საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას აწვდიდეს. ნიუსი ანუ ჩვეულებრივ მოკლე ან ვრცელი ინფორმაცია, რეალობისა და სინამდვილის შესაბამისი და ადეკვატურია. მისი ენა მსუბუქი, კონკრეტული ფაქტის, მოვლენის, სიტუაციის, ერთი სიტყვით ასაღწერი საგნის ბუნებრივ ხასიათს მორგებული, მარტივი და გასაგებია. ფაქტი თავად სუბრობს, გადმოსცემს, ლაპარაკობს. ის გამოირიცხავს ყოველგვარ ძალდატანებას, „ყურით მოთრეულ“ სიტყვებს, პირიქით, სიტყვას წინადადებაში ადგილის პოვნა და დამკვიდრება კი არ უნდა უჭირდეს, არამედ სიტყვა სიტყვას უნდა ეძახდეს, ეძალებოდეს, ემეგობრებოდეს, თავისკენ იწევდეს და ექაჩებოდეს, ოღონდაც ესა თუ ის ფაქტი რეგორმე მარტივად და საინტერესოდ, უბრალოდ და შინაარსიანად წარმომარჩენინეო. ხოლო ამა თუ იმ სახის ინფორმაცია მედიამომხმარებელმა სარწმუნოდ ჟურნალისტის ან არხის გამო კი არ უნდა მიიჩნიოს, არამედ უპირველესად ინტერესით ცოდნისა და სიმართლის გაგების, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის, მსოფლიოში და ქვეყანაში მიმდინარე

მოვლენების შეცნობის და მასზე აქტიური ყურისგდებისა და რეაგირების სურვილის გამო. ან თუნდაც იმის გამო, რომ დროს არ ჩამორჩეს, მასთან მუდმივად კონტაქტში იყოს. დროსთან კონტაქტი კი ნიშნავს მის აქტიურობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი ჩართულობის, მეტი კომუნიკაბელურობის მიზნით. პიროვნება, რომელიც ზედმეტად არ გრძნობს თავს საზოგადოებაში, იცის საკუთარი ადგილი, გრძნობს მის საჭიროებასა და არა ზედმეტობას, უხარია, კარგ განწყობაზეა და ისევე როგორც წინადადებაში სიტყვა სიტყვას ემეგობრება და ეძახის, რეალურ ცხოვრებაშიც ადამიანები ერთმანეთს სითბოს, სიყვარულს, იმედს ჩუქნიან და ხვალინდელი დღის რწმენით განაწყობენ ერთმანეთს, რომ კიდევ უფრო მეტად საინტერესოდ და მნიშვნელოვნად წარმოიდგინოს კონკრეტულმა პიროვნებამ საკუთარი თავი, როლი და ადგილი ამ სამყაროში. საინტერესო ინფორმაციით დატვირთული ადამიანები მე მაგონებენ ათასფერადი ყვავილებით მოფარდაგებულ თვალუნვდენელ გაშლილ მინდორში მზრუნველად მოფუსფუსე ფუტკრების გუნდს, რომლებიც ტკბილი ნექტარით დახუნძლულები ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად მიფრინდნენ საკუთარ სკვებში-სახლებში, სწრაფად გაითავისუფლონ „მძიმე“ ტვირთისგან-ნექტრისაგან საკუთარი სხეული, რომ კვლავ ახალი ენერგიით შეუტიონ ახალ ველ-მინდვრებს ახალი ნექტრის მოპოვების მძაფრი სურვილით. ფუტკრები დაფრინავენ და თან ბზუიან. ასე წარმომიდგენია ჟურნალისტური სამყარო-ჟურნალისტები დაფრინავენ და სულიერი საზრდო შეაქვთ თითოეულ სახლში, ოჯახში, თითოეულ ადამიანში, პიროვნებაში, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, რასისა, რწმენისა... თავისუფალ გარემოში მოპოვებული ინფორმაცია ძალიან ძვირად ფასობს, ისევე როგორც ნატურალური თაფლი ბაზარზე. მაგრამ ისე დაიხვენა დღეს მადიატექნოლოგიები, როგორც ნამდვილი, ნატურალური თაფლის გარჩევა ჭირს ხელოვნური, „გაკეთებული“ თაფლისაგან, ასევე რთულია ობიექტური და

მიუკერძოებელი ინფორმაციის გამიჯვნა გამოგონილი და აშკარად ტყუილზე აგებული ინფორმაციისაგან. როგორ მოვიქცეთ? რა ხერხსა და საშუალებას მივმართოთ, რომ არ მოვტყუვდეთ? ორ უმთავრეს პრინციპს: სიმართლესა და გადამონმებას მხოლოდ. ეს ორი მცნება დაგვეხმარება გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან მოჩვენებითობა და სიმართლე, მიკერძოება და ბალანსი, ხელოვნურობა და ბუნებრიობა. მადლობა ღმერთს, ყველა საშუალებაა დღეს, ერთი რომელიმე არხის მიერ მონოდებული ინფორმაცია სხვა არხზე გადავამონმოთ და ძალიან მარტივად დავინახოთ, სად არის „ძალის თავი დამარხული“, ვინ აფერადებს, ვინ ამუქებს, ვინ ძაბავს და ვინ ლაპარაკობს სიმართლეს და ვინ კიდევ ტყუის... ამიტომაც ახალი ამბის ენა არ უნდა იყოს მძიმე, უხეში, მოუქნელი, ტლანქი, ვერც ვერანაირად მომგებიანი ვერ იქნება ეგრეთ ნოდებული „დატენილი ფრაზები“, რომელიც თითქოსდა ახალი ამბის წერისას გამოიყენება. რას ნიშნავს „დატენილი ფრაზა“? პასუხი მარტივია: ზედმეტ ემოციას, სტრესსა, და განცდას. ვისკენ მივმართავთ ამ „დატენილ ფრაზას? როგორ აისახება ეს ყოველივე კონკრეტულ პიროვნებაზე? რა გვსურს ჩვენ ასეთი ახალი ამბით: ინფორმირება-შეტყობინება (მნიშვნელობა არა აქვს პოზიტიურ ან ნეგატიურ ინფორმაციას ამ შემთხვევაში) თუ გადაჭარბებული ემოცია, განცდა, რომელიც შესაძლოა გადაიზარდოს სტრესში, სიმძიმესა და ტკივილში? ან გაუცნობიერებლად, გაუაზრებლად ძალზე მარტივად ნებისმიერი ამბის გადაუმონმებლად მიღება-დაჯერებაში, როდესაც მოდუნებულია უნარი ყოველგვარი კრიტიკული გააზრება-ანალიზისა. თუ ჩვენ ამ უნარს წავართმევთ საზოგადოების კონკრეტულ წევრებს, შესაბამისად მასობრივი აუდიტორიის „ცნობისმოყვარეობისა და ფანტაზიის სივრცესა თუ არეალში“ ექცევა მხოლოდ ასეთნაირად „ინტერპრეტირებული“ ინფორმაცია. შესაბამისად, იგივე აუდიტორიის მხრიდან ტექსტისადმი ადეკვატურობის ხარისხი მცირდება და იგი მხოლოდ გამტარუნარიანი ხდება.

სხვათა შორის, ინფორმაციაზე რეაგირების ერთ-ერთი გან-  
მაპირობებელი ფაქტორი არა მხოლოდ პიროვნების, ინდივი-  
დის იდეურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსი, პოზიცია ან  
დამოკიდებულებაა, არამედ თავად ის გარემო, რა პირობებ-  
შიც უწევს ცხოვრება მას. ამდენად, პირველ რიგში უნდა გა-  
ირკვეს სწორედ რა ამოძრავებს მედიასაშუალებას: მოგება  
თუ საზოგადოებრივი ინტერესი. ამ ორი პრობლემატიკის გა-  
მიჯვნის შემდეგ ნათელი გახდება რა მიმართულებით მოძ-  
რაობენ ახალი ამბები და შესაბამისად როგორია მათი არჩე-  
ვანიც. რატომ პასუხობს ნიუსი ექვსივე ცნობილ კითხვას?  
რატომ იჭრება ანალიზური ჟურნალისტიკის არსში, როდე-  
საც ის სწორედ მსგავსი ტექსტებისადმი დამახასიათებელ  
მეტად მნიშვნელოვან კითხვებს: „რატომ? როგორ?“ სცემს  
პასუხს? ახალი ამბის ასპარეზი ხომ ერთგვარად მოკრძალე-  
ბული, ლოკალური და „უპრეტენზიოა“? ის ხომ მოკლედ და  
მარტივად ესაუბრება, უყვება და გადმოსცემს? აბა რა ესაქ-  
მება ისეთ პრეტენზიულ, ტევად, წონიან ანალიტიკურ ანუ  
გაანალიზებულ და ღრმად, დაწვრილებით გამოკვლეულ ჟან-  
რთან? ვაღიაროთ, რომ ამბის მოკლედ და ლაკონურად გად-  
მოცემა უმნიშვნელოვანესი თვისებაა არა მხოლოდ ახალი  
ამბის ჟურნალისტიკის არსისა. „რატომ?“ და „როგორ?“ – აი,  
ამ ორი კითხვის პასუხში დევს მთელ ანალიზურ ტექსტთა  
ფილოსოფია. მარტივ კითხვას მარტივად გაცემული პასუხი  
სჭირდება, შესაბამისად, რთულ კითხვას – რთული. თუმცა  
არის გამონაკლისი, როდესაც ეს ყველაფერი პირიქით ხდება,  
ან უბრალოდ, ეს ყველაფერი დამოკიდებულია როგორც  
კითხვის შინაარსზე, ასევე მანძილზე, ანუ გაცემულ პასუხ-  
ზე. „როგორი შეკითხვაა, ისეთივეა პასუხი“ – ეს ფილოსო-  
ფიური გამონათქვამი ამ შემთხვევაშიც საინტერესოა. რო-  
გორ პასუხს სცემს მოპასუხე? როგორ მიჯნავს სათქმელს?  
სად წყდება ახალი ამბით დაინტერესებულ კითხვებზე პასუ-  
ხის ზღვარი? და როდის, რა შემთხვევაში უგრძელდება მას  
ე.წ. „ვიზა“? როდესაც საქმე გვაქვს სიტუაციის, ფაქტის,



მოვლენის, პროცესის ზედაპირულ გაგებასთან ან უბრალოდ ინტერესთან? თუ სათქმელის ვრცლად გადმოცემის აუცილებლობასთან, როდესაც მხოლოდ სათქმელი არ ჰყოფნის, ვერ იტყვს, ვერ გადმოსცემს, ანუ უფრო მეტია საჭირო, ვიდრე სიტყვები. ეს კი წერისა და საუბრის დროს დანახვის ხელოვნების, ჩვენება-გადაცემის უნარიცაა. როდესაც საუბრობენ და გიხატავენ, გაჩვენებენ და გარწმუნებენ, გადმოსცემენ და გიყვებიან, როდესაც ამ ყველაფერს ერთბაშად კითხულობ ან ისმენ, და ამ დროს ხედავ, გრძნობ და განიცდი... ამ შემთხვევაში კითხვებზე „რატომ? ან როგორ?“ პასუხიც უნდა იყოს შესაბამისი: მოკლე ან ვრცელი, უფრო ზუსტად მოცემული სიტუაციის შესაბამისი, სიცხადეში სინათლის სხივის შემტანი, ერთგვარად დამაკმაყოფილებელი.

მაგალითისათვის თვალი გავადევნოთ ბექდურ მედიაში გამოქვეყნებული ჩვეულებრივი ახალი ამბების ნაკადს, რომლებიც გაზეთ „კვირის პალიტრის“ საშუალებით მიიღო მკითხველმა სხვადასხვა დროს. საინტერესოა მაგალითები, რომლებიც იძლევიან „ცნობას“ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ცნობები ეხება პულიცერის პრემიის ლაურეატებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, გენდერული საკითხების ფაქიზად და დაბალანსებულად გაშუქებას, არასამთავრობო ორგანიზაციის IREX-ის მიერ გამოქვეყნებულ ახალ ანგარიშს, ჟურნალისტური პროფესიონალიზმის საკითხებს და სხვა მნიშვნელოვან პრობლემატიკას, რომელიც დამახასიათებელია როგორც თანამედროვე ქართული, ასევე მსოფლიო სინამდვილისათვის. აქ საქმე გვაქვს კონკრეტულ ახალ ამბებთან, ჩვეულებრივ ინფორმაციასთან. თითოეული მათგანი დამაჯერებელ და საინტერესო ინფორმაციას აწვდის საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს. თუ კი ვინმეს დაინტერესებს კონკრეტული ინფორმაციის „იქით წავიდეს“ და გაიგოს მეტი, მაშინ, რა თქმა უნდა, მან უნდა იზრუნოს კიდევ ამის თაობაზე მეტი ინფორმაციის მოპოვებისათვის

და ინტერესი დაიკმაყოფილოს. ამის უებარი საშუალება და „ნამალი“ კი სხვა ჟანრია, ანუ გამოსახვის სხვა ფორმა და საშუალება, როდესაც დანვრილებით გაიგებს და გაეცემა პასუხები უამრავ მისთვის საინტერესო კითხვებს.

\*\*\*

„პულიცერის პრემიის ლაურეატები ყოველ წელს აპრილში ცხადდებიან. პრემია გაიცემა კატეგორიებში ჟურნალისტიკის, ხელოვნებისა და მწერლობის განხრით. ჟურნალისტიკის ჯილდო მხოლოდ აშშ-ში მდებარე გაზეთებსა და ყოველდღიური ახალი ამბების ორგანიზაციებში დაბეჭდილ ან გამოცემულ რეპორტაჟებსა და ფოტოებს მიენიჭება“.

რა კითხვები შეიძლება გაუჩნდეს მკითხველს, რომელსაც აინტერესებს აღნიშნული ახალი ამბავი? კითხვები შესაძლოა იყოს მრავალნაირი და მრავალმხრივი. მაგ. ვინ არის პულიცერი? რამდენია თანხობრივად პრემია? რატომ მხოლოდ ამ კატეგორიებში? რატომ მხოლოდ აშშ-ში? და კიდევ სხვა, რომელზედაც ამომწურავი პასუხები სხვაგან, უფრო ვრცლად გადმოცემულ ინფორმაციებში უნდა მიიღონ. მსგავსი პრობლემატიკითა თუ საკითხებით დაინტერესება ნიშანია რა თქმა უნდა საზოგადოების ინტერესებისა კონკრეტულ საკითხებში ღრმად და საფუძვლიანად გაცნობის მიზნით და ეს ყოველივე, თავის მხრივ, ნიშანია იგივე საზოგადოებაში არსებული სხვადასხვანაირი გემოვნებისა თუ ესთეტიკური მრწამსისა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა და კიდევ ერთხელ ადასტურებს ჟურნალისტიკაში ჟანრობრივი პრობლემატიკის არსში სიღრმისეული წვდომის აუცილებლობას.

გაზ. „კვირის პალიტრა“, 27-09-2010  
დალესტანში ტერაქტი მოხდა

მანაჭყალაში მომხდარი ტერაქტის შედეგად 30 ადამიანი



დაიჭრა, რომელთა შორის 17 მილიციელი და 13 სამოქალაქო პირია.

აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც დაღესტნის შსს-სა და რუსეთის ფედერალური ძალები ადგილობრივი

პარტიზანების წინააღმდეგ სპეცოპერაციას ატარებდნენ. თვითმკვლელი ტერორისტი სამართალდამცავთა კორდონს მიუახლოვდა. სავარაუდოდ, მას სპეცოპერაციის ადგილზე შეღწევა სურდა, თუმცა, მილიციელებმა ტერორისტს გზა გადაუღობეს და მანაც ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში მოიყვანა.

გაზ. „კვირის პალიტრა“, 27-09-2010 სი-ენ-ენის პრეზიდენტი სამსახურიდან დაითხოვეს

ტელეკომპანიის დაბალი რეიტინგის გამო, CNN-ის პრეზიდენტი ჯონათან კლაინი სამსახურიდან დაითხოვეს. გადანყვეტილება მედიაკორპორაცია თიმე ქარნერ-მა მიიღო. კორპორაციაში მიიჩნევენ, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტელეკომპანიის რეიტინგი რეკორდულად დაბალ მაჩვენებლამდე დაეცა. კლაინის ყველა მცდელობა, ვითარება შეეცვალა, წარუმატებლად დასრულდა. ჯონათან კლაინს მედიაკორპორაცია თიმე ქარნერ-ის კიდევ ერთი შვილობილი ტელეკომპანიის HLN-ის ხელმძღვანელი კენ ჯონცი შეეცვლის.



აზერბაიჯანში გაჩენილმა ხანძარმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი ლამის წყობიდან გამოიყვანა. გაზ. „კვირის პალიტრა“, 27-09-2010 ნავთობსადენი ლამის ხანძარმა იმსხვერპლა.

აზერბაიჯანში გაჩენილმა ხანძარმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი ლამის წყობიდან გამოიყვანა. ხანძარი აზერბაიჯანის შამქირის რაიონში, სოფელ გილიჩბეილთან გაჩნდა. ცეცხლმა 3 ჰექტარი ფართობი გადაწვა, შემდეგ კი მილსადენს სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა. აზერბაიჯანელმა მეხანძრეებმა რამდენიმე საათში ცეცხლის ლოკალიზება შეძლეს.

არასამთავრობოები საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ 3 ოქტომბერი, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2011

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის შესახებ შენიშვნები წარმოადგინეს. სამივე ორგანიზაცია თანხმდება პოზიციას, რომ აღნიშნული ცვლილებები არათუ აუმჯობესებს საარჩევნო კანონმდებლობას, არამედ გარკვეულწილად აუარესებს მას.

რთველი 2011 მალხაზ ჭკადუა, გაზ. „კვირის პალიტრა“, 28 სექტემბერი, 2011

კახეთში რთველის პირველი ეტაპი დასრულებულია. მევენახეებმა ღვინის ქარხნებში საფერავის ჯიშის ყურძნის

ჩაბარება თითქმის დაასრულეს. „რთველი 2011“-ის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელის, ტარიელ გაბუნias თქმით, ამ დროისთვის ქარხნებში 20 000 ტონა საფერავი და 1 500 ტონა რქანითელია გადამუშავებული. სულ კი რეგიონში წელს მოსავლის რეკორდულ რაოდენობას – 150 ათას ტონა ყურძენს ელოდებიან

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ.2006, გვ.197
2. ე.ჭეიფუდი-პოლიტიკური იდეოლოგიები-თბ.,2004, გვ.3
3. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, მე-12 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ.3, გვ.246
4. გ.ლობჟანიძე, ნარკვევები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1998, გვ.277
5. Mitchell Stephens F O U R T H E D I T I O N BROADCAST NEWS, THOMSON, WADSWORTH-2005 გვ.377
6. რ.სურგულაძე, ვ.იბერი, მასობრივი კომუნიკაცია, თბ.2003. გვ.117
7. თ.ჯაგოდნიშვილი, ი.ჯაგოდნიშვილი, ვერბალური კომუნიკაციები, თბ.2009, გვ.51
8. კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები, 2009, გვ.17
9. ჟურნალისტიკა, იდეის ავტორები მ.ვეკუა, ჟ.რუე, თბ.2013, გვ.233
10. ი.ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ.8, 1985, გვ.387
11. ნ.ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1945, ტ.4, გვ.536
12. ნ. ცეცხლაძე, მ. ხახუტაიშვილი, სტილისტიკა, თბ.2013, გვ.35
13. გაზ. „კვირის პალიტრა“, , 27-09-2010
14. გაზ. „კვირის პალიტრა“, 03-10-2011
15. გაზ. „კვირის პალიტრა“, 28-09 2011

## VII

### ინტერვიუ

ინტერვიუ ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, მნიშვნელოვანი, შეუცვლელი, დინამური, ქმედითი და აქტუალური გამოსახვის საშუალებაა. ხშირად სწორედ, ზუსტად ინტერვიუ იძლევა მოაგროვო საჭირო ინფორმაცია კონკრეტულ ფაქტებზე, საინტერესო მოვლენებზე, პროცესებზე და მიიღო ამომწურავი პასუხიც. ინტერვიუ იძლევა შესაძლებლობას დააკავშიროს ჟურნალისტი ინფორმაციის წყაროს, უშუალო მონაწილეს ან თვითმხილველს კონკრეტული ფაქტისა, მოვლენისა, პროცესისა, აქვს საშუალება უშუალოდ პირველწყაროდან გაიგოს საზოგადოების ან მისი კონკრეტული წევრის გამოცდილებასა თუ შეხედულებებზე. „ინტერვიუს ამოცანაა ფაქტის, მოვლენის, პროცესის გაცნობა პირველწყაროს მეოხებით“(1-1). თუმცა ინტერვიუს ავტორი ხშირად არ არის მომხდარი ფაქტის, მოვლენის, პროცესის, შემთხვევის უშუალო მონაწილე. ამ ყველაფრის შესახებ მას შეუძლია თვითმხილველებთან, საქმეში ჩახედულ ადამიანებთან შეხვედრა, გასაუბრება, დიალოგი, გამოკითხვა; მათთან, ვინც უშუალო მონაწილე ან თვითმხილველი იყო ფაქტისა, სიახლისა, ან უბრალოდ, კომპეტენტური პირია და კარგად ესმის და იცის თუ რა მოხდა და როგორ მოხდა ამა თუ იმ კონკრეტული ფაქტისა თუ საკითხის ირგვლივ. ინტერვიუერს კარგად ესმის, რომ მცოდნე, კომპეტენტური და საქმეში ჩახედული პიროვნების ნააზრევი საზოგადოებისათვის ყოველთვის საინტერესოა, მის აზრს ანგარიშს უწევენ, პატივს სცემენ, აფასებენ. ამიტომაც მათ მიერ წარმოდგენილი რეალობა, მათი თვალთ დახახული, აღქმული თუ განცდილი, საინტერესოა ყველასათვის. ხანდახან ესა თუ ის მოვლენა შეიძლება ხდებოდეს იქ, სადაც ჟურნალისტს უჭირს მოხვედრა: მაგ. წყალქვეშა ნავზე, კოსმოსურ ხომალდზე ან თუნდაც სიკ-

ვდილმისჯილთა საკანში. ამ შემთხვევაში ჟურნალისტი საჭირო ინფორმაციას ღებულობს სწორედ მხილველთა თუ მონაწილეთა გამოკითხვით. ინტერვიუ, რომელიც თავისი ბუნებით ინფორმაციულ ჟანრთა შემადგენლობაშია, ძალზე საინტერესოდ და დაწვრილებით არკვევს მოვლენებისა და ფაქტების მსვლელობას, ეხმარება საზოგადოებას გაერკვეს არსებულ, მიმდინარე ან მოსალოდნელ სიტუაციაში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჟურნალისტის ამოცანას წარმოადგენს უბრალო ჩანაწერის შედგენა. ასეთ შემთხვევაშიც მას უეჭველად მოუწევს ფაქტების დაზუსტებისათვის მიმართოს იმ ადამიანს, რომელსაც ინფორმაცია გააჩნია აღნიშნულ საკითხზე. ეს შეიძლება იყოს რიგითი მასწავლებელი, თუნდაც მწვრთნელი, ან უბრალოდ სკოლის დირექტორი, ან უბრალოდ დაწესებულების დამლაგებელი, გამყიდველი და სხვა. ინტერვიუ არის ერთგვარი დიალოგის ფორმა, რომელშიც სწორედ ჟურნალისტი იჩენს ინიციატივას შეკითხვების დასმით. ინტერვიუს მეთოდის გამოყენების შედეგი ხშირად არის ტექსტი, რომელსაც მიაკუთვნებენ ინტერვიუს ჟანრს. თუმცა ინფორმაცია, მიღებული ინტერვიუს მეთოდით, შეიძლება გვხვდებოდეს სხვა ჟანრებშიც – ჩანაწერის, სტატიის, ნარკვევის და სხვა სახით, მაგრამ ასახვის ამ ფორმებში ინტერვიუს ჟანრი პასუხობს მოცემულ კონკრეტულ კითხვებს თუ თემას და რესპონდენტიც და ჟურნალისტიც სხვა მიმართულებით საუბრისაგან თავს იკავებენ.

„როგორიც შეკითხვაა, ისეთივეა პასუხი“ – ამ გულუბრყვილო მტკიცებულებაში ღრმა აზრი იმალება. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტისათვის ყველაზე მთავარია წინასწარ იყოს გააზრებული ყველა შესაძლო კითხვა, რომელსაც რესპონდენტს დაუსვამთ. ხშირად თანამოსაუბრე, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ის ოფიციალური პირია, დროში შეზღუდულია, ანუ იცის დროის ფასი. „დრო ფულია“ – გვესმის ასეთი გამოთქმა. ამიტომაც ჟურნალისტის მიერ მოფიქრებული კითხვები ლაკონური, მარტივი, კონკრე-

ტული, უშუალო, საქმეზე ორიენტირებული უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, თემას შეეხებოდეს. ძალზე მნიშვნელოვანია ჟურნალისტის უნარი საჭირო, საქმიანი მიმართულებით წარმართოს საუბარი, ყურადღება ყველაზე მნიშვნელოვანსა და საინტერესოზე გაამახვილოს. სავსებით შესაძლებელია, რომ ხშირად დამწყებმა ჟურნალისტებმა, რომელთაც არა აქვთ საკმარისი გამოცდილება, ყველაფერი არ იცოდნენ იმ კონკრეტული პირის ან მისი საქმიანობის შესახებ, რომელზედაც მასალის მომზადებას აპირებენ. ასეთ დროს აშკარაა შინაგანი ღელვა, შფოთვა, გაუბედაობა, გულის აჩქარებული რიტმი მოსალოდნელი შეხვედრის შიშით. არადა რედაქტორს, ხშირად სწორედ ახალბედა ჟურნალისტის მიერ მომზადებული მასალის ხილვა სურს. ასეთ შემთხვევაში, თუ ინტერვიუს თემა რთული აღმოჩნდა (მაგალითისათვის, თქვენ დაგავალეს ინტერვიუს აღება რომელიმე პრესტიჟული გაზეთისათვის ან ჯანდაცვის სფეროს ან ახალგაზრდა მსახიობთა წრის ხელმძღვანელისაგან, თქვენ კი არც ერთ მათგანს არ თანაუგრძნობთ). და მის შესახებ მართლაც ძალიან ცოტა ან სრულიად არაფერი იცით, უნდა მოემზადოთ ინტერვიუს აღების წინ და ძალიან მოკლე დროში შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ნაიკითხოთ თქვენ თანამოსაუბრის შესახებ, მეტი გაიგოთ იმ საგანზე, რომელზედაც უნდა შედგეს დიალოგი თქვენსა და რესპონდენტს შორის. ასეთ დროს გამოყენებული უნდა იყოს ყველა საშუალება: ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, არქივი, დამატებითი ინფორმაციისათვის ნაცნობი სპეციალისტების აზრი. გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება, თუკი მოახერხებთ და შეძლებთ რაიმე მნიშვნელოვანი, საინტერესო დეტალის გაგებას თქვენს თანამოსაუბრეზე, მის პროფესიულ უნარ-ჩვევებზე, მიღწევებზე, გეგმებზე ან თუნდაც სამომავლო საქმიანობაზე. ერთი გამორჩეული და უბრალო დეტალიც კი ასეთ დროს მნიშვნელოვანი ეფექტის მომცემია. ეს ინფორმაცია თქვენ მოგცემთ საშუალებას რაიმე ფორმით ჩართოთ ის მოსალოდნელი შეკითხვების რიგში. მაგ. „მე ვიცი რომ



თქვენს მიერ დროულმა და სწორმა რეაგირებამ მოსალოდნელ გრიპზე შედეგი გამოიღო. გაქვთ თუ არა იმედი, რომ მთლიანად დავამარცხებთ მას?“ არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ საუბრის პროცესში ჟურნალისტის მხრიდან საქმეში ჩახედულება და ერუდირება ზემოქმედებს თანამოსაუბრეზე, რომელსაც აუცილებლად დააფასებს და მეტ დროს დაგიტომობთ კიდევ. (არ არის გამორიცხული, შემოგთავაზოთ ჩაი ან ყავა, რაზედაც უარს არ ეუბნებით). ვეცადოთ არ შევანყვეტინოთ ლაპარაკი თანამოსაუბრეს, თუნდაც გვეჩვენოს რომ მან გადაუხვია თემას. ყურადღებით მოსმენა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კითხვების დასმის უნარი. მაგრამ ამასთან, არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ჩვენ წარვმართავთ საუბარს და ჩვენსავე ინტერესშია მთელი რიგი საჭირო ინფორმაციის მიღება. ინტერვიუ თანამოსაუბრესთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებით უნდა დავიწყოთ. ზრდილობიანი წარდგენით საკუთარი თავისა და ღიმილიანი გამომეტყველებით უნდა ავუხსნათ ინტერვიუს თემა და შეხვედრის მიზეზი. მან ამ დროს უნდა დაინახოს, რომ სასაუბრო თემა, ჩვენთვის პირადად, ძალზე საინტერესოა და მნიშვნელოვანიც. თუ რესპონდენტს დრო გააჩნია, (ინტერვიუს დაწყების წინ უნდა დავაზუსტოთ, რამდენი დრო გვაქვს), შეგვიძლია მოკლედ მოვყვეთ ჩვენს წინა გამოცდილებაზე, ამასთან დავუკავშიროთ ის მომავალი საუბრის თემას. გამოვხატოთ საკუთარი აღტაცება იმ პროექტით, რომლითაც დაკავებულია ჩვენი თანამოსაუბრე. მივცეთ მას საბაზი თავისთავზე საუბრისა, წინასწარ ჩვენდამი კეთილად განწყობისა. „წყაროები ისეთ ინტერვიუერებს უპასუხებენ, რომლებიც კომპეტენტურად და სანდოდ მიაჩნიათ. ჟურნალისტი კითხვებს სვამს უკვე მოფიქრებული თემის მიხედვით, თუმცა, თუ უფრო მნიშვნელოვანი თემა წამოიჭრა, ჟურნალისტი უნდა გადაერთოს“(2-1). ყველაფერი ეს ვითარებას განმუხტავს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს წყნარად, მშვიდად, ყოველგვარი ზედმეტი ღელვისა თუ ემოციის გარეშე გადავიდეთ ოფიციალურ საუბარზე. ვუყუროთ თანამოსა-

უბრეს თვალეში. გვახსოვდეს, რომ ურთიერთობა ყოველთვის წარმოებს ორ – ვერბალურ და არავერბალურ დონეზე. თუ თანამოსაუბრე (ვერ დაინახავს, რომ მისი გვესმის), ჩვენს გამოხედვაში, შესტებში (ყველაზე გავრცელებული შესტი არის თავის დაქნევა, ღიმილიანი დამონშება, რეაქციის შესაბამისი ემოცია), არ იგრძნობს თავს კომფორტულად, ის ყოველთვის შეეცდება შეკვეცოს, შეამციროს თავისი პასუხები. „მოლაპარაკე მსმენელს მარტო ინფორმაციას არ გადასცემს. ამ ინფორმაციასთან მიახლოების, შეხებისა და განცდის საშუალებასაც ქმნის“ (3-1). თანამოსაუბრესთან „საერთო ენის“ გამონახვის უნარს ფსიქოლოგები უწოდებენ უკუკავშირს. ასეთ დროს ქრება უხერხული პაუზები, რესპონდენტი მზადაა თვითონ დაგვეხმაროს, მაგრამ სამწუხაროდ, უკუკავშირის დამყარება არც ისე იოლია, პირიქით, საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია და ამ დროს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის როგორც პირად თვისებებს, ასევე მაღალ პროფესიონალიზმს. ამის თაობაზე გამოცდილი და პროფესიონალი ჟურნალისტები ყოველთვის უსვამენ ხაზს ინტერვიუერის არა მხოლოდ მაღალნიჭიერებასა და დიდ პირად უნარსა თუ შესაძლებლობებს, არამედ, ამასთან ერთად, მათსავე ზრდილობიან, კეთილმოსურნე, მშვიდ განწყობასა და დამოკიდებულებას. ასევე დიდია ჟურნალისტების მხრიდან საუბრის ნათელი, მკაფიო, გასაგები და დამაჯერებელი ტონი. „ენობრივ კომუნიკაციებში მოლაპარაკების გზნებას, ემოციას – სათქმელის გადაცემის მანერას ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, მნიშვნელოვანია არა მარტო სათქმელი, არამედ თქმის ფორმაც. ეს გარემოება მეტყველების გასაოცარ თავისებურებას ცხადყოფს“ (3-2). ასევე სასიამოვნოა და ეფექტური საკუთარი თავის წარდგენა ინტერვიუს წინ. დასახელება არა მხოლოდ გვარ-სახელისა, არამედ იმ არხის სახელწოდებაც, რომლისთვისაც თქვენ მასალას ამზადებთ. საჭიროების შემთხვევაში შეძლოთ მოკლედ გადმოსცეთ იმ მედიასაშუალებაზე, რომელსაც წარმოადგენთ. თავ-

დაჭერილი და საქმიანი იერი თქვენის მხრიდან ხელს შეუწყობს თქვენს წინაშე მყოფი მკაცრი ან სამუშაოთი შეფიქრანებული ადამიანის თქვენდამი კეთილგანწყობას. კითხვების დასმა ლოგიკური თანამიმდევრობით უნდა დაიწყოთ. შეუძლებელია საუბრისას ჩავეჭრათ რესპონდენტს და არ მივცეთ საშუალება სათქმელის დასრულებისა. ეს ხელს არ შეუწყობს თქვენი ინტერესის საგანზე მეტი ინფორმაციის მოპოვებას. თუ ამჩნევთ, რომ თქვენს წინაშე შემოქმედებითი შესაძლებლობებით, ემოციითა და ექსპრესიულობით გამორჩეული ადამიანია, შეეცადეთ გამოხატოთ მეტი აღტაცება, გაკვირვება, ცნობისმოყვარეობა, ინტერესი, რათა მოახერხო „ახლოს მისვლა“ რესპონდენტთან და მისი ნდობის მოპოვება. მაგრამ ამ ყველაფრისადმი ერთგვარი დოზირებაც გვმართებს, რადგან „ვერბალური კომუნიკაციის პროცესში მსმენელს „არ გადავცეთ“ ჩვენი განწყობა, რაც შესაძლოა ქვეცნობიერის დონეზე არასწორი გაგების მიზეზი გახდეს“(3-3). ურთიერთობა დიდი ხელოვნებაა. სხვა ადამიანებთან „საერთო ენის“ გამონახვის უნარი განაპირობებს წარმატებას არა მარტო ჟურნალისტებისათვის ინტერვიუს მსვლელობისას, არამედ ცხოვრების მრავალ სფეროში. ასე, რომ ინტერვიუს ხერხების ათვისება არავის არ შეუძლის ხელს. ხშირად ხდება, როდესაც ინტერვიუს ყველაზე გაცხოველებულ მომენტში თქვენი თანამოსაუბრე უცბად დგება და ამბობს, რომ საუბარი დამთავრებულია, ან კომენტარები აღარ იქნება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, მას არ მოეწონა ჟურნალისტის რეაქცია გაცემულ პასუხებზე, ან თქვენში ოპონენტი დაინახა, ან შეიძლება ის აღაშფოთა თქვენმა გაურკვევლობამ საუბრის შინაარსში, ან ყველაზე უბრალო ახსნა, ის დაიღალა, ან უბრალოდ, მას არ უყვარს ინტერვიუს მიცემა. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია აიძულოთ თანამოსაუბრე უპასუხოს თქვენს კითხვებზე და თქვენ ერთადერთი გამოსავალი გაქვთ, ასეთ ადამიანებს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ. შეეცადეთ გამონახოთ მასთან მისვლის ფსიქოლოგიური მომენტები: თავი ისე წარმოიდგინეთ,

თითქოს ვერ ამჩნევთ უხერხულ სიტუაციას და დაბნეულობას (ან აღშფოთებას). სწრაფად გააანალიზეთ, თქვენი საუბრის რომელ მომენტს შეეძლო გამოენვია თქვენი თანამოსაუბრის უკმაყოფილება და შეეცადეთ, შეარბილოთ ამ მიმართულებით საუბრის გაგრძელება. შესაძლებელია, რომ თქვენ არასწორად გაგიგეს. რიგ შემთხვევაში თქვენ სხვა არაფერი გრჩებათ, თუ არა ზრდილობიანად გამოემშვიდობოთ და სხვა თანამოსაუბრე მოძებნოთ. ჟურნალისტის პროფესიის მქონე ნებისმიერი პიროვნება შინაგანად ჯერ თავად უნდა იყოს მზად ნებისმიერი სიტუაციისათვის. ხანდახან ჟურნალისტს ურთიერთობა უწევს საკმაოდ არასასიამოვნო პირებთან. მაგალითად, ადამიანთან, რომელიც ეჭვმიტანილია ვინმეს გაუპატიურებაში, ტერორისტთან ან „მაფიის“ წარმომადგენელთან. როგორ უნდა მოიქცე ამგვარ თანამოსაუბრესთან? უპირველეს ყოვლისა, ზრდილობიანი, თავდაჭერილი შესტი, გამოხატული მაღალი პროფესიონალიზმით უმთავრესი პირობაა ასეთ შემთხვევაში წარმატებული საქმიანობისათვის. ასევე საჭიროა სისწრაფე და ოპერატიულობა, რაც შეიძლება მოკლე დროში მეტი ინფორმაცია მიიღო. უნდა გახსოვდეს: რადონის დამნაშავეს წინაშეც არ უნდა იდგე, არ უნდა დაგავინყდეს, რომ ის პირველ რიგში ადამიანია და შენ საქმე გაქვს მასთან, როგორც ადამიანთან, პიროვნებასთან. გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში თქვენ აუცილებლად მოგიწევთ დამატებით გადაამონმოთ მიღებული ინფორმაცია და გულდასმით გაფილტროთ ის.

ჟურნალისტურ პრაქტიკაში ხშირია შეხვედრები ისეთ ადამიანებთან, რომლებიც რთული პირადი ხასიათით გამოირჩევიან. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობისას ასევე ხშირია „შეხლა-შემოხლა“, გაუგებრობა, თითქოს მათ არ მოსწონთ ჟურნალისტის მიერ მისი პიროვნებით დაინტერესება, „რთულ“ ადამიანებთან შეჯახების ფაქტები განსაკუთრებით ჭარბობს შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებთან, ცნობილ პოლიტიკოსებთან და სხვებთან, რომლებიც პირად კეთილდღეობასა

და სიამოვნებას ყველაფერს სწირავენ და თქვენთან საუბრის პროცესში ღიად უსვამენ ხაზს თავის უპატივცემულო დამოკიდებულებას არა მხოლოდ ჟურნალისტების და მათ შორის თქვენს მიმართ. როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი ასეთ დროს? მაშინ როდესაც რესპოდენტი პირად შეურაყოფაზეც კი გადადის? ყველა შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს ურთიერთობის ჩვეული, პატივცემული მანერა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გალიზიანდეს ჟურნალისტი. პირიქით – ნყნარი, აწონილ-დაწონილი საუბარი ამწარი „გმირთან“, უწარი იმისა, რომ სწრაფად ნახოთ მოსაზრება მის შესაძლო თავდასხმებზე, ჯერ ერთი მოგცემთ საშუალებას მიიღოთ საჭირო ინფორმაცია, მეორე, რომელიღაც მომენტში შეიძლება შეიცვალოს თქვენი თანამოსაუბრის განწყობა და მან თავისდაუნებურად გამოხატოს პატივისცემა თქვენს მიმართ. ეს ხშირად მაშინ ხდება, როდესაც ჟურნალისტი ახერხებს საუბრის იმ მიმართულებით წაყვანას, რომელიც ხაზს უსვამს რესპოდენტის პირად დამსახურებასა თუ მიღწევებს. და კიდევ, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაგვაზინყდეს: საუბარი მიგყავთ თქვენ.

ხანდახან თავად ჟურნალისტებიც „ახერხებენ“ ინტერვიუს მსვლელობისას დაძაბული ვითარების პროვოცირებას. ამიტომ მოვერიდოთ პროკურორის ტონით დასმულ შეკითხვებს. გვახსოვდეს, რომ ჟურნალისტი აწარმოებს რესპოდენტის გამოკითხვას და არა დაკითხვას. ჟურნალისტი უნდა ცდილობდეს იმ მიმართულებით აღარ გააგრძელოს საუბარი და შეკითხვების დასმა, რომელ თემებზეც დიალოგი უსიამოვნოა თანამოსაუბრისათვის. ასევე მძიმე და სტრესული მოვლენების ეპიცენტრიდან, ტერაქტების, კატასტროფებისა და ტრაგედიების თვითმხილველებთან საუბრისას ნუ შევეცდებით შევჩერდეთ მომხდარის დეტალებზე, ნუ დავაწვრილმანებთ მას, თუკი ხედავთ, რომ ეს მძიმეა თქვენი თანამოსაუბრეებისათვის. „ჩვენი მეტყველება, ყველა ჩვენი გამონათქვამი სხვათა სიტყვებითაა აღსავსე. ამ სხვათა სიტყვების გათავი-

სების ხარისხი სხვადასხვაგვარია. ამ სხვათა სიტყვებს თან მოჰყვება სხვათა ექსპრესიაც, შემფასებლური ტონიც. ამ ყველაფერს ჩვენ ვითვისებთ, გადავამუშავებთ, ვუცვლით აქცენტუაციას“ (3-4). ინტერვიუზე წასვლისას არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით უნდა აღვიჭურვოთ. ადგილზე მისულმა ჟურნალისტმა თავი კომფორტულად უნდა იგრძნოს და არ უნდა ჰქონდეს შიში კალამის ან ბლოკნოტის, ან ჩამწერის გაუმართაობის, ან ვიდეოგადამღების მოუწესრიგებლობისა. ყველა შემთხვევაში გულდასმით უნდა შემომხედეს როგორც კალმის, ასევე დიქტოფონისა თუ ვიდეოგადამღების ჩამწერი თვისებები. ხშირია შემთხვევები, როდესაც კალამი ან დიქტოფონი გაურკვეველი მიზეზების გამო არ იწერს ინტერვიუს, ან ტელეფონის მოცულობა ძალზე მცირეა და ტექსტს ვერ დაიტევს. თქვენ წარმოიდგინეთ, კალამიც კარგად უნდა მოისინჯოს, რამდენად გამართულად წერს. დათქმულ დროზე დაგვიანებით მისვლა და შეხვედრაზე რესპოდენტის მოლოდინი, ყოვლად დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მისვლა ათი წუთით ადრე მაინც და წინასწარ კიდევ ერთხელ გადამოწმება იმ შეკითხვებისა, რომელსაც რესპოდენტს დავუსვამთ. ნუ მივენდობით ბოლომდე საკუთარ მეხსიერებას. საუკეთესო ნიმუშია, როდესაც ბლოკნოტში ვინერთ ყველა შესაძლო შეკითხვას, თუნდაც უბრალოდ თანამიმდევრობის დაცვის მიზნით. მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ შეკითხვების თანამიმდევრობათა დაცვა არ არის უბრალო საკითხი. შეუძლებელია, წინასწარ განჭვრიტოთ ყოველი დეტალი თუ როგორ წარიმართება საუბარი. მოგვიწვეს მზადყოფნა იმისათვის, რომ საუბრის პროცესში დამატებითი შეკითხვები გაჩნდება და მისი მიზანმიმართული და ასევე თანამიმდევრული გამოყენება მოგვიწვეს. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ კიდევ, ნუ მოგვერიდება შეკითხვების დასმა, ოღონდ საკითხთან, საქმესთან მიმართებაში. რაც უფრო მეტ მასალას მივიღებთ, მეტ ინფორმაციას მოვიპოვებთ, მით უფრო საინტერესო, შინაარსიანი და სიღრმისეული შეიძლება

აღმოჩნდეს ჩვენს მიერ მომზადებული მასალა.

კარგი იქნება თუ ინტერვიუერი დაეუფლება ბლოკნოტში „ჩაუხედავად ჩანერის“ ხელოვნებას. ეს იმ შემთხვევაში თუ დიქტოფონი ან ტელეფონი არ აღმოგაჩნდებათ, ან უბრალოდ ისინი სამუშაოდ აღარ ვარგა. მიღებულია, რომ ინტერვიუს პროცესში უმეტესწილად თვალელებში უნდა უყუროს ყურნალისტმა თანამოსაუბრეს. მოვლენების პროცესში ჩართულობა და თქვენი რესპოდენტის მონაცემებით განსაკუთრებული დაინტერესება, ქმნის სასიამოვნო განწყობას იმისა, რომ რაც შეიძლება გულახდილი იყოს თანამოსაუბრე. თუ საუბრისას ვერ გავიგონებთ რომელიმე სახელწოდებას ან გვარს და იქნება საფრთხე ჩვენი მხრიდან მისი დამახინჯებულად გამოქვეყნებისა, (რაც დიდ ცოდვად შეიძლება ჩაითვალოს), უნდა დავაზუსტოთ იქვე, დიალოგის პროცესში. მიღებულია ასევე გაიმეოროს რესპოდენტმა ყველა ასეთი რთული სახელი ან თუნდაც თქვენს ბლოკნოტში ჩანეროს თანამოსაუბრემ ყველა რთული აბრევიატურა. საუბრის დასასრულს ასევე მიღებულია ვკითხოთ, ხომ არ სურს რესპოდენტს რაიმე დაუმატოს მის მიერ მონათხრობს, ან რაიმე ეგებ გამოჩნა და შევსებას საჭიროებს. გამომშვიდობებისას მაღლობის თქმა ასევე აუცილებელია ინტერვიუსათვის და ისეთი განწყობის შექმნა, მეორედ გაუჩნდეს სურვილი თქვენთან შეხვედრისა. მასალის მომზადების ბოლო ეტაპზე დასკვნითი კონტაქტისათვის შეიძლება დავინტერესდეთ და ვკითხოთ თუ სად შეგვიძლია მივიღოთ დამატებითი მასალა მოცემულ თემაზე. ნებისმიერი ინტერვიუს წარმატება ან წარუმატებლობა მთლიანად დამოკიდებულია ყურნალისტის მომზადების ხარისხზე, მის მიერ თემის შესწავლის სიღრმეზე, იმ შეკითხვების სამართლიანობაზე, ობიექტურობასა და აუცილებლობაზე, რომლებსაც სვამს. შეკითხვები ყოველთვის უნდა იყოს დახვეწილი, ობიექტური, წინასწარ გააზრებული. მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი პიროვნება ინდივიდუალური, საკუთარი, განუმეორებელი, ორიგინალურია და ხასიათდება თა-

ვისებურებებით, რაც იმის შესაძლებლობას გვიქმნის, რომ საჭიროების შემთხვევაში ვიყოთ მზად იმპროვიზაციისათვის და ეს მხოლოდ საუბრის მსვლელობისას გამოიკვეთება. ამიტომაცაა ის ძირითადი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები გაზიარებული წამყვანი სპეციალისტების მიერ სახელმძღვანელოებში პროფესიული ინტერვიუერისათვის: საუბარი უნდა დაგინყოთ საერთო, არართული ანუ მარტივი შეკითხვებიდან. არ არის უპრიანი ორი შეკითხვა ერთ კითხვაში მოვაქციოთ და ამით ერთგვარად შევზღუდოთ ჩვენი თანამოსაუბრე, არ მივცეთ საშუალება ილაპარაკოს თავისუფლად და დასჭირდეს მეტი ფიქრი პასუხის გასაცემად. დახლართული შეკითხვა შესაბამისად გამოიწვევს თქვენი თანამოსაუბრის მხრიდან გაურკვეველ, ასევე დახლართულ პასუხს და შესაძლოა უარყოფით რეაქციასაც თქვენდამი. შეკითხვები, რომელიც ლაკონური და გასაგები უნდა იყოს, არ საჭიროებს ვრცელ ახსნას, თუ რას გულისხმობთ ან რა გაქვთ მხედველობაში. ჟურნალისტის „ჩახედულება“ იმ კონკრეტულ საკითხებში, რის გასარკვევადაც არის მისული რესპოდენტთან, ანუ ჟურნალისტის მიერ საკუთარი ერუდიციის დემონსტრაცია, როგორც წესი, უსიამოვნოდ მოქმედებს თანამოსაუბრეზე. იმ შემთხვევაში თუ მიგაჩნიათ, რომ გსურთ დაწეროთ ანალიტიკური ხასიათის ინტერვიუ ან ინტერვიუ-პორტრეტი, უნდა მოვერიდოთ ისეთი შეკითხვების დასმას, რომლებზედაც მშრალი პასუხები „დიახ“ ან „არა“ გვექნება. საჭირო და აუცილებელია ისეთი შეკითხვების დასმა, რომელიც საშუალებას მისცემს რესპოდენტს ვრცლად უპასუხოს და ამომწურავად გასცეს პასუხი ამა თუ იმ შეკითხვას. მაგ: „როგორ მოხდა ეს?“ „თქვენი აზრით, რატომ მოხდა ეს?“ და სხვ. თუ ხედავთ, რომ დასმულ კითხვას თანამოსაუბრე გაურბის, აგვიანებს პასუხს, ვერ იძლევა ან არ სურს ნათელი შეიტანოს მასში, შეეცადეთ მოახდინოთ შეკითხვის პერიფრაზირება დროულად, ანუ მსვლელობის პროცესს თავიდან ბოლომდე გულისყურით უნდა ვეკიდებოდეთ. ეს იმიტომაც, რომ ბევრი დამწყები ჟურნალის-



ტი, რომელსაც წინასწარ გამზადებული მთელი დასტა კითხვებისა გააჩნია, ერთი სული აქვს, როდის დაუსვას რესპონდენტს რიგით მეორე კითხვა და ამდენად მორიგი კითხვის დასმის მოლოდინში, ყურადღებას ვეღარ იჩენს რესპოდენტისადმი და აღმოჩნდება, რომ ინტერვიუ მშრალია და არაფრისმომცემი, უინტერესო. ესეიგი შეკითხვები საუბრის ლოგიკის შესაბამისად დასმას საჭიროებს. ასევე მიღებულია, რომ რესპოდენტს უნდა ვაცალოთ საუბარი, არ უნდა შევანყვეტინოთ მას, არც მის აზრს შევუცვალოთ მიმართულება. თუკი ყურადღებას მოვადუნებთ და მოვლენებს ჩამოვრჩებით, ნიშნავს იმას, რომ პროცესებს მოვწყდით და ადგილი ნამდვილად ექნება ურთიერთგამომრიცხავ შეკითხვებს, ანუ (რომლებიც უარყოფენ იმას, რაც თქვენმა მოსაუბრემ ადრე თქვა). ასეთმა ქცევამ სავსებით შესაძლებელია გამოიწვიოს ინტერვიუს უფრო ადრე დამთავრება, ვიდრე თქვენ ფიქრობდით. სულ უნდა გვახსოვდეს, რომ ჟურნალისტის ამოცანაა საუბრის გაძლოლა, დირიჟირება. ხშირად რესპოდენტი შეგნებულად იწყებს თქვენს მიერ დასმული შეკითხვის ძირითადი შინაარსიდან გადახვევას და სრულიად სხვა საკითხებზე მსჯელობას იწყებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ საუბარი საჭირო კალაპოტში დავაბრუნოთ. თუმცაღა ამისათვის მხოლოდ სურვილი არაა საკმარისი. როგორ უნდა გავაკეთოთ, უფრო ზუსტად, როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? გამოცდილი რეპორტიორები ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან, მათ ბრწყინვალედ ესმით როგორ შეაჩერონ თანამოსაუბრის ვრცელი მსჯელობა ისე, რომ არ გამოიწვიონ მისი წყენა ან გაღიზიანება. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხია გავაგებინოთ თანამოსაუბრეს, რომ მთლიანად ვეთანხმებით მას: გამოვხატოთ ეს თუნდაც მიმიკით, ჟესტით, დავიჭიროთ პაუზა, რათა მოვახერხოთ ჩვენი პირადი კომენტარი: „თქვენ ეს ძალიან ზუსტად აღნიშნეთ, როგორია თვენი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ...“ ჟურნალისტებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ რესპო-

დენტებთან ნორმალური ურთიერთობისათვის არსებობს შეკითხვების ათამდე სახეობა. მაგ. ღია და დახურული (როდესაც ჟურნალისტი ცდილობს მარტივად დასმული ერთგვარი ხრიკიანი კითხვით მიიღოს გულახდილი პასუხი რესპონდენტისაგან), ძირითადი და საკონტროლო, (რომლებიც გზადაგზა, მსვლელობისას ამონმებენ ნათქვამს), მაზონდირებელი და მისახვედრი, ნეიტრალური და პასუხის შემცველი კითხვები და სხვა. შევჩერდეთ მაგალითისათვის, პასუხისშემცველ შეკითხვებზე. ჩვენ შეგვიძლია გულწრფელი ეჭვი შეიტანოთ (არა თანამოსაუბრის, რესპონდენტის პასუხში, არამედ შეკითხვის არსში): „შესაძლებელია, რომ ამან გაამართლოს?“ „თქვენ მიგაჩნიათ რომ ეს იმუშავებს?“ „როგორ შეხედავენ ამას სხვები? გააჩნია სასაუბრო თემასა და შინაარსს, საუბრის რა ეტაპზე იმყოფები შენ თვითონ, შეიძლება დავასრულოთ თანამოსაუბრის მიერ დაწყებული ფრაზაც, (განსაკუთრებით მაშინ, თუ მას უძნელდება მისი ფორმულირება). უკანასკნელი ხერხი (თუ თქვენ მართლაც დაიჭირეთ თანამოსაუბრის აზრი და კარგად გამოხატეთ ის სიტყვებით), როგორც წესი, წარმატებით აისახება თქვენი საუბრის შემდგომ მსვლელობაზე. თანამოსაუბრე კმაყოფილი რჩება, რომ თქვენ მას სწორად გაუგეთ და უფრო მეტი ხალისით უპასუხებს სხვა შეკითხვებზე. საერთოდ სასურველია საუბარი ისე წარვმართოთ, რომ ის საინტერესო იყოს არა მხოლოდ ჩვენი თანამოსაუბრისათვის, არამედ თავად ჩვენთვისაც, რადგანაც ყოველი ინტერვიუ ნებისმიერი ჟურნალისტიკისათვის ერთგვარი გამოცდილების შემძენია, რადგანაც პიროვნება, რომელიც არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ თავად საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან და ყურადსაღებ ინფორმაციას ფლობს, ასეთ შემთხვევაში ჯერ თავად ფაქტი და შემდგომ თვითონ პიროვნებაა საინტერესო.

ინტერვიუს, როგორც ასახვის ფორმა, რამდენადაც მიმზიდველია, იმდენად საპასუხისმგებლოცაა. ჟურნალისტი წინასწარ გულდასმით უნდა ემზადებოდეს არა მხოლოდ ასახ-

ვის ფაქტისა თუ მოვლენის არსში ღრმად გარკვევისათვის, საჭირო შეკითხვების დაძებნა-დასმისათვის, არამედ თვით იმ პირის თავისებურებათა (ბუნების, ფსიქიკის, კულტურის, ინტერესების...) წინასწარ კარგად შესწავლისთვისაც, ვისგანაც იღებს ინტერვიუს. აქ გასათვალისწინებელია, რომ ყოველ მოღვაწეს საკუთარი, თავისი, რალაც ინდივიდუალური თავისებურებანი ახასიათებს. ამ თავისებურებათა გამო ზოგი ადვილად უპასუხებს კითხვებზე, ზოგი – ძნელად, ზოგი ხალისით იღებს ჟურნალისტებს, ზოგი კი გაურბის, ზოგი ენაწყლიანია, ზოგს კი ძალით უნდა აადგმევირო ენა და ა.შ. შეიძლება ინტერვიუს რამოდენიმე ძირითადი სახე გამოვყოთ: ინტერვიუ-დიალოგი, რომელიც ფორმის თვალსაზრისით ასე წარმოგვიდგება: ჟურნალისტის მიერ დასმულ ყოველ კითხვას იქვე მოსდევს პასუხი. ეს სახე საკმაოდ გავრცელებულია ბეჭდურ მედიაში; თუმცა არანაკლებ საინტერესოა სამაუწყებლო მედიისთვისაც. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ინტერვიუ, როგორც ჟანრი, კლასიკური ფორმაა და ჟურნალისტები ინტენსიურად გამოიყენებენ. ასახვის ეს ფორმა თვალსაჩინოდ წარმოაჩენს, რომელია შეკითხვა და რომელი პასუხი, ანუ შესაძლებლობებს ორ მოსაუბრეს შორის. ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ ინტერვიუს რამოდენიმე სახეობაზე. ესენია: სიღრმისეული ინტერვიუ, ავტოინტერვიუ, ინტერვიუ კომენტარი, ინტერვიუ დიალოგი, ინტერვიუ მონოლოგი, ინტერვიუ დისკუსია, ინტერვიუ ჩანახატი.

### **ლიტერატურა:**

1. ნ.ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, წიგნი 1, თბ.2011 გვ.11
2. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, მე-12 გამოცემა, თბილისი, 2013. გვ.293
3. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ივ. ვერბალური კომუნიკაციები, თბ., 2009. გვ.66, გვ.90, გვ.91, გვ.94

## სიღრმისეული ინტერვიუ

ანალიზის გაკეთება, გაანალიზება. ანალიზზე დამყარებული ხედვა... ასეთი შეხედულებები ერთობ საინტერესო, მაგრამ ძალზედ საპასუხისმგებლოცაა, რადგან ასევე კარგი ანალიზი უნდა იმის გაგებას, რამდენად სწორი, საქმიანი და შედეგიანია რესპონდენტის მიერ შემოთავაზებული აზრები, იდეები, შეხედულებები, რამდენად არგუმენტირებულად, ფაქტებზე დაყრდნობით, მიუკერძოებლად, ობიექტურად და სამართლიანად წარმოგვიდგენს ინფორმაციას. „სიღრმისეული ინტერვიუ ინტერვიუს სახეობა, რომელიც ფართოდ გამოიყენება თვისებრივ მეთოდებში. ესაა ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელიც სადისკუსიო გეგმის საფუძველზე წარიმართება და მიზნად ისახავს, შეიტყოს რესპონდენტის არა მხოლოდ დამოკიდებულება და პოზიცია, არამედ მოტივაციები(1-1). ამ ჟანრის მასალები იშვიათად როდი გვხვდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ 27-09-2010 „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილი პუბლიკაცია – „ხელს გვიშლიან... უწინაც ასე იყო და მომავალშიც შეგვიშლიან“.

მსგავსი სახის ინტერვიუები ხშირად საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა და შესაბამისად ინტერვიუში წარმოდგენილ შეხედულებებსაც იზიარებს დიდი ნაწილი. ამიტომაც ჟურნალისტის მიერ კარგად ანონილ-დანონილი კითხვები და შესაბამისად რესპონდენტისათვის „ღიად“ დატოვებული მოედანი, სადაც შესაძლებელია საუბრის პროცესში რესპონდენტმა ყოველგვარი კითხვის დასმის გარეშე განაგრძოს საუბარი და წარმოაჩინოს ახალი საინტერესო დეტალები სასაუბრო თემასთან მიმართებაში, რომლებზედაც საერთოდ არც კი ფიქრობდა ჟურნალისტი. სიღრმისეული ინტერვიუ ყოველმხრივი ანალიზია დასმული საკითხის ირგვლივ. თუმცა არ უნდა დაავიწყდეს

ჟურნალისტს, რომ საკითხის ამონურვა, მისი მთლიანი სახით წარმოჩინება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც ყურადღება და აქცენტები ჟურნალისტის მხრიდან იმ მიმართულებით უნდა იქნას გადატანილი, რომელიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს არსებული საკითხის ირგვლივ სინათლისა და სიცხადის შეტანას, პასუხებს გასცემს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან და საინტერესო კითხვებს. ხშირად კითხვებზე პასუხები საზოგადოებაში არსებობს და ცნობილია კიდეც, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იგივე პასუხების ვინმეს მიერ დადასტურებას ან უარყოფას, რადგან ასეთი დამოკიდებულება და მიდგომები ჟურნალისტების მხრიდან აღადგენს ურთიერთობასა და აამაღლებს ნდობის ხარისხს საზოგადოებასა და მედიას შორის. ამიტომაც ჟურნალისტი ვალდებულია რესპონდენტს იმ კითხვებზე პასუხის გაცემაც „დაავალდებულოს“, რომლებზედაც საზოგადოების მხრიდან არის ერთგვარი დაკვეთა. როცა ანალიზს იყენებს რესპონდენტი პასუხისათვის, ჟურნალისტს უნდა ესმოდეს, რომ მოპასუხე ამ შემთხვევაში კვლევას აწარმოებს შესაბამისი მეთოდებით. ამდენად თემა, რომელიც ანალიზს ეყრდნობა, კონკრეტული დასკვნის გაკეთების საფუძველსაც იძლევა. ყურადღება უნდა მიექცეს ასევე შეკითხვებზე პასუხების გაცემის პროცესში რომელ შეკითხვას ექცევა განსაკუთრებული ყურადღებით და რომელს შედარებით ზედაპირულად. საკუთარი ქცევის, განცდების ანალიზისას რესპონდენტი განსაკუთრებულად ფრთხილიცაა და გულახდილიც, ამიტომ ჟურნალისტისათვის ნამდვილად არ უნდა იყოს სულერთი დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემის თავისებურებათა გათვალისწინება. მაგალითად მოვიშველიეთ ექსკლუზიური ანუ განსაკუთრებული, განკერძოებული კუთვნილების შემადგენელი ინტერვიუ რუსეთში მოღვაწე ქართველ „გულის ჯადოქართან“, რომელიც გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ მკითხველს 2010 წლის 27 სექტემბერს მიაწოდა. რესპონდენტი ამ შემთხვევაში ისეთ კონკრეტულ საკითხებზე საუბრობს და ისეთ

გარემოებებსა და დეტალებს ეხება, რომელიც ჯერ სხვასთან არ უთქვამს, არ გაუმხელია. სწორედ ეს ნიშა გამოკვეთს მას და ანიჭებს ექსკლუზივს, ხოლო თავისი შინაარსით ის სიღრმისეულია და რიგ მნიშვნელოვან და საჭირობოროტო საკითხებზე არა მხოლოდ საკუთარ ვერსიებს გვთავაზობს. პუბლიკაცია პატარა, მაგრამ საინტერესო შესავლით იწყება, რომელიც ჟურნალისტიკა ერთგვარი განმარტებისათვის შემოიტანა, რათა ყველასათვის მარტივად ეჩვენებინა მსოფლიოში ცნობილი პიროვნების პოზიცია მეტად მტკივნეულ საკითხებთან მიმართებაში და კიდევ იმისათვის, რომ მიუხედავად რესპონდენტის „ცნობადობისა,“ არ არის გამორიცხული საზოგადოების დიდი ნაწილი არ იცნობდეს ამ პიროვნებას სრულფასოვნად და ამდენად მისი პასუხებიც არ იყოს საინტერესო. მაგრამ ასეთი წინასიტყვაობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი გაცნობის შემდეგ მკითხველი ბოლომდე შეძლებს თვალი გაადევნოს თითოეულ სტრიქონს და ბოლომდე გაეცნოს საგაზეთო პუბლიკაციას.

„მართალია, საქართველოში არ ცხოვრობს, მაგრამ ლეო ბოკერია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველია. პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო კარდიოქირურგი, აკადემიკოსი ლეო ბოკერია 1994 წლიდან ხელმძღვანელობს ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრს. ის მოსკოვში ცხოვრობს და ამაყად ამბობს, რომ ქართველია. როგორი იყო ფოთში გაზრდილი ბიჭისთვის გზა აკადემიკოსობამდე, ლეო ბოკერიამ „კვირის პალიტრას“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მოუთხრო:

– ფოთში, ჩვენს ქუჩაზე, 31 სახლი იდგა. ბევრ ოჯახში მამები ომიდან არ დაბრუნებულან, მაგრამ თითქმის ყველა ოჯახში ბიჭი იზრდებოდა. ძირითადად, ქუჩაში ვიყავით. კარგი მეგობრები მყავდა. ვინც ცოცხალი დავრჩით, ახლაც ძმე-ბივით ვართ. ფეხბურთსა და ჭადრაკს ვთამაშობდით. კალათბურთიც მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლე არ

მყოფნიდა და არც სხვა მონაცემები მიწყობდა ხელს, მაინც ვთამაშობდი. ყოველდღე ზღვაზე დავდიოდით. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის საბანაო სეზონი ადრე გაზაფხულზე იწყებოდა. რადგან რუსული სკოლა დავამთავრე, ასარჩევად ბევრი ქალაქი მქონდა. მოსკოვში წავედი და პირველ სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი.

– ბატონო ლეო, საქართველოდან მოსკოვში ჩასულმა ახალგაზრდამ დიდ წარმატებას მიაღწიეთ. წარმატების გზაზე რა იყო გადამწყვეტი, შრომისმოყვარეობა, ნიჭი თუ კეთილი ადამიანების თანადგომა?

– ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ბავშვობაში ჭადრაკის სიყვარული რომ შემატყო დედამ, ჭადრაკის სახელმძღვანელო მიყიდა. ვიჯექი და ვსწავლობდი პარტიებს. კარგი თანრიგიც მქონდა. სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე მივედი. ორ წელიწადში დავამთავრე და მაშინ შემომთავაზეს, სამედიცინო ინსტიტუტის ნაცვლად ინგლისური ენის სწავლა გამეგრძელებინა. არ დავთანხმდი. ინგლისური ენის ცოდნა ძალიან გამომადგა, როდესაც სამეცნიერო მუშაობა დავიწყე. თემამ, რომელზეც მსოფლიოში სულ ორი ნაშრომი იყო გამოქვეყნებული, ძალიან დამაინტერესა, ბიბლიოთეკაში წავიკითხე ინგლისურად. ჯერ საკანდიდატო გავაკეთე, მერე სადოქტორო, მოგვიანებით კი ლენინური პრემია მივიღე. ეს არის ე.წ. ჰიპერბარიული ოქსიგენაციის (ძალიან მაღალი წნევის ჟანგბადით მოქმედება ბავშვებზე, რომელთაც აქვთ ე.წ. ლურჯი, თანდაყოლილი მანკი) მეთოდით ოპერაციის ჩატარება. ოპერაციის დროს ბაროკამერაში ჟანგბადის დონე მატულობდა, ბავშვებს სილურჯე გასდიოდათ და ოპერაციას წარმატებით ვატარებდით. მერე არითმია დამაინ-

ტერესა. ჩვენმა ჯგუფმა (იმ ჯგუფში ჩემი ასპირანტი ამირან რევიშვილი და ორი კაუნასელი ექიმი იყვნენ) სახელმწიფო პრემია მიიღო. ამას იმიტომ გიყვებით, რომ გითხრათ, – თუ ადამიანს რამის მიღწევა უნდა, მთავარია შრომა, შრომა და შრომა.

– მაგრამ საბჭოეთის დროს „ჩანყობა“ და ნაცნობობა იყო გადამწყვეტი. თქვენ კი მოსკოველი არ იყავით...

– არ მინდა ამ კითხვაზე გიპასუხოთ, სხვადასხვანაირ ინტერპეტაციას მოაყოლებენ. მაგრამ გეტყვით, რომ ბევრი გადავიტანე, რომ ჩემ წინ აღმართული ბარიერებისთვის შემომეველო. ცხოვრებამ დამანახა, თუ კარგ წიგნს დანერ ან ოპერაციას კარგად გააკეთებ, არ დაიკარგება.

– საქართველოში რა გენატრებათ?

– ძმაკაცებთან ყოფნა. ფოთში რომ ჩავდივარ, უსათუოდ უნდა მოვიარო ის ქუჩები, სადაც გავიზარდე. ზღვაშიც სწორედ იმ ადგილას უნდა ვიბანაო, სადაც ბავშვობისას. პალეოსტომზეც დავდივარ ხოლმე სათევზაოდ. ჩემს უფროს დას მალარია სჭირდა და მშობლებს ურჩიეს, აფხაზეთში გადადითო. ისინიც ოჩამჩირეში დასახლდნენ. სამი წლის ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა და ოჩამჩირეში დაასაფლავეს. დედა ბავშვებით (ორი უფროსი და მყავს) დაბრუნდა ფოთში. დედაჩემი რომ გარდაიცვალა, ფოთიდან ოჩამჩირეში გადავასვენე და მამის გვერდით დავასაფლავე. იქვე ზღვის პირას პატარა სახლი ავაშენე. ახლო ურთიერთობა მქონდა აფხაზეთის ასსრ-ის პირველ მდივან ბორის ადლეიბასთან, რომელიც ჩემი პაციენტიც იყო. ის კაცი რომ დარჩენილიყო თანამდებობაზე, ქართველებსა და აფხაზებს შორის ცუდი არაფერი მოხდებოდა. მოსკოვში ლენინის პროსპექტზე ვცხოვრობ. ოთხი საათი მჭირდებოდა ბაბუშერაში ჩასასვლელად. პარასკევს ოჩამჩირეში ჩავდიოდი და კვირა საღამოს მოსკოვში



ვბრუნდებოდი. 1992 წლის შემდეგ აღარ ჩავსულვარ. მშობლების საფლავზე მისვლა მენატრებოდა. ამიტომაც ორი წელია, რაც მშობლები ოჩამჩირიდან მოსკოვში გადმოვასვენე. რადგანაც ოჩამჩირეში ველარ ჩავდიოდი, ფოთში ავაშენე სახლი.

– ერთგან ინტერვიუში ამბობთ, ნამდვილი ქართველი ვარო. ნამდვილი ქართველის თვისებათაგან რომელს გამოარჩევთ?

– ნიჭიერებას. ჩვენ გვყავდა სტალინი, შოთა რუსთაველი და კიდევ რამდენიმე ისეთი პიროვნება, რომელთა მსგავსი მსოფლიოში არ არსებობს.

– მაგრამ ნიჭიერმა ქართველებმა ვერ ავაშენეთ ისეთი ქვეყანა, როგორც გვინდა.

– ხელს გვიშლიან... უნინაც ასე იყო, ყოველთვის ხელს გვიშლიდნენ და მომავალშიც შეგვიშლიან. ამიტომ ისეთი ფორმულა უნდა მოვნახოთ, რომ ყველას მოუნდეს საქართველოს გაძლიერება. ისეთი ხალხი ვართ, ცუდი არავისთვის გვინდა. ეს უნდა გაიგოს ყველამ. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, ბევრს უნდოდა საქართველოში ბიზნესსაქმიანობა. მაშინდელმა ხელისუფლებამ დრო დაკარგა. ახლა ძნელია უცებ ყველაფრის მოგვარება, მაგრამ საქართველო სწრაფად უნდა განვითარდეს და აფხაზებიც მოისურვებენ ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას.

– თქვენი პაციენტები პოლიტიკოსებიც იქნებიან.

– რა თქმა უნდა... ჩემი პაციენტები – მინისტრები არიან, უფრო მაღალი რანგის პოლიტიკოსები – არა. ახლა ახალგაზრდა ხალხია მთავრობაში და საექიმო რა სჭირთ? სულ სხვა იყო ადრე, საბჭოთა ეპოქაში, როდესაც ასაკოვანი ხალხი იყო ხელისუფლებაში.

– ყველაზე ხშირად რით ავადმყოფობენ პოლიტიკოსები?

– გულით და სისხლძარღვებით. სხვათა შორის, სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი – სამივე სისხლძარღვის გასკდომის გამო გარდაიცვალნენ. რუსეთში გულისა და სისხლძარღვების დაავადებით მოსახლეობის 96,4% კვდება. პოლიტიკოსებს ყველაზე ხშირად აქვთ ემოციური დატვირთვა. ამის გამო უწევთ წნევა და ხშირად ავადდებიან გულით.

– ქართული სუფრა მიყვარსო, თქვით.

– მიყვარს, აბა, რა! თბილისში ერთი ახლობელი მყავს და სულ მითვლიდა, ჩამოდი, ჩამოდიო. ჩამოვედი. მითხრა, აქა და აქ გვეპატიჟებიან და წავიდეთო. ძალიან დადლილი ვიყავი და ვუთხარი, მაშინ მალე დავბრუნდეთ სასტუმროში-მეთქი. სამ საათში დავბრუნდებითო. სამის ნაცვლად რვა საათი ვისხედით სუფრასთან. მეორე დღეს მეუბნება, გუშინ გადავაჭარბეთ, მეც დავიღალე და დღეს ცოტა ხნით წავიდეთ ახლობლებთანო. წავედით და 11 საათი გაგრძელდა ქეიფი. ასეა, ქართველებს ქეიფი გვიყვარს და მე გამონაკლისი არა ვარ.

– ქართული ღვინო მოგწონთ?

– ქართული ღვინო ისევ არ შემოდის რუსეთში. კვირაში ხუთ დღეს ვაკეთებ ოპერაციას, ამიტომ კვირიდან პარასკევამდე არ ვსვამ. პარასკევ საღამოსა და შაბათს კი სუფრასთან შევექცევი წითელ ფრანგულ ღვინოს.

– ადამიანისთვის რა არის მთავარი – კარიერა, ოჯახი თუ...?

– მთავარი ოჯახია. ორი ქალიშვილი მყავს და ოთხი შვილიშვილი – ორი ბიჭი და ორი გოგო. უკვე შვილთაშვილებიც მყავს.

– თქვენმა შვილებმა იციან ქართული ენა?

– ვერ მოვახერხე მათთვის ქართული მესწავლებინა. მეუღლე რუსია (ჩვენ ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში და

სწავლის დასრულების შემდეგ დავქორწინდით), შინ რუსულად ვლაპარაკობთ და ამიტომ... ჩემი უმცროსი ქალიშვილი 29 წლისა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა და ეს მემამყება. მე 33 წლის ვიყავი, ეს ხარისხი რომ მივიღე. ერთი უნდა ნახოთ, რა ხდება, ჩვენთან რომ მოდიან წინილები (შვილები და შვილიშვილები).

ძალიან თბილი ოჯახი მაქვს. ჩემი უმცროსი ქალიშვილი ჩემთან მუშაობს, ინსტიტუტში. რომ დავინახავ, უსათუოდ უნდა ვაკოცო და მოვეფერო. ერთხელ „დიდი ხალხი“ იყო მოსული ინსტიტუტში და გაუკვირდათ, ასე რომ მოვეფერე შვილს. ასეა, გოგოები ძალიან გვიყვარს მამებს.

– პრეზიდენტმა სააკაშვილმა უცხოეთში მცხოვრები წარმატებული ქართველები საქართველოში მოიწვია, მუშაობისთვის საუკეთესო პირობებს შეგიქმნითო.

– ბაკუღევის ინსტიტუტი მსოფლიოში ყველაზე დიდია. ნელინადში ცხრა ათას ოპერაციას ვაკეთებთ. 1985 წელს ბურაკოვსკიმ შექმნა პროგრამა გულის ქირურგიის განვითარებისთვის. თბილისში დავინწყეთ ოპერაციების გაკეთება. შევარდნაძემ შეხვედრაზე მკითხა, საქართველოში ჩამოსვლას როდის აპირებთო. ძალიან შემრცხვა. ახალგაზრდა კაცი ვიყავი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ყველა პრემიის ლაურეატი... არ ვაპირებდი ჩამოსვლას და შევარდნაძეს ვუპასუხე, მე მოსკოველი ვარ, ჩემი ოჯახის წევრებიც მოსკოველები არიან და როგორ მოვიქცეთ-მეთქი. მითხრა, მოსკოვში უფრო მეტს აკეთებთ, ვიდრე აქ ჩამოსვლით გააკეთებდითო. გავიხედე და ერთ თვეში თვითონ არ წამოვიდა მოსკოვში? წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, მაშინ რომ დავბრუნებულიყავი თბილისში, არავითარი დახმარება არ მექნებოდა და ვერ ვიმუშავებდი. უკვე ასაკოვანი ვარ, ამხელა სამეცნიერო ცენტრს ვხელმძღვანელობ და სი-

სულელე იქნება ამ ყველაფრის მიტოვება. ვიცი, არიან თბილისში ახალგაზრდები, რომლებიც ძალიან კარგად მუშაობენ და მათი იმედი მაქვს. ჩვენთანაც ძალიან ბევრი ქართველი მუშაობს.

– ამის თაობაზე ითქვა კიდევ, ლეო ბოკერია ქართველები შემოიკრიბა თავის ინსტიტუტშიო.

– ყველა, ვისაც უნდა ჩვენს ინსტიტუტში მუშაობა, მოვიდეს და თუ ივარგებს, იმუშაოს. მართლა ბევრია ქართველი, მაგრამ ბევრია ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ყირგიზეთიდანაც... ჩვენს ინსტიტუტში რომ შემოხვიდეთ, იფიქრებთ, რომ ისევ საბჭოთა ეპოქაა.

– თქვენი ყველაზე დიდი სურვილი..

– მაქვს ძალიან დიდი გეგმები და მინდა ხორცი შევასხა, ჯერჯერობით კი მთელი ჩემი ფიქრები ოჯახს უკავშირდება. ჩემი დიდი სურვილია, საქართველო გამთლიანდეს. ეს ბატონ პრეზიდენტსაც ვუთხარი (აგვისტოს ომამდე), როდესაც ჩვენს ინსტიტუტში სტუმრად იყო. 2008 წლის აგვისტოს ომი კი, ჩემი აზრით, ძალიან დიდი შეცდომა იყო. – რას ურჩევთ ჩვენს მკითხველს, რომ გულმა არ შეაწუხოს?

– გენეტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რეჟიმის დაცვა აუცილებელია. ადამიანი დროულად უნდა დაწვეს და ნაკლები ჭამოს. ფრანგები რომ ამბობენ, სუფრიდან ადგომისას ოდნავ მშიერი უნდა იყო, სწორია. ეს ჯანმრთელობის რეცეპტია. ადამიანი წლების განმავლობაში რომ ერთ წონას ინარჩუნებს, ეს ძალიან სასიკეთოდ მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

– „ეს ომი არ უნდა მომხდარიყო“

– რუსეთის ექიმთა გაერთიანების „ჯანდაცვის ლიგის“ ხელმძღვანელმა ლეო ბოკერიამ 2006 წლის 12 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წინაშე გა-

ნაცხადა: „მე რუსეთის მოქალაქე ვარ, მაგრამ ამავე დროს ვარ ქართველი. იმას, რომ რუსეთი ჩემს სამშობლოს ბომბავს, ვერ დავეთანხმები და ვერც მხარს დავუჭერ“.

ლეო ბოკერიას ამ სიტყვებზე ღუმის ეროვნებათაშორის ურთიერთობათა და ეთნოკულტურათა განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელმა ვალერი ტიშოვმა პრესკონფერენცია ჩაატარა და განაცხადა, – ლეო ბოკერია 100%-იანი რუსეთის მოქალაქეა და ამავე დროს 100%-იანი ქართველი, მაგრამ სახელმწიფოს ლოიალურობა ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ეთნიკური წარმომავლობაო.

### **ლიტერატურა:**

1. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თ. ზურაბიშვილი; -თბ. 2006
2. 27-09-2010 „კვირის პალიტრა

## **ავტონტერვიუ**

ავტონტერვიუ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმაა სხვა დანარჩენ ინტერვიუს სახეებს შორის. ამ საზღვრებში მოქცეული ინტერვიუ ერთგვარი თავმოყრაა პიროვნების ფილოსოფიურ – ფსიქოლოგიურ – პროფესიულ – დიპლომატიურ –პროფესიონალური თვალთახედვისა. ამ ჟანრში კონკრეტული პიროვნება ცდილობს მაქსიმალურად „გახსნას“ საკუთარი „შემოქმედებითი ცის კაბადონი“ და აუდიტორიას წარუდგინოს ის ხედვები და თვალსაზრისები, როგორადაც უფიქრია, განუხჯია, მიაჩნია ან უბრალოდ ხედავს, სწამს და სჯერა კიდევ. ბატონ ქაბუას ავტონტერვიუ სწორედ ამის

ნათელი დასტურია. ბატონი ჭაბუას თვალსაწიერი, გამომდინარე პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, უფლის მიერ დანათლებული ნიჭიერებიდან და ბედისწერიდან, ყოვლისმომცველია და ძალზე საინტერესოდ იკითხება. ამიტომაც მოგვყავს ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის ავტობიოგრაფიული უცვლელად (1-1) და მაგალითად იმისა, დავინახოთ და წარმოვიდგინოთ თუ როგორი ტევადი, ფართო და ყოვლისმომცველია შემოთავაზებული ჟანრი, თუმცა, არც თუ ისე გავრცელებული:

„– რა არის ეს, ჟურნალისტიკის ახალი ჟანრია?

– არა. მწერალი სწერს იმაზე, რაც მას აინტერესებს, რაც იცის, ან იმაზე რაშიც შეღწევა სურს თავად. ყველა ადამიანს, საერთოდ, და მომავალ მკითხველს, ანუ ეკითხება თავის თავს და ამ კითხვებზე თავადვე პასუხობს. ამდენად, ყოველი თხზულება არის მწერლის ავტობიოგრაფიული. აი, ამჯერადაც გადავწყვიტე, ბანალურ შეკითხვებს გავექცე და პასუხი საკუთარ თავს გავცე:

– ვინ ხარ შენ, ჭაბუა ამირეჯიბო, საიდან მოდიხარ?

– თბილისში დავიბადე. თოთხმეტ-ნახევარ გირვანქას ვინონიდი, ანუ ექვს კილოგრამს, ორას გრამ ნაკლებს. აღნაგონის მიხედვით, შეიძლებოდა ფიქრი, რომ მ.იმე ნონის სპორცმენი გავხდებოდი, მაგრამ შტანგისტობა თუ მოკრივეობა არ მენერა, კალათბურთი ვარჩიე და შემდგომში პროფესიულ პატიმარმარბენლად ჩამოვყალიბდი, მაგრამ ამაზე – მერე იყოს. დედა და მამა ძველი არისტოკრატიული მოდგმისანი იყვნენ. მამა – ირაკლი გიორგის ძე ამირეჯიბი – ცნობილი ადვოკატი. დედა – პედაგოგი, „ქალთა უმაღლესი კურსებით“, თითქმის გარუსებული. ქართული მამაჩემის ოჯახში ისწავლა, კარგად განათლებული, მშვენიერი თავადის ქალის, სოფიო სოფრომის ასული მალალაშვილ-ამირეჯიბისგან. დედა – მარიამ მიხეილის ასული ნაკაშიძე – პირდაპირი ჩამომავალი იყო სამეგრელოს, აფხაზეთის და გურიის მთავრებისა. მამაჩემის წინაპართა წოდებრიო-

ბაზე თვით გვარი მეტყველებს. ამირეჯიბობა სახელო ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით, თანამდებობა იყო, მანდატურთუხუცესის (შინაგან საქმეთა მინისტრის) პირველ მოადგილეს ნიშნავდა. იგი დაზვერვა – კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობდა. სახელო საგვარეულო იყო, მემკვიდრეობით გადადიოდა და ამირეჯიბის გვარის მტარებელი ყოველი ოჯახი ცდილობდა, თავისი ნაშვირი მოემზადებინა ამ თანამდებობის დასაკავებლად. კონკურენცია მწვავე და დაუნდობელი იყო.

ყოველი კანდიდატი შესაფერის განათლებას იღებდა, როგორც საქართველოს, ისე ბიზანტიის აკადემიებში. აქედან – გვარის ტრადიციული ნასწავლობა-განათლებულობაც. ბოლოს ას წელიწადში ერთადერთ უბირ კაცად ქვეყანას მოვევლინე მე – პედაგოგიური ფაკულტეტის სამი კურსის მეტი არა დამიმთავრებია რა. მეორე კურსზე უკვე მწერალთა კავშირის წევრი ვიყავი, ვწერდი, ვიბეჭდებოდი – სწავლას თავი მივანებე... დაეუბრუნდეთ ბავშვობასა და ყრმობას. ჩემი ქართული ენა ზემოხსენებულ ბებოს და პაპას წყალობით ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით – პაპასი, რომელიც თავის დროზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის არმიის არტილერიის შტაბსკაპიტანი გახლდათ. ისინი ქართლელები იყვნენ, ანუ იმ ენის მფლობელები, რომელიც ქართულ ლიტერატურულ ენას დაედო საფუძვლად. რა თქმა უნდა, ამაში თავისი როლი სკოლამაც შეასრულა.

იმ დროს მასწავლებლები, ძირითადად, ქართველ ინტელიგენტთა ოჯახებიდან გამოსული პიროვნებები იყვნენ, უზადო ქართულს ფლობდნენ და ჩვენც ასეთსავე ენას გვასწავლიდნენ. ყოველივე ამის გარდა, ჭირვეული, ძნელი ბავშვი ვიყავი. საფიქრებელია, ოჯახს თავი მოვაბეზრე და „გამაბარეს“, ანუ აღსაზრდელად მიმცეს სორბონადამთავრებულ ქალბატონ მელანია მეძმარიაშვილ-გველესიანის ოჯახში. ამ უბრძენესმა ქალბატონმა პირდაპირ ამავსო ჩემი ასაკისთვის ერთობ დიდი

და მრავალმხრივი ცოდნით. სკოლაში შვიდი წლისა მიმიყვანეს, პირდაპირ მეორე კლასში დამსვეს და უფროსკლასელებსა და მასწავლებლებს გულწრფელად უკვირდათ ჩემი „განათლები-სა“ და ინფორმაციულობის დიაპაზონი. ჩემი მეორე ენა რუსუ-ლი იყო; ეს ოჯახშივე და შემდეგ გარემოცვისგან ვისწავლე. ზნეობრივ აღზრდაზე აღარაფერს ვიტყვი გარდა იმისა, რომ ამას საფუძველი ოჯახში ჩაეყარა, ხოლო ზედნაშენი, ანუ შემ-დგომი განვითარება ცხოვრებამ მომიტანა. ჩვიდმეტისამ და-ვამთავრე „ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ტექნიკუმი“ გადამცემი რადიოსადგურების განხრით და აქვე მომენიჭა „პირველი რიგის თადარიგის მესამე რანგის სამხედრო ტექნი-კოსის“ ნოდება. საინტერესო დამთხვევა: 1941 წლის 22 ივნისს კალათბურთის მოედანზე მომნახა მეზობლის ბიჭუნამ, სამ-ხედრო კომისარიატის უწყება გადმომცა. ვითამაშე ბოლომდე. 23-ში ჯარში ვიყავი. ბანაკშიც ასე მოხდა. ვითამაშობდი კალათ-ბურთს, „ვიზივალშიკმა“ დაიძახა: „ამირეჯიბი ნა სვობოდუ“-ო ვითამაშე ბოლომდე, გამოვემშვიდობე ყველას და გავედი ზო-ნიდან. სამხედრო სამსახური დავინყე ამიერკავკასიის სამხედ-რო ოლქში კავშირგაბმულობის 203-ე ცალკე ასეულში უფროს რადისტ-ტელეგრაფისტად. რამოდენიმე თვის შემდეგ გადამიყ-ვანეს 26-ე ავიოდივიზიის რადიოსადგურის უფროსად ქ. გროზ-ნოს აეროდრომზე, საიდანაც „კუკუ ამომკრეს“, როგორც რეპ-რესირებული მშობლების შვილს და უცხოეთში ემიგრირებულ-თა ნათესავს. ყოველივე ეს დამალული მქონდა მხოლოდ იმი-ტომ, რომ მინდოდა, მენახა ომი. შემდგომი ბედის გადასაწყე-ტად მომავლინეს ჩრდ. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში. იქ შემთხვევით შემხვდა ნათესავი კაცი, ამ სამხედრო ოლქის სა-ფინანსო სამმართველოს უფროსი, რომლის წყალობით აღმოვ-ჩნდი საინტენდანტო სამსახურში, კერძოდ – ტრანსპორტში. იმხანად სპარსეთის ყურედან ირანისა და ამიერკავკასიის გავ-



ლით მოკავშირეთა სამხედრო დახმარება ავტოკოლონებით მოედინებოდა. აქ ყველაფერი იყო, ავტომანქანებით დაწყებული, ყოველგვარი შეიარაღება, ამუნიცია და დამთავრებული 1903 წ. მოსავლის „უხარშავი“ თეთრი ლობიოთი. ერთ-ერთი ასეთი კოლონის უფროსის მოადგილედ გახლდით უფროსი ლეიტენანტის ჩინით, მაგრამ აქაც რამოდენიმე თვეში მომაგნო ყოვლისშემძლე „ასობნიაკმა“ და მეორედ, ამჯერად, საბოლოოდ გამომისტუმრეს რუსებმა თავისი არმიიდან. როგორც „არასწორად განვეული“. – საიდან და როგორ დაიწყო შენი „უკუღმართი“ ცხოვრება?

– სწორედ აქედან და, აი, როგორ: დავბრუნდი, აღმადგინეს თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსზე. ომის დრო იყო. საღად მოაზროვნე, მამულიშვილურად განწყობილი სტუდენტობა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ, რა საშუალებებითა და ხერხებით დასძრომოდა საქართველო რუსეთის იმპერიის კლანჭებს. ყალიბდებოდა არალეგალური ორგანიზაციები და ერთ-ერთ ასეთში, კერძოდ, „თეთრ გიორგიში“, მეც ამოვყავი თავი. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ამისთვის დაბადებული ახალგაზრდა კაცი – მხნე, განათლებული, „უშიში, ვითა უხორცო“ და თავდადებული მებრძოლი მუსტაფა შელია. ორგანიზაციის მიზანს შეადგენდა შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოში საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია. ახალგაზრდები, გამოუცდელი, მხოლოდღა თავისუფლების წყურვილით აღჭურვილი მამულიშვილები ვიყავით და, ცხადია, ჩვენი მიზანსწრაფვა კრახით დასრულდა.

1944 წლის აპრილში უშიშროების ჯარების „ტროიკამ“ ოცდახუთი წლის პატიმრობა მომისაჯა მე, ხოლო დანარჩენი ცხრამეტი მონაწილიდან სამს დახვრეტა და სხვებს სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა ხვდა წილად. აქვე გახდა ცნობილი ჩვენთვის, რომ მუსტაფა შელია ჩეკისტებმა აყვანის ცდი-

სას გამოასალმეს წუთისოფელს. ნათელში ამყოფოს მისი ამა-  
ყი, დაუმორჩილებელი სული მაღალმა ღმერთმა. – როგორ გან-  
ვითარდა შენი შემდგომი ცხოვრება?

– ოცდახუთი წლის პატიმრობას რა უშავდა. ამ ვადის მოხ-  
დის შემდეგ, წარმოიდგინეთ, ხუთი წლით სამოქალაქო უფლე-  
ბების აყრაც გაითვალისწინა ზემოხსენებულმა ტრიბუნალმა.  
ეს კი ნიშნავდა, რომ ვეღარ მივიღებდი „ჩვენი მშობლიური  
უმაღლესი საბჭოს“ არჩევნებში მონაწილეობას. ამდენის ატანა  
შეუძლებლად მივიჩნიე და ხელი „მარბენლობას“ მივყავი. სხვა-  
დასხვანაირი რამოდენიმე გაქცევა დამიგროვდა, მაგრამ  
„Tempora mutantur, et nos mutantur in illis“ და მოვიდა დრო, როცა  
მეც გამოვიცვალე, მოვეშვი გაქცევებს, რეაბილიტაციას და-  
ვუწყე ლოდინი.

ეს დღეც მოვიდა. დავუტოვე „ნაჩალნიკს“ სხვადასხვა გა-  
ნაჩენებით მოსჯილი ორი დახვრეტა, ოთხმოცდასამი წლის მო-  
უხდელი პატიმრობა და დავბრუნდი სამშობლოში წყეული წარ-  
წერით მსჯავრდებულის ფორმულარზე მსხვილად, წითელი  
ფანქრით – „Беглец склонен к бегству“. იმ დრომ დამიტოვა დახ-  
ვრეტილი მამა, ათწელიწადმოხდილი მოხუცი დედა, უმცროსი  
და – ნათია, უფროსი და – როდამი, რომელიც მოსკოვში ცხოვ-  
რობდა, იყო ჩინებული ადამიანის, დიდი პოეტის, მიხეილ სვეტ-  
ლოვის მეუღლე. მისი გარდაცვალების შემდეგ, ორი თუ სამი  
წლის შემდეგ – მეუღლე არანაკლებ ჩინებული ადამიანისა და  
დიდი ფიზიკოსის, ბრუნო პონტეკორვოსი. ამის გარდაცვალე-  
ბის შემდეგ როდამი გადმოსახლდა თბილისში და აღესრულა  
აქვე 1995 წელს, სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში. როდამმა არ-  
ჩინა დედაჩვენი ათი წლის პატიმრობის მანძილზე და თქვენი  
მორჩილი მონაც, როცა მეჯდომებოდა.

ვგულისხმობ ჯდომას გაქცევების დროის გამოკლებით.  
ძირითადად, როდამმავე არჩინა ჩვენი უმცროსი და ნათია, რო-

მელიც დეიდა-მამიდებთან იზრდებოდა.

მყავდა ექვსი შვილი, მართალია, სხვადასხვა მეუღლეები-საგან, რაც ჩემი მარბენლობით აიხსნება, მაგრამ ღმერთმა ინება და, აგერ, უკვე ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე მყავს გასაოცარი მეუღლე, პოეტი თამარ გრიგოლის ასული ჯავახიშვილი. ამ ხნის მანძილზე ჩვენ შორის არამცთუ რაიმე ექსცესს, სერიოზულ შელაპარაკებასაც კი არ ჰქონია ადგილი. ვცხოვრობთ მშვიდად და ბედნიერად. რამდენადაც ეს ჩვენს „ანენილ“ დროშია შესაძლებელი. შვილებს დავუბრუნდეთ. უფროსი – მანანა, პირველი გაქცევის შვილი, მამის კვალს გაჰყვა, სწერს მოთხრობებს, ქვეყნდება, მკითხველს მოსწონს. მეორე – ლეილა, ეს პაპის კვალს გაჰყვა, იურისტია, დიპლომატი, საქართველოს საელჩოში მსახურობს მოსკოვში. ამათ შემდეგ – ოთხი ვაჟი, ოთხივე გათავისუფლების შემდეგ მეყოლნენ. უფროსი – ირაკლი, რუსების არმიის სამსახურის შემდეგ მოხალისედ წავიდა აფხაზეთში, დაიღუპა და წაიღო ჩემი ურყევი ჯანმრთელობა – სამი ინსულტი! ირაკლი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით არის დაჯილდოებული. დანარჩენმა სამამაც მიიღო მონანილეობა აფხაზეთის ომში. ღმერთმა დამინდო, სამივე გადარჩა. ირაკლის მომდევნო – ლაშა – მოქანდაკეა, ქუცნა – კინორეჟისორ-ოპერატორია, შალვა – ბიოფიზიკოსი. შვილიშვილები – უკვე შვიდი, შვიდივე გოგო. ბადიშები – სამი.

– როდის დავინყე ლიტერატურული მოღვაწეობა?

– რვა წლისამ ლექსი დავწერე. „კავკასიონის“ ლიტერატურულმა დამატებამ, „არილმა“, ჩემთან ინტერვიუს ნაუმიძღვარა ეს (თუ შეიძლება, ასე ითქვას) ლექსი, ღმერთმა იცის, საიდან ამოქექილი. ბავშვობასა და ყრმობაში ვწერდი ლექსებსა და მოთხრობებს, მაგრამ ოციდან-ორმოცამდე ბანაკებში დაწერილიდან ცოტა რამღა გადარჩა, დაწერილის ადგილის სპეციფიკის გამო: ვწერდი – მართმევენ. სერიოზული ლიტერატურა

რული მუშაობა პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ დავინყე. მიღებული მაქვს სსრკ სახელმწიფო პრემია (1979), საქართველოს რუსთაველის პრემია (1994), საქართველოს სახელმწიფო პრემია (1998); მაქვს, აგრეთვე, სხვადასხვა უცხოური ჯილდოები, პრემიები, პრიზები და სხვა. ჩემი ნამუშევრები გამოქვეყნებულია მსოფლიოს ოცდაათამდე ენაზე. ვარ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „ღირსებისა“ და, ჩემი ირაკლივით, „ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის“ ორდენის კავალერი. მოვრჩი ტრაბახს. ახლა:

– რით ვარ დაინტერესებული, რაზე მსურს, ვილაპარაკო? რა არის ადამიანი, როგორ ცხოვრობს მზისა ქვეშე, როგორ და როდის მიდის უმჯობეს სამყაროში?

– – ყრმობიდანვე, და, რა თქმა უნდა, არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, სწორედ ამ კითხვას ჩავაცვივდი, უკეთ ვთქვათ, ზემოხსენებულმა დეიდა მელაშამ გაამახვილა ჩემი ყურადღება ამ თავსატეხზე.

ბოლოს და ბოლოს, თითქოს ვიპოვე პასუხი აქედან გამომდინარე სხვა კითხვებზედაც, მაგრამ პირველსავე სიტყვაზე მოვიდეთ: ადამიანში, სხვა ყველაფერს გარდა, ორი ძირითადი საწყისი ბუდობს – კითხვის დამსმელი და პასუხის გამცემი საწყისები. მართალია, პასუხი არცთუ ყველანაირ კითხვაზე მოიძებნება ხოლმე, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ადამიანი შეკითხვების გენერატორია, ხოლო მიგნებული პასუხები – პროგრესის ძრავი. ძველრომაული კანონმდებლობითა და სამართლით, თუ არ ვცდები, დაბადებული არსებაადამიანად პირველი ნამოყვრებისავე შემდეგ ითვლებოდა „იურიდიულ პირად“, რომელსაც უკვე სიცოცხლის, სიყვარულის, მემკვიდრეობისა და სხვა სამოქალაქო უფლებები ენიჭებოდა. ჩემთვის ადამიანი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად მაშინვე ითვლება, როცა იგი პირველად მოუბაგუნებს დედას, ანუ სიცოცხლის ნი-

შანს დააფიქსირებს. ვფიქრობ, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ჩანასახზე ძალადობის ცოდვად აღიარება ამ ვითარებიდანაც მოდის. ადამიანის სიკვდილი სხვადასხვანაირად და სხვადასხვა მიზეზებით მოდის. მაგალითად, დგება დრო, როცა ადამიანს დიდი ხნის სიცოცხლით დაგროვებული გამოცდილების გამო, აღარაფერი უკვირს, აღარაფერი აინტერესებს, აღარ ებადება კითხვები და მათზე პასუხის პოვნის სურვილი, რადგან ჰგონია, რომ უკვე ყველაფერი იცის, ყოველივე განვლილია და ახალი აღარაფერი შეიძლება იყოს.

ამგვარი ინდიფერენტული მდგომარეობა ფიზიკური აღსასრულის დასაწყისია, ვინაიდან ორგანიზმი ცხოველმოქმედების სტიმულს კარგავს. ამას საკუთარი მრავალწლოვანი გამოცდილებით ვამბობ. ჩემი აზრით, ადამიანის სიცოცხლე მთავრდება ფიზიკურ სიკვდილამდე, როცა იგი პათოლოგიით გამონწვეულ მესხიერებას კარგავს. ეს უკვე არსებობაა და არა სიცოცხლე.

მესხიერების დაკარგვა გონების ატროფიას, ანუ ადამიანის დასასრულს ნიშნავს. სიკვდილის მთავარი მიზეზი კი, დარწმუნებული ვარ, შემდეგ ვითარებაში მდგომარეობს: ყოველი ადამიანი გარკვეული დანიშნულებითურთ – მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ფუნქციითურთ იბადება და მიდის მაშინ, როდესაც თავის ფუნქციას ამოწურავს. ჰეგელს თავის „სულის ფოლოსოფიაში“ თითქოს გაკვირთა და უცაბედად აქვს ნათქვამი, რომ ადამიანი, როცა იგი თავის დანიშნულებას ამოწურავს, ამ ქვეყნიდან მიდის მიუხედავად ასაკისა და აღსრულებათა მასშტაბისა.

მართალია, ჰეგელს მხედველობაში ჰყავს მსოფლიო – ისტორიული პიროვნებები – ვთქვათ, ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონ ბონაპარტი, მაგრამ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმ უკვდავთა თუ მოკვდავთა სიის შედგენა, ვისზე-

დაც ჰეგელის ზემოხსენებული თეზა სავსებით ვრცელდება. აგერ, ლენინი, რომლის ფუნქცია, როგორც ჩანს, ოქტომბრის გადატრიალების ხელმძღვანელობა, სამოქალაქო ომში გამარჯვება, ინტერვენტთა განდევნა და ახალი იმპერიის საფუძვლების ჩაყრა იყო. აღასრულა და წავიდა! სტალინი – ტოტალიტარული სახელმწიფოს აშენება, ფაშიზმის დამარცხება, რუსეთის იმპერიის დიდი ბირთვული პოტენციალით აღჭურვა. აღასრულა და წავიდა! ორივე კანონზომიერად დაიხოცა. ჩამონათვლის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება უბრალო მოკვდავთა ხარჯზე, მხოლოდ ტვინის განძრევას საჭირო (საინტერესოა, ამონურა თუ არა თავისი ფუნქცია ჭაბუა ამირეჯიბმა? ღირს ამაზე ფიქრი...). აი, უბრალო მოკვდავის მაგალითიც. ჩემი ბავშვობის ერთმა მეგობარმა იმთავითვე გასტრონომის დირექტორობა დაისახა მიზნად, მაგრამ სტუდენტობაშივე „გულაგის“ ბანაკებში მოხვდა. მოიხადა თხუთმეტწლიანი პატიმრობა-გადასახლება, დაბრუნდა. პატიოსნად, უპროტექციოდ ჩააბარა ეკონომიკის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები, ასევე პატიოსნად დაამთავრა იგი. მოეწყო გასტრონომის დირექტორად! შეირთო ცოლი, ეყოლა ბავშვი, ცოლ-ქმარმა გააერთიანა თავისი ბინები, ასე თუ ისე რიგიანი ავეჯი შეიძინეს; იცოცხლა, სანამ შვილმა უმაღლესი დაამთავრა და... გარდაიცვალა. იმიტომ, რომ აღასრულა დაბადებითვე მინიჭებული ფუნქცია. მკითხველი დამეთანხმება, ასეთი მაგალითები მილიონობით არის. რაკი საუბარია ადამიანზე, მის წასვლაზე მზისქვეშეთიდან, თავისთავად დგება უკვდავების საკითხიც. რამდენი ხნით რჩება ადამიანი სხვათა მეხსიერებაში? ოჯახის წევრები, ვთქვათ, რამდენიმე თაობის მეხსიერებაში რჩებიან; ასე თუ ისე მნიშვნელოვან საქმეთა აღმსრულებელნი – უფრო დიდხანს, იმის თანახმად, თუ საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მათ მიერ აღსრულებული საქმენი.

– მგონია, ადამიანის სიკვდილის გამო მოსაზრებებს იმპერიების ცხოველმოქმედება – ზედაც ავრცელე.

– დიახ, ჰეგელის თეზა უნივერსალურად მიმაჩნია. ცნობილია, იმპერიებს აარსებს ერთი რომელიმე ერი, ხალხი, როგორც გნებავთ, ისე დაარქვით.

დროთა ვითარებაში ეს წარმონაქმნი „ჩაგრულ და მჩაგვრელთა“ მრავალეროვან სახელმწიფოდ ყალიბდება. როცა წინააღმდეგობები კულმინაციას აღწევს, იწყება თანდათანობითი რღვევა და, ზოგ შემთხვევაში, კატაკლიზმური ნგრევაც. ეგ არის, უნდა გამოვავირობოთ მთავარი: კაცობრიობის ისტორიაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რაც, აქვე აღვნიშნოთ, წესს ადასტურებს, არ ყოფილა იმპერია, ხუთ-ექვსსაუკუნეზე მეტხანს რომ ეარსებოს. ამაზე მე ჯერ კიდევ ჩემ რომან „დათა თუთაშხიაში“ დავწერე. დავიწყოთ იმით, რომ კაცობრიობის ისტორიაში არ არსებულა სახელმწიფო, რომელშიც მთელი ხალხი კმაყოფილი ყოფილიყო თავისი წყობილებითა და მთავრობით. მეტიც, ხალხები მზად არიან, დაამხონ თავისი მთავრობა ნებისმიერ, ცოტა თუ ბევრად, ამისთვის ხელსაყრელი ვითარებისას... ეს ისე, განზოგადების სახით. საფიქრებელია, იმპერიათა ნგრევის უპირველესი პირობა „ბაბილონის გოდოლის ფაქტორია“. იმპერიაში შემავალი ხალხები ერთობლივი ძალისხმევით აგებენ მნიშვნელოვან ეკონომიკას, ინტელექტუალურ ფასეულობებს ქმნიან, მაგრამ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ისინი კარგავენ „ერთმანეთის ენის“ გაგების უნარს, ანუ მათი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები მძაფრ წინააღმდეგობაში მოდიან და ყველაფერი ერთად თავს ეცემა დამაარსებელ ერს, ანუ იმპერიულ წყობილებას.

ჩვეულებრივად მრავალეროვანი სახელმწიფოს დედაქალაქი, დიდი დასახლებები და, გარკვეულწილად, ცალკეული რეგიონებიც, დასახლებული არის შერეული სისხლის მასე-

ბით, რაც იმპერიულ ერთან ხანგრძლივი თანაარსებობის შედეგია. მოსახლეობის ეს ნაწილი აბსოლუტურად მოკლებულია იმპერიული პატრიოტიზმის გრძნობას და გადამწყვეტ ვითარებაში იმპერიის მოწინააღმდეგედ ან, უმჯობეს შემთხვევაში, ინდიფერენტულ ფაქტორად გვევლინება.

მიუხედავად მწვავე წინააღმდეგობებისა, იმპერია მაინც დგას, სანამ მპყრობელ ერს სამხედრო უძლეველობის, დაუმარცხებლობის რწმენა გააჩნია, რაც პირველი სერიოზული დამარცხებისთანავე სუსტდება და სრულიად ქარწყლდება რამოდენიმე სამხედრო მარცხის შედეგად. ესეც ძირითადად, „ბაბილონის გოდოლის“ კომპლექსით არის ხოლმე გამოწვეული. უძლეველობის რწმენის დაკარგვას მოსდევს იმპერიული ამბიცია, სამხედრო ავანტიურებით აღადგინოს ველიკოდერჟავნული სული ადამიანებში, ხალხებში და ეს თითქმის ყოველთვის კიდევ მარცხით მთავრდება, რადგან, როგორც წესი, მუშტი კრივზე სუსტი იწევს და არა ძლიერი. აქ მართებულია, აღინიშნოს, თუ როგორ მოინადირებიან იმპერიები, როგორ და, რაზედაც მაიმუნის მონადირების ცნობილი ხერხია დაფუძნებული: ქოქოსში კეთდება მცირე რამ ნახვრეტი, შიგ ჩაიდება გაფხეკილი სურნელოვანი სტაფილოს ნაჭერი. სურნელებით მიტყუებული მაიმუნი ხელს ჰყოფს ნახვრეტში, ჩაბლუჯავს სტაფილოს ნაჭერს, მაგრამ ძლივსძლივობით ჩატეული ხელი, მუშტად შეკრული, ზემოთ ველარ ამიდის. ქოქოსი მკვიდრად არის დაბმული, მაიმუნს მუშტის გაშლა აზრადაც არ მოსდის – მოიპოვა! ამის შემდეგ მონადირეს აუღელვებლად მიჰყავს მაიმუნი. „ჩაჭიდების რეფლექსმა“ იმუშავა! მოვიყვანე ჩენთვის ცნობილი და მოფიქრებული მიზეზები იმპერიათა რღვევისა, რის ვადაც ხუთი-ექვსი საუკუნე დავასახელეთ. ახლა გამონაკლისებისაც ვთქვათ. რაც იქვე წესის დადასტურებადაც ვალიარებთ., მაგრამ აღვნიშნოთ ამ გამონაკლისთა მიზეზებიც ბიზანტიისა და



რუსეთის იმპერიების მაგალითზე. ბიზანტიის იმპერიამ ათას ნელზე გაცილებით მეტი ხნის მანძილზე იარსება და არა, ვთქვათ, ხუთასი თუ ექვსასი წლის ფარგლებში, როგორც მისმა ანალოგებმა.

ვფიქრობ, ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ბიზანტია იდეოლოგიის, კერძოდ მართლმადიდებლური სარწმუნოების ემისიონერი იყო, ანუ თავისი ისტორიული ფუნქციის რეალიზაციას ახდენდა, მაგრამ კონსტანტინეპოლის დაცემამდეც კი მისი ხსენებული ფუნქცია რუსეთს ჰქონდა მითვისებული ჩრდილოეთში და წინა აღმოსავლეთში – საქართველოს.

ბიზანტიის იმპერია კატაკლიტურად არ დაღუპულა, როგორც ამას ავტორთა უმრავლესობა ქადაგებს, არამედ სიბერით მოკვდა, სულიერი ფუნქციის დაკარგვის გამო მიიცვალა. რუსეთის შემთხვევაში საქმე რამდენადმე განსხვავებულია. ლენინმა, ეჭვს გარეშეა, იცოდა რუსეთის იმპერიის კანონზომიერი დაშლის აუცილებლობა.

მან იცოდა ისიც, რომ რღვევისა და დანაწევრების პროცესის გადავადება, ახალი იმპერიის მხოლოდ რომელიმე ახალი იდეოლიგიით დატვირთვით, მისთვის ემისიონერის ფუნქციის მინიჭებით იყო შესაძლებელი და აკი ჩაუდო კიდევაც ჯიბეში რუსებს და არარუსებს „მარქსისტურ-ლენინური“ იდეოლოგია, საწერ მაგიდაზე შეთხზული მოძღვრება. ამ იდეოლოგიას ამთავითვე ეტყობოდა, რომ ფუჭი იყო და მისმა ავტორმა აკი დაიზღვია კიდევაც თავი ამით, რომ ვითომდა სხვათაშორის სთქვა, – თუ კომუნისტურ საზოგადოებას ვერ შევქმნით, ამოსავალ პოზიციაზე, ანუ კაპიტალიზმზე დაბრუნებაში ხომ ხელს ვერაფერი შეგვიშლისო? სახელდობრ, ამას საქმობენ დღევანდელი რუსეთის იმპერიის მამები და სრულიად ეგულვებელჰყოფენ იმ გარემოებას, რომ ქოქოსის კაკალში აქვთ შეკრული მუშტი. რუსეთის იმპერიის ფინალი ისეთივე იქნება, როგორიც სხვა იმპე-

რიებისა იყო. მგონია, თითქმის დარწმუნებული ვარ, ფინალს დღევანდელი ახალი თაობა მოესწრება.

– რაზე ოცნებობ, როგორი აზრის ხარ საქართველოს სინამდვილესა და მომავალზე? – ოცნებას დიდი ხანია, თავი მივა-  
ნებე. მწარე რეალისტი, მეტიც, თითქმის პრაგმატისტი გახლავართ. რაც მოქმედებას შეეხება, შესაძლებლობებისამებრ ვმუ-  
შაობ სამშობლოსთვის და, რაზომც ხე და გონმენიფება, ვცდი-  
ლობ კიდევ ხელი შევაშველო საქართველოს გასაჭირიდან თავის დაღწევის საქმეს, ჩვენი ტერიტორიული და ზნეობრივ-ეთი-  
კური მთლიანობის აღდგენას. ჩვენს სრულიად საქართველოს საზოგადოებაში ადამიანი არამარტო შეკითხვათა გენერატორია, არამედ აზრთა წინააღმდეგობრივი სხვადასხვაობისაც.

რასაც ადვილად შეუძლია, ქაოსის მდგომარეობაში ამოა-  
ყოფინოს თავი საზოგადოებას. აი, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის, გუბერნატორებისა და ქალაქთა მერების არჩევითობის პრობლემა. როგორი შეფასება მოვცეთ მათ პო-  
ზიციას, ვისაც ვინც არჩევითობის აუცილებლობას ქადაგებს? ნუთუ არ ესმით, რა მოჰყვება ამას! ცნობილია, საქართველოს ტერიტორია მნიშვნელობანაირად რამოდენიმე არაქართველი ხალხით არის დასახლებული, ძირითადად სხვა ქვეყნებთან მო-  
მიჯნავე რაიონებში. ასეთი რეგიონების გუბერნატორების არ-  
ჩევითობა გარდუვალად მიგვიყვანს იქამდე, აირჩევა იქაური მოსახლეობის წარმომადგენელი. სულ მალე გამოჩნდება შავი ძალა, რომელიც წააქეზებს გუბერნატორს და მის ეთნოსს სე-  
პარატიზმისკენ, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებითურთ. ოპოზიციას თავი ისე უჭირავს, ვითომ ამის გამოცდილება არ გაგვანია, არ ესმოდეთ, თუ როგორი შედეგები მოჰყვება პრობლემის ასეთ გადაწყვეტას. რა დავარქვათ ყოველივე ამას, მკითხველმა თქვას.

აქ სხვა არაფერია, თუ არ ბრძოლა შევარდნაძის წინააღ-

მდეგ, ქაოსის გამონვევის ხერხით მისი თავიდან მოშორების წყურვილი. რისთვის ვცდილობ კიდე? ეკონომიკა საღ ფეხზე უნდა წამოიმართოს, რათა მოსახლეობა სამუშაო ადგილებით უზრუნველჰყოს. ეს კი საარსები მინიმუმით უზრუნველყოფას ნიშნავს. ამაში გადამწყვეტი როლი შეიძლება, შეასრულოს, არამართო, ნავთობსადენმა და ტერმინალმა, არამედ, უმთავრესად ნავთობისა და აირის მოპოვების პრობლემამ, რაც, თავის მხრივ, ნორმალური ენერგეტიკული ბაზის შექმნას უზრუნველყოფს. ვცდილობ ხელი შევავშელო სამას ათასზე მეტი ადგილგადანაცვლებული პირის სამშობლო ადგილებში დაბრუნების პრობლემას. ისინი უნდა დაუბრუნდნენ თავის სახლ-კარს, მინასა და ქონებას, რომელსაც ჯერ კიდევ წინაპრებმა ჩაუყარეს საფუძველი. ეს ყველაზე მძიმე პრობლემაა. დღევანდელი თბილისი მაგონებს პერიოდს, როცა სოფლიდან გამოქცეული მოსახლეობა დედაქალაქს მოაწყდა და ძირფესვიანად შეცვალა თბილისის სახე.

მჯერა, უალტერნატივო პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ეყოფა გამოცდილება, უნარი, ნებისყოფა და ტალანტი, რომ ბოლომდე მიიყვანოს ახალი, დემოკრატიული დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობა. მთავარია, საყრდენმა არ უღალატოს. ხალხმაც უნდა გამოიჩინოს სიმტკიცე, ერთსულოვნება და გონიერება. თუ ეს მოხდა, გამარჯვება გარანტირებულია.

– რა აზრის ხარ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე?

– ამ საკითხს მე საკმარისად შევეხე ავტონტერვიუს იმ ნაწილში, სადაც იმპერიებზე ვსაუბრობდი. დავსძენ მხოლოდ, რომ დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობა ყველა ხერხით ცდილობს, აღადგინოს იმპერია თავისი ძველი პარამეტრებით და, რა თქმა უნდა, ვერ ურიგდება იმპერიის საბოლოო ლიკვიდაციის პერსპექტივას. საქართველოს მოსადრეკად რას აღარ

კისრულობენ. დაწყებული სომხების კბილებამდე შეიარაღებით, რო შიში ჰქონდეს რუსეთის მიერ ნაქეზებული მეზობლისა, და სავიზო რეჟიმის შემოღებითა თუ აირის მიწოდების შეწყვეტით დამთავრებული.

ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს საკუთარ კრიჭად იყენებს და ყველა ჩვენთვის სასარგებლო რეზოლუციის წინააღმდეგ ილაშქრებს. აღარას ვიტყვი აფხაზეთის მიმართ დაუოკებელ მადიანობაზე. ერთადერთი ჩვენი სასოება ის არის, რომ რუსეთს მუშტი ქოქოსის კაკალში აქვს, მაგრამ ამის შემდეგ რამდენი დრო დასჭირდება, ღმერთმა იცის!

– და ბოლოს, როგორ მოიქცეოდი, სიცოცხლის თავიდან გამოვლა რომ დაგჭირებოდა. 1944 წლის 10 აპრილს ტროიკის თავმჯდომარემ, გვარად ბურდულმა, მკითხა:

– რომ გაგათავისუფლოთ, როგორ მოიქცევიტო.

– არ დავფიქრებულვარ, მივუგე:

– როგორც აქამდე მოვიქეცი. ისევ ისე-მეთქი. მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც საკუთარი წარსულის მიმართ სინანული ანამებს. ვიცხოვრე, როგორც მაღალმა ღმერთმა ინება, ისე. ბედისწერით კმაყოფილი ვარ, თუმცა, შესაძლოა, ცხოვრებას უკეთესი მიმართულება მიელო.

ეგ არი. ეს „უკეთესი“ როგორი იქნებოდა, წარმოდგენილი ვერა მაქვს. საერთოდ რას ნიშნავს უკეთესობა? მე არასოდეს მქონია დიდი მადა და მოთხოვნები. კმაყოფილი ვიყავი და ვარ ამით, რასაც ღმერთი იმეტებს. დიდხანს ვიცოცხლე. ბევრი ვნახე. მიუტყევებელი ცოდვები არ მაღვეს.

მტრები მყოლია, მყავს ამჟამადაც, მაგრამ ისინი ჩემზე სუსტები იყვნენ და არც ახლა არიან „ყარამანები“. პატივისმცემლები მუდამ მყავდა, ახლაც მყავს და დარწმუნებული ვარ, სიკვდილის შემდეგაც მეყოლება. გავაჩინე და გავზარდე ექვსი

შვილი. დავრგე ოცდაათამდე ხე. მყავდა და მყავს ერთგული მეგობრები.

დავწერე და ვწერ რაც შევძელი. თუ ხელახლა მომიწია ცხოვრების დაწყება, ახალს არაფერს ვიზამ – ვცხოვრობ, როგორც ვიცხოვრე.

– სულ ბოლოს, შენი შემოქმედებითი ლაბორატორიის გამო რას იტყვი? – ვწერ ნელა და ძნელად, მაგრამ სადა, ადვილი ენით, შესაძლებლობისდა მიხედვით – გასაგებად რთულსა და ხელუხლებელ თემებზე.

ვინცებ წერას მხოლოდ მას მერე, როცა წიგნს მთლიანად დავინახავ, და იმ ნაწყვეტით, რომელიც იმ მომენტში მეხასიათება. გადავდებ და წავიკითხავ მხოლოდ ორიოდ კვირის შემდეგ. ან „ჭკუაზე მოვიყვან“, ან კალათაში ჩავყრი. გამოვტყდები, უარყოფა იშვიათად ხდება. ხელნაწერს არავის ვუმაღლავ. ყოველთვის მაინტერესებს სხვათა აზრი, ამა თუ იმ მცირე ნაჭრის გამოც კი. როგორც ვთქვი, განწყობილების მიხედვით ვწერ წიგნის ნაწილებს. ეს შესაძლოა, ფინალიც იყოს. როცა ეს ნაწყვეტები დაწერილია, აი, მაშინ იწყება ყველაზე რთული სამუშაო – კომპოზიცია, ანუ ამ ნაჭრების ერთ წიგნად შეკვრა, მუშაობა მასალის სწორ განლაგებაზე, ერთობლიობად ქცევა. მოვრჩი ჩემს ავტობიოგრაფიას!“

ამ ფრაზით ასრულებს ბატონი ჭაბუა თავის ავტობიოგრაფიას, რომელიც იძლევა საშუალებას ახლოდან დავინახოთ და თანავუგრძნოთ, შევისწავლოთ და დავუფიქრდეთ, გავიზნოთ და წარმოვიდგინოთ, მივწვდეთ და ავმალდეთ, თუ საჭიროა განვიცადოთ და გავიზარდოთ კიდევ ისეთ ადამიანთა ავტობიოგრაფიებზე, რომელთა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ-პროფესიულ ნააზრევ-ნაამბობ-გადმოცემულს სერიოზული ჩაღრმავება და დაფიქრება სჭირდება. ამ ავტობიოგრაფიაში ბატონი ჭაბუა საუბრობს იმპერიების ბედზე, მოჰყავს მაგალითები მსოფლიო იმპერიათა ისტორიებიდან, აჩვენებს იმპერიათა სა-

ბოლო ბედს. მოყვანილი მაგალითებით ამტკიცებს პირად შეხედულებათა სისწორესა და სამართლიანობას, დასტურად და დოკუმენტად ეჭვების გასაქარწყლებლად, ასევე საინტერესოა ჭაბუასეული ფილოსოფია საქართველოს აწმყოსა და მომავალზე, როდესაც მსჯელობს მაიმუნის მონადირების ცნობილ ხერხზე: „ქოქოსში კეთდება მცირე რამ ნახვრეტი, შიგ ჩაიდება გაფხეკილი სურნელოვანი სტაფილოს ნაჭერი. სურნელებით მიტყუებული მაიმუნი ხელს ჰყოფს ნახვრეტში, ჩაბლუჯავს სტაფილოს ნაჭერს, მაგრამ ძლივსძლივობით ჩატყული ხელი, მუშტად შეკრული, ზემოთ ველარ ამოდის. ქოქოსი მკვიდრად არის დაბმული, მაიმუნს მუშტის გაშლა აზრდაც არ მოსდის – მოიპოვა! ამის შემდეგ მონადირეს აულელვებლად მიჰყავს მაიმუნი. „ჩაჭიდების რეფლექსმა“ იმუშავა!“. ეს ისეთი ფილოსოფიაა, რომელიც ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მუშაობს, მაგრამ ამას „სხვა თვალი და ყური“ სჭირდება, რომელსაც მკითხველის გონება, ყური და თვალიც უნდა მისწვდეს. თუ არ მისწვდა და არ დაინახა, მაშინ აზრი აღარა აქვს. ერთი სიტყვით, განსაკუთრებით ავტორიტეტულ, ცნობილ, გამოჩენილ, სახელოვან მამულიშვილთა ავტორიტერვიუ საინტერესო ასახვის ფორმა და იძლევა საშუალებას პიროვნების „ოქროს ფონდი“ ღიად წარმოაჩინოს. კიდევ იმის შესაძლებლობა, რომ ნებისმიერი სახის ინტერვიუ ჟურნალისტის „გემოვნებისა“ და პროფესიონალიზმიდან გამომდინარე იგება, თუნდაც შენდება და არ არის გამორიცხული, რომ ბევრი რამ ამა თუ იმ რესპონდენტის ცხოვრებიდან თუ საქმიანობიდან (მრავალი ფაქტი და დეტალი) გაუხმაურებელი, აღუნუსხავი, შეუმჩნეველიც დარჩეს. ამიტომ ავტორიტერვიუ სწორედ ისეთი ფაქტებისა და დეტალების გამომზეურებას ემსახურება, რაც ყველაზე მეტად „აწუხებს“ ამა თუ იმ პიროვნებას. ამის მრავალი მაგალითი და ფაქტი არსებობს ცნობილ მწერალთა, ფილოსოფოსთა, პოლიტიკოსთა და სხვათა ცხოვრებიდან. ამდენად, ეს ფორმა გამოსახვისა, მარ-

თალია ჯერ კიდევ არ არის მძლავრად ფეხმოკიდებული ჟურნალისტურ სივრცეში, მაგრამ, სამომავლოდ, ვფიქრობთ (მისი შინაგანი უნიკალურობისა და სიმდიდრის გამო) ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და საინტერესო ასახვის ფორმად დამკვიდრდება და ამისათვის სწორედ ჟურნალისტურმა შესაძლებლობებმა, თუნდაც ფილოსოფიამ, გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

## **ლიტერატურა:**

1. *burusi.wordpress.com*

## **ინტერვიუ კომენტარი**

კომენტარი ინტერვიუს ერთ-ერთი საინტერესო სახეა, რომელიც საშუალებას აძლევს რესპონდენტს პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას და მხოლოდ იმ კონკრეტული თემატიკით შემოიფარგლოს, რაც იმ მომენტისათვის აინტერესებს ჟურნალისტს, ანუ საზოგადოებას. სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით კომენტარში იგულისხმება „შენიშვნები, ჩანაწერები, განმარტებები 1. რაიმე ტექსტის განმარტება; 2. რაიმეზე კრიტიკული, განმარტებითი შენიშვნები, მსჯელობა“. ამდენად კომენტარი ჩვეულებრივ საკითხის აქტუალობიდან და პრობლემატიკიდან გამომდინარე დარგის სპეციფიკის მხრიდან უნდა კეთდებოდეს. თუ პოლიტიკურ საკითხს ეხება, შესაბამისად პოლიტიკოსის კომენტარია საჭირო, რომელსაც ესმის საქმის არსი და მოკლედ და ამომწურავად პასუხობს ჟურნალისტის შეკითხვას ისე, რომ ყველაფერი გასაგებია. თუ საკითხი კულტურას ეხება, შესაბამისად ჟურნალისტიც კულტურის სფეროს კომპეტენტური წარმომადგენლის კომენტარით უნდა დაკავდეს და არა რიგითი მოყვარუ-

ლისა. ასეა ნებისმიერ დარგთან მიმართებაში. მაგალითად, როდესაც განხილვისა და დისკუსიის საგანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობისა და სურსათის საკითხები, რომელიც დარგში არსებულ სერიოზულ პრობლემატიკას ეხება და მასზე კომენტარს ჩვეულებრივი რიგითი დილექტანტი აკეთებს, უბრალოდ უხერხულია. კომპეტენტური და მნიშვნელოვანი, სანდო და დამაჯერებელი – ეს ის არგუმენტებია, რომლებსაც კომენტირებისას საკმაოდ დიდი წონა აქვს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა საგაზეთო, რადიო და ტელეკომენტარები. ის, რომ გასაგები, მარტივი და ნათელი ენა, აზრის სიცხადე და ლაკონურობა, დახვეწილი და საქმიანი წინადადებები აუცილებელი ფაქტორია კომენტირებისა, ამაზე არავინ დავობს. კომენტარის, განსაკუთრებით სატელევიზიო – გაკეთებისას, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ლაკონურობა, ანუ ერთ-ორ მოკლე ფრაზაში მესიჯის ჩამოყალიბების უნარი და შესაძლებლობა. როგორც აღვნიშნეთ, გასათვალისწინებელია მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა სფეროში, რომელიც შეეხება საეთერო დროისა და საგაზეთო ფართის დეფიციტს. კომენტარის გაკეთებისას რესპონდენტი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს იყოს ზედმინევენით ზუსტი და ანგარიშგასაწევი, რათა არ მოხდეს ისე, რომ მის მიერ გაკეთებული კომენტარი შემდგომ ჟურნალისტის მიერ „დაიჩეხოს“ და დაკარგოს ორიგინალური სტილი. სწორედ ეს ორიგინალური სტილია უპირველესად შესანარჩუნებელი კომენტირებისას, რადგანაც კომენტარის ერთ-ერთ ნიშანდობლივ სფეროშიცაა სწორედ სტილის თავისებურებაც განსაზღვრავს. ჟურნალისტს კარგად უნდა ესმოდეს, რომ მოკლე და ვრცელი კომენტირებისას მთავარი ყურადღება გადატანილი უნდა იყოს სათქმელის ძირითად შინაარსზე და ყველა შემთხვევაში კომპეტენტურობა და აზრის სიცხადე უმთავრეს კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს. ჟურნალისტს უფლება აქვს ცოტათი შეკვეცოს სათქმელი, როდესაც ის ვრცელია და არ ეხება ძირითად საკითხს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ყველაზე მე-



ტად აინტერესებს საზოგადოებას. კომენტარებისას ასევე მნიშვნელოვანია რესპონდენტის ნიჭიერება და გამორჩეული ხასიათი, ანალიზის უნარი, ასევე საზოგადოებრივი „ცნობადობა“ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი რომელიმე არც თუ მეტად მნიშვნელოვან, მაგრამ საკმაოდ გახმაურებულ ფაქტს შეეხება.

მაგ. კვირის პალიტრა-27-05-2014 ეხმაურება ნაცმოძრაობის ცნობილი წევრების ერთ-ერთ კაფეში ცემის ფაქტს. საინტერესოა ამ თემაზე მწერალ ირაკლი კაკაბაძის კომენტარი: – უიმევეე, როგორ ჭიქის თავში ჩარტყმა აკადრეს ზურას?! თუ გაქვთ ინფორმაცია, ნამდვილად ჩაის ჭიქა ჩაარტყეს თუ რომელიმე ორგანო?! თქვენ როგორ ფიქრობთ, ჭიაბერაშვილი ხელის დარტყმას იმსახურებს თუ რამე სხვა ორგანოს?

– ჩემი აზრი ნაკლებად საინტერესოა მკითხველისათვის...

– მე ამ ფაქტზე ძალიან მოკლე კომენტარს გავაკეთებ: უიმევეეე, ვაიმევეეე. ლადარია და ჭიაბერაშვილი რაც უფრო ხშირად იტყვიან უიმეს და ვაიმეს, უფრო მალე გამოჯანმრთელდებიან. ამ ორი სიტყვით ამოვწურავ ჩემს შეშფოთებას ამ ფაქტზე. განსაკუთრებით ლადარიაზე მექნება ასეთი რეაქცია: უი – მვეეეეეეე“.

ასევე საინტერესოა ჯანდაცვის მინისტრის კომენტარი, როდესაც საკითხი შეეხებოდა სასჯელალსრულების დეპარტამენტში გაცემულ მაღალ პრემიებს.

„კვირის პალიტრა“ 16 -05– 2014 სახელმწიფო უწყებებში პრემიების სისტემა უნიფიცირდება. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ სასჯელალსრულების დეპარტამენტში გაცემული მაღალი პრემიების კომენტარებისას განაცხადა. „პრემიებთან მიმართებაში უკვე დაწყებულია მუშაობა, მაგრამ არა ამ შემთხვევის გამო. ვმუშაობთ, რომ შემოღებულ იქნას უნიფიცირებული პრემი-

ების სისტემა, სადაც ჩადებული იქნება ლოგიკა – მაქსიმალური ზედა ზღვარი. იმედი მაქვს, რომ ამ პროცედურას უკვე მალე მივიღებთ. ეს იქნება იმის ანალოგი, რაც იყო ადრე, ავტომატების შემთხვევაში“, – განაცხადა სერგეენკომ და იმედი გამოთქვა, რომ პრემიების გაცემის მოქმედი სისტემა მალე დასრულდება.

ამ პატარა კომენტარში სერგეენკო ცდილობს დაიცვას ობიექტურობა, იყოს საქმიანი, კომპეტენტური, ამავდროულად სამართლიანი, ასევე მიუკერძოებელი, რადგანაც კარგად ესმის, რომ მისი მხრიდან რომელიმე მიმართულებით მიკერძოება მორიგი დისბალანსის, აჟიოტაჟისა და მითქმა-მოთქმის საბაზი გახდება. კომენტარში ჟურნალისტი ცდილობს საზოგადოებას აჩვენოს სხვადასხვა კომპეტენტურ პირთა ნააზრევი კონკრეტულ საკითხებზე. ასეთი დამოკიდებულება ამყარებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებას და ხელს უწყობს მისი სასურველი მიმართულებით წარმართვას.

### **ლიტერატურა:**

1. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი
2. კვირის პალიტრა-27-05-2014
3. „კვირის პალიტრა“ 16 -05– 2014

### **ინტერვიუ დიალოგი**

ინტერვიუ დიალოგის ფორმა, სახელწოდებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ორი ან რამოდენიმე სუბიექტის საუბარს გულისხმობს. დიალოგის წარმატებულად წარმართვა ორთავე სუბიექტის – ინტერვიუერისა და რესპონდენტის მომზადებაზე და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. თუ ჟურნალისტი მომზადებულია და კარგად ერკვევა იმ საკით-

ხში, რაც მოცემულ შემთხვევაში მას ყველაზე მეტად აინტერესებს, რესპონდენტი მასთან საუბარში თავს ადვილად ვერ დაიძვრენს და იოლად ფონს ვერ გავა. ამიტომაც ასეთ შემთხვევებში, ყოველი რესპონდენტი წინდანინ ეცნობა ჟურნალისტის ინტერესის საგანს და ცდილობს სათანადოდ შეაფასოს ჟურნალისტის პროფესიული შესაძლებლობა და სათანადოდ ემზადება კიდევ ინტერვიუსათვის. ჟურნალისტს ასევე კარგად უნდა ახსოვდეს, რომ რესპონდენტი ასევე ცდილობს გაიგოს თითოეული ჟურნალისტის კითხვების დასმის ტექნოლოგია, პირადი განწყობა, ხასიათი და თვისებებიც კი, რათა მან მოახერხოს ინტერვიუს თავის „სასარგებლოდ“ წარმართვა. ჟურნალისტი ასევე კარგად უნდა იცნობდეს ინფორმაციის იმ ოფიციალურ თუ ანონიმურ წყაროებს (ამგვარ დეტალებზე, შესაძლოა, ნაკლებად იყოს ინფორმირებული საზოგადოება, მაგრამ მისთვის ასეთი წყაროები ადვილად უნდა იშიფრებოდეს), რომლებსაც ის დაეყრდნობა. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, თუ რა ტიპის შეკითხვები შეიძლება დაუსვას რესპონდენტს და რა მიმართულებიდან უნდა ელოდოს კონტრშეკითხვებს. თუ ჟურნალისტი რესპონდენტისგან რაიმე პროვოკაციას ელის, შესაძლებელია ინტერვიუსათვის შეკითხვები წინასწარ წერილობით მიანვდინოთ და ზოგ შემთხვევაში, პასუხებიც წერილობით მიიღოთ. თუმცა, გაცილებით ცოცხალი ინტერვიუ დილოგის შედეგად მიიღწევა. თუ ჟურნალისტი სუსტი ინტერვიუერია, ეს მომენტი შესაძლოა რესპონდენტის სასარგებლოდ იქნას გამოყენებული და შეკითხვებზე პასუხები იმ მიმართულებით გაიცეს, რომელიც რესპონდენტისათვის იქნება ერთგვარად მომგებიანი. გარდა შეკითხვებზე პასუხების გაცემისა, ამ დროს შესაძლოა ის ინფორმაციაც, ან მესიჯიც „გამოსტყუოთ“, რომლის ტირაჟირება ჟურნალისტის ინტერესშია. ასეთ შემთხვევებში ინტერვიუს ჟურნალისტი მართავს, როგორც წესი, და არა – თავად რესპონდენტი. ჟურნალისტს არასოდეს უნდა დაავინყდეს ის, რომ ინტერვიუსთვის

სასურველი მიმართულების მიცემა მაშინაც კი შეუძლია, როცა რესპონდენტი ცდილობს გაექცეს დასმულ კითხვას და კონტრშეკითხვების დასმის ტექნოლოგიის გამოყენებით საუბარი სხვა თემაზე გადაიტანოს.

ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით „თითქმის 2000 წლის წინათ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა შექმნეს ადამიანის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმა – დიალოგი, იმ მიზნით, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, იოლად მოეძებნათ სიმართლის მიღწევის საუკეთესო გზები. დიალოგი ათენის საზოგადოებისათვის ურთიერთობის საუკეთესო ფორმა გახდა. ურთიერთობის ამ ფორმამ ხელი შეუწყო პირველი დემოკრატიის განვითარებას. კერძოდ, მთავრობა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრისას, ხელმძღვანელობდა დიალოგის გზით მიღწეული შედეგებით. დიალოგის საშუალებით გადანყვეტილების მიღება ბევრი კულტურისათვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, საქართველოში ამის მაგალითს ე.წ. „ხევისბერის ინსტიტუტი“ წარმოადგენდა. ხევისბერი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს თემის წინაშე წარადგენდა, იმართებოდა დიალოგი და ამის შემდეგ იღებდნენ გადანყვეტილებას. ამერიკის რევოლუციის წინა პერიოდში არსებობდა „ქალაქის შეკრებების“ ტრადიცია, სადაც იხილავდნენ პრობლემებს, მართავდნენ დიალოგს ალტერნატიულ საკითხებზე და იღებდნენ გადანყვეტილებას.“ საბიბლიოთეკო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი ლიტერატურული ნაწარმოები ან მისი ნაწილი, რომელიც დაწერილია საუბრის ფორმით; საგაზეთო-საჟურნალო ჟანრი. ჩვენ გვანტერესებს დიალოგი, როგორც საგაზეთო-საჟურნალო ჟანრი და ამიტომაც მაგალითები შესაბამისად ქართული გაზეთებიდან მოგვყავს: 05-05-2013 „კვირის პალიტრა“, მანანა გაბრიჭიძის პუბლიკაციიდან „მსურს, ახალი ხელისუფლება ადამიანის უფლებებს

იცავდეს“. „ცნობილი ქართველი მსახიობი – რეზო ჩხიკვიშვილი გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. იგი ქალაქ ესენის დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობია... ბატონ რეზოს სამშობლოს ნოსტალგია განსაკუთრებით აწუხებს და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს...

– ხანდახან მართლა სიზმარში მგონია თავი. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გუშინ ჩამოვედი, არადა, გერმანიაში `სტუმრობა“ 19 წელი გამიგრძელდა... ეს შეგრძნება სულ მაქვს, მაგრამ სამწუხაროდ დრო ძალიან მალე გარბის. ჩემთვის რაც ბოლო წლებში დადებითი მოხდა, ის არის, რომ ქართველებით შეივსო ქალაქები. აქ ქართული სკოლაა, ეკლესიაა... გვაქვს საშუალება, ჩვენი სულიერება და თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ. დიდი მონატრება, რაც სამშობლოს მიმართ მქონდა, ცოტა შემინელდა, რადგან დღე არ გავა, ქართველი არ ვნახო, ან ქართველმა არ დამირეკოს... თქვენი დარეკვაც იმიტომ არ გამკვირვებია.

– საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა... როგორ აფასებთ მიმდინარე მოვლენებს? – მე ვფიქრობ, რომ თეატრალი ვარ, რომელსაც სამშობლო უყვარს, მაგრამ პოლიტიკაში არ ვერევი... თუმცა, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ საქართველოს მომავალს იმედის თვალთ ვუყურებ... მინდა მჯეროდეს, რომ რაც კარგი გაკეთდა წინა ხელისუფლების დროს, ის უნდა გაგრძელდეს და რაც გამოსასწორებელია, უნდა გამოსწორდეს. მჯერა, ჩემი ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგება.

– კონკრეტულად რას მიიჩნევთ სიკეთედ, რაც წინა ხელისუფლების დროს გაკეთდა? – წინა ხელისუფლების დროს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმაზე კარგი მესმოდა. ჩანყობები აღარ იყო. ბინის გაყიდვასა

თუ გადაფორმებაზე არსებული ბიუროკრატიული წინააღმდეგობები გაადვილდა, ინფრასტრუქტურაშიც იყო ძვრები, პოლიციაც გამოსწორდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ყველაფრით კმაყოფილი ვიყავი.

– ძვირად ღირებული კონცერტები მოგწონდათ?

– არა, რასაკვირველია. ამას ვერაფრით მოვიწონებდი. ნამდვილად გადაჭარბებული იყო. საქართველოს ბიუჯეტიდან იმდენი ფულის გადახდა მომღერლების ჩამოსაყვანად არ შეიძლებოდა. საქართველოში იმხელა ნიჭიერებაა, ეს მომღერლები არავის გვაკვირვებს. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მე ევროპაში ვცხოვრობ და ბევრ რამეს ვხედავ, უბრალოდ ძალიან მიკვირს, საიდან გვაქვს ამხელა ნიჭი. ამ ნიჭიერებას რომ გასაქანი მიეცეს, მთელ მსოფლიოს გადავფარავთ...

– გამოსასწორებელი რა არის წინა ხელისუფლების მმართველობიდან? – ადამიანის უფლებების დაცვა, ბიზნესი, ეკონომიკა უნდა გამოსწორდეს. რა თქმა უნდა, სასამართლო სფერო უნდა გაუმჯობესდეს. ამისთვის კი ვფიქრობ, პროფესიონალთა გუნდი უნდა ჰყავდეს ბატონ ბიძინას.

– რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით რას იტყვით... ქართველ ხელოვანთა ნაწილი ფიქრობს, რომ ხელოვნება ურთიერთობას დაათბობს...

– – მიჭირს ამის თქმა, მაგრამ კულტურა არ უნდა იყოს პოლიტიკასთან დაკავშირებული. კულტურა ადამიანებს აკავშირებს ერთმანეთთან. მე კულტურამ ჩამომიყვანა საზღვარგარეთ... მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ოკუპანტია და დაპყრობილი აქვს ჩვენი ტერიტორიების ნაწილი, მაინც უნდა შევეცადოთ, რუსეთთან დიალოგი გვქონდეს. დიპლომატიური ენა ჩემთვის ყველაზე მისაღებია. კულტურა და პოლიტიკა აბსოლუტურად გამიჯნული უნდა იყოს ერთმანე-

თისგან. – აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა სოჭის ოლიმპიადაში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობასაც... ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ოლიმპიადა პუტინის პირადი ამბიციას...

– მსოფლიო ოლიმპიადაზე რუსეთს ხომ არ ვეჯიბრებით?! ჩვენ ჩვენს შესაძლებლობებს მსოფლიოს ვაჩვენებთ. როგორც მოგახსენეთ, დიპლომატიური ენა, სპორტი, კულტურა აბსოლუტურად გამიჯნული უნდა იყოს პოლიტიკისგან. ხელოვანებისა და სპორტსმენების წასვლა ტრაგედია ნამდვილად არ არის, პირიქით. არ მგონია, რუსი ხალხი ისე ფიქრობდეს, როგორც პუტინი. რუსეთს უყვარს ჩვენი კულტურა, ისევე, როგორც ჩვენ გვიყვარს რუსული. რუსი ერი არ არის დამპყრობელი და ოკუპანტი. დამპყრობელია რუსეთის მთავრობა, ვლადიმერ პუტინი და მისი პოლიტიკა... ხალხმა რა დააშავა, ან ჩვენ რა დავაშავეთ, ან აფხაზეთმა რა დააშავა ჩვენთან?! ეს არის ცუდი პოლიტიკის ბრალი. ჩემი აზრით, ჩვენი ხელოვნებით დავანახვებთ მათ, რომ არ ვართ ომის მომხრე, პირიქით, მეგობრობა, სიყვარული და სიამტკებობა გვსურს. შეიძლება ამ დროს კულტურამაც კი პოლიტიკური მნიშვნელობის გავლენა მოახდინოს.

– ჯერ ცოტა დრო გავიდა, მაგრამ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან რა მოგწონთ?

– ნამდვილად ნაადრევია ამაზე მსჯელობა. რა თქმა უნდა, არავის წინააღმდეგი ვარ და ყველაფერ ახალს მივესალმები. ყველა ხელისუფლების მმართველობისას ვამბობ, რომ ჯერ კარგი დავინახოთ და შემდეგ ცუდი. ვხედავდით, რომ საქართველო გახლეჩილი იყო ორი პოლიტიკური ძალის დაპირისპირებით და ეს უნდა დასრულდეს. ყველაზე მეტად მსურს, ახალი ხელისუფლება ადამიანის უფლებებს იცავდეს, რაც წინა ხელისუფლების დროს არ შეიმჩნეოდა. მე მჯერა,

რომ ჩემი ქვეყანა აღმავლობისკენ წავა, მთავარია მოთმინება, ყველაფერი ერთ ნუთში ვერ შეიცვლება. საქართველო არ არის ისეთი ძლიერი ქვეყანა, რომ იმ პოლიტიკით და იმ რესურსებით, რაც გააჩნია, უცებ ფეხზე წამოდგეს“...

### **ლიტერატურა:**

1. ენციკლოპედიური ლექსიკონი
2. საბიბლიოთეკო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი
3. 05-05-2013 „კვირის პალიტრა“

### **ინტერვიუ მონოლოგი**

ინტერვიუ მონოლოგი ერთ-ერთი საინტერესო და გამორჩეული ფორმაა ინტერვიუს სხვა სახეებს შორის და მას მხოლოდ რესპონდენტი წარმართავს ჟურნალისტის მიერ დასმული ერთი კონკრეტული საკითხის ირგვლივ. საკითხი, რომლითაც ჟურნალისტი ინტერესდება, მართალია ზოგადად ერთ კითხვას მოიცავს, მაგრამ შინაარსითა და მნიშვნელობით ცოტათი ერთგვარად დატვირთულია და მრავალი შესაძლო სხვა საინტერესო კითხვების ქვეტექსტებისაგანაც შედგება. ამდენად ინტერვიუ მონოლოგი ხანდახან კომენტარსაც წააგავს, თუმცა, კომენტარისგან განსხვავებით, ის უფრო ვრცელია, მასშტაბური და ყოვლისმომცველი. საკითხის ირგვლივ ამომწურავ პასუხს იძლევა და ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, როდესაც პასუხი ნათელი, საინტერესო და დამაჯერებელია. მართალია ასეთ დროს წყაროების მოშველიებით რესპონდენტი „თავს არ ინუხებს“, მაგრამ მონოლოგის მთავარი ნიშა – მაქსიმალური გულწრფელობა და გულახდილობა, – ის სურნელია, როდესაც მონოლოგის ფორმა ინტერვიუს ჟანრში მიმზიდველ სახეს იძენს და აუდიტორია



პოზიტიურად განეწყობა კიდეც შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისას. როგორია მისი წარმართვის ფორმა და შინაარსი? ძალზე მარტივი: მონოლოგის ფორმა გამორიცხავს ჟურნალისტიკის აქტიურ ჩარევას ინტერვიუს პროცესში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი წესრიგშია და რესპონდენტს რაც მოესურვება, იმას ილაპარაკებს. ჟურნალისტიკის მთავარი მიზანია მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მკითველმა წაიკითხოს, ხოლო მაცურებელმა მოისმინოს და ნახოს ის, რაზეც კონკრეტულ შემთხვევაში რესპონდენტი საუბრობს. აქედან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინოთ ინტერვიუ მონოლოგი მკითხველსა და მაცურებელზე და ისეთ თემას შეეხებოდეს, რომლისადმი ინტერესი საზოგადოების მხრიდან ნამდვილად არსებობს და ელოდება კიდეც საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ თემაზე ცნობილი და საქმეში ჩახედული ადამიანისაგან კომპეტენტურ აზრს-ახსნილს უბრალო, გასაგებ ენაზე, არა მტკიცებით ფორმაში, არამედ დინჯი, თავისუფალი, ნათელი, გულწრფელი საუბრითა და დამაჯერებელი ტონით. საუბრის გადმოცემის ასეთმა ფორმამ საზოგადოების ინტერესის მიპყრობა უნდა შეძლოს. ამ შემთხვევაში პრობლემებისთვის გვერდის ავლა გამოსავალი ნამდვილად არ არის. პირიქით, მონოლოგმა თავად უნდა შეითავსოს ჟურნალისტიკის ფუნქცია და საუბარში რესპონდენტს უნდა მიეცეს საშუალება კითხვის, ან კონტრარგუმენტის სახით თვითონ წამოჭრას ის აქტუალური საკითხები, რომელიც ძირითად სათქმელს უკავშირდება და საზოგადოებაში მუსირებს. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით 1. მონოლოგი დიალოგის საპირისპირო ფორმაა. მონოლოგის არსი ის არის, რომ ერთი პიროვნება (პედაგოგი, მომხსენებელი) ხანგრძლივად საუბრობს საკითხზე, ხოლო მსმენელი (მოსწავლე) არის ინფორმაციის პასიური მიმღები. მომხსენებელი შეიძლება იყენებდეს თვალსაჩინოებას და სხვა დამატებით მასალას, მაგრამ არ ცდილობდეს მსმენელის აქტიურ ჩართვას ინფორმაციის გადაცემის პროცესში. 2. monologos, monos ერთი +

logos სიტყვა. ვრცელი სიტყვა, რომლითაც პირი მიმართავს თავის თავს ან მსმენელებს (მაყურებელს)(7-1). უცხო სიტყვათა ლექსიკონი კი მონოლოგს ასე განმარტავს: „ვრცელი სიტყვა, რომლითაც დრამატული ნაწარმოების (აგრეთვე სხვა ლიტერატურული ნაწარმოების) პერსონაჟი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებელს“(8-1).

29-04-2013, გაზეთი „კვირის პალიტრა“, ზვიად სეხნიაშვილის პუბლიკაციიდან „დამიგდეთ ყური, ბაბუა, უყურეთ ღმერთსა, რა უყოს მტერსა!..“

„მასზე ლეგენდები დადიოდა. მან ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც პირჯვრის გადაწერაც კი დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა, იტვირთა პილიგრიმოზა და 37-ჯერ ჩამოვიდა ქუთაისიდან თბილისში ფეხით. „სადაც დამილამდებოდა, იქ წამოვწვებოდი, ბაბუა, არ მეშინოდა არაფრის, არც ფული მქონდა და არც ვალი. დავდიოდი ასე და ვქადაგებდი უფლის სიტყვასო..“.

მისი გამონათქვამები ხალხში ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა და მონამეთაში, სადაც მამა გიორგი მოღვაწეობდა, არ ილევოდა მასთან მიმსვლელი არასდროს. რას აღარ სთხოვდნენ, გამოჯანმრთელებას, შეწვენას, გასაჭირიდან დახსნას თუ მათი სულებისთვის ლოცვას... ის ყველას ღირსეულად იღებდა და ისტუმრებდა. მისი ღირსების ხაზგასმული დასტური კი ის იყო, რომ თვით ავი განზრახვით მასთან მისული ადამიანებიც კი იმედცემულნი ბრუნდებდნენ, სინანულით სავსენი, რომ ამ საოცარ მოძღვარს აქამდე არ იცნობდნენ...

მას გიორგი ერქვა, მამა გიორგი (ბასილაძე) ყველას იმედი და ჭირის მოზიარე, რომელმაც გასულ კვირას დაასრულა მინიერი სიცოცხლე და ზეციურ საქართველოში მიეახლა სულკურთხეულ წინაპრებს, როგორც ღირსეული და

ვალმოხდელი სულიერი მამა, აღსრულების შემდეგაც რომ არასოდეს მიატოვებს თავის შვილებს და სამშობლოს. პირველად ამ ხუთიოდე წლის წინ გავიცანი მამა გიორგი. უცხოეთიდან გზავნილის მიტანა მთხოვეს მასთან და სახლში ვესტუმრე. დღესაც მახსოვს ის მღელვარება, როდესაც მისი სახლის კარი შევაღე სოფელ ჭოგნარში. იჯდა ღუმელთან, ლამპით მკრთალად განათებულ ოთახში, მაგრამ თავად ანათებდა კაცი(!). ძალაუნებურად დავიჩოქე და ხელზე მთხვევა დავაპირე. თვალები გადამიბრიალა: – ადექი ზეზე, რას კადრულობ, თუ იციო... მერე საოცრად თბილად გამიღიმა და მითხრა: – მოდი ქიზიყელო, თითო ჭიქა ავნიოთ და იმ საქართველოს სადღეგრძელო დავლიოთ, მე და შენ რომ გვინდაო...

მას შემდეგ, თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, ჭოგნარის გადასახვევთან ჩამევლო და მამა გიორგი არ მომენახულებინა. ის არასოდეს საუბრობდა მაღალფარდოვანი ტირადებით ანდა მეცნიერული ლექსიკით. ის მუდამ გესაუბრებოდა „შენს ენაზე“, უბრალოდ და გასაგებად, მაგრამ იმავდროულად, აუცილებლად მიგქონდა განცდა, რომ ბრძენს ესაუბრებოდი. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, მისი საუბრის დეტალები გამხსენებია თვეების შემდეგ, ზუსტად იქ და იმ ვითარებაში, როდესაც დილემის წინაშე ვმდგარვარ და ერთადერთი სწორი გზა მომიძებნია მამა გიორგის მეშვეობით... არასოდეს გამოგიშვებდა ისე, რომ არ გეტრაპეზა. თავად სულ ოდნავ მოიცვიცქნიდა მჭადს და მოსვამდა ღვინოს, შენიკი სამ ჭიქას აუცილებლად დაგაღვინებდა. გათქმევინებდა უფლის სადიდებელს, დაგალოცინებდა დედაეკლესიას ჩვენი უწმინდესი პატრიარქის წინამძღოლობით და სამშობლოს სადღეგრძელოსაც შეგასმევდა. ნამოსვლისას, აუცილებლად გამოგატანდა პურსა და ღვინოს. თითქოს ნაზიარები მოდიოდი მისგან, განწმენდილი და იმედით სავსე...

მის სასწაულებზე ბევრი ლაპარაკობს. თავად არ უყვარდა ამაზე საუბარი, თუმცა თავადაც არაერთხელ შევსწრებივარ და საკუთარ თავზე გამომიცდია მამა გიორგის მადლი. ერთხელ სტუდია „გუთანის“ ბიჭები ზუგდიდში მივდიოდით ჩვენი ფილმის პრეზენტაციაზე. გზად შევუარეთ მამა გიორგის. თავის სენაკში გვიხმო, სანოლში იწვა. ჩამოვსხედით და ჩვეულებისამებრ დაგვმოძღვრა. საუბარი ისეთი იცოდა, ვერ მოსწყდებოდი ვერაფრით. საათზე რომ დავინწყეთ ყურება, გვითხრა: – ვიცი, ბაბუა, ზუგდიდში მიდიხართ, მარა მეიცადეთ პატარა ხანს, სად გეჩქარებათ, გზაზე შეფერხება გელით და ჩემთან საუბარი არ გირჩენიათო?.. მაინც არ დავიშაღეთ, დავემშვიდობეთ და ფეხი ავიჩქარეთ, მაგრამ სად წახვალ, არ იქოქება მანამდე იდეალურად მომუშავე მანქანა. გამობრძანდა მამა გიორგი ჭიშკარში, გადმოგვხედა და ღიმილით გვკითხა: – რაო ბაბუა, არ იქოქება ეგ მანქანა ხომ?.. რომ გამეიქეციო, რავა, არ იცოდით, რომ არ გაგიშვებდით უპურ-მარილოდო?.. დაუძახა ბავშვებს, მოარბენინეს ხელად ღვინო და პური, ჩავგინყეს საბარგულში. გაგვაფრთხილა: – სანამ სახლში არ ჩახვალთ, არ დალიოთ ეს ღვინო, მერე გადაგვსახა ჯვარი და დაიქოქა მანქანაც(!)... ვიდრე დავიძვრებოდით, მაინც გვითხრა ღიმილით: – გაჩერებულიყავით კიდევ პატარა ხანს, მაინც ნელა მოგიწევთ სიარულიო და მშვიდობის გზა გვისურვა. ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც მისი ნათქვამი აგვიხდა გზაზეც და ღვინოზეც. ჯერ იყო და ქუთაისის გზაზე რაღაც ველორბოლა ტარდებოდა და მათ ვდიეთ კუს ნაბიჯებით, მერე კი უკვე ზუგდიდიდან მობრუნებულებმა, რიკოთზე წახემსება და მამა გიორგის ღვინის დაჭაშნიკება მოვინდომეთ, მაგრამ ვაი, ამისთანა დაჭაშნიკებას, ისეთი ძმარი აღმოჩნდა, ყვავს დააჩხავლებდა. ჩავასხით უკანვე და გავაგრძელეთ გზა. სახლში მისულებმა ხელახლა გავსინჯეთ ის ღვინო და დიდება შენდა უფალო, რა ძმარი, რის ძმარი, ნაღდი ღვი-

ნო არ დაგვხვდა(!)..

კიდევ არაერთი მსგავსი შემთხვევა შეგვიძლია გავიხსენოთ, თუმცა ახლა ყველაზე მეტად მამა გიორგის საოცარი სიტყვები მახსენდება საქართველოზე, რომელმაც სწორედ მაშინ აავსო ჩვენი გულები იმედიითა და სიყვარულით, როდესაც თითქმის აღარ ჩანდა ხსნა:

– დამიგდეთ ყური, ბაბუა! საქართველოს გადარჩენისა და გაერთიანების გასაღებს ტყუილად დაეძებს ბევრი ამერიკაში და ბევრიც რუსეთში, ეს გასაღები აქვია, საქართველოში და თითოეულ ქართველში... ჩვენ საზეპურო ერი ვართ, საქართველო ქრისტეს ქვეყანაა და ქრისტე არ დათმობს მას. ღმერთი მსოფლიოს დაანახებს ქართველების ნამდვილ სახეს და ეს მალე იქნება. საქართველო წმინდანთა სამჭედლოა, ბაბუა და ჩვენ დამხოზა არ გვინერია... საქართველო ყველა დაკარგულ მიწა-წყალს დაიბრუნებს, დაიმახსოვრეთ ეს! უყურეთ ღმერთსა, რა უყოს მტერსა!..“

### **ლიტერატურა:**

1. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. – [თბ., 2008].
2. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989
3. 29-04-2013, გაზეთი „კვირის პალიტრა“

## **ინტერვიუ დისკუსია**

ინტერვიუ დისკუსია ურთიერთობის ძალზე საინტერესო ფორმა, უფრო ზუსტად კი ურთიერთობის განსაკუთრებული ხელოვნებაა, ერთგვარი „ოქროს წესი“, როდესაც გესმის რაზე და როგორ ილაპარაკო, იმსჯელო, გადმოსცე და დაასაბუთო,

იმეტყველო და იაზროვნო ისე, რომ შექმნა განწყობა, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს აუდიტორიის აზრს შენს შეხედულებებთან. დისკუსიას მსჯელობასაც უწოდებენ. „მოხელის სამაგიდო ლექსიკონის“ მიხედვით „discussio განხილვა, გამოკვლევა შეკრებაზე, საუბარში, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით რაიმე საკითხის შესახებ განხილვა, კამათია. ხოლო განმარტებითი ლექსიკონი, კი დისკუსიას ასე განმარტავს: „ნამყვანსა და მსმენელებს შორის ცოდნის, შეხედულებებისა და იდეების სიტყვიერი გაცვლის პროცესი. დისკუსიას მსჯელობასაც უწოდებენ. საკლასო დისკუსია ეხმარება მოსწავლეებს საკითხის ღრმა და დეტალურ განხილვაში. კერძოდ, საკლასო დისკუსიის დროს იქმნება ისეთი ატმოსფერო, რომელშიც მოსწავლეებს შეუძლიათ აზრების ურთიერთგაზიარება, ახალი იდეების გამოთქმა, სხვისი აზრების მოსმენა და გაგება, კომუნიკაციის და თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. დისკუსიის წარმართვა მოითხოვს როგორც დისკუსიის ნამყვანის, ასევე მისი მონაწილეებისაგან (1) კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, (2) მოცემული საკითხის ცოდნას, (3) ლიდერობის და კოორდინაციის შესაძლებლობას, (4) აზრების ურთიერთგაცვლას, (5) ჯგუფის, როგორც მთლიანის, გათვალისწინებას და, შესაბამისად, საჭიროებს საფუძვლიან მომზადებას. საკლასო დისკუსიის მომზადებისას მასწავლებელმა შესაბამისად უნდა შეარჩიოს დისკუსიის კონკრეტული თემა/საკითხი, რომელიც განსხვავებული მოსაზრებების განვითარების საშუალებას იძლევა. ასევე, მასწავლებელმა საკლასო დისკუსიისთვის უნდა შეარჩიოს შესაბამისი ფორმა (მაგ. მოსწავლის პრეზენტაციას მოჰყვება ჯგუფური დისკუსია; მოსწავლეებს მიცემული აქვთ წასაკითხი მასალა და ამას მოჰყვება შემაჯამებელი პრეზენტაცია და კლასის დისკუსია) და ფიზიკური გარემო (მაგ. წრეში ჯდომა დისკუსიის თითოეულ მონაწილეს შესაძლებლობას აძლევს, უფრო ადვილად დაამყაროს კომუნიკაცია; დიდი ჯგუ-

ფები შეიძლება დაიყოს უფრო პატარა ჯგუფებად და ა. შ.); დისკუსიის მიმდინარეობის დროს მასწავლებელმა უნდა გააკეთოს შემდეგი: 1. დისკუსიის ფასილიტაციისათვის შესაბამისი საკლასო გარემოს შექმნა:

- დისკუსიის წესების ჩამოყალიბება (აზრის გამოთქმის წესები და ა.შ.)

- ძირითადი თემების და ტერმინების ზოგადი მიმოხილვა;

- დისკუსიასთან დაკავშირებული მოლოდინების გამოთქმა;

- დისკუსიისთვის საკმარისი დროის გამოყოფა.

2. მონაწილეობის წახალისება/ხელშეწყობა:

- მოსწავლეების დასაინტერესებლად მასტიმულირებელი შეკითხვების დასმა;

- მოთხოვნა, რომ მოსწავლეებმა მუდმივად შეაჯამონ განხილული საკითხები;

- კითხვების მომზადება და მოსწავლეებისთვის გარკვეული დროის მიცემა, რათა მათ წინასწარ მოამზადონ პასუხები და შემდეგ მთელ კლასს წარუდგინონ.

3. დისკუსიის წარმართვა და დასკვნების შეჯამება:

- მოსწავლეების წახალისება, რათა მათ გამოთქვან თავიანთი იდეების გამამყარებელი არგუმენტები;

- ჩუმი/მორცხვი მოსწავლისათვის სპეციფიკური დავალების მიცემა, რაც ხელს შეუწყობს მის მონაწილეობას, ჩართვას დისკუსიაში;

- ისეთი მოსწავლის შეზღუდვა, რომელიც სხვას არ აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას;

- განხილული საკითხების შეჯამება და ძირითადი აზრების ჩამოყალიბება; მოსწავლეების იდეების განმარტება და მოსწავლეებისაგან დამატებითი კომენტარების მოთხოვნა (1-1).. მედია დისკუსია (საგაზეთო, სამაუწყებლო) ეხმარება სა-

ზოგადობას საკითხის ღრმა და დეტალურ განხილვაში. კერძოდ, კონკრეტული, მნიშვნელოვანი, მტკიცებულებები, საინტერესო დისკუსიის დროს იქმნება ისეთი ატმოსფერო, რომელშიც საზოგადოების ფართო წრეებისათვის ცნობილ ადამიანებს, დარგის სპეციალისტებს, ექსპერტებს ან უბრალოდ დაინტერესებულ ან სულაც საქმეში მონაწილე პირებს შეუძლიათ პირადი შეხედულებებისა და აზრების (თუნდაც განსხვავებულის) ურთიერთგაზიარება, ახალი იდეების გამოთქმა. ასეთ შემთხვევაში არა მხოლოდ ჟურნალისტს, არამედ რესპონდენტებსაც მოეთხოვებათ სხვისი აზრების მოსმენისა და გაგების, კომუნიკაციის და თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების ფლობა და გამოყენება. დისკუსიის წარმართვა მოითხოვს როგორც დისკუსიის წამყვანის, ასევე მისი მონაწილეებისაგან შესაბამის კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, განსხვავებული შეხედულებების მოსმენისა და პატივისცემის შესაძლებლობას, სადისკუსიო საკითხის ცოდნას, აზრების ურთიერთგაცვლას, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას და, შესაბამისად, საჭიროებს საფუძვლიან მომზადებას. ამიტომაც პირველ რიგში ამ შემთხვევაში ჟურნალისტს მოეთხოვება მაღალი პროფესიონალიზმი, განსახილველი-სადისკუსიო საკითხის ზედმინვნით კარგად ფლობა, საფუძვლიანად ერკვეოდეს დებატებისა და პოლემიკის ხელოვნებაში, რადგანაც არაა გამორიცხული სადისკუსიო საკითხზე მსჯელობისას სრულიად განსხვავებული მიმართულებით გადასვლა ანუ თემიდან გადახვევა, რომელსაც ხანდახან შეგნებულად მიმართავენ ხოლმე დისკუსიაში მონაწილე პირები, ან სულაც დასაშვებია, რომ წამყვანის ფუნქცია იტვირთოს რომელიმე მონაწილე მხარემ. ჟურნალისტი ვალდებულია სადისკუსიო საკითხზე მსჯელობისას არ მისცეს საშუალება რომელიმე მონაწილეს ხელში ჩაიგდოს წამყვანის ფუნქციები, იტვირთოს გადაცემის წამყვანის პასუხისმგებლობა და მისთვის სასურველი მიმართულებით მართოს სიტუაცია. მოსმენის კულტურასა და ხელოვნებას დისკუსიის დროს გადამწყვე-



ტი მნიშვნელობა ენიჭება. აზრის ცხადად დაფიქსირების, ყოველგვარი მიხვეულობა-მოხვეული ფრაზების გარეშე, ნათლად და მარტივად გადმოცემული სათქმელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია და განმსაზღვრელი საზოგადოების განწყობის თქვენს სასარგებლოდ წარმართვისათვის.

დისკუსიაში რამოდენიმე სუბიექტის მონაწილეობა თავიდანვე მიანიშნებს ამ ფორმის სირთულეზე და ჟურნალისტის პირადი შესაძლებლობების აუცილებლობაზე – მართოს სიტუაცია და ხელიდან არ გაუშვას სადავეები. დისკუსიაში მონაწილე ადამიანების შეხედულებათა და აზრთა სხვადასხვაობა აუცილებლად წარმოშობს პოლემიკას, დაპირისპირებას, წინააღმდეგობას, რაც შესაძლოა მონაწილე პირებმა ერთმანეთის მიმართ უხამს ეპითეტებშიც გამოხატონ. ან თავად ჟურნალისტმა დასვას ისეთი კითხვა, რომელიც სწორედ მიმართული იქნება სხვადასხვა მოსაზრებათა საპირისპიროდ სწორედ საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად და სასარგებლოდ, რომელიც აიძულებს მონაწილეებს გასცენ ადეკვატური პასუხები. დისკუსიაში მონაწილე ყოველი პირი ყოველთვის ცდილობს აუდიტორიის წინაშე გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი და დემონსტრირება გააკეთოს თითქოს მან უფრო მეტი იცის და მას უფრო კარგად ესმის, ვინემ სხვა მონაწილეს. ასეთი „პიროვნული შეჯიბრი“ ფართო საზოგადოების წინაშე შესაძლოა ჟურნალისტურ „კეკლუცობაშიც“ გადაიზარდოს, ამიტომაც ჟურნალისტი ვალდებულია სიტუაციას კარგად აცნობიერებდეს, აკონტროლებდეს და ახერხებდეს დროულ რეაგირებას და შესაბამისი კონტრშეკითხვებით დისკუსიისა და საჯარო კამათის ხელოვნების მაღალი ოსტატობის გამოვლენით ამ ყველაფერს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად იყენებდეს. ამდენად ჟურნალისტის მიერ წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული მოპირისპირე მხარეთა პოტენციალი, დიალოგის წარმართვის შესაძლებლობები და ის არგუმენტები, რომლებზეც ისინი ძირითად ყურადღებას გაამახვილებენ. პოლემიკა შესაძლოა, თავად ჟურნალისტმა წარმართოს და ბუნებრი-

ვია, ის მიმართული იყოს ცალკეულ მონაწილე პირთა მოსაზრებების საპირისპირო კონტრარგუმენტების წარმოსაჩინად. ჟურნალისტს ასევე აქვს უფლება მოახდინოს აპელირება საზოგადოებრივი აზრისა და სხვა საჯარო პირთა მოსაზრებებზე, რაზედაც სავსებით შესაძლებელია მონაწილეთა მხრიდან ადეკვატური პასუხის მიღებისა. რამდენადაც დისკუსია ერთგვარი შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება, მასში მონაწილე ყოველი სუბიექტი თუ მეორეს დამარცხებას არა, ამ შეჯიბრიდან გამარჯვებული გამოსვლას მაინც ისახავს მიზნად. ჟურნალისტი უნდა შეეცადოს მის წინააღმდეგ წამოყენებული ყოველი კონტრარგუმენტი ოპონენტს შეუბრუნოს და ყოველი მათგანის პასუხი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გამოიყენოს.

14-05-2013 – გაზეთი „კვირის პალიტრა“, ლადო გოგოლადის პუბლიკაციიდან „ცემა-ტყევა ტრიუფელით ანუ როგორ და რატომ იგერიებდა სამი კაცი ოცს“

„მამუკა ბაკურიან – ნუ გადამაყოლეს ხიდაშელის მამიდაშვილობას... ჩემდა საუბედუროდ, თინა არის ჩემი მამიდაშვილი...“

ეგ ნაძირლები იმას რატომ არ ამბობენ, საყვარელიძე რომ ნავიდა და დედამისის კლინიკაში გადაიღო ტომოგრაფია?!

მანანა გიორგობიანი – 20 კაცს 3 ვიგერიებდით, მაგრები ვართ და იმიტომ, არც ერთი არ ვართ მინდვრის ყვავილი

გიორგი ვაშაძე – ჩვენი მიზანი არ ყოფილა ამ ხალხის ცემა, თორემ მართლა 4 ადამიანი ხომ არ გვცემდა 20 კაცს?!.

რამდენიმე დღის წინ რესტორან „ლა ტრუფე“-ში, „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წევრსა და რესტორანში მყოფ პირებს შორის ინციდენტი მოხდა, რის შედეგადაც დაშავდნენ პარლამენტის წევრები გიორგი ვაშაძე და დავით საყვარელიძე, აგრეთვე სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია. როგორც დაშავებულები ჰყვებიან, აგრესია მათთვის უცხო პირებისგან წამოვიდა, მიუხედავად მათი მცდელობისა, რომ აგრესია არ გადაზრდილიყო ჩხუბში, ეს მა-

ინც მოხდა და ისინი ამაში მამუკა ბაკურიასა და მასთან მყოფ სამ პიროვნებას ადანაშაულებენ. განსხვავებული ვერსია აქვს მეორე მხარეს. ჩვენ ამ ფაქტის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეებს *მამუკა ბაკურიას და მანანა გიორგობიანს* დაუვკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.

*მამუკა ბაკურია:* -რასაც ნაციონალები ამბობენ, სისულელეა. არ დავმაღავ, რომ ნამდვილად არ მეხატებიან გულზე, ისე, როგორც საქართველოს 90%-ს, მაგრამ მაგათ საცემად ნამდვილად არ წავსულვარ იქ. ჩემს მეგობრებთან ერთად ვიყავი, მათ შორის იყო ორი ქალბატონი (ერთი დედაჩემის მეგობრის შვილია და მეორე ჩემი ბავშვობის მეგობარია). ვიცი, რომ პოლიცია ქმედითუნარიანია, არ ჰგავს მხედრიონს და შევარდნაძის დროინდელ პოლიციას, ისიც ვიცი, რომ ასეთი ქმედება დასჯადია, ჰოდა, მე რომ დებოშის ატეხა მდომოდა, ამ ქალბატონებს რატომ დავპატიჟებდი და შარში რატომ გავხვევდი?! ჩხუბი რომ მდომოდა, სპორტული ფორმით წავიდოდი, კასტეტს ჩავიდებდი და საერთოდ მომზადებული ვიქნებოდი რა. აგრესია წამოვიდა მათი მხრიდან და დარწმუნებული ვარ, გამოძიება ყველაფერს გასცემს პასუხს.

– ბატონო მამუკა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ამბობენ, რომ იქ მოსულმა პოლიციამ იმიტომ არ დაგკითხათ, რომ თქვენ ქალბატონ თინა ხიდაშელის მამიდაშვილი ბრძანდებით.

– ნუ გადამაყოლეს თინას მამიდაშვილობას. არ მინდა ამის თქმა, მაგრამ მასთან ძალიან დაძაბული ურთიერთობა მაქვს. ჩემდა საუბედუროდ თინა არის ჩემი მამიდაშვილი. გოგოსთვის წელიწადზე მეტია გამარჯობა არ მითქვამს. ის რომ ჩემი მამიდაშვილია, მე რა შუაში ვარ?! ეგ ნაძირლები იმას რატომ არ ამბობენ, საყვარელიძე რომ წავიდა და დედამისის კლინიკაში გადაიღო ტომოგრაფია?! მაგათ მოსმენას აზრი არ აქვს.

მანანა გიორგობიანი: – ის, რასაც ისინი ამბობენ, არის სიცრუე. ჩვენგან არავითარი აგრესია არ ყოფილა. ნიკა მელია და მისი თანმხლები პირი, რამდენჯერმე მოვიდნენ ჩვენს მაგიდასთან, ისინი ცინიკურად და დამცინავად ექცეოდნენ ჩვენი სუფრი წევრებს. მე ეჭვი მაქვს, რომ მათ აღიზიანებდათ მამუკა ბაკურიას ფაქტორი, რადგან ის „ობიექტივის“ ჟურნალისტია. თანაც ძალიან აგდებულად მიმართავდნენ მას. მამუკამ უთხრა, ძალიან გთხოვთ, ფამილარულად ნუ იქცევით, ჩვენ ჩვენს მაგიდასთან დავრჩებით და თქვენ თქვენს მაგიდასთან დაბრუნდითო. ამაზე მათი მხრიდან წამოვიდა ლანძღვა-გინება, წამოხტნენ მათი სუფრის წევრები, შემოგვესივნენ, ერთმა მელიას ზურგს უკნიდან პირდაპირ ჩაარტყა ბეჭა მაზნიაშვილს (ბეჭას სახეზე ნაკერები ადევს), მეორე მე მეცა კისერში და დამარტყა მუშტი, მაგრამ მისდა გასაკვირად ვერ გამოთიშა, რადგან მე ფიზიკურად საკმაოდ კარგად ვარ მომზადებული. საბოლოო ჯამში ისე მოხდა, რომ 3 ადამიანი ვიგერიებდით 20 კაცს.

– გამოდის, რომ 2 მამაკაცი და ერთი ქალი იგერიებდა 20 ადამიანის აგრესიას? – დიახ, ვიგერიებდით. მაგრები ვართ და მოვახერხეთ. კარგად ვართ მომზადებულები და მაგიტომ. არც ერთი არ ვართ მინდვრის ყვავილი, ომიც გვაქვს ნანახი და ყველაფერი უბედურება. ჩვენ არა ვართ დღევანდელი კოლბაში გამოზრდილი თაობა, ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობიდან მოვდივართ. ჩხუბიც ვიცით და მუშტის მოქნევაც და ისიც, სხვისი მოქნეული როგორ ავიცილოთ, განსხვავებით სხვებისგან. სხვა რა გითხრათ, იმათ გააკეთონ სხვა შედარება, თუ იმათ არ რცხვენიათ, რომ 3-მა ადამიანმა 20 კაცი ცემა, მით უფრო ჩვენ არ გვრცხვენია.

– ქალბატონო მანანა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი თქვენგანი პოლიტპატიმარი იყო.

– მათ, როგორც სჩვევიათ, სიცრუის მანქანა აამოქმედეს.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ არც ერთი ჩვენგანი არაა პოლიტიკატიმარი, არასოდეს ვყოფილვართ ნასამართლავი, არც ერთი არ ვართ პარტიის წევრი, არც თანამდებობის პირი.

– როგორ ფიქრობთ, წინა ხელისუფლების დროს ასე იოლად გადარჩებოდით?

– წინა ხელისუფლება რომ ყოფილიყო, ისევე გაგვისწორდებოდნენ, როგორც გაუსწორდნენ გირგვლიანს. ახლა უკვე დახოცილები ვიქნებოდით. უბრალოდ, ახლა რომ სხვა ხელისუფლებაა, იმიტომაც გადავრჩით. პატრულმა იმუშავა არაჩვეულებრივად. ძალიან ოპერატიულად მოვიდნენ და ყველაფერი შესაბამისად გააკეთეს. სრული სურათის შესაქმნელად დავუკავშირდით ინციდენტში მონაწილე გიორგი ვაშაძეს, რომელსაც რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს.

გიორგი ვაშაძე: – მეღია ჩვენთან აპირებდა ამოსვლას, რადგან დათო საყვარელიძემ დაურეკა, გზაში ბექა მაზიაშვილმა გააჩერა. შემდეგ ზემოდან ჩვენ დავინახეთ, რომ ხელი ჰკრეს მას და შეხლა-შემოხლა დაინყო. ჩვენ ჩავედით და ვაშველებდით მათ. ბაკურიას და მის მეუღლეს...

– იქ ბაკურია მეგობარ ქალბატონებთან ერთად იყო.

– არ ვიცი, იქ იძახდა, ჩემი ცოლიაო. მოკლედ გეტყვით რა, ჩვენ სიტუაციის განმუხტვა გვინდოდა... პირადად მე ვცდილობდი, ბაკურიაც და ერთ-ერთი ქალბატონიც გამეყვანა, ამ დროს კი მოვიდა მესამე პიროვნება და თავში ჩამარტყა.

– როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობენ, ისინი ყოფილი პოლიტიკატიმრები იყვნენ, რასაც ჩვენთან საუბარში მამუკა ბაკურია და მანანა გიორგობიანი გამორიცხავენ...

– მე არ ვიცი, ამას ვინ ამბობს. პირადად მე ეს არ მითქვამს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ისინი ნასვამები იყვნენ და გამომწვევად იქცეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელი არავის-

თვის დამირტყამს, მაინც იგინებოდნენ, ჩემი მისამართითაც. მე სიტუაციის დაწყებას ვცდილობდი, რადგან როცა საჯარო ფიგურა ხარ, ბუნებრივია პასუხისმგებლობა მეტი გაქვს. თორემ მართლა 4 ადამიანი ხომ არ გვცემდა 20 კაცს?! ჩვენი მიზანი არ ყოფილა ამ ხალხის ცემა.

– თითქმის ანალოგიურ განცხადებებს აკეთებს მეორე მხარეც, რომ თქვენ ცდილობდით სიტუაციის გამწვავებას, ისინი კი პირიქით...

– სასაცილოა. ჩვენ გარდა ბევრი ადამიანი იყო იქ, მომსახურე პერსონალი და სხვები, რომლებმაც ძალიან კარგად დაინახეს ყველაფერი. თვითონ ქალბატონიც ძალიან აგრესიულად იქცეოდა და ბაკურიაც. ძალიან სამწუხაროა, როდესაც ადამიანი საჯარო ადგილას ასე იქცევა. ამ ფაქტზე სამწუხარო ისაა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ჩვენი მისამართით აკეთებს აბსურდულ განცხადებას: „მეტს რას უნდა ელოდნენ ეს ადამიანები“. ეკა ბესელიას მხრიდან ასეთი განცხადება სირცხვილია. სწორედ მსგავსი განცხადებები იწვევს სიტუაციის დაძაბვას.

– ბატონო გიორგი, თქვენმა მეგობრებმა ამ ფაქტს პოლიტიკური შეფასება მისცეს, ეს არ უწყობს ხელს სიტუაციის დაძაბვას?

– სწორი იყო, რომ ამ ფაქტს პოლიტიკური შეფასება მიეცა, იქიდან გამომდინარე რომ ეკა ბესელიასნაირი ხალხი ცდილობს, ქვეყანაში ზიზლის მუხტი ჩააგდოს და გაამწვავოს სიტუაცია.“

## **ლიტერატურა:**

1. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
2. „მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“, თბ., 2004

3. „განმარტებითი ლექსიკონი“, თბ., 2008.
4. 14-05-2013 – გაზეთი „კვირის პალიტრა“

## ინტერვიუ ჩანახატი

ინტერვიუ ჩანახატი (პორტრეტი) ძალზე საინტერესო ფორმაა ზოგადად ინტერვიუს სხვადასხვა სახეებს შორის. მისი უპირველესი მიზანია აჩვენოს რესპონდენტი ისეთ „ამპლუაში“, როგორადაც მანამდე არ იცნობდა მას საზოგადოება. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს რესპონდენტის იმიჯზე მსგავსი სახის ინფორმაციის მიწოდებამ საზოგადოებაზე, რადგანაც მსგავს „სიტუაციაში“ ყოფნა საზოგადოების კონკრეტულ წევრებზე აისახება მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად: პოზიტიური ან ნეგატიური კუთხით. ჩანახატი ანუ იგივე უჰალსტუხო ინტერვიუ კონკრეტული ჩინოვნიკისა თუ ჩვეულებრივ საზოგადოებისათვის ცნობილ პირს არაოფიციალურ რაკურსში წარმოაჩენს ხოლმე. ასეთი ინტერვიუები საშუალებას იძლევიან რესპონდენტების მაქსიმალური გულახდილობისა და უშუალოებისა. ეს შესაძლოა მოხდეს საცხოვრებელ სახლში საკუთარ ოჯახთან ერთად ან სადმე ბუნებაში, არ არის გამორიცხული მსგავსი სახის ინტერვიუ ისეთ ადგილას შედგეს, სადაც ყველაზე მეტად შესაძლოა გამოჩნდეს რესპონდენტის „ძლიერი“ მხარეები: ნადირობისას, მოგზაურობისას, ფეხბურთის მატჩზე დასწრებისას, ეს ის ადგილებია, სადაც მაქსიმალურად გულახდილია და გახსნილი ყველაზე „გულჩათხრობილი“ რესპონდენტიც კი.

ჩანახატი ინტერვიუს მსვლელობისას გულახდილობა ჟურნალისტსაც არანაკლებ მართებს. „გულახდილობა გულახდილობის წილ“ – ეს ის ფენომენია, როდესაც ორივე მხარეს დადებითად აბალანსებს და აძლევს შანსს ურთიერთთანამშრომლობისა. ასეთი თანამშრომლობისას ჟურნალისტს აქვს

უფლება ჰკითხოს რესპონდენტს პირადი ცხოვრებიდან ისეთი დეტალების თაობაზე, რომელთა შესახებაც არ სურდეს რესპონდენტს საჯაროდ საუბარი. თუ ამ შემთხვევაში რესპონდენტის მხრიდან იქნება თავაზიანი უარი, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არსებობს ზუსტი პასუხები და აღარ უნდა გააგრძელოს ჟურნალისტიკა მსგავსი თემა. კარგი იქნება თუ მსგავს გაუგებრობებს ჟურნალისტი იქვე დაუსვამს ნერტილს და საზოგადოებაშიც გარკვეულ სიცხადეს შეიტანს საკუთარი დამაჯერებელი ვერსიით. ოფიციალური პირის უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანური სახით ჩვენება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია ჟურნალისტურ საქმიანობაში და ამდენად, ჟურნალისტს არა მარტო პორტრეტულ ინტერვიუზე მუშაობისას, არამედ ზოგადად ნებისმიერი რესპონდენტის სახის ჩვენებისას უნდა ახსოვდეს და ითვალისწინებდეს კიდევ. „პორტრეტული, ანუ ასე ვთქვათ, უჰალსტუხო ინტერვიუ რესპონდენტის არაოფიციალურ რაკურსში წარმოჩენას ისახავს მიზნად. ასეთი ინტერვიუ სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო უშუალოა. ჟურნალისტი ამ დროს ყოველთვის ცდილობს ყველაზე გულჩათხრობილი რესპონდენტიც კი “გახსნას” და რაც შეიძლება მეტი ათქმევინოს თავის პირად ცხოვრებაზე“ (10-1).

ინტერვიუ გაბრიელ გარსია მარკესთან – ამჯერად, მითებისა და ლეგენდების გარეშე... „მე მინდა ვემსახურო ჩემს სამშობლოს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას...“, – გ.გ. მარკესი. „იტალიური ყოველკვირეული გამოცემა „პანორამას“ კორესპონდენტმა გაბრიელ გარსია მარკესს სთხოვა თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოეთხრო. – მამაჩემსაც გაბრიელი ერქვა, – ამბობს მარკესი, გაბრიელ ელიჰო გარსია. იგი ტელეგრაფისტად მუშაობდა არაკატკაში. მაშინ კოლუმბიაში ბანანის ბუმი დუღდა და ატლანტიკის სანაპიროსკენ „მწვანე ოქროთი“ დაიმედებული ხალხი დაიძრა. „იუნაიტედ ფრუტმა“ აქ მინები შეიძინა და არაკატკა უეცრად მდიდარ სოფლად



იქცა. ჯერ სულ პატარა ვიყავი, როცა მშობლებმა პაპისა და ბებუის კმაყოფაზე დამტოვეს. – იმ დიდ სახლში, რომლისაც თქვენ ასე გეშინოდათ?

– დიახ, მრავალთახიანი სოფლური სახლი გვედგა. ამ ოთახებში უფრო მეტი მოჩვენება ცხოვრობდა, ვიდრე ცოცხალი ადამიანი. თუმცა ცოცხლებიც საკმაოდ იყვნენ. საღამოობით ბებია მიყვებოდა ზღაპრებს და ჯადოსნურ ისტორიებს, ბანანის ციებ-ციხელების დროინდელ ლეგენდებს. პაპას ხან ცირკში დავყავდი, ხან კინოში, თან დაუღალავად მიმასპინძლდებოდა სამოქალაქო ომის ამბებით.

– ამბობენ, რომ თქვენ ჯერ კიდევ სიყმაწვილეში უწერდით მოთხრობებს თქვენს უმცროს დაძმებს და თქვენ თვითონვე ხატავდით ილუსტრაციებს ამ მოთხრობებისთვის. გამოდის, რომ ხატვის ნიჭიც გაქვთ.

– არა, უბრალოდ, მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვწერდი და წერაში ნახატებს ვხმარობდი. მოთხრობებს ვხატავდი.

– მაგრამ, თქვენ არ ნახვედით ბოგოტაში ჯერ ისევ პატარა ბიჭი, რომ „მწერალი გამხდარიყავით?“ – მე მაშინ 13-14 წლისა ვიყავი და დედაქალაქში იმისათვის წავედი, რომ როგორმე სტიპენდია მიმეღო – სწავლისათვის საჭირო ფული არა მქონდა. მდინარე მაგდალენაზე ჯერ გემით უნდა გემგზავრა. ამ გზას, ჩვეულებრივ, რვა დღე სჭირდებოდა, მაგრამ თუ გემი მეჩერზე შეჯდებოდა, ბოგოტაში ჩასვლას 15-16 დღეც კი ჭიანურდებოდა. გზის დასასრულს იდუმალი ქალაქი მელოდა. მართლაც დავინახე მონაცრისფრო, ნაღვლიანი, წვიმიტ გაჟღენთილი ბოგოტა. მიმოდიოდნენ ცეცხლის ბლუჯა-ბლუჯად მფრქვეველი ტრამვაები, რომლებზეც მტვენებივით ეკიდნენ მგზავრები. კაცებს შავი კოსტიუმები ეცვათ, შავი ქუდეები ეხურათ, ქოლგებიც შავი ეჭირათ. ქალები კი ქუჩებში საერთოდ არ ჩანდნენ. როგორღაც მივალწიე პანსიონამდე...

გარსია მარკესმა სტიპენდია მიიღო და პატარა ქალაქ სი-

პაკირას კოლეჯში ჩაირიცხა. აქ იყრიდნენ თავს ჩვენი ყველაზე გაჭირვებული ბავშვები. მარკესმა კოლეჯი 1946 წელს დაამთავრა, მერე კი დედაქალაქის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. – მე მსურდა სხვა რამ მესწავლა – მაგალითად, არქიტექტურა, ანდა მექანიკა, მაგრამ მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტზე ინწყებოდა მეცადინეობა დილით. ასე რომ, დრო მრჩებოდა მემუშავა და ამით თავი მერჩინა.

1947 წელს გარსია მარკესმა პირველი მოთხრობა დაწერა („მესამე მორჩილება“). იმ ხანებში რომანისტიმა ედუარდო სალამეა ბორბამ განაცხადა – ახალ თაობას ნიჭი აკლიაო. სწორედ ამ განცხადების პასუხად დაწერა მარკესმა თავისი პირველი მოთხრობა. ბორბამ ცნო თავისი შეცდომა და მწერალს დაეხმარა, რათა მოთხრობა ჟურნალ „ელ ესპექტადორში“ გამოექვეყნებინა. 1952 წლისთვის მარკესი უკვე რამდენიმე ათეული მოთხრობის ავტორი იყო.

კოლუმბიელი ლიბერალების ლიდერისა და რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ხორხე გაიტანას მკვლელობის შემდეგ (1948 წლის 9 აპრილი) კოლუმბიაში სასტიკი რეაქციის ხანა დადგა. უნივერსიტეტი დაიკეტა. მარკესი იძულებული გახდა კარტახენაში წასულიყო თავის მშობლებთან. 1950 წელს იგი დედასთან ერთად არაკატკაში ჩავიდა თავისი წინაპრების სახლის გასაყიდად. მალე ჟურნალისტობა დაიწყო. იგი ერთ ნამცვეცა ოთახში ცხოვრობდა, ხუთსართულიანი სახლის სხვენზე. აქ დაიწყო რომანის წერა თავისი ცხოვრების ბედნიერ წლებზე – არაკატკაში გატარებულ ბავშვობაზე. 1955 წელს გარსია მარკესი, როგორც „ელ ესპექტადორის“ კორესპონდენტი, ჟენევაში გაემგზავრა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ იქიდან პარიზში ჩავიდა. – პარიზში ღამით ჩავედი, დავიქირავე ტაქსი და მეც იმ ქუჩას მივაკითხე, სადაც, ჩვეულებრივ, ლათინური ამერიკიდან ჩამოსულები სახლდებიან. – 1955 წელს დიდი კუბელი პოეტი ნიკოლას გილიენიც იქ ცხოვრობდა... –

ნიკოლას გილიენი ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე, აღებდა თავის ოთახის სარკმელს და მთელ ქუჩას ახალ ამბებს გასცახებდა ხოლმე. ერთხელ გალიენმა დაიძახა: „ის დამხობილია“. იმავე წამს ათობით სარკმელი გაიღო. არგენტინელებმა იფიქრეს, ალბათ პერონი ჩამოაგდესო, პერუელებმა იგივე იფიქრეს ოდრიაზე, კუბელებმა – ბატისტაზე, ვენესუელელებმა – პერეს ხიმენესზე, ჩვენ – კოლუმბიელებმა კი – როხა პანილიაზე.“(11-1). რაც უფრო მარტივი, გასაგები და უშუალო იქნება რესპონდენტის ენა, მით მეტად შესძლებს ჟურნალისტი მსმენელის, მაცურებლისა თუ მკითხველის მოზიდვას. ინტერვიუს დროს ჟურნალისტი უნდა დავივიწყოთ ყოველგვარი რთული ტერმინოლოგია, რათა თქვენს მიერ დასმული შეკითხვების გაგების პრობლემა არ შეექმნას რესპონდენტს და პასუხის გაცემის ნაცვლად არ მოითხოვოს უცხო სიტყვათა ლექსიკონი. ჟურნალისტის ძირითადი მესიჯი საუბრის დასაწყისშივე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოაყალიბებული, ასევე უნდა გვახსოვდეს, „არ გადავტვირთოთ მედიამომხმარებელი სტატისტიკური მონაცემებით, რადგან იშვიათი შემთხვევების გარდა, ციფრები არაფრის მთქმელია, განსაკუთრებით მსმენელისათვის. სტატისტიკით ცხოვრებისეულ მიღწევათა გაზომვა მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანსაც კი გაუჭირდება. შევეცადოთ მოკლედ ჩამოვაყალიბოთ კითხვები და ამბად ნუ მოვყვებით მას“**(10-2)**. ჟურნალისტი საუბრის პროცესში არ უნდა უშვებდეს უხეშ გრამატიკულ შეცდომებს. არ უნდა გადავიტანოთ აქცენტი ისეთ წვრილმანებზე, რომელთა მნიშვნელობაც მხოლოდ თქვენ აფასებთ და საზოგადოებისათვის არაფრის მთქმელია. თუ საკითხის არსში გასარკვევად აუცილებელია წინასტორიის მოყოლა, ესეც მეტისმეტად ლაკონურად უნდა ჩამოვაყალიბოთ, რათა არ გადავტვირთოთ მედიამომხმარებელი. თუ კანონის რომელიმე მუხლზე აპელირებას ვაპირებთ, კანონის ზედმიწევნით სკურპულოზურად ციტირების ნაცვლად, პოპულარულ ენაზე, მაგალითების მოშველიებით ავხსნათ ეს კანონი; ჟურნალისტის მიერ იუმორისადმი განსა-

კუთრებული აქცენტი და მგრძნობელობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლუსია. საჯარო პირებს ხშირად უყვართ ანეგდოტების მოშველიება, თუმცა, ყურით მოთრეული ანეკდოტი, თანაც თუ ეს თქვენ სტილში არ ჯდება, ხელოვნურ ელფერს მისცემს თქვენს საუბარს. მოახერხეთ, იუმორით შეხედოთ საკუთარ თავსაც, თუ ამის აუცილებლობას იგივე თქვენს მიერ დასმული შეკითხვა გკარნახობთ.

### ლიტერატურა:

1. პრესმედიატორი: მედიასთან ურთიერთობის პრაქტიკა – თბ., 2003, გვ.70
2. [vangogen.blogspot.com](http://vangogen.blogspot.com)
3. პრესმედიატორი: მედიასთან ურთიერთობის პრაქტიკა – თბ., 2003, გვ. 23
4. ნ.ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, წიგნი 1, თბ.2011 გვ.11
5. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, მე-12 გამოცემა, თბილისი, 2013. გვ.293
6. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ივ. ვერბალური კომუნიკაციები, თბ., 2009. გვ.66, გვ.90, გვ.91, გვ.94
7. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თ. ზურაბიშვილი; -თბ. 2006
8. „კვირის პალიტრა“, 27-09-2010
9. [burusi.wordpress.com](http://burusi.wordpress.com)
10. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი
11. „კვირის პალიტრა-27-05-2014
12. „კვირის პალიტრა“ 16 -05– 2014
13. ენციკლოპედიური ლექსიკონი
14. საბიბლიოთეკო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი
15. „კვირის პალიტრა“, 05-05-2013
16. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფას. ცენტრი. თბ., 2008
17. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989

18. 29-04-2013, გაზეთი „კვირის პალიტრა“
19. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
20. „მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“ (რედ.: ვაჟა გურგენიძე) – თბ., 2004)
21. „კვირის პალიტრა“, 14-05-2013
22. პრესმედიატორი: მედიასთან ურთიერთობის პრაქტიკა – თბ., 2003, გვ. 70
23. [vangogen.blogspot.com](http://vangogen.blogspot.com)

## VIII

### ანალიტიკურ-განმარტებელი ასახვა, როგორც გამოსატვის ფორმა

ანალიტიკა-ანალიზი, საკითხის დეტალურად, დანვრილებით გარკვევა, გაანალიზება, გამოძიება, გამოკვლევა, რომელიც საჭიროებს ჟურნალისტურ გამოცდილებას, ძალისხმევას, ენერგიას, ასევე პიროვნულ შესაძლებლობებს-(რისკი, გაბედულება, სითამამე...), ინტუიციასა და ინტელექტს, უნარს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების, ოპერატიულად მოქმედების, დასკვნების დროულად გამოტანის, რომლის თანამდევია: მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. უცხოურ ლექსიკონში ტერმინი „ანალიტიკა“ შემდეგნაირადაა განმარტებული: „მეცნიერული კვლევის მეთოდი, რომელიც დამყარებულია რაიმე მთლიანის შემადგენელ ნაწილებად ფაქტობრივად ან წარმოსახვით დაშლაზე; რაიმეს გარჩევა, განხილვა; ანალიზი არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში. ცნობიერებაში მთლიანი საგნის ასეთ დაშლას ანალიზი ეწოდება და მასში იგულისხმება: მასალის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა: ნაწილების შედარება შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვა; მოვლენის მიზეზის (დაფარული აზრის აღმოჩენა) ახსნა; პროცესის კანონზომიერების გამოვლენა; მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა“(1-1). თუ ამ განმარტებას თვალს გავადევნებთ, ცხადი გახდება, რომ ანალიტიკურ ტექსტებზე მუშაობა ახალგაზრდა და გამოუცდელი ჟურნალისტებისათვის საკმაოდ რთული და ხიფათიანი არჩევანია, რადგან გამოცდილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ანალიტიკური ტექსტებისათვის. ანალიტიკური ტექსტები ძალზე ახლოს დგანან ანა-

ლიტიკურ პროგნოზებთან. უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით „პროგნოზი-ი [ბერძ. prognōsis] – რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა, წინასწარმეტყველება არსებული მეცნიერული მონაცემების საფუძველზე. მაგ., ამინდის პროგნოზი“. ანალიტიკური პროგნოზი ერთგვარად განმსაზღვრელია მთლიანი ჟურნალისტური ინფორმაციისა, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიტუაციის შესაძლო განვითარების შეფასებას. პროგნოზი მთლიანად ეფუძნება ზუსტ მონაცემებსა და ფაქტებს იმ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. ამსახველი სიტუაციების შესახებ, რომლის მიმართაც ხორციელდება ანალიზი. ფაქტობრივად პროგნოზი არის საზოგადოების (ან მისი კონკრეტული ჯგუფის, ან ერთი რომელიმე წევრის) პერსპექტიული მოქმედებების ერთგვარი გზამკვლევი, რომელიც შეიცავს ბევრ რთულ კომპონენტს. ანალიზური პროგნოზის ძირითადი შემადგენელია მიმდინარე მოქმედი ფაქტორები, ანუ ყველა ის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს პიროვნების ან საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობაზე. პროგნოზირება ხდება რამდენიმე ძირითად ეტაპად: ფაქტორების გამოვლენა, რომელიც ძირითადად ხორციელდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. სიახლეებზე დაყრდნობით, ასევე საზოგადოებრივი განწყობისა და უკანასკნელი სოციალური მაჩვენებლების ანალიზით, ასევე სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებს შორის მონაცემთა გამოვლენით. ასევე უნდა გამოვლინდეს და შესაბამისად განისაზღვროს შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა რეალობაზე. მაგალითად, ცნობამ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გაძლიერების შესახებ, შესაძლებელია გამოიწვიოს ინფლაცია, ფასების ზრდა, რაც საზოგადოებაში შესაბამისი მოქმედებისა და რეაქციის

გამოხატვით წარმოჩნდება. გასაგებია, რომ ყველა მოვლენა ერთნაირ ზემოქმედებას როდი ახდენს მიმდინარე ცხოვრებაზე, ამიტომ უნდა გავიგოთ, თუ რა ხარისხის ზემოქმედებასთან გვექნება საქმე, რომ შესაბამისად განვსაზღვროთ სავარაუდო მოსალოდნელი შედეგები. ანალიტიკური პროგნოზების შედგენისას აგრეთვე გასათვალისწინებელია სეზონური ფაქტორებიც, რომელთაც არ აქვთ მეორეხარისხოვანი გავლენა რეალობაზე. ამიტომაც ყურადღება მახვილდება ისეთ მაჩვენებლებზე, როგორებიცაა: გავრცელების არეალი, საზოგადოებრივი ინტერესი, დროის ფაქტორი, მონაწილე ადამიანთა რაოდენობა და მათი სოციალური სტატუსი. გავრცელების არეალი ერთგვარი ინდიკატორია, რომელიც ასახავს ადამიანების კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს, შესაძლებლობებს, ოფიციალურ მონაცემებს კონკრეტულ მონაწილეთა საქმიანობის თაობაზე, რომელიც ავლენს პიროვნულ ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ნეგატიური მაჩვენებლის ზრდა მეტყველებს საზოგადოებაში მიმდინარე არასახარბიელო პროცესებზე. ეს ყველაფერი შესაძლებელია გახდეს ხალხის მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისათვის ბიძგის მიმცემი და საზოგადოებაში დადებითი მუხტისა და პოზიტიური განწყობის შემცირების მიზეზი. ფაქტისადმი საზოგადოებრივი ინტერესის მაღალი მაჩვენებელი აისახება ინფორმაციის გავრცელების უფრო სწრაფ ზრდაზე, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მთლიან საინფორმაციო სივრცეზე. საზოგადოებრივი ინტერესი ასევე აჩვენებს მიმდინარე პროცესებში მონაწილე ადამიანების რაოდენობრივ მონაცემებს – მატებას ან კლებას, რომელიც განისაზღვრება კონკრეტულ მონაწილეთა ინტერესების, სოციალური სტატუსის და რაოდენობის გათვალისწინებით. დროის ფაქტორი მნიშვნელოვანია და ხშირად განმსაზღვრელია კონრეტულ სივრცეში საზოგადოებრივი აზრის მიმართულების გარკვევის თვალსაზრისით: უშუალოდ პრობლემით დაინტერესებულ ადამიანთა რიცხვი და კატეგო-



რია, რაც საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას ანუ ადამიანთა გარკვეულ ნაწილში შესაბამის ცვლილებას უკავშირდება. ამდენად, წარსულ და მიმდინარე მოვლენებზე დაყრდნობით შექმნილი ანალიზური სურათი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები საზოგადოებრივი აზრის შემდგომი მოძრაობის სავარაუდო მიმართულების განსაზღვრის შესახებ. საზოგადოებრივი აზრი არის: „ქვეყნის მოსახლეობის, დიდი სოციალ-დემოგრაფიული ჯგუფების დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი, გამოხატული მსჯელობებში, შეფასებებში, ემოციებში, განწყობებსა და სხვ. საზოგადოებრივი აზრი ხასიათდება გარკვეული იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური მიმართულებით, აქტივობით, მდგრადობით. იგი გამოდის ექსპრესიული, მაკონტროლებელი და დირექტიული ფუნქციებით – იკავებს გარკვეულ პოზიციას, იძლევა რჩევას, გამოაქვს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საზოგადოებრივ საკითხებზე, არეგულირებს ინდივიდების, ერთობების, სოციალური დაწესებულებების მოქმედებას, მხარს უჭერს ან უკუაგდებს ამა თუ იმ წარმოდგენებს, ღირებულებებს, ნორმებს. საზოგადოებრივი აზრის მხედველობის არეში, ჩვეულებრივ, ხვდება სინამდვილის მხოლოდ ის მოვლენები და ფაქტები, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს იწვევენ. საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს სტიქიურად, თუმცა თანამედროვე საზოგადოებების პირობებში იგი განიცდის განსაზღვრულ ზეგავლენას მრავალრიცხოვანი სოციალური ინსტიტუტების მხრიდან. ამიტომ, სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციებში იგი რეალობასთან ადეკვატურობის სხვადასხვა ხარისხს ავლენს. იგი შეიძლება შეიცავდეს როგორც მართებულ, რეალისტურ, ისე მცდარ, ილოზორულ წარმოდგენებს სინამდვილეზე“**(2-1)**. 2. სხვადასხვა ფაქტის, პროცესის, მოვლენისა თუ პრობლემის შესახებ ადამიანთა ჯგუფის განსჯა, მათი დამოკიდებულება და შეფასება. საზოგადოებრივი აზრის

ფორმირება და განვითარება ან მიზანმიმართულად, მასობრივ შეგნებაზე პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სოციალური ორგანიზაციების ზემოქმედებით ხდება, ანდა სტიქიურად – ცხოვრებისეულ გარემოებათა, კონკრეტული გამოცდილებისა და ტრადიციების უშუალო გავლენის შედეგად. კონკრეტულ სიტუაციებში საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა დონითაა რეალურ ვითარებასთან ადეკვატური; ის შეიძლება შეიცავდეს როგორც მართებულ, რეალისტურ, ისე მცდარ წარმოდგენებს. საზოგადოებრივი აზრის, როგორც ინსტიტუტის, განვითარება ძალზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი ცნობიერების, კულტურის, საზოგადოების მიერ დემოკრატიულ ფასეულობათა გათავისების დონეზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას თანამედროვე, აღიარებული მეთოდების სრულყოფილი გამოყენება **(3-1)**. ამდენად რთულია ბოლომდე ჩანვდე საზოგადოებრივი აზრის სინამდვილის არსს. საზოგადოებრივი აზრის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება გვაძლევს შესაძლებლობას გავერკვეთ, თუ რა ხდება ზოგადად ცხოვრებაში. ანალიტიკური ტექსტი ადამიანური ცხოვრების შესწავლის საკმაოდ რთული მეთოდია, მიუხედავად ამისა, გამოცდილება, ინტუიცია და ინტელექტი ის ფაქტორებია, რომლებიც მარტივად ამოხსნიან ამოცანას. შეისწავლო და გააანალიზო საზოგადოებრივი აზრი გულისხმობს ასევე გაიგო ცალკეულ მედიასაშუალებათა საზოგადოებაზე ზემოქმედების ხარისხიც. ცალკეულ მედიასაშუალებათა ფუნდამენტალური ანალიზი არის მნიშვნელოვანი ფაქტორი გავიგოთ ქვეყანაში შექმნილი რეალური ვითარების ანალიზური სურათი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები საზოგადოებრივი აზრის შემდგომი მოძრაობის სავარაუდო მიმართულებების შესახებ. ფაქტის, მოვლენის, პროცესის ანალიტიკური კვლევა საზოგადოებრივი აზრის ფუნდამენტალური ანალიზის საფუძველზე თემის სწორად შერჩევასაც ითვალისწინებს. ასევე მნიშვნელოვანია საინფორ-

მაცხოვრის ბაზრის დროული, ოპერატიული ათვისება, რადგან მთავარია არა მარტო „პროდუქციის“ გავრცელება, არამედ მისგან მაქსიმალური მოგების მიღება და ზრუნვა მისი, როგორც გავრცელების არეალის-სივრცის შემდგომ შენარჩუნებაზეც. საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და ანალიზის სხვადასხვა სახე არსებობს. ყოველი მათგანი თავისებურად კარგია და გააჩნია როგორც თავისი უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები. მაგრამ რეალობის შესწავლის მიზნით სხვადასხვა მედიასაშუალებათა მიდგომებს შორის ძირითადი განსხვავება ინფორმაციის აღქმისა და გამოყენების სირთულეშია. ამიტომაც უმნიშვნელოვანესია ანალიტიკურ ტექსტთა განსაზღვრის პრობლემა, რომელიც უპირველესად სინამდვილისა და წარმოსახვის ერთ სინამდვილედ ანუ საზოგადოებრივ აზრად გარდაქმნის სირთულეში მდგომარეობს. ამიტომაც კონკრეტულ ფაქტთა ანალიზის საფუძველზე ეფექტურობის გარკვევა ერთ-ერთი საინტერესო და წამყვანი კომპონენტია. ანალიზური ტექსტის საზოგადოებრივ აზრად გარდაქმნის ფსიქოლოგია არის ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. ანალიზური ტექსტები, ისევე, როგორც სხვა ჟურნალისტური ტექსტები, ეყრდნობა ძირითად საზოგადოებრივ მოთხოვნებს, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენს მოთხოვნისა და მოწოდების ცნება. რეალურად მსგავსი ხასიათის მედიატექსტებს გააჩნიათ გაცილებით მეტი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, ვიდრე სხვა ხასიათის პუბლიცისტურ ტექსტებს. ამიტომაცაა, რომ საზოგადოების რეაქცია ანალიტიკურ ტექსტებზე ხდება მყისიერად. ამიტომაც შეუძლებელია უგულებელვყოთ საზოგადოებაზე ანალიზური ტექსტების ზეგავლენის ფსიქოლოგიურ ასპექტები, რადგან სწორედ ამგვარი იგნორირება მიგვიყვანს საზოგადოების მხრიდან ნდობისა და მხარდაჭერის მაქსიმალურ დანაკარგებამდე. ანალიტიკური ტექსტის, როგორც საინფორმაციო ბაზრის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის უმნიშვნელოვანეს როლზე გავლენას ახდენს სა-

ზოგადოებრივი განწყობებიც. მართალია, ადამიანებს დიდი ხანია აინტერესებთ განწყობის პრობლემა, მაგრამ იმის სერიოზულ სისტემურ კვლევას, რასაც ახლა განწყობის ცვლილებების თეორიას უწოდებენ, მასმედიის განვითარებამ უზიძგა“ (4-1). „...განწყობა მთლიანობითი მდგომარეობაა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ინდივიდის ყველა სხვა დიფერენცირებული პროცესისა და ფსიქოლოგიური თავისებურებებისგან. განწყობის თეორიის მიხედვით, განწყობის წარმოქმნის ფაქტორებია მოთხოვნილება და სიტუაცია. მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის თანხვდომის შედეგად სუბიექტში წარმოიქმნება სპეციფიკური მდგომარეობა — განწყობა ისეთი ქცევის შესრულებისადმი, რომელსაც შეუძლია კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ქცევა განწყობაში წინასწარაა ასახული (ანტიციპირებულია), მაგრამ განწყობას, თავის მხრივ, განაპირობებს მოთხოვნილება და სიტუაცია. ამრიგად, ქცევა წარმოდგენილია, როგორც განწყობის ფაქტორებით განსაზღვრული და ამავე დროს მიზანმიმართული მოქმედება“...(5-1). განწყობის თეორიის მიხედვით, ინდივიდმა რომ რაიმე ქცევის განხორციელება შეძლოს, იგი როგორც მთლიანობა, სრულიად გარკვეულ მდგომარეობაში უნდა იყოს. საზოგადოებრივი აზრის საზოგადოების განწყობისა და რეაქციის შესაბამისად მიმართვა უდიდესი ხელოვნებაა და მას შესანიშნავად ფლობს მეცნიერების ისეთი დარგი, როგორიც ჟურნალისტიკაა. და ეს არის სწორედ ისეთი ჟურნალისტიკა, რომელსაც თან ახლავს ხოლმე სწორად განერილი პროგნოზები, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და დიპლომატიური ქცევის სტრატეგია — „სიტყვის თქმის ჟამი“, რომელთა ერთ მთლიანობად წარმოსახვა მხოლოდ მედიასივრცეში თუა შესაძლებელი. სხვა ვერც ერთი დარგი ამ გიგანტების გაერთიანებას და ერთი მთლიანობად წარმართვას, ფოკუსირებას ვერ ახერხებს. მას ვერ განვდება ვერანაირი სხვა დარგი, უბრალოდ ვერ დაიტევს მას ვერც დრო, ვერც სივრცე და ვერც მანძილი-ეს მხო-

ლოდ ჟურნალისტიკას, მედიას შეუძლია და ამაშია სწორედ მისი გენიალობაც, მარადიულობაც და ყოვლისშემძლეობაც. ამიტომაც ცალკეულ მედიასაშუალებათა მხრიდან ანალიზური ტექსტებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამონვეულია კონკრეტული ფსიქოლოგიური ასპექტებითაც. შიში და იმედგაცრუება საზოგადოებაზე ზემოქმედების ფაქტორად არ არის საუკეთესო გამოსავალი. საჭიროა ფიქრი იმაზე, როგორ აღიდგინოს საზოგადოებამ ან კონკრეტულმა ჯგუფმა (ან პიროვნებამ) ამავე საზოგადოებისა ძალები გარკვეული იმედგაცრუების შემდეგ. უნდობლობა, ეჭვიანობა და ნიჰილიზმი რწმენის დაკარგვისა და იმედგაცრუების ხარჯზე მძლავრად იდგამენ ფესვებს პიროვნების ფსიქიკაში, რომელიც შესაძლოა არაფრით კომპენსირდეს. თუმცა კეთილგანწყობისა და იმედის დაკარგვა შესაძლებელია მოხდეს ასევე სხვა მრავალი მიზეზის გამოც. საერთო ჯამში, იმედგაცრუება და წყენა, რომელიც შესაძლოა რომელიმე მედიარხის „წყალობით“ ვირუსად მოედოს საზოგადოებას, იყოს ლოკალური ან მასშტაბური ხასიათისა. ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლოა კონკრეტული ფაქტის კვლევისას გამოვლენილ უზუსტობებს აღმოფხვრის, საზოგადოებრივი აზრის დივერსიფიკაციაა. მისი მაქსიმალიზაცია ბევრადაა დამოკიდებული თანამდევრის რისკების (საზოგადოების მარგინალური ჯგუფები, ვინმეს მიერ პროვოცირებული კონკრეტული პირები, რომელთა პროვოცაციული ნაბიჯები ხშირად საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ბადებს უსაფუძვლო ეჭვებს შეთავაზებული სწორი შეხედულებებისა და იდეების საპირისპიროდ) ოპერატიულ რეაგირებაზე, ასევე ცალკეული სოციალური ინსტიტუტების მხარდაჭერის დროულ გამოხატვაზე. გამოვლენილი რისკების მართვის ეფექტური სისტემის გარეშე რთულია მივალწიოთ წარმატების მაღალ მაჩვენებელს. რისკების მართვა სტაჟიანი და გამოცდილი ჟურნალისტებისთვისაც კი ერთ-ერთი რთული ამოცანაა. დამწყები ჟურნალისტების უმეტესობა ხშირად ვერ შეიცნობს რისკის არსს. ძირითადი მიზეზი რისკის არსის შეუც-

ნობლობისა, რეალობის ოპტიმალური ბალანსის გაურკვევლობაზე მოდის, როდესაც დამწყები ჟურნალისტების მხრიდან ადგილი აქვს „მოგების დიდ სურვილსა“ და გატაცებას საკუთარ შესაძლებლობათა გადაჭარბებული შეფასების სანაცვლოდ. მოგებსენებათ, რაც მეტია რისკი, მით მეტია საშიშროება, დავკარგოთ მთლიანი „შიდა პროდუქტი“ და აუდიტორია პოტენციურ და რეალურ ინფორმაციათა ბურუსში ჩაიძიროს. სტრატეგია, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს ცალკეული რისკ ჯგუფებისა და საერთო საზოგადოებრივი შესაძლებლობების მონაცემები, შესაძლოა იყოს წარსულ გამოცდილებაზე დაკვირვება და ანალიზი. სტრატეგიის ეფექტურობა არსებულისა და წარმოსახვითის განსაზღვრაშიც მდგომარეობს. საზოგადოებრივი აზრის – მაქსიმალური (ზედა-საზოგადოებრივი) და მინიმალური (ქვედა-პიროვნული) მნიშვნელობა, ერთ რეალურ საინფორმაციო სივრცედ უნდა გარდაიქმნას, ისე რომ არ დაირღვეს ბალანსი ყოფითსა (რეალურსა) და წარმოსახვითს (არარეალურს) შორის. საზოგადოებრივი აზრის სასტარტო მონაცემები არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული ფაქტის კვლევისას დაფიქსირებულ მაჩვენებელს. ყველაზე მარტივი სტრატეგია „ყველაფერი გენიალური მარტივია“ ამ შემთხვევაში უფრო აქტიური ხდება. სტრატეგია ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ინფორმაცია შეიძლება დაეფუძნოს შეკუმშულ, მოკლედ ან გადატანითი მნიშვნელობით სათქმელის ირიბად გადმოცემის მეთოდსაც. სტრატეგია გამოადგებათ როგორც დამწყებ ჟურნალისტებს, ასევე პროფესიონალებს. სათქმელის ძირითადი არსი ყოველთვის ფართოვდება საზოგადოებრივი ტემპერატურის ცვლილების შესაბამისად. ზოგჯერ ანალიზური ტექსტები საზოგადოებრივი ტემპერატურული რეჟიმის შესანარჩუნებლად, ანუ სასურველი კლიმატური რესურსის შესაქმნელად გამოიყენება. ამიტომაც, როგორც სტანდარტული ისე არასტანდარტული სტრატეგია ფაქტის ეფექტურობაში ვლინდება. ეფექტურობა ინაცვლებს ტექსტის როგორც სემანტიკურ, ისე სინტაქტიკურ სინამდვილეზე და საბოლოოდ პრაგმა-

ტიკაში აისახება, რომელიც აჩვენებს პროდუქციის ხარისხს. „დღეს სულ უფრო მწვავედ დგება ეთიკური კრიტერიუმების მკაცრი განსაზღვრა-დადგენის საჭიროება, ვითარებას კი თანამედროვე ჟურნალისტიკაში განსხვავებული პარადიგმების არსებობა ართულებს: ერთია ამერიკული რეალობა, სადაც ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობა მხოლოდ ეთიკური ნორმებით რეგულირდება, მეორეა ჩვენი სინამდვილე-კანონით რეგულირებული ჟურნალისტური სინამდვილე“ (6-1). ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობაში ჟურნალისტური ასახვის ფორმებისა და კომპოზიციური სქემების გაჩენა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაზე მიგვანიშნებს. ფაქტის შინაგანი სამყაროს კარნახით გამოსახულ ყოფით ან კონკრეტულ-მემორატულ ამბებს ფართო, საერთო-საზოგადოებრივი ასპარეზი აერთიანებს. სწორედ მათი ურთიერთობით გამოიცნობა და გასაგები ხდება ადამიანთა დიდი ჯგუფების, ხანდახან მთელი სოციალური ორგანიზმის, შეხედულებათა ერთიანობა. ამიტომ ანალიტიკური ტექსტის სიმბოლიკა უპირატესად განიხილება არა როგორც ჟურნალისტიკის კერძო პუბლიცისტურ-ინტელექტუალური დაკვირვების შედეგი, არამედ როგორც ცნობა ამ რეალობის, როგორც ნიმუშის შემქმნელი საზოგადოების სისტემური შეხედულებების შესახებ. სიმბოლური აზროვნების ფორმები, როგორც წესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ტერიტორიული ან ეთნიკური ჩარჩოებით. მათში ასახული იდეების სამყარო უნივერსალურია და ფართოდ გავრცელებული. სიმბოლოთა გაჩენა და გავრცელება ხდებოდა მეტ-ნაკლებად მსგავს სოციალურ და კულტურულ გარემოში. ამიტომაც ყველგან უცვლელად ინარჩუნებდა ტექსტი სინტაქტიკურ-სემანტიკურ და პრაგმატულ არეალს გარკვეული შინაარსითა და დატვირთვით. თუ გავიზიარებთ მოსაზრებას მსგავს გარემოში შეხედულებათა იდეური მნიშვნელობის მეტ-ნაკლები მდგრადობის შესახებ, მაშინ შესაძლებელი გახდება, ისინი იდენტურ ღირებულებებად განვიხილოთ, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ერთ არეალში (ლოკალური) რომელიმე საზოგადოებრივი

აზრის დაუდგენელი მნიშვნელობა მსგავსი სინამდვილის (მას-შტაბური) საფუძველზე ავხსნათ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ცნებათა და კატეგორიათა გავრცელება პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით ხდება, განსხვავებულ სოციალურ გარემოში ტექსტის გამოსახულებათა გრაფიკული მხარე თუ კომპოზიცია ნაკლებად იცვლება, სერიოზულად არ გარდაიქმნება მათი თავდაპირველი სემანტიკური ქვეტექსტი. „ამ შეფასებაში ცხადია, იგულისხმება არა მარტო ენის მორფოლოგიური და სინტაქსური წესების დაცვა, არამედ მრავალფეროვანი ენობრივი აქსესუარების გამოყენება ყველა ნარაციულ დონეზე, სინამდვილის ფაქტების ჩასმა ენობრივ ქსოვილში, ზუსტი და მრავალფეროვანი აღწერილობითი და შემფასებლური ლექსიკის შერჩევა, ექსპრესიული მეტყველება. საჭირო შემთხვევაში „სახეებისა“ და ქვეტექსტური მნიშვნელობების შექმნა, ზოგჯერ ირონიის, სარკაზმისა და სხვ. ხერხების მომარჯვება და ა.შ.“(7-1). ანალიტური ტექსტი, როგორც განზოგადებული შინაარსით დატვირთული რეალობა, სანყის ეტაპზე მოვლენისა თუ ფაქტის უმთავრეს თვისებებს გამოხატავს. მასში ცალკეულ ასპექტთა კონტრასტი იძლევა მოვლენათა აღრიცხვის საშუალებას დროსა და სივრცეში. საზოგადოებრივი ინტერესი ცალკეული მოვლენებისადმი, ასევე მთლიანად სამყაროში მიმდინარე პროცესებისადმი დღეისათვის უფრო რთული სიმბოლური გამომსახველობით დაიტვირთა. ამიტომაც სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ანალიტური ტექსტები ერთმანეთის მსგავსი სიღრმისეული გამოსახვის ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენენ. „იმისათვის, რომ განვიხილოთ როგორ უნდა მოხდეს მოვლენათა ანალიზი და ანალიზის ელემენტების გამოყენება საგაზეთო პუბლიკაციასა და სატელევიზიო სიუჟეტში, აუცილებელია, გავცნოთ ზოგადი ანალიზის კომპონენტებს, რომლებსაც არა მარტო ჟურნალისტები, არამედ სხვა სპეციალობის წარმომადგენლებიც იყენებენ“(8-1). საზოგადოების პროგრესთან ერთად კონკრეტულ ცნებებთან და კატეგორიებთან მიმართებაში იცვლება წარ-



მოდგენები. ეს ხდება მაშინ, როდესაც მცირდება მასში ასახული იდეის ღირებულება და იწყება მისი შინაარსობრივი ფონის შეკუმშვა. როცა გამოსახვის ფორმები მეტ-ნაკლებად იცლება ძველი შინაარსისაგან, ტექსტი მაინც ინარჩუნებს თავის პუბლიცისტურ ფუნქციას და ძირითადი და წამყვანი სწორედ ტექსტის პუბლიცისტურ-შინაარსობრივი ღირებულება ხდება, რადგან იდეა ნებისმიერი სახის ტექსტში მუდამ არის და შესაბამისი დონის აქტუალობას არასდროს კარგავს. მხოლოდ იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება კონკრეტული იდეისადმი. დღეისათვის ზოგიერთი ჟურნალისტური ფორმა ტექსტის გამოსახვისა ვისთვის მხოლოდ თაყვანისცემის ობიექტია, ვისთვის უმთავრესი კომპონენტი სამყაროში მიმდინარე ცვლილებებისა და მისდამი ადექვატური პოზიციის გამოხატვისა, ზოგიერთისთვის პირიქითაა; ის უბრალო ორნამენტი, რომელიც არ არის აუცილებელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს თვალი გაუსწოროს. ჟურნალისტური ტექსტი, როგორც სინტაქტიკურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ ასპექტთა სრული თავისუფლება, სადაც სიტყვა საზოგადოების დასარწმუნებლად არის ასპარეზზედ გამოსული, პირველ ყოვლისა, გრამატიკული კატეგორიებით ყალიბდება და იმართება. ზოგჯერ სწორედ სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიები იძლევა ტექსტის ანალიტიკური გააზრების უნარს გაერკვეს მიმდინარე მოვლენათა მრავალფუნქციურობასა თუ მრავალმნიშვნელოვნებაში. სწორედ ტექსტის საშუალებით ვიჭრებით უფრო ღრმად არა მხოლოდ მისსავე საიდუმლო საღაროში, არამედ მისივე საშუალებით გამოხატული და გადმოცემული აზრის გაგებისა და გააზრების ფილოსოფიაში. გარემოება გრამატიკული კატეგორიაა და ის წინადადების არამთავარ წევრად გვევლინება. მიუხედავად ამისა, ყოველი მისი სახე: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის, -ცდილობს ახსნას მოქმედებით ან მდგომარეობით გამოხატული თუ გადმოცემული დრო, ადგილი, ვითარება, მიზეზი, მიზანი და ა.შ. „მეორეხარისხოვანი“, არამთავარი წევრის სტატუსით წარმოდგე-

ნილი გარემოება, უმნიშვნელოვანესია ჟურნალისტიკაში., სადაც ცნება „გარემოება“ ფაქტის წარმოქმნის, შესწავლის, განაწილების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და ფრიად საინტერესო დეტალებისა და ნიუანსების წარმომჩენი. ის, თუ რა გარემოებასა და ვითარებაში, ან როდის, რატომ, რისთვის მოხდა ესა თუ ის კონკრეტული ქმედება? რა გარემოებებმა განაპირობა ან წარმოშვა? იქნებ კონკრეტულმა დრომ ან მიზანმა განსაზღვრა? ან იქნებ რაიმე მიზეზია ვინმეს ან რაიმეს მხრიდან ფაქტის წარმომშობი? ან იქნებ ადგილის განსაკუთრებულობამ განაპირობა სწორედ ფაქტის წარმოშობა? აშკარაა, რომ კონკრეტული ფაქტის გამომწვევი ზემოთმოყვანილი ცალკეული კითხვის შემცველ გარემოებებზე ამომწურავი პასუხები მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩანასახში არსებული ფაქტის რეალობად გარდაქმნის არსს და ზრდის ალბათობასა და ინტერესს მისი ახსნა-შესწავლა-გარკვევისათვის. როდესაც გვინტერესებს გავიგოთ კითხვაზე პასუხი: სად მოხდა ან ხდება კონკრეტული ფაქტი, მოვლენა, სიტუაცია, პროცესი? მასზე ამომწურავი პასუხის გასაცემად ჩვენდაუნებურად ირღვევა საზღვრები სხვადასხვა გარემოებებს შორის და პასუხი კითხვაზე: სად ხდება მოქმედება? ნაწილობრივ თუ მთლიანად არა, სხვა დანარჩენ კითხვათა პასუხების შემცველიცაა, რადგან ეს ყველაფერი ერთ სივრცეში აისახება, ერთ კონკრეტულ დროში ფორმირდება და კონკრეტულ რეალობას ასახავს. ფაქტი ერთი მთლიანი კატეგორიაა. ის ისეთი მედიაპროდუქტია, როდესაც მისი „მირთმევა“ ხდება მთლიანად, ერთად, ერთპროდუქტად და არა ცალ-ცალკე, ნაწილ-ნაწილ. ყოველგვარი მედიაპროდუქტი, რომელიც მრავალი სხვა, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული დეტალებისაგან, წვრილმანი ფაქტორებისაგან შედგება, ერთ მთლიან სახე-სიმბოლოს ქმნის და თითოეული წვრილმანი ერთმანეთს მაგნიტისებურად იზიდავს, გარკვეულ ფორმას სძენს და საბოლოო ჯამში კონკრეტულ მოცემულობად ყალიბდება, რომელსაც ფაქტებს ვეძახით. სწორედ ცალკეულ ან სხვადასხვა გარემოებათა საფუძ-

ველზე ჩამოყალიბებული და ერთ „მუშტად“ შეკრული რეალობა ან სინამდვილე-ანუ კონკრეტული ფაქტი არის სწორედ იმ გარემოებათა უხილავი კრებული, რომელიც თანაბრად რეალიზდება იდეასთან და დროსთან მიმართებაში და საერთო, საინტერესო სახეს იძენს და ერთ მთლიან მოცემულობად ყალიბდება, სადაც თანაბრად კომპენსირდება დრო და სივრცე. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში არის ფაქტის არსში მიმდინარე სხვადასხვა გარემოებათა გამომწვევი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომლის საფუძველზეც ერთი გარემოება ბუნებრივად იწვევს მეორეს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და ა.შ. სანამ ფაქტი „სასრულ სახეს“ არ მიუახლოვდება. სწორედ ეს მიზეზშედეგობრივი კავშირი არღვევს საზღვრებს და იჭრება ცალკეულ ელემენტთა (წვრილმანთა) ფილოსოფიაში, ისე რომ ერთმანეთის შემადგენელი ელემენტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ უერთმანეთოდ არ შეუძლიათ. ფაქტის დასრულება გულისხმობს მათ სხვა სიბრტყეში ან სულაც სხვა სივრცეში გადანაცვლებას, როდესაც ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის და ასე ხდება უსასრულოდ კაცობრიობის დაარსებიდან დღემდე. შეუძლებელია განისაზღვროს რომელ ეტაპზე რომელი წვრილმანი-დეტალი სარგებლობს უპირატესობით კონკრეტული ფაქტის წარმომშობ სიტუაციაში. ნებისმიერი ფაქტი თავადვე მოიცავს „საკუთარ“ იდუმალ სამყაროს, რომელთა დანახვა „შეუიარაღებელი“ თვალთნარმოუდგენელია. მისი დანახვა შეუძლიათ მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭითა და ერუდიციით დაჯილდოებულ ადამიანებს. მისი დანახვა უჭირთ ხშირ შემთხვევაში გამოცდილ, სტაჟიან პროფესიონალებსაც კი. ამიტომ როდესაც ანალიზურ ჟურნალისტიკაზე ვსაუბრობთ, თავიდანვე უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრი რამ აუხსნელი რჩება. ანალიზურ ტექსტებზე მუშაობისას ჟურნალისტს „...ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს: ერთი: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს; მეორე: გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყნაროს; მესამე: პირიდან ავი სიტყვა არ წაიციუნოს; მეოთხე: სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს; მეხუთე: რაც

თქვას, ყოველს კაცს მოაწონოს“(9-1). რამდენად არის აუცილებელი საზოგადოებას ჰქონდეს სრული და ამომწურავი პასუხი ისეთ საკითხებზე, რომელთა ცოდნის აუცილებლობა ხშირად არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს? რატომ უწოდებენ ჟურნალისტიკას სახიფათო პროფესიას? არის კი გამოსავალი მხოლოდ კითხვებზე პასუხის გაცემა? რისკი და სითამამე არ არის საკმარისი რესურსი ანალიტიკური ტექსტებისათვის. გამოსავალი მხოლოდ მაღალ პროფესიონალიზმშია. ისევ სულხან საბას უნდა დავცესხოთ: „მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა: – მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო! თქვა გულსა შინა მხატვარმან: აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს. ვით მკადრეო, და თუცა ორთვალი, მომკლავს: ოდეს არს მსგავსი ჩემიო? მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი. – ან ვხედავ, მიზეზი ჩემი ეს არის, ანვე მომკლა, ვინ გიშლის, ანუ ვინ დაგგმობს? უბრძანა მეფემან: არა ნდომითა ჩემითა არის, ბედისაგან მოცემული ხარო“(9-2). სიმართლე და პატიოსნება, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა, რისკი და სითამამე ჟურნალისტიკისათვის „ბედისაგან მოცემული“ ის უმთავრესი კრიტერიუმებია, რომლებიც საშუალებას აძლევს იმუშაოს ანალიტიკურ ტექსტებზე, რომელთადმი ინტერესი საზოგადოებაში უფრო და უფრო მძაფრდება და მატულობს. რაც მეტია სიყალბის, სიცრუის, ზედაპირულობის, მოჩვენებითობისა და უკმარისობის განცდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ან სხვა ხასიათის საკითხებისადმი, იმდენად მძაფრია ინტერესი საზოგადოების მხრიდან ანალიტიკური ტექსტებისადმი. ჟურნალისტები ფლობენ ყველაზე სასტიკსა და დაუნდობელ იარაღს-სიტყვას, რომლის მსგავსი კაცობრიობას თავისი დაარსებიდან არ გამოუგონებია. ისევ სულხან-საბას ვცესხებით:

„ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდენ. ანვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა, გამოესალმა, მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცინა დათვისათვის. მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა: პირმყრალს სტუმარს ვერ ვენყობიო! ნავიდა დათვი. და მერმე ეს კაცი ენვია და თან ცული ნაილო: მოის შეშას დავეკოდ და ნამოვიღებო! მოვიდა დათვი და, რაც მათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმან დაუჟინა: თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო! მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში ნავიდა და კაცი შინ ნამოვიდა. მეორეს თვეს შეიყარნენ. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა: ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო“ (9-3). გაფრთხილება უნდა „პირზე მომდგარს სიტყვას“ და „სიტყვის თქმის ჟამის ცოდნა“ უპირველესი საშუალებაა და ერთგვარი შანსიც კი არა მხოლოდ ანალიტიკურ ტექსტებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის. ჟურნალისტიკამ საზოგადოებაში სამართლიანობის, სიყვარულისა და პატივისცემის განცდა უნდა დანერგოს და დაამკვიდროს და არა უნდობლობა, ეჭვი, შიში, სიძულვილი და გაუტანლობა. ანუ მთავარ ამოცანას კვლავ წარმოადგენს მედიაში ეთიკური ნორმების დაცვისადმი უარყოფითი ტენდენცია, რომელიც ქართული საზოგადოების მხრიდან მედიისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებაში აისახება. სულხან-საბას გონებრივი სალარო კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს გვთავაზობს: „ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდენ. ნავიდნენ გზასა. გასავალი წყალი დახვდათ. მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: ზურგს შემაჯექე, მე გაგიყვანო! შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუნყო. კუმ ჰკითხა: ძმაო, რას იქმო? მორიელმან უთხრა: რა ვქმნა, არც მე მნებავს, მაგრა ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველაყას უნდა ვუკბინოთ. კუმ

დაიყურყუმალავა და მორიელი ნყალს მისცა და უთხრა: ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი, თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო“ (9-4). რად უნდა ილაპარაკოს ჟურნალისტმა სიმართლე? როგორი ენით უნდა მოუთხროს სიმართლე საზოგადოებას? როგორ საზოგადოებაში გვსურს ცხოვრება? ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხი გულისხმობს არა მხოლოდ ანალიტიკური ასახვისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას სპეციალისტების, არამედ საზოგადოების მხრიდანაც, რაც კარგად აისახა ზემოთმოყვანილ იგავში. დღეისათვის, ე.წ. ყვითელი ჟურნალისტის მოძალების მიუხედავად, რომელიც განაპირობებს საზოგადოების ძირითადი ნაწილის ე.წ. „ზედაპირულ გამოკვებას“, რამაც, როგორც ჩანს განაპირობა თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გადართვა ყვითელი ჟურნალისტიკისადმი, რითაც ისინი ხელოვნურად შორდებიან მათთვის საინტერესო და ცხოვრებისეულად მნიშვნელოვან საკითხებს, პროფესიონალმა ჟურნალისტებმა საზოგადოებას ხშირ-ხშირად უნდა შეახსენონ ანალიტიკური ტექსტებით, რომელიც საზოგადოებრივი დაკვეთებით იქნება ნაკარნახევი. ცნობილია, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ინტელექტი, მცირდება ინტუიცია აზროვნების პროცესში. ისინი ერთმანეთს შველიან და ავსებენ, მაგრამ მკვეთრად იცვლება თანაფარდობის შკალა. „ინტუიცია ცვალებადი უნარია. იგი ძლიერდება, როცა ინფორმაცია ილექება სულის ფსკერზე და ხდება მგრძნობელობის ნაწილი, როცა ფსიქიკა იჟღინთება ინტელექტუალური წარმოდგენებით და ისინი უცხო, გარედან შემოჭრილ სიგნალებად აღარ აღიქმება. ამიტომ ჭარბი კითხვა, ტელევიზორთან ან კომპიუტერთან მიბმა მავნებელია, ნელდება აქტივობა და ნებისყოფა. დიდი ცოდნა ინტელექტუალურ ბალასტად იქცევა, რომელიც სულს კი არ რგებს, არამედ – ვნებს. ინდივიდი აღქმას, გააზრებას, გათავისებას ვერ ასწრებს, ისე ეფინება ძველს ახალი ინფორმაცია. ინფორმაციის კასკადი ცნობიერე-

ბას რეგისტრატორის ფუნქციასაც უკარგავს. ასეთ დროს მეხსიერება ინახავს არა კონკრეტულ ფაქტებსა და აზრებს, არამედ – მათი მდინარების სურათს. ...ყველაფრის მცოდნე კი არაფრისმცოდნეა“**(10-1)**. სამწუხაროდ იმატა სამაჟინყებლო მედიაში საინტერესო საავტორო გადაცემებისადმი ერთგვარმა ინფორმაციულმა შიმშილმა და ჟურნალისტთა უმეტესობა ყვითელი საავტორო გადაცემებით „გაერთო“ ან მხოლოდ პოლიტიკით დაკავდა. არადა ამ დროს უამრავი თემა და საკითხი გვერდზე რჩება და „გვავინყდება“ კიდეც, რომ ეს ყველაფერი საზოგადოებას ერთპოლუსიან მომხმარებლად აქცევს, შეიქმნება სერიოზული დისბალანსი და მნიშვნელოვანი პრობლემისადმი საზოგადოებრივი ინტერესი, რეაქცია აღარ იკვეთება.

როგორც უკვე ითქვა, ანალიზური ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელია დასაბუთებული, დამაჯერებელი, ამომწურავი პასუხი გასცეს ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო კითხვას, ეძიოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყველაზე ეფექტური გზები და საშუალებები. წარმატებული თუ წარუმატებელი ნაბიჯის დასაბუთებული ახსნა არის პირობა მოვლენების განვითარებისა დადებითი მიმართულებით, რათა შესაბამისად მოხერხდეს სიტუაციათა საჭიროებისამებრ მართვა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საქმიანობის განსაზღვრა და მოტივირებულ ინტერესთა ამოცნობა, ასევე მოხერხდეს შესაძლო განვითარების ტენდენციების გამოკვეთა და დადგენა იმისა, რა ნიშან-თვისებებმა იქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა აღნიშნულ პროცესში. ცხოვრებისეული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადება-ანალიზი მეტ-ნაკლებად ხდება რამდენიმე ჟურნალისტურ ჟანრში, მაგრამ ამ მხვრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა ორი მათგანი – კორესპონდენცია და სტატია. მათი უმთავრესი თავისებურება კი მდგომარეობს რამდენად დანვრილებით და ღრმად შეისწავლიან და იკვლევენ არამარტო ფაქტსა თუ პრობლემას, არამედ მათ წარმომშობ მიზეზებსაც, იძლევიან ანალიზს, ახდენენ განზოგადებას, რაც იძლევა გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. კო-

რესპონდენციასა და სტატიაში განმსაზღვრელ ადგილს სწორედ ანალიზი და განზოგადება იძლევა. შეიძლება ითქვას სწორედ ესაა ამ ჟანრების ძირითადი სპეციფიკა, რის გამოც მათ ანალიტიურ ჟანრებს ვუნოდებთ.

### **ლიტერატურა:**

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989
2. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ. ლოგოს პრესი, 2004
3. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“, თბ., 2004
4. თ.მალალურაძე, თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები“, თბ., 2013, გვ.75
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.2, თბ.1977, გვ.690
6. თ.ჯაგოდნიშვილი, 2013, ჟურნალი „განათლება“, №3.
7. რ.სურგულაძე, ე. იბერი, მასობრივი კომუნიკაცია, თბ.2003, გვ.154
8. მ.გერსამია, ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, თბ.2011, გვ.12
9. სულხან-საბა, სიბრძნე-სიცრუისა, საბას წიგნები, 2012
10. ს.სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, II, თბ., 2012, გვ.103



## IX

### კორესპონდენცია

რა არის კორესპონდენცია? სიტვა კორესპონდენციას ხმარობენ ფართო და ვიწრო გაგებით. როგორც ლექსიკონითაა განმარტებული, ფართო გაგებით „კორესპონდენცია ეწოდება ფორმების, დანესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთმანეთისათვის საქმიანი ქალაქებისა და სხვა სახის ამანათების გზავნას, ასეთი გზავნილებით ურთიერთკავშირს, მიმონერას“ (1-1). ასეთ კორესპონდენციას საერთო არაფერი აქვს ჟურნალისტურ ჟანრთან. „ნებისმიერი ჟანრის ფუნქცია ყველაზე სრულად მჟღავნდება ძირითადი მიზნის მიღწევისათვის ყველაზე ოპტიმალური, ეფექტური გზის შერჩევის შემთხვევაში“ (2-1). განვიხილოთ კორესპონდენცია, როგორც ჟურნალისტური ჟანრი და თვალი გავადევნოთ კორესპონდენციის სპეციფიკურ თავისებურებებს. ჩვენი ყოველდღიური საზოგადოებრივი ურთიერთობები უამრავი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტების მომხსნეა, რომლებიც ადამიანებისათვის, მარტივად რომ ვთქვათ, საინტერესოა. მათ სურთ იცოდნენ მეტი მათთვის საინტერესო ფაქტების შესახებ, მოისმინონ ან წაიკითხონ ახსნა-განმარტებები კონკრეტულ საკითხებზე. კორესპონდენცია საზოგადოებას ატყობინებს, მოუთხრობს და უხსნის მნიშვნელოვან, საჭირობოროტო და საყურადღებო მოვლენების თაობაზე. „კორესპონდენცია ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გავრცელებული პუბლიცისტური ჟანრია. მას აქტიურად და ეფექტურად იყენებს როგორც პრესა, ისე რადიო და ტელევიზია“ (3-1). ეს ჟანრი კონკრეტული ფაქტის ან ფაქტების გაშუქებითაა დაინტერესებული. თუმცა ფაქტთა მრავალრიცხოვნება მაინცა და მაინც მომგებიანი არაა. ასეთ შემთხვევაში, ფაქტთა ნაკადი ერთ თემას, მონათესავე საკითხებს უნდა ეხებოდეს. მთავარი არა ფაქტების სიუხვე,

არამედ თემის აქტუალობა, მნიშვნელოვნება, ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების უნარია და ამ ყველაფრის საინტერესოდ გადმოცემა. კორესპონდენციის ამოსავალი წერტილი კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტი, მოვლენა თუ პროცესია, რომელიც ცხოვრების ნიაღში მიმდინარეობს და ჟურნალისტი მას „კორესპონდენტებს“, ანუ იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი არგუმენტებით გამოყოფს, საზოგადოებას მის შესახებ ნათელი წარმოდგენა ექმნება. კორესპონდენცია არ საუბრობს მშრალად, ზედაპირულად, ბუნდოვნად. აქ საქმე გვაქვს სიღრმისეულ გამოკვლევასა და ანალიზთან, რომელიც 1.საზოგადოების ინტერესებშია და 2.სურათოვან, საფუძვლიან განმარტებას იძლევა მომხდართან დაკავშირებით. კორესპონდენციის ენა მეტყველი, საქმიანი, მიზანმიმართული და ვრცელია. ჟურნალისტი თავად განსაზღვრავს რა დოზით იყოს მიწოდებული მეტყველი და საინტერესო წინადადებები, რამდენად შეიძლება იყოს სათქმელი მხატვრულად გაფორმებული. ფორმალური თვალსაზრისით ცოტათი ვრცელი ანალიტიკური კორესპონდენცია ასახვის საგანს ყოველთვის მიმზიდველს, საინტერესოს და გამორჩეულად წარმოაჩენს და მოხდენილი ფრაზებითა და მეტყველი წინადადებებით ფაქტის არა მარტო ცოცხლად ჩვენებას, არამედ მის სრულყოფილ შემეცნებას და გაანალიზებასაც უწყობს ხელს. ფაქტის აგიტატიურობა კორესპონდენციის ბუნებაშია და განსაკუთრებული ინტერესი მისდამი მრავლისმეტყველია იმიტომაც, საზოგადოებამ იფიქროს, ჩანვდეს, ჩაუღრმავდეს, იგრძნოს და განიცადოს კიდევ. ამასთან კორესპონდენცია „ცდილობს“ არ დაინტერესდეს მიზეზებით, პრობლემატიკით, იმის გარკვევით, რაც თან მოყვება ხოლმე ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის, პროცესის გამომწვევ მიზეზებს. ფაქტის კონსტატაცია-წარმოჩენა-ხაზგასმა, ფაქტით გამონვეული შედეგი, ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ფაქტი თავად ეწევა აგიტაციას, საუბრობს „საკუთარი თავის“ შესახებ და აუდიტორია ცდილობს ბოლომდე

გაერკვეს დაინახოს, გაიგოს და ერწმუნოს კიდეც. ამიტომაცაა, ანალიტიკურ ჟანრთა მომხმარებელი მეტი პასუხისმგებლობით, ღრმა აზროვნებით, მეტის ცოდნითა და მეტის გაგებით დაინტერესებული, რადგანაც წვრილმანებში იხედება, დეტალებით ინტერესდება, ფაქტის კონკრეტული იფარგლება, რაც საქმეში ჩახედული საზოგადოებისათვის სავსებით გასაგებია იგრძნოს და განიცადოს ფაქტი, როგორც შედეგი.

ფაქტისადამი ავტორის დამოკიდებულება გამორჩეულია და განსხვავებული კორესპონდენციაში, რადგან ავტორის მიზანდასახულება აუდიტორიისათვის ფაქტის მიწოდებას გულისხმობს. მედიააუდიტორია ცდილობს სწორედ ფაქტის საშუალებით გაერკვეს ცხოვრების თუნდაც ერთ მნიშვნელოვან მომენტზე, თავადვე გაიაზროს და განაზოგადოს ის და ამასთან გამოიტანოს სასურველი დასკვნები. კორესპონდენციის ჟანრობრივ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე ფაქტისადმი არა უბრალო შეტყობინება, როგორც მაგალითად ინფორმაციულ ჟანრებს ახასიათებთ, არამედ მსჯელობისა და განზოგადების საფუძველზე გადმოცემული ტიპური და საზოგადოებრივად საინტერესო ფაქტის ანალიზი და შეფასება, რასაც მოსდევს სათანადო დასკვნებიც. ჟურნალისტიკა არა მხოლოდ დაინახოს ფაქტი, უნდა განჭვრიტოს მისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფაქტები, რომელთა შესახებაც კორესპონდენცია იქმნება, დროულად ასახვას საჭიროებს, მნიშვნელოვან და საზოგადოებრივად საინტერესო ფაქტებზე ოპერატიული რეაგირება მნიშვნელოვანია აუდიტორიისათვის, რადგან რაც უფრო „ახალია“ ფაქტი, მით უფრო მეტყველია და შესაბამისად მეტია ზემოქმედების ეფექტიც და ღირებულებაც.

ფაქტი კორესპონდენციის საფუძველია. კორესპონდენციის ავტორი არკვევს ფაქტის წარმომშობ მიზეზებს – რა მნიშვნელობა აქვს ფაქტს, რამდენად მოსაწონია თუ უარსაყოფია იგი, რა პერსპექტივაში უნდა განვიხილოთ და შევაფა-

სოთ ეს ფაქტი, რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ამ ფაქტის გააზრების შემდეგ და სხვა. ფაქტზე მსჯელობა კორესპონდენციაში აშკარა, პირდაპირი და პუბლიცისტურია, მიხვეულ-მოხვეული არაფერია. სწორი და პირდაპირი გზით მიდის მკითხველი სასურველ დასკვნამდე. კორესპონდენციაში ფაქტი ისე უნდა იქნეს გაშუქებული, მსჯელობა-განზოგადება და შეფასება-დასკვნები ისე უნდა მივანოდოთ საზოგადოებას, რომ ერთგვარად ნათელი გახდეს ფაქტის წარმომოხიბლების მიზეზიც და მისი მნიშვნელობაც საზოგადოებრივად.

განვიხილოთ მაგალითები: „კვირის პალიტრა“-07-03-2011, პუბლიკაციიდან „კოდას“ საფირმო მაღაზიებში მომხმარებელს ბევრი სიახლე და ხელსაყრელი ფასები ელის... თბილისის გარდა, „კოდას“ მარკეტები საქართველოს დიდ ქალაქებშიც გაიხსნება”.

კორესპონდენციის დასაწყისში ავტორი საინტერესოდ საუბრობს საკმაოდ ცნობილი „კოდას“ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. მსჯელობს ფაქტზე, რომელზედაც საზოგადოებას გარკვეული წარმოდგენა აქვს და ამასთან უფრო მეტია ინტერესი იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი იცოდნენ მის შესახებ. საქმე იმაშია, რომ „კოდას“ მიერ წარმოებული პროდუქცია ერთ-ერთ ძირითად სასურსათო პროდუქტთა სიაშია და ამდენად ინტერესი მისდამი მეტია. „რამდენიმე თვეა, რაც თბილისში კომპანია „კოდას“ საფირმო მაღაზიები გამოჩნდა. კვერცხი, ქათმის ნედლი თუ გაყინული ხორცპროდუქტები მაღაზიის დახლებზე ძალიან ხელსაყრელ ფასად იყიდება და რაც მთავარია, ყველა ეს პროდუქცია საწარმოდან დახლებზე უმოკლეს დროში ხვდება. შესაბამისად, მომხმარებელი ყოველთვის გარანტირებულად ახალ პროდუქციას ყიდულობს და კმაყოფილებას იმით გამოხატავს, რომ არჩევანს „კოდას“ სასარგებლოდ აკეთებს.“

მომდევნო აბზაცში წერილის ავტორი მოკლედ აცნობს მკითხველ საზოგადოებას კომპანიის დაარსების ისტორიას,

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განეულ საქმიანობას და ხაზს უსვამს ფაქტისადმი ერთგულებას: ავტორს სურს მკითხველი საზოგადოება ერთი კონკრეტული ფაქტის ირგვლივ დააინტერესოს და მომართოს. ამ მიზნით წერილის ავტორი აკეთებს ერთგვარ წინსწრებას მოვლენებისადმი და ხაზს უსვამს ძალზე საინტერესო დეტალს იმის თაობაზე, რომ კოდას მიერ წარმოებული კვერცხი უცხოურ ბაზარზეც კონკურენტუნარიანია: შპს „პოულტრი ჯორჯია“ „კოდა“, ყოფილი თბილისის სანაშენე რეპროდუქტორის ბაზაზე შვიდი წლის წინ დაარსდა. იმ დროს სანარმო მთლიანად განადგურებული იყო, ამიტომ „კოდას“ თავკაცებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სანარმოს ასამუშავებლად 5 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაედოთ. სანარმომ ახალი ტექნოლოგიებით და ახალი სიმძლავრით დაიწყო მუშაობა, მისმა პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, მომხმარებლის ნდობა და ადგილობრივი ბაზრის გარკვეული სეგმენტი დაიკავა. დღეს კომპანია „კოდა“, რამდენიმე ადგილობრივ სანარმოსთან ერთად სრულიად აკმაყოფილებს ქართულ სამომხმარებლო ბაზარს სასურსათო კვერცხით. მეტიც, „კოდას“ მიერ წარმოებული კვერცხი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ექსპორტზეც გადის“.

კორესპონდენციის მიზანი ამ შემთხვევაში მომხდარი ფაქტის შესახებ საფუძვლიანი ცოდნის მიწოდებაა აუდიტორიისათვის, რაც ეყრდნობა ავტორის როგორც ცოცხალ დაკვირვებას, ასევე ფაქტის შესახებ სრულ წარმოდგენას და აქედან ცოტათი „შეკვეცილი“ ფორმით მოვლენის გადმოცემას. ზურაბ ჭუჭულაშვილი, კომპანია „პოულტრი ჯორჯია“ – „კოდას“ გენერალური დირექტორი: „2002 წლიდან დღემდე კომპანიაში 10 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის რეინვესტიცია განვახორციელეთ. მოხდა ჩვენი სანარმოო რესურსების ტექნიკური გადაიარაღება და ამის ფონზე წარმოების

პროცესების გაუმჯობესება. ამჟამად ჩვენს კომპანიაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 700-მდე თანამშრომელია დასაქმებული და გვაქვს წარმოების იმხელა რესურსი, რომ დამატებით კიდევ 300 ადამიანი დავასაქმოთ.“ კორესპონდენციაში აუდიტორიისათვის გათვლილი საინტერესო ფაქტის შესახებ „პირველწყარო რაიმე ამბავსა თუ მოვლენაზე ყოველთვის პუბლიკაციის ავტორია. ზუსტად ის „აკორესპონდენტებს“ მოვლენას ადგილიდან, თავადვე ახდენს მომხდარის ინტერპრეტირებას, ეყრდნობა ამბის, მოვლენისა თუ ფაქტის თანამონაწილეებისა და მოწმეების აზრს, ასევე პირად, უშუალო დაკვირვებებს. სწორედ ფაქტის ასეთ თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ავტორი იმონწმებს სწორედ კომპანიის გენერალური დირექტორის საუბარს, რომელიც კიდევ უფრო მეტად ამყარებს ავტორისეულ პოზიციას.: „კოდას“ წარმოებისთვის წელიწადში დაახლოებით 10 ათასი ტონა მარცვლეული – სიმინდი და ხორბალი სჭირდება. ამ მარცვლეული კულტურების გარკვეულ ნაწილს კომპანია ქართველი გლეხებისა და ფერმერებისგან ყიდულობს, რაც ასევე ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. სანარმო მთლიანად თანამედროვე ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი, ხოლო პროდუქცია, რომელსაც „კოდა“ აწარმოებს, დახლზე მოხვედრამდე რამდენიმე ლაბორატორიულ კვლევას გადის“.

„ვანარმოებთ როგორც სუფრის კვერცხს, ასევე ქათმის ხორცპროდუქტებს. ეს გახლავთ როგორც გაყინული, ასევე ნედლი ქათამი, გაყინული ქათმის დანაწევრებული ნაწილები: ფრთა, კუჭი, ღვიძლი, ბარკალი, ფილე და ა.შ. ანუ ვანარმოებთ აბსოლუტურად ყველა ხორცპროდუქტს, რომელიც შესაძლოა მივიღოთ ქათმისგან. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ ქართულ, ხარისხიან პროდუქციას. ხარისხის გარანტი კი ჩვენთვის არის როგორც თანამედ-

როვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სანარმო, რომელსაც ამიერკავკასიაში ანალოგი არ ჰყავს, ასევე დისტრიბუცია, რომელიც ყველა აუცილებელი პარამეტრის დაცვით ხორციელდება,“ – ამბობს ზურაბ ჭუჭულაშვილი.

ამ შემთხვევაში კორესპონდენციისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისება თუ ხასიათი იხსნება და ადგილი აქვს ფაქტის ახსნას, მისი მნიშვნელობის განსაზღვრასა და განვითარების პროგნოზს. როდესაც საუბარია „კოდას“ მიერ წარმოებულ ხარისხიან პროდუქციაზე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სანარმოზე, რომელსაც ამიერკავკასიაში ანალოგი არ აქვს და დისტრიბუციაზე, რომელიც ყველა აუცილებელი პარამეტრის დაცვით ხორციელდება. ამ შემთხვევაში კორესპონდენციის ავტორი იყენებს შემეცნების თეორიულ მეთოდებს: ანალიზს, სინთეზს, ინდუქციას (ინტუიცია, საგანთა უშუალო ცოდნა. მიმართულია კერძოდან ზოგადისაკენ და არსებითად მოპოვებული ცოდნის განზოგადებას ეწევა). ყველა ამ მეთოდთა ერთგვარი თავმოყრა არ ქმნის ხელოვნურობის შთაბეჭდილებას, პირიქით პუბლიკაციის შინაარსი მეტ დამაჯერებლობასა და ეფექტს იძენს.

„კოდას“ პროდუქციის დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით სპეციალური, სამაცივრე დანადგარით აღჭურვილი ავტომობილებით ხდება, რომელიც კომპანიამ სწორედ ამ დანიშნულებით ჰოლანდიაში შეიძინა. შესაბამისად, როდესაც მომხმარებელი „კოდას“ ხორცპროდუქტებს ყიდულობს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სანარმოდან მისი ტრანსპორტირება ისე მოხდა, რომ პროდუქციის შენახვის არც ერთი ნორმა არ დარღვეულა. ბოლო დროს, გლობალური თუ შიდა მიზეზების გამო, სამომხმარებლო ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. „კოდაში“ ამბობენ, რომ ყველა ლონეს ხმარობენ, რათა ძველი ფასები შეინარჩუნონ და ამით მომხმარებელი ასარგებლონ. „ბოლო სამი წელია სასურსათო

კვერცხის ფასი ფაქტობრივად არ შეცვლილა და ეს იმის მიუხედავად, რომ სამომხმარებლო ბაზარზე თითქმის ყველა პროდუქციის ფასი გაიზარდა. ასეთი სტაბილური ფასი, როგორც სასურსათო კვერცხს აქვს, ვფიქრობ არც ერთ სხვა სასურსათო პროდუქტზე არ შეინიშნება. რაც შეეხება ქათმის ხორცპროდუქტების ბაზარს, აქ კონკურენციას იმპორტირებული პროდუქცია გვინევს, თუმცა მომხმარებელმა კარგად იცის რა უპირატესობა აქვს ადგილობრივად წარმოებულს“.

ზოგადად კორესპონდენციის მასშტაბურობა სივრცისა და დროის ერთიანობაში გამოიხატება, რაც ყველა ჟურნალისტური გვარისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ დროისა და სივრცის არათანაბრობა ანალიტიკურ ჟანრებთან მიმართებაში მეტად არაეფექტურია და პირიქით, ძალზე საზიანოც აღმოჩნდება თუკი დარღვეული იქნება ეს პირობა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება პროდუქციას, რომელიც ძალზე ოპტიმალურ დროში რეალიზებას გულისხმობს და არა მგონია ისედაც ერთი შეხედვით არ ჩანდეს ეს. პროდუქცია დახლებზე „ცოცხლად“ უნდა მიენოდებოდეს და რაც უფრო მოცულობითი იქნება, მით უკეთესი. „ეს გახლავთ, როგორც მისი შენახვის ვადები, ხარისხი და ზოგადად ადგილობრივი წარმოების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ამჟამად ქართული წარმოების ქათმის ხორცპროდუქტებს ადგილობრივი ბაზრის 25% უკავია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მოგვიმრავლდებიან კონკურენტები ბიზნესის ამ სეგმენტში და ისევე, როგორც კვერცხის შემთხვევაში იმპორტის ჩანაცვლება მთლიანად მოხდება ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორცპროდუქტებით. ჩვენი ქათამი თუ მისი დანაწევრებული ნაწილები, დაკვლიდან მეორე-მესამე დღეს აღწევს მომხმარებელამდე. ვფიქრობ, ამით ბევრი რამ ნათქვამია.“ – გვიყვება „კოდას“ ხელმძღვა-



ნელი. ცოტა ხნის წინ, კომპანია „კოდამ“ ადგილობრივ ბაზარზე ქათმის ნედლი ხორცი შეიტანა და რეალიზაციის მოცულობა დღეში დაახლოებით ტონა-ნახევრამდე გაზარდა, რაც მოკლე პერიოდში საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. კომპანიაში ამბობენ, რომ ადგილობრივი ბაზრის მონიტორინგს სისტემატურად ატარებენ, შესაბამისად სწავლობენ მომხმარებლის მოთხოვნებსა და ითვალისწინებენ მათ შენიშვნებს. შესაბამისად, „კოდას“ ყველა ახალი პროდუქტი მომხმარებლის მოთხოვნებსა და გემოვნებაზეა მორგებული. ამჟამად კომპანიაში ISO- 9001-ის სტანდარტების მიხედვით სერტიფიცირება მიმდინარეობს. ამ სერტიფიკატის მიღება კომპანიის მიმართ კიდევ უფრო გაზრდის სანდოობის ხარისხს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე“.

კორესპონდენციის ბოლო მონაკვეთში სწორედაც ფაქტის ახსნა, მისი მნიშვნელობის განსაზღვრა და განვითარების სამომავლო პროგნოზია. ეს კი საშუალებას აძლევს მკითხველს კიდევ ერთხელ დარწმუნდეს მოცემული კონკრეტული ფაქტის სიზუსტეში და თავად გააკეთოს დასკვნები: შეიძინოს და ერთგული მომხმარებელი გახდეს აღნიშნული პროდუქციისა თუ სხვა პროდუქციაზე გააკეთოს არჩევანი. „რაც შეეხება „კოდას“ სამომავლო გეგმებს, საწარმოში წარმოების მოცულობის და პროდუქციის ასორტიმენტის ზრდას გეგმავენ. შესაძლოა მოკლე ხანში მაღაზიის დახლებზე კომპანია „კოდას“ მიერ წარმოებული ნედლი ქათმის დანაწევრებული ნაწილებიც გამოჩნდეს. გარდა ამისა, ახლო მომავალში გაიზრდება „კოდას“ საფირმო მაღაზიების რაოდენობაც, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს დიდ ქალაქებში. მაგალითად, პირველ ეტაპზე იგეგმება მაღაზიების გახსნა რუსთავეში, ქუთაისსა და ბათუმში. ასე რომ, „კოდას“ პროდუქცია სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება საქართველოს ყველა კუთხის მომხმარებლისთვის“. ამ შემთხვევაში კორესპონდენციის ავტორი

პუბლიკაციაში გაშუქებულ ფაქტზე ისე მარტივად და ნათლად მსჯელობს და იძლევა სწორ შეფასება-დასკვნას, რომ ნათელი ხდება ფაქტის წარმომშობი მიზეზიც და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც. ასევე აშკარაა მხატვრული ელემენტების ნაკლებობა კორესპონდენციაში, მაგრამ ფაქტი და მასთან დაკავშირებული საკითხები გამლით, ვრცლად, ამომწურავად არის გაშუქებული. ეს კი უდავოდ ხელს უწყობს მასალის მკითხველამდე დაუბრკოლებლივ მისვლას. დასახელებული კორესპონდენცია ყურადღებას იქცევს გამოსახვის საშუალებებით. მასში მხატვრული ელემენტი, დიალოგი, მოხდენილი წინადადებები ჩვეულებრივი რამ არის. აქ მშრალად, დეპეშურად კი არაა წარმოდგენილი ფაქტი, არამედ ცოცხლად, დიალოგის გამოყენებით. ის, რაც ადგილს ვერ ჰპოვებდა ინფორმაციულ შენიშვნაში, სავსებით ბუნებრივად იქნა გამოყენებული კორესპონდენციაში. აზრთა გამოსახვის საშუალებები და ხერხებიც სხვადასხვანაირია. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან სწორედ მრავალფეროვნებაში, სიახლეში, ახალი ხერხებისა და საშუალებების ძიებაში ჩანს ყოველი კორესპონდენციის წარმატება.

**07-03-2011** – გაზეთი „კვირის პალიტრა“ პუბლიკაციიდან „პროექტი „უსაფრთხო და ჯანმრთელი სკოლა.“

„რამდენიმე თვის წინ საქართველოს განათლების სამინისტრომ სკოლებში პროექტი „უსაფრთხო და ჯანმრთელი სკოლა“ წამოიწყო. ბავშვებში მავნე ჩვევების აღმოსაფხვრელად, მათ არ უნდა ჰქონოდათ ჯიბეში ნაღდი ფული და სკოლის ტერიტორიაზე, ძირითადად სასადილოებსა და ბუფეტებში, ანგარიში მხოლოდ პლასტიკური ბარათებით უნდა გაესწორებინათ“. კორესპონდენციის დასაწყისში ავტორი საუბრობს თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში არსებულ პრობლემატიკაზე. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე წერილის ავტორი მსჯელობს საკმაოდ ცნობილ ფაქტზე, რომელზედაც საზოგადოებას გარკვეული წარმოდგენა აქვს და ამასთან უფრო მეტია ინტერესი იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი

იცოდნენ მის შესახებ. საქმე იმაშია, რომ დასაწყისშივე ნახსენები პლასტიკური ბარათების გამოყენების ერთგვარი „დაანონსება“ კიდევ უფრო მეტ ინტერესს სძენს აღნიშნულ საკითხს და ზრდის კიდევ მისდამი ინტერესს. „მოსწავლეთათვის პლასტიკურ ბარათებს რამდენიმე ბანკი გასცემდა. გეგმის თანახმად, ეს პროცესი წლეულს 1-ელ მარტამდე უნდა დასრულებულიყო. სწორედ ამ დროიდან, განათლების სამინისტროს დებულებით, სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში ნაღდი ფულით ანგარიშსწორება აიკრძალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს, სხვადასხვა მიზეზით, პლასტიკური ბარათი არ აუღია, ხოლო ვისაც აქვს, მისი გამოყენებისას პრობლემა ექმნება“. ჟურნალისტის მსჯელობა მეორე აზრადან თითქოს ერთგვარად სხვა თემაზე გადადის, მაგრამ სწორედ ეს არის მკითხველის დაინტერესების მნიშვნელოვანი ფაქტორი, როდესაც იგივე საბანკო სექტორისადმი აქტუალური ინტერესი საზოგადოებისა დღითი დღე იზრდება და ეს ყველაფერი რეალური ცხოვრებისეული პრობლემატიკის მნიშვნელოვანი ნიმუშია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ დღეს თითქმის ყველა ოჯახი ერთგვარად „ვალშია“ ქვეყანაში არსებული ბანკებისადმი, მკითხველი აქ ერთბაშად შეეცდება კიდევ დაძაბოს ყურადღება, რაიმე მათთვის სასარგებლო, ახალი და დამაიმედებელი ეგებ ხომ არ გამოჩნდება რამე. „სკოლების საბარათე სისტემაზე გადასვლამ პრობლემები შეუქმნა მენარმეებს, რომლებსაც სკოლის ბუფეტები იჯარით ჰქონდათ აღებული და კვების პროდუქტებით ვაჭრობდნენ. რამდენიმე იძულებული გახდა, კვების ობიექტი დაეხურა, ამ საფრთხის წინაშე სხვებიც დგანან“. ამ პატარა აზრადმი ავტორს სურს მკითხველი საზოგადოების ერთი კონკრეტული ფაქტით დაინტერესება. ამ მიზნით ის აკეთებს ერთგვარ წინსწრებას მოვლენებისადმი და ხაზს უსვამს ძალზე საინტერესო პროცესს იმის თაობაზე, რომ სკოლების საბარათე სისტემაზე გადასვლა პრობლემას უქმნის მენარმე-

ებს, რომ ბევრს დაეხურა კვების ობიექტი. „ ცოტა ხნის წინ“ ეკოპალიტრას“ ერთ-ერთი ასეთი მენარმე დაუკავშირდა, ტელეფონით საუბარს მოერიდა და რედაქციაში გვესტუმრა. „გთხოვთ, ჩემი ანონიმურობა დაცული იყოს, რადგან რასაც გეტყვით, იმის გამო შესაძლოა პრობლემები შემექნას. სხვათა შორის, აქ მოსვლა გაზეთ „ეკოპალიტრის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ „არა ბიზნესმენ ჰკლა...“ გადამწყვეტინა, სადაც სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორზე ზენოლაზე იყო საუბარი. დღეს ასეთ წნეხს მსხვილ ბიზნესთან ერთად, მცირე და საშუალო ბიზნესიც განიცდის. შარშან ნოემბერში დავინტერესდი, ჰქონდა თუ არა ყველა სკოლას მონყობილი სასადილო, მოვიპოვე სკოლების ცნობარი და ყველა სკოლის ხელმძღვანელს პირადად დაუკავშირდი. სადაც ბუფეტი არ მოქმედებდა და დირექციას სურვილი ჰქონდა, სკოლის ტერიტორიაზე კვების ობიექტს ემუშავა, მარტივი პროცედურის მიხედვით გავაფორმე საიჯარო ხელშეკრულება, ინვენტარი შევიტანე და მუშაობა დავიწყე. კვების ობიექტები თბილისის 17 სკოლაში გავხსენი და 50 ადამიანი დავასაქმე. გავაფორმე ხელშეკრულებები გამაგრილებელი სასმელებისა და ტკბილეულის დისტრიბუტორებთან, მოკლედ, საქმე ავანყვე. წლეულს 1-ელ მარტამდე გვექონდა უფლება, პლასტიკურ ბარათებთან ერთად, ნაღდი ანგარიშსწორებითაც გვევაჭრა, მას შემდეგ კი მოსწავლეებისგან ფულის მიღებას კატეგორიულად გვიკრძალავენ. ამ აკრძალვას მომზადებული შევხვდი, ბანკებისგან ტერმინალები ვიქირავე, ყოველი სკოლის ბუფეტში საშუალოდ ორი ტერმინალი დავამონტაჟე. თითო ტერმინალზე თვეში 30 ლარი მაქვს გადასახდელი, ბრუნვიდანაც 0,01% ბანკს რჩება“. კორესპონდენციაში ფაქტის ანალიზი, მასზე მსჯელობა, პუბლიცისტური, პირდაპირი და ამკარაა და არა მიხვეულ-მოხვეული ან ბუნდოვანი. სწორი და

პირდაპირი გზით მიდის მკითხველი სასურველ დასკვნამდე. ამ შემთხვევაშიც კორესპონდენციის მიზანი მომხდარი ფაქტისა თუ მოვლენის შესახებ საფუძვლიანი ცოდნის მიწოდებაა. ეს ყოველივე ავტორის „ცოცხალ“ დაკვირვებას, მომხდარი ფაქტის შესახებ სრულ წარმოდგენასა და აქედან ცოტათი „შეკვეცილი“ ფორმით მოვლენის გადმოცემას ეყრდნობა. „განათლების სამინისტროს აკრძალვას მართალია, მომზადებული შევხვდი, მაგრამ რად გინდა – აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ბარათი. ერთ-ერთ სკოლაში, სადაც 700 მოსწავლეა, ბარათი მხოლოდ ხუთს აღმოაჩინდა. არც ერთს არ ახსოვდა ბარათის პინკოდი და მათი მომსახურება შეუძლებელი გახდა. სკოლის სრული გაბარათიანების შემთხვევაში სასაღილომ რომ გამართულად იმუშაოს და ყველა მოსწავლეს დროულად მოემსახუროს, სულ ცოტა, 7-8 ტერმინალია საჭირო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველ ტერმინალთან საჭიროა თითო გამყიდველი და შესაბამისი ხელფასი. პლასტიკურ ბარათებზე სკოლის ბუფეტში ვაჭრობა კი იმდენად ხანგრძლივი და მოუხერხებელი პროცესია, რომ დასვენების განმავლობაში 20 ბავშვზე მეტს ვერ ვემსახურებით. წარმოიდგინეთ, მოსწავლემ უნდა მოგვანოდოს ბარათი, რომელიც უნდა გავატაროთ ტერმინალზე, მივუთითოთ პინკოდი, შემდეგ გვითხრას, რას შეიძენს, ტერმინალზე აკრიფოთ მის მიერ მითითებული პროდუქციის ღირებულება, მივუთითოთ დადასტურება და ამის შემდეგ დაველოდოთ ჩეკის ამორცემას. ბავშვებს ხშირად ავინყდებათ ბარათის პინკოდი, ეშლებათ და სამჯერ მცდარი კოდის აკრეფის შემდეგ ბარათი იბლოკება“. „...ვაჭრობის შემცირების შემდეგ, გამაგრილებელი სასმელებისა და ტკბილეულის დისტრიბუტორებს ახალ შეკვეთებს ველარ ვაძლევ და ამის გამო ხელშეკრულების გაუქმებით მემუქრებიან. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც რამდენიმე სკოლაში პლასტიკური ბარათების პროგრამა

ამოქმედდა, ამან ისეთი უარყოფითი გავლენა იქონია სკოლებზე, რომ 17 ობიექტიდან შვიდი დავხურე და 28 ადამიანი დავითხოვე. ვფიქრობ, თუ ასე გაგრძელდა, დანარჩენი ობიექტებიც იმავე ბედს გაიზიარებენ. ის ბავშვები, ვისაც პლასტიკური ბარათები არ აქვთ, ცდილობენ, როგორმე სკოლის შენობიდან გააღწიონ და საჭმელი გარეთ შეიძინონ. ამ პრობლემასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურს მივმართე, სადაც მიპასუხეს, რომ თუ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას სალარო აპარატს ვიყენებ, კანონს არ ვარღვევ(!) განათლების სამინისტროში კი მიპასუხოვნ, რომ ნაღდი ფულის მიღება მეკრძალება. რა გამოდის – განათლების სამინისტროს დებულება საგადასახადო კოდექსს ეწინააღმდეგება?“

ამ აბზაცის მთავარი ღერძი ფაქტის ირგვლივ ტრიალებს და, სწორედ, ეს არის მნიშვნელოვანი, რადგან ავტორი მიზნად ისახავს მკითხველისათვის თვით ფაქტის ჩვენებას, რათა მისი საშუალებით უფრო მეტად დააფიქროს მკითხველი პრობლემის ამ ერთ „დეტალზე“, გააზრებინოს ის, განაზოგადებინოს და გამოატანინოს შესაბამისი დასკვნები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მობილიზებას მიმდინარე პროცესებში მისივე აქტიური ჩართვის მიზნით. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს კორესპონდენციის ერთი მთლიანი მოცემულობიდან კონკრეტული ფაქტის გამოყოფას, ახსნას, მისი მნიშვნელობის განსაზღვრასა და განვითარების პროგნოზს. „...ყველა სავაჭრო ობიექტში მომხმარებელს არჩევანი აქვს – ფული ნაღდი ანგარიშსწორებით გადაიხადოს თუ უნაღდოთი. სკოლის ბუფეტები გამონაკლისი აღმოჩნდა. გარდა ამისა, სოციალური ფონიდან გამომდინარე, მშობელთა უმეტესობას არ აქვს შესაძლებლობა, რომ შვილს ერთბაშად 20 ლარი დაურიცხოს ბარათზე, მაგრამ შეუძლია მისთვის ყოველ დღე თითო ლარი გამოეყოს. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სახელმწიფო მოხელეების უგუნური თუ მიზანმიმართული ქმედებების გამო, სა-

ქართველოში ბიზნესის კიდევ ერთი მცირე სეგმენტი აღმოჩნდა დახურვის საფრთხის ქვეშ. ჩემს მდგომარეობაში არიან ჩემი კოლეგები და მათი სახელითაც გესაუბრებით. გარდა ამისა, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სკოლებიდან მცირე მენარმეების განდევნა მიზანმიმართულად მოხდა და ამ სექტორის მონოპოლიზებას ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესი აპირებს“, – გვითხრა ერთ-ერთმა მენარმემ. „ეკოპალიტრა“ და „TV პალიტრის“ გადამღები ჯგუფი თბილისის №161-ე სკოლას ესტუმრა, რათა თავად შეგვეფასებინა ის ვითარება, რის შესახებაც ჩვენი რესპონდენტი საუბრობდა. როგორც გავარკვიეთ, დღეს სკოლაში „ლიბერთი ბანკის“ პლასტიკური ბარათები მოქმედებს, თუმცა მანამდე მოსწავლეები „ტაოპრივატბანკის“ ბარათებით სარგებლობდნენ. ისიც შევიტყვეთ, რომ ამ უკანასკნელის ბარათები ხშირად იბლოკებოდა, რაც მოუხერხებელი იყო და ამიტომ მათი შეცვლა კონკურენტი ბანკის ბარათებით გადაწყდა“. ფაქტების სიუხვე, რომელიც შექმნილი სიტუაციის უკეთ წარმოჩენისა და ჩვენებისათვის წარმოადგინა კორესპონდენციის ავტორმა, ამ შემთხვევაში ერთმანეთს ავსებენ, იძლევიან სიტუაციის მარტივად შეფასების საშუალებას. არც ერთი ფაქტი აქ არ არის ხელოვნური ან ყურით მოთრეული სიტუაციის დასამძიმებლად. პირიქით, ამ შემთხვევაში ფაქტთა სიმრავლე სწორედაც ემსახურება სიტუაციიდან გამოსავლის საუკეთესო ვარიანტის ძიებას. ჟურნალისტის ამოცანაა დაანახოს საზოგადოებას რეალობა და აპოვინოს გზები: რა და როგორ ჯობია, რომ იყოს უფრო უკეთ, ვიდრე არის. ეს არ არის მხოლოდ უბრალოდ ფაქტის ახსნა, არამედ აქ ჩანს ფაქტის მნიშვნელობის განსაზღვრა და იკვეთება ერთგვარი პროგნოზიც, თუ რა იქნება ხვალ ან სამომავლოდ. „განათლების სამინისტროში ასევე ირწმუნებიან, რომ სასკოლო სასაბუღალტრო ნაღდი ფულით ანგარიშსწორება დღესაც მიმდინარეობს, ხოლო პლასტიკური

ბარათების დარიგების პროცესი 2011 წლის ბოლომდე გაგრძელდება“. ეკოპალიტრამ“ კიდევ რამდენიმე სკოლაში გადაამონმა ინფორმაცია განათლების სამინისტროს ახალი აკრძალვის შესახებ და ყველგან დაგვიდასტურეს, რომ სასკოლო სასაბილოებში ნაღდი ფული არ ბრუნავს და ვითარებას მანდატურის სამსახურთან ერთად სკოლის დირექციაც მკაცრად აკონტროლებს“. საგაზეთო მასალის ბოლო მონაკვეთში ავტორი კვლავ აგრძელებს დამაჯერებელ არგუმენტაციას დასმული პრობლემის ირგვლივ და კიდევ ერთხელ ცდილობს ფაქტის ახსნას, მნიშვნელობის განსაზღვრას, რაც ეხმარება მკითხველს თავად გამოიტანოს დასკვნები და განავითაროს სამომავლო პროგნოზი. ეს არის საუკეთესო საშუალება მკითხველის დასარწმუნებლად კონკრეტულ შემთხვევაში. კორესპონდენციის ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ასევე წარმოდგენილი ფაქტების სიუხვე და მათი წარმოჩინების უნარი, რომლებიც თავად ლაპარაკობენ და მეტყველებენ არა იმიტომ, რომ ვინმე მოატყუონ, შეცდომაში შეიყვანონ, არამედ ეძებონ, აჩვენონ და იპოვონ საუკეთესო გამოსავალი.

### **ლიტერატურა:**

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989
2. ნ.ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, წიგნი I, თბ.2011, გვ.38
3. თ.მალალურაძე, თანამედროვე პუბლიცისტიკური ჟანრების თავისებურებანი, თბ.2009, გვ.66
4. გაზეთი „კვირის პალიტრა“-07-03-2011
5. გაზეთი „კვირის პალიტრა“-07-03-2011



## X

### სტატია

სტატია, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილტანიანი და მოცულობითი ჟურნალისტური ჟანრია, რომელიც ძალზე საინტერესოდ, ფართოდ და მასშტაბურად ავლენს და აანალიზებს საზოგადოებისათვის აქტუალურ, მნიშვნელოვან, გახმაურებულ თუ გაუხმაურებელ ფაქტებს, მოვლენებსა და პროცესებს, ხსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მომხდარ სინამდვილეზე, აზუსტებს კონკრეტულ დეტალებს, იკვლევს სხვადასხვა გარემოებებს, აკვირდება სიტუაციას ამა თუ იმ მომხდარ თუ მოსალოდნელ სავარაუდო ფაქტთან მიმართებაში და საბოლოოდ აკეთებს ყოვლისმომცველ დასკვნებს, განაზოგადებს მას, იძლევა პროგნოზებს, გათვლებს მოსალოდნელი, შესაძლო განვითარებისა სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომაც, ანალიტიკური სტატია, როგორც ჟანრი, რთულია თავისი სპეციფიკით. იგი დიდ შრომასა და ენერგიასთან ერთად საჭიროებს სერიოზულ გამოცდილებას ჟურნალისტის მხრიდან, რაც გამოიხატება კონკრეტული ფაქტისა თუ მოვლენის ღრმა და საფუძვლიან შესწავლასა და გაცნობიერებაში, ერთმანეთთან შეჯერებაში, ექსპერტების აზრების მოშველიებაში, ლოგიკური გადმოცემის თანამიმდევრობაში, დასკვნის გამოტანის სისწორეში, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობაში. „ჟურნალისტებს უნევთ მუშაობა საზოგადოებისათვის, რომელსაც სულ უფრო მეტად აინტერესებს მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების ყველა შესაძლო ასპექტი. შედეგად მივიღეთ ჟურნალისტიკა, რომელიც სცდება მომხდარის ფაქტობრივი ანგარიშის ფარგლებს. ჟურნალისტებისაგან ითხოვენ, რომ ისინი მოუყვნენ მკითხველებს, მსმენელებს და მაყურებლებს, რა როგორ და რატომ მოხდა. ილაპარაკონ მოვლენის მიზეზებსა და შედეგებზე“ (1-1). „სტატია ძირითადი ჟურნალისტური ჟანრია, რომე-

ლიც უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და წარმართვაში“(2-1). შეიძლება ითქვას, ობიექტურობა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, ბალანსი, „სიტყვის თქმის ჟამის ცოდნა“ არც ერთ ჟურნალისტურ ჟანრს ისე არ მოეთხოვება, როგორც სტატიას. სტატიის წარმოშობას უკავშირებენ ცხოვრების განვითარების იმ პერიოდს, როცა საზოგადოებრივი აზროვნება კმაყოფილდებოდა მხოლოდ მოვლენების პასიური ჭვრეტით და არა ანალიზით. როდესაც დაიწყო მსჯელობა, დაპირისპირება, კამათი ცხოვრებაში მიმდინარე რიგ ფაქტებთან, მოვლენებთან, პროცესებთან დაკავშირებით, როდესაც წარმოიშვა აზრთა და შეხედულებათა სხვადასხვაობა ცალკეულ კონკრეტულ ქცევასაქმიანობასთან მიმართებაში, აუცილებელი გახდა ახსნა საქმის მთელი არსისა მისი წარმომშობი ყოვლისმომცველი მიზეზების გათვალისწინებით. ამდენად საჭირო გახდა იმ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებათა ჩვენება, რომელთაც სხვადასხვა ეტაპზე ხელი შეუწყვეს კონკრეტული ფაქტების წარმომშობ მიზეზთა გაჩენის აუცილებლობას, რომელთაც თავის მხრივ განაპირობეს ამა თუ იმ მოვლენისა და სიტუაციის იმდაგვარად განვითარება, რომელიც მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს (ან წარმოადგენდა) საზოგადოებისათვის. საზოგადოებაში საფუძვლიანი, სიღრმისეული, არგუმენტირებული, დოკუმენტურად დადასტურებული და დასაბუთებული, დამაჯერებელი მსჯელობა-აღწერა შემდგომ ანალიზურ სტატიაში გადაიზარდა და მეტად საინტერესო ჟურნალისტური ჟანრის სახე მიიღო. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, გამოსახვის ამგვარი ფორმისა და საშუალების გარეშე ჟურნალისტიკა ძალზედ ღარიბი და ერთობ „უსუსურიც“ კი იქნებოდა საზოგადოებრივი აზრის შექმნის, საზოგადოებაში ანალიტური აზროვნების ჩამოყალიბების, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზაზე ადამიანებში პასუხისმგებლობის გრძნობის დამკვიდრებისა და ამალღების საქმეში, რაც ჟურნალისტიკას ბუნებრივად ეკის-

რება ადამიანური ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. „საზოგადოებრივი აზრის ქვეშ ჩვეულებრივ ესმით ადამიანთა თვალსაზრისების ერთობლიობა იმ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. საზოგადოებრივი აზრი კონკრეტული საკითხის მიმართ ინდივიდთა შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და წარმოდგენების ერთობლიობაა, რომელსაც იზიარებს საზოგადოების დიდი ნაწილი. მთლიანობაში, საზოგადოებრივი აზრის როგორც სოციალური ინტერესების პრეზენტაციის მდგრადი პოლიტიკური მექანიზმის ჩამოყალიბება არის დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარების შედეგი“ (3-1). სტატიის ასახვის საგანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა სახის ამბები, მოვლენები და პროცესებია. მას ყურადღების გარეშე არ რჩება ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მომენტები, რომელთაც შეუძლიათ დიდი რეზონანსის გამოწვევა, განსაკუთრებული დაინტერესება მასებისა. სტატია არა მხოლოდ გააცნობს, არამედ ნათელ წარმოდგენას უქმნის საზოგადოებას და სიცხადე შეაქვს ყველა იმ კონკრეტულ მტკივნეულ საკითხსა თუ პრობლემებზე, რაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი, საყურადღებო და განსაკუთრებულია. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გვაქვს იშვიათად ურთიერთგამომრიცხველი, მაგრამ ხშირად განსხვავებული შეხედულებები და მიდგომები სხვადასხვა თეორეტიკოსთა მიერ. ვერავინ უარყოფს იმ აზრს, რომ სტატიაში ძლიერია სუბიექტური აზრი, მასში ჟურნალისტის პოზიცია ყოველთვის დომინირებს და აქედან გამომდინარე, საჭიროა საკუთარი, პირადი შეხედულება, დამოკიდებულება საკითხისადმი არ გადაიზარდოს ტენდენციურ დამოკიდებულებაში, მიკერძოებაში, ანგარებაში. ჟურნალისტი ამ შემთხვევაში მართალია საკუთარ პოზიციას ავლენს, ამჟღავნებს და გამოხატავს კიდევ, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მისი პირადი აზრი, ეს პირველ რიგში სინამდვილეა, სიტუაცი-

ის მიერ ნაკარნახევი რეალობაა, ობიექტური ქეშმარიტებაა, და ის ისე წარმოჩინდება, როგორც სინამდვილეშია და რომელსაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ზუსტად ისე გაიგებს, როგორც ამას ჟურნალისტი მიაწვდის.

სტატიის თემატიკა, როგორც აღვნიშნეთ, პრაქტიკულად არ ისაზღვრება. ის ეხება ცხოვრებაში არსებულ ყველა ფაქტსა და მოვლენას, რომელსაც საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად რაიმე ღირებულება გააჩნია: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკოლოგიური, ჯანდაცვის, სპორტული და ა.შ. სტატიის ამოცანაა გულწრფელი, მიუკერძოებელი გამოკვლევა და ანალიზი ფაქტისა იმ მიზნით, რომ გამოავლინოს მისი წარმომშობი მიზეზი, სათავე, ის მექანიზმი, რომელმაც მოქმედების ძალა შესძინა აღნიშნულ პრობლემას. ჟურნალისტი კონკრეტულ სინამდვილეზე საუბრისას თავად წყვეტს სტატიის საშუალებით გამოავლინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე სტატია იძლევა შეფასებას ამბებისა და მოვლენებისა, ასევე წარმოგვიდგენს საგნის განზოგადებულ დახასიათებას. ანალიტიკური სტატია არ გაურბის პროგნოზირებას, ვარიანტებისა და ვერსიების აგებას, მოვლენების შესაძლო განვითარების ჟურნალისტურ გადანყვეტას. ანალიტიკური სტატიისათვის მნიშვნელოვანია სივრცესა და დროში ძალიან ფართოდ გაშლა, ყოვლისმომცველობა, რაც შესაძლებლობას იძლევა დასკვნებისა და შეხედულებების ფართოდ და მრავალმნიშვნელოვნად განზოგადებისა. „ანალიტიკური ჟანრების ამოცანაა არა იმდენად გაცნობა-შეტყობინება, რამდენადაც ჩხრეკა-ანალიზი, ობიექტის არსში ნვდომა და გარკვეული კანონზომიერების დადგენა, ჩვენება არა მხოლოდ იმისა, რაც არის და როგორიცაა, არამედ რატომ არის ასეთი, როგორ შეიძლება მისი პოპულარიზაცია ან აღკვეთა“ (4-1). ანალიზურ სტატიაზე მუშაობისას ავტორები ძირითადად ეყრდნობიან თეორიულ თვალსაზრისს ყველა მიმართულებით, რადგანაც ისინი თავიდან ბოლომდე საკუთარ

ცოდნასა და გამოცდილებას იშველიებენ, აზუსტებენ წყაროებისგან მიწოდებულ ინფორმაციას, ცდილობენ ბოლომდე გაანალიზონ თითოეული წვრილმანიც კი. ანალიტურ ტექსტებზე მუშაობისას არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აკისრია ემპირიულ მეთოდსაც, რომელიც რეალობის შემეცნებისა და მის შესახებ მსჯელობის ერთადერთ კრიტერიუმად და წყაროდ გამოცდილებას ასახელებს. ემპირიზმი ფაქტების, დეტალების, შემეცნებითი და ნებელობითი ფენომენების, ანუ ზოგადად ფსიქიკური პროცესების ფილოსოფიაა. ამდენად ჟურნალისტიკის პირადი შესაძლებლობები-ფილოსოფიური სივრცის, ფსიქოლოგიური სიღრმისა და დიპლომატიური ნიჭის წვდომის უნარი განსაკუთრებით ფასეულია ანალიტურ ტექსტებზე მუშაობის პროცესში. ტექსტის კომპოზიცია – აგებულება შეესაბამება სათქმელის შინაარსს. შესაბამისად ავტორის ენა, თავისი შემადგენელი ძირითადი ელემენტებით, სტრუქტურით, ასპექტებით, მთლიანი ლექსიკური მარაგით, წარმოადგენს ლოგიკურ, თანამიმდევრულ, ავტორისეული სათქმელისა თუ შეხედულების ძირითად შინაარსს, აზრს, არსს, რომლის საბოლოოდ ფორმალურ-სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბება ბევრადაა დამოკიდებული სინამდვილით ნაკარნახევ სიტუაციასა და რეალურ სინამდვილეზე, რომლის საფუძველზედაც ავსებენ სწორედ ისინი ერთმანეთს.

### **ლიტერატურა:**

1. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, მე-12 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ.241
2. თ.მალალურაძე, თანამედროვე პუბლიცისტიკური ჟანრების თავისებურებანი, თბ. 2009, გვ.75
3. საზოგადოებრივი აზრი, მ. მაცაბერიძე, სალექციო კურსი: პოლიტიკური კომუნიკაცია, თემა 11. თბ. 2014, გვ.4
4. ნ.ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, წიგნი I, თბ.2011, გვ. 38

განვიხილავთ სტატიის სამ სახეს: სარედაქციო,  
პროპაგანდისტული, პრობლემატური

## სარედაქციო

სარედაქციო (მონინავე) სტატიას წერს პირველი პირი (ამა თუ იმ მედიასაშუალებათა ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი. ეს შესაძლოა იყოს რედაქტორი, რომელიც უშუალო გამხმოვანებელია დამფუძნებლის ინტერესებისა. ასეთ დროს არაა გამორიცხული თავად დამფუძნებელიც კი ჩაერთოს პროცესებში და თავადვე გამოხატოს პირადი განწყობა თუ დამოკიდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტებთან, მოვლენებთან, პროცესებთან მიმართებაში, დაასაბუთოს პირადი მოსაზრება და ამით დაამტკიცოს თავისი საკუთარი სამართლიანი დამოკიდებულება ან უპირატესობა სხვა განსხვავებულ მიდგომასთან თუ მიდგომებთან მიმართებაში ერთსა და იმავე საკითხზე. თუმცა „ტიპური მედიამომხმარებლის შეზღუდული უნარი, გაიხსენოს ინფორმაციული ნაკადის უდიდესი ნაწილი, საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მასზე შეტყობინების ნაკადის ზემოქმედება არც თუ ისე დიდია. სისტემატური კვლევების შედეგები არ ადასტურებენ, რომ მედია ნამდვილად უბიძგებს ადამიანებს, შეიძინონ საქონელი, რომელიც მათ არ სჭირდებათ, არსებითად შეიცვალონ თავიანთი მრწამსი, ან ხმა მისცენ ძალიან რეკლამირებულ პოლიტიკურ კანდიდატებს”(1-1). თემატური თვალსაზრისით საკითხთა მრავალფეროვნება და შესაბამისად მნიშვნელოვნებაც უშუალოდ გამომდინარეობს იმ კონკრეტული სიტუაციიდან და რეალობიდან, რომელსაც თავად ვითარება და გარემოება კარნახობს აუდიტორიას კონკრეტულ დროსა და სივრცეში. ამიტომაც ამ მიმართულებით ყოველთვის ვითარება რეალობის კვალდაკვალ წარიმართება ხოლმე. სარედაქციო მონინავის პათოსი აქტუალურია და მტკიც-

ნეული, პირდაპირია და ხშირად მკაცრი და დაუფარავიც. ავტორი ცდილობს საჯარო გახადოს, მსჯელობისა და დისკუსიის საგნად აქციოს და სინათლე შეიტანოს კონკრეტულ პრობლემატიკაში, რომლის გადაჭრა თუ გადაწყვეტაც დღის წესრიგში ან ახლა დადგა, ან კიდევ დიდი ხანია გადაწყვეტის მოლოდინშია. სარედაქციო მონინავე, რომელსაც ქმნის პირველი პირი, ან მისი დავალებით სხვა ვინმე, ის მაინც პირველი პირის სახელით ლაპარაკობს, მსჯელობს, აკეთებს დასკვნებს, წარმოადგენს ლოგიკურ კავშირს, უფრო სწორად აჩვენებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს რეალობასა და მომხდარს შორის. ვიმეორებთ, საკითხი ეხება აქტუალურ, მტკივნეულ, საჭირობოტო და მნიშვნელოვან თემას, რომელსაც გამოკვეთილი ოფიციალური პოზიცია გააჩნია ამა თუ იმ იდეის, პოზიციის გარშემო. როგორც მიღებულია, ამგვარი მასალა გაზეთის პირველი გვერდიდან იწყება და ის ხსნის ნომერს ფაქტიურად. დღეისათვის მსგავსი პუბლიკაციები გამომხატველია ცალკეულ სხვადასხვა პარტიათა იდეოლოგიისა თუ პოზიციისა. უნდა ითქვას, რომ მსგავსი ხასიათის ჟურნალისტური ტექსტები არც თუ ხშირად გვხვდება თანამედროვე მედიასივრცეში. ამასთან ყოველი მონინავე ანუ სარედაქციო იმ პოლიტიკის გამხმოვანებელია, რომლის უკანაც დგას ესა თუ ის პარტია ან პოლიტიკური გაერთიანება. ამდენად ამ მიმართულებით ცოტათი რთულადაა საქმე, რადგანაც იმდენად გადაიხლართა ერთმანეთში შეხედულებები ცალკეული პარტიებისა თუ მათი იდეოლოგიებისა, ერთგვარად ჭირს მტყუნ-მართლის გარკვევა. საბჭოთა დროში ასეთ სტატიებს ეწოდებოდა „ღირექტივა“, თუნდაც „მთავარი“ ან „მნიშვნელოვანი“ და როგორც მიღებული იყო, მას გაზეთის პირველივე გვერდზე, პირველივე სვეტში ბეჭდავდნენ. სამაუწყებლო მედიაში კი ჩვეულებრივ წამყვანი პირველივე წუთიდან მსგავსი ხასიათის ინფორმაციას აანონსებს და აწვდის საზოგადოებას. მონინავის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ მას აუცილებლად ეცნობა საზოგადოების კრიტიკული ნაწილი და მის შესაბამის

რეაქციას ყოველთვის ამჟღავნებს კიდეც. მართალია ეს რეაქცია შესაძლოა არ იყოს ყოველთვის ღიად გაცხადებული, მაგრამ მისდამი შესაბამისი დამოკიდებულება ყოველთვის გამოიხატება ხოლმე. საზოგადოებრივი აზრიც ყოველთვის ადექვატურად მოძრაობს. გაზეთი „კვირის პალიტრა“-05-05-2014, პუბლიკაციიდან „სკანდალური კიბერდანაშაული საქართველოს ლატარიის კომპანიაში! საბედისწერო 13, ანუ „ილბლიანი ლატარიის“ უიღბლო შედეგი.

საგაზეთო წერილში ვკითხულობთ: „შსს-ს განცხადებით, 2014 წლის 19 აპრილს „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“ კიბერდანაშაულის ჩადენის და ჯგუფური თაღლითობის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. საქმე ეხება 2014 წლის 18 აპრილს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ მორიგი გათამაშებისას მომხდარ ფაქტს.

ამონარიდი შსს-ს განცხადებიდან: „დაახლოებით 20 საათსა და 45 წუთზე მოქალაქე დავით იაშვილმა, რომელსაც სამსახურებრივად ევალებოდა შპს „საქართველოს ფოსტისა“ და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება, დანაშაულის ჩადენა განიზრახა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ რიგით 444-ე გათამაშების პირველი კატეგორიის პრიზის მომგებიანი ციფრები – 5, 9, 15, 19, 30, 32 – ისარგებლა სამსახურებრივი მდგომარეობით (შეუფერხებელი წვდომა ჰქონდა შესაბამის სერვერთან) და ხელოვნურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეცვალა კომპიუტერული მონაცემი, შექმნა უნიკალური კოდის მქონე ლოტოს მომგებიანი ყალბი ბილეთი, რომელშიც მითითებული იყო ზემოაღნიშნული ციფრები“. ბილეთის ქსელში დარეგისტრირე – ბისთანავე პირველი საპრიზო კატეგორია – ჯეკპოტი 561 176 ლარის ოდენობით, გათამაშებულად გამოცხადდა, თუმცა, სამართალდამცველთა თქმით, იაშვილმა თანხის თაღლითურად დაუფლების განზრახვა სისრულეში ვერ



მოიყვანა – იგი დააკავეს. შსს-ს ცნობით, დავით იაშვილი დანაშაულის ჩადენის დროს მოქალაქე სოფიო ყარალაშვილთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა. ლოტოს მომგებიანი ყალბი ბილეთი სოფიო ყარალაშვილმა 561 176 ლარის ოდენობით ჯეკპოტის თაღლითურად დაუფლებისთვის გამოიყენა. ორივეს ბრალი წარედგინა ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობის მცდელობისა და ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ჯგუფურად დამზადების გამო.

*„საქართველოს ლატარიის კომპანიის“ წარმომადგენელი სულხან ლაცაბიძე:* – გათამაშება დაიწყო 18 აპრილს, 20 საათსა და 40 წუთზე „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში. ლოტოტრონიდან ბურთების ჩამოყრა“ დაიწყო 20 საათსა და 41 წუთზე. მომგებიანი ექვსი ძირითადი და ერთი ბონუს რიცხვი გამოვლინდა 20 საათსა და 43 წუთზე. პროცედურის მიხედვით, 20 საათსა და 44 წუთზე დაიწყო გათამაშებაში გამარჯვებული ბილეთების იდენტიფიკაციისა და შესაბამისი საპრიზო თანხების განსაზღვრის პროცესი. ამისთვის ლოტოს ცენტრალურ ელექტრონულ სისტემაში შეგვყავს მომგებიანი რიცხვები. სწორედ ამ დროს, 20 საათსა და 44 წუთზე, უსაფრთხოების სისტემამ დააფიქსირა შეტყობინება მონაცემთა ბაზაში არასანქცირებული ცვლილების შესახებ, რამაც შეაფერხა გამარჯვებული ბილეთებისა და საპრიზო თანხების დადგენის პროცესი და პირდაპირი ეთერით ვერ მოესწრო გათამაშების შედეგების ცხრილის ჩვენება... 19 აპრილს ლატარიის კომპანიას ჰქონდა ინფორმაცია სისტემაში არასანქცირებული ცვლილების შესახებ, თუმცა, არ არსებობდა საფუძველი, ეჭვექვეშ დაგვეყენებინა ჯეკპოტის გათამაშება, სანამ შს სამინისტრო არ დაადასტურებდა, რომ ბილეთი გააყალბეს...

თემურ ზარქუა, პროფესორი, პროგრამირების მხარდაჭერის ასოციაციის პრეზიდენტი: „მონაცემთა ბაზის ადმინის-

ტრატორს შეუძლია, ნებისმიერი ცვლილება შეიტანოს ბაზაში, თუმცა, ყველა კორპორაციული სისტემა აღრიცხავს ამ სისტემაში შესრულებულ ქმედებებს, ამიტომ შეუძლებელია, ეს ქმედებები შეუმჩნეველი დარჩეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრატორმა დროებით გათიშა ამ ოპერაციათა აღრიცხვის რეჟიმი – გათიშვის ფაქტს სისტემა მაინც დააფიქსირებს. ასე რომ, სისტემაზე არასანქცირებული ზემოქმედების აღმოჩენა ძნელი არ არის და ადმინისტრატორისთვის ბრალდების წაყენების შემთხვევაში ამ ბრალდების დამტკიცება არ შეიძლება დისკუსიის საგანი იყოს. ამავდროულად, ახალი ბილეთის დამზადება და დარეგისტრირება სპეციფიკური ქმედებაა, რაც ვერ განხორციელდებოდა ამისთვის განკუთვნილი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების გარეშე (მით უფრო, ასე სწრაფად). ეს ართულებს გამყალბების მდგომარეობას და აიძულებს მას, საქმეში ჩართოს სათანადო ადგილას მომუშავე და ამ ფუნქციების შემსრულებელი პირი. გათამაშების დასრულების შემდეგ ახალი ბილეთის დამზადება და მისი ბაზაში დარეგისტრირება – თუკი ეს ნამდვილად მოხდა – მეტყველებს სისტემის სისუსტეზე და ცხადია, საეჭვო შეიძლება გახდეს ამ სისტემის მეშვეობით ჩატარებული ყველა წინა გათამაშების შედეგი...“ აღსანიშნავია, რომ ეს ლატარიის დაარსების დღიდან მე-13 გათამაშებული ჯეკპოტია. 2010 წლიდან 2013 წლის აპრილამდე ამ ლატარიის მხოლოდ ექვსი ჯეკპოტი გათამაშდა, 2013 წლის აპრილიდან დღემდე კი – უკვე შვიდი. ბოლო ერთი წლის განმავლობაში რატომღაც ჯეკპოტების გათამაშების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, თუმცა ეს შეიძლება დამთხვევაც იყოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატ ირმა ჭკადუას თქმით, შვიდი გათამაშებული ჯეკპოტიდან ხუთი თუ ექვსი ჯეკპოტის გათამაშებისას დავით იაშვილი „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“ არ მუშაობდა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ დავით იაშვილი „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“ აქამდეც

არსებული, ჯერჯერობით იდუმალებით მოცული მაქინაციების მსხვერპლია და ვილაც მისთვის დანაშაულის გადაბრალე-ბას ცდილობს.

სამართალდამცველებმა ირმა ქკადუა გააფრთხილეს და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მას ბევრი რამის თქმის უფლება არ აქვს, მაგრამ საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ დავით იაშვილი, რომელიც ლატარიის და-არსების დღიდან ამ კომპანიაში მუშაობდა, ცხრა თვის გან-მავლობაში სამსახურიდან წასული იყო და ლატარიის საბე-დისწერო გათამაშებამდე ორი კვირით ადრე კომპანიაში ხელ-მძღვანელობის თხოვნით დაბრუნდა.

– უცნაურია, გამოძიებამ ადვოკატები გაგვაფრთხილა, რომ საქმის დეტალები არ გავამჟღავნოთ, ამ დროს კი სასა-მართლო სხდომა ღია იყო და ბრალდების მხარემ წარმოად-გინა საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც უამრავმა ადამიანმა მოისმინა. თავის დროზე იაშვილს აღნიშნულ კომ-პანიაში ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდა. ორი ორგანიზაცი-ის საქმეს აკეთებდა და მხოლოდ ერთის ანაზღაურებას უხ-დიდნენ. იმის გამო, რომ ბევრი საკრედიტო ბარათი ჰქონდა და იპოთეკით დატვირთული მამისეული სახლის გადასარჩე-ნად ყოველთვიურად პროცენტებს იხდიდა, მოითხოვა, ხელ-ფასი მოემატებინათ, რაზეც უარი მიიღო. რა გაენწყობა, სხვა-გან გადავალ სამუშაოდო, უთქვამს, მაგრამ „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“ დამუქრებიან, ყველგან ხელს შეგიშ-ლითო. შეასრულეს კიდეც მუქარა. ამ ხნის განმავლობაში მუ-შაობა ვერსად დაიწყო, სხვადასხვა სამსახურის შემოთავაზე-ბებიც ჩაუშალეს. მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში მას დაუკავშირდა კომპანიის ხელმძღვანელობა და სთხოვეს უკან დაბრუნება. დავითმა კვლავ მოითხოვა ხელფასის მომატება. დაჰპირდნენ, რა თქმა უნდა, მოგიმატებთო და დავითიც დაბ-რუნდა. რის შემდეგაც აღმოაჩინა, რომ პროგრამაში ხარვეზე-

ბი იყო. მან ხელმძღვანელობა გააფრთხილა, თუ ზომებს არ მიიღებთ, შესაძლოა, პრობლემები შეიქმნასო, მაგრამ მისი ნათქვამი ყურად არ იღეს. 18 აპრილს, როდესაც ჯექსპოტი გათამაშდა, დავითი ჩვეულებისამებრ წავიდა შინ, მაგრამ მალევე მოაბრუნეს და სამართალდამცავებმა დააკავეს. სოფო ყარალაშვილს კი ჯერ დაუდასტურეს, რომ ჯექსპოტი მოიგო და საზეიმო ვითარებაში თანხის გადასაცემად დაიბარეს, შემდეგ კი მოდულის შენობაში გადაიყვანეს და ყველა წესის დარღვევით ჩამოართვეს ბილეთი, რომელიც მის თვალწინ არ დალუქეს. შესაბამის ოქმზე მას ხელი არ მოუწერია, ამიტომ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბილეთი გამოცვალეს. ამასთან, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და ეს ქალბატონი ერთმანეთს არ იცნობენ და როგორ უნდა ჰქონოდათ ორგანიზებული ჯგუფი?

– შსს-მ არ წარმოგიდგინათ მტკიცებულებები, რომ ისინი ერთმანეთს იცნობენ?!

– ჩვენ არ ვიცნობთ მტკიცებულებებს, რომლებიც ამ ადამიანების ნაცნობობას ადასტურებს. იმის გამო, რომ ამ კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელები არიან დავით კეზერაშვილი და ვანო მერაბიშვილი, დარწმუნებული ვარ, მეტიც, მაქვს ინფორმაცია, რომ უკრაინაში არსებობს დამატებითი სერვერი, რომლითაც კონტროლდება კომპანია და რომელიც, ალბათ, არ არის ცნობილი სამართალდამცველი ორგანოებისთვის. შესაძლოა, საქმე მართლაც გვაქვს ორგანიზებულ მაქინაციებთან, რითაც დღემდე ზარალდება კომპანია, რომელსაც ძალიან ბევრი მომხმარებელი ენდობოდა. ახლა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ლატარიის კომპანია მაქინაციებშია გარეული და არ აძლევს ქალბატონს მოგებულ თანხას, მისი რეიტინგი დაეცემა და შესაძლოა, გაკოტრების პირას მივიდეს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ეს ჩანაფიქრი თავად კომპანიასაც ჰქონდეს.

– რას გულისხმობთ?

– მაქვს ინფორმაცია, რომ ბოლო დროს კომპანიის დახურვის საკითხს განიხილავდნენ. ვიმეორებ, იქნებ მართლაც ხდებოდა რაღაც და ვილაცამ მოინდომა, მისი ქმედება სხვას გადაბრალებოდა, მაგალითად, დათო იაშვილს. საეჭვოა ისიც, რომ დათო პირველი ინსტანციის სასამართლომ გირაოთი გამოუშვა, მაგრამ ე.წ. მოსამართლე მანუჩარ კაპანაძის თანხმობით სააპელაციო სასამართლოს დარბაზიდან აიყვანეს... ეს მოსამართლე „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მანტიამი გადაცემული მონა იყო, მონა კი მონად რჩება. მას არ ჰქონდა ერთი არგუმენტიც კი, რომლის საფუძველზე იაშვილის წინასწარ პატიმრობაში აყვანა იყო აუცილებელი. ყველაფრის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ რაც ხდება, დადგმული სპექტაკლია.

მრავალი ეჭვი არსებობს და ისინი უნდა გაფანტოს გამოძიებამ, რათა არ დაჰბრალდეს, რომ ლატარიის კომპანიასთან შეთანხმებით მოქმედებს. საერთაშორისო წესების თანახმად, მსგავსი ტიპის სათამაშო ბიზნესი სათანადოდ არის დაცული. აქ რა ხდება, ვერ გავიგე?..

გამოძიების დასრულებამდე საქმის დეტალებზე საუბარი ეკრძალება სოფიო ყარალაშვილსაც. მას იმედი აქვს, რომ გამოძიება სამართლიანად ჩატარდება. ამასთან, ვერ ფარავს აღშფოთებას, რომ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობას აბრალებენ და ამის დამადასტურებელი საბუთი არ აქვთ:

– ადვოკატისთვის უთქვამთ, რომ თურმე „ფეისბუქის“ ნაცნობთა სიაში იაშვილის ცოლი მყოლია. თუმცა, მისი ვინაობა არ ვიცი... რომც იყოს ჩემს მეგობრებში, ეს საკმარისია იმისათვის, რომ იაშვილთან ერთად დანაშაულში დამდონ ბრალი? „ფეისბუქის“ მეგობრების სიაში ათასობით უცნობი ადამიანი მყავს... გამოძიების დასრულებამდე კომენტარს არ აკეთებენ „საქართველოს ლატარიის კომპანია“ და სამართალდამცველები“.

ხსენებული პუბლიკაციის მონინავეობა და „სადირექტივო“ ხასიათი თავიდანვე იკვეთება. თემას, რომელსაც ჟურნალისტი წარმოგვიდგენს საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ძალიან მტკივნეულია, რადგან მოსახლეობის საკმაოდ მაღალი პროცენტი ჩართულია „ლატარიის კომპანიის გათამაშებაში“ და ერთგვარ იმედებსაც ამყარებენ მასზე. თუკი ამ შემთხვევაში აღმოჩნდება ისეთი სერიოზული დანაშაული, რომელიც არა მხოლოდ კომპანიის გაკოტრებას, არამედ საზოგადოების მხრიდან მათდამი იმედების გაცრუებასაც შეუწყობს ხელს, ეს ძალზე ცუდ ასახვას პოვებს პირველ რიგში იმ უწყებების მიმართ, ვისაც ევალეზა აღნიშნული მიმართულებით კონტროლის განხორციელება. მართალია პუბლიკაციაში ძნელად დაიძებნება პირდაპირი „სადირექტივო“ სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც საფუძვლად დაედება ადრესატის პრაქტიკულ თუ თეორიულ მოღვაწეობას, მაგრამ ჟანრის სფეციფიკაზე ხაზგასმა, მის პასუხისმგებლობასა, უფლებებსა და მოვალეობებზე საუბარი, აქცენტი ტექსტის ჩამოყალიბებულ შინაარსზე, რომელიც იბრძვის სამართლიანობის დამკვიდრებისათვის თუნდაც ამ სფეროში ან უბრალოდ უარყოფისათვის მასზე რაც მოხდა, მნიშვნელოვანი დეტალია საზოგადოებაში სამართლიანობის აღდგენის განცდის თვალსაზრით. პუბლიკაცია გამოხატავს ზოგადად გაზეთის ნომრის პათოსს, დამოკიდებულებას, ხასიათს ქვეყანაში მტკიცე წესრიგის დამყარებისა და კანონის უზენაესობის დაცვის მიზნით, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ქვეყნის დიდი ნაწილის ინტერესის საგანს და გამორჩეულია სხვა საგაზეთო მასალებისაგან.

სათქმელის გამოხატვის სიცხადე, სიმახვილე, ზუსტი და დროული გადაწყვეტისათვის მზადყოფნა ხსენებულ პუბლიკაციას პოლიტიკურ ელფერსაც ანიჭებს, რითაც ის კიდევ უფრო მეტად იძენს მონინავის, მთავარის, მნიშვნელოვანის ხასიათსა და შინაარსს. ეს კი მეტი პოპულარობისა და მხარდაჭერის აუცილებელი პირობაცაა და გარანტიც. მონინავის

პოლიტიკური ჟღერადობა მაშინაც უნდა იგრძნობოდეს, როცა მასში გაშუქებულია არა პოლიტიკის, არამედ სამართლის, სოციალური, კულტურისა და სხვა საკითხები, რადგანაც ყოველ დარგს თავისი საკუთარი ჩამოყალიბებული პოლიტიკა გააჩნია, რომელიც პირდაპირ კავშირშია საზოგადოებასთან, კონკრეტული ადამიანების ცხოვრებასა და საქმიანობასთან.

მოყვანილ მაგალითში საინტერესო ფაქტებთან ერთად წარმოდგენილია მრავალი მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო რეალობის ამგვარ წარმოჩენას. მიზეზები ერთმანეთში იმდენად ჩახლართულია, ბუნდოვანიც კი, რომ ჭირს დაიძებნოს მისი სათავე ან თუნდაც გარკვეო საიდან დაიწყო ძირითადი რგოლის საძიებლად ნაბიჯების გადადგმა. დაკვირვებული თვალი მარტივად შეამჩნევს ჟურნალისტის მახვილ მზერას იმ მიმართულებით, რომელიც კონკრეტული საქმიანობის აუცილებელ სამართლიან რეაგირებას საჭიროებს.

შესავალში საუბარია დანაშაულის ჩადენის „მარტივ“ მოტივზე, რომელიც კონკრეტულ პიროვნებას კონკრეტულმა გარემოებებმა უკარნახა: „ორი ორგანიზაციის საქმეს აკეთებდა და მხოლოდ ერთის ანაზღაურებას უხდიდნენ. იმის გამო, რომ ბევრი საკრედიტო ბარათი ჰქონდა და იპოთეკით დატვირთული მამისეული სახლის გადასარჩენად ყოველთვიურად პროცენტებს იხდიდა, მოითხოვა, ხელფასი მოემატებინათ, რაზეც უარი მიიღო. რა გაენყობა, სხვაგან გადავალ სამუშაოდო, უთქვამს, მაგრამ „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“ დამუქრებიან, ყველგან ხელს შეგიშლითო.“

შემდგომ მოწმენი ვხდებით იმისა, თუ რა პირობებში უხდება მუშაობა პირს, რომელსაც მსგავსი ქმედება აქვს განზრახული: „ისარგებლა სამსახურებრივი მდგომარეობით (შეუფერხებელი წვდომა ჰქონდა შესაბამის სერვერთან) და ხელოვნურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეცვალა კომპიუტერული მონაცემი, შექმნა უნიკალური კოდის მქონე ლოტოს მომგებიანი ყალბი ბილეთი, რომელშიც მითითებული

იყო ზემოაღნიშნული ციფრები“. ამ პროცესში შემოდის მეორე პირი, რომელიც „ეხმარება“ საქმეში ჩართულ ძირითად პიროვნებას... ეს ყველაფერი ნათელს ჰფენს იმ გარემოებას, რომ ამ ორი ადამიანის ქმედება ბუნდოვანს ხდის „ლატარიის კომპანიის“ სისტემის გამართულობას, რაც სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან საქმით დაინტერესებაში გამოიხატა...

მოვლენების განვითარებას სასამართლო პროცესებამდეც მივყავართ, სადაც ახალი დეტალები იკვეთება და ჩნდება ეჭვები საქმეში სხვა პირების თანამონაწილეობაზეც. საერთო ჯამში, ეს ყველაფერი, ისევ და ისევ შედეგზე ანუ საზოგადოების მხრიდან იმედების გაცრუებაში და ეჭვების მოძალეებაში აისახება, სადაც ერთ მხარესაა თავად საზოგადოება და სიმართლე, მეორე მხარეს კი ხელისუფლება.

მონინავე სარედაქციო პუბლიკაციის მიზანი, ამ შემთხვევაში მოურიდებელი, მკაცრი ტონი, ღიად და საჯაროდ იმ ყოველივეს ობიექტური ჩვენებაა, რომელიც საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილში იწვევს სამართლიან პროტესტს და ასევე იმის განცდას, რომ მსგავსი ფაქტები ამ ეპოქაში აღარ უნდა ხდებოდეს და თუ მოხდება მაინც, მასზე რეაგირება ძალზე სწრაფად და ოპერატიულად უნდა ხერხდებოდეს და საზოგადოებისათვის ეს ყველაფერი ძალიან ნათელი და მისაწვდომი იყოს.

სარედაქციო-მონინავეს მიერ დასმული საკითხი მნიშვნელოვანი, საინტერესო, გადასაჭრელი და მოსაგვარებელია, რომლის ღიად, რეაგირების გარეშე დატოვება დაუშვებელია. პრობლემა, რომელიც მონინავის შინაარსს, სათქმელს წარმოადგენს, გამორჩეულია სხვა დანარჩენი პრობლემისა და საკითხებისაგან თავისი შინაარსით, აქტუალობით. მონინავე ყოველთვის ლიდერია სხვა დანარჩენ საკითხთა რიგში. პრობლემა წონადი, მძიმე, ემოციური და შესაძლოა, აგრესიულიც იყოს და ის ეხებოდეს ნებისმიერ თემას, რომელიც ქვეყნის, ზოგადად ხალხის, საზოგადოების ინტერესების გამომხატვე-



ლია. მოწინავე-სარედაქციოს პოზიცია ვერასოდეს იქნება ლოიალური და მიმტევებელი, პირიქით, შემტევისა და ერთგვარად „აგრესიულის“ პოზიციიდან იხედება და ასეთი პათოსით ცდილობს იმ ხარვეზის გამოსწორებას, რომელზედაც არის საუბარი სტატიაში.

ამდენად მოწინავეს პათოსის მსუსხავი, მტკივნეული, დაუნდობელი, პირდაპირი, ხშირად ირონიული და ზღარბის მჩხვლეტავი ეკლების მსგავსი ტონი იმ მიმართულებით მიდის, ვინაც დანაშაული ჩაიდინა ან ვისაც ამ პრობლემატური საკითხის მოგვარება ევალება. ამდენად იგულისხმება, რომ მოწინავეობა ამ შემთხვევაში, კონკრეტული მედიასაშუალებათა მხრიდან ხელისუფლების იმ შტოსაკენაც არის მიმართული, ვისაც უშუალოდ ევალება მსგავსი ხარვეზის აღმოფხვრა, ქვეყანაში სამართლიანობის დამყარება და წესრიგისა და კანონიერების სრული დაცვით მოქმედება. მოწინავეობა, რომლის პათოსიც სამართლიანობის, მოქალაქეთა პირად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაა, ამ შემთხვევაში შერჩევითი სამართლის წინააღმდეგ აუცილებელ რეაგირებას, მთლიანად საზოგადოების თითოეული წევრის მშვიდი და უსაფრთხო ცხოვრების გარანტიას გულისხმობს.

მსგავსი ხასიათის პუბლიკაციაა გაზეთ „კვირის პალიტრა“-ში – 21-10-2013 გამოქვეყნებული „ბინა ვიყიდე და... სასტუმრო აღმოჩნდა“.

„ბოლო წლებში ვითარება უძრავი ქონების ბაზარზე საგრძნობლად შეიცვალა. ამას ეკონომიკურმა კრიზისმაც შეუწყო ხელი და ბაზრის ყველაზე ნაკლოვანი მხარეები გამოაშკარავა. მართალია, ე.წ. სამშენებლო ფინანსური პირამიდები და რამდენჯერმე სხვადასხვა მესაკუთრეზე გაყიდული ვირტუალური ბინები წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ სამაგიეროდ, სამშენებლო კომპანიებსა და მათ კლიენტებს შორის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანმა პრობლემებმა იჩინა თავი.

ცოტა ხნის წინ, „ეკოპალიტრის“ ელექტრონულ მისამარ-

თზე ერთი მოქალაქის წერილი შემოვიდა, სადაც ავტორი კონფიდენციალობის დაცვას გვთხოვს და სამშენებლო კომპანია „ორბი ჯგუფთან“ შექმნილ პრობლემებზე გვიყვება. კონკრეტულად კი საქმე ეხება ცნობილ პროექტ „ორბი პლანზას“ ბათუმში, რომლის სარეკლამო კამპანია ორიოდ წლის წინ აქტიურად მიმდინარეობდა და სულ რაღაც \$15.900-ად ზღვისპირა ქალაქში ბინის შექმნის პერსპექტივას გვპირდებოდა. პროექტის დასრულების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ დაპირებული საცხოვრებელი სახლი სასტუმრო კომპლექსია, ხოლო მობინადრებს, მათი კუთვნილი ნომრების მოვლა-პატრონობისთვის, კომპანიისთვის ყოველთვიურად თანხის გადახდა მოუწევთ...

რედაქციის მისამართზე მიღებულ წერილში ვკითხულობთ: „შენობას, რომელშიც თავის დროზე ბინა შევიძინე, საძირკველი, დაახლოებით, 4 წლის წინ ჩაეყარა. არაოფიციალურად „ორბი ჯგუფის“ 50% გიული ალასანიას ეკუთვნის. მტკიცებით ფორმაში ამის თქმა ძნელია, თუმცა ამაზე ბათუმში ბევრი საუბრობს. „ორბის“ დირექტორი ირაკლი კვერღელიძე აქტიურად მონაწილეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიაში. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა „ნაციონალური მოძრაობის“ პროპორციული სიით. თუმცა მან დეპუტატობა „გადაიფიქრა“, რადგან ის სიის სათავეში იყო, „საჭირო“ ნაციონალები კი უმაღლესი საბჭოს კარს მიღმა აღმოჩნდნენ. კვერღელიძემ საქმიანობა „ორბში“ განაგრძო“.

მტკივნეული და მგრძნობიარე პრობლემა, რომელიც თანაბრად ანუხებს როგორც შეძლებულ, ისე ჩვეულებრივ ფენას ადამიანებისას. არადა, ბინათმშენებლობათა ბუმი სერიოზულ სიფრთხილეს საჭიროებს განსაკუთრებით მაკონტროლებელი ინსტიტუტების მხრიდან. ადამიანები, რომლებიც ლუკმას იკლებენ და უკანასკნელი დანაზოგები შეაქვთ, რათა შვილებმა

და შვილიშვილებმა ნორმალურად, ჯანმრთელად და ადამიანურად იცხოვრონ, ხოლო მოგვიანებით კი აღმოჩნდება, რომ ვიღაც უსვინდისოდ, არაადამიანურად ყვლეფს და ატყუებს, ბოლოს კი სახელმწიფოც ზარალდება; როდესაც ეროვნული ღირსება ილახება, თავისუფლებისა და სამართლიანობის განცდა ფეხქვეშ ითელება და ადამიანი სახეს კარგავს-ცივი, ნერვიული, უკარება, ფსიქიკურად მოშლილი და უნიათო ხდება ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს. მივყვეთ პუბლიკაციას და თვალი გავადევნოთ დეტალებს, რომელზედაც სტატიის ავტორი ინკოგნიტოდ დარჩენილი წყაროს მონათხრობს გადმოგვცემს:

„2010 წელს, როცა „ორბი პლაზაში“ ბინის ყიდვა გადაწყვიტე და ხელშეკრულების პირობებს გავეცანი, არსად ენერა, რომ იქ სასტუმრო შენდებოდა და რომ შენობისა და მისი ინფრასტრუქტურის მოვლისთვის მობინადრეებს ყოველთვიური გადასახადი უნდა გადაგვეხადა. ახლა კი ბინის გადასაფორმებლად მისულებს „სიურპრიზი“ დაგვხვდა – 1-ოთახიანი ბინის მფლობელებმა ყოველთვიურად უნდა გადავიხადოთ \$56, 2-ოთახიანის – \$67. რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები ამ პირობას და სამი წლის წინ დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულებას ვითხოვ. „ორბში“ კი მეუბნებიან, რომ ეს არ მოხერხდება, რომ ეს წარმოუდგენელია, რადგან მათ შექმნეს ამხანაგობისმაგვარი რალაც, ამ გადასახადის გადახდაზე თითქოს ყველა თანახმაა და მხოლოდ ერთეულებისთვის გამონაკლისს ვერ დაუშვებენ. ირაკლი კვერდელიძე ბინის მესაკუთრეებს მუდმივად გვიხსნის, რა კარგი იქნება, „ორბს“ რომ გადავცეთ ბინა იჯარით. საუბარია იმაზე, რომ ბინის იჯარით გადაცემის შემთხვევაში „ორბი“ ისე განკარგავს ჩვენს ქონებას, როგორც გაუხარდება“.

„რატომ უნდა „ორბს“ ამ 840-ბინიანი შენობის სასტუმროდ გადაკეთება და რა შეიძლება ამით მოიგოს?-სვამს სამართლიან კითხვას პუბლიკაციის ავტორი და იქვე პასუხობს: „საკითხი მარტივად დგას: „ორბს“ ამ შენობაში კაზინოს გახ-

სნა უნდა. კაზინო დამოუკიდებლად რომ გახსნა, 1 მილიონი ლარი უნდა გადაიხადო ბიუჯეტში. ხოლო თუ, სულ ცოტა, 100-ნომრიანი სასტუმროს შენობაში ხსნი კაზინოს, მილიონიანი მოსაკრებლისგან გათავისუფლებული ხარ. ვფიქრობ, ამ ბინის სასტუმროდ გადაკეთების იდეაც აქედან მოდის. აუცილებლად დავინყებ სასამართლო დავას „ორბი ჯგუფთან“. სასამართლო ბაჟი ძალიან დიდია და მოგების შანსიც 50/50-ზე, მაგრამ მაინც მიღირს, იმიტომ რომ მთელი ცხოვრება \$56-ის გადახდას არ ვაპირებ. არც ბინის გაყიდვა მინდა. მირჩევნია ვიდავო და გამარჯვების ყველა რესურსი ამოვწურო“. რომ იტყვიან, „ჰა ბურთი და ჰა მოედანი.“ ადამიანები დათმობას არ აპირებენ, ან რა აქვთ დასათმობი? დღისით, მზისით მოატყუეს და ახლა იმის გაკეთებასაც აძალებენ, რაც შემდეგ მთელი ცხოვრება სანანებელი გაუხდება. ჟურნალისტი აგრძელებს საქმის დეტალებში გარკვევას:

„ჩვენ საკითხით დავინტერესდით, „ორბი პლაზას“ რამდენიმე მობინადრეს დავუკავშირდით და მათ მიერ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსაც გავეცანით. დოკუმენტში, რომელსაც ორივე მხარე – მყიდველიც და გამყიდველიც აწერს ხელს, ნათქვამია, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საცხოვრებელი ბინა ქალაქ ბათუმში, კობალაძის ქუჩაზე ასაშენებელ მრავალსართულიან სახლში. მოგვიანებით კი, მობინადრეებთან გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში, საცხოვრებელი სახლის ნაცვლად, ჩნდება ცნება „სასტუმრო ნომერი“ და ვალდებულება, გადაიხადონ თანხა ამ ნომრების მოვლა-პატრონობისთვის.

მერაბ შავაძე („ორბი პლაზას“ ერთ-ერთი მობინადრე): „ჩემი ბინა 46-48 კვმ-ია და ყოველთვიურად „ორბი ჯგუფი“ ჩემი ქონების მოვლისთვის \$67-ის გადახდას მთხოვს. ამის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი პირველ ხელშეკრულებაში, რომელიც კომპანიასთან 2010 წლის 10 აგვისტოს გავაფორმე. ბი-

ნის ღირებულება, \$23 ათასი სრულად გადავიხადე ათი დღის ვადაში და ვიკითხე კიდეც, ხომ არ მექნებოდა დამატებით კიდეც რამე გადასახდელი. ზეპირად მიპასუხეს, რომ არავითარი სხვა გადასახადი არ იქნებოდა. ხელშეკრულებაში ასევე წერია, რომ ეს უნდა ყოფილიყო საცხოვრებელი ბინა და არა სასტუმრო. მე არ მჭირდება სასტუმრო, მინდა ბინა და ვითხოვ ამას. ახლა კი ფაქტის წინაშე დამაყენეს, რეესტრში მიფორმებენ სასტუმროს ნომერს და არა საცხოვრებელ სახლს. ჩემს მდგომარეობაში ბევრი მობინადრეა. ზოგი იძულებული გახდა გაეფორმებინა ეს ხელშეკრულება, ზოგი თავს იკავებს გადანყვეტილების მიღებისგან. იმასაც გვეუბნებიან, იჯარით გადავცეთ კომპანიას ჩვენი ქონება, მაგრამ მე ბინა გასაქირავებლად არ შემიძენია, მაგის ფუფუნება არ მაქვს, იქ უნდა ვიცხოვრო. სამართალს ვეძებ: ან ბინა უნდა მივიღო, ან შესაბამისი ანაზღაურება. მეოთხე წელია, ფული გადახდილი მაქვს კომპანიისთვის და, რა თქმა უნდა, თავისი კომპენსაციით ვითხოვ თანხის ანაზღაურებას“.სტატიის ავტორი მთლიანად წარმოგვიდგენს ერთ-ერთი ბინის მესაკუთრის პრეტენზიას და სამართლიანობის დაცვასა და მხარდაჭერას ითხოვს. აქვე გვთავაზობს საუბრის შინაარსს ირაკლი კვერდელიძესთან („ორბი ჯგუფის“ გენერალური დირექტორი): „850-ბინიანი კომპლექსი „ორბი პლაზა“ მესაკუთრეთა რაოდენობის თვალსაზრისით, ამ ტიპის ერთადერთი შენობაა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ბინების მფლობელთა უმეტესობა უცხოეთის 14 ქვეყანაში ცხოვრობს. ამის გათვალისწინებით, დამეთანხმებით, რთულია მეზობლებს შორის კომუნიკაცია. კომპანია „ორბი ჯგუფი“ უკვე მეექვსე თვეა, მყიდველებს მესაკუთრეებად არეგისტრირებს და მყიდველთა ერთი ნაწილისთვის საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მათთან კომუნიკაციის გაძნელების გამო ვერ ხერხდება. 22-სართულიან კომპლექსში ყოველდღიურად უამრავი ყოფითი პრობლემა იჩენს

თავს (მათ შორის, 12 ლიფტის გამართული მუშაობა, ყოველდღიურად 15 ბუნკერი ნაგვის გატანა, კორიდორების განათება, კომუნალური გადასახადების ქვითრების მიწოდება და სხვ.) პრობლემების მოგვარება და საერთო ენის გამონახვა კი ყველაზე პატარა კორპუსების ამხანაგობებსაც უჭირთ.

მსგავსი სურათი „ორბი პლაზაში“ რომ არ შეიქმნას, ჩვენმა კომპანიამ იკისრა პასუხისმგებლობა საცხოვრებელი კომპლექსის მოვლა-მომსახურებაზე და ამ ინციატივას „ორბი პლაზას“ ბინების მფლობელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ – 98%-მა დაუჭირა მხარი.

ჩვენ მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურება ითვალისწინებს: სადარბაზოებისა და საზოგადოებრივი ფართების მოვლა-პატრონობას, ლიფტებისა და ძირითადი კომუნიკაციების გამართულ მუშაობას, შექმნილი გვაქვს წყლისა და ელექტროენერჯის დამოუკიდებელი სარეზერვო სისტემები, უზრუნველყოფილია კომპლექსის სრული უსაფრთხოება, გარე და შიდა პერიმეტრის 24-საათიანი ვიდეომეთვალყურეობა, საზოგადოებრივ ფართების დასუფთავება, კომპანია იხდის საერთო სივრცეში არსებული ყველა განათებისა და სხვა მოწყობილობების ელექტროენერჯის საფასურს და სხვ. ავამოქმედეთ კონსიერჟის სერვისი. პირველადი ნასყიდობის ხელშეკრულებაში ეს საფასური გათვალისწინებული არ ყოფილა, თუმცა აქვე დავაზუსტებთ, რომ კომუნალური გადასახადი ბინის შეძენასა და მის მფლობელობასთან არანაირ კავშირში არ არის. ამ სერვისის ამოქმედება არ ნიშნავს, რომ მყიდველს თავის ფართში ცხოვრების უფლება არ აქვს, ან კიდევ ქონებით სარგებლობის განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს. კომპლექსი „ორბი პლაზა“ ექსპლუატაციაში 2013 წლის თებერვალში შევიდა. დღემდე საკუთარ თავზე ავიღეთ ამ მომსახურების თანხები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა თანხების ოპტიმიზაციაზე, რათა ყოველთვიური გადასახადე-

ბი შემცირდეს. ყველა მყიდველი, რომელმაც ფული გადაიხადა განსაზღვრული ოდენობის იზოლირებულ ფართში, საკუთრებად მიიღებს ზუსტად იმ ოდენობისა და იმ პარამეტრის ფართს, იმ მისამართსა და იმ სართულზე, იმ შენობაში, რომელზედაც ხელშეკრულება გააფორმა. ფართის გამოყენებას მესაკუთრე ზუსტად იმ ფუნქციური დანიშნულებით შეძლებს, რაზეც ხელშეკრულებაშია საუბარი. ანუ გამოიყენებს საცხოვრებლად. მოგეხსენებათ, კომპლექსი და შენობა სასტუმროს ტიპისაა. 2010 წელს, როცა გაყიდვები დაიწყო, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასტუმროს ტიპის პროექტში ფართების პირდაპირ გაყიდვას. 2012 წლის სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით კი შესაძლებელი გახდა სასტუმროს ტიპის პროექტში ინდივიდუალური საკუთრების ფართების რეალიზაცია. სტატუსის შეცვლას ამ შემთხვევაში არანაირი უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის ცვლილება არ გამოუწვევია. ფართი ინდივიდუალური საკუთრებაა, იგი საჯარო რეესტრში მყიდველის ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრირდება და მას რამე პირობა არ ახლავს“. *ჟურნალისტი გენერალურ დირექტორთან საუბრის შემდგომ ხვდება დავით მესხიძეს (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ოფისის წარმომადგენელი):* „ამ პრობლემით რამდენიმე მოქალაქემ მოგვემართა. ახლანდელი სამშენებლო კომპანიები მოქალაქეებს უფორმებენ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებას. სამართლებრივი კვალიფიკაციით, მოქალაქეები ნივთს კი არ ყიდულობენ, არამედ უკვეთენ კომპანიას ნივთის დამზადებას, ამ შემთხვევაში საუბარია ბინაზე. მისი დასრულების შემდეგ კი ფორმდება გენერალური ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გენერალურ ხელშეკრულებას მოქალაქეებს არ უდებენ მომსახურების ან იჯარის ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. მომსახურების საფასური კი მინიმუმ \$35-ია და

ფართის შესაბამისად იზრდება. არადა, მოქალაქეებმა თავიდან იყიდეს საცხოვრებელი ტიპის ბინები, დღეს კი აღმოჩნდა, რომ ეს სასტუმროს ტიპის კომპლექსია. როცა მოქალაქეებმა ბინის შესყიდვის სურვილი გამოთქვეს, მაშინვე უნდა ყოფილიყო მათთვის ცნობილი, რომ ეს სასტუმროს ტიპის სახლი იქნებოდა და რომ სავალდებულო გახდებოდა მომსახურების ხელშეკრულების დადება. ჩვენ ვურჩიეთ დაზარალებულ მოქალაქეებს, სასამართლო დავა დაგვეწყო კომპანიის წინააღმდეგ, მაგრამ მოქალაქეები ან სასამართლოს არ ენდობიან, ან დროის ფუჭად დაკარგვას ურჩევენიათ, კომპანიის პირობებს დასთანხმდნენ. ერთეულები ფიქრობენ „ორბი ჯგუფის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას და საკუთარი უფლებების დაცვას“.

აღნიშნული პუბლიკაცია ეკონომიკურ საკითხსა თუ სატკივარს ეხება და ის ხელმოუწერელია. მოგეხსენებათ, მსგავსი შინაარსის წერილები ძირითადად ხელმოუწერლად იბეჭდება, რაც ნამდვილად ადასტურებს იმ სარედაქციო პოლიტიკას, რომელსაც ამ შემთხვევაში გაზეთი ისახავს მიზნად. წერილის პათოსი ის მტკივნეული პრობლემატიკაა, რაც ზოგადად სამშენებლო ბიზნესთან დაკავშირებით საზოგადოების თითოეულ წევრს ექმნება. მართალია ზოგადად საკითხი ძალზედ მასშტაბურია და მართლაც საეჭვოა ამ მიმართულებით მოსახლეობის გულის მოგებაც, მაგრამ უმსხვილესი სამშენებლო კომპანიების მხრიდან გადაჭარბებულ თავხედობას, თავგასულობას, დამცირებას და აბუჩადამგდებ დამოკიდებულებას ბოლო ნამდვილად უნდა მოელოს. სტატიაში ხაზგასმულია კომპანიისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ტანდემი, რომელიც ძირითადი მიზეზია შემდგომი თავგასულობისა თუ უპასუხისმგებლობისა სამშენებლო ფირმების მხრიდან მოსახლეობის მიმართ. წერილში დეტალურადაა წარმოდგენილი ცალკეულ ადამიანთა პრობლემები, რომელიც მათ სამშენებლო კომპანიამ შეუქმნა და მეტად მძიმე ფაქტის წი-



ნაშე დააყენა. ზოგადად, მოწინავეს პოზიცია სამართლიანობის აღდგენა და ამ სფეროში წესრიგის დამკვიდრებაა, სადაც ერთხელ და სამუდამოდ ყველას ექნება თავისი წილი პასუხისმგებლობა გათავისებულ, როგორც ფიზიკურ პირს, ასევე იმ კომპანიებსაც, რომლებიც საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უპირველეს მოვალეობად უნდა თვლიდნენ, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება კონკრეტული ადამიანებისაგან ფულის აღებას და მათთვის ბინის მშენებლობის საკითხს. პუბლიკაციაში ავტორს სხვადასხვა მხარეები ჰყავს წარმოდგენილი და უშუალოდ პირველი პირებისაგან ვგებულობთ არსებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. ნათელი ხდება, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა და შესაბამისად, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაც, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდ დროს საჭიროებს, რათა პირველ რიგში სახელმწიფო, შემდეგ ფირმები და ორგანიზაციები და შემდგომ კი ადამიანები ისე მოქმედებდნენ, რომ არც ერთის ინტერესის საგანს არ წარმოადგენდეს უსამართლობა, უპასუხისმგებლობა და დისბალანსი, რომელიც ყოველთვის აქილევსის ქუსლი იქნება ნებისმიერ ეპოქაში ნებისმიერი ხელისუფლისათვის. და რაც მთავარია, სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს ადამიანი და არა პოლიტიკური შეხედულება, გნებავთ მრწამსი. ასეთ შემთხვევაში ქვეყანა სწრაფი ტემპებით წავა წინ და საზოგადოებაც ჯანსაღი ფსიქიკისა იქნება. ბეჭდური მედიის პრინციპი, ამ შემთხვევაში „კვირის პალიტრისა“, რომ საზოგადოებას დაუფარავად, ღიად და საჯაროდ მოუთხროს არსებულ პრობლემატიკაზე და აჩვენოს ყველას სწორად სავალი გზა, ნამდვილად საშური საქმეა და ეს კი დიდი იმედია ქვეყნისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების რთულ, წინააღმდეგობრივ, მაგრამ მაინც გასავლელ და აღმავალ გზაზე.

მოწინავეს პათოსითაა დაწერილი გაზეთ „კვირის პალიტრაში“ 25-02-2013 ემა ტუხიაშვილის პუბლიკაცია „კეზერაშვილის ჩაუძირავი მონოპოლია“ (ბიზნესიმპერიის ანატომია. ნაწილი I) ვინ „კრიშავს“ ძებნილს?!

„ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, ქვეყანაში ჯერჯერობით არც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა გვაქვს და არც შესაბამისი სამსახური, რომელიც ბაზარზე მონოპოლიური სუბიექტების არსებობას აღკვეთდა. მიუხედავად ამისა, მმართველი ძალის შეცვლა სხვადასხვა, განსაკუთრებით მომგებიან ბიზნესს მაინც დაეტყო: რამდენადმე შემცირდა ფასები სანვავზე, საგრძნობლად გაიზარდა მედიკამენტები, აგრეთვე ფქვილი და პურ-პროდუქტები. უცნაურია და თან სამწუხარო, რომ ისევე, როგორც წინა მთავრობის დროს, ამ ხელისუფლების პირობებშიც, ნაცმოძრაობის ბიზნესი ზოგჯერ კვლავ ხელშეუხებლობის გარანტიითა და ექსკლუზიური უფლებებით სარგებლობს, რითაც, პირველ რიგში, ბაზარი და მომხმარებელი ზარალდება. საკანონმდებლო ორგანოში კი გაცხარებით მსჯელობენ, დეკლარაციებმა სადღესასწაულო დღეებში ნაციონალური სამოსით უნდა იარონ თუ არა. „გალფი“, იგივე „სან პეტროლეუმ ჯორჯია“, „საქართველოს ფოსტა“, „აუთდორჯი“ მთელი თავისი შვილობილი კომპანიებით, წილები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და „მზეში“, „უაიდ დისტრიბუშენის“, იგივე შპს „ექსპრესის“ საგაზეთო ჯიხურები, „საქართველოს ლატარიის კომპანია“ – ეს იმ ბიზნესების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომელსაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი თანამდებობაზე ყოფნისას ან მას შემდეგ დაეპატრონა. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ძებნილი კეზერაშვილის არაერთი ბიზნესი დღემდე ინარჩუნებს საქართველოს ბაზარზე მონოპოლიურ მდგომარეობას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს, ხშირად უკანონო გზით მოიპოვეს.

დაახლოებით ერთი თვის წინ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსი დავით კეზერაშვილი ბრალდებულად ცნო საჯარო მოხელის მიერ განსაკუთრებით

დიდი ოდენობით ფულის მოთხოვნისა და ქრთამის მიღების, ასევე, საფინანსო საქმიანობის სფეროში დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ყველა ელოდა, რომ საგამოძიებო სამსახური კეზერაშვილის ქონებასა და ბიზნესწილებს დააყადაღებდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. ან კი რა უნდა დაეყადაღებინათ, როცა ბრალის წაყენებამდე ცოტა ხნით ადრე კეზერაშვილმა საინფორმაციო საშუალებებით ამბავი გაავრცელა: ჩემი წილები ბიზნესში დავით იაკობაშვილს გადავულოცეო. იაკობაშვილი რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი ებრაელი ბიზნესმენია და ამავე დროს რუსეთის ბიზნესსაბჭოს პრეზიდენტი და რუსეთის მრეწველთა და ბიზნესმენტა კავშირის მმართველი ორგანოს ვიცე-პრეზიდენტი.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ეკოპალიტრას“ კეზერაშვილის ერთ-ერთი ბიზნესის წარმომადგენელმა პირად საუბარში განუცხადა, რომ ყოფილ თავდაცვის მინისტრს პირადი ხელშეუხებლობა ისრაელის მთავრობისგან \$250 მილიონად ჰქონდა ნაყიდი, რამდენად შეესაბამება ეს ჭეშმარიტებას, თავს ვერ დავდებ...

„ეკოპალიტრა“ ბუნებრივია დაინტერესდა და „გალფის“, იგივე შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ აქციონერთა ბოლოდროინდელ ცვლილებებს გაეცნო. აღმოჩნდა, რომ 2013 წლის 4 თებერვლის მონაცემებით, მაშინ როცა კეზერაშვილს თავისი წილი უკვე „გადაცემული“ ჰქონდა იაკობაშვილისთვის, კომპანიის 100%-ს ამერიკული სააქციო საზოგადოება Energy Investment Venture Holdings-ი ფლობს, დირექტორი კი ისრაელის მოქალაქე იანვი ადამია. ჩვენ ასევე შევამოწმეთ საჯარო რეესტრის ბოლო ცვლილება შპს „აუთდორჯიში“: 2013 წლის 10 იანვრის მონაცემებით, კომპანიის დირექტორი ნიკა ურუშაძე კონსტანტინე ჭავჭავანიძემ ჩაანაცვლა, რომელსაც, თავის მხრივ, წილები აქვს „აუთდორჯის“ შვილობილ კომპანიებში.

რაც შეეხება პარტნიორებს, კომპანიის 20%-ს შპს „სამკუთხედი“ ფლობს, 10%-ს შპს „ჯეოტეკი“, ყველაზე მსუყე ლუკმა (70%) ოფშორში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოება „ედპროჯექტს ინკს“ აქვს. დირექტორის ცვლილებას თუ არ ჩავთვლით, იგივე მფლობელები ჰყავდა „აუთდორჯის“ 2011 წელსაც და არც მათი წილები შეცვლილა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ კეზერაშვილი-იაკობაშვილის საკუთრების გადანაწილება მფლობელ ამერიკულ ჰოლდინგში მომხდარიყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის ცვლილებების შემონიშნა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია და ისლა დაგვრჩენია, კეზერაშვილის „პატიოსან სიტყვას“ ვენდოთ. „გალფის“ თემას ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით და სამომავლოდ ამ თემაზე ცალკე ჟურნალისტურ მოკვლევას შემოგთავაზებთ. მანამდე კი თანმიმდევრულად მივყვით კეზერაშვილის უცაბედი გამდიდრების ანატომიას, რომელშიც ბევრი ყოფილი თუ ახლანდელი დიდმოხელის ხელი ურევია.

როგორ შენდებოდა „კეზერაანთკარი“ ანუ „გაკაფული“ ბიზნესი

„აუთდორ დიჯიტალი“, „აუთდორ მონიტორი“, „აუთდორ პრინტ მედია“, „აუთდორ მედია ჰაუსი“, „აუთდორ ტრანსპორტ ედვერტაიზინგი“ – ყველა ეს კომპანია კეზერაშვილის სახელთან დაკავშირებულ „აუთდორჯის“ ეკუთვნის და, ფაქტობრივად, სრულ მონოპოლიას ფლობს გარე რეკლამის ბაზარზე. „ეკოპალიტრა“ ამ ბაზრის იმ მოთამაშეებს შეხვდა, ვინც გარე რეკლამის სექტორში კეზერაშვილის გამოჩენამდე მუშაობდა და სთხოვა მოეთხროთ, როგორ ჩამოიცილა კონკურენტები თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბრალდებული კეზერაშვილი დღემდე ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს ბიზნესში, საზოგადოებაში ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა მას ახლანდელი ხელისუფლება ან

რომელიმე მისი გავლენიანი წევრი მფარველობდეს. სწორედ ამ მიზეზით ჩვენმა რესპონდენტებმა კონფიდენციალობის დაცვა მოითხოვეს. როგორც მათგან გახდა ცნობილი, თბილისში გარე რეკლამის პირველი სარეკლამო ფარები გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა. ერთ-ერთი პირველი მსხვილი მოთამაშეები ამ ბიზნესში სარეკლამო კომპანია „ალმა+“ და „მიმინო“ იყვნენ. საერთო ჯამში კი გარე რეკლამის განთავსებაზე ქალაქში, დაახლოებით. ოცამდე კომპანია მუშაობდა. „ხშირად ეს კომპანიები ერთი კლიენტისთვის იქმნებოდა და ძალიან მალევე იხურებოდა. ასეთი სარეკლამო ფარის დაყენება მეტად იაფი იყო, საკმარისი იყო ორი ჟანგია-ნი მილი და რკინის ფურცელი. არც განათებას აყენებდნენ. რადგან „მიმინო“ და „ალმა+“ ლიდერები იყვნენ ამ ბაზარზე, მათი ფარები ხარისხითაც გამოირჩეოდა. „ალმა+“ ყოველთვის იყო ასოცირებული „თიბისი ჯგუფთან“, სარგებლობდა კიდევ ამ ჯგუფის მხარდაჭერით. ამ კომპანიებს ქალაქის მასშტაბით საკმაოდ ბევრი, დაახლოებით, 200-200 ფარი ჰქონდათ. კიდევ რამდენიმე ასეული ფარი იყო დანარჩენი კომპანიების მფლობელობაში. შემდეგ ბაზარზე გამოჩნდა მოთამაშე, რომელსაც მოუნდა, ამ ბიზნესს მთლიანად დაპატრონებოდა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიჩნია, რომ რეკლამა საინტერესოა არა მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით, არამედ საჭიროა განსაზღვრული პოლიტიკური მიზნებისთვისაც. შესაბამისად, ჯგუფი, რომელმაც გარე რეკლამის ბაზარზე მონოპოლიური თამაში წამოიწყო, მაშინდელი ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა. მათ დაიწყეს სარეკლამო მედიასაშუალებების შექმნა, წართმევა, დაშინება. ხელისუფლებისგან ფინანსური მხარდაჭერაც ჰქონდათ.

ქვეყანაში არ არსებობდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ვითარებას დაარეგულირებდა და, ამდენად, მიზნისკენ სვლა საკმაოდ გაუადვილდათ, როგორც სატელე-

ვიზიო ბაზარზე, ისე სხვა სარეკლამო სეგმენტში. მიზნებით, საით მიდიოდა საქმე, მათთან ჭიდაობას აზრი არ ჰქონდა და ჩვენი ქსელი გაეყიდეთ. სხვათა შორის, იმ ფასში, რაც მათ შემოგვთავაზეს და ვფიქრობ, სწორად მოვიქეციეთ, სხვა შემთხვევაში შეიძლება ყველაფერი დაგვეკარგა... სხვათა შორის, თავიდან ეს არ იყო „აუთდორჯი“. ბაზარი კონკურენტებისგან „მაგი სტილის“ მესვეურებმა განმინდეს. ესეც კეზერაშვილთან დაახლოებული ჯგუფი იყო. ის, რაც შემდეგ მოხდა, რბილად თუ ვიტყვით, არანორმალური იყო. მერიასთან ერთად, ქალაქი გაყვეს ორ ნაწილად, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროდ და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემაზე ტენდერი გამოაცხადეს. ოფიციალურად ამ ტენდერში ორი კომპანია – „აუთდორჯი“ და „მაგი სტილი“ მონაწილეობდა, მაგრამ ეს ერთი და იგივე ჯგუფი იყო და გაიმარჯვეს კიდევ. ასეთი რამ წინა ხელისუფლების დროს სხვა ბიზნესებშიც ხშირად ხდებოდა.

რაც შეეხება „ალმა“-ს, ამ ფირმას თავისი კონტაქტები ჰქონდა ქვეყნის პირველ პირთან. ამიტომ, „აუთდორჯისა“ და „ალმას“ შორის მოხდა განსაზღვრული გარიგება, „ალმას“ თავისი ფარები და „თიბისი“ ჯგუფთან ასოცირებული რეკლამის ამ ფარებზე განთავსების უფლებები დაუტოვეს. სხვა კომპანიები ბაზრიდან ჩამოიცილეს. შემდეგ კიდევ ერთმა კომპანიამ, „ვილაჯიომ“, რომელიც ასევე ძალიან დაახლოებული იყო ხელისუფლებასთან და „ვისოლი ჯგუფის“ შვილობილია, მიიღო რაღაც უფლება, რომ დაეყენებინა ქალაქში სარეკლამო ფარები, ოღონდ საკუთარ ბენზინგასამართ სადგურებზე და ასევე თავისი კომპანიის სარეკლამო ბანერები განეთავსებინა. რა თქმა უნდა, ამ ბიზნესში ძალიან აინია ფასებმა. დღეს „აუთდორჯის“ გარე რეკლამის ბაზრის დაახლოებით 70% უკავია. მსოფლიო სტანდარტებით კი, საშუალოდ, როცა სუბიექტს ბაზრის წილის 35% აქვს, უკვე მონოპოლისტია. ახლა

ამბობენ, რომ „აუთდორჯიც“ დავით იაკობაშვილის ხელში გადავიდა. თუმცა ისიც ითქვა, რომ ესთვალის ასახვევი ფორმალური გარიგება იყო. ეს ბაზარი აუცილებლად უნდა გაიხსნას. ამ კომპანიას არა მხოლოდ გარე რეკლამაზე აქვს მონოპოლია, არამედ სრული მონოპოლისტია რეკლამის განთავსებაზე მეტროში, ავტობუსებზე, მონიტორებსა და ლიფტებში. კეზერაშვილსა და მის ამფსონებს სატელევიზიო ბაზარზეც ჰქონდათ მონოპოლია, როგორც მაუწყებლობის, ასევე რეკლამის თვალსაზრისით. თუ მონოპოლია დაიშლება, ფასი გარე რეკლამაზე აუცილებლად შემცირდება. უნდა გადაიხედოს ტენდერის პირობები და არც ქალაქი უნდა იყოს გაყოფილი ორად. ადრე უფრო სამართლიანი სისტემა მოქმედებდა ფარის დასაყენებლად. მაგალითად, მე თუ ვნახავდი ხელსაყრელ ადგილს გარე რეკლამისთვის, უნდა წარმედგინა ესკიზი, ფოტომონტაჟი არქიტექტურის სამსახურში და თუ ეს არავის უშლიდა ხელს – მიმტკიცებდნენ. არანაირი ტენდერი ამას არ სჭირდება. ამ გზით გარკვეული მოსაკრებელიც შევა ქალაქის ბიუჯეტში, ახლა კი ქალაქს არავინ არაფერს უხდის, ტენდერისას გადაიხადეს და მორჩა. ერთი კომპანია დიდ ფულს შოულობს, სხვები, ფაქტობრივად, მკვდრები არიან. აუცილებლად რამდენიმე მოთამაშე უნდა იყოს ამ ბაზარზე“, – ამბობს ერთ-ერთი სარეკლამო კომპანიის წარმომადგენელი.

„გაუმჭვირვალე“ ტანდემი

სხვადასხვა დროს გარე რეკლამის ბაზრით არასამთავრობო ორგანიზაციები ინტერესდებოდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ამ თემაზე კვლევაც კი გამოაქვეყნა, სადაც კეზერაშვილის, მისი ახლობელ-ნათესავების გვარ-სახელები ფიგურირებდა, მონოპოლიის წახალისებას კი თბილისის მერია უწყობდა ხელს.

მამუკა ანდლულაძე („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მედიაანალიტიკოსი): „2009 წელს თბილისის

მერიამ აუქციონის წესით გასცა ორი ნებართვა, რომელიც გარე რეკლამების განთავსების 12 წლის ვადით მართვას ითვალისწინებს. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე აბრები „აუთდორჯის“ გადაეცა, რომელსაც მერიამ სხვა კომპანიებისთვის ქველიცენზიით გადაცემის უფლებაც მიანიჭა. მარცხენა სანაპიროზე მდებარე აბრების განთავსების უფლება „მაგი სტილი მედია“ მიიღო, რომელსაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი ფლობდა. (ირაკლი ჩიქოვანი ოქტომბრის შემდეგ საქართველოდან წასულია) 2011 წლის დასაწყისში, „მაგი სტილი მედია“ ჩაანაცვლა „სმოდ ედვერტაიზინგმა“, რომელიც მხოლოდ 2011 წლის იანვარში შეიქმნა და რომელსაც პანამაში რეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანია „სმოდ იქუიტიზ კორპი“ ფლობს. საქართველოში ამ კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელია ალექსანდრე გოგოხია, რომელიც „აუთდორჯის“ მთავარ ფინანსურ დირექტორად მუშაობდა. მოკლედ, მოჯადოებული წრეც იკვრება. ამის შედეგად, დედაქალაქის გარე რეკლამების ბაზარზე დომინანტური პოზიცია „აუთდორჯიმ“ და „სმოდმა“ დაიკავეს, რომელიც „აუთდორჯისთან“ მჭიდროდ დაკავშირებული კომპანიაა. „აუთდორჯი“ თბილისის მერიასთან ერთად ერთობლივი სანარმოს – „აუთდორ ტრანსპორტს“ ოპერირებს“.

მთელი ქალაქი ერთ ჯიბეში

კიდევ ერთხელ რომ დავრწმუნებულიყავით შექმნილ ვითარებაში, ჩვენ, როგორც ერთ-ერთი რიგითი კლიენტი, თბილისში ბილბორდებზე რეკლამის განთავსებისთვის კომპანია „აუთდორჯის“ დავუკავშირდით. მიღებული პასუხის თანახმად, ფასი დამოკიდებულია კონსტრუქციასა და განთავსების ადგილზე, ღირებულება 1 კვმ-ზე \$40-\$60-ს აღწევს მხოლოდ იჯარისთვის, ხოლო ბანერის 1 კვმ-ის ბეჭდვა კიდევ \$10 ღირს. ჩვენ შევთავაზეთ, რომ ბანერებს თავად დავბეჭდავდით



(რადგან მანამდე გადავამოწმე და სხვაგან იმავე ხარისხის ბანერის დაბეჭდვა თითქმის ნახევარ ფასად შემომთავაზეს), მაგრამ მკაცრი უარი მივიღეთ: გვაქვს ჩვენი სტამბა, ბანერის ბეჭდვაც სპეციფიკური ამოცანაა, ამიტომ მთელ პროცესს ჩვენ უზრუნველყოფთ, ჩვენთან დაბეჭდვა აუცილებელი პირობააო. როცა გარე რეკლამის განთავსება მთელ ქალაქში ვისურვეთ და ჩავეკითხეთ, მხოლოდ ისინი შეძლებდნენ ამას თუ სხვებსაც უნდა დავკავშირებოდით, ფარების ძირითადი ნაწილი – 80% – მაინც ჩვენ გვაქვსო, – გვიპასუხეს, – თუმცა ჩვენს პარტნიორ ფირმებსაც აქვთ სარეკლამო ფარების მცირე ნაწილი, შეგვიძლია ჩვენვე დავეკონტაქტოთ და ეს საკითხი მოვაგვაროთ. ფასიც კი არ შეიცვლება, – უკვე დიდი ხნის ურთიერთობა გვაქვს და როგორც „ალმას“ სჭირდება ჩვენგან ფარები, ისე გვჭირდება ხოლმე ჩვენ. ხოლო ექსკლუზიურად ჩვენ განგითავსებთ ავტობუსებში, აგრეთვე მონიტორებზე მთელ ქალაქში, მეტროსა თუ ლიფტებშიო.

P.S. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ერთ-ერთი მთავარი თემა მონოპოლიზმის დამარცხება იყო, თუმცა ის დღეს თითქოს დავიწყებას ეძლევა. სამაგიეროდ, მონოპოლიზმი არ გამქრალა და ჩვეული „რიხით“ განაგრძობს ჯიბეების გასქელებას. არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება ეჭვი – ხომ არ განაახლეს „კრიშა“ მონოპოლისტებმა?! ვისი გვარიც უნდა ფიგურირებდეს მონოპოლისტური ბიზნესების უკან – კეზერაშვილის, იაკობაშვილის თუ ხახვიჭამიაშვილის, მათ მფარველად ყოველთვის არსებული მთავრობა მოისაზრება. ძნელი დასაჯერებელია, რომ დღევანდელი მთავრობა ამასთან შეგუებას აპირებს, რადგან მონოპოლიზმი ბიზნესის მახინჯი ფორმაა და ის ყველას აზარალებს, თვით მონოპოლისტების გარდა“.

მოყვანილი პუბლიკაცია ვრცელი, დეტალური, კონკრეტული ფაქტებით წარმოდგენილი, წყაროებითა და არგუმენ-

ტებით გაჯერებული, უამრავი ვერსიებით დატვირთული სარედაქციო სტატიას, რომელიც საზოგადოების უდიდეს ნაწილში დიდ ინტერესთან ერთად, სამართლიან აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს, ბადებს კითხვებს, რომელიც ასევე სამართლიან, დასაბუთებულ და არგუმენტირებულ პასუხებს საჭიროებს. წერილის პათოსი მამხილებელია, რომელიც გამოირჩევა პირდაპირი, ღია, მოურიდებელი, საჯაროდ დასმული საკითხების მთელი წყებით, იმ პრობლემათა მთელი არსენალით, რომელიც ზოგადად არსებობდა ქვეყანაში და სწორედ ამგვარმა განუკითხაობამ და „ეკონომიკურმა“ ქაოსმა ზოგიერთის ხელში მილიონები და შესაძლოა მილიარდებიც მოაქცია მშრომელი ადამიანების ხარჯზე. სტატიის დასაწყისში პუბლიკაციის ავტორი მონინავისათვის დამახასიათებელი ტონით გადმოსცემს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, რომელიც ხელისუფლების ცვლილებას მოჰყვა. წერილი ეხება ფასების შემცირებას, მედიკამენტების საგრძნობ გაიაფებას, ასევე ფქვილსა და პურ-პროდუქტებზე ფასების კლებას, მაგრამ იქვე დასძენს, რომ მსგავს სიტუაციაში ნაცმოძრაობის ბიზნესი კვლავ ხელშეუხებელია. პუბლიკაციის მიზანია აჩვენოს საზოგადოებას და გამოააშკარავოს ქვეყანაში არსებული უკანონო ქმედებები, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ეს: ყოფილი თუ ამჟამინდელი ხელისუფლებისა. საზოგადოებას სამართლიანი, ადამიანური, ღირსეული ასპარეზი და კონკურენტუნარიანი გარემო სჭირდება, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოს ან თუნდაც რეალობის შესაბამისად დაგეგმოს და განახორციელოს მისთვის საინტერესო საქმიანობა. საამისო განწობა კი სამწუხაროდ კვლავ არ ჩანს და „საკანონმდებლო ორგანოში კი გაცხარებით მსჯელობენ, დეპუტატებმა სადღესასწაულო დღეებში ნაციონალური სამოსით უნდა იარონ თუ არა“. მამხილებელი პათოსი, რომელიც სამართლიანობის აღდგენასა და დამკვიდრებას ეხება ქვეყანაში, ამ შემთხვევაში ძირითადი სათქმელია ანალიტიკური სტატიისა და ამდენად, მისი მონინავეობაც ამით არის ნაკარნახევი. გაზეთის პოზიციაა ხალხმა

განიცადოს კანონის უზენაესობა და ბოლო მოეღოს შერჩევით სამართალს, ამას კი კონკრეტული პიროვნებების მიმართ კანონიერი ქმედებებით უნდა გრძნობდეს იგივე საზოგადოება, და არა რომელიმე პარტიის წარმომადგენლისა თუ სახელმწიფო ჩინოვნიკის ახირებებით. „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსი დავით კეზერაშვილი ბრალდებულად ცნო საჯარო მოხელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის მოთხოვნისა და ქრთამის მიღების, ასევე, საფინანსო საქმიანობის სფეროში დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე“. გასაგებია და მარტივია წერილის ამ აბზაცის შინაარსი, მაგრამ იქვე იკითხება მთავარი -სად არის შედეგის მოვთხოვით? ვის დავუმტკიცოთ? ვის ჩავაბაროთ ანგარიში?: როგორ შენდებოდა „კეზერაანთკარი“ ანუ „გაკაფული“ ბიზნესი, „გაუმჭვირვალე“ ტანდემი, „ მთელი ქალაქი ერთ ჯიბეში“, – ეს ის ქვესათაურებია, რომელიც წერილის ავტორმა აზრის ნათლად და სამართლიანად გადმოცემისათვის და მისი მკითხველამდე გასაგებად და მარტივად მიტანისათვის გამოიყენა. ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვავინტერესებს წერილის შინაარსი იმდენად, რამდენად სამართლიანად ან თუნდაც მაღალპროფესიონალურად გადაჭრა ეს პრობლემა შესაბამისმა სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, არამედ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია წერილის, როგორც მონინავის, პათოსი, პოზიცია, მიზანმიმართულობა და საქმის გულშემატკივრობა, გამოსწორებისათვის ზრუნვა, რომ საზოგადოებას არ ჩამოუწყალიბოთ უსამართლობის შეგუების, მიღების განცდა, მიეცეთ მათ საშუალება იფიქრონ უკეთესზე, იზრუნონ გაცილებით მაღალ სტანდარტებზე, შექმნან საუკეთესო და ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი კონკრეტულ დროსა და ვითარებაში საკუთარ შესაძლებლობათა გამოვლენისათვის. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში გაზეთ „კვირის პალიტრისათვის“-მონინავე სარედაქციო უნდა იყოს არა მხოლოდ მონინავე და ნომერ პირველი სათქმელი მხოლოდ ამ

გაზეთისათვის, არამედ ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მაღალი პროცენტისათვის და ეს ნამდვილად ასეა. ამაშია მსგავსი ხასიათისა და შინაარსის მატარებელი ჟურნალისტური ტექსტების ძირითადი არსი, სწორედ ამგვარი განწყობა უდევს საფუძვლად სამართლიანი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებისათვის ბრძოლას, რომელიც ისევ და ისევ სანინდარია სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი საზოგადოებისათვის, რომლის დეფიციტიც მომაკვდინებლად შემაფერხებელია დემოკრატიული განვითარებისა და ცივილიზაციის აღმავლობის გზაზე მყოფი ქვეყნისათვის.

### **ლიტერატურა:**

1. თ.მაღალურაძე, თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები“, თბ.2013, გვ.250
2. „კვირის პალიტრა“, 05-05-2014
3. „კვირის პალიტრა“, 21-10-2013
4. „კვირის პალიტრაში“ 25-02-2013

## **პროპაგანდისტული სტატია**

პროპაგანდისტული სტატიის დანიშნულებაა საზოგადოებაში ხელისუფლების ან რომელიმე სხვა პოლიტიკური გაერთიანების მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის, მისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის პროპაგანდა დაწერგოს და გაატაროს. მხარი დაუჭიროს მიდგომებს, რომელსაც არსებული ხელისუფლება ან რომელიმე სხვა გავლენიანი პოლიტიკური გაერთიანება ატარებს გარკვეული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან ან საკუთარი პოლიტიკური ზრახვებიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარეობს სტატიის ამ სახისადმი ნაყენებული ძირითადი მოთხოვნები და თავისებურებანიც.

პირველ რიგში მსგავსი ხასიათის სტატიებში უნდა აღინიშნოს გამოკვეთილი მხარდამჭერი პოზიცია იმ იდეებისადმი, რომელსაც არსებული ხელისუფლება ატარებს. სწორედ იდეებისადმი ერთგულება განაპირობებს პროპაგანდისტული სტატიის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას. იმის გამო, რომ პროპაგანდისტული სტატია პროპაგანდას უწევს კონკრეტული პარტიის პოლიტიკას, ბუნებრივია, მისდამი ინტერესი საზოგადოების მხრიდან ისე უნდა იქნას გაგებული, რომ სტატიის შინაარსი და პათოსი მთლიანად ამა თუ იმ პარტიული იდეოლოგიიდან გამომდინარე, საქვეყნო ინტერესებს უნდა იყოს მორგებული. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან მისი გაგება არათანამიმდევრული და შეუსაბამო იქნება. ამიტომაც მაღალიდეურობა თავისთავად გულისხმობს იმ დონეზე „შეფუთვას“ სათქმელისას, როდესაც სახელმწიფოებრივი-სახელისუფლებო-საზოგადოებრივი და პარტიული ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, ავსებს და აწონასწორებს, რომელსაც საფუძვლად უდევს ყოველდღიური ცხოვრებისეული რეალობა, უფრო ზუსტად კი ყოველდღიური ყოფა და ცხოვრება, რომელიც ყველა თაობის ინტერესების გაერთიანებას წარმოადგენს. პროპაგანდისტული სტატიის თემატიკა ზოგადად ამოუწურავია და ის შეიძლება ეხებოდეს ყველა იმ მეტ-ნაკლებად მტკივნეულ პრობლემას, რომელსაც ადგილი აქვს ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. პროპაგანდის განევა შენს სასარგებლოდ საზოგადოების ერთი ნაწილის ან მთლიანად ყველას მიმხრობას გულისხმობს. ამდენად საკითხი შესაძლოა ეხებოდეს როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხებს მხოლოდ ერთი იდეის გარშემო: გაამართლო საკუთარი და დაამარცხო ოპონენტი, მოიპოვო მხარდამჭერი და წაართვა სხვას გულშემატკივარი, გადმოიბირო საკუთარ მხარეზე რაც შეიძლება მეტი და არ მისცე მოწინააღმდეგე ძალას საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება. სწორედ ასეთ ჭიდილსა და შეხლა-შემოხლაში იცვლება პარტიული იდეოლოგიები, საზოგადოების მხრიდან ადგილი აქვს მონაცვლეო-

ბას ერთი პარტიიდან მეორეში და პირიქით. ამ დროს, როგორც წესი, კარგად მუშაობს ცნობილი სახეების, საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი ადამიანების, ე.წ. ავტორიტეტების გადაბირება და მათი მიმხრობა. როგორც წესი, ცნობილი ადამიანების, ცნობადი სახეების ამა თუ იმ მიმართულებით ჩართვა ხელს უწყობს კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების მოძრაობას სხვადასხვა მიმართულებით. კომუნისტური დიქტატურის ეპოქაში სახელმწიფო პოლიტიკა, რა თქმა უნდა, მიმართული იყო განსხვავებული იდეოლოგიის წინააღმდეგ და ცდილობდა მასების, ხალხის გულისწყრომის მიმართვას დასავლური პოლიტიკისადმი. ეხლა კი სხვა ვითარებასა და გარემოებასთან გვაქვს საქმე, რადგან ქვეყანაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა თუ გაერთიანებების საფუძველზე მრავალი იდეა თუ იდეოლოგია მუშაობს და შესაბამისად კონკრეტულ პარტიათა ინტერესებიც იკვეთება. ამიტომაც ამჟამად თანამედროვე მედიაში ამ მხვრივ გაცილებით რთულადაა საქმე, ვიდრე ადრე იყო. მაშინ სახელმწიფო მანქანა იყო მომართული მხოლოდ ერთი „მტრული ქვეყნის“ იდეოლოგიის წინააღმდეგ და ქვეყნის შიგნით მსგავსი პროპაგანდისტული საქმიანობა არ საჭიროებდა ასეთ მოქმედებებს. დღეს კი, უამრავ პარტიათა არსებობის გამო, მრავალ განსხვავებულ იდეოლოგიათა დაპირისპირების ფონზე, ბრძოლის ასპარეზი უფრო გადმოტანილია ქვეყნის შიგნით და გაცილებით „ნაკლებშრომატევადია“ ქვეყნის გარეთ წარმოებული პროპაგანდა. ქვეყნის შიგნით არსებული იდეოლოგიური დაპირისპირება, რომელსაც პროპაგანდისტული სტატია ემსახურება, მოიცავს ყველა თემას, რითაც ადამიანი სულდგმულობს და ცხოვრობს. ცალკეული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ცდილობენ ძირითად ძალას, რომელიც ქვეყნის სათავეშია, ელაპარაკონ ჩასაფრებულის პოზიციიდან და აქცენტი ძირითადად გააკეთონ, მათი აზრით, ოფიციალური ხელისუფლების მცდარ და წარუმატებელ ნაბიჯებზე. ასეთი დამოკიდებულება თუ პროპაგანდა, რომელსაც ცალკეუ-

ლი მედიასაშუალება წარმოაჩენს, მეტად მტკივნეულად აღიქმება საზოგადოების მხრიდან. ამდენად დიდი ნიჭი და ძალისხმევაა საჭირო, გამოიცნო ცალკეულ მედიასაშუალებათა შენიღბულობა, რათა სიცრუე სიმართლედ არ შემოგაჩერონ, მტყუანი მართლად არ წარმოგიჩინონ, ცოდვილი უცოდველად და ა.შ. გავიხსენოთ რუსთავი-2-ის საქმიანობა ვარდების რევოლუციის წინ. დღეს ყველა აღიარებს, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლისთვის ამ ტელევიზიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა.

მიუხედავად იდეათა და იდეოლოგიათა დაპირისპირებისა ქვეყნის შიგნით, რითაც, როგორც ვთქვით, ცდილობენ მმართველი პარტიის დეგრადირებას მოწინააღმდეგენი, უფრო ზუსტად ოპოზიციური ანუ ხელისუფლებაში მოსვლის მოსურნე პარტიები, საინტერესოა თითოეული მათგანის პოზიცია ქვეყნის გარეთ არსებულ თუ წარმოებულ პოლიტიკასთან მიმართებაშიც. აქ ძირითადად ორი ან მაქსიმუმ სამი თვალსაზრისი იკვეთება, რაც გამოიხატება დასავლური, რუსული და ნეიტრალური ღირებულებებისადმი მიდგომებში. ამ მიმართულებით საზოგადოების, ხალხის სიმპათია-ანტიპათია მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია, მაგრამ სწორედ ისევ და ისევ ამა თუ იმ პარტიის პროპაგანდისტულ, იდეოლოგიზირებულ, აგიტაციურ საქმიანობაში აისახება საზოგადოების მხრიდან მათდამი გამოსატული მხარდაჭერა. ასეთ დროს საზოგადოებაზე ზემოქმედებას, როგორც ყოველთვის, გარე ძალებიც ახდენენ სწორედ ამა თუ იმ კონკრეტულ პარტიათა ლიდერების მოსყიდვის, ფარული დაფინანსების საშუალებით, რითაც ცდილობენ საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულის მოგებასაც.

ამიტომაც, ვიმეორებ, ამჟამად გაცილებით რთულადაა საქმე, ვიდრე სინამდვილეში გვგონია, რადგან უამრავი ძალა და ინტერესი იკვეთება და გადახლართულია ერთმანეთში როგორც შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, და ნამდვილად დიდი ძალისხმევა და ინტელექტუალური რესურსია სა-

ჭირო იმისათვის, რათა ცალკეულმა მედიასაშუალებებმა საზოგადოების კონსოლიდირება მოახდინონ სწორი მიმართულებით და ერის ინტერესების საზიანოდ არ გაიწიოს პროპაგანდისტული საქმიანობა. მაგრამ არიან კი ამისათვის მზად ცალკეული მედიასაშუალებები, რომლებიც სხვადასხვა შეხედულებებს ერთგულებენ? რამდენადაა მნიშვნელოვანი მათთვის სიმართლე და სიტყვის თავისუფლება, რომელსაც მსახურებენ და ფული, რომელიც არის „პური არსობისა?“

„კვირის პალიტრა“-26-08-2013, პუბლიკაციიდან – „სოფლის მეურნეობა – ადვილი გამოსავალი არ არსებობს მოსავლის დაბალი ხარისხი საწყობ-მაცივრებში მის შენახვას აძნელებს“

„ხშირი უამინდობისა და ზოგან სტიქიის მიუხედავად, წლეულს საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის კარგი მოსავალია. კახეთში ბევრი ატამი მოვიდა, ქართლში კი მსხმოიარე ვაშლის იმედი აქვთ. თუმცა იმისგან დამოუკიდებლად, მცირეა თუ უხვია ჭირნახული, გლეხებს პრობლემები მაინც ექმნებათ. ცუდი მოსავალი თავისთავად ცუდია, ბარაქიანის ფასი კი, ბაზარზე ერთბაშად შესვლის გამო, ეცემა და ეს მეურნეთა ამონაგებს ძალიან ამცირებს, თუნდაც გაყიდვა მოხერხდეს.

ცვალებადი მოსავლისა და ორი მხრიდან „ჩასაფრებული“ პრობლემების პირობებში, როგორც წესი, გამოსავალს ეძებენ. უნდა შეიკრას სრული ციკლი, რაც დოვლათის მონქევას, შენახვასა და გაყიდვას სჭირდება. წლეულს კახეთში გლეხებმა ტონობით არასასუფრე ხარისხის, ე.წ. სანარმოო ატამი გადაყარეს, მსგავსი უკიდურესობის წინაშე არაერთხელ დამდგარან ციტრუსის, ვაშლის, ბაღჩეულის მწარმოებლები. სანამ ადგილობრივი ხილ-ბოსტნეული სანაგვეზე ლპება, ბაზარს იმპორტირებული პროდუქცია ავსებს და კვლავაც მწვავედ ისმება ლამის მარადიული კითხვა – მაინც რა არის საჭირო, ადგილობრივი პროდუქციის შენახვის, გა-



დამუშავებისა და გაყიდვისთვის? ჯერ კიდევ წინა ხელისუფლება ამბობდა, რომ მოწეულ მოსავალს შენახვა სჭირდება და სამაცივრე მეურნეობების მშენებლობის აუცილებლობაზე საუბრობდა. ცოტა ხნის წინ გადაცემა „ბიზნესფაილში“, რომელიც რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრა TV“-ის ეთერში გადის, ერთ-ერთი სამაცივრე მეურნეობის წარმომადგენელმა თქვა, რომ ადგილობრივი პროდუქცია საკმარისი არ არის უკვე მოქმედი მაცივრების სიმძლავრეების დასატვირთავად და დღეს ეს ბიზნესი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის შენახვაზე მუშაობს. სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით კი, ქვეყნის სამაცივრე ინფრასტრუქტურას 95 ათასი ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შენახვა შეუძლია. სამაცივრე და შესანახი მეურნეობების არსებობის მიუხედავად, გლეხებს ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვის პრობლემა მაინც აქვთ. სამინისტროში ამბობენ, რომ გაიხიდან ეს საკითხი მოგვარდება, რადგან წლეულს დაწყებული შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიხსნება არაერთი გადამამუშავებელი საწარმო, სამაცივრე თუ სასაწყობე მეურნეობა. ეს შენახვის ფასებს შეამცირებს და უფრო ხელმისაწვდომს გახდის. „ფერმერთა და აგრომწარმეთა უმეტესი ნაწილი დარგში მიმდინარე პროცესებს არ იცნობს. ძალიან დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე, უხეშად ირღვევა კულტურათა თესვისა და მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებები და ვადები, ეს ყველაფერი კი მოსავალზე აისახება. შედეგად, მიღებული პროდუქცია არ ექვემდებარება სამაცივრე მეურნეობებში დიდი ხნით შენახვა-დასაწყობებას. დიდი პრობლემაა აგრეთვე მონაცემთა ბაზის არარსებობა, რაც ართულებს ანალიზს, როგორი იყო კულტურათა წარმოება და საშუალო მოსავლიანობა, ცხოველთა სულადობა და სხვ., რის მიხედვითაც დარგის რესურსი და პოტენციალი უნდა განისაზღვროს. ამიტომ

ყველა მუნიციპალიტეტში რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები შეიქმნა. მათი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ადგილობრივი აგროსაინფორმაციო ბაზის შექმნაა – სახნავი და მრავალწლოვანი ფართობები, კულტურათა წარმოება, საშუალო მოსავლიანობა, საშემოდგომო და საგაზაფხულო სამუშაოების მონაცემები, ტექნიკა, პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, გადამმუშავებლებისა და შესანახი მეურნეობების რაოდენობა და სხვ. ნებისმიერი დაინტერესებული პირი კონკრეტულ რჩევებსაც მიიღებს აგროტექნიკურ ღონისძიებებსა და ვადებზე“, – ამბობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ამ უწყების ცნობით, ქვეყანაში 34 მოქმედი სამაცივრე მეურნეობაა. აქედან ექვსი შიდა ქართლშია, ორი კახეთში, ექვსია იმერეთში, ერთიც სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში ხუთია, თბილისში – ცხრა; ქვემო ქართლში – სამი და ორი – მცხეთა-მთიანეთში. „სამაცივრე მეურნეობების დიდი ნაწილი, დაახლოებით 80%, სხვადასხვა მიზეზით არ მუშაობს. ძირითადი მიზეზებია პროდუქციის მწარმოებელსა და სამაცივრე მეურნეობების მეპატრონეთა შორის არასწორი კომუნიკაცია, პროდუქციის მეურნეობამდე ტრანსპორტირების პრობლემა, პროდუქციის არასათანადო ხარისხი, რაც გამოწვეულია აგროტექნიკური წესების დარღვევით ან სტიქიის მიერ.

სამაცივრე კამერის გაქირავების ღირებულება 1 ტონაზე, საშუალოდ, 35 ლარია თვეში (გააჩნია პროდუქციის დასახელებას, მის მოცულობასა და ხარისხს). მაცივარი არ იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქცია არ გაფუჭდება. ამიტომ პროდუქციის მეპატრონეს ძალიან დიდი რისკის განევა უხდება, რადგან მას წარმოდგენა არ აქვს, რამდენად ვარგისია პროდუქცია მაცივარში შენახვისთვის.

ამ ყველაფრის ალტერნატივაა, რომ მაცივრების მეპატ-

რონეებმა თვითონ შეიძინონ პროდუქცია, შეინახონ და გაყიდვაზეც იზრუნონ, მაგრამ აქაც დიდ პრობლემებს აწყდებიან. ეს გახლავთ ხარისხიანი პროდუქციის დიდი მოცულობით შესყიდვა. 100 ტონა ერთი სახისა და ხარისხის პროდუქციის მოსაგროვებლადაც კი საჭიროა რამდენიმე მწარმოებელთან მოლაპარაკება და მათთვის მოვლის ტექნოლოგიების სათითაოდ ახსნა, იმ დონეზე, რომ მათი პროდუქცია შესანახავად ვარგისი იყოს. 34 სამაცივრე მეურნეობიდან 14-ის ტევადობა 1 ათასი ტონა და მეტია. მათი შესანახი კამერების დიდი მოცულობების გამო, რენტაბელობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დიდი რაოდენობით პროდუქციის შენახვისას. იმპორტს თუ გამოვრიცხავთ, ამ რაოდენობის ხარისხიანი პროდუქციის მოგროვება საქართველოში ფიზიკურად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სამაცივრე მეურნეობების 80%-ის ამუშავება, დღევანდელი წარმოების პირობებში არარეალურია, ხოლო ამხელა მასშტაბებით იმპორტირებულ პროდუქციაზე მუშაობა დიდ საბრუნავ კაპიტალსა და დიდ რისკებს უკავშირდება.

გლახს, რომელიც პროდუქციას აწარმოებს, მოსავლის აღების მომენტში ყველაზე მეტად სჭირდება ფული და იმის მიუხედავად, რომ სამაცივრე მეურნეობებმა შესაძლოა ანაზღაურება დააცადონ და რეალიზაციის შემდეგ მოთხოვონ, მათ მაინც ურჩევნიათ, პროდუქციის ნაწილი აღებისთანავე გაყიდონ. ყველაზე ჭარბად წარმოებულ კულტურებზეც კი, როგორც არის, მაგალითად, კარტოფილი და ვაშლი (ესენი შესანახავად იდეალური პროდუქტებია), სამაცივრე მეურნეობებზე გამოკვეთილი მოთხოვნა არ არის, რადგან წარმოების დიდი მასშტაბის მიუხედავად, თვითონ მწარმოებლები იმდენად ბევრნი არიან, რომ მთლიანი წარმოება მათზე იყოფა და ისინი უკვე საკუთარი ძალებით ახერხებენ შენახვა-გაყიდვას. თითქმის ყველას აქვს სარდაფის ტიპის შესანახი

საწყობები, სადაც ოჯახის წევრების დახმარებით და ელემენტარული პირობების დაცვით ინახავენ პროდუქციას. იციან, რომ დანაკარგები არის, მაგრამ სანაცვლოდ ზოგავენ ტრანსპორტირების, პროდუქციის ჩალაგება-გადმოტვირთვისა და სამაცივრე მეურნეობის ხარჯებს. არასწორი დაგეგმარების გამო კი, სამაცივრე მეურნეობების ნაწილი არახელსაყრელ ადგილასაა აშენებული და მათთან პროდუქციის მიტანა დანახარჯებს კიდევ უფრო ზრდის. მოსავლის შენახვისას ძირითადი პრობლემა პროდუქციის მოყვანისას საჭირო აგროტექნიკის დაუცველობაა. მისი გაკონტროლება კი, თუ წარმოება საკუთარი არ არის, პრაქტიკულად შეუძლებელია და სწორად შესრულდა თუ არა ყველაფერი, ეს მხოლოდ შენახვისას პროდუქციის გაფუჭებით ვლინდება. ასე რომ, სამაცივრე მეურნეობების მუშაობის მთავარი წინაპირობა დიდი რაოდენობით (ათასობით ტონა) ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაშია, რომელიც შესანახად ვარგისი იქნება“, – განმარტავენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

რაც შეეხება ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელ საწარმოებს, ისინი 22-ია და განთავსებულია მარნეულში, სენაკში, ზუგდიდში, ყვარელში, ოზურგეთში, გორსა და ბათუმში. მართალია, გადამამუშავებელი ქარხნები ადგილობრივი ფერმერებისგან იბარებენ მოსავალს, მაგრამ მზა პროდუქციის გაყიდვის პრობლემა აქვთ. მათი თქმით, მცირე ბიუჯეტის გამო, მარკეტინგული თვალსაზრისით ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას ვერ ახერხებენ და ამიტომ ჯეროვან კონკურენციას ვერ უწევენ იმპორტირებულ პროდუქციას, რომელთა უკან ხშირად ძლიერი ფინანსური ჯგუფები დგანან და ლამის მუდმივმოქმედ სარეკლამო კამპანიებს აწყობენ.

ამდენად, სოფლის მეურნეობაში კომპლექსური პრობლემები იკვეთება, შესაბამისად, ისინი ერთობლივად უნდა გადაიჭრას, რათა ადგილობრივ ხილ-ბოსტნეულს მომხმარე-

ბელი მხოლოდ სეზონზე არ იღებდეს, აგრეთვე ჯეროვნად დაფასდეს და ანაზღაურდეს მეურნეთა შრომაც – უხვი მოსავალი ისევე რომ არ აშინდებდეთ, როგორც მოუსავლიანობა“.

პროპაგანდისტული სტატიის ერთ-ერთი თავისებურებაა შემტევი სტილი, თეორიისა და პრაქტიკის კავშირი. ცხოვრებისაგან თეორიის მოწყვეტა, პრაქტიკისაგან თეორიის გათიშვა მიუღებელია. ყოველთვის სახელმძღვანელო დებულებაა თეორიის განხილვა პრაქტიკასთან კავშირში. ამას უნდა ითვალისწინებდეს პროპაგანდისტული სტატიის ავტორი, თუ მას სურს, რომ მისი სიტყვა გასაზიარებელი და რაიმე ღირებულების შემცველი იყოს. თეორია უნდა ავსებდეს პრაქტიკას, ხოლო პრაქტიკა, თავის მხვრივ, უნდა ამდიდრებდეს თეორიას. მოცემულ პროპაგანდისტულ სტატიაში ავტორს თეორიული საკითხები გაშუქებული აქვს შემოქმედებითად. ასეთი მიდგომა დოგმა კი არა, შემოქმედებითი თეორიაა, რომელიც კონკრეტული საკითხების წარმომშობი მიზეზების გაშუქებას შემოქმედებითად წარმოაჩენს ხოლმე და მეტი ემოციურობითა და ექსპრესიულობით ტვირთავს სათქმელს. პროპაგანდისტული სტატიის ავტორი სწორედ ამას ითვალისწინებს და არა იმას, სადაც მხოლოდ საკითხების ჩამონათვალია, სადაც მიზეზებზე ზედაპირული საუბარი სტატისტიკის როლს უფრო ირგებს და არა ანალიტიკოსი მკვლევარისა, რომლის ძირითადი ამოცანაა სწორედ მიზეზებისა და ფაქტების შემოქმედებითი გაშუქება, რომელიც მკითხველს გარდა პრობლემატიკის არსში წვდომისა, ანიჭებს სიამოვნების განცდას, კმაყოფილებით განაწყობს პირველ რიგში აზრის განვითარების თავისუფალი და საინტერესო წარმოჩენით. მიზანს სტატიის ავტორი მსგავსი მეთოდებით აღწევს. აქ ვერ ვნახავთ მზამზარეულ, „ყურით მოთრეულ“ დებულებებსა და ციტატებს, ავტორი პირად დაკვირვებებსა და მის შედეგად გამოტანილ დასკვნებს ეყრდნობა, რაც აღნიშნული სტატიის მრავალმნიშვნელოვნებასა და მიზანმიმართულობაში გამოიხატება.

დროის შეგრძნება პროპაგანდისტულ სტატიაში უქვე-

ლად უნდა ჩანდეს. რაც გუშინ პროგრესული, ე.ი. მისაღები იყო, დღეს შეიძლება მოძველდეს და მიუღებელი გახდეს. დიალექტიკური კანონი უკლებლივ ყველაფერზე მოქმედებს. ამიტომ თეორიისა თუ პრაქტიკის საკითხების გაშუქებაც განვითარებისა და მუდმივი ცვლილებების ასპექტში უნდა ხდებოდეს. ახალი დრო, ყოველი ახალი დღე სავსეა სიახლეებით, მათ ცვლილებები შეაქვთ ჩვენს თვალსაზრისში, კითხვების გაგებაში. ამ ცვლილებათა გათვალისწინება, სიახლის გრძნობა, დროის შეგრძნება პროპაგანდისტულ სტატიაში აუცილებელია, რაც ნათლად ჩანს მოყვანილ სტატიაში და მისი მიმზიდველობა და შინაარსიანობა გაცილებით საინტერესო ხდება. საქართველო ხომ ისტორიულად მინათმოქმედი ქვეყანაა, სადაც სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ წამყვან დარგად თუ მიმართულებად ითვლებოდა. სწორედ ამან ათქმევინა ცნობილ ქართველს მეფე-პოეტს თეიმურაზ პირველს ცნობილი სტრიქონები: „თუ ამონყდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“. დიახ, ქართველი ერის ძლიერება, მისი ღირსება და ვაჟკაცური შემართება ისტორიულად მთასა და ბარში იწრებოდა და ფოლადდებოდა. ქართულ წიაღში დაბადებული ქართველისათვის ყოველთვის წმინდა იყო საუკუნეებს გამოტარებული ეროვნული ფასეულობები, რომელიც შედუღებული იყო მუხლჩაუხრელ შრომასა და საქმიანობასთან. სწორედ ამან გადაარჩინა და გაამდიდრა ქართული ვაზი, ქართული ბალ-ვენახები... დღეისათვის კი, როდესაც ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტს სოფლის მეურნეობა უნდა წარმოადგენდეს, სტატიაში გადმოცემული ამბავი გვაგონებს შუასაუკუნეების დროინდელი ქართული სოფლებისადმი უცხოტომელთა ვერაგულ პოლიტიკას, როდესაც ვაზს ჩეხდნენ და წვავდნენ, ანადგურებდნენ უნიკალური ქართული ჯიშის მრავალწლიან ნარგავებს, ფესვებს უთხრიდნენ ზოგადად ქართულ ეთნოსს და ცნობიერებას. ამაზრუნია ხელისუფლების დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისა და ზოგადად სოფლისადმი, როდესაც გლეხს მოუსპეს ადგილობრივი ჯიშის ხილ-ბოსტნეუ-

ლის ბაზარზე გატანის საშუალება და მოსავალი უმეტესწილად ველ-მინდვრებში ღებობდა, როდესაც არანაირი პერსპექტივა არ უჩანდა ჯანიანი ქართველი ფერმერის მიერ მადლიან ქართულ მიწაზე მოწეულ პროდუქციას და ... სოფელიც დაცარიელდა და დაიცალა, მოიშალა და მოირყა საძირკველი და ფუძე მისი... აღნიშნული სტატიის სათქმელი მოსასმენად და წასაკითხად მტკივნეულია და მწარე, მაგრამ ამასთან აუცილებელი გაკვეთილი ნებისმიერი ძალისათვის, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას შეეცდება. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ მსგავსი პრობლემატიკის წაყრუება სავალალო შედეგების მომტანია როგორც ხელისუფლებაში მყოფი, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის და ამ მიმართულებით კონკრეტული მედიასაშუალებების სამართლიანი პოზიცია და ხმის ამოღება გამირობის ტოლფასია და სათანადო დაფასებას საჭიროებს.

გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“-2014 წელი, მაისი, №5, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ბარამიძის პუბლიკაცია „ზოგიერთი მოსაზრება ლენინის სიკვდილის სავარაუდო მიზეზების შესახებ“.

თვალი გავადევნოთ საგაზეთო სტატიას, რომელიც ძალზე საინტერესოდ მიმოიხილავს მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გახმაურებული პიროვნების ბურუსით მოცულ ცხოვრებისეულ დეტალებს. საგაზეთო პუბლიკაციაში ავტორი ცდილობს სინათლე და სიცხადე შეიტანოს ბევრისათვის საინტერესო, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველ დეტალებზე, ფაქტებზე და სიტუაციებზე, რომლის ამოცანაა აიხსნას, გაიშიფროს, განიმარტოს სერიოზული, მნიშვნელოვანი, აქტუალური კითხვები და პრობლემები, გადმოიცეს ის თეორიული მსჯელობის საფუძველზე დაწერილი გასაგები ენით და ამასთან ყველასათვის მისაწვდომი და მარტივი რომ იყოს.

„მთის არწივი“ ლენინი ადრეც ავადმყოფობდა, ხანგრძლივად მკურნალობდა და ისვენებდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში ამან სისტემატური ხასიათი მიიღო. 1922 წლის დეკემბერში გორკაში სამკურნალოდ მყოფი ლენინის ჯან-

მრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ლენინმა ფაქტობრივად დაკარგა მეტყველებისა და მოძრაობის უნარი. იგი ხშირად და უმიზეზოდ ღიზიანდებოდა, ახლოს არ იკარებდა ექიმებს, ზოგჯერ არ უნდოდა კრუპსკაიას ნახვაც, უმიზეზოდ ტიროდა და იცინოდა კიდეც. დაუქვეითდა მეხსიერებაც, ვერ ასრულებდა ელემენტარულ მათემატიკურ ოპერაციებს, შეეცვალა გამომეტყველება, შეშლილივით დაეძებდა რაღაც საბუთებს, დოკუმენტებს მალავდა ლეიბის ქვეშ, სხვა სამალავებში. ყველა წამალს გემოს უსინჯავდა. ბევრ წყალს სვამდა და ხშირად ოთახებში შარდავდა. რიგ შემთხვევაში ვერ აცნობიერებდა, რომ სამოქალაქო ომი დამთავრდა და ა.შ.

ავადმყოფი ლენინისათვის დანესდა სპეციალური საექიმო რეჟიმი, რომლის დაცვაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა კომისიას სტალინის, ზინოვიევისა და კამენევის შემადგენლობით. 1922 წლის 18 დეკემბერს კი ცკ-ის პლენუმმა უშუალოდ სტალინს დააკისრა „პერსონალური პასუხისმგებლობა ლენინის იზოლაციაზე, როგორც მუშაკებთან მისი პირადი ურთიერთობის, ისე მიმონერის მხრივ“.

აი, ასეთ ადამიანს მალავდნენ თურმე საგულდაგულოდ. ლენინი ფაქტობრივად შეშლილი იყო, რომლის სიმპტომებიც საკმაოდ ადრე გამოვლინდა. ამას ადასტურებს თუნდაც მისი ასეთი შემადრწუნებელი, არაადამიანური სანქციები თუ განკარგულებები: „ყოველგვარი იდიოტური აურზაურის გარეშე დახვრიტეთ უკლებლვ ყველა“. ეს სანქცია ეხებოდა სხვადასხვა ქალაქში ტყვეობაში მყოფ მილიონამდე(!) კაზაკს. „ნურავის დაეკითხებით – დახვრიტეთ, დახვრიტეთ, დახვრიტეთ“, „მასობრივი ტერორი, გადაასახლეთ, ჩაყარეთ საკონცენტრაციო ბანაკებში“, „წაართვით მთელი პურის მარაგი და ჩამოახრჩვეთ კულაკები“, „ამხ. ძერჟინსკის ... აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად მოვუღოთ ბოლო მღვდლებსა და რელიგიას ... დახვრიტეთ შეუბრალებლად, დახვრიტეთ ყველგან და რაც შეიძლება მეტი...“.

ფიზიკურად და სულიერად ასეთ უმწეო მდგომარეობაში



მყოფი ლენინი გარდაიცვალა გორკაში 1924 წლის 21 იანვარს. ადამიანის გარდაცვალება ჩვეულებრივი მოვლენაა, მით უფრო ასეთ მდგომარეობაში მყოფი, მძიმედ ავადმყოფი ადამიანის შემთხვევაში. თითქოს ჩვეულებრივადვე უნდა ყოფილიყო აღქმული ეს, მაგრამ ლენინის სიკვდილის უშუალო მიზეზებთან დაკავშირებით იყო და არის აზრთა სხვადასხვაობა. ამას თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი ტროცკისა და ბუხარინის მინიშნებებმა. უკანასკნელ პერიოდში ეს საკითხი კვლავ აქტუალური გახადა, პროფესორმა დ. ვოლკოგონოვმა თავის სქელტანიან წიგნებში ლენინის, სტალინისა და ტროცკის შესახებ. ერთნი ამბობდნენ და ამბობენ ლენინი სტალინმა მონამლაო, მეორენი – თავი მოიკლაო, მესამენი – ბუნებრივი სიკვდილით აღესრულაო.

რა შეიძლება ითქვას სტალინთან დაკავშირებული ვერსიის შესახებ? ჯერ ერთი, თუ სარეცელს მიჯაჭვული, უმძიმეს, კრუჰსკაიას სიტყვებით, რომ ვთქვათ „საზარელ“ მდგომარეობაში მყოფი ლენინის სიკვდილი სტალინის ინტერესებში შედიოდა, გაუგებარია მაშინ განსაკუთრებული ძალისხმევა, მისი დიდი მეცადინეობა მსოფლიოს საუკეთესო ექიმების მოსანვევად. მისი უშუალო განკარგულებით ყველაფერი კეთდებოდა ავადმყოფისათვის. ლენინის მკურნალობაში და კონსულტაციებში, მრავალრიცხოვან კონსილიუმებში მონაწილეობდნენ გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტები (26 პროფესორი და დოქტორი), რომლებსაც უხდიდნენ ზღაპრული რაოდენობის ფულს, ძირითადად ოქროთი. იქნებ სტალინი ამით თავის შენიღბულ სურვილს მალავდა? თუ ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნავ, მისი სიცოცხლისათვის ყველაფერს აკეთებ, როგორ უნდა შევათავსოთ ეს მისი სიკვდილის სურვილთან? რატომ გაირთულებდა უაღრესად წინდახედული სტალინი ხელოვნურად საქმეს ასეთი სურვილის შემთხვევაში, როცა ყველაფერი ბუნებრივად აქეთკენ მიდიოდა?

ლენინის სიკვდილის მიზეზებთან დაკავშირებით გამოთ-

ქმული ვერსიების შესაფასებლად, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება გავეცნოთ პარტიულ არქივში დაცულ მრავლისმეტყველ საიდუმლო დოკუმენტს: „სრულიად საიდუმლოდ, პოლიტბიუროს წევრებს შაბათს 11 მარტს ამხ. ნ. კრუპსკაიამ არხიკონსპირაციული წესით მაცნობა მე „ვლ.ილიჩის თხოვნა სტალინისადმი“ იმის შესახებ, რომ მე, სტალინმა, ავიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა ვიშოვო და გადავცე ვლ. ილიას ძეს კალიუმციანიდის პორცია. ჩემთან საუბარში ნ.კ.თქვა, რომ „ვლ. ილიას ძე განიცდის აუტანელ ტანჯვას“, რომ „ასე სიცოცხლე წარმოუდგენელია“, და დაჟინებით მოთხოვდა „უარი არ მეთქვა ილიჩის თხოვნაზე“. ნ.კ. განსაკუთრებული დაჟინებისა და იმის გამო, რომ ვლ. ილიას ძე მოითხოვდა ჩემს თანხმობას, მე არ ჩავთვალე საჭიროდ მეთქვა უარი და განვაცხადე: „ვლ. ილიას ძეს ვთხოვ დამშვიდდეს და მენდოს, რომ როცა საჭირო იქნება, მე უყოყმანოდ შევასრულებ მის თხოვნას“.

მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მე არ მეყოფა ძალები შევასრულო ვლ. ილიას ძის თხოვნა და იძულებული ვარ უარი ვთქვა ამ მისიაზე, როგორადაც არ უნდა იყოს იგი ჰუმანური და აუცილებელი, რის შესახებაც ვაუწყებ ცკ პ. ბიუროს წევრებს. 21 მარტი, 1923 წ. ი. სტალინი“ ამ წერილის გაცნობას თავიანთი ხელმოწერებით ადასტურებენ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, მოლოტოვი, ტომსკი. ეს უკანასკნელი მოითხოვს საკითხის განხილვას პოლიტბიუროს განსაკუთრებულ სხდომაზე მდივან-მემანქანეებისა თუ სხვა ტექნიკური პერსონალის მონაწილეობის გარეშე. გავეცნოთ სტალინის ხელით შედგენილ კიდევ ერთ საგულისხმო საიდუმლო დოკუმენტს. „ზინოვიევს, კამენევს.

ეს ესაა გამომიძახა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა და საიდუმლოდ მაცნობა, რომ ილიჩი „საზარელ“ მდგომარეობაშია, მას აქვს შეტევები, არ უნდა, არ შეუძლია მეტი სიცოცხლე და მოითხოვს კალიუმციანიდს აუცილებლად“. მაცნობა რომ სცადა კალიუმის მიცემა, მაგრამ „არ ეყო გამძლეობა“,

რის გამოც მოითხოვს „სტალინის დახმარებას“. სტალინი.” როგორც ვხედავთ, პირველ დოკუმენტში კრუპსკაია დაჟინებით მოითხოვს სტალინისაგან უარი არ თქვას ილიჩის თხოვნაზე მისცეს სასიკვდილო სანამლავი. მივაქციოთ ყურადღება, კრუპსკაია სტალინს კი არ არცნობს ვითარებას, კი არ თხოვს, არამედ განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს, რომ მან შეასრულოს ილიჩის ზემოაღიშნული თხოვნა. მეორე საიდუმლო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კრუპსკაიას პირადად თვითონ უცდია სანამლავის მიცემა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ბოლომდე „არ ეყო გამძლეობა“ თურმე და მოითხოვს „სტალინის დახმარებას“. ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ თუკი ვინმეზე შეიძლება ლენინის სიკვდილზე (მონამვლაში) ეჭვის შეტანა, პირველ რიგში, ალბათ ისევ კრუპსკაიაზე. ვინ იცის, იქნებ ნ. კრუპსკაიამ მეორე ცდისას გამოიჩინა უფრო მეტი გამძლეობა და წარმატებით შეასრულა ეს „ჰუმანური“ მოქმედება? ასე რომ, ლენინის ტვინის შესაძლებელი ბიოქიმიური ექსპერტიზაც კი, რომელსაც სტალინისადმი აშკარა მინიშნებებითა და ქვეტექსტებით ელოდებიან მავანნი, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ დაადასტურებს მისი მონამვლის ფაქტს (თუ ამას მართლაც ჰქონდა ადგილი), მაგრამ სანამლავის მიმცემი პიროვნების ვინაობას ვერ დაადგენს.

რაც შეეხება სტალინთან დაკავშირებულ ვერსიას, ამ საიდუმლო მასალის გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ ლენინის სიკვდილის სურვილის შემთხვევაში, სტალინი პოლიტიკურად კი არ მიმართავდა აღნიშნული წერილით, იგი უბრალოდ შეასრულებდა კრუპსკაიას დაჟინებულ მოთხოვნას და ამით, სხვათაშორის, ლენინისათვის ადრე მიცემულ პირობასაც შეასრულებდა. მარია ულიანოვა ადასტურებს, რომ 1922 წლის მაისში ავადმყოფობით თავზარდაცემულმა ლენინმა სიტყვა ჩამოართვა სტალინს, რომ მორიგი პარალიზისა და მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში იგი სანამლავს მისცემდა მას. და აი, მძიმე მდგომარეობაში მყოფმა

ლენინმა სტალინის პირობის შესრულება მოთხოვა, რაზედაც კრუპსკაიაც იყო თანახმა. შეიძლება ვიფიქროთ, ილიჩი ამონებდა სტალინის მომცემს თუ არა სასიკვდილო საწამლავსო. მაგრამ არა, ასეთი ექსპერიმენტებისათვის ლენინს მაშინ ნამდვილად არ ეცალა. იმდენად აუტანელი – კრუპსკაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „საზარელი“ იყო მისი მდგომარეობა, ისე ნვალობდა იგი, რომ სტალინის მეგობრობას, მის სიმტკიცეს ენდობოდა და ამგვარად სურდა გაუსაძლის სიცოცხლეს გამოსალმებოდა. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ სტალინმა კრუპსკაიასგან განსხვავებით, თავი შეიკავა ასეთი „ჰუმანური“ ქმედებისაგან (ქმედების ყოველგვარი ცდისაგან).

ასე რომ, მოტანილი საიდუმლო დოკუმენტიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში მაინც რეალური მკვლელი (ფიზიკურად და იდეურად), კრუპსკაია გამოდის. სტალინს კრუპსკაიას „დაჟინებული მოთხოვნა“ რომ შეესრულებინა და ლენინისათვის გადაეცა საწამლავი, კრუპსკაიას როლი ამ საქმეში გადამწყვეტი არ იქნებოდა? მას ხომ შეეძლო „დაჟინებული მოთხოვნით“ კი არ მიემართა სტალინისათვის, არამედ უბრალოდ ეცნობებინა მისთვის ეს ამბავი, თუნდაც შემდგომი კონსულტაციისათვის, ანდა საერთოდ გაჩუმებულიყო, დაემლა ბელადის ასეთი საშინელი მოთხოვნა სტალინისადმი. ვინ აკონტროლებდა, ვინ აიძულებდა მას სწორედ ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა ?

იქნებ ეშინოდა, ავადმყოფი ლენინი „ჩამიშვებსო“ ცნობილ კომისიასთან. ასეც რომ მომხდარიყო, განა ვინმე უსაყვედურებდა კრუპსკაიას ამისთვის? თუკი ადრე სტალინმა იგი დატუქსა, ეს გააკეთა დაწესებული საექიმო რეჟიმის დარღვევის გამო. ოპოზიციონერებისადმი ყოველთვის ლოიალურად განწყობილმა კრუპსკაიამ ეს რეჟიმი დაარღვია ფაქტობრივად მათ სასარგებლოდ და ლენინის ჯანმრთელობის საზიანოდ. ამ შემთხვევაში კი კრუპსკაია ყოველმხრივ დაცული იყო. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, იგი სწორედ ასე მოიქცა და ამ ქმედებაში განა არ იკითხება მისი ფარული თუ აშკა-

რა სურვილი ლენინის სიკვდილისა? სხვა საკითხია ეს ჰუმანური მოქმედება იყო, თუ არაჰუმანური. მაგრამ ჩვენი თანამემამულის ბრალეულობა ამ საქმეში არ ჩანს. სტალინს სხვა ცოდვებიც ეყოფა და ხელოვნურად მისი დამძიმება არაზნეობრივია, მით უფრო, როდესაც ეს კეთდება არაჯანსაღი ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ აუტანელი ტანჯვის გამო თავად ლენინი იყო თავისი სიკვდილის დამკვეთი, ხოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კრუპსკაია – მკვლელი, ამკარაა, რომ სტალინს არც ერთი მათგანისათვის არ გაუნევია „დახმარება“. ვფქირობთ, ილიჩი ასეთი აქტიური გარეგანი ჩარევების გარეშე გარდაიცვალა“.

ხშირად იბეჭდება კრიტიკული ხასიათის წერილები, რომელშიც ხან ერთი შეხედულებისადმი მხარდაჭერა, ერთი იდეის გამართლება ხშირად ხდება მეორე შეხედულების, იდეის, კრიტიკის ხარჯზე. ზოგადად ასეთი მიდგომა საინტერესოა და მისდამი დამაჯერებლობაც წარმოდგენილი არგუმენტაციისა თუ პოზიციის სისწორის შესაბამისია. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა მართალი იყოს ოპონენტი, ერთგვარი ეჭვის საბაზი მაინც იჩენს ხოლმე თავს, როდესაც საკუთარ პოზიციას ამართლებ და სხვისას კი აკრიტიკებ. ვიმეორებთ: ეს ასეა და დამკვიდრებული წესია, მაგრამ შენს უტყუარობასა და სამართლიანობაში მეტი სიმტკიცის, თუნდაც მეტი დამაჯერებლობისა თუ მხარდაჭერისათვის აუცილებელია და კარგი საშუალებაა ფაქტებით არგუმენტირება, დინჯი და დამაჯერებელი ტონი, შეფარული, იშვიათად ღია და პირდაპირი პროპაგანდა და დაცვა იმ ღირებულებებისა, რაც მიგაჩნია უტყუარ არგუმენტად კონკრეტულ სიტუაციაში, და არა მხოლოდ მონინაალმდეგის შიშველი კრიტიკა. ფაქტზე ფაქტებმა უნდა ილაპარაკონ, ფაქტებმა უნდა იმეტყველონ, ფაქტებმა უნდა გასწიონ პროპაგანდა, ფაქტებმა უნდა იმუშაონ, – ეს არის ველაზე მთავარი არგუმენტი პროპაგანდისტული სტატიისა. ხსენებული პუბლიკაცია ნამდვილად ართმევს თავს ამ პრობ-

ლემატკას. ამ წერილში სწორედ ფაქტებით პროპაგანდაა, უტყუარი დეტალებია იმ შეხედულებათა და თვალსაზრისთა გამოსახატად, რასაც პუბლიკაციის ავტორი ისახავს მიზნად. ამ შემთხვევაში პროპაგანდისტული სტატიის დანიშნულება საზოგადოებაში სწორი, მართალი, რეალური სინამდვილის ჩვენებაა, ამ მიმართულებით ჩვენს საზოგადოებაში არსებული თეორიული თუ პრაქტიკული შეხედულებების ღია და საჯარო პროპაგანდაა, რომელიც დამკვიდრებული სტერეოტიპების მოშლას ემსახურება.

### **ლიტერატურა:**

1. „კვირის პალიტრა“-26-08-2013
2. „ბათუმის უნივერსიტეტი“-2014 წელი, მაისი, №5

## **პრობლემური სტატია**

პრობლემატური სტატიის ამოცანაა წარმოაჩინოს პრობლემა, როგორც სოციალური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი, საინტერესო, აქტუალური. აჩვენოს ყველას, რომ ეს პრობლემა ნამდვილად აშფოთებს და იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. პრობლემური სტატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი პროგნოზირებაა, როდესაც ავტორის მიერ პრობლემის სავარაუდო სამომავლო განვითარების შესახებ საინტერესო შეხედულებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო დასკვნებით ყალიბდება, როდესაც დასკვნების თაობაზე გამოთქმული მოსაზრებები ტოვებს უტყუარის, ჭეშმარიტის, სწორი და მართალი შთაბეჭდილების განცდას. ეს ყოველივე აუდიტორიის ცნობიერებაზე აისახება, როგორც ყველაზე შთამბეჭდავი ზემოქმედების მომხდენი განწყობა. პრობლემური ხასიათის სტატიაში გარკვეულნი-

ლად გამოთქმულია მოსაზრება, ვარაუდი დასმული საკითხის სამომავლო განვითარების შესახებ.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი პრობლემაც დგება, რომელიც უშუალოდ სოფლის მეურნეობას, მეცნიერებას, ტექნიკას არ ეხება. რიგ შემთხვევაში შეიძლება იგი შეეხებოდეს რაიმე უარყოფით მოვლენას ადამიანთა შეგნებაში, ყოფაში, ზნეობაში, მაგრამ ესეც პრობლემაა, რომელსაც დროზე მიხედვა სჭირდება.

პრობლემური სტატიის დანიშნულებაა ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომნიჭებული რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის, პრობლემის დასმა და იმის დამტკიცება, რომ საჭიროა ამ პრობლემის გადაწყვეტა. ცხოვრება ვითარდება, წინ მიდის და მას მთელი რიგი ცვლილებები შეაქვს ყველაფერში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ტექნიკის სწრაფი განვითარება, სხვადასხვა დარგში მიღწეული ახალი, პროგრესული მეთოდები ან სხვა, ზოგჯერ გაუთვალისწინებელი გარემოებები, როდესაც ამ გარემოებათა საფუძველზე ხშირად დგება ისეთი პრობლემა, რომლის სწორ გადაწყვეტას შესაძლოა დიდი წარმატებები მოჰყვეს.

ამ ასპექტში გვინდა განვიხილოთ ემა ტუხიაშვილის სტატია, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კვირის პალიტრაში“ – 23-09-2013 სათაურით: „უცხოელი ინვესტორი ყოველთვის მართალია?!“

„ გასულ კვირას „ეკოპალიტრის“ მთავარი თემა თხილის ბიზნესს მიეძღვნა. ბოლო წლებში ევროპულ ბაზრებზე ქართულ თხილზე მოთხოვნა გაიზარდა. შესაბამისად, თხილის ექსპორტი საკმაოდ სარფიან და შემოსავლიან საქმედ იქცა. თუმცა თხილის მწარმოებლები და ექსპორტიორები მთელ რიგ პრობლემებზე საუბრობენ. მათ შორის, თაღლითურ სქემებზე, რომლის მსხვერპლიც ბოლო წლებში თხილის ბიზნესით დაკავებული რამდენიმე მენარმე გახდა.

შინაურ მღვდელს რომ შენდობა არ აქვს, ჩვენს სინამ-

დვილემი სიახლე არ არის. ადვიშვილის პროკურატურას ეს ანდაზა კარგად ჰქონდა გათავისებული, განსაკუთრებით, ბიზნესის მიმართ. საკმარისი იყო, რომელიმე ვაიინვესტორს მის ქართველ პარტნიორზე პროკურატურაში განცხადება შეეტანა, რომ ქართველი ბიზნესმენი ელვის სისწრაფით გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა ხოლმე. მნიშვნელობა არ ჰქონდა საქმის რეალურ გარემოებებს, წილების ოდენობას, დაბანდებულ ინვესტიციებს, ქართული მხარის არგუმენტებსა და მტკიცებულებებს. ინვესტორი ყოველთვის „მართალი“ იყო.

დრო შეიცვალა. ქვეყანას სხვა ხელისუფლება მართავს, სამართლიანობის აღდგენის იმედიც გაჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ადვიშვილის დაუნერელი კანონები ჯერ ისევ მოქმედებს, განსაკუთრებით, რეგიონებში. ბიზნესმენ არჩილ ვეკუას საქმე ამის ნათელი მაგალითია.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საქართველოში 2009 წელს თურქეთის მოქალაქე ალი რიზა კიზილდაგი ჩამოვიდა და თხილის ბიზნესში ჩართვა გადაწყვიტა. მან თავი ქართველ პარტნიორებს გააცნო, როგორც შვეიცარიის საინვესტიციო ჯგუფის წარმომადგენელმა და დიდი კავშირების მქონე ბიზნესმენმა.

არჩილ ვეკუა (ბიზნესმენი): „პირველი, რაც ალი რიზა კიზილდაგმა გააკეთა, შპს „ანკა გეორგია“ დააფუძნა, რომლის 80%-ის მფლობელი და ერთ-ერთი დირექტორიც თვითონ გახდა, ხოლო ძმები, გიგა და გედევან კორძახიები, მცირე წილის პარტნიორებად დაარეგისტრირა.

ალი რიზა კიზილდაგის სქემა მარტივი იყო. მან სოფელ დარჩელში, ძმები კორძახიების მეშვეობით, ფრიდონ კოდუას თხილის ქარხანა დაიქირავა, მცირე ფერმერებისგან თხილის მიღება „პოსლეზე“ დაიწყო და პროდუქცია უცხოელ მყიდველებს გაუგზავნა.

სულ რაღაც წელიწად-ნახევარში ამ ბიზნესიდან ისე გა-



მოვიდა, რომ გიგა კორძახია, როგორც კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი, კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების გამო ციხეში აღმოჩნდა, ხოლო ქარხნის მეპატრონე ფრიდონ კოდუას ფინანსური პრობლემები შეექმნა. თავად ალი რიზა კიზილდაგი მშრალად გამოძვრა შექმნილი ვითარებიდან და ხელი ქართველი პარტნიორებისკენ გაიშვირა, რომ თითქოს მას ატყუებდნენ, არ იცოდა ქართული კანონები და მეტიც, ისიც კი არ იცოდა, რომ თავისივე კომპანიის დირექტორი იყო.

ამის შემდეგ ალი რიზა კიზილდაგი მე დამიკავშირდა. გამეცნო, როგორც სერიოზული ბიზნესმენი და შვეიცარიის ელჩთან დაახლოებული პირი. შემომთავაზა პარტნიორობა და სანაცვლოდ მამაჩემის, თენგიზ ვეკუას თხილის ქარხნის საქმეში ჩადება მომთხოვა.

ალი რიზა კიზილდაგი ამჯერადაც ჩვეული სქემით მოქმედებდა. პროდუქციას მცირე ფერმერებისგან „პოსლეზე“ იღებდა, უცხოელი მყიდველებისგან კი ფულს წინასწარ რიცხავდა მის კუთვნილ კომპანიაში, რომელიც ამჯერად შვეიცარიაში დაარეგისტრირა და სახელად „ანკა ფუდი“ დაარქვა, რომლის 20%-იც, ჩვენი ზეპირი შეთანხმებით, მე მეკუთვნის, თუმცა აქაც მომატყუა.

შემდეგ, ჩემი ფირმიდან 250 ათასი ლარი გამომატანინა და თავისი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სვის კრედიტი“ დააფუძნა, რომელშიც ასევე 20% უნდა მოეცა, თუმცა არც ეს პირობა შეასრულა.

როცა ზეპირი შეთანხმებების შესრულება მოვთხოვე და თან დაინახა, რომ დასახულ მიზანს – ჩვენი ოჯახის თხილის ქარხანას ხელში ჩაგდებას ვერ მიაღწევდა (მანამდე ის ბანკში ჩამადებინა კრედიტის სანაცვლოდ) 2013 წლის გაზაფხულზე პროკურატურაში განცხადება შეიტანა და იმ თანხების მითვისებაში დამდო ბრალი, რომლითაც თავისი კუთვნილი ფირ-

მა დააფუძნა.

პროკურატურის რეაგირებამ არ დააყოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო დავა მიმდინარეობდა, არ დაელოდა საქმის დასრულებას, სასწრაფო წესით ბრალი წამიყენა და 35 ათასი ლარის გირაო შემიფარდა“.

ლაშა ნოდია (არჩილ ვეკუას ადვოკატი): „ყველანაირი ლოგიკითა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, პროკურატურა მხარეებს შორის სამოქალაქო დავის დასრულებას უნდა დალოდებოდა. ბრალის წარდგენიდან ერთი თვის თავზე, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ალი რიზა კიზილდაგის სარჩელი არჩილ ვეკუას მიმართ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო. მეტიც, შემხვედრი სარჩელით, რომლითაც არჩილ ვეკუა ითხოვს ალი რიზა კიზილდაგის მიერ სხვადასხვა დროს მითვისებული, ჯამში 371 ათასი ლარის დაბრუნებას, სწორედ ამ უკანასკნელის წილი დააყადაღა მის მიერ დაფუძნებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სვის კრედიტში“. გამოდის, ერთსა და იმავე საქმეზე არჩილ ვეკუა სამოქალაქო წესით მოგებულია და ამავე დროს, სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულად არის ცნობილი. ეს სრული სამართლებრივი ნონსენსი და აბსურდია, რადგან იურიდიულ მეცნიერებაში არ არსებობს დანაშაული ზიანის გარეშე. ვფიქრობთ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურმა პროკურატურამ აშკარად იჩქარა გადაწყვეტილების გამოტანისას. ჩვენ საჩივარიც გვაქვს შეტანილი პროკურატურაში ალი რიზა კიზილდაგის წინააღმდეგ, მაგრამ ჯერჯერობით საქმე მხოლოდ არჩილ ვეკუას წინააღმდეგ მიმდინარეობს, რაც აშკარად განსხვავებულ სტანდარტებს აწესებს ქართველი და უცხოელი ბიზნესმენის მიმართ. იმედს ვიტოვებთ, რომ მთავარი პროკურორი ამ საქმეს პირად კონტროლზე აიყვანს და ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს“.

სასამართლო განხილვებზე ისიც გაიკვია, რომ ალი რიზა კიზილდაგი სინამდვილეში თურქეთის მოქალაქეა და წარსულში თურქეთის მთავრობის გადატრიალების მცდელობის ბრალდებით არის გასამართლებული. შვეიცარიაში რეზიდენტის სტატუსით ცხოვრობს და მცირე ბენზინგასამართი სადგური აქვს ნაქირავები, რითიც ოჯახს არჩენს. ინვესტიციას კი იმ თანხებს ეძახის, რომლებსაც თხილის შემსყიდველები საქართველოში პროდუქციის შესაძენად რიცხავენ. ასე რომ, ვიდრე პროკურატურა შინაურის დასჯაზე იფიქრებს, ალბათ უმჯობესი იქნება ჯერ ე.წ. ინვესტორის პიროვნება შეისწავლონ და საქმის რეალური გარემოებები დაადგინონ.

ლეილა ფხაკაძე (ალი რიზა კიზილდაგის ადვოკატი): „ალი რიზა კიზილდაგი შვეიცარიაში მცხოვრები თურქეთის მოქალაქეა. ის ადრიანო ტარანოსთან ერთად გახლავთ შვეიცარიული კომპანია „ანკა ფუდის“ დირექტორი და თანადამფუძნებელი. მან საქართველოში ბიზნესსაქმიანობა აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო, როცა განსაკუთრებით უჭირდა საქართველოს და ბევრი ინვესტორი თავს იკავებდა ინვესტიციების დაბანდებისგან. 2008 წლიდან დღემდე შპს „ანკა გეორგიას“, ალი რიზა კიზილდაგს, „ანკა ფუდსა“ და სხვა უცხოელ ბიზნესმენებს, ევროპის ბაზარზე საქართველოდან გატანილი აქვთ 4 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების თხილის პროდუქცია. მისი ძალისხმევით მოხერხდა, რომ თხილის მდგრადი მიწოდების უწყვეტი ჯაჭვის პროექტით დაინტერესდნენ შვეიცარიისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოები. მათ გადაწყვიტეს, საკუთარი წვლილი შეეტანათ ტრენინგებითა და სერტიფიკაციის დაფინანსებით. 2012 წელს „ანკა ფუდი“ ჩაერთო საქართველოს ფერმერთა პროექტში.

ეს ის შემთხვევა გახლავთ, როცა შვეიცარიული ინდუსტრია დათანხმდა და ქართული თხილი შეიძინა. ამჟამად კი საინვესტიციო პროექტი დახურვის საფრთხის წინაშე დგას.

მიზეზი გახლავთ შპს „ანკა ფუდისა“ და ალი რიზა კიზილდაგის კუთვნილი თანხების დიდი ოდენობით მითვისება, რომელიც ჩამოირიცხა „აბჯ ჯგუფის“ ანგარიშზე. ეს თანხები თხილის პროდუქციის შესასყიდად ირიცხებოდა. ამ შემთხვევაში უცხოელი ინვესტორის ნდობა ბოროტად იქნა გამოყენებული. ერთ მაგალითს მოგიყვანთ მხოლოდ. არჩილ ვეკუას მიერ 2012 წლის 4 სექტემბერს, ხელმოწერილი იყო დოკუმენტი, სადაც ის ადასტურებს, რომ მინა, მდებარე ზუგდიდში, მარჯვენა სანაპიროს ქ. №50-ში, რომელიც ეკუთვნის თითქოს მას, არის 1470 კვმ და ღირს \$200 ათასიდან \$250 ათასამდე. დამერწმუნებით, სამეგრელო ლას-ვეგასი არ არის. ამ ქონებას ის დებს კომპანია „ანკა ფუდში“ 20%-იანი წილის სანაცვლოდ. ჩვენ ეს ინფორმაცია საჯარო რეესტრში გადავამოწმეთ და მივიღეთ ოფიციალური დადასტურება, რომ არჩილ ვეკუას სახელზე ეს ქონება რეგისტრირებული არ იყო“.

დასასრულ, ამ საქმეში ასევე ერთობ უცნაურად გამოიყურება შვეიცარიის საელჩოს უჩვეულო აქტიურობა. საელჩოს მდივანი, ფლორან დუბლერი პირადად ესწრება სასამართლო პროცესებს და კომენტარებს აკეთებს მედიის წინაშე, ხოლო ალი რიზა კიზილდაგი პროცესზე მისი დიპლომატიური ავტომობილით დადის. გაუგებარია, რატომ იჩენს ასეთ ყურადღებას შვეიცარიის საელჩო წარსულში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებული თურქი ბიზნესმენის მიმართ. მით უმეტეს, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საელჩო ძიების პროცესშიც აქტიურად იყო ჩართული. თუმცა, მეორე მხრივ, ეს უნდა ნათელი სიგნალი იყოს ჩვენი ხელისუფლებისათვის, თუ როგორ იცავს ევროპული ქვეყანა თავის რეზიდენტს სხვა სახელმწიფოში, მაშინ როცა ჩვენთან ქართველი ბიზნესმენი, როგორც წესი, მუდამ „დამნაშავეა“.

აღნიშნული საგაზეთო პუბლიკაციის პრობლემატურობა, მეტად მტკივნეული ფაქტის აქტუალობა, მართალია ერთ

კონკრეტულ სფეროს მოიცავს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით, შინაარსითა და ხასიათით საერთო საზოგადოებრივ სატკივარს წარმოადგენს. მისი მიყრუება და მიფუჩეჩება კი არ შეიძლება, რადგან ამგვარი დამოკიდებულება გაზრდის არა მხოლოდ საკითხთან, პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებულ ადამიანთა პროტესტს, არამედ ეს მთლიანად საზოგადოების, მასების საერთო განწყობად გადაიქცევა, რომელთათვის ეროვნული ყველაზე მეტად ფასობს, ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად ითვლება. რატომ ვართ გულგრილნი იმ დანაშაულთა მიმართ, რომელსაც სჩადის ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი წევრი? რატომ მათ წინააღმდეგ ხმას არ ავიმალლებთ? რატომ გვერდს ვუვლით ამ ფაქტებს? ეს ხომ ჩვენ გვეხება? ჩვენს შვილებს? ახალგაზრდებს? აი, კითხვების ჩამონათვალი, რომელზედაც პასუხები სტატიამი უნდა ვეძიოთ. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენგანში კიდევ ცხოვრობს პროვინციული განწყობა, თითქოს ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემო ხდება, ჩვენ არ გვეხება. მდენად, მისდამი პასუხისმგებლობაც არ გვეკისრება. სინამდვილეში კი პირიქითაა. სწორედ მსგავსი პრობლემატური საკითხებისა-დმი გულგრილი დამოკიდებულება, „რა ჩემი საქმეას“ პრინციპით ცხოვრება აზიანებს და ფეხქვეშ თელავს საერთო სახელმწიფოებრივს, როდესაც ნამდვილად არ არის სულერთი ვინ როგორ და რანაირად მოიქცევა შენს ეზოში, შენს ქუჩაზე, შენს სოფელსა თუ ქალაქში და საერთოდ ქვეყანაში. სტატიის ავტორი ასახელებს შემადრწუნებელ ფაქტებს, თუ როგორი თაღლითური სქემით ცდილობს უცხოელი ინვესტორი შენსავე მიწაზე არაადამიანურად იქცეოდეს, ტყუილებისა და შანტაჟის ენით გელაპარაკებოდეს და შენსავე ქვეყანაში სამართალს საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით ამკვიდრებდეს. სტატიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ მიზეზებზეც, თუ როგორ უწყობდა ხელს ქართული სასამართლო ზოგიერთ თავგასულ უცხოელ „ვაინვესტორს“ დაეძირა და ბოლომდე გაენადგურებინა ახალფეხადგმული ქართული ბიზნესი, რომელიც ხანდახან მთელი რეგიონის მო-

სახლეობის ერთადერთი შემოსავლის წყაროდ ითვლებოდა და მასზე ხშირად იყო დამოკიდებული ადამიანების ბედი.

სტატიაში კარგად იკითხება ავტორის ანალიტიკური აზროვნების უნარი: ამ ყველაფერში მარტო თვითონ უცხოელი ინვესტორი ან სასამართლო როდია დამნაშავე. სამწუხაროდ ასეთი დამოკიდებულება ხელისუფლებისგან მოდიოდა და რომ ამაში ასევე დიდია წვლილი ჩვენი – ჩემი, შენი, მთლიანად საზოგადოების, როდესაც დიდხანს, ძალიან დიდხანს გულგრილად შევეყურებთ ამ საშინელ სიტუაციას და ხმის ამოღება კი არავის სურს. სტატიის ავტორი საინტერესო ფაქტების მოშველიებით გვეუბნება, რომ ხშირად ჩვენივე გულგრილობის მსხვერპლი ვხვდებით და ჩვენდაუნებურად რალაც ბოროტმოქმედებაში წილიც გვიძევს. საინტერესო ფაქტების მოშველიებით ავტორი გვახედებს მის წარმომშობ მიზეზებში და დასძენს, რომ დროა ბოლო მოელოს ასეთ მიდგომას, როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან და არც ერთ ჩვენგანს უფლება არ აქვს პილატესავით ხელდაბანილი გვეჩვენოს, როცა ჩვენს თვალწინ ბოროტება ხდება.

პრობლემური სტატიის ავტორი მართებულად ავითარებს აზრს, რომ მართლმსაჯულებას ბოროტების შედეგთან აქვს საქმე და მისი გამოსწორებისათვის კი არ ზრუნავს, მის წარმომშობ მიზეზებს კი არ ებრძვის, რომელზედაც მან გახარება შეძლო, არამედ ხელშემწყობადაც გვევლინება და რომ ეს ყველაფერი საზოგადოების თვალში კიდევ უფრო მეტ ეჭვებს აჩენს, ასევე დისკრედიტაციასა და უნდობლობას ინვესს სასამართლო ხელისუფალთადმი და საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი ინტერესები უხეშად ითელება ფეხქვეშ. სტატიის ავტორი ასევე გვარწმუნებს, რომ საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს, დაემშვიდობოს დანაშაულებრივ გულგრილობას, ხმა აიმაღლოს მათ წინააღმდეგ, ვინაც ხელს უწყობს მსგავსი სინამდვილის დამკვიდრებას ცხოვრებაში. სტატია დანერლია ძალზე მიმზიდველად, მასში მოყვანილი ფაქტები და მისი წარმომშობი მიზეზები მკით-

ხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. დარწმუნებული ვარ ეს სტატია მკითხველის შეგნებაზე ღრმა კვალს გაავლებს. აქ განხილულია პრობლემა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში მომნიჭდა და რომელსაც გადაჭრა სჭირდება. ავტორი სვამს ამ პრობლემას, ასაბუთებს, მსჯელობს, გვარწმუნებს, აზოგადებს, გვიჩვენებს მისი გადაჭრის გზებს. ამიტომ იგი პრობლემური სტატიაა.

პრობლემური სტატიის ნიმუშად წარმოვადგენთ ასევე გაზეთ – „კვირის პალიტრა“-ში 26-08-2013 დაბეჭდილ ეთერ ერადის პუბლიკაციას: „ჩვენი ცხვრით თათრები მდიდრდებიან“

„...გონჯი დროა, შვილო, მთავრობისგან ხალხის ყურადღება აღარ არის ერთი ზღაპარია, „ცხვარი და სიღარიბე“, ცხვარი რომ ლატაკის სახლში შევიდა და იქ გაპარპაშებულ სიღარიბეს ფეხები დაუბაკუნა, – მოუსვი აქედან, ოთხივ კუთხეში მე უნდა დავიდო ბინაო. სიღარიბემ უთხრა, – ვინ ოხერი ხარ, აქედან რომ მაგდებ, თუ მაინცდამაინც – ერთ კუთხეს ვერ იმყოფინებო?! ცხვარმა უპასუხა, – როგორც გითხარი, ისე მოიქეცი. ერთ კუთხეში მე უნდა ვიყო, მეორეში ბატკანი უნდა დავსვა, მესამე მატყლისთვის მჭირდება და მეოთხე – რძისა და ყველისთვისო! თავს ვერ დავდებ, რომ ეს ზღაპარი ქართველების მოგონილია, მაგრამ მაინც მგონია, რომ ასეა – სხვა, ჩვენ გარდა, არავინ მეგულება, მუდამ ომში ჩაბმულს, აოხრებული სახლ-კარის ასაღორძინებლად ცხვარზე უკეთესი საშუალება მოეძებნოს, – ცხვარს ხომ მხოლოდ ერთ წელიწადში შეუძლია პატრონს ხორციც მისცეს, რძეც, ყველიც, ჩასაცმელ-დასახურიც.“

პუბლიკაციის დასაწყისში ავტორი საინტერესოდ ამახვილებს ყურადღებას იმ დამოკიდებულებაზე, რასაც ხელისუფლება იჩენს ზოგადად ისეთი მნიშვნელოვანი დარგისადმი, როგორიცაა მეცხვარეობა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მეტი დამაჯერებლობისა და ზემოქმედების მოხ-

დენის მიზნით, ავტორი წარსულის მაგალითებს იშველიებს და ქართული ზღაპრიდან „ცხვარი და სილარიბე“ ამონარიდს იშველიებს, რომელსაც ერთი ჩვეულებრივი, რიგითი მეცხვარის-ყველაზე დიდი გულშემატკივარისა ამ საქმეში-პოზიციას იქვე გვიყალიბებს, რითაც პუბლიკაციის ავტორი თავიდანვე ცდილობს ღია ჭრილობასავით აჩვენოს ამ მიმართულებით არსებული პრობლემატიკა და ამასთან, ერთგვარი სიმპათიითაც განაწყობს საზოგადოების დიდი ნაწილი. ცხადია, აღნიშნული პრობლემა, რომელიც ერთბაშად არ წარმოჩენილა და მის „გამრავალფეროვნებაში“ ერთობ მრავალი მიზეზები მონაწილეობდნენ, ხელისუფლების მისამართით გამჟღავნებული საყვედურია. ეს კი, ცხადია, აჩვენებს ერთი მხვრივ უკმაყოფილო საზოგადოების კონკრეტული ნაწილის პოზიციას და მეორე მხვრივ, რომელიმე პარტიისა თუ ძალების დამოკიდებულებას, რომლებიც ცდილობენ საზოგადოების გარკვეული ნაწილისაგან ნდობის მანდატის მოპოვებას. მაგრამ ამ შემთხვევაში ამას როდი აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენ ამით ვაჩვენებთ პრობლემური სტატიის საერთო ხასიათს, მისწრაფებას, გნებავთ ტენდენციას, რათა ჩვენგანდეთ ამგვარ პუბლიკაციათა ძირითად არსს: მაქსიმალურად წარმოჩნდეს და ხაზი გაესვას დარგში არსებულ პრობლემატიკას, ნათელი გახედეს მისი გამომწვევი მიზეზები და გამოიძებნოს შესაძლო გადაჭრის გზები. გამოსავლის ძიებისაკენ გადადგმული ნაბიჯები კი სწორედ საზოგადოების, ქვეყნის, ხალხის საერთო ინტერესებისა და სატკივარის გამოსწორებას უნდა ისახავდეს მიზნად, რომ პრობლემა ისეთი ტკივილი თუ სატკივარია, რომელსაც წაყრუება, გადადება, უყურადღებობა კი არ სჭირდება, არამედ დროული მკურნალობა, ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა პრობლემა სერიოზულ სატკივარსა და სამომავლოდ გამოუსწორებელ პრობლემად თუ დილემად არ იქცეს.

„მიუხედავად გასაჭირისა, ჩვენმა მწყემსებმა შეძლეს სულის აქამდე მოტანაც და არა მარტო – ჩვენს ქვეყანაში ცხვრის იმპორტი წამყვანი დარგია. „სულის მოტანა“ ტყუი-



ლად არ მიხსენებია – ხევშიც კი, რომელიც ტრადიციულად მეცხვარეობის მხარეა, მეცხვარის ხსენებაზე გაგულისებულნი გიპასუხებენ, – ეჰ, ჩონი ცხვრის საქმე კარგად ვერ არიო! გერგეთში მეცხვარე ალექსი სუჯაშვილს ვკითხე, – ინტერნეტიდან ვიცი, რომ ჩვენს ქვეყანაში დღეს მარტო ცხვარი იყიდება ხეირიანად და მაინც რატომ წუნუნებთ, ცხვრის საქმე კარგად ვერ არიო! ძია ალექსი ჯოხს მინას აბჯენს და ცოლს ეძახის, – აბა, აქ მოდი, დედაკაცო, და მეუბნება, – აი, ხო უყურებ, ეს ქალი რომ მოვიყვანე, ორი ჯამიც არა მქონდა, მაგრამ მერე მწყემსობით სასახლე ავიშენე, იმას აქეთ კიდევ ოთხი შვილი დავზარდე, ახლა მაგ იმპორტია თუ რაც არის, მწყემსები მარტო ჭამასლა ახერხებენ, მარტო ჭამისთვის კიდევ ჩემმა მტერმა იცხოვროს!

რალა უნდა ვთქვა, კაცი ცამდე მართალია! მერე ისევ თავადვე „მირიგდება“, – გონჯი დროა, შვილო, და აი, რათა, მთავრობისგან ხალხის ყურადღება აღარ არის. შრომის საქმე კიდევ ეგრეა, თუ მთავრობა გადაუდგა ხალხსა, ბევრი საქმე არ გამოვა და თუ ხალხმა ვერ იშრომა, ფული საიდანღა მიუვა მთავრობასა?! აი, ეგეთი ჯაჭვია ჩვენი ცხოვრება. ჩვენ მთავრობას ცხვრისკენ მიხედვაც არ უნდოდა და ვგონებ, ეხლაც ეგრე იქნება. ეგენი ცხვრისაკენ რას გაიხედავდნენ, როცა ღვთისაგან ხელშენავლებ ადგილას ვცხოვრობ და მარტო იმიტომ გამოიხედეს, რო მყინვარებიდან ჩამონალენ წყალზე „სოჩიკები“ დაედგათ. ანაც ჩვენი სოფელი, გერგეთი. აქ ხო ათასობით ტურისტი მიდი-მოდის. ამ ტურისტების ამოდენა ფული კიდევ მაგათ ჯიბეში მიდის და ერთი გზა არ აღირსეს სოფელსა. მაგნაირებს როგორღა უნდა მოსთხოვო, გინდა თუ არა, ცხვარს მიხედო. არ უნდა და მოკალი! ამასობაში ჩვენი ცხვრით თათრები მდიდრდებიან“.

პუბლიკაციის შემდგომ ნაწილში ავტორი აჩვენებს იმ მიზეზების ჩამონათვალს, რომელთაც არა მხოლოდ ქართული

ცხვარი, ზოგადად ქართული სოფელიც უმძიმეს გაჭირვებაში ჩააგდო. წერილის ავტორი, მეტი დამაჯერებლობისა და ეფექტურობისათვის, მისსავე რესპონდენტს ეყრდნობა და პირველ პირს ალაპარაკებს, რომელიც მიზეზებისა და პრობლემების მთელ ჯაჭვს წარმოაჩენს ხოლმე. რომ იტყვიან, ასეთ დროს, კომენტარი ზედმეტია. ფაქტი მისსავე გამომწვევ მიზეზებთან ერთად ისე საუბრობს საკუთარ თავზე, რომ არსებული ვითარება არა თუ რეალობად, პირად პრობლემადაც კი წარმოესახება რიგით მკითხველს. სწორედ ასეთი დამაჯერებელი უნდა იყოს ანალიზზე დაფუძნებული ტექსტების ბუნება და ხასიათი, და განსაკუთრებით კი სტატიისა, რომელიც თავისი შინაგანი, ბუნებითი სპეციფიკით ყველაზე ფართო, მასშტაბური და ყოვლისმომცველია: დაწყებული ფაქტის გამომწვევი წვრილმანი დეტალებით დამთავრებული სამომავლო შესაძლო განვითარების პროგნოზით.

„... ჩვენი ცხვარი ხო უნინ ყიზლარის საძოვრებზე დადიოდა – სექტემბერში მილიონობით ცხვარს გავირეკავდით. ისე იყო მწყემსისთვის და ცხვრისთვის მონყობილი ყველაფერი, ბაბანება ყინვა რომ ყოფილიყო და ცხვარი საბალახოდ ვერ გაგვეყვანა, შიმშილით არ დაგვიწყდებოდა – თივა ბინაზე თავზე საყრელად გვხვდებოდა. ჩვენი მეცხვარის საქმე მაშინ ნავიდა უკან, როცა ყიზლარის საძოვრები დავკარგეთ და მილიონობით ცხვარი მშიერი დაგვრჩა.

სანაცვლოდ ჩვენს მთავრობას ვითომ იალღუჯის საძოვრები უნდა მოეცა, მაგრამ ამ მიწებზე ისეთი გაუგონარი ამბავი დაატრიალეს, კაცი მტერსაც რო არ უზამს – პრეზიდენტმა გამსახურდიამ რაც მოასწრო და ჩვენ მწყემსებს მიწის პატარა ნაწილი მისცა, სულ ეგ იყო, დანარჩენი მარნეულელებს სულ მისხალ-მისხალ მიყიდა მამალაძემ. ასე გამოგვისვეს ყელში დანა ქართველ მეცხვარეებს და ქვეყანასაც, – ჩვენი ცხვრის შემოსავალი ხომ ქვეყანას ხმარდება, აბა, მეცხვარეები ფულს თერგს ხომ არ ვატანთ! ეს კიდევ რა არის: იმ

თითო-ოროლა კაცს, ვისაც ეს საძოვრები მისცეს, დღესაც ვერ დაუმტკიცებია, დადიან და ვერაფერს გახდნენ – არ ვაკეთებთ ამ საძოვრების პრივატიზაციას და მოგვეშვითო. ამიტომაც ვეჭვობთ, რომ ამ საძოვრების გაყიდვაც უნდათ“.

პუბლიკაციის ამ ნაწილში ავტორი ისევ პირველწყაროს ალაპარაკებს და რაოდენ გულისდამწყვეტია ის ტკივილი, რომელსაც ეს პიროვნება წარმოგვიდგენს. სტატიის ამ ნაწილში რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი სიღრმისეული ინტერვიუსაკენ იხრება, მაგრამ არა, ეს ყველაფერი პირველწყაროდან იმიტომაც მოდის, რომ მეტი ეფექტი და დამაჯერებლობა შესძინოს აღნიშნულს. აქ საუბარია იმ უმთავრეს მიზეზებზე, რომელთაც დარგი დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამის მიზეზად კი დასახელებულია ყიზლარის ზამთრის საძოვრების დაკარგვა და შემდგომ ამისა კი იმ დანაპირებზე, რომელიც მთავრობამ თალღუჯის საძოვრებთან დაკავშირებით გაითამაშა. ესეც არ აკმარა მეცხვარეებს და საძოვრების მისხალ-მისხალ გასხვისება დაიწყო ხელისუფლებამ. „სანაცვლოდ კი ყაზბეგში, სადაც ადრე მილიონი სული ცხვარი იყო, ამჟამად მხოლოდ ხუთიოდე მეცხვარე შემორჩა მხოლოდ და იმათაც აღარა აქვთ იმედი, რომ ხვალე ან ზეგე მათაც არავინ არ უთხრას „თქვენი ცხვრიანად აქედან მოშორდით“.

ნაბიჯ-ნაბიჯ ნაჩვენები მიზეზები, რომლებიც შესაბამის მტკივნეულ შედეგებს ღია ჭრილობასავით ტოვებენ ხოლმე ცხვრისა თუ მეცხვარის გატანჯულ სხეულზე, აჩვენებს პირველ რიგში იმ მძიმე რეალობას, რომლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია დარგის საბოლოოდ მოსპობა და განადგურება.

„ადრე მილიონი სული ცხვარი იყო ყაზბეგში, ახლა მართო ხუთი მწყემსილა გვყავს იმ იალღუჯზე და არც ერთს არ აქვს იმედი, რომ ხვალ არავინ ეტყვის, – თქვენი ცხვრიანად აქედან მოშორდითო. არადა, ჩვენს მწყემსებს სულ ქუდს უნდა უხდიდეს ქვეყანა, იმისთანა ბნელში და ჯოჯოხეთში გა-

მოატარეს და გადაარჩინეს ქართული ცხვარი. მოსისხლე მტერს გაუპობდა გულს „მხედრიონის“ ყაჩაღობით აოხრებული მწყემსის ცრემლი. თანაც შემთხვევით დანახული – მწყემსები სხვის დასანახად არ ტირიან“.

„...სამ პრეს თივაში თათრებს ერთ ცხვარს ვაძლევდით, რომ ცხვარი შეგვენარჩუნებინა. ჩვენ საძოვრებზე ერთი ხე არ გვიდგას, ერთი წვეთი წყალი არ არის და ერთხელ არ მოუვიდა მთავრობას აზრად, ეს ცხვარი ამდენ შემოსავალს რომ აძლევს ქვეყანას, საძოვარზე წყალი მაინც ავიყვანოთო. სატვირთო მანქანებით აგვაქვს ტონობით, – აბა, პირუტყვი უწყლოდ რანაირად გაჩერდება! თანაც, ზემოდანაც რომ დაგვცქერიან! როცა ცხვარი მაისში საძოვარზე მიგვყავს, ავჭალა უნდა გავიაროთ. გამოგვიდგება პატრული – ცხვარი აქაურობას მალე მოაშორეთო! შე დალოცვილო, გადამთიელების ტრაილერები თავზე გვასხდებიან და იმათ არაფერს ეუბნები, მარტო ჩემი ცხვარი გიშლის ხელს? იმ ტრაილერის შემოსავალი თუ გიჩანს თვალში, რატომ ცხვრის შემოსავალი აღარ? თუ იმასაც ცხვრის სუნი უდის? და თუ ასე გიშლის ტრასაზე ხელს, ადექი და ამ შენს მარჩინალს ცალკე გაუკეთე ბილიკი, რომ საძოვარზე ავიდეს. თუ არა და, ცხვარს ფრთებს ხომ არ გამოვაბამ, რო გაფრინდეს?!“

„... ჩამოდიან აზერბაიჯანელები, ყიდულობენ ცხვარს და აზერბაიჯანში გადაჰყავთ წითელი ხიდიდან, იქიდან კი, მუსლიმანურ ქვეყნებში – თურქმენეთში, არაბეთში, ირანში, თურქეთში. გზად საბაჟოებზე ჩვენი ცხვარი სომხებსაც აკეთებინებს ფულს. ჩვენ კი აქ ცხვარს 150 ლარად ვყიდით. თანაც საუკეთესო საჯიშეს – ქართული ცხვრისთანა ქათქათა მატყელი და გემო არავის ცხვარს არ აქვს. თათრებმა ქართული ცხვარი მოამრავლეს და ახლა მათ ფარებს ჩვენი ფარებისგან ვერ გამოარჩევ. მატყლსაც ეგენი ყიდულობენ – კილოს 1 ლარად. ანუ ჩალის ფასად. ეს იმ დროს, როცა მიწის

გადასახადი 3-დან 16 ლარამდე გაგვიზარდეს და პირუტყვის აცრაც ჩვენ კისერზეა. აი, ასეა, ძალის დღეში ვართ. თუმცა მაინც უნდა ვთქვა: მწყემსი რამდენსაც გაძლებს, იმდენს ქვაც ვერ შეიძლებს... ეგებ უკეთესობისაკენ მაბრუნდეს დრო! – ბოლოს მაინც დამამშვიდა ალექსი ძიამ.

იმედი გადამდებია, მეც ეს იმედი ერთი ხელის დაკვრით ავკრიფე და მჯერა, დრო აუცილებლად უკეთესობისკენ მობრუნდება...”

სტატიის ავტორი მიზანს აღწევს. მან კონკრეტული ფაქტების მოშველიებით იმ მიზეზების წარმოჩენა და გამოაშკარავება შეძლო, რამაც მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია. ამ მიზეზთა ერთობლიობა კი ერთი მხვრივ აიძულებს შესაბამის სამსახურებს ქმედითი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმისაკენ და მეორე, საზოგადოების, ხალხის დიდი ნაწილი, როგორც გულშემატკივარი, ისე განენყო პრობლემისადმი. შექმნილი საზოგადოებრივი აზრი კი ზემოქმედების იმ ძლიერ ბერკეტად გარდაიქმნება, რომელიც აიძულებს ხელისუფალს დროული რეაგირებისაკენ.

## ლიტერატურა:

1. „კვირის პალიტრა“ – 23-09-2013
2. „კვირის პალიტრა“ – 26-08-2013
3. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
4. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] – თბ. : ლოგოს პრესი, 2004 – 351 გვ.
5. თ.მაღალურაძე, თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები“, თბ.2013, გვ.75
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 690, თბ., 1977
7. თ.ჯაგოდინიშვილი, ჟურნალი „განათლება“ 2013. №3.

8. რ.სურგულაძე, ე. იბერი, მასობრივი კომუნიკაცია, თბ.2003, გვ.154
9. მ.გერსამია, ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, თბ.2011,გვ.12
10. სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა, საბას წიგნები, 2012
11. ს.სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, II, თბ. 2012, გვ.103
12. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
13. გაზ. „კვირის პალიტრა“-07-03-2011
14. მ.მენჭერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, 2013,თბ გვ.241
15. თ. მალალურაძე, თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები, თბ.2013, გვ.250
16. გაზ. „კვირის პალიტრა“-05-05-2014
17. გაზეთ „კვირის პალიტრა“-ში – 21-10-2013
18. გაზეთ „კვირის პალიტრაში“ 25-02-2013
19. „კვირის პალიტრა“-26-08-2013
20. გაზ. „ბათუმის უნივერსიტეტი“-2014 წელი, მაისი, №5
21. გაზეთ „კვირის პალიტრაში“ – 23-09-2013

## XI

### რეცენზია

რეცენზია ერთგვარი კრიტიკაა, სწორი განსჯა-შეფასებაა და ანალიზი ამა თუ იმ ხასიათისა თუ შინაარსის მქონე ლიტერატურული ტექსტებისა, სამეცნიერო ნაშრომებისა, თეატრალური წარმოდგენებისა, კინოხელოვნების დარგებისა, მუსიკალურ ნაწარმოებთა თუ სხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში მოპოვებული სიახლეებისა. სიტყვა რეცენზია ლათინურია. სხვადასხვა ლექსიკონები მას შემდეგნაირად განმარტავს: „რეცენზია -recensio- განხილვა, გამოკვლევა; ლიტერატურული, მეცნიერული ნაშრომის, სპექტაკლის, კინოსურათისა და სხვ. გარჩევა, კრიტიკული შეფასება. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, მ. ჭაბაშვილი, – თბ. განათლება, 1989. „რეცენზია – рецензия -საგაზეთო ან საჟურნალო წერილი, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ მხატვრული ან მეცნიერული თხზულების, გამოგონების, თეატრალური წარმოდგენის, კინოფილმის და ხელოვნების სხვა ნაწარმოების განხილვა – შეფასებას, მისი ღირსება – ნაკლოვანებების აღნუსხვას. „საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი“, გ. გიორგიძე, გ. კარტოზია, თბ. მეცნიერება, 1974. „რეცენზია – recensio– გამოკვლევა, დათვალიერება; რაიმეს შესახებ (ნაწარმოების, სტატიის და სხვ.) წერილობითი კრიტიკული გამოხმაურება. „მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“, ს. ურიდია, ვ. გურგენიძე, თბ. 2004.

რეცენზიები პირველ რიგში გაზეთისა და ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდება და ერთგვარად სტატიას ჰგავს. სტატია კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებითა და მათი ანალიზით ინტერესდება, რეცენზიის ასახვის საგანი კი უკვე ასახულის, როგორც ფაქტის, ხელმეორედ დანახვაა. ის, თუ როგორ არის მხატვრულ, მეცნიერულ, მუსიკალურ ან კინოხელოვნებით ნაწარმოებებში ფაქტი დანახული ან ახსნილი ავტორის – მწერ-

ლის, მეცნიერის, შემოქმედის, კინოხელოვანის მიერ. რეცენზიის საფუძველიც, სხვა ჟურნალისტურ-პუბლიცისტური ჟანრების მსგავსად, ფაქტია, მაგრამ არის სხვაობა ფაქტებს შორის, რომელიც, როგორც ვთქვით, თავისი ხასიათით განსხვავებული და თავისებურია. მაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ ინფორმაციული ჟანრის ასახვის ობიექტი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფაქტი, მოვლენა ან პროცესია, რეცენზიის განხილვა-ასახვის ობიექტიც ფაქტია. მაგ. ახალი წიგნი, მეცნიერული ნაშრომი, სპექტაკლი, ფილმი... ყოველივე ეს თავისებური ფაქტია, მაგრამ უკვე ასახული, ნანახი, განცდილი, რომელშიც სპეციფიკურად გადმოიცემა ხოლმე ესა თუ ის ფაქტი. რეცენზია ამ შემთხვევაში ხაზს უსვამს და ხსნის, აჩვენებს ყველაზე მნიშვნელოვანს, ახალს, საინტერესოს და უხსნის აუდიტორიას სიახლეების შესახებ, ამასთან საუბრობს იმ ნაკლოვანებებზეც, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ ფაქტთან მიმართებაში არსებობს. ამიტომაც რეცენზიაში უხვად არის მსჯელობა, ანალიზი, მტკიცება, შეფასება, რასაც შესაბამისი დასკვნები მოსდევს რეცენზენტის მხრიდან. სიტყვა „რეცენზიის“ მნიშვნელობიდან ნათელი ხდება ამ ჟანრის დანიშნულებაც. რეცენზია მოწოდებულია ფართო საზოგადოებას განუმარტოს ავტორის ამა თუ იმ ნაწარმოებთა იდეურ-შინაარსობრივი ჩანაფიქრი, გაუადვილოს მათი სწორი გაგება; თუ ნაშრომი მეცნიერულია, მკითხველს დაანახოს მისი მეცნიერული ღირებულება, ის ახალი, რაც ავტორს მოუპოვებია და მკითხველს უჩვენოს, რამდენად შეესაბამება ეს მონაპოვარი მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეს. თუ რეცენზიაში განხილულია მხატვრული ლიტერატურის ან ხელოვნების რომელიმე დარგის ნაწარმოები, რეცენზია მკითხველს უნდა დაეხმაროს არა მარტო ავტორის იდეური ჩანაფიქრისა და შინაარსის სწორ გაგებაში, არამედ იმ ხერხებისა და საშუალებების აღქმა-გაგებაშიც, რომელიც ავტორს მოუმარჯვებია ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად. რეცენზენტმა პასუხი უნდა გასცეს რამდენად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, რამდენად შეესაბამება რეალურ ვითარებას კონკრეტულ დარგში



გამოქვეყნებული ამა თუ იმ ხასიათის ლიტერატურული, მეცნიერული, თეატრალური თუ კინოხელოვნების ნიმუში. „კარგი რეცენზიები ადამიანებს გამოუმუშავებენ სწორ მხატვრულ გემოვნებას, ამდიდრებენ მათ სულიერ ცხოვრებას“ (4-1). ამიტომაც რეცენზია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს საზოგადოების ესთეტიკური გემოვნების დახვეწას, ამაღლებას და ა.შ., რადგან მასში გამოკვეთილად უნდა ჩანდეს ის მონაპოვარი, რომელიც მეცნიერულ, ლიტერატურულ, თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგში მიუღწევია ავტორს, ასევე საუბარი უნდა იყოს ნაკლოვანებებზეც, თუკი არსებობს, რომლის გამოსწორებაც ნამდვილად დაეხმარება როგორც ავტორს, ასევე მთლიანად საზოგადოებას ჭეშმარიტების გარკვევაში, მიუკერძოებელი და სამართლიანი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებაში. „ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეცენზიის კომპოზიციას, სტილს, ლიტერატურულ გაფორმებას. აქ არ შეიძლება რაიმე დოგმების, სტანდარტების დაკანონება“ (5-1). თემატიკის მიხედვით რეცენზიის სხვადასხვა სახეებს გამოყოფენ, რასაც, ჩვენი აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს ასევე განხილვის ობიექტის თავისებურებაც. სტრუქტურულ-კომპოზიციური თუ სტილური თვალსაზრისით კი რეცენზია ერთი ჟანრია და ამ მხრივ მასში დიდ სხვაობას ვერ შევამჩნევთ. რეცენზიის სახეებად დაყოფას განაპირობებს ასახვის ობიექტის თავისებურებაც. განვიხილავთ ზოგიერთი სახის რეცენზიას.

### **ლიტერატურა:**

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მ. ჭაბაშვილი, – თბ. განათლება, 1989
2. საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი, გ. გიორგიძე, გ. კარტოზია, თბ. მეცნიერება, 1974
3. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, ს. ურიდია, ვ. გურგენიძე, თბ. 2004.
4. ჟურნალისტიკის ცნობარი, თბ. 1975, გვ. 344
5. თ. მაღალურაძე, თანამედროვე პუბლიცისტიკური ჟანრების თავისებურებანი, თბ. 2009, გვ. 98

## სამეცნიერო რეცენზია

სამეცნიერო ხასიათის რეცენზიაში, პირველ რიგში, განსახილველი წიგნის მეცნიერული ღირებულება ფასდება. რეცენზენტი ცდილობს მკითხველს ნათლად დაანახოს ის ახალი, რაც წიგნის ავტორს წარმოუდგენია, შესაბამისად რეცენზენტი ერთგვარად განსაზღვრავს ამ წიგნის ადგილს მეცნიერებაში. რეცენზენტი პასუხს სცემს კითხვას, რა შემატა ავტორმა თავისი ნაშრომით მეცნიერებას, როგორია კვლევით მიღებული შედეგები, რამდენად შეეფერება იგი თანამედროვე დონეს. სამეცნიერო ხასიათის რეცენზიაში გამორიცხული არაა ნაშრომის ცალკეულ ხარვეზთა მითითებაც, მათი გასწორების გზის ჩვენება-წარმოდგენით, სხვა ნაშრომებთან შედარების, მათთან საერთოსა და განსხვავებულის დადგენის გზით. ნაშრომის ღირსებებისა თუ ნაკლოვანებათა შესახებ მსჯელობა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, არგუმენტირებული, რაც რეცენზიას დამაჯერებელს გახდის. ზერელე და არადამაჯერებელი განცხადებებით მკითხველს ვერაფერს მივცემთ. ნაშრომის ცალკეული დეტალების განხილვის შემდეგ გამოტანილი დასკვნები ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს წინა მსჯელობიდან. აუცილებელია განსახილველი ნაშრომის ცალკეული მომენტების შეფასება-განსჯას მოჰყვეს ნაშრომის საერთო შეფასება და დადგინდეს მისი ადგილი მეცნიერების კონკრეტულ დარგში. ამდენად სამეცნიერო ხასიათის რეცენზიას კონკრეტული დარგის მეცნიერი, სპეციალისტი უნდა წერდეს. საკითხის ღრმა ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია კაცმა სხვისი ნაშრომი შეაფასოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველას როდი ემარჯვება რეცენზიის წერა. ამიტომ მედიანაშრომადგენლებმა, ჟურნალისტებმა სათანადო საქმიანობა უნდა აწარმოონ დარგის სპეციალისტების ამ სფეროში ჩასართავად.

რეცენზიის დანიშნულება საკმაოდ რთულია. მასში საუბარია როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეზეც. ამი-

ტომ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმისას დასაფიქრებელია სათქმელის ტონი, სტილი, რომელიც მხოლოდ ხარვეზისა თუ შეცდომის გამოსწორებისაკენ არის მიმართული და არანაირ ანგარებასა და პირად შეურაცხყოფას ადგილი არ აქვს. სამეცნიერო ხასიათის რეცენზიები ხელი უნდა უწყობდნენ საზოგადოებაში ინტელექტუალური აზროვნების სრულყოფასა და მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარებას. ამიტომაც რეცენზია ყოველთვის ობიექტური, მიუკერძოებელი, პრინციპული, სამართლიანი და საქმის სიყვარულით ნაკარნახევი უნდა იყოს, რადგანაც მეცნიერების განვითარება სახელმწიფოებრივი, ამასთან ეროვნული საქმეა და მის ღირსება-ნაკლოვანებებზე საუბარი დიდ პასუხისმგებლობასა და კომპეტენციებს მოითხოვს. ყურადსაღებია სარეცენზიო ნაშრომისა თუ წიგნის შერჩევის საკითხი. უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი სუბიექტივიზმი, მეგობრობა-ნაცნობობის პრაქტიკა. სამწუხაროდ, ეს პრინციპი ზოგჯერ მაინც ირღვევა. სარეცენზიოდ უნდა შეირჩეს ისეთი ნაშრომი, რომელსაც ნამდვილად აქვს მეცნიერული ღირებულება და საინტერესოა როგორც მეცნიერ-მკვლევართა, არამედ საზოგადოებისთვისაც. მიუკერძოებელი, ობიექტური მიდგომის საფუძველზე დაწერილი რეცენზიები ხელს შეუწყობს ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრისა და შეხედულებების დამკვიდრებას ცხოვრებაში.

„საინტერესო წიგნი“, ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-აპრილი, №4, სამეცნიერო ხასიათის რეცენზია, პროფესორ გივი აბაშიძის წიგნზე „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“. რეცენზენტები: დავით კარიაული – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი და მიხეილ მამნიაშვილი – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი.

რეცენზიის შესავალში რეცენზენტები საუბრობენ ახალგამოცემული წიგნის მეცნიერულ ღირებულებაზე და

დასძენენ, რომ „ავტორმა კიდევ ერთი საინტერესო და კარგ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული წიგნი შემატა როგორც სისხლის საპროცესო სამართლის აქტუალურ საკითხებზე მის მიერ ადრე გამოცემულ სხვა წიგნებს და ათეულობით სამეცნიერო ნაშრომებს, ასევე საერთოდ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას“. რეცენზიის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ ნაშრომის ღირებულებას ისეთ მნიშვნელოვან პრობლემატიკასთან მიმართებაში, როდესაც საკითხი ეხება სისხლის საპროცესო სამართლის თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რამაც გამოიწვია ამ საკითხებისადმი ავტორის სამეცნიერო დაინტერესება. ნაშრომში ასევე გამოყოფენ იმ მნიშვნელოვან დეტალებს, სადაც ავტორის მიერ სათანადო ლიტერატურის გამოყენებით, რაც საკმაოდ უხვად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, დეტალურად არის განხილული და მეცნიერულ დონეზე დამუშავებული გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და მნიშვნელობა; „პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე; სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში; სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები, დისკრეციული დევნის პრინციპები; პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება გამოძიების სტადიაზე; პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ამოცანები და ფუნქციები, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფორმები და მეთოდები; მისი როლი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში, რამდენადაც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორი გამოძიების სტადიაზე

უშუალოდ ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას“.

რეცენზენტების აზრით „სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა საკმაოდ აქტიუალური და საპრობლემო საკითხია სისხლის სამართლის პროცესში. მით უმეტეს ახლა, როცა 2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ამავე კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები ახლებურადაა მოწესრიგებული, მისი დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. დარგის სპეციალისტები და ექსპერტები, რომლებიც ხსენებული წიგნის რეცენზენტებად გვევლინებიან, დასძენენ, რომ „ავტორს სწორედ ამ კუთხით აქვს განხილული და გაანალიზებული სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხები და მისი უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის. აღნიშნულზე ავტორს შესწავლილი აქვს ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურა, ვრცელი თეორიული მასალა, სამეცნიერო შრომები, მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, გადმოცემული აქვს საკუთარი შეხედულებები. წიგნში განხილულია ისეთი საკითხებიც, რაც იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ – იურისტებს შორის საკმაოდ საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.“-აღნიშნული წინადადებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ რეცენზიები საქმის მცოდნე სპეცია-

ლისტებისა და დარგის ექსპერტების სათანადო ნააზრევთა გათვალისწინებით უნდა იბეჭდებოდეს. რადგანაც შესაბამისი ლექსიკური მარაგი, რაც კონკრეტული მიმართულებით გამოიყენება, მნიშვნელოვანია აზრის სიცხადისა და კომპეტენტურობის, თუნდაც სანდოობის თვალსაზრისით. თვალი გავადევნოთ რეცენზიის შემდგომ ნაწილს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით ჩვენი აზრის სისწორეში: „ნაშრომში ავტორს იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის სპეციალისტების მიერ საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ სადაო საკითხების გარშემო ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი მოსაზრებები, სათანადო მეცნიერული დასაბუთების და პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გადმოცემული აქვს დასკვნები ამ საკითხებთან დაკავშირებით. იმის მიუხედავად, რომ გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობა სამეცნიერო კვლევისათვის არის რთული, ღრმა მეცნიერული, მაინც გასაგებ ენაზე იკითხება. ბევრ თეორიულ საკითხებზე გადმოცემულია ავტორისეული მიდგომა. ავტორის მიერ, პროკურორის მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის საკითხები შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე.“

აღნიშნული რეცენზია, რომელიც დასახელებულ ნაშრომს ქართული იურიდიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად მიიჩნევს, დაინტერესებულ ადამიანებს, ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, სამეცნიერო და სამართალდამცავ სფეროში მომუშავე პირებს, პრაქტიკოს მუშაკებს და არა მარტო მათ, მოუწოდებს, შეიძინონ წიგნი და ახლოდან გაეცნონ წიგნში წარმოდგენილ საკითხებს, რომელიც ხელს შეუწყობს კანონშემოქმედებითი საქმიანობის ამაღლებასა და ზოგადად კანონის უზენაესობისა და სამარ-

თლიანობის დამკვიდრებას ცხოვრებაში.

ასევე საინტერესო რეცენზიას აქვეყნებს გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-მარტი, №3, სათაურით: რეცენზია წიგნზე „ბათუმი(ისტორია და თანამედროვეობა)“, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. დუმბაძე, ავტორი მკითხველ საზოგადოებას აცნობს და ესაუბრება გამომცემლობა „ივერიონის“ მიერ 2013 წელს გამოცემულ ბათუმელ ისტორიკოსთა კოლექტიური ნაშრომის „ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა)“, შესახებ რომელიც მიეძღვნა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 135-ე წლისთავს (1878-2013 წ.).(წიგნის ავტორები არიან პროფესორები: რევაზ უზუნაძე, რამაზ სურმანიძე და ნუგზარ ზოსიძე.) რეცენზენტი საუბრობს ავტორთა დამსახურებაზე იმ კუთხით, რომ მათ შეძლეს და მოახერხეს ბათუმის 25-საუკუნოვანი ისტორია და თანამედროვეობა მონოგრაფიულად წარმოადგინეს: „მკითხველისათვის მათი გაცნობა ზედმეტად მიმაჩნია, რადგან ისინი საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები არიან თავიანთი შრომისმოყვარეობით, მოქალაქეობრივი, ეთიკური, ზნეობრივი, ადამიანური თუ ეროვნულ-პატრიოტული თვისებებით, ნაყოფიერი სასწავლო-პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის გამოცდილებით, საზოგადოებრივი საქმიანობით, ობიექტურობით, მეცნიერული ნაშრომებით და სხვა ღირსებებით. წარმოდგენილი ერთობლივი ნაშრომი მათ შემოქმედებაში ერთ-ერთი, ალბათ ყველაზე გამორჩეული წიგნი მგონია, რამე თუ ბათუმზე დაწერილი წიგნი, რომელშიც მისი 25 საუკუნოვანი ისტორია და თანამედროვეობა ერთად, მონოგრაფიულად წარმოდგენილი იყოს, არ მეგულება.“ რეცენზენტი როდესაც „ნაშრომის მაღალკვალიფიციურობაზე, აკადემიურობასა და მეცნიერულ ღირებულებებზე მიუთითებს, დასტურად მოყავს წიგნის რედაქტორის (ბატონი ამირან კახიძე – საყოველთაოდ აღიარებული არქეოლოგი, აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის დამფუძნებელი და უცვლელი ღირექ-

ტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) და რეცენზენტების (ანალოგიური მეცნიერული ტიტულებით – ბატონები: თამაზ ბერაძე, ირაკლი ბარამიძე, ოთარ გოგოლიშვილი) სამეცნიერო ცენზებიც,“ რომელთა მოშველიებით ის კიდევ უფრო მაღლა სწევს წიგნის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

უმჯობესია გავყვეთ რეცენზენტის შეხედულებებსა თუ შთაბეჭდილებებს, რაც მას წიგნის გაცნობის შემდეგ გასჩენია და დავრწმუნდეთ, თავად რამდენად სამართლიანად, ობიექტურად და მიუკერძოებლად აანალიზებს ხსენებულ ისტორიული ხასიათის გამოცემას: „წარმოდგენილი ნაშრომის დაწერის ძირითადი მიზანი თუ მთავარი მოტივაცია ნათლად ჩანს ეპიგრაფად წამძღვარებულ ერის მოძღვარის, დიდი ილიას ბრძნულ სიტყვებში: „აღდგენა ისტორიისა ერის გამოფხიზლებაა, ანმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა სიძნელისაგან“.

წიგნი იმდენად საინტერესოა, რომ გასული წლის 4 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტმა (ხელმძღვანელი ე.მაკარაძე) და სამეცნიერო ბიბლიოთეკის ადმინისტრაციამ (დირექტორი ნ.თურმანიძე) მოაწყვეს ნაშრომის საჯარო წარდგენა მკითხველთა წინაშე. წიგნით დაინტერესებაზე მიგვანიშნებდა აგრეთვე ხალხმრავალი დარბაზი, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, შეიკრიბნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები და აჭარის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც მიესალმნენ ღონისძიების მონაწილეებს და მაღალი შეფასება მისცეს ბათუმის ისტორიაზე პირველი მონოგრაფიული ნაშრომის გამოცემას და მის ავტორებს, ასევე მკითხველის წინაშე წიგნის საჯარო წარდგენას. ამ ღონისძიებაზე, სხვებთან ერთად, მეც მიმინვიეს, რისთვისაც მაძღობას მოვახსენებ ავტორებსა და ღონისძიების ორგანი-



ზატორებს. გამოვთქვი ჩემი აზრი წიგნთან დაკავშირებით. ამჯერად კი მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებები. რა შეიძლება ითქვას წიგნის სათაურზე? – გონივრულად ნაფიქრი და მეცნიერულად გააზრებულია სათაური წიგნისა „ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა),“ რაც ადეკვატურია ავტორთა კოლექტივის მიერ შესრულებული, თუ განუული შრომისა. ეს კი უფრო დაკონკრეტებულია ნაშრონის ბოლოში დართულ სარჩევში, საიდანაც ვგებულობთ, რომ ნაშრომის ისტორიული ნაწილი (გვ. 5-96) ეკუთვნის პროფესორ რევაზ უზუნაძეს, რომლის კვლევის სფეროა ბათუმის ისტორია (ამ პრობლემატიკას მიეძღვნა მისი 10-ზე მეტი ნაშრომი, სტატია.) ხოლო ბათუმის თანამედროვეობაზე სხვადასხვა საინტერესო მასალები წარმოადგინეს პროფესორებმა: რამაზ სურმანიძემ და ნუგზარ ზოსიძემ. ნაშრომი შედგება შესავლისა და 12 ძირითადი ნაწილისაგან. წიგნის შესავალი ასე იწყება, „ბათუმი იმ იშვიათ ქალაქთა რიგს ეკუთვნის, რომელსაც უწყვეტი საქალაქო ცხოვრების 2500 წლოვანი ისტორია აქვს და დღესაც ერთ-ერთი წარმატებული ქალაქია“. აქვე განმარტებულია ნაშრომის დაწერის მიზანი და სტრუქტურა. ნათქვამია, რომ ბათუმის საქალაქო დასახლების განაშენიანება-განვითარების ისტორია ორ პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდი იწყება დაახლოებით ძვ.წ.აღ. V საუკუნიდან და გრძელდება XVIII საუკუნემდე და მოიცავდა ბათუმის თავდაპირველ საქალაქო დასახლებას მდ. ყოროლისწყლის შესართავს და მიმდებარე ვრცელ ტერიტორიას. ხოლო მეორე პერიოდი ქრონოლოგიურად XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე იწყება და გრძელდება დღემდე. ამ პერიოდს უკავშირდება ძველი ბათუმიდან საქალაქო დასახლების გადანაცვლება-გაფართოება დღევანდელი ბათუმის ყურეს გარშემომდებარე ტერიტორიაზე. შესავალში აღნიშნულია ასევე, რომ ბოლო დრომდე მიმდინარეობდა მხოლოდ ბათუმის წარსულის ცალკეული მონაკვეთების შესწავლა. იგი მოიცავს ძირითადად ანტიკურ ხანას (ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, ა.ინაიშ-

ვილი, ნ.ვაშაკიძე, შ.მამულაძე) და განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 70-იანი წლების შემდგომ პერიოდს (ვლ.სიჭინავა, ჯ.ჩხეიძე, ვ.ჯაოშვილი, აბ სურგულაძე, მ.სიორიძე, ალ.ბენდიანიშვილი, ო.გოგოლიშვილი, რ.უზუნაძე). ხოლო ფეოდალური ხანისა და ოსმალთა ბატონობის პერიოდი დღემდე თითქმის ბურუსით იყო მოცული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ი.სიხარულიძის, რ.უზუნაძის ი.ურუშაძის ამ წიგნის ბიბლიოგრაფიაში დასახელებულ ნაშრომებს. მასაშასადამე, ბათუმის ორი ათას ხუთას წლიანი წარსული და თანამედროვეობა მთლიანობაში დღემდე არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი. ამ ფონზე, – წერს ავტორი შესავალში, – ლაღადად ან ანდერძად შემოგვრჩა ცნობილი მწერლის და აღიარებული ჟურნალისტის, ღირსეული ბათუმელის ან განსვენებული ნუგზარ ჯაფარიძის მხატვრული ქმნილება: „მოგზაურობა ბათუმში“, რომელშიც იგი გულისტკივილით წერს: „ბათუმის წარსული დაჩუმქრულია საუკუნოვან შრეებში“. ასე ამბობს, მაგრამ გულს არ იტყხს, მომავლის ღრმა რწმენით ხმამაღლა გემოძღვრავს: „დადგება დრო, ვისაც ღმერთი მისცემს ძალმოსილებას, განძის მაძიებლის სიჯიუტეს, გამბედაობას და ბათუმის ათასწლოვან მატთანეს ნათელს მოჰფენს. სხვანაირად, აბა რა აზრი აქვს ცხოვრებას, თუ შენი ისტორია, შენი საამაყო წარსული არ იცი. ვეძებთ, გამოვაჩინოთ ჩვენი ძველი და ახალი ისტორიის ფურცლები. ეს ვალდებულება კი არა, ჩვენი ვალია“ – წერდა უკვდავებაში გადასული მწერალი ნუგზარ ჯაფარიძე. დღეს კი უნდა ჩავსძახოთ ნუგზარ ჯაფარიძეს სასუფეველში და ვაუწყოთ, რომ დადგა მისი ნანატრი დრო. უფლის ნებით გამოჩნდნენ ძალმოსილების მქონე მეცნიერ-მკვლევარები, რომლებმაც ეძებეს, გამოაჩინეს ჩვენი ქალაქის ძველი და ახალი ისტორიის ფურცლები, ბათუმის 2500-წლიან ისტორიას ნათელი მოჰფინეს. კოლექტიურ ავტორთა წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ისტორიული მისიის რეალიზაციის პირველი რეალური, საიმედო, საყრდენი და პერსპექტიული ცდაა. მწამს, მო-

მავალი თაობა მათ ამაგს სათანადოდ დააფასებს. შესავლის შემდეგ მოკლე, ზოგადი ცნობებით დახასიათებულია ძველი და ახალი ბათუმის ლოკალიზაცია, მისი ფართობი, მოსახლეობა, გეოსტრუქტურული მდებარეობა, დემოგრაფიული სურათი, კლიმატური პირობები, ფლორა, ფაუნა, მისი სავაჭრო, საპორტო და სანაოსნო დანიშნულება. ბათუმი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მარგალიტია. იგი თავისი „ბათუმობით“ მსოფლიოში საინტერესო ქალაქთა შორის მოიაზრება. მისი როლი, გეოსტრატეგიული ფუნქცია დღითი დღე უფრო იზრდება. ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქის მნიშვნელობის წარმოსაჩენად წიგნის ისტორიული ნაწილის ავტორს მოჰყავს ცნობილი ქართველი მამულიშვილის ნ.ნიკოლაძის სიტყვები, რომ „ისტამბულის და სევასტოპოლის გარდა შავ ზღვაზე ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არ აქვს.“ ჩვენ კი დავამატებდით, რომ ეს კარგად შენიშნა თავის დროზე მეფის რუსეთის მთავრობამაც შავ ზღვაზე საპორტო ადგილების შემონმებისას. დასკვნა გაკეთდა ბათუმის პირველობაზე სევასტოპოლს აქეთ და დაინყეს ბათუმში საზღვაო პორტის მშენებლობა-გაფართოება, 1988 წელს ბათუმს თანამედროვე ქალაქის სტატუსი მიენიჭა. მეფის რუსეთის მმართველობის დროს ბათუმის პორტი შედიოდა ოდესის საზღვაო სამმართველოში. საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ბათუმის პორტი გამოეყო ოდესის საზღვაო სამმართველოს და შეიქმნა დამოუკიდ – ებელი საქართველოს საზღვაო სანაოსნო. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩვენ ვიყავით „ოკუპირებული“, „ოკუპანტი“ შეასრულა „ოკუპირებულთა“ თხოვნა.

სამწუხაროდ, ქვეყნის საუბედუროდ, როცა სისხლის ფასად მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მაშინ ეროვნულმა ხელისუფლებამ გააუქმა ძვირფასი მონა-პოვარი – საქართველოს საზღვაოსნო. სამარცხვინოდ, დიდი ხნის დავა იყო იმის გასარკვევად და დასადგენად, თუ სად უნდა ყოფილიყო საზ-

ღვაო სანაოსნო ადმინისტრაცია ბათუმში (როცა შეიქმნა, ადმინისტრაცია იყო ბათუმში) ზღვა – სთან, თუ თბილისში, ზღვიდან 400 კმ-ზე. ხანგრძლივი „გამიშვი-დამაკავეს“ შემდეგ სანაოსნოს 56 გემი „ქარიშხალმა აიტაცა“ და საზღვაოსნოც გაქრა. ამ სიტუაციას არ ესადაგება წინაპართა სენტენცია „როცა გვაქვს, არ ვაფასებთ, დავკარგავთ და ვნანობთ“. ვფიქრობთ, შავი ზღვა რომ თბილისთან ყოფილიყო ან ხელისუფლებაში ეროვნული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები მოსულიყვნენ, საქართველოს საზღვაო სანაოსნო დღესაც იქნებოდა. იმედია, ახალი ხელისუფლება დაინტრესდება ქვეყნისათვის მეტად საჭირო რესურსის გამოყენებით, სიმართლესთან ერთად, აღადგენს საქართველოს სანაოსნოს და ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩააყენებს ამ ძვირფას კაპიტალს. წარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს, თუ არა მთლიანად, ძველი ბათუმის ადგილმდებარეობაზე წარმოადგენა არ აქვს. ამ წიგნით, როგორც ზემოთ ითქვა, ყველა გაიგებს, რომ ძველი ბათუმი გაშენდა მდ. ყოროლისწყლის მიდამოებში სალიბაურის ჩართვით ძვ.წ.აღრ. V საუკუნეში, ხოლო XVIII საუკუნიდან თანდათანობით გადაინაცვლა ჩრდილო-აღმოსავლეთით. გაფართოვდა და მიიღო დღევანდელი სახე. წიგნის ისტორიულ ნაწილს ახლავს ბათუმის და მის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული ძველი ბერძნული, რომაული და სასანური მონეტები, აგრეთვე დ.ხახუტაიშვილის და სხვა ავტორების მიერ შედგენილი რუკები. ნაშრომის მეორე ნაწილში საუბარია ქალაქის თანამედროვეობაზე. უნდა ითქვას, რომ ავტორები საინტერესოდ ახასიათებენ ბათუმის ცხოვრებას პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (ნ.ზოსიძე) (გვ.83-95), ბათუმში საბჭოთა მმართველობის ეპოქას (რ.უზუნაძე, რ.ზოსიძე), (გვ. 96-109); პროფესორმა რამაზ სურმანიძემ წარმოადგინა ცნობები ბათუმის უახლესი წარსულიდან (1990-2010 წწ.) (გვ.110-118); ინ-

ტერესით იკითხება მისივე, ცნობილი ადამიანების გამონათქვამები ბათუმზე (გვ. 119-137). წიგნის ბოლო ქვეთავში იგივე ავტორის მიერ დახასიათებულია „ბათუმის ღირსშესანიშნაობანი“ (ბათუმის ქუჩები, ქალაქ ბათუმის ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლთა სია, ქალაქის მწვანე საფარი, ნურიის ტბა და ბალი, ბათუმის ბულვარი, ბოტანიკური ბაღი) (გვ.138-159). ვფიქრობთ, საინფორმაციო-საცნობარო მასალები დიდად მიიზიდავს და გაახარებს ქალაქის ისტორიით დაინტერესებულ სტუმრებს, ტურისტებს, მოგზაურებს, დამსვენებლებს, რომლებიც ჩამობრძანდებიან და გაეცნობიან ქალაქის ისტორიულ ადგილებს და მის ბუნებას, ღირსშესანიშნაობებს. წიგნის შესავალში ნათქვამია, ჩვენც მხარს ვუჭერთ და დავამატებთ, რომ ბათუმის ტურისტულ ქალაქად და აჭარის ტურიზმისა და დასვენების ზონად, ჯანმრთელობის გაუმჯობესება-გაკაჟების კერად გადაქცევის პერსპექტივასთან დაკავშირებით ეს და მისი მსგავსი ნაშრომები სტუმრებს მისცემს შესაძლებლობას, გაეცნონ საქართველოს თვალმარგალიტსა და სატრანსპორტო ჭიშკრის, ბათუმის მრავალსაუკუნოვან წარსულსა და თანამედროვეობას. წიგნს ღირსებას ჰმატებს ვრცელი რეზიუმეები ინგლისურ (გვ. 160-171) და რუსულ (გვ.172-184) ენებზე. წიგნის ბოლოს დართულია ბიბლიოგრაფია 175 დასახელების ლიტერატურით (გვ.221-228). ნაშრომი ილუსტრირებულია ქალაქის წარსული და თანამედროვე ყოფის ამსახველი ფოტოებით. ჩვენი აზრით, ნაშრომი უფრო უკეთესი იქნებოდა ანალოგიური რეზიუმეებით, თურქულ ენაზეც რომ ყოფილიყო, რადგან თურქები ბოლოსდაბოლოს გაიგებენ ბათუმის ჭეშმარიტ ისტორიას და არ აწყვეებიან პროვოკაციებს. აი რა სჭირდება კეთილმეზობლურ ურთიერთობას. ვიტყვი და ვისურვებდი, რომ წიგნი რომელიც ქალაქის, მხარის თუ ქვეყნის სავიზო ბარათს წარმოადგენს, უნდა დაინეროს რა თქმა უნდა პირველ რიგში, მშობლიურ ენაზე და პარალელურად უნდა ითარგმნოს საერთაშორისო ენებზეც. ვიტყვი აგრეთვე იმა-

საც, რომ სარფის საბაჟოს კარის გახსნის შემდეგ ქ. ბათუმის, როგორც საპორტო, საჰაერო სატრანსპორტო ქალაქისა და ქვეყნის ჭიშკრის პოტენციური უფრო გაიზარდა, ბათუმი, აჭარა აზია-ევროპა და სხვა კონტინენტების დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფნად გადაიქცა. ჩვენ ყველაფრით და მათ შორის ინტელექტუალური საშუალებებითაც მზად უნდა ვიყოთ სტუმრებისათვის მასპინძლობის გასაწევად. დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი დაწერილია გამართული ქართულით, იკითხება საინტერესოდ, შედგენილია მრავალფეროვანი წყაროებისა და ლიტერატურის (ქართული თუ უცხოური) საფუძველზე და წარმოადგენს ავტორების, პროფესორების: რევაზ უზუნაძის, რამაზ სურმანიძის და ნუგზარ ზოსიძის ერთობლივი, ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგს. იგი მეცნიერულად და აკადემიურად სრულყოფილი ნაშრომია. გვჯერა, ნაშრომი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიით დაინტერესულ სტუდენტებს, ასპირანტებს, ისტორიის მკვლევარებს, ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, იქნება ქალაქის სავიზო ბარათი, უხვად მოიზიდავს დამსვენებლებს არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

წინამდებარე ნაშრომი „ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა)“ სამი ავტორის მიერ კეთილსინდისიერებით შესრულებულია. ბათუმის 25 საუკუნიანი ისტორიის, მათი წარსულისა და თანამედროვეობის ერთად მონოგრაფიულად, მეცნიერულ დონეზე წარმოდგენა პირველი, გაბედული გამართლებული და შედეგიანი ნაბიჯია. იგი ავსებს ჩვენი ქალაქების, საქართველოს, მათ შორის აჭარის ისტორიის ხარვეზებსა და ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. თუ ნაშრომს შევაფასებთ ხატოვნად, ვიტყვით, ეს წიგნი არის უგზობის პირობებში გაყვანილი გზა-ბილიკი დანიშნულების პუნქტამდე. ეს უსათუოდ, დიდი საქმეა, მაგრამ გზის მშენებლობის დასაწყისია. ამოცანად რჩება ავტო-

ბანის მშენებლობა. ამ გზა-ბილიკის გამოყენებით ავტორებმა, სხვა დაინტერესებულ მეცნიერ-სპეციალისტებთან ერთად უნდა იფიქრონ ავტობანის გასაყვანად; მეცნიერულ ენაზე კი ეს ნიშნავს; ავტორებმა უნდა გააგრძელონ მუშაობა დიდი და ფართო პერსპექტივების მქონე ქალაქ ბათუმის ისტორიის მრავალტომეულის დასაწერად და მკითხველზე მისაწოდებლად. ამით ფასდაუდებელ წვლილს შეიტანენ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

აღნიშნული რეცენზია საკმაოდ ვრცელი, დასაბუთებული, დეტალებითა და არგუმენტებით გაჯერებული საინტერესო გამოხმაურებაა ახალგაზრდა ისტორიკოსების მიერ გამოცემულ საინტერესო ნიგნზე, რომელიც არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის, მკითხველთა ფართო წრისთვისაა განკუთვნილი. მსგავსი ხასიათის რეცენზიები ქართულ პრიოდულ პრესაში ხშირი უნდა იყოს, რადგან ერთი, რომ რეცენზიას კიდევ უფრო მეტი ფასი დაეძება და მეორე, რეცენზია იქნება საუკეთესო და ერთგული მეგზური მასობრივი აუდიტორიისაკენ.

ასევე საინტერესოა გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-მაისი, №5, სადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორ დიმიტრი კორძაიას სამეცნიერო ხასიათის რეცენზია დაიბეჭდა ნიგნზე „კლინიკური ანატომიის“ გამო, რომელიც პროფესორმა ზურაბ ჩომახაშვილმა შესთავაზა სტუდენტებს. „ამ ტიპის სახელმძღვანელოს შექმნას ერთდროულად სჭირდება დიდი ცოდნა და შრომისმოყვარეობა, რასაც ზურგს უნდა უმაგრებდეს სათანადო პედაგოგიური გამოცდილება“, დასძენს რეცენზენტი და იქვე აგრძელებს, რომ „საყოველთაოდაა აღიარებული: კარგ სახელმძღვანელოს ის ქმნის, ვისაც გამოუცდია სწავლების სირთულეცა და ბედნიერებაც, – ბატონი ზურაბი კი, სწორედ, ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის. მაგრამ ასეთი სქელტანიანი

სახელმძღვანელო რომ შექმნა (მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც ადეკვატური ჰონორარის მიღებას ვერც ივარაუდებ), უნდა გახალისებდეს მომავალი თაობებისათვის შენი შრომის მნიშვნელობის შეგრძნება და, ამასთანავე, სწორად აფასებდე შენს შესაძლებლობებს. ბატონი ზურაბის შემთხვევაში ეს მოცემულობაც სახეზეა“. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. რეცენზენტს კარგად ესმის სამედიცინო სფეროში დანერგილი „კარგი ნიგის“ ფასი და არა მხოლოდ ეს. რეცენზენტი ხაზს უსვამს ავტორის ერთგვარ „საქველმოქმედო“ საქმიანობასაც, როდესაც მსგავსი ტიტანური სრომის განხორციელებისათვის ძალიან ბევრი შესაძლოა მაღალი ჰონორართაც დასაჩუქრდნენ, ამ შემთხვევაში კი მსგავსი არაფერი მომხდარა. რეცენზენტის აზრით მსგავსი ხასიათის პროფესიული საქმიანობანი უმნიშვნელოვანესია ადამიანური თვალსაზრისითაც, როდესაც მაღალ პროფესიონალიზმს დიდ პიროვნულ-ადამიანურ თვისებებსაც რომ შეათავსებ. მსგავსი შეფასებების გაკეთება მხოლოდ დარგის გამოცდილ სპეციალისტებს თუ შეუძლიათ, რადგან მათ ესმით ის თემა და ის საკითხები, რაზედაც საუბრობენ და რიგითი მკითხველიც ამ ყველაფერს ხედავს და სჯერავს კიდევ ამის. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვიმეორებთ-რეცენზია ჟურნალისტიკის ასახვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ფორმაა და ის ანალიტიკური ასახვის ობიექტს წარმოადგენს, ოღონდაც ჟურნალისტიკური „სიფრთხილე“ კვლავაც აქტუალურია და მეტად მნიშვნელოვანია. „ის კლინიკური ანატომიის (ტოპოგრაფიული ანატომიის) დარგის უდიდესი წარმომადგენლის, პროფესორ შალვა თოიძის მოსწავლეა. აგრძელებს საუბარს რეცენზენტი და დასძენს, რომ „ბატონი შალვას ხელმძღვანელობით მრავალი წელი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანატომიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე; აქ ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერ-მკვლევარი და პედაგოგი. აქვე დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა პირველი აღიარება, როგორც



გამომგონებელმა (მისი ავტორობით შექმნილი ხელსაწყო, თანამედროვე ლაზერული თუ ელექტროთერმული სკალპერების გამოჩენამდე, დიდ დახმარებას უწევდა ქირურგებს ღვიძლზე ოპერაციების „უსისხლოდ ჩატარების“ საქმეში). ზურაბ ჩომახაშვილს აქვს კლინიკური მუშაობის საკმაო სტაჟი და ჯანდაცვის ორგანიზაციის სფეროშიც მუშაობის გამოცდილება. ამდენად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ზურაბ ჩომახაშვილის სახით შეიძინა მედიცინის სფეროში კომპლექსურად განსწავლული კადრი. მან უკანასკნელ წლებში მთელი თავისი ძალისხმევა დააფოკუსა თავისი უპირველესი არჩევანის სფეროზე – კლინიკურ ანატომიასა და ოპერაციულ ქირურგიაზე“. ამ შემთხვევაში საუბარია წიგნის ავტორის მიერ განვლილი გზის სისწორის ჩვენებაზე, რომელიც რეცენზენტს მისეული მეცნიერული ხედვების არგუმენტირებული დასაბუთებისათვის სჭირდება. რეცენზენტის მხრიდან წიგნის ავტორის სხვა გამოცემებზე ხაზგასმა მნიშვნელოვანია თუნდაც იმის საჩვენებლად, თუ რა გზა განვლო მეცნიერ-მკვლევარმა დღემდე, რა არის მისი ინტერესის საგანი, რამ უკარნახა სარეცენზიო წიგნზე მუშაობა და სხვა. „ბათუმში მოღვაწეობისას თანაავტორობთან ერთად გამოაქვეყნა ორ ათეულზე მეტი სტატია, შექმნა მონოგრაფიები – „ელენთის ტრავმა“, „ოპერაციები ღვიძლზე ერთი ანატომიური ნახევრის ფარგლებში შესაბამისი პორტული კომპლექსის დროებითი დახშობის პირობებში“, „ენდომეტრიუმის სტრუქტურული ცვლილებები ერთფაზიანი მენსტრუაციული ციკლის დროს“, „საშვილოსნოს ყელის კიბოს კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი დაავადების პროგნოზული ფაქტორების გათვალისწინებით“, სახელმძღვანელოები: „ეთიკისა და დენტოლოგიის მოკლე სალექციო კურსი სტომატოლოგებისათვის“, „მუცლის ღრუს ორგანოების სასწრაფო-გადაუდებელი ქირურგია“, „თავისა და კისრის მიდამოების კლინიკური ანა-

ტომია“; ცნობარი – „მუცლის ღრუს მწვავე ქირურგიულ დაავადებათა სიმპტომები და სინდრომები“. ეს ყველაფერი რეცენზენტს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ „ჩამოთვლილთა შორის „კლინიკური ანატომია“ გამოირჩევა სიღრმითა და მასშტაბით, რომ სახელმძღვანელოში ადამიანის სხეულის აგებულება განხილულია რეგიონების მიხედვით. აქ, ბატონი ზურაბი, სრულად იცავს ტოპოგრაფიული ანატომიის სახელმძღვანელოთა დამკვიდრებულ ტრადიციას, რომელიც სათავეს გერმანული სკოლიდან იღებს ჯერ კიდევ XIII-XIX საუკუნეებში. მაგრამ, როდესაც თითოეული ანატომიური სტრუქტურის ტოპოგრაფიის გარჩევა დასრულდება (ანუ, მას შემდეგ, რაც ხარკი მიეძღვნება ოპერაციული ქირურგიისათვის საფუძვლების შექმნას), იწყება ამ სტრუქტურათა განხილვა მათი დაზიანებასა თუ პათოლოგიაში მონაწილეობის (ან პოტენციური მონაწილეობის) თვალსაზრისით, აგრეთვე ამ ანატომიურ-ტოპოგრაფიული თავისებურებებით განპირობებულ სიმპტომთა და იმ მეთოდების ჩვენება, რითაც ეს სიმპტომები უნდა იქნას გამოვლენილი“. რეცენზიის დასასრულს დარგის ცნობილი სპეციალისტი დასძენს: „სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ „კლინიკური ანატომია“, რიგ შემთხვევებში, წარმატებით ითვალისწინებს ანალოგიური უცხოური გამოცემების გამოცდილებასაც (კ. მურის და ა. დალის „კლინიკურად ორიენტირებული ანატომია“ და ს. სნელის „კლინიკური ანატომია“), რომელშიც მოცემულია კლინიკური შემთხვევების „ანატომიური გარჩევების“ შესანიშნავი მაგალითები. ასეთი გამოცდილების გაზიარება ქართულ სახელმძღვანელოს წასაკითხად უფრო საინტერესოს ხდის და მას უაღრესად საჭირო ნიგნად აქცევს არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ კლინიკისტებისათვის. „მინდა მივულოცო ავტორთა კოლექტივს და, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ზურაბ ჩომახაშვილს, შესანიშნავი სახელმძღვანელოს შექმნა, ხოლო მედიცინის სხვადასხვა სპეციალობის სტუ-

დენტებსა და პრაქტიკოს მედიკოსებს კიდევ ერთი შესანიშნავი შენაძენი“, დასძენს რეცენზიის დასასრულს ავტორი.

### **ლიტერატურა:**

1. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-აპრილი, №4,
2. გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-მარტი, №3
3. გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-მაისი, №5

### **ლიტერატურული რეცენზია**

ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატურულ ნაწარმოებთა რეცენზირება ხელს უწყობს სწორედ ლიტერატურის გამდიდრებას, მის მხატვრულ სრულყოფასა და განვითარებას. გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარებაში უდიდესია იმ ქართველ კრიტიკოსთა ღვაწლი, რომელთა ლიტერატურულმა მიმოხილვებმა, კრიტიკული ხასიათის სტატიებმა თუ კონკრეტულ ნაწარმოებზე დაწერილმა რეცენზიებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ეროვნული მწერლობის შემოქმედებით მონაპოვარზე; ამასთან, ისინი ხელს უწყობენ მკითხველთა გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებას, ლიტერატურული ესტეტიზმის სისადავეს, ხელს უწყობს ისეთი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, რომელიც ასევე ზრდის შესაბამის ლექსიკურ მარაგსა და მხატვრული აზროვნების შესაძლებლობას საზოგადოებაში. ამ მხვრივ საინტერესოა მე-19 საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ფუძემდებლის ილია ჭავჭავაძის პუბლიკაცია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა.“ ასეთი მწვავე, პრობლემატური, მტკივნეული და საინტერესო რეცენზია მთელი თავისი ფილოსოფიური სიღრმით, მასში დასმული პრობლემებით

იმდენად მწვავე, დროული და საჭირობოროტო იყო, შეიძლება ითქვას ამ ერთმა რეცენზიამ გადატრიალება მოახდინა მთელს ქართულ ლიტერატურულ და არა მხოლოდ ლიტერატურულ ცხოვრებაში. საკითხი იმდენად მძაფრი და ტკივილიანი აღმოჩნდა, რომ მთელი საზოგადოებრივი აზრი შესძრა, ააფორიაქა და აამოძრავა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ გამოფხიზლდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნება, ძლიერ ტალღად დაიძრა პროგრესულად მოაზროვნე ეროვნული ინტელექტუალური ელიტა და თავანკარა ლიტერატურული მდინარე მაცოცხლებელ სხივად და სინამდვილედ მოეფინა მთელ მომდევნო ეპოქას... კარგად დანერილი რეცენზია – სამართლიანი, პრინციპული, ობიექტური, მიუკერძოებელი განმსაზღვრელია ამა თუ იმ ტექსტისა თუ წიგნისა და საზოგადოებრივი განწყობაც მის შესაბამისად ყალიბდება. რა გამოდის? რეცენზენტის პროფესიონალიზმი ეჭვს კი არ უნდა ინვევდეს, არამედ პირიქით, კომპეტენტური და ავტორიტეტული უნდა იყოს, თორემ კრიტიკა განუსჯელი, უსამართლო და ტენდენციური ისევ რეცენზენტს დაუბრუნდება ძალიან ცუდად და მის არაპროფესიონალიზმსა და მიკერძოებულობას გაუსვამს ხაზს. საგნის არსში წვდომა, მხატვრული ფანტაზიის უნარი, დანახვისა და განჭვრეტის უნარი, გარკვევა იმისა, თუ რაზე საუბრობს ავტორი მოცემულ შემთხვევაში, რეცენზენტის სინდისზეა, რათა ბოლომდე ახსნას აგრძნობინოს, აჩვენოს, დაანახვოს და განაცდევინოს ყველას, რასაც მწერალი გრძნობს ან განიცდის. ამიტომაც კარგი იქნება რეცენზენტი პროფესიული ცოდნით გამორჩეული, რომელსაც კრიტიკული ალლო და მხატვრული გემოვნება, აზრის მკაფიოდ და ცხადად ჩამოყალიბების უნარი და შესაძლებლობა კარგად ექნება განვითარებული. მხატვრული ლიტერატურის დარგში არსებული პრობლემატიკა და მიღწეული წარმატებები განმაპირობებელია ლიტერატურული რეცენზიის პროცესში. ამიტომაც რეცენზენტის პროფესიული მოვალეობაა ობიექტურობისა და სამართლიანობის, მიუკერ-

ძობელი თვალ-ყურის გარანტი, კონკრეტული ლიტერატურული ფაქტების ანალიზისას, სწორედ მაღალი ლიტერატურული გემოვნება და საქმეში ჩახედულება უნდა იყოს. რეცენზენტს უნდა აინტერესებდეს რა და როგორ თქვა მწერალმა. ლიტერატურული რეცენზია ხსნის მწერლის იდეური ჩანაფიქრსა და მხატვრული ოსტატობის თავისებურებებს, აჩვენებს იმ ორიგინალურს, რომელიც შემოქმედის განსაკუთრებული ნიჭიერების ნაყოფია და ახალია მწერლობაში. მწერლისეული ჩანაფიქრი, ძირითადი იდეა ისე უნდა იყოს ხორცსესხმული, მისადაგებული და მორგებული ტექსტის ფორმასა და შინაარსს და რაც მთავარია, ეს ყოველივე იმდენად საინტერესოდ და მიმზიდველად უნდა იყოს წარმოდგენილი რეცენზიაში, დაინტერესებულ მკითხველს სასიამოვნო განწობას უნდა უქმნიდეს და რწმენითა და იმედით აღავსებდეს. ამით რეცენზენტი ეხმარება არა მარტო რიგით მკითხველს, არამედ ზოგადად ყველას და განსაკუთრებით მკითხველთა ფართო წრეს, ვისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მწერლობის მიღწევებსა და აღმავლობას ქვეყანაში ინტელექტუალური აზროვნების ზრდის თვალსაზრისით, რომ ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებათა სისწორე და ობიექტურობა.

რეცენზენტმა უნდა მოახერხოს ნაწარმოების ერთ მთლიანობაში წარმოჩენა, როგორც ერთიანი ცოცხალი ორგანიზმისა და ამ მდგომარეობაშივე უნდა მოხდეს მისი შეფასებაც. მკითხველისათვის ყოველთვის სასურველია სარეცენზიო ტექსტის საერთო, მთლიანი შეფასება, წარმატებული თუ წარუმატებელი ნაბიჯები, გნებავთ მისაღები ან მიუღებელი დეტალები, რომელიც შესაძლოა იყოს ლიტერატურულ ნაწარმოებში. რეცენზენტი, ისევე როგორც ნაწარმოების ავტორი, ეძებს შესაბამის ფორმას სათქმელის გამოსახატად, რადგანაც რჩევა-დარიგება, დაწუნება ან მოწონება, ქება თუ ძაგება ვინმესი ან რაიმესი, დიდი პასუხისმგებლობა

და შესაბამისად დიდი ტვირთია, რომლის ტარებაც შესაძლოა მთელი ცხოვრება მოუწიოს რეცენზიის ავტორს. ამიტომაც სიმძიმის სატარებლად მზად უნდა იყო გარკვეული წლების შემდეგაც და დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდე კიდევ. ობიექტური, აკადემიური, პროფესიული, მიუკერძოებელი მსჯელობა და ანალიზი თავისთავად წარმოაჩენს სარეცენზიო ნაწარმოების ღირსებასა და ნაკლოვანებებს და დაინტერესებული მკითხველიც ამას ადვილად მიხვდება და გაიგებს ყოველგვარი ზედმეტი ემოციური დატვირთვისა და გადაჭარბების გარეშეც.

მაგალითისათვის მოვიყვანთ პროფესორ მ. გორგოშაძის რეცენზიას, რომელიც გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2013-წელი – სექტემბერი – №7 დაიბეჭდა სათაურით „შეშლილი პროფესორის“ ჭკვიანი პერსონაჟები და ზოგიერთი სადღეისო პრობლემა სამომავლოდ“. საინტერესოა რეცენზიის შესავლის ავტორისეული გადანწყვეტა: „რეცენზიებს იშვიათად ვწერ, მხატვრული ლიტერატურის შესახებ კი არასოდეს დამიწერია – გამონაკლისი ბატონი პაატა ჩაგანავას „შეშლილი პროფესორია“, რომელიც მიმდინარე წელს, თბილისში, გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა. ამ, თხუთმეტი მოთხრობისგან შემდგარი ნიგნის პირველი მოთხრობის ნაკითხვისთანავე გამიჩნდა აზრი, მასზე ჩემი დამოკიდებულების შესახებ საჯაროდ მეტყვა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემს (ჩვენს) კოლეგას პროფესორ (არა შეშლილ) პაატა ჩაგანავას გამხნევება რომ დასჭირვებოდა ამ სხვა ამპლუაში (იგი, ეკონომიკის დარგის პროფესორია), მე (ჩვენ) ეს უნდა გაგვეკეთებინა, მხარზე ხელი წამოგვევრტყა და შეგვეგულიანებია. თუმცა, თავიდანვე შევნიშნავ, რომ ბატონ პაატას არც ამ სფეროში დასჭირვებია ავანსის ტიპის ქება-დიდება და პრეზენტაცია-იუბილეებისთვის განკუთვნილი „შესანიშნავია-დიდებას“ მსგავსი „მორიგე სიტყვები“ (თუ რატომ, ამაზე ქვემოთ) და მეორეც, წმინდა ადამიანურად ჩემთვის

საინტერესო იყო ჩემ (ჩვენ) გვერდით მყოფი ეკონომიკის დარგის პროფესორისაგან (არა შეშლილისაგან?!), მხატვრულ ლიტერატურაში ძალის მოსინჯვა და ჩემს (ჩვენს) უნივერსიტეტში კიდევ ერთი ახალი, ლამაზი და საამაყო ფაქტის დაბადება – გვყავს პროფესორი ეკონომისტი, რომელიც მხატვრული ლიტერატურის დარგშიც ირჯება, წერს საკმაოდ კარგ მოთხრობებს.“ რეცენზენტი საინტერესო და ორიგინალური საუბრის ფორმით ცდილობს მიიზიდოს მკითხველი საზოგადოების ყურადღება და ამით კიდევ ერთხელ შეახსენოს ყველას, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის სახით საინტერესო და ორიგინალური ნიჭის მწერალი შემოდის საზოგადოებაში. თვალი გავადევნოთ რეცენზენტის საუბარს და გავყვეთ მის სარეცენზიო სტრიქონებს, რომელიც ვფიქრობთ მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანია თანამედროვე მკითხველისათვის ნაწარმოების წაკითხვის განცდის შექმნის თვალსაზრისითაც: „როგორც მოგახსენეთ, „შეშლილი პროფესორი“ თხუთმეტი მოთხრობისგან შემდგარი კრებულია. თითოეული მოთხრობა თანამედროვე კაცობრიობის გლობალურ პრობლემებს ეხება, თითო მოთხრობა – თითო პრობლემას. თითოეული მოთხრობის კითხვისას იგრძნობა, რომ ავტორმა იცის რასაც წერს, არა მხოლოდ იცის, გრძნობს კიდევ, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა იმ ურთულეს პრობლემებზე ასე მარტივად საუბარი, ხვალ რომ გველის, თუ, რასაკვირველია, რალაც-რალაცები არ შეეცვალეთ ჩვენი ცხოვრების წესში. ცნობილია, სათქმელს ამარტივებს არა იმდენად სათქმელის ცოდნა, რამდენადაც მისი განცდა, მისით შინაგანი წვა. ჩემი აზრით, ბატონ პაატა ჩაგანავასთან ეს მოხდა.“ საინტერესოა რეცენზენტის უბრალო ენა და საუბრის გამორჩეული სტილი. ის ხაზს უსვამს წიგნის ავტორის დამოკიდებულებას სხვადასხვა პრობლემატიკისადმი და გამოყოფს მოთხრობებში წარმოდგენილ გლობალურ პრობლემებს, რომელსაც ავტორი არა მხოლოდ იცნობს, არამედ განიცდის კიდევ. მკითხველის მხრიდან ამ ყველაფ-

რის უკეთ დანახვისა და გააზრებისათვის კი გვთავაზობს: „ მოდით, უფრო ახლოს გავეცნოთ „შეშლილი პროფესორის“ ჭკვიან პერსონაჟებს და მასში დასმულ ზოგიერთ პრობლემას.

პირველი მოთხრობა „რუბინ კოშკას ტელეპორტები“, გვ. 3-20 (აქაც და ქვემოთაც გვერდები მითითებულია წიგნიდან – პაატა ჩაგანავა, შეშლილი პროფესორი, თბ., 2013), ცდილობს აგვიხსნას, თუ რატომ და როგორ შეიძლება არსებობდეს „დანყევლილი ადგილები“, „ჯადოსნური ტყეები“, „საიდუმლო გვირაბები“, შამბალას ქვეყანა ტიბეტში და სხვა ისეთი ადგილები, სადაც ადამიანები იკარგებიან ან სხვა სამყაროში ხვდებიან. ავტორი აქაც და წიგნის სხვა მოთხრობებშიც, ამა თუ იმ პრობლემის ახსნისთვის ირჩევს სამეცნიერო ფანტასტიკას, ამ ჟანრის შერჩევა გასაგებია, ასე უფრო იოლად შეიძლება ახსნა პრობლემა, მაგრამ სირთულე ისაა, რომ ეს არ არის ნებისმიერი ფანტაზია, ეს სამეცნიერო ფანტაზიაა, რაც სამეცნიერო პრობლემატიკის, მინიმუმ, საფუძვლების ცოდნას მანიც მოითხოვს. სასიამოვნოა, რომ ბატონი პაატა, თავის წიგნში დასმულ პრობლემებს იცნობს და იცის ამ პრობლემების შესახებ სამეცნიერო ვარაუდები. ისე, კაცმა რომ თქვას, ავტორისეული ფანტასმაგორია ფანტაზიაა იმდენად, რამდენადაც, დღეს მისი განხორციელება შეუძლებელია, თორემ ხვალ რატომ არ შეიძლება შეიქმნას, მაგალითად, ლინზა, რომელიც ტვინის ჯერ კიდევ გამოუყენებელი ნაწილების აქტივიზაციას მოახდენს? (ხომ გამოიგონეს მიკროსკოპი და ტელესკოპი, რომლებმაც დაგვანახეს ის, რასაც მანამდე ვერ ვხედავდით). ჰოდა, სულაც არ უნდა იყოს ფანტაზია, რომ ჩვენი აღქმის და ხედვის უნარი ისე გავაძლიეროთ, რომ დავინახოთ სამყარო მთელი თავისი სრულყოფილებით და სხვა სამყაროებში გადასასვლელებით. სწორედ, ამ საინტერესო პრობლემის, უფრო საინტერესო სიუჟეტით, გადმოცემას ეძღვნება ჩვენ მიერ ნახსენები პირველი მოთხრობა.

თუ გინდათ, რომ პლანეტებზე ადამიანებისთვის ახალი



საცხოვრებელი გარემოს – კოლონიების დასაზვერად გამგზავრებულ კნისისა და ზორსის ერთად იმოგზაუროთ, ჰაერის ნაკადზე ბალანსირებით მოსიარულე(მოფრინვალე) არსებებს შეხვდეთ, ნაიკითხეთ მოთხრობა „აბეზარი აბორიგენები“(გვ.21-26) და მიხვდებით, რომ ეს პლანეტა (სამყარო) მხოლოდ ჩვენი, ადამიანების არ არის, აქ სხვებიც ცხოვრობენ და მათაც აქეთ უფლება დაიცვან და უერთგულონ მას.

2015 წლის 23 თებერვლის 155-ე ნომერში, გაზეთ „აჭარის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ორი შეშლილი პროფესორის, პაატა აროშიძისა და პაატა ჩაგანავას უცნაური საქციელის (გვ.31) შესახებ შეიტყობთ მოთხრობაში „აპოკალიფსი ხვალ“(გვ.26-31). სხვათა შორის, ამ მოთხრობაში, პაატა აროშიძის მიერ გამოგონებული დროის მანქანით იმოგზაურებთ 2100 წლის ზღვის სანაპიროებიან ურეხში. პრობლემა? – გაუფრთხილდით ბათუმის სანაპიროს, თუ არ გინდათ, თქვენმა შთამომავლებმა 2100 წელს შეზღონგები და ქოლგები ზღვის სანაპიროზე, ურეხში, გაშალონ! ”

რეცენზენტი საინტერესოდ და ორიგინალურად, გამოორჩეული პათოსითა და გრძნობით მუხტავს საკუთარ სათქმელს და ისევ ცდილობს მკითხველის შესაბამისი მუხტით განწყობას. ის ისე შეიჭრა მწერლისეული ფანტაზიის ლაბირინთებში მკითხველი იძულებულიც კი ხდება ერწმუნოს და დაუფეროს მას, ან აუცილებლად გაეცნოს ახალგაზრდა პროზაიკოსის თამამ შეხედულებებს: „ფრთხილად ადამიანებო! გიყვარდეთ, გაუგეთ, შეამჩნიეთ ერთმანეთიო, გვაფრთხილებს მოთხრობა „არშეხვედრა კოსმოსში“(გვ.32-38), რომლის მიხედვითაც, უცხოპლანეტელთა ხომალდი ისე შევიდა, გაიარა და გავიდა ჩვენი პლანეტელების ხომალდში, რომ ვერც კი შენიშნა. მიაქციეთ ყურადღება – შეხვდა, გაიარა მასში, მაგრამ ვერ შენიშნა. ვერ შენიშნეს ვერც ხელსაწყობმა. იქნებ, რომ შევნიშნოთ, თვალზე და ხელსაწყობზე მეტად გული გვჭირდება? „სამყაროში არის ბევრი რამ, რა-

საც ვერ ვხედავთ, ბევრი რამ, რაც გვერდს ჩაგვივლის და ვერ ვამჩნევთ“ (გვ.38). ეს უგულისყურობა და უგულისთვალობა, ჩვენი ეპოქის პრობლემაა. ყოველ შემთხვევაში, იმის გაცნობიერება მაინც, რომ ადამიანმა აქცენტები გულიდან თავში გადაიტანა, ჩვენს ეპოქას ეკუთვნის, და სასიამოვნოა, რომ ბატონი პაატა, თავისი მოთხრობით, გარკვეული სიმბოლური მინიშნებებით, ეხმიანება ამ პრობლემას, არა მხოლოდ სიცოცხლის ჩვენთვის უცნობ ფორმებთან მიმართებაში, არამედ ყოველდღიურ ყოფით დონეზეც – „წავალ, ცოლს შევურიგდები“ . რა ხდება ბარცხანაში, ილიას ძეგლთან, ჩაქვში, ლელვაში, ლესაში, როცა ყველა გენმოდინფიცირებული მცენარე გადავიდა უკუფოტოსინთეზის პროცესზე(გვ.54) და უანგბადის ნაცვლად ნახშირორჟანგის გამოყოფა დაიწყო, ნაიკითხავთ შესანიშნავ მოთხრობაში „ევოლუცია“ (გვ. 48-59). მოთხრობა „ფუტკრების გადაფრენა“(გვ.59-68), ალბათ, ყველაზე ძლიერი მოთხრობაა კრებულში, იგი ღვთისკენ და ქართველობისკენ მობრუნებას ეხება (თუ, უკვე არ დავაგვიანეთ – ეს მოთხრობის პათოსია). მიაქციეთ ყურადღება: „ყველამ ევროპული ფუტკარი მოაშენა, უფრო მშვიდები არიან და ყველანიარ გარემოს ეჩვევიან. სვანური ფუტკარი კი ჭირვეულია – სხვასთან არ ჯვარდება და სხვაგან არ შენდება“(გვ. 60). ყველგან შემჩვევი ევროპელების გავლენით გაჯორჯებული და გამერებული გიორგი და მარიამი, მორიდებულად, მაგრამ მაინც იბრუნებენ თავიანთ ქართულ სახელებს და ჯვრის დასაწერად მყინვარწვერზე, სტეფანწმინდის ტაძარში (ეკლესია და მღვდელი მხოლოდ აქ შემორჩენილა !!!) მიდიან. მათი გადაწყვეტილება იცხოვრონ იქ, სადაც ლოცულობენ, გულწრფელად სჯერათ ღვთის, მინისძვრა არ ხდება და ფუტკარი მუშაობს, ირაციონალურ გადაწყვეტილებად მიაჩნია ჯოუზი ბარათაშვილს. თუმცა, მოთხრობიდან ვიგრძენი, რომ სახელის შეცვლით, მამა-პაპათა ცხოვრების წესის დავინწყებითა და ქართველობისაგან მონყვევით გაევროპულობისკენ მიმავალ ჯოუზის, ეჭვი ეპარება ამ

გზით მიზნის მიღწევაზე. ევროპას, ქართველობადაკარგულები კი არა, ქართველი ევროპელები ვჭირდებით. მარსელეზის ფეხბურთით დაინტერესებას, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრების მიერ არგენტინის ნაკრების დამარცხებას და საქართველოს მსოფლიო ჩემპიონობით ფეხბურთში მოგვრილ სიხარულს გაიზიარებთ მოთხრობით „ოცნების გუნდი“ (გვ.74-80). ამასთან, ამ მოთხრობაში ამოიკითხავთ, თუ რა თვისებებია საჭირო იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდეთ ფეხბურთში. პიტკინასა და თემურას მიერ ნაშვილებ უცხოპლანეტელს გაეცნობით მოთხრობაში „რა გამოიჩინა ზღვამ“ (გვ.81-94), რომელიც ავარიული დაშვებისას, შუახვევიდან შუბნის მიმართულებით, მდინარის პირას, მფრინავი თეფშიდან გადმოვარდა. ფორმულას, რომელიც ტოტალიზატორში „მაგარ“ ფულს მოგაგებიანებთ (თუ ჭკვიანად იქნებით ეს ფული შეიძლება შეგვრჩეთ კიდეც), გაეცნობით მოთხრობაში „სამიში ფორმულა“ (გვ.95-103). ლობემონგრეულ ეზოში მომღერალი ყვავილების გამგები ბათუმელი პროფესორის (გვ.104-110) ჩვენებით, თავისუფლების იდეასა (ყვავილები მხოლოდ ლობემონგრეულ ეზოში მღერიან, შემოღობილში – არა) და მის შესაძლებლობებზე გველაპარაკება ავტორი.

მოთხრობა „უცნაური სოფელი“ (გვ.111-131) პრობლემების სიღრმითა და დიაპაზონით ერთ-ერთი გამორჩეულია. იგი ტექნიკური ევოლუციის პრობლემებს ეხება და გვიხატავს იმ სამსუხარო რეალობას, რომ ტექნოლოგიური გაძლიერების, საპირწონედ, დაჩიავებული და ამორალური ადამიანი შეგვრჩა. ერთი ჭიქა ზეთის დამატების, 18 წლამდე რობოტების სამუშაოსაგან გათავისუფლებისა და სასწავლებლად გაგზავნის, სამუშაო დროის შემცირების მოთხოვნით რობოტების გაფიცვას გაეცნობით მოთხრობაში „უდაო არგუმენტები“ (გვ. 132-152). ამავე მოთხრობაში გაიგებთ ამერიკა-რუსეთის 2215 წლის ურთიერთობებს, საგალაქტიკო (და არა საერთაშორისო) კოდექსის მუხლებსა და ყველა დროისათვის

გამოსადეგ იმპერატიულ მაქსიმას: ყველას და ყველა ვითარებაში ხელი გაუმართეთ, თორემ სამაგიერო არ დააყოვნებს. ზემოთ ვთქვი, ყველა მოთხრობა დამოუკიდებელი პრობლემაა-მეთქი და ეს მართლაც ასეა, მე ყველა პრობლემის გახსნაზე ვერ ვისაუბრებ, ამის არც ადგილია(მხვევლობაში საგაზეთო ფორმატი მაქვს) და ეს ჩემს შესაძლებლობასაც აღემატებოდა. თანაც „შემლილი პროფესორის“ მომავალი მკითხველის „ხიზლს“ ვუფრთხილდები. შევეცადე, ძირითადად შინაარსზე მელაპარაკა, ისიც, ზედაპირულად. თუმცა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს წიგნი ჩვენც(დიდებმაც) უნდა ნავიკითხოთ და ბავშვებსაც უნდა ნავაკითხოთ, განსაკუთრებით მე-9 მე-12 კლასელ ბავშვებს, მათი ორიენტაციაა აუცილებელი წიგნში დასმულ პრობლემებზე, მათი ცნობიერების დამუხტვაა საჭირო იმ ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ზოგადად ფობიური თუ მომხვეჭლური პრობლემებით ჩვენს პლანეტას რომ სჭირს. პლანეტას, რომლის ბირთვად მოაზრებულ ჰომოცენტრისტული მისწრაფებებით გათამამებულ ადამიანს შველა სჭირდება. შველა იმ სიშმაგისგან, თავის თავს რომ მოუტანა ადამიანმა და რომელიც ასე მომეტებული სუიციდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანია (როგორც ჩანს, მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს ე.წ. „რადიკალური ეკოლოგების“ მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც თავად ადამიანი უნდა გადაშენდეს, რომ გადარჩეს პლანეტა). პაატა ჩაგანავას მოთხრობები ამგვარი ადამიანის საშველად წარმართული ფიქრია. იგი, თავისებური, მე ვიტყვოდი, საკმაოდ ორიგინალური გზით ცდილობს, გვიჩვენოს ჩვენი(დიდებისთვის) უკვე არაერთგზის განცდილ პრობლემათა სიმწვავე და ძირები, რომლის გამოსწორებაც (თუ არ დავიგვიანეთ! – ესეც ავტორის პათოსია), ჩვენი მომდევნო თაობების საქმეა, ამიტომ უნდა წაიკითხოთ მათ ეს წიგნი (ვურჩიოთ წაიკითხოთ, ცოტაც რომ დავაძალოთ, არა უშავს!), თანაც წიგნად უნდა წაიკითხოთ და არა ინტერნეტწიგნად. ინტერნეტიდან სხვა თემებზე

გადასვლის იმდენი ცდუნება და თავისუფლების სახელით იმდენგვარი გამოცდილების შექმნის შესაძლებლობაა, ბატონი ჩაგანავას მოთხრობების ბოლომდე ინტერნეტვერსიით ჩაკითხვა და მით უფრო, გააზრება საექვოდ მიმაჩნია“.

გრძნობა, ემოცია, შესაბამისი განწყობა, ხანდახან შემოპარული ნოსტალგიაც კი, რომელიც შემოთავაზებულ რეცენზიაში იკითხება, აჩვენებს რეცენზიის ავტორის მეტად ჯანსაღ და გულწრფელ დამოკიდებულებასა და პოზიციას ახალგაზრდა მწერლისა და პროზაიკოსისადმი, რომელიც მწერლურ ნიჭთან ერთად ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევარიცაა და ლექციებს კითხულობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რეცენზენტი როგორადაც საუბრობს წიგნის ღირსებებსა და სიახლეებზე, ასევე არ ერიდება ის მოკრძალებული რჩევისა და რეკომენდაციის მიცემასაც, რითაც ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტად იგრძნობა რეცენზენტის საქმისადმი გულწრფელი დამოკიდებულება და ჯანსაღი პოზიცია როგორც ავტორისადმი, ასევე ცალკეული მოთხრობებით წარმოჩენილი პრობლემატიკისადმი. ამით მხოლოდ რეცენზენტი არ იმარჯვებს და არ აღწევს მკითხველი საზოგადოების მხრიდან დადებითი განწყობის მოპოვებას, არამედ თავად ახალგაზრდა მეცნიერი, მწერალი და პროზაიკოსი უფრო მეტი დამაჯერებლობითა და მსოფლგანცდით მკვიდრდება იმავე მკითხველებში. „სასიამოვნოა, როცა წიგნში შენს ნაცნობ ადგილებსა და პერსონაჟებს ხვდები – ბათუმი, ურეხი, ჩაქვი, ბარცხანა, ილიას ძეგლი, მასთან გაშლილი კარვებით, ლელვა, რესპუბლიკური საავადმყოფო, შუახევი, შუბანი, პაატა აროშიძე, პაატა ჩაგანავა და სხვა. სასიამოვნოა, იმიტომ, რომ ამ ადგილებით შენც ( მკითხველო) თავს მოთხრობების პერსონაჟად განიცდი. რამდენიმე სურვილიც მინდა გავუზიარო ბატონ პაატას. ბატონო პაატა, კარგი იქნებოდა წიგნს ანოტაცია, შესავალი ან წინათქმა ან რალაც ისეთი ჰქონოდა, წინასწარ ინფორმაციას რომ მოგვანოდებდა წიგნის შესახებ.

სხვანაირად, იმ თეატრით გამოვიდა, რომელსაც არც აფიშა აქვს, არც ვესტიბიული და პირდაპირ დარბაზში, სპექტაკლზე რომ ამოყოფ თავს. ბატონო პაატა, წიგნის გარეკანზე და თითოეული მოთხრობაც საინტერესო ნახატებითაა გაფორმებული. თითოეულ მოთხრობას, მისი არსის გამომხატველი ნახატი ახლავს. ნახატები გვეხმარება აზრის გამოტანაში. ეს შესანიშნავია და წიგნს ღირსებას ჰმატებს, მაგრამ წიგნში ვერსად მივაგენი ვისია ეს ნახატები და დავასკვენი, რომ ნახატებიც თქვენ გეკუთვნით. ე.ი. ხატავთ კიდეც, ფიქრობ, არანაკლებ საინტერესო ნახატები გექნებათ. წიგნში რატომ არსად არ უთითებთ, რომ ნახატებიც თქვენია? მომდევნო გამოცემაში (მიმაჩნია, რომ ეს აუცილებლად მოხდება) კარგი იქნება, თუ ჩემს ამ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ, ბატონო პაატა. ავტორი ხასიათდება მაღალი ერუდიციითა და ემოციით, ნიჭიერია, ბევრი უფიქრია, ზოგიერთი პრობლემის დეტალებშიც კი ერკვევა, უყვარს ადამიანები, ფანტაზია, ბათუმი, სამყარო, თავისი საქმე. წარმატებები ვუსურვოთ ბატონ პაატას ცხოვრებასა და შემოქმედებაში“. წარმოდგენილი ლიტერატურული რეცენზიის მიზანი შემოქმედებითი წარმატების, ახალი ლიტერატურული სიმაღლეების დაღაშქვრის კეთილი სურვილებია. არჩეული გზა კი შემოქმედებით წინსვლასთან ერთად მრავალ სირთულეებსაც არ გამორიცხავს ხოლმე, რაც შესანიშნავად ესმის რეცენზიის ავტორს.

პროფესორ ი. ბიბილეიშვილის რეცენზია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ბასილაძის წიგნზე „სტუდენტთა აღზრდისა და განათლების წყარო“ გაზეთმა „ბათუმის უნივერსიტეტმა“ 2010 წლის მარტში მიანოდა მკითხველებს. რეცენზიის დასაწყისში საუბარია ნოდარ ბასილაძის ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობაზე. რეცენზენტი დასძენს, რომ „იგი მთარგმნის რუსული და გერმანული ენებიდან როგორც პედაგოგიურ, ისე მხატვრულ ნაწარმოებებს. 2008 წელს მან ზედიზედ ორი წიგნი გამოაქვეყნა – გერმანელი

მწერლების იუმორისტული მოთხრობების კრებული „მუსიკა მეზობლის ოთახიდან“ (ჰანს როსლერის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით) და ვასილ სუხომლინსკის „წერილები შვილებს“. ეს უკანასკნელი ფაქტიურად მეორე ქართული გამოცემაა. ნოდარ ბასილაძემ 1996 წელს თარგმნა და გამოსცა ვასილ სუხომლინსკის „წერილები ვაჟიშვილს“. ახლა იგი შეავსო ქალიშვილისადმი მიწერილი წერილების თარგმანებით და მკითხველს შესთავაზა სახელწოდებით „წერილები შვილებს“.

როგორც შესავლიდან ირკვევა რეცენზენტი წიგნის ავტორის შესახებ ასეთ ხაზგასმას შეგნებულად მიმართავს და მკითხველი საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს ავტორის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე, რითაც თავიდანვე ეფექტურსა და საინტერესოს ხდის მთარგმნელის ლიტერატურულ გემოვნებას, ანუ მკითხველს წიგნის წასაკითხად თავიდანვე განაწყობს. შემდგომ რეცენზენტი უშუალოდ წიგნის ავტორს გვიხასიათებს ორიოდ სიტყვით, რითაც სურს გვითხრას, რომ მთარგმნელის მიერ შერჩეული წიგნი არის საინტერესო, მნიშვნელოვანი და თანამედროვე ცხოვრების მეტად საჭირობოროტო საკითხებს ეხება. სათქმელის ამ ფორმით გამოსატყვის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ რეცენზენტი ამართლებს სათარგმნი წიგნის მიმართ მთარგმნელის ჯანსაღ დამოკიდებულებას და მკითხველებსაც აგრძნობინებს რომ არჩევანი, რომელიც მთარგმნელმა გააკეთა, ჯანსაღია, დროულია და საინტერესო: „ვასილ სუხომლინსკი ნოვატორი, მოაზროვნე პედაგოგი იყო. ის გამუდმებით ეძიებდაარამარტო ახალ იდეებს, არამედ ასევე ამ ახალი იდეების საფუძველზე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის ფორმებსა და მეთოდებს. მათ შორის დღეს განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის საუბრისა და დარწმუნების მეთოდები. ვ. სუხომლინსკი თავს კი არ გვახვევს თავის მოსაზრებებს, არამედ საუბრობს მკითხველთან და შინაგანი სიმართლის წყალობით დარწმუნების დიდ ძალას წარმო-

შობს. ამის გამო მისი ნაწერები უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა ფართო წრეებში არამარტო უკრაინაში, სადაურიც იყო იგი, არამედ მსოფლიოს მრავალ ცივილიზებულ ქვეყანაში. ამაზე განსაკუთრებით მეტყველებს მისი პედაგოგიური ნაშრომი „წერილები შვილებს“. „ეპისტოლარული ჟანრის გამოყენება აღზრდაში ახალი არ არის, აგრძელებს რეცენზენტი,-ქართველი მკითხველი კარგად იცნობს XVIII საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოღვაწის ჩესტერფილდის (ფილიპ სტენჰოფის ნაშრომს) – „წერილები ჩემს ვაჟს“ და მრავალ სხვას. მაგრამ თვით ეს ეპისტოლარული ფორმა აღმზრდელობითი საუბრებისა არის ამოუწურავი, თუ პედაგოგი დაჯილდოებულია ფანტაზიისა და მხატვრული გემოვნების ნიჭით. ვასილ სუხომლინსკი კი უხვად იყო დაჯილდოებული ამ ნიჭით. მისი წიგნები „მშობელთა პედაგოგიკა“, „წერილები შვილებს“ და სხვა კლასიკური ნიმუშია პედაგოგიკური იდეების მხატვრულ-პუბლიცისტური ფორმით გადმოცემისა. „წერილები შვილებს“ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ჩამოყალიბების წარმატებულ ცდას წარმოადგენს ვასილ სუხომლინსკის მემკვიდრეობაში. ამ წერილების მთავარი ღირსება არის ის, რომ თითოეული წერილი ეძღვნება ერთ მთავარ ზნეობრივ მხარეს-სათნობას“.შემდგომ რეცენზენტი ნათარგმნი წიგნის შინაარსობრივ ანალიზზე გადადის და განიხილავს წერილების სერიას ცალ-ცალკე. გავყვეთ დინამიკას, სადაც საინტერესოდ წარმოჩნდება თითოეული წერილის ყველაზე საინტერესო დეტალი, რომელიც მთარგმნელმა განსაკუთრებული სითბოთი გამოყო და ხაზი გაუსვა: „პირველ წერილში (სულ 30 წერილია ვაჟიშვილისადმი), როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორს უნდა განესაზღვრა თავისი ნაშრომის ჟანრი, რატომ მიმართავს პედაგოგიური იდეების გადმოსაცემად პირადი წერილების ფორმას. „...ყოველდღიური შრომის ფუსფუსში, – წერს იგი შვილს, – ვერ მოვახერხებ, მომეთხრო შენთვის ყოველივე ამის შესახებ. მისი დამახსოვრება კი შენთვის საჭიროა. მე იმასვე გიმეო-



რებ, რაც მამაჩემმა დამარიგა. მან კი მითხრა: არ დაივინყო ვინ და ვისი „გორისა ხარ“. არ დაივინყო, რომ ჩვენი ძირია მშრომელი ხალხი, მინა, ნმიდათანმიდა პური“. შემდეგ ამას მოყვება განმარტება იმ ზნეობრივი სათნოებისა, რასაც მშრომელი ხალხის, მშობლიური მიწის სიყვარული და ნმიდა-თანმიდა პურისადმი პატივისცემა ჰქვია. „ჩვენს ენაში ასეუ-ლი ათასობით სიტყვაა, – წერს ვ. სუხომლინსკი, – მაგრამ პირველ ადგილს მე სამ მათგანს მივანიჭებდი: *პურს, შრო-მას, ხალხს*. ამ სამ ფუძეზეა დაშენებული ჩვენი სახელმწიფო. მამა სტუდენტ შვილს ღრმად შთააგონებს, რომ „ვინც არ იცის, რა არის პური და შრომა, ის არ არის ერის შვილი... ვინც არ იცის, რა არის ოფლი და დაღლა, ის პურის ფასსაც ვერ გაიგებს“. რეცენზიის ავტორისათვის მთავარია თითოე-ული წერილი კომპოზიციური თვალსაზრისითაც, რომ „ყვე-ლა დანარჩენი წერილი შედგენილი – თეორიული მოსაზრე-ბიდან პრაქტიკული რჩევა-დარიგებების ჩამოყალიბებით, რაც ავტორის შეგონებებს ცოცხალ პედაგოგიურ პროცესად აქცევს. მეორე წერილი ადამიანის საკუთარი რწმენის ჩამო-ყალიბებას ეძღვნება, რომლის გარეშეც, ვ. სუხომლინსკის აზრით, ადამიანი ჩვარი და არარაობაა. „რაკი დარწმუნებუ-ლი ხარ, რომ შენ თვალწინ ბოროტება ხდება, – წერს იგი ვა-ჟიშვილს, – დაე, შენი გული ყვიროდეს ამაზე. იბრძოლე ბო-როტების წინააღმდეგ, იბრძოლე ჭეშმარიტების გამარჯვე-ბისათვის... სჯობს მოკვდე, ვიდრე უარი თქვა რწმენაზე... ვა-ჟიშვილისადმი მიწერილ მეთე წერილში ვასილ სუხომლინ-სკი საუბრობს სტუდენტისათვის აუცილებელ ღირსებებსა და თვისებებზე. მამა შეშფოთებულია, რომ ჭაბუკობის წლებში ადამიანი მეტს სწავლობს, ვიდრე ფიქრობს. ფიქრის უუნარობას იგი უდიდეს დანაკარგად თვლის. კიდევ მეტი, ამ უნარის დაკარგვა ადამიანში სულიერ სიცარიელეს, სიღარი-ბეს იწვევს და როგორც ოჯახი, ისე სასწავლებელი არ უნდა ურიგდებოდეს ამ სიცარიელეს. წერილის ავტორი ამასთან დაკავშირებით ადრესატს შეახსენებს: „მე უკვე გწერდი, რო-

ცა ლექტორს უსმენ, წიგნს ან სამეცნიერო ლიტერატურას კითხულობ, უნდა გაიაზრო, ჩაუფიქრდე იდეას, შენს შეგნებაში უნდა ააგო ცოდნის კარკასი. ეს იდეები შენთვის წმიდა-თანმიდად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა სამყაროს შეცნობისას, მეცნიერულ ჭეშმარიტებებს შეუფარდებ საკუთარ თავს, შენს ბედს, საკუთარ პიროვნებას“. რეცენზენტი ასევე ამახვილებს ყურადღებას ამავე ნაშრომის მეორე მხარეზე: „შვილს წერილებს წერს არა მხოლოდ მამა, არამედ შვილიც წერს მამას წერილებს და მხარს უბამს ცხოვრებისეულ მოვლენებზე გონიერ საუბარში. ასე მაგალითად, ვაჟიშვილისადმი ოცდამეათე წერილი ასე იწყება: „გამარჯობა, საყვარელო შვილო! მთხოვ, გიპასუხო სამ კითხვაზე: 1. როგორი იქნება მომავლის ადამიანი? რა თვისებები მიმაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად მომავლის ადამიანში? 2. რომელ ზნეობრივ ნაკლს ვთვლი ამჟამად ყველაზე უფრო საშიშად და შეუწყნარებლად? 3. რა მიმაჩნია ყველაზე სერიოზულ ნაკლად მოზარდი თაობის აღზრდაში?“ რეცენზენტი ყურადღებას ამახვილებს დასმულ კითხვებზე მამის მიერ გაცემულ პასუხებზე და აყალიბებს საინტერესო იდეებს. მაგალითად, როგორი იქნება მომავლის ადამიანი? „მომავლის ადამიანი, ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს *კეთილი*. ადამიანური გრძნობა, ადამიანებთან ურთიერთობის სულიერი მოთხოვნილება, ღრმად დაინტერესება იმით, რომ ყოველი ადამიანი, ყოველი თანამემამულე იყოს სულიერად მდიდარი, მორალურად წმინდა, ჭკვიანი, შრომისმოყვარე... – აი, ჩემი აზრით, ის ძირითადი თვისებები, რაც უნდა ახასიათებდეს მომავლის ადამიანს“. თუ კარგად დავუკვირდებით, ვ. სუხომლინსკის მოაზრებული მომავლის ადამიანი ჩვენს შორის არის, თუმცა მათი რიცხვი ცოტაა, მაგრამ თუ მათ მივბაძავთ, ბევრი გავხვდებით. კითხვაზე „რომელ ნაკლს თვლით ყველაზე უფრო შეუწყნარებლად?“ სუხომლინსკი პასუხობს: „ადამიანისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და სისასტიკეს“. ასევე ორიგინალურად პასუხობს სუხომლინსკი მესამე კითხვაზე: „ყვე-

ლაზე სერიოზული ნაკლი ახალგაზრდობის აღზრდაში, ჩემი აზრით, არის იმის დავინწყება, რომ დღევანდელი ბავშვი ხვალ დიდი ადამიანი გახდება. ბევრი მშობელი და პედაგოგი ბავშვს ისე ეპყრობა, თითქოს ეს უკანასკნელი მუდამ ასეთად დარჩება, შემდეგ, როცა იგი ცოლის შერთვის სურვილს გამოთქვამს, მშობლები გაცდებიან და იტყვიან: ვერ გავიგეთ, როდის გაიზარდაო“... საინტერესოა წიგნის მეორე ნაწილში მოთავსებული ქალიშვილისადმი მიწერილი ექვსიოდე წერილი, რომელიც ხაზგასმია სათნოებაზე, რომელიც პიროვნების სულიერ სტრუქტურაში მარადიულ ღირებულებად ითვლება და სრულიად განსხვავებული პრობლემებით იქცევის ყურადღებას. „პირველი წერილიც იმ თემით იწყება, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალის ცხოვრებაში. ეს თემა სიყვარულია. 14 წლის ქალიშვილი მამას სწერს: „მამი, რა არის სიყვარული?“ მამა პასუხის გაცემას ცოტა შორიდან იწყებს: „დღეს შენ თოთხმეტი წელი შეგისრულდა და იმ ზღვარს გადააბიჯე, რომლის იქით ქალი იბადება... ჩემი გული აჩქარებით სცემს იმის გამო, რომ დღეს ველაპარაკები არა პატარა ბავშვს, არამედ – უკვე ქალს. ბედნიერი იყავ, შვილო, ამ ზღვარს რომ გადააბიჯე. ბედნიერი კი მაშინ იქნები, თუ ჭკვიანურად მოიქცევი. ...ამიერიდან, ჩემო გოგონი, ჩემი წერილები შენდამი ისეთი აღარ იქნება, როგორც აქამდე იყო. ჩემი იდუმალი სურვილია, გადმოგცე ის ადამიანური სიბრძნე, რომელსაც ცხოვრების ცოდნა ჰქვია. მინდა, რომ ყოველი ჩემი მამობრივი სიტყვისაგან, ისე როგორც პატარა მარცვლისაგან, იზრდებოდეს შენი საკუთარი შეხედულებებისა და რწმენის ყლორტები“. როგორც ჩანს, რომ იტყვიან კომენტარი ზედმეტია, ქალიშვილისადმი მიძღვნილ მომდევნო წერილებში გადმოცემულია ქალ-ვაჟსა და ცოლ-ქმარს შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების ჩვენება, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ უაზრო, ქარაფშუტულ მოქმედებას. „თუ სიყვარული სხვა არაფერია, გარდა სქესობრივი ფინისა, – წერს ვ. სუხომილინსკი, – მაშინ ცოლქმრულ

ცხოვრებაში საქმე გვექნება მხოლოდ ბავშვების გაჩენის უნართან. ამისათვის კი დიდი სიბრძნე არაა საჭირო, კრუხიც გამოჩეკს ხოლმე წინილებს, ეს მას ბუნებამ ასწავლა... მაგრამ შვილები წინილები არ არიან, ხოლო თუ მათ ბადებს ისეთი არსება, რომლის სიბრძნე კრუხის სიბრძნეს არ სცილდება, მაშინ ისინი უბედურები იქნებიან“. რეცენზენტი დასასრულს აღნიშნავს, რომ წიგნმა – „წერილები შვილებს“ გაუძლო დროის გამოცდას. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ დაწერილი ეს წიგნი დღესაც პოპულარულია მკითხველთა ფართო წრეებში და სპეციალისტ-პედაგოგებს შორის,“ და ხაზს უსვამს კიდევ ერთხელ მთარგმნელის ორიგინალურ ნიჭსა და ლიტერატურულ გემოვნებას: „ვ. სუხომლინსკის „წერილები შვილებს“ მიმზიდველად იკითხება ქართულ ენაზე, რაც, მისი შინაარსისა და პედაგოგიური იდეების ცხოველმყოფელობასთან ერთად, განპირობებულია მთარგმნელის ლიტერატურული გემოვნებითაც. ნოდარ ბასილაძე კარგი ქართულით თარგმნის, სწორად პოულობს რუსული ტექსტის მიმართ ქართულ შესატყვის ფორმებს, თარგმნის არა მხოლოდ შინაარსს, არამედ ადეკვატურად გადმოაქვს ავტორის სულისკვეთება. სანიმუშოდ მიგვაჩნია თუნდაც ამ ეპიზოდის თარგმანი: „წარმოიდგინე კეთილშობილური ქვის – მარმარილოს ნატეხი. ოსტატ-სკულპტორს შეუძლია ამ ნატეხისაგან გამოაქანდაკოს მშვენიერი ქმნილება – ქვის ყვავილი, ვარდი, რომელიც სილამაზით არ ჩამოუვარდება ცოცხალ, სურნელოვან ყვავილს, ნამის წვეთი რომ ჰკიდია და აისის ათინათი დაჰფენია. ოსტატ-სკულპტორი ყვავილს ხედავს უფორმო, ლამაზ, მაგრამ უსიცოცხლო ქვაში. იგი იწყებს გამოაქანდაკებას, შრომობს, ოფლში იწურება და აი, მკვდარი მატერიის სიღრმიდან ინასკვება ცოცხალი სილამაზის ხელთუქმნელი მშვენიერების გამოსახულება. ეს სილამაზე მარმარილოსაგან არის შექმნილი, მაგრამ მარმარილო მკვდარ, უსიცოცხლო ქვის ნატეხად რჩება მანამ, სანამ მას არ შეეხება ადამიანის მადლიანი ხელები, ადამიანის შინაგანი სილამაზით, მი-

სი ნიჭით ზემთაგონებული ხელები. აი, ამ ზემთაგონებულ ხელებშია ადამიანური სიყვარულის ძალა“.

რეცენზენტის მიზანი ვ.სუხომლინსკის წიგნზე „წერილები შვილებს“, რომელიც, როგორც აღინიშნა, ძალიან კარგად არის თარგმნილი ქართულ ენაზე, არის ის, რომ იგი გულდასმით უნდა ნაიკითხოს დედამ, მამამ, შვილებმა, აღმზრდელებმა, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებმა, სტუდენტებმა – ყველამ, ვისაც დიდი ხანია არ ნაუკითხავს, „იმითომ, რომ ეს წიგნი გვასწავლის ცხოვრებას და ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადების ბევრ საიდუმლოს.“

### **ლიტერატურა:**

1. „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2013 – 09, №7
2. „აჭარა“ 2015 - 23 თებერვალი, №-155
3. „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2010 - 03, №3

## **კინორეცენზია**

კინოხელოვნება ლექსიკონში ასეა განმარტებული: (ბერძნ. kineo – „ვმოძრაობ“) — „ვიზუალური ხელოვნების დარგი, რომლის ნაწარმოებები იქმნება რეალური, ინსცენირებული ან მულტიპლიკაციის საშუალებებით შექმნილი მოვლენების შესახებ. კინოხელოვნება გაჩნდა მე-20 საუკუნეში, რომლის კონცეფცია არის შავ-თეთრი ან ფერადი „მოძრავი ნახატების“ პროეცირება ეკრანზე. კინოხელოვნებაში ხდება ლიტერატურის, თეატრის და სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის სინთეზი მისთვის დამახასიათებელი გამოხატვის საშუალებებით, რომელთაგან უმთავრესია კინოგამოსახულების

ფოტოგრაფიული ბუნება და მონტაჟი. ხელოვნების ეს დარგი თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ტექნიკურ განვითარებაზე, მათ შორის ფოტოგრაფიების მოძრაობის, პროექციების, გახმოვანების, კინოფირების დამუშავებისა და გამჟღავნების ტექნოლოგიებზე. კინოხელოვნება განუყოფლად არის დაკავშირებული კინოინდუსტრიასთან, რომელიც აწარმოებს კინოაპარატურას, გადასაღებ, გადამამრავლებელ, სადემონსტრაციო და სხვა ტექნოლოგიურ მოწყობილობებს. კინოხელოვნებისა და კინოინდუსტრიის ერთობლიობას კინემატოგრაფია ეწოდება“(1-1). დიდი კინოხელოვნების როლი საზოგადოებაში. ადამიანები გამორჩეული ინტერესით უყურებენ მათთვის საინტერესო ფილმებს და ამდენად, რომელიმე კინოფილმის შესახებ კვალიფიციურად დაწერილ რეცენზიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დღეისათვის კინოხელოვნება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ერთგვარად „ხელმისაწვდომი“ გახდა და მომრავლდა მდარე ხარისხის ფილმები, შესაბამისად მომრავლდნენ საეჭვო ღირებულების სცენარისტები, რამაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა კინორეცენზიების აუცილებლობა, კომპეტენტურობა და დროულობა. კარგად, მაღალპროფესიონალურ დონეზე დაწერილი რეცენზია, პირუთვნელი, ობიექტური, სამართლიანი ჩვენება იმისა, თუ რაზეა საუბარი ფილმში, რა დადებითი ტენდენციები შეინიშნება და რა გვიჩვენა რეჟისორმა ახალი ფილმით, ამ ყველაფრის ახსნა გზას გადაუკეტავს და გამიჯნავს ერთმანეთისაგან სიცრუესა და სიმართლეს, მთავარსა და მეორეხარისხოვანს. ფილმის სულისჩამდგმელი, როგორც ვიცით, რეჟისორია, რომლის ნიჭიერება და ესთეტიკური მრწამსი ფაქტიურად განსაზღვრავს ფილმის სამომავლო ბედს, მაგრამ მაყურებლისათვის მთავარი მაინც მსახიობია, მისი საშემსრულებლო ხელოვნება, გრძნობა, განცდა, ემოცია პირდაპირ აისახება ეკრანზე, რომელსაც მაყურებელი

ისე ხედავს და აღიქვამს, როგორც პირადს, საკუთარს. სწორედ მსახიობური ნიჭის საფუძველზე ხდება ავტორიტეტული, მისაბაძი და სამაგალითო ფილმის გმირი, ან პირიქით. ფილმი არ არის მხოლოდ არც მსახიობი. ის ერთდროულად მუსიკაცაა, ფერთა აღქმაც და ოპერატორის ხელოვნებაც. ამდენად სინთეზი, შერწყმა სხვადასხვა ხელოვნებისა იმდენად დიდია, მართლაც დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება კინორეცენზიის ავტორს სათქმელი ისე თქვას და გამოხატოს, როგორც ფილმს ეკადრება და იმსახურებს. ნებისმიერი სახის ფილმებზე – მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული, დოკუმენტური, სათავგადასავლო, კრიმინალური, სპორტული, მულტიპლიკაციური, და ა.შ. თითოეულ მათგანზე დაწერილი რეცენზიების თავისებურებათა გათვალისწინებით, ანუ სხვადასხვა სახის ფილმების სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება მათი შეფასება. სხვა მხვრივ ყველა კინორეცენზიის წინაშე დასახული ამოცანები საერთოა. უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ბეჭდურ მედიაში არც თუ ხშირია კინორეცენზიები, სადაც ამომწურავად იქნება გაცემული პასუხი კითხვებზე, თუ რამდენად უპასუხებს განსახილველი ნაწარმოები ძირითად პრინციპს, რამდენად რეალისტურად ასახავს იგი სინამდვილეს, როგორია საშემსრულებლო დონე და ა.შ. ცნობილია, რომ ბოლო პერიოდის სატელევიზიო გადაცემებში მომრავლდა სხვადასხვა ჟანრის სატელევიზიო დადგმები და ტელესერიალები, რომელთაც მაყურებელთა დიდი რაოდენობა მიიზიდა. ე.წ. მასკულტურამ საზოგადოების დიდ ნაწილზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა და შესაბამისად განაწყო კიდევ საზოგადოებრივი აზრი. აღნიშნულმა გარემოებამ წარმოშვა იმის აუცილებლობა, რომ სატელევიზიო დადგმებსა და სერიალებზე გამოითქვას დარგის ექსპერტთა აზრი. ამიტომაც სადღეისოდ მეტად მნიშვნელოვანია ისეთი რეცენზიები, რომლებიც ლოგიკურად შეესაბამებიან რეალობასა და სინამდვილეს, აჩვენებენ იმ სირთულეებს, თუ რისი გამონწევაც შეუძლიათ ასეთ ფილმებს.

მართალია სარეცენზიოდ ასარჩევ ნაწარმოებთა დარგობრივი ოდენობა ძალიან დიდია, და სწორედ რეცენზიების სახეები სწორედ ამ დარგების მიხედვით გამოიყოფა, მაგრამ სპეციალისტებმა თავი უნდა გაართვან ამ სირთულეებს, რომელთაც უფრო მეტი სირთულეების გამოწვევა შეუძლიათ მასობრივ აუდიტორიაზე. მკითხველს არ უნდა უჭირდეს განხილვის ობიექტის სპეციფიკის შესაბამისად დაწერილი რეცენზიების ავ-კარგიანობაში გარკვევა, რადგან თითოეული მათგანი საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამის საზოგადოებრივ აზრს ამკვიდრებს. მაგალითისათვის მოვიტანთ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (04-03-2013) დაბეჭდილ პუბლიკაციას „ნახეთ! გაზაფხულიდან გრანდიოზული პრემიერა პალიტრა TV-ზე „ეზელი“ – სპეციალურად ჩვენი მაყურებლისთვის. საგაზეთო პუბლიკაციაში ავტორი ეკა ლომიძე აცნობს საზოგადოებას, რომ „გაზაფხულიდან „პალიტრა TV“ განსაკუთრებით საინტერესო გახდება სერიალების მოყვარულთათვის, – მარტიდან ეთერში გავა მაღალრეიტინგული და მაღალბიუჯეტიანი თურქული სერიალი „ეზელი“ („სამარადისო“). ვფიქრობთ, ისევე როგორც მრავალი ქვეყნის მაყურებელში, ფილმი ქართველებშიც დიდ ინტერესს გამოიწვევს“. წერილის დასაწყისშივე ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს „მაღალრეიტინგული და მაღალბიუჯეტიანი“ თურქული სერიალი „ეზელი“- („სამარადისო“)-ფილმის შესახებ და მკითხველიც შესაბამისად ელოდება ამ ფილმის შესახებ საუბრის გაგრძელებას. პუბლიკაციის ავტორი მეორე აზრად ახალი ფილმის სიუჟეტს ადარებს ცნობილი კლასიკოსი მწერლის ალექსანდრე დიუმას ცნობილ ნაწარმოებს „გრაფ მონტე-კრისტოს“: „ეზელის“ სიუჟეტი ძალიან ჰგავს ალექსანდრე დიუმას ცნობილ ნაწარმოებ „გრაფ მონტე-კრისტოს“. „მოვლენები კვიპროსის თურქულ ნაწილში, თანამედროვე თურქეთში ვითარდება, სადაც მთავარი გმირი უახლოესი ადამიანებისგან მიყენებული ტყვილის მოსაშუ-



შებლად და შურის საძიებლად იბრძვის“. ამბისა თუ მოვლენის გადმოცემის ასეთი სტილი დაინტერესებულ მაყურებელში ყოველთვის აღძრავს ინტერესს ფილმის ნახვის აუცილებლობისა, რომელიც ერთგვარად „ნაწილ-ნაწილ“ გადმოცემული საინტერესო ეპიზოდების დამსახურებაა. გემოვნებიანი მკითხველისათვის არ უნდა იყოს რთულად გასაგები ის ეპიზოდი, როდესაც პუბლიკაციის ავტორი ახალ ფილმს ცნობილ „გრაფი მონტე კრისტოს“ ადარებს. „ფილმი რამდენიმე მიზეზის გამო არ ჰგავს ჩვეულებრივ ტელესერიალებს, აღნიშნავს ავტორი – „მიუხედავად იმისა, რომ პოპულარული ნაწარმოების სიუჟეტი აქვს, არ არის ფრანგი გრაფის ცხოვრების განმეორება და არ ჯდება „საპნის ოპერის“ ჩარჩოში“. მკითხველს უკვე წარმოდგენილი აქვს, რომ რეცენზიის ავტორს ფილმი ნაწილი აქვს და ამაში ის კიდევ უფრო დარწმუნდება წერილის შემდეგი აბზაციდან: „უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი კინოპროდუქცია საუკეთესო შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაიღო, რაც თურქულ კინოფესტივალებზე საუკეთესოდ აღიარეს და მრავალი ჯილდოც გადასცეს“. აქ პუბლიკაციის ავტორი შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას ფილმის გადამღები ჯგუფის მაღალ ოსტატობასა და აღიერებაზე, რათა მკითხველმა და მაყურებელმა ერთბაშად იგრძნოს, დაინახოს და განეწყოს ფილმის სანახავად. ფილმის გადამღებ ჯგუფზე მოკლედ საუბრის შემდგომ წერილის ავტორი მთავარი როლების საშემსრულებლებლო ხელოვნების მაღალ ოსტატობაზე ესაუბრება მკითხველებს: „აღსანიშნავია, რომ ფილმის მთავარი როლების შემსრულებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საოცრად პოპულარულები არიან. სერიალის მთავარი გმირია ომერი – ახალგაზრდა, რომელსაც შეყვარებული ჰყავს და აპირებს არმიიდან დაბრუნების შემდეგ იქორწინოს. მოვლენები კი ტრაგიკულად ვითარდება. ომერს მკვლელობის გამო აპატიმრებენ. მოგვიანებით ირკვევა, რომ მის წინააღმდეგ სახიფათო თამაში წა-

მოიწყეს მეგობარმა გოგონამ და საუკეთესო მეგობრებმა. ომერი ციხეში თანასაკნელის ფსიქოლოგიური გავლენის შემდეგ საკუთარ თავში კლავს ადამიანს, რომელიც პატიმრობამდე სიცოცხლით ხარობდა და შურისძიების სასტიკ გზას ირჩევს. ბოროტების ნილ ბოროტება – ეს მისი მთავარი სამოქმედო მოტივია. ის დაუნდობელი ხდება, თუმცა, ეს არ არის ომერის საბოლოო სახე“... რეცენზიის ავტორს კარგად ესმის, რომ მხოლოდ ფილმზე საუბარი ბოლომდე მომგებიანი ვერ იქნება, მით უმეტეს თუ ის სხვა ქვეყანაშია გადაღებული. ამ შემთხვევაში საზოგადოებისათვის საინტერესოა ხაზგასმა ამა თუ იმ ქვეყნის (სადაც გადაღებულია ფილმი) კულტურულ ფასეულობებზე, ტრადიციებზე, ცხოვრების წესზე და ა.შ. ამიტომაც აგრძელებს: „ეზელი“ არის ფილმი, სადაც საინტერესოდ არის წარმოჩენილი თანამედროვე და ძველი თურქული ტრადიციები, საზოგადოების სახე, ცხოვრების წესი... 2011 წლიდან საერთაშორისო ბაზარზე გამოჩენილმა სერიალმა უამრავი ქვეყნის მათურებელი დაატყვევა და რაც მთავარია, თურქული კინოს და სერიალების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გააჩინა“. რეცენზენტი პუბლიკაციის დასასრულ ფილმის მთავარი როლის შემსრულებელთა ბიოგრაფიულ მონაცემებსაც დებს, რითაც კიდევ ერთხელ აღძრავს ამ თემით დაინტერესებულ ადამიანთა ინტერესს და განაწყობს მათ შესაბამისი განცდებით: „მთავარი როლის შემსრულებელია კენან იმირზალი ოღლუ. მას თურქეთში „ვარსკვლავად დაბადებულს“ უწოდებენ. თუმცა, აღიარებამდე დიდი გზა და ბევრი შრომა დასჭირდა. 1974 წლის 18 ივნისს ანკარაში დაბადებული მსახიობი „ეზელამდე“ ცნობილი იყო როგორც მოდელი. შესანიშნავი გარეგნული მონაცემების წყალობით უამრავ რეკლამაში გადაიღეს და საუკეთესო მოდელის სტატუსით პოდუიმის „თურქულ საზღვრებსაც“ მალე გასცდა. 1999 წელს პირველ სერიალში გა-

დაიღეს, რასაც სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებში მინ-ვევებიც მოჰყვა, მაგრამ გამარჯვების პიკი „ეზელი“ აღმოჩნდა – სწორედ ამ სერიალმა მოუტანა აღიარება, კენანი „ეზელმა“ კინოვარსკვლავად აქცია. არადა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ოცნებობდა, მათემატიკის მასწავლებელი გამხდარიყო და სამოდელო სააგენტოებსაც იმ იმედით მიმართა, რომ უფრო იოლად შეძლებდა სასურველი უმაღლესი განათლების მისაღებად ფულის შოვნას. ფილმში ომერის მეგობარი გოგონას, ეიშანის როლს მშვენიერი ჯანსუ დერე ასრულებს. კენანისა და ჯანსუს კარიერა ერთმანეთისას ჰგავს და განსხვავდება კიდევ. ჯანსუ უკვე 33 წლის ხდება. პროფესიით არქეოლოგია. მოდელობაზე არც უფიქრია, მაგრამ მშვენიერ სტუდენტს ჯერ კიდევ სწავლისას დაადგეს თვალი სამოდელო სააგენტოებმა, როცა უნივერსიტეტის სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა. ამას მოჰყვა 2000 წელს საერთაშორისო სილამაზის კონკურსზე წარმატება და გზაც გაიხსნა თურქეთის, პარიზისა და მილანის პოდიუმებზე. „ეზელი“ ჯანსუსთვისაც ტრიუმფის მომტანი აღმოჩნდა“. რეცენზიის დასასრულს რეცენზენტი ერთგვარი ნიშნის მოგებით მიმართავს მკითხველსა და მაცურებელს, რომ ნათქვამის სისწორეში დარწმუნდებით მაშინ, როდესაც ფილმს ეკრანებზე თავად ნახავთო. ასეთი მოწოდება მომგებიანია, და მეტ ინტერესს იწვევს ფილმისადმი. რეცენზიის დასასრულს, რეცენზენტი კიდევ უფრო მეტ ცეცხლს, ემოციასა და განწყობას დებს: „მამ ასე, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო და გაზაფხულიდან ნახეთ გრანდიოზული პრემიერა „პალიტრა TV“-ზე“. კინორეცენზიის კარგი მაგალითია გაზეთ „კვირის პალიტრაში“, 21-02-2011, გამოქვეყნებული მერაბ მეტრეველის საგაზეთო პუბლიკაცია – „ესეც ჩვენი მოგებულნი ომი.“ ამ მაგალითის მოყვანისას ჩვენ შესაძლებელია დავსძინოთ მხოლოდ ერთი: რეცენზიის ავტორი, საკმაოდ მკაცრად, მიუ-

კერძოებლად, ობიექტურად, სამართლიანად განიხილავს ფილმს, რომლის შესახებაც მასობრივმა მაყურებელმა სრულად არ იცის, რადგანაც ყველას ჯერ კიდევ არ უნახავს ის. მიუხედავად ამისა საზოგადოებაში განსხვავებული შეხედულებები გაჩნდა, არსებობს სხვადასხვაგვარი მოსაზრებები არა მხოლოდ ფილმის, არამედ საკუთრივ ფილმის ავტორის შესახებაც. ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ სიმართლე საზოგადოებამ უნდა იცოდეს და ეს სიმართლე ვინმემ უნდა მოუთხროს საზოგადოებას. ვფიქრობთ, მერაბ მეტრეველის ეს გადანყვეტილება საუკეთესო გამოსავალია ასეთ სიტუაციაში, დანარჩენს დრო განსჯის და განსაზღვრავს კიდევ. სწორედ დრო-ისტორია გამოუტანს განაჩენს ყველასა და ყველაფერს და კუთვნილ ადგილსაც მიუჩენს. ეს ისეთი თემაა, რომ მსგავს მტკივნეულ საკითხებზე განსაკუთრებული აქცენტი არც ერთი მხარისათვის მომგებიანი არაა და არც არასდროს იქნება. ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს ყველას, ვინც მსგავსი საკითხებით დავინტერესდებით და უაპელაციოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აფიშირებას შევეცდებით. მსოფლიო ისტორიაში ამგვარ ქცევებსა და დამოკიდებულებებს არც ერთი ქვეყნისათვის არ მოუტანია სარგებელი, არც ქვეყნისათვის და არც კონკრეტული პირისათვის, მნიშვნელობა არა აქვს რამდენად ცნობადი იყო ესა თუ ის პიროვნება. პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს: სახელმწიფოებრივი ინტერესი ეროვნულ ინტერესებზე უნდა გადიოდეს, პიროვნული ინტერესი კი ადამიანთა შორის პატივისცემის, თანადგომის, მეგობრობისა და თანამშრომლობის საუკეთესო ნიჭი და გამოხატულება უნდა იყოს. სხვანაირად კაცობრიობა ბედნიერი ვერ იქნება. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ ხსენებული რეცენზიის სრული სახით, ყოველგვარი კომენტარის გარეშე დაბეჭდვა. „ამ კვირაში ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის ფილმი „ესეც ჩვენი მოგებული ომი“, რომელმაც საზოგადოების ნაწილში დიდი აგრესია გამოიწვია. ამ ფილმის ნახვის შემდეგ ამბო-

ბენ, რომ მათთვის კიდევ უფრო სარწმუნო გახდა ვახტანგ კომახიძის აგენტობა, რომ ის მოლაღატა, ეს ფილმი სწორედ რუსეთის დაკვეთით გადაიღო და ის არც ერთმა ტელევიზიამ არ უნდა გაუშვას. მე ნამდვილად არ ვიცი, არის თუ არა ვახტანგ კომახიძე ვინმეს აგენტი და არც ამ თემაზე ვაპირებ მსჯელობას. მინდა უშუალოდ ფილმზე ვისაუბრო. თავიდანვე ვიტყვი, რომ ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, ეს ფილმი ტელევიზიებმა არ უნდა აჩვენონო. რაღაცის დამალვას და აკრძალვას შედეგი არასდროს მოაქვს, ეს გამოსავალი არ არის. ჩემი აზრით, ეს ფილმი ქართველმა ხალხმა აუცილებლად უნდა ნახოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფილმი მომწონს, მაგრამ ვფიქრობ, იმ კუთხით, რა კუთხითაც კომახიძემ აგვისტოს ომი გააშუქა, საქართველოში ვიღაცას უნდა გაეშუქებინა. კონფლიქტის დროს არ არსებობს ერთი სიმართლე. ყველა მხარეს თავისი სიმართლე აქვს და ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, როგორია ოსების სიმართლე, თუ გვინდა ოდესმე ეს კონფლიქტი მშვიდობიანად მოვაგვაროთ. თუმცა მივყვეთ თანამიმდევრობით: თუ ფიქრობთ, რომ ოსები „მას შემდეგ, რაც გაგვიკეთეს“ ამოსაწყვეტი არიან და ისინი ქართველმა ხალხმა უნდა გაანადგუროს (ასე ბევრი ფიქრობს), მაშინ შეგიძლიათ ეს სტატია არ წაიკითხოთ. თუ თქვენ იმას მაინც ფიქრობთ, რომ ყველას და მით უმეტეს, მთელი ხალხის ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება, მაშინ კითხვა განაგრძეთ. ფილმი ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიით იწყება და აქცენტი ქართული მხარის შეცდომებზეა გაკეთებული. ფილმში ოთხი რესპონდენტი: ბორის ჩოჩიევი, უფლებადამცველი ლერა ცხოვრებოვა, რომელიც დედით ქართველია, პაატა ზაქარეიშვილი და ედუარდ შევარდნაძე. ყველა რესპონდენტი, მათ შორის – პაატა ზაქარეიშვილიც, ძირითადად, ჩვენს შეცდომებზე ლაპარაკობს: რომ შეიძლებოდა ამ

კონფლიქტის თავიდან აცილება, რომ დავაშავეთ, ოსებს რომ არ მოვუსმინეთ და ვდევნიდით მათ ეთნიკურ ნიადაგზე. ზაქარეიშვილი იხსენებს, როგორ გააგდეს ქარელის ერთ-ერთი სკოლიდან ერთი ქალი მხოლოდ იმის გამო, რომ ოსი იყო. ამ დროს კი ის სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ფილმში ლაპარაკია იმაზეც, რომ შეცდომა იყო ერგნეთის ბაზრობის დახურვა. ჩოჩიევის თქმით, ერგნეთის ბაზრობა რომ არც ყოფილიყო, ქართულ მხარეს ის უნდა გამოეგონებინაო. შემდეგ განხილულია სააკაშვილის მცდელობა სანაკოვეის მთავრობის ჩამოყალიბებისა და კამპანია „კოკოითი ფანდარასტი“. დღეს ამ კამპანიის კადრებს რომ უყურებ, ჩვენი ხელისუფლება ძალიან სასაცილო გეჩვენება. ფილმის ძირითად ნაწილში აღწერილია უშუალოდ ომის დღეები, ოღონდ მხოლოდ ოსური მხარის მიერ დანახული. ძირითადი მთხრობელი ცხინვალელი უფლებადამცველი ლერა ცხოვრებოვაა, რომელიც გვიამბობს, როგორ დაბომბეს ქართველებმა ქალებითა და ბავშვებით სავსე ცხინვალი, როგორ ნახა ამონყვეტილი ოსური ოჯახი, საიდანაც მხოლოდ ბაბუა გადარჩა, რომლის წინაც ეწყო დამწვარი გვამები: შვილის, რძლისა და სამი ბავშვის; ამბობს, რომ ქართველი ჯარისკაცები სახლების სარდაფებში ბრმად ყრიდნენ ხელყუმბარებს და ისროდნენ ტანკებიდან, შემდეგ ნაჩვენებია ქართველი ჯარისკაცების მიერ მობილური ტელეფონებით გადაღებული კადრები, როგორ დაქრიან ტანკებით ქალაქის ქუჩებში. ისმის, როგორ იძლევა მეთაური ბრძანებას: „დაწვით სახლები!“, „აირჩიეთ სახლი, ესროლეთ ერთი-ორი და გზა განაგრძეთ!“ და ა. შ. ამ კადრების ფონზე ჰყვება ცხოვრებოვა, როგორ პოულობდნენ ქართველი ჯარისკაცების მიერ აფეთქებულ მანქანებს, რომლებსაც ქართველები ტანკებით ჭყლეტდნენ. ამის გამო მერე ოსებს იმის გარჩევაც კი უჭირდათ, რამდენი კაცი იყო დაღუპული, რადგან ყველა გვამი ერთმა-

ნეთში იყო აზელილი. თუმცა, ლერა ცხოვრებოვა იქვე იხსენებს იმ შემთხვევებსაც, როცა ქართველი ჯარისკაცები ღირსეულად იქცეოდნენ. მაგალითად, ხეთაგუროვოში თურმე მისი ორი ნათესავი ქალი იმალებოდა ერთ სახლში. მისულა ერთი ქართველი ტანკისტი (თურმე თქვენობით ელაპარაკებოდა) და უთქვამს: 15-20 წუთი გაქვთ, რომ აქაურობა დატოვოთ, თორემ ჩვენ უკან სხვა ნაწილი მოდის და მე პასუხს ვერ ვაგებო. ცხოვრებოვა ასევე ჰყვება, როგორ ჩავიდა ერთი ქართველი ჯარისკაცი სახლის სარდაფში, სადაც მხოლოდ ქალები და ბავშვები ყოფილან, ანიშნა, ჩუმად იყავითო და სხვა ჯარისკაცები სარდაფში აღარ ჩაუშვია. ცხოვრებოვა ამბობს, რომ მიუხედავად ასეთი ფაქტებისა, ოსებს ქართველებმა ისეთი სიმწარე ანახეს, საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგის დაწყება წარმოუდგენელიაო. ცხოვრებოვა ჰყვება იმის შესახებაც, თუ როგორ ნახა ორი დღის შემდეგ უპატრონოდ მიყრილი ქართველი ჯარისკაცების გვამები და დამწვარი ქართული სახლები. ამ ყველაფერს თან ახლავს კადრები, სადაც ქართველი ჯარისკაცების გვამები ჩანს. ფილმის ბოლო ნაწილში, რომელსაც „ომის შედეგები“ ჰქვია, ნაჩვენებია ქართველი ტყვეები – ნაცემი ქართველი ჯარისკაცები, რომლებსაც ქართულად აგინებენ, ამცირებენ; ნახავთ პირტიტველა რეზერვისტს, რომელსაც რუსები მეთაურის გვარის დასახელებას სთხოვენ, ის კი ტირის და განწირული ყვირის, რომ არ იცის. ნახავთ სულისშემძვრელ კადრებს, როგორ აცეკვებენ ქართველ ტყვეებს მინაზე გაფენილ საქართველოს დროშაზე. ფილმი 12 აგვისტოს თბილისში გამართული მიტინგის კადრებითა და სააკაშვილის გამოსვლით მთავრდება, სადაც ამბობს, რომ ქართველ ერს ვერავინ დაამარცხებს. შემდეგ ჩნდება შავი ფონი და ისმის სააკაშვილის სიცილი.

თუ ამ ფილმს ობიექტურად განვიხილავთ, ის კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან არ არის ნაჩვენები მეორე სიმართლე – ქართველების. არც ოსური ბანდფორმირებებისა და რუსული ჯარის სისასტიკეა ნახსენები, არც დაბომბილი ქართული ქალაქები და გადამწვარი ქართული სოფლები. მაგრამ აქვე უნდა ვიკითხოთ, რა იყო ავტორის მიზანი, როდესაც ამ ფილმს იღებდა? აშკარაა, რომ მისი მიზანი ბალანსისა და ობიექტურობის დაცვა სულაც არ ყოფილა. პაატა ზაქარეიშვილი ფილმში ამბობს: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ არა მარტო ის, რა მოხდა ქართულ ქალაქ გორში, არამედ ისიც, რა მოხდა საქართველოს ქალაქ ცხინვალში“. თუ ეს არის ფილმის მიზანი, ანუ თუ ავტორმა გადანყვიტა, ოსებისა და რუსების სისასტიკეზე ისედაც ბევრი ფილმი და სიუჟეტი გადავიღეთ ქართველებმა და ახლა დროა, ჩვენს შეცდომებზე, დანაშაულსა და სისასტიკეზეც ვილაპარაკოთ და სწორედ ამიტომ გადაიღო ცალმხრივი ფილმი, მაშინ შეიძლება მას ახსნა მოვუძებნოთ. თუმცა პირადად მე ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნი ფილმის პათოსს. ავტორი აშკარად ნიშნს უგებს სააკაშვილს, ფილმის სათაურიც („ესეც ჩვენი მოგებული ომი“) და ფილმის დასასრულიც, სადაც სააკაშვილის სიცილი ისმის, აშკარად ნიშნის მოგების ეფექტს ტოვებს. ასეთი ფილმის მიზანი შეიძლება იყოს ერთი მხარის სიმართლის გარკვევა, მაგრამ ასეთი თემით ვილაცისთვის ნიშნის მოგება გაუმართლებლად მეჩვენება. ეს არ არის ჟურნალისტიკის საქმე. და კიდევ ერთი: როდესაც კომახიძე დამცირებულ ქართველ ტყვეებს აჩვენებდა, აუცილებლად უნდა დაეფარა იმ ბიჭების სახეები, მათ ხომ ოჯახები ჰყავთ?! დასასრულ ვიტყვი: მხოლოდ ამ ფილმის გამო მისი ავტორის მოლალატედ შერაცხვა გაუმართლებლად მეჩვენება. შეგვიძლია ვილაპარაკოთ ფილმის სუსტ მხარეებზე, გავაკრიტიკოთ, მაგრამ ფილმის ცალმხრივობის გა-



მო ადამიანს მოლალატედ ნუ გამოვაცხადებთ. მაშინ ერის მოლალატედ და საქართველოს აგენტად უნდა გამოცხადდეს ანდრეი ნეკრასოვი, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ომზე „საჩვენო“ ფილმი გადაიღო. თუმცა ჩვენ გვჩვევია, როდესაც რუსი ჟურნალისტი რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიდის და მის მიერ საქართველოში თუ ჩეჩნეთში ჩადენილ დანაშაულს ამხელს, გმირად ვაცხადებთ, ხოლო, თუ ქართველი ჟურნალისტი შეცდომებზე მიგვივითებებს, აგენტი და მოლალატეა“.

### **ლიტერატურა:**

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989
2. „კვირის პალიტრა“, 04-03-2013
3. „კვირის პალიტრა“, 21-02-2011

## **თეატრალური რეცენზია**

თეატრალური რეცენზია თეატრალური ხელოვნების განვითარებას უწყობს ხელს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებაში თეატრისადმი მეტი მხარდაჭერისა და პოპულარიზაციისათვის. თეატრი-Gk.Theatron-ხელოვნება, რომელიც მდგომარეობს დრამატული მოქმედებით ცხოვრების მხატვრულ განსახიერებაში მსახიობების მიერ. დაწესებულება, რომელიც ახორციელებს წარმოდგენის დადგმას(1-1). „ტერმინი თეატრი (ბერძნულად θέατρον (theatron) – სანახაობების ადგილი) ორი მნიშვნელობით გამოიყენება: თეატრი, როგორც ხელოვნების დარგი. თეატრის გამოხატვის სპეციფიკური საშუალებაა სცენური მოქმედებები, რომლებიც სრულდება პუბლი-

კის წინაშე მსახიობთა გამოსვლის (თამაშის, როლის შესრულების) დროს. თეატრი, როგორც შენობა, სასცენო ადგილი, სადაც ტრადიციულად ხდება თეატრალური ხელოვნების ნაწარმოების წარმოდგენა. შესაძლებელია სცენის გამართვა ღია ცის ქვეშ, პარკში, ძველ ტაძარში ან ამფითეატრში. თეატრის ფესვები უძველეს სასოფლო-სამეურნეო და სამონადირეო თამაშებში და მასობრივ სახალხო რიტუალებშია. ძველ საბერძნეთში არსებობდა თეატრის სხვადასხვა სახეობები თავისი ტრადიციებით, სცენური ტექნიკით. მდიდარი და მრავალფეროვანი სანახაობრივი ფორმები შექმნეს აღმოსავლეთის ხალხებმა ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, ინდონეზიაში და სხვაგან. შუა საუკუნეების ევროპაში თეატრალური შემოქმედების მატარებლები იყვნენ მოხეტიალე მსახიობები: ჰისტრიონები, ჟონგლიორები და სხვები. აღორძინების ხანის პირველი ევროპული პროფესიული თეატრი იყო იტალიური ნიღბების ხალხური კომედია (კომედია დელ არტი, მე-16-17 სს.). ამ დროიდან თეატრი ხდება ლიტერატურული, ამასთან ნაკლებად მობილური, რომელიც ბინას იღებს საქალაქო კულტურის ცენტრებში. თეატრალური ხელოვნების ნაწარმოები – სპექტაკლი იქმნება დრამატული ან მუსიკალურ-სცენური ნაწარმოების საფუძველზე რეჟისორის ჩანაფიქრის შესაბამისად (ბალეტში – ბალეტმანისტერის და დირიჟორის, ოპერაში – რეჟისორის და დირიჟორის) მსახიობების მონაწილეობით“(2-1). „ქართული თეატრის დღე“-ს საფუძველი ჩაეყარა 1850 წლის 14 იანვარს, როდესაც თბილისში პირველი სპექტაკლი გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. ეს იყო პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში. „1850 წლის 14 იანვარს გიორგი ერისთავმა ქართველი არისტოკრატის მხარდაჭერით, მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშეწყობით, გიმნაზიის (დღეს №1 სკოლის) შენობაში, დადგა პირველი სპექტაკლი – „გაყრა“. იგი თავად იყო, პიესის ავტორი, რეჟისორი და ერთ-ერთ (სომეხი

ვაჭრის) როლსაც ასრულებდა“ – განმარტავს პროფესორი ვასილ კიკნაძე. ეროვნული თეატრის აღორძინება ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მაგრამ თეატრალურ დასს ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების შეფერხებისთვის ყველა ღონეს ხმარობდნენ. თეატრს წაართვეს შენობა, მის რეპერტუარზე უმკაცრესი ცენზურა იყო დაწესებული. ამ მიზეზთა შედეგად 1856 წელს ერისთავის თეატრალური დასი დაიშალა და 70-იანი წლების ბოლომდე ქართველ დრამატურგთა პიესების დადგმები მხოლოდ მოყვარული თეატრალების მიერ ხორციელდებოდა. ქართული სასცენო ხელოვნების ახალი ნაყოფიერი პერიოდი 1879 წელს დაიწყო, როდესაც თბილისში მოწინავე საზოგადო მოღვაწეების ჯგუფმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით ქართული პროფესიული დრამატული თეატრის გახსნას მიაღწია. 1881 წლის 18 იანვარს დაფუძნდა დრამატული საზოგადოება (შემდგომში – თეატრალური საზოგადოება) საზოგადოების წევრთა პირველ ყრილობაზე თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარის მოადგილედ აკაკი წერეთელი. 1945 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“(3-1). თეატრი საზოგადოების სულიერი აღზრდის მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც ხშირად ერთი სპექტაკლითა თუ წარმოდგენით მაყურებელს ცხოვრებისეულ სინამდვილეს, რეალობას თვალწინ გადაუშლის, ცოცხლად აგრძნობინებს და დაანახვებს, დააფიქრებს და განაცდევინებს იმ სულიერ და ზნეობრივ ღირებულებებზე, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ პიროვნების ადამიანური, ამქვეყნიური ცხოვრების წესზე, სინამდვილესა და ურთიერთობებზე... თეატრალური ხელოვნება ადამიანის ინტელექტუალურ-ფიზიკურ და ვიზუალურ შესაძლებლობათა ერთი მთლი-

ანობა და სინთეზია, რომლის საფუძველი ლიტერატურული ნაწარმოები-პიესაა, მაგრამ იმდენად ცხოვრებისეულია: ტკივილიანიც, ცრემლიანიც, მწუხარეც, ხანაც პირიქით-სასიხარულო, იმედისმომცემი, მნიშვნელოვანი, რომ მისი ცალკე წარმოდგენა, ცხოვრებისაგან მოწყვეტა, ერთგვარად წარმოუდგენელია. ალბათ ხშირად შევსწრებივართ, როდესაც მაყურებლები ტირიან, ცრემლებად იღვრებიან, განიცდიან და შფოთავენ სპექტაკლის მსვლელობისას, ან პირიქით. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ დრამატურგიის განვითარება დიდად განსაზღვრავს თეატრალური ხელოვნების ბედს და საუკეთესო პიესები, ნიჭიერი მსახიობებით გასცენიურებული, უდავოდ ახდენს განუმეორებელ ეფექტს მაყურებელზე. რეცენზენტი მსჯელობის საგნად პირველ რიგში სწორედ სარეცენზიო სპექტაკლსტექსტს აქცევს, რომლის მთავარი ფიგურაც რეჟისორია. სწორედ რეჟისორი კითხულობს „თავისებურად“ მწერლის ხელიდან გამოსულ ნაწარმოებს და მეორეს მხვრივ ამ ყველაფერს უქვემდებარებს მსახიობთა ოსტატობას, მხატვრის ფერთა სიუხვეს, კომპოზიტორის გამორჩეულ მუსიკალურობას და სხვ. მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება, ინდივიდუალური შესაძლებლობები და გამორჩეული ტალანტი, ნიჭი რეცენზენტისათვის უცხო არ უნდა იყოს და ადექვატურად ასახავდეს იმ რეალობას, რომელიც კონკრეტულმა სპექტაკლმა თუ წარმოდგენამ მოუტანა აუდიტორიას. რეცენზიაში უნდა წარმოჩნდეს ცალკეულ მსახიობთა ნიჭიერება, კონკრეტული წვლილი სპექტაკლის წარმატებასა თუ წარუმატებლობაში. შეუფასებელი არ უნდა დარჩეს არც ერთი წვრილმანი, რომელმაც ხელი შეუწყო სპექტაკლის ღირსეულ წარმოდგენას. რეცენზენტმა სპექტაკლი ერთ მთლიან სივრცედ უნდა წარმოაჩინოს და ასე მიიტანოს მკითხველამდე. რომელშიც თითოეული კომპონენტი (პიესა, რეჟისურა, მსახიობი, მხატვარი, მუსიკა) ცალკე-ცალკე იქნება ჩამოთვლილი. სწორედ ამ კომპონენტთა სინთეზი განაპირობებს მაყურებლისა და თეატრალური დასის მიერ წარმოდგენილი პიესის ერთ მთლიანობას, საერთო მიზანს ანუ დიდ

წარმატებას, როდესაც მაყურებლისა და მსახიობთა ემოციები ერთმანეთს ემთხვევა და სადღაც ერთ წერტილში იკვეთება კიდევც. რეცენზენტმა უნდა აგრძნობინოს ყველას, რომ საჭიროა მართალი, მიუყვარდობელი, ჭეშმარიტად საქმის სიყვარულით ნათქვამი სიტყვა მაღალი ესთეტიკური ღირებულებების დასამკვიდრებლად საზოგადოებაში. ასეთ დროს, როგორც კარგი მეგობრის რჩევას ითვალისწინებს ხოლმე მეორე მეგობარი, სწორედ ასეთივე დამოკიდებულება უნდა შეინიშნებოდეს სპექტაკლის მესვეურთა მხრიდან, ოღონდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეცენზია საქმის არა მხოლოდ დიდი სიყვარულით, არამედ მაღალპროფესიონალურ დონეზე დაწერილი აღმოჩნდება. რეცენზენტის მხრიდან სათქმელის გამოხატვის თავისებურება და გამორჩეული არტისტიზმი რეცენზიას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ყოველთვის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც რეცენზია სწორედ ხელოვანი ადამიანების საყურადღებოდ იწერება. რეცენზიის საბოლოო მიზანი აჩვენებს რა თქვა ახალი სპექტაკლმა, რა მისცა მაყურებელს, როგორ მოახერხა მიეღნია წარმატებებს და ა.შ. მაგალითისათვის საინტერესოა გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2011 წელი, №1-2-3, პროფესორ ი. ბიბილეიშვილის საგაზეთო რეცენზია „როცა თეატრი ცხოვრების სარკეა“. რეცენზიის ავტორი თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლის „მეფე ლირი თავშესაფარში“ მაღალიდევრობასა და შესაბამისად თეატრის როლზე თანამედროვე ცხოვრებაში. „თეატრი ცხოვრების სარკეა“-თავიდანვე დაასკვნის რეცენზენტი და გვეუბნება: „სპექტაკლი „მეფე ლირი თავშესაფარში“, რომელიც საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ენვერ ჩაიძემ დადგა დრამატურგ ოთარ ბალათურიას ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით, დადასტურებაა იმისა, რომ თეატრი თუ ცხოვრების სარკეა, მაყურებელი სპექტაკლს ღებულობს როგორც საკუთარი ბიოგრაფიის ნაწილს. დრამატურგი და რეჟი-

სორი გამოწვევას უკეთებენ იმათ, ვისაც ხელენიფებათ (და ევალებათ!) საზოგადოებრივი ცხოვრების მართვა და სწორი გზით წარმართვა. მოხუცთა თავშესაფარი რომ არსებობს, ეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჰუმანისტური ბუნების და-დასტურებაა, მაგრამ კიდევ უკეთესია, სახელმწიფოს საერთოდ არ სჭირდებოდეს მოხუცთა თავშესაფარი“. რეცენზიის ამ ნაწილში რეცენზენტი ცდილობს მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას, ასევე აგრძნობინოს და დაანახოს, რომ მხოლოდ გაჭირვებულთადმი მზრუნველობის გამოსხატულება არაა ადამიანური ცხოვრებისათვის საკმარისი, საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ სწორედ ის გაჭირვება აღმოიფხვრას, რომელიც ასეულობით ადამიანს უბიძგებს იყოს ვიღაცის მონყალებისა და დახმარების იმედად. ასეთი ადამიანური განცდებისა და ადამიანის სახის შენარჩუნების მიზნით სწორედ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს და დგამდეს კიდევ შესაბამის ნაბიჯებს. რეცენზენტი კარგად ამჩნევს, რომ მხოლოდ სპექტაკლში წარმოჩენილი პრობლემატიკით ვერც ადამიანები და ვერც სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს ვერ გადადგამენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. სწორედ ასეთი ღია, მტკივნეული და პირდაპირი მხილებაა საჭირო რეცენზენტის აზრით, რომ საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ერთად იფიქროს მდგომარეობის გამოსწორებაზე. „ამასთან, სპექტაკლში არაერთი მინიშნება და კარგად მიგნებული მიზანსცენაა იმის გასამჟღავნებლად, თუ რაოდენი სევდა იმალება თუნდაც კარგად მოვლილი თავშესაფრის ბინადართა გულში, მიუხედავად ამისა, ადამიანი მაინც წინ იხედება. უ. შექსპირის “მეფე ლირის“ დადგმის სურვილში იკითხება ადამიანის წინგახედვის გეში. მართალია, მოხუცთა თავშესაფრის ბინადარნი საკუთარი ძალებით “მეფე ლირს” ვერ დადგამდნენ, მაგრამ ის, რომ პენსიონერის სიცოცხლე გრძელდება და ადამიანი ყოველნაირად ცდილობს თვითდამკვიდრებას საზოგადოებაში, ეს უცვლელი კანონია ადამიანური არსებობისა“. რეცენზიის შემდგომ მონაკვეთში რეცენ-

ზენტი სპექტაკლის მთავარი როლის შემსრულებელთა ოსტატობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ვეტერანი მსახიობების ღვანლი უდავოა თეატრის ცხოვრებაში: „სპექტაკლში ძირითადად დაკავებულნი არიან თეატრის ვეტერანი მსახიობები, რომელთა ღვანლით ახლო წარსულში წარმატებულ შედეგებს აღწევდა თეატრი. ამასთან, ამ სპექტაკლში ისიც იკითხება, რომ ჭეშმარიტად ნიჭიერ შემოქმედთ თავდაღმართი არა აქვთ შემოქმედებით ცხოვრებაში. სპექტაკლი მიჰყავს საქართველოს დამსახურებულ არტისტს ცირა აბზიანიძეს. მისი პერსონაჟი დოდო ტრაგიკული ბედის ქალია — ქმარი გაულოთდა და ოჯახიდან წავიდა, შვილი ბედის საძიებლად ამერიკაში წავიდა, თვითონ მოხუცთა თავშესაფრის ბინადარი და თავშესაფარში “მეფე ლირის“ დადგმის რეჟისორია. მსახიობის წინაშე რთული ამოცანა დგას. როგორც ყოველ ინდივიდს, მასაც საკუთარი სამყარო აქვს. ის არ ნებდება გულგატეხილობას და ინარჩუნებს მხნეობას. ხოლო როცა ყოფილ ქმარს — თავშესაფრის ახალ ბინადარს სანდროს (მსახიობი კახა კობალაძე) შეხვდება თავშესაფარში, ცირა აბზიანიძის დოდო უშურველად იხარჯება ქალური სინაზისა და მოსიყვარულე მეუღლის განწყობილების გამჟღავნებაში. მბრძანებელი რეჟისორიდან გადასვლა ქმრის მოსიყვარულე ცოლისა და შვილსმონატრებული დედის ამპლუაში მიმდინარეობს ბუნებრივი დამაჯერებლობით, ამ ქალისთვის არ არსებობს მხოლოდ წარსული. იგი ახლაც ცხოვრობს და მომავალსაც იმედით შეჰყურებს“. რეცენზიის ავტორი თითქმის უკლებლივ სპექტაკლის ყველა მონაწილე-მსახიობის საშემსრულებლო ოსტატობას მიმოიხილავს, ხაზს უსვამს მათ მაღალპროფესიონალიზმს, დამსახურებას თეატრისა და საზოგადოების წინაშე და მათ მიერ გამოვლენილ სითბოსა და სულიერ სილამაზეს, რომელიც თითოეული გმირის ხასიათის უკეთ წარმოჩენისათვის იყო აუცილებელი: „ხანდაზმულობის დაუვიწყარი სახე შექმნა საქარ-

თველოს დამსახურებულმა არტისტმა თამარ სულხანაშვილმა. მისი ანიკო დამლაგებლის მოვალეობას ასრულებს თავშესაფარში. მართალია აშკარად ლალატობს მეხსიერება და ფიზიკური შესაძლებლობებიც, მაგრამ როგორც დედა, განუმეორებელია. რად ღირს მართო მისი მიფერება ყურმილზე, საიდანაც შვილის ხმა ესმის. რამდენი სითბო და ღირსი იხატება ამ დროს თამარ სულხანაშვილის პერსონაჟის ხასიათში. იმპროვიზაციის ჩვეული ოსტატობით გამოირჩევა საქართველოს სახალხო არტისტის მანუჩარ შერვაშიძის მუშაობა სპექტაკლის მსვლელობის მთელ მანძილზე. მისი ვანიკო ყოფილი მსახიობია, რომელსაც ახლა დიდი პრეტენზია აქვს სპექტაკლში მთავარი როლის შესრულებაზე, მაგრამ ლალატობს ზომიერების გრძნობა. მსახიობი თავისი პერსონაჟის ხასიათს აგებს პიროვნებაში შესაძლებლობასა და სურვილებს შორის ნინაალმდეგობაზე. სახასიათო როლი ყოველთვის მდიდარ შესაძლებლობას აძლევს მსახიობს გამომგონებლობისათვის. მანუჩარ შერვაშიძეც თავს ისე გრძნობს როლში, როგორც თევზი წყალში. მისი რეპლიკა ყოვეთვის ხასიათიდან გამომდინარეობს და ამიტომ არის ზუსტი და მიგნებული. შესაფერისი ტონალობით ასახიერებს თავის პერსონაჟს საქართველოს სახალხო არტისტი ნინო საკანდელიძე. მისი რუსიკო მხოლოდ წარსულით ცხოვრობს. აკვიატებული სტრიქონის “როცა პირველად სასწავლებელში” წარმოთქმის მანერაში მსახიობი კარგად ავლენს ხანდაზმულობის ტიპურ თვისებას — მის ხალისიან განწყობილებას წარმოქმნის არა იმედი, არამედ მოგონება. აჭარის დამსახურებული არტისტი ბერდია ინკირველი ჩვეული ოსტატობით ასრულებს ყოფილი ბულალტრის და ყოველთვის გაორებული კაცის — გოგის როლს. ტექსტში ძუნწად არის გადმოცემული გოგის ხასიათი, სამაგიეროდ მსახიობმა მოძრაობით, სიარულის მანერით, უმეტესად უხმოდ, უსიტყვოდ მიგვანიშნა გოგის გაორებულ პოზიციაზე. მსახი-



ობმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა ავთო ქარჩავას შაკოს აჩრდილის მიზანსცენა. მოხუცთა თავშესაფრის უფროსის შაკოს მხარდაჭერაში ვლინდება მისი უღირსობა. ბერდია ინკირველის გოგი უღირსი პიროვნებაა, რომელსაც თითქმის ყოველ დაწესებულებაში შეიძლება შევხვდეთ. უთუოდ რთული აქტიორული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი აჭარის დამსახურებულ არტისტს ავთო ქარჩავას. მისი შაკო თავშესაფრის მეპატრონეა. მას ევალება მოხუცების მოვლა, მათი ინტერესების დაცვა, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა პირადად მისთვის უფრო სარფიანი გარიგება, უმაღლესი პირადი ინტერესები დააყენა წინა პლანზე და მოხუცები გამოიკრა თავშესაფრის შენობიდან. ჩვენ ამ მეტაფორაში ვხედავთ ადამიანის ბედისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოვლინებას, რაც თან ახლავს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებულ საზოგადოებას. ამ როლის შესრულებისათვის მსახიობს ხელს უწყობს ყველაფერი — ასაკი, გარეგნობა, მხატვრული ტექსტის გააზრებისა და აქტიორული შესრულების ხელოვნება. დიდი ხანია სცენაზე არ გვინახავს საქართველოს დამსახურებული არტისტი ლევან ლლონტი. ამჯერად მან ითამაშა უთვისტომო ლოთი არკადის როლი. იგი არც რუსია, არც ქართველი, ის არის მოხუცი, რომელიც ახლაც არავის სჭირდება. შესაბამისად, გაუგებარი და ბუნდოვანია მისი ქართული მეტყველება, რასაც წარმატებით ანსახიერებს მსახიობი ეროვნებადაკარგული ადამიანის ჩვენებისათვის. რთული ფსიქოლოგიური ხასიათის პერსონაჟია აჭარის დამსახურებული არტისტის კობა კობალაძის სანდრო. ისიც მოხუცთა თავშესაფრის ბინადარია მეუღლესთან (დოდო) ერთად. უდავოდ ნიჭიერი ადამიანები არიან სანდრო და მისი მეუღლე, მაგრამ პირადი ოჯახური ცხოვრება მაინც დაენგრათ. ამით დრამატურგი და დამდგმელი რეჟისორი ხომ არ მიგვანიშნებენ იმაზე, რომ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის მოვლა საზოგადოე-

ბის მოვალეობაა. ამას გვაფიქრებინებს კახა კობალაძის სანდროს გამოჩენაზე ამტყდარი მითქმა-მოთქმა — “ეს ხომ ის მსახიობია, რომელიც ბევრ ფილმშია გადაღებული?” მაგრამ ახლა გალოთებული და ღირსებადაკარგულია. დუმილით მეტყველების, დუმილით თამაშის ხელოვნება გვიჩვენა აჭარის დამსახურებულმა არტისტმა ნოდარ იაკობაძემ. მისი პერსონაჟია მამა, რომელიც შვილს მოხუცთა თავშესაფარში მოჰყავს, იშორებს თავიდან და მხოლოდ მალე მონახულებას ჰპირდება. მსახიობი უსიტყვოდ, მხოლოდ გულისწვით, გაუნელებელი სევდით, მაგრამ უაღრესად დამაჯერებლად ხატავს პერსონაჟის ტრაგიკულ განცდებს. მსახიობი ზურა ქავთარაძე დასამახსოვრებელ სახეს ქმნის კაკოს როლში. კაკო მოხუცთა თავშესაფრის ბინადარია, რომელიც არ ნებდება ცხოვრების წარმავლობის კანონს, მაგრამ ფაქტიურად უძღურია ამ დამორჩილებლობაში. შინაგანი პროტესტის გამხელის კარგი მანერა გვიჩვენა მსახიობმა ეკა ჩავლეიშვილმა კლარას როლში. ასევე საინტერესოა აჭარის დამსახურებული არტისტი ნუნუ ხინიკაძე ქეთის როლში; უმნიშვნელო როლი აქვს ქეთევან ხალვაშს. თავად ბავშვი ბავშვის როლს ანსახიერებს სპექტაკლში; ეს როლი არ გამოირჩევა ვრცელი დიალოგებით, მაგრამ ქეთევან ხალვაში ამკარად სცენიურია, გააზრებულად ასრულებს რეჟისორის დავალებას. სპექტაკლში დაკავებული არიან მსახიობები ჯემალ ველიაძე, გოჩა ხვიჩია, გიორგი ფირცხალაიშვილი, გიორგი მეგრელიძე, მარინა ბურდული, ლევან თედრაძე“. აღსანიშნავია რეცენზენტის მხრიდან ყველა მონაწილე მსახიობისადმი, მიუხედავად ასაკისა, განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მიმართვა და მცდელობა იმისა რომ ყველას „თავისი წილი მიუზღოს“, ანუ დამსახურებისამებრ აღნიშნოს და გამოხატოს საჯაროდ თავისი პოზიცია, ნამდვილად საშური საქმეა. რეცენზენტი ცალკე საუბრობს სპექტაკლის ენის შესახებ და აღნიშნავს, რომ სხვა სპექტაკლებთან შედარებით

სარეცენზიო სპექტაკლში შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული ბილნსიტყვაობა. „მაგრამ თუ კარგად გავისხენებთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას სცენიდან წარმოთქმული სიტყვისადმი (სცენიდან ყველაზე კარგი ქართული უნდა ესმოდეს მაცურებელსო) — არც ერთ სპექტაკლში არც ერთი ბილნი სიტყვა არ უნდა ისმოდეს. არაფერს არ ჰმატებს სარეცენზიო სპექტაკლს ეს დიალოგი: “აბა თქვი ა!” პასუხი: “ტ...ში ქვა”. ამ შემთხვევაში ნამდვილად სამაგალითოა რეცენზენტის პოზიცია, ზედმეტად მტკივნეულად, მეტად მწარედ კი არ უთხრას და ატკინოს გული, არამედ ფრთხილად, მინიშნებით, მორიდებით, რადგანაც შესანიშნავად ესმის, რომ ხშირად ირიბად, გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამს უფრო მეტი ეფექტი მოაქვს, ვიდრე პირდაპირ ნათქვამს. ამ შემთხვევაში დიდი ილიას ავტორიტეტის მოშველიება ყველაფრის მკურნალია და წამალი. რეცენზიის ავტორი ეხება სპექტაკლის სცენოგრაფიული და მუსიკალური გაფორმების მხარეს. გამოყოფს მხატვარ აივენგო ჭელიძის ტიპური დეტალებით აგებულ მოხუცთა თავშესაფრის გარემოს, ჩაცმულობას და ისევ სხვას ესესხება სათქმელს: „თენგიზ შამილაძემ, თუ გამოვიყენებთ ტელევიზიაში დამკვიდრებულ ტერმინებს – კარგი მუსიკალური შეფუთვა მოუძებნა ადამიანთა სევდიან ყოფას. „მაცურებელმა სპექტაკლი “მეფე ლირი თაშესაფარში” გულთბილად მიიღო“, ასე ასრულებს რეცენზიას ავტორი.

### **ლიტერატურა:**

1. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“.
2. [ka.wikipedia.org/wiki](http://ka.wikipedia.org/wiki)
3. [geotheatre.ge](http://geotheatre.ge)
4. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2011 - №1-2-3

## XII

### ნარკვევი

ნარკვევის ჟანრობრივი თავისებურება ერთდროულად მისი მხატვრულობა და პუბლიცისტურობაა. ის ბევრ რამეს მოიცავს. „შეიძლება მსუბუქი და სასაცილოც იყოს და მძიმე და გოდებით აღსავსეც. მისი მიზანია, ცოტა ხნით გამოგვიჭიროს და დიდი ხნით დაგვიტოვოს შთაბეჭდილება, ვიდრე ახალი ამბის წამიერმა გაელვებამ“ (1-1). ნარკვევზე მუშაობის ხერხებისა და მეთოდების ხელოვნება ასახვის საგნის ხასიათისა და მისი შინაგანი სამყაროს მიგნებაა, სწორად განჭვრეტა, გადმოცემაა მხატვრული ხერხების მოშველიებით, შესაბამისი შემოქმედებითი ფანტაზიის უნართა და გარდასახვის ორიგინალური მიგნებით, როდესაც გამონაგონი დოზირებულად დომინირებს, კი არ ჩქმალავს, ხელს უწყობს ნამდვილს, კონკრეტულს, არსებულსა და რეალურს, უკეთ, „ყოველმხრივ“ წარმოჩნდეს, გამოვლინდეს, ლაღად და თავისუფლად გაინავარდოს, რათა ყველამ დაინახოს, იგრძნოს და განიცადოს. მხატვრული ხერხების მოშველიებით ნარკვევზე მომუშავე პუბლიცისტი ცდილობს წარმოაჩინოს სინამდვილე, ჩაგვახედოს მის „სულიერ საგანძურში“, გვაჩვენოს ფაქტი საინტერესოდ, მარტივად, სადად და მიმზიდველად, აღწეროს და გადმოსცეს ისე, რომ არ დაკარგოს რეალობა, ნარკვევისეული განცდა და ემოცია არ აღმოჩნდეს სასურველის რეალობად წარმოჩენის მავნე ხერხი და საშუალება, კონკრეტულად ყოველთვის მანევრირებდეს პუბლიცისტურ შესაძლებლობასა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. „ნარკვევი ისეთი პუბლიცისტური ჟანრია, რომელიც ხატოვანი საშუალებების გამოყენებით გვიჩვენებს ცხოვრებას თავისი მრავალფეროვნებით, ადამიანებს – მოქმედებასა და მოღვაწეობაში“ (2-1). მხატვრულ-პუბლიცისტური სტილი მხოლოდ როდი განაპირობებს ასახვის საგნის ნარკვევისეულ ბუნებას. ნარკვევის

ენა პირდაპირი, ფაქტებზე ორიენტირებული, პრაქტიციზმის სულისკვეთებით გამსჭვალული, ფაქტის ირგვლივ და ფაქტისაკენ მიმავალია; ამასთან, მარტივად გასაგები, ღია და გულწრფელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი, ხანდახან მკაცრი, ყოველგვარ ფანტაზიას მოკლებული რეალობაც, რადგან პუბლიცისტიკის მოყვარულთ ხშირად არ სჯერათ მაღალფარდოვანების, უხვი შედარებების, არ უყვართ, როცა კონკრეტულ ფაქტზე ორიენტირებული რეალობა ვერ ახერხებს ერთმანეთისაგან გამოირჩეს ნამდვილი და მოჩვენებითი, რეალური და წარმოსახვითი, ზედაპირული და სიღრმისეული. მსჯელობა, ჩვენება, საუბარი, მტკიცება, კვლევა, ვარაუდი, კონკრეტულ ფაქტზე აქცენტირება და დაკვირვება ის მეთოდებია, რომელსაც ჟურნალისტიკა და ზოგადად პუბლიცისტიკა ეყრდნობა. ამ მრავალ განსხვავებულ ხასიათთა თუ გამოსახვის საშუალებათა ერთგვარი დომინირება და შერწყმა სწორედ ნარკვევი, რომელიც გარდამავალია ლიტერატურასა და ჟურნალისტიკას შორის. ამიტომაც ამბობენ ნარკვევი ლიტერატურულ ჟანრებს შორის ყველაზე პუბლიცისტურია, ხოლო პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ ჟანრებს შორის ყველაზე ლიტერატურული.

ყოველი ჟურნალისტური ტექსტი თავის საყრდენს, ანუ კონკრეტულ ფაქტს ეყრდნობა. ინფორმაციული ხასიათის ტექსტების საფუძველი ცხოვრებისეული ფაქტები, მოვლენები და პროცესებია, რადგან სწორედ ამ კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებს ეყრდნობიან და გადმოსცემენ. ანალიტიკურ ტექსტთა საფუძველი არსებული პრობლემის განსჯა-გაანალიზება-მტკიცებაა, რომელიც შესაბამისი დასკვნების გამოტანის აუცილებლობით არის დაკავებული. ფელეტონი, რომელიც ასევე მხატვრულ-პუბლიცისტური ბუნებისაა, უმეტესწილად ცხოვრებისეულ მანკიერებასა და ნაკლოვანებებს ამხელს და ა.შ. ნარკვევის ასახვის უშუალო საგანს წარმოადგენს სწორედ კონკრეტული ადამიანი ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, ან თუნდაც რომელიმე მნიშვნელოვანი ფაქტი თუ

მოვლენა, შესაძლოა ეს იყოს თუნდაც მოგზაურის თვალით ნანახი თუ განცდილი ახალი ქვეყანა, და ა.შ. მათი საერთო ნიშანი რომ მოვძებნოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ფაქტია, სინამდვილეა, რეალობაა, რომელსაც ასევე ზუსტი მისამართი, ადგილი მოეპოვება და კონკრეტულ სივრცესა და დროში ფიქსირდება. ადამიანური ყოფა და ცხოვრება ბევრ საინტერესო მასალას აწვდის ჟურნალისტს ნარკვევისათვის. ეს შეეხება ნებისმიერ სფეროსა თუ დარგს ჩვენი ცხოვრებისა. საზოგადოებაში მრავალი პრობლემა თუ საკითხი წამოიჭრება ხოლმე, რომელიც თავისებურ გააზრებასა და ახსნას საჭიროებს. სწორედ ეს შესაძლოა გახდეს ნარკვევის ინტერესის საგანი: რეალური ადამიანები, ცხოვრების უშუალო სინამდვილე, კონკრეტული ფაქტები და მოვლენები, ავტორის მიერ სინამდვილეში ნანახი და განცდილი, რომლის საფუძველი ისეთი სიახლეა, რომელიც ქმნის მიმბაძველობის, სოციალურად ღირებული ტიპის, ფაქტის წარმოჩენის სურვილს, ან პირიქით, როცა პრობლემის, კონფლიქტური სიტუაციის ამსახველია, ამ დროს ნარკვევის არსი იმის შესაბამისია, რა დამოკიდებულებაც იკვეთება კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში. ამდენად, ფაქტი ძირითადი მამოძრავებელი, მასულდგმულელებელი ელემენტია ნარკვევისა. სწორედ ფაქტია საფუძველი ნარკვევში მოვლენების განვითარების, არგუმენტთა ძიების, დეტალების ჩვენების, გარემოებათა შეჯერების, ფაქტორების გამოვლენის. ამასთან, კონკრეტული ასახვის საგნის სპეციფიკის საერთო და განმასხვავებელი სწორედ სათქმელის პათოსში, საფუძველში, შინაარსში დევს, რომელსაც ჟურნალისტი აკვირდება, სწავლობს, აანალიზებს და აწვდის საზოგადოებას. ამაშია სწორედ ნარკვევისეული ოსტატობა: დაინახო, შეიმეცნო, მიწვდე, გაითავისო და იმდენად ახლოს „მოიტანო“, ყველასათვის საინტერესო, საჭირობოროტო და მნიშვნელოვანი გახადო. ხშირად ხდება ერთი და იგივე შინაარსის მქონე მასალის სხვადასხვაგვარი დამუშავება, ჩვენება, გადმოცემა, გაშუქების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირება. ბეჭდური, სამაუნ-

ყებლო და ახალი მედია, არც თუ იშვიათად, ერთი და იმავე ფაქტის შესახებ იმის გათვალისწინებით საუბრობენ, რასაც მათ არხის სპეციფიკა სთავაზობს. ასეთ შემთხვევაში განსხვავებული არა ფაქტი, არამედ მისი გამოსახვის ფორმასულ სხვა ბეჭდური მედიის ენა და რადიო და სატელევიზიო ეთერი, ასევე გამიჯნულია ახალი მედიატექნოლოგიების გამოსახვის ფორმები და მეთოდები. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ის გარემოებაა, რომ ნარკვევი ფაქტობრივ, დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა. ფაქტი, როგორც მასალის შესწავლის საფუძველი, მისი შეფასება, მასზე მსჯელობა, გააზრება, პუბლიცისტური სტილი, კვლევა, განზოგადება, დასკვნების გამოტანა ნარკვევს სწორედ ჟურნალისტურ ჟანრად წარმოგვიდგენს. ნარკვევის გმირი ყოველთვის კონკრეტული პირია. მკითხველს შეუძლია მასთან მისვლა, გასაუბრება ან პირიქით.

ნარკვევის ავტორი ასახვის ობიექტად შემთხვევით, მეორეხარისხოვანს, უმნიშვნელოს, არასაინტერესოს ვერ გაიხდის. იგი ირჩევს ყველაზე საინტერესოსა და მნიშვნელოვანს და სწორედ მასზე ესაუბრება აუდიტორიას. ჟურნალისტი ერთ კონკრეტულ პიროვნებასა თუ ფაქტს არჩევს და მასზე ესაუბრება აუდიტორიას. ნარკვევის ინტერესის საგანს ფაქტობრივი, რეალური, „ცოცხალი“ სინამდვილე წარმოადგენს. გამოხატვის ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს მხატვრული ხერხების მოშველიების აუცილებლობას, ავტორს სჭირდება იმისათვის რომ უკეთ ვიგრძნოთ და დავინახოთ, დავრწმუნდეთ და წარმოვიდგინოთ, ვენდოთ და დაგუჯეროთ, რომელმაც მასალის ანალიზის, რკვევისა და შეფასება-განზოგადების საფუძველზე მიმართა ასეთ ფორმას.

ნარკვევის ასახვის ობიექტი ჩვენი ცხოვრების უშუალო სინამდვილეა, რომლებიც გამოხატავენ და აჩვენებენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კონკრეტულებს, მოგზაური ადამიანის შთაბეჭდილებებს, კულტურული, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, გეოგრა-

ფიული, ისტორიული და ა.შ. თავისებურებების შესახებ. ასეთი შინაარსისა და ხასიათის ნარკვევი ყოველთვის მიჯნავს ერთმანეთისაგან მთავარსა და მეორეხარისხოვანს, გამოარჩევს და აჩვენებს მნიშვნელოვანს, ღირებულს, განსხვავებულს. მსგავსი ხასიათის ჟურნალისტურ ტექსტებს სამოგზაურო ნარკვევსაც ეძახიან. პოლიტიკური გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა, პუბლიცისტური ალლო და „სიტყვის თქმის ჟამის“ ცოდნა ნარკვევის სიღრმისეულობის, შესატყვისობისა და შესაბამისობის მაჩვენებელია, მოვლენის „მოვლენისებური“, ზუსტი, ფაქტებს დაყრდნობილი ხატვა ის თვისებებია, რომლითაც ამ სახის ნარკვევი ხასიათდება. ასევე საინტერესოა და მნიშვნელოვანი თავისი საკუთარი ხელწერით, ბუნებითა და ხასიათით გამორჩეული და გამოკვეთილი პორტრეტული ნარკვევი. მისი მთავარი მამოძრავებელი კონკრეტული ადამიანის, პიროვნების „დახატვა“-ჩვენებაა, როცა მისი საქმიანობა მხოლოდ ფონია, ერთგვარი აისბერგული მოდეელი, ხოლო პორტრეტი (გარეგნული თუ შინაგანი) ნამდვილი სარკისებრი მოდეელია. პორტრეტული ნარკვევი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარემო პირობებს, მის ირგვლივ მყოფ რეალობასა და სინამდვილეს ისე ასახავს და წარმოაჩენს, რამდენადაც ეს ყოველივე ხელს შეუწყობს კონკრეტული პირის რელიეფურად წარმოჩენას. ადვილად შეიძლება, რომ ნარკვევის სხვადასხვა სახის გამოყოფა-გამოკვეთა ასახვის ობიექტის თავისებურებაში მდგომარეობს. ზოგიერთ მათგანში ასახვის ობიექტი პროცესებია, ნაწილში – მგზავრის მიერ ნაწახი თუ განცდილი, ზოგშიც – დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენები, ან სულაც – ცალკეული ადამიანი, ან თუნდაც ქვეყანა. ამდენად ამ შემთხვევაშიც ჟანრის სახეებად დიფერენცირება ერთგვარად პირობითია, და მათი მკვეთრად გამიჯვნა საკმაოდ რთულია. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ჟურნალისტურ-პუბლიცისტურ ნარკვევზე ვსაუბრობთ, სხვა სახის ნარკვევებიც უნდა მოვიშველიოთ, რომელთა გამოსახვისა თუ აუდიტორიამ-



დე მიტანის საშუალებად გამოიყენება კინო, ტელევიზია, ფოტოგრაფია და რადიოგადაცემა.

ამდენად ნარკვევის სახეებად დაყოფის საფუძველი შეიძლება ვეძიოთ გამოსახვის ტექნიკურ მხარეშიც. სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე გამოყოფენ: საგაზეთო-საჟურნალო ნარკვევს, რადიონარკვევს, ტელენარკვევს, კინონარკვევს, ფოტონარკვევსა და ინტერნეტნარკვევს, რომელიც შედარებით ახალი სახეა სხვა სახის ნარკვევებთან შედარებით, ტექნიკურ საშუალებათა სხვადასხვაობა თავისთავად განაპირობებს ნარკვევის თვისობრივ სხვადასხვაობასაც.

„გაბნეული ბარათი და გაუჩინარებული მეგობარი“, რომელიც გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“-2014წ. მაისი -№5 დაიბეჭდა(3-1), ნამდვილ ფაქტს ასახავს, რეალურ სინამდვილეზე მოგვითხრობს და ეს სათქმელი იმდენად სადა, უბრალო, მიმზიდველი და საინტერესოა, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. უფრო სწორედ კითხულობ და გგონია რომ ამ ყველაფერს თითქოს ერთბაშად ისმენ კიდეც, იმდენად სხარტი, სასურველი, სასიამოვნო, კულტურული და დახვეწილია ნარკვევის ენა. სწორედ ამაში ჩანს ნარკვევის პუბლიცისტური პათოსი, როგორ უბრალოდ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გადმოსცემს ნარკვევის მთავარი გმირის შესახებ; კი არ გადმოსცემს, გვიყვება, კი არ გვიყვება გვესაუბრება ისე, თითქოს ჩვენს გვერდით იჯდეს და ისე გვესაუბრებოდეს. ჯერ ნარკვევის მთავარი პერსონაჟის საქმიანობის თაობაზე გვანვდის ცნობებს და გვიხსნის თუ რამდენი წიგნი გამოსცა, რა რეზონანსი და გამომხაურება მოჰყვა თითოეულ გამოცემას, ამის შემდგომ ბუნებრივად და უშუალოდ გადადის მთავარი გმირის სახის ჩვენებაზე, სადად და მარტივად ახასიათებს სინამდვილეს, თითქოს თვალსა და ხელს შუა წამიერად ეცნობი ყოველივეს, რაც ცნობისწადილსაც კი აღძრავს გმირის მიმართ. ავტორი გმირის ცხოვრების იმ კუთხე-კუნჭულში გვახედებს, სადაც დაიბადა და გაიზარდა, დაოჯახდა და დაფრთიანდა, ისწავლა და ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა. ეს

ნარკვევის მთავარი გმირის მშობლიური სოფელია იმ ლამაზი კარ-მიდამოთი და მიმოსახედით, რომელმაც ნარკვევის პერსონაჟის პიროვნულ-ადამიანური თვისებები გამოაწრთო და გამოძერწა. შრომისმოყვარეობა, არაერთხელ გაჟღერებული სიტყვა პატიოსნება, უბრალოება და კაცთმოყვარეობა ის ნათელი წერტილებია, რომლის დეფიციტსაც საკმაოდ მძაფრად განიცდის თანამედროვე საზოგადოება და ამ ადამიანური თვისებების ნარკვევისეული გამოყოფა და წინა პლანზე წამოწევა, ამ შემთხვევაში ნარკვევის ავტორის მაღალნიჭიერებასა და მაღალპროფესიონალიზმზეც მიუთითებს. სოფელი და სოფლის მკვიდრი ადამიანები, რომელთა საფიქრალ-საზრუნავი არა მხოლოდ სოფლური ყოფა და ცხოვრებაა, არამედ უპირველეს ყოვლისა, სამშობლო ქვეყნის სიყვარული, მისთვის თავდადება და მუხლჩაუხრელი შრომა და გარჯა, რომელიც ავალდებულებს ყველას სტუმრისადმი განსაკუთრებულ პატივისცემასა და სიყვარულს, ნარკვევის, როგორც ასახვის ფორმის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. „ქართველი კაცის ღირსების ნახევარზე მეტი სტუმართმოყვარეობაზე მოდის, როგორი დიდი მიღწევები არ უნდა ჰქონდეს სამსახურში, ოჯახშიც, თუ ის ვერ იცავს სტუმარ-მასპინძლობის უძველეს ტრადიციას, მისი ფასი ნულამდე ეცემა, ამიტომ ეს თვისება ჩვენში ადამიანის შეფასების ერთგვარ საზომად იქცა“. უნდა დავეთანხმოთ ავტორს. ეს ნამდვილად ასეა და არა მხოლოდ ამ ნაწილში უნდა დავეთანხმოთ და მივენდოთ, არამედ ნარკვევის მთლიან შინაარსში, მთლიან ტექსტში. განვმეორდები ალბათ: ნარკვევი ასახვის ძალიან უბრალო, არაოფიციალურ, მეგობრულ სტილსა თუ ტონში გადმოცემა, რომელიც ისე გატყვევებს და გიზიდავს, მზად ხარ მის მხარდასაჭერად შორი გზა გაიარო, ესტუმრო და თავად დარწმუნდე ნარკვევის მთავარი გმირის პატიოსნებაში. სწორედ ეს არის ნარკვევის სპეციფიკურობის მნიშვნელოვანი ღირსება, ხიბლი, სისადავე. როცა ბრჭყვიალა ფრაზები, ზედაპირული და არაფრისმთქმელი წინადადებები კი არ გჭრის თვალს, არამედ ნამდვილი,

ღირსეული, შესაბამისი ღირებულებები. მიყვებით ნარკვევის მეტად საინტერესო და ორიგინალურ დასაწყისს, როდესაც ავტორი კი არ ცდილობს რალაცაში ისე დაგაჯეროს ან დაგარწმუნოს, რომ გულის სიღრმეში მაინს შენდა უნებურად ეჭვი გეპარებოდეს, პირიქით, თავისი საკუთარი, პირადი, პიროვნული თვისებისა თუ „გამორჩეულობის“ კონსტატაციით კიდევ უფრო მეტ ეფექტსა და დამაჯერებლობას იძენს. „ჩემი სამუშაო ოთახი თითქმის ყოველთვის მოუწესრიგებელია, ნიგნები, საბუთები, საარქივო ამონაწერები, გაზეთები და ქსეროასლები ერთმანეთში არეულია. თანამშრომლები ოთახს მიაღაგ-მოაღაგებენ, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენენ... სულ 2-3 დღე მჭირდება, რომ ისევ ავურ-დავურიო. საბედნიეროდ ასეთ ვითარებაშიც მახსოვს სად რა დევს“... ფრთხილად და ფაქიზად, სუფთად და მარტივად, უბრალოდ, უანგაროდ, ადამიანურად შემოჰყავს მკითხველი ნარკვევის სამყაროში, თითქოს იტყუებს კიდევ, რათა შემდგომ მოახერხოს მისი დაყოლიება ბოლომდე წასაკითხად. როცა არ არის ძალდატანება, მოსაწყენი, ზანტი, მძიმე და არაფრისმთქმელი წინადადებები, როდესაც კითხულობ და ინტერესდები, ამასთან ერთობი და ისვენებ, განიცდი სულიერ ტკბობას და შინაგან თავისუფლებას, როდესაც უნებურად გიჩნდება კითხვა, მართლა მოხდა ასე ნეტავ? მაგრამ სათქმელის უშუალობა და ბუნებრივი სისადავე და გულწრფელობა უმალ გიფანტავს ეჭვს და წაკითხვის მადას ზრდის: „გვარი არ ეწერა, მაგრამ ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია. ეს ხომ ავთო წულაძეა. ბათუმელთა გულუხვი ჭანჭათელი მასპინძელი. მის თბილ ოჯახში ბევრი ტკბილად გატარებული დღე და საათები გამახსენდა. ნიგნზე ჩემი მოსაზრების გამოქვეყნებას მთხოვდა მეგობარი, ამასობაში შვიდი წელი გასულა, მე კი მას უბრალო თხოვნაც ვერ შევუსრულე“. ავტორი ნარკვევის გმირს მთელი თავისი მონაგარით გვაცნობს. ეს მხოლოდ ერთგვარი ჩვენებაა იმ გზისა, რაც ნარკვევის გმირმა გაიარა და განვლო ცხოვრების გზაზე, თუმცა მთავარი ნათქვამია: კალამი ნარკვევის ავტორმა შემ-

თხვევით როდი აიღო საინტერესო პიროვნების სახისა და საქმიანობის გადმოსაცემად: „ბათუმელთათვის კარგად ნაცნობ ქველმოქმედსა და მამულიშვილს ბევრი დახასიათება არ სჭირდება“.

ნარკვევის გმირის საინტერესოდ და შინაარსიანად განვლილი ცხოვრების გზა, რომელსაც უკანმოხედვის შიში კი არა აქვს, არამედ პირიქით, საამაყო და სასახელოა მისთვის და არა მხოლოდ მისთვის მის მიერ განვლილი გზა ცხოვრებისა, რომელიც თაობიდან თაობას გზას გაუნათებს და სასიამოვნო მოგონებად გადაექცევა: „სპორტსმენებს აქვთ გამოთქმა: „მეორე ამოსუნთქვა“, რაც ფიზიკური ძალების ახალ მობილიზაციას და ახალ წარმატებებს ნიშნავს. ავთანდილმა ფიზიკურთან ინტელექტუალური ძალებიც გააერთიანა და მოუსვენარი კაცი შეუდგა მართლაც ახალ ცხოვრებას. „ნახეთ ავთანდილ წულაძის ოჯახი და ეზო კარ-მიდამო სოფელ ჭანჭათში და გაოცდებით, თურმე რა შეძლება ადამიანის ხელსა და გენიას. რა არ მოუშენებია საკუთარ მინა-წყალზე, დაწყებული სუბტროპიკული კულტურებიდან ჩვენს ტრადიციულ ხეხილამდე. დეკორატიული მცენარეულობიდან ტყის კულტურებამდე. აქ თავს ნამდვილ ნალკოტში გრძნობ და სურვილი გეუფლება რაც შეიძლება დიდხანს დარჩე“.

ნარკვევში ჩართული ეპითეტები გმირის ხასიათისა და სახის წარმოსაჩენად არა გადაჭარბებული, პირიქით, ძალიან საინტერესოდ და სასიამოვნოდ იკითება. სწორედ ეს არის ნარკვევის კიდევ ერთი გამორჩეული თვისება: გმირის ხასიათისა და შინაგანი სულიერი სიმდიდრის საჩვენებლად პუბლიცისტური და ლიტერატურული ფანტაზია ისე შეერწყა ერთმანეთს, კი არ გასცდა სინამდვილეს, პირიქით კიდევ უფრო მეტად შეივსო და ნამდვილ, უტყუარ ფაქტად და რეალურ სინამდვილედ წარმოჩინდა თუნდაც ნარკვევის გმირის „ხვეისბერობა“. სოფლის მოსახლეობისადმი მისი დამოკიდებულება, ერთგული და მოსიყვარულე მეუღლისადმი განსაკუთრებული პატივისცემა დიდ ოპტიმიზმთან ერთად გამორჩეულ ძალას

სძენს ნარკვევის გმირს, რომელმაც ძალამაც მას ბევრი რამ შესძინა, შეაძლებინა და გადალაახვინა კიდეც. „სოფლის ნამდვილმა ხევისბერმა მშობლიურ სოფელში დააფუძნა „სოფლის დამხმარე საზოგადოება“, რომელმაც ჭანჭათის მოსახლეობას მრავალი სიკეთე მოგვარა. თუმცა „სოფლელი“ კაცი არასოდეს ჩამოშორებია ინტელექტუალურ საქმეს და, საოცრად საინტერესო პუბლიცისტურ-მემუარული ხასიათის წიგნების გარდა, აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში“. ოჯახი, უფროს-უმცროსობა, მრავალშვილიანობა, სტუმართმოყვარეობა, სამართლიანობა, სიტყვისკაცობა, მეგობრობის დიდი სკოლა, ის ღირსებებია, რამაც ნარკვევის გმირს პოპულარობა და სიყვარული მოუხვეჭა: „სკოლაში, ჯარში, გნებავთ საპატიმროში შეძენილ მეგობრებზე რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავენ ხოლმე და ავთოს ჩანანერებში ესეც ძალუმად იგრძნობა. საპატიმრო მას და მის მოდგმას ღმერთმა აშოროს, მაგრამ ესეც რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ ჩვენი ავტორი ისევე გულმოდგინებითა და თბილი მოგონებებით შეამკობდა ყველას, როგორც სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში და არმიამი შეძენილ მეგობრებს. ...ერთხელ კიდეც დავრწმუნდი, სრულიად ახალგაზრდა ავთანდილი როგორ დიდ ინტერესს იჩენდა უცხოეთში გადაკარგული თანამემამულის მიმართ და ოთხი ათეული წლის წინ გარდაცვლილი ქართველი მეომრის საფლავს პატივს მიაგებდა როგორც თავისიანს, ახლობელსა და ნათესავს. ამას მხოლოდ ჭეშმარიტი პატრიოტები აკეთებენ“.

ნარკვევის გმირის საინტერესო და დამაფიქრებელ ცხოვრებისეულ წარმატებებსა თუ წარუმატებლობებს ვეცნობით და ვრწმუნდებით, რომ ეს ჟანრი ნამდვილად გამოირჩევა უპირველეს ყოვლისა, მაღალმხატვრული ღირებულებითა და ორიგინალობით. ცხოვრების ორომტრიალში გამობრძმედილი საქმის კეთებისას დანახული პიროვნება, ზოგჯერ წარსულის გახსენებით დაკავებული, მოგონებებში ჩაძირული, როდესაც მსუბუქი და სასაცილო მძიმესა და გოდებით

აღსავსეს ენაცვლება, როდესაც ეს ყველაფერი, ემოციასა და შთაბეჭდილებას ერთად გგვრის ხოლმე, შინაგან კმაყოფილებას განვიცდით და ვიძირებით მასში ისე, წამიერად გვაკინყდება უკვე ირგვლივ ყველაფერი და გამოფხიზლებულნი საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობთ. ნარკვევის ავტორი არ იზღუდება იმ წესებითა და ნორმებით „რომლებსაც სტანდარტულ ახალ ამბებზე მომუშავე ჟურნალისტები განიცდიან“(1-2). „ჰუმანისტმა კაცმა სოფლის გამრავლების ნახალისების საოცარი ხერხი მოიფიქრა. მოგნათლავ და დავუმოყვრდები იმ ოჯახს, სადაც წელს (1986 წ.) პირველი შვილი გაჩნდებოდა, თქვა და, მართლაც 19 იანვარს სოფელში, ხულოდან გადმოსახლებული შაინიძეების მუსლიმანური აღმსარებლობის მქონე ოჯახში გაჩნდა ბიჭი. მეზობლები ფიქრობდნენ, ავთანდილი თავის სიტყვას უკან წაიღებსო, მაგრამ მოტყუვდნენ. იგი აკვნით და სათამაშო რევოლვერით ეწვია ოჯახს, ბიჭს ნუგზარი შეარქვა და დღემდე გრძელდება მათი ღვთის მადლით მოსილი მოყვრობა“. ნარკვევის წერის საგულდაგულო დაგეგმვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ის შეიძლება შეიკვეცოს, მოკლედ და ლაკონურად გადმოიცეს, მაგრამ შეუზღებელია მისი შეკუმშვა და ნებისმიერად დალაგება. თანამიმდევრული, ლოგიკური, მიზანმიმართული წინადადებები, რომლებიც ნარკვევის გმირის ხასიათსა და თვისებებზე გვიყვებიან, მეტ დამაჯერებლობასა და ეფექტს სწორედ მიზეზშედეგობრივი განვითარების საფუძველზე იძენენ. „თუ არ გინდათ, რომ თქვენი ნარკვევი მაღალფარდოვანი სიტყვების რახარუხად იქცეს, ჯერ კარგად უნდა მოემზადოთ და დაფიქრდეთ. მხოლოდ მერე შეიძლება მასალის დალაგება. მაგალითად, არ ღირდეს მთელი ბიოგრაფიული მონაცემების ერთ ადგილას მოქცევა“(4-1). მსგავსი მასალა მართლაც მოსაწყენი და დამლელია, რასაც უნდა ერიდებოდნენ დამწყები ჟურნალისტები. ყოველთვის მომგებიანია მასალის შესაბამისად დალაგება, რაც ითვალისწინებს მთელი რიგი ცხოვრებისეული მომენტების შესაბამისად საინტერესო ფაქტებით გაჯერებას და მათ

თანამიმდევრულ დალაგებას, რომელიც ასევე სხარტი და მოქნილი ენით უნდა გადმოიცეს. ნარკვევს არ უყვარს ზანტი და მძიმე საუბარი და თხრობა, რომელიც ფაქტს უკარგავს ელფერს და მოსაწყენსა და მიუღებელს ხდის. „...გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქართველი კაცის ღირსების ნახევარზე მეტი სტუმართმოყვარეობაზე მოდის, როგორი დიდი მიღწევები არ უნდა ჰქონდეს სამსახურში, ოჯახშიც, თუ ის ვერ იცავს სტუმარ-მასპინძლობის უძველეს ტრადიციას, მისი ფასი ნულამდე ეცემა, ამიტომ ეს თვისება ჩვენში ადამიანის შეფასების ერთგვარ საზომად იქცა. ეს მცირე შესავალი დამჭირდა მხოლოდ იმისათვის, რომ მკითხველს ვუთხრა: ავთანდილ ნულაძე ძველი ქართული წეს-ჩვეულებების ერთგულ ოჯახში გაიზარდა და განგებამ მასაც უხვად უბოძა დიდი კაცთმოყვარეობა, რომლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს სტუმარ-მასპინძლობა წარმოადგენს“.

ნარკვევის ავტორს ყურადღების მიღმა არ დარჩენია „ფიცხი და ზოგჯერ ზედმეტად პირდაპირი გურულის“ გამორჩეული თვისება სტუმრებისადმი განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულისა, სადაც ამბობს, რომ: „ავთანდილი თავად ეძებს სტუმრის მონვევის საბაზს და ამაში პირადად დავრწმუნდი. 1996 წლის 30 ივლისს გაზეთმა „აჭარამ“ დაბეჭდა მისი წერილი, „ჩვენ ძმებივით ვცხოვრობთ“, რომელშიც საუბარი იყო ჭანჭათში ჩასახლებული აჭარლების და ადგილობრივი მცხოვრებლების შეხმატკბილებულ ცხოვრებაზე. ამ წერილმა ბევრს გაუჩინა ჭანჭათში ჩასვლის სურვილი, მაგრამ ამის ბედნიერება მხოლოდ დრამატრუგ შოშია ჩხაიძეს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს შალვა გოგიტიძეს, მის მოადგილეს თემურ ართმელაძეს, ჟურნალისტებს სერგო კაკაურიძეს და ნუგზარ ჯაფარიძეს, ფოტოხელოვანს შალვა ართმელაძეს, ტელეჟურნალისტს, ტელეოპერატორს, მძღოლს ფრიდონ ზოიძეს და ამ წერილის ავტორს მოგვეცა. ეს შეხვედრა დაუვინყარია თავისი შინაარსითა და გულუხვი მასპინძლობით. ამიტომ დეტალებს არ შევხები. ვიტყვი მხო-

ლოდ, რომ ჩვენმა მასპინძელმა მთელი სოფელი შეკრიბა და ის დღე დიდ დღესასწაულად აქცია. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს გაზეთ „აჭარის“ 1996 წლის 15 ნოემბრის ნომერში სერგო კაკაურიძის წერილს, „მოზრდანიტ მეცხრე ქორწილში“ და გაზეთ „აღორძინების“ 21 ნომბრის ნომერში ნუგზარ ჯაფარიძის წერილს, „ჭანჭათში სათქმელი სადღეგრძელო“. ამ დაუვიწყარი შეხვედრით მიღებულ შთაბეჭდილებაზე მეც გამოვთქვი ორიოდ სიტყვა: „ჩემთვის ძალზე შთამაგონებელი და, შეიძლება ითქვას, „აღმოჩენა“ იყო სოფელი ჭანჭათი, გურიის ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილი ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის საზღვრის მახლობლად. მთავარი მაინც თავად ჭანჭათელების, შრომისმოყვარე, ქვეყნის პატრიოტი, სიცოცხლით სავსე, მხიარული, მომლხენი ადამიანების გაცნობა იყო. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ძველი მეგობრისა და შესანიშნავი მეცენატის ავთანდილ წულაძის ეზოში ვნახავდი ნამდვილ სუბტროპიკულ წალკოტს, ციტრუსებით, ფეიხოათი, კონახურით, ბრონეულით, ბამბუკებით სავსე ბაღნარს, აქაური კაცის შრომის ნაყოფს, კაცისა, რომელიც არის ინტელიგენტი, მაგრამ სოფლად ყოფნისას მშრომელ გლეხად იქცა და დოვლათს ქმნის“. „ნარკვევების ავტორები მთელ რიგ ხერხებს მიმართავენ. თუ საჭიროა, შეიძლება დაინეროს, რომელშიც ამბავი მთლიანად გმირების გამონათქვამებისაგან შედგება. საკუთარი სიტყვებით ჰყვებიან. ნარკვევის წერის სტილი შეიძლება კინოკამერის ობიექტივს შევადაროთ. ამ შემთხვევაში ჯერ ტელესკოპის ლინზით ვფოკუსირდებით სცენის მცირე დეტალზე და ვადიდებთ“(1-3). „სოფელი ჭანჭათი მარტო ამით არ დამამახსოვრდა, – გვიყვება ავტორი. აქ ისევე როგორც ნამდვილ ძმას შეჰფერის, შეიფარეს სტიქიური უბედურების დროს უსახლკაროდ დარჩენილი ჩემი მეზობლები, აჭარლები, 28 ოჯახი, რომლებიც ახლა ნამდვილ მშობლიურ მიწაზე გრძნობენ თავს. მრავლდებიან, ქორწინდებიან და ახალი საქართველოს იმედით ცხოვრობენ. მათი მომავალი ბედნიერების სანინდარი



სწორედ აქაურთა დიდი ყურადღება, გვერდით დგომა და ზრუნვა იყო.“ ნარკვევის დასკვნით ნაწილში ავტორი საუბრობს იმ დიდი სამეგობროს შესახებ, რომლებიც ძალიან კარგად იცნობდნენ ნარკვევის გმირის ხასიათს, სტუმართმოყვარეობის წესსა და ადათს, რომლებსაც პირადად არაერთხელ გამოუცდიათ და დარწმუნებულან კაცურკაცობის მაღლსა და ღირსებაში და ერთგვარი სევდანარევი, ტკივილიანი მოგონებით ეხმიანება და იხსენებს მათთან ერთად გატარებულ დღეებს. ნარკვევის დასასრულს ავტორი ასეთი „დაუვინყარი შეხვედრით მიღებულ შთაბეჭდილებაზე“ ამახვილებს მკითხველი საზოგადოების ყურადღებას და გვთავაზობს „საკუთარი თვალით“ დანახულ სოფელ ჭანჭათს, გურიის ერთ-ერთ უმშვენიერეს ადგილს ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის საზღვრის მახლობლად. ნარკვევის დასასრული ძალზე შთამბეჭდავია და საინტერესო. თითქოს ისეთი ტემპით სრულდება, როგორც დაიწყო. ხაზგასმა ნარკვევის გმირის შემოქმედებაზე, ინტელექტსა და ნიჭიერებაზე, ოჯახსა და სამეგობროზე, რომელიც ნარკვევს განსაკუთრებულ ხიბლსა და მიმზიდველობას სძენს, ნარკვევის გმირის დამსახურებასაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და ასევე ნარკვევის ავტორის მაღალპროფესიონალიზმზეც ჩვენდაუნებურად ამახვილებს ყურადღებას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა“, 2013, გვ.175; გვ.178; გვ.177
2. თ.მაღალურაძე, თანამედროვე პუბლიცისტური ჟანრების თავისებურებანი, თბ.2009, გვ.103
3. გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“-2014წ. მაისი -№5
4. „აჭარა“, 1996 წელი, 30 ივლისი

## XIII

### ფელეტონი

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ფელეტონი [ფრანგ. *feuilleton*] – ცოცხლად, იუმორით დაწერილი საგაზეთო მოთხრობაა, რომელიც ამასხარავებს თანამედროვე ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს, მახინჯ მოვლენებს. თუ ჩავიხედავთ ლიტერატურულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, ვნახავთ რომ: „ამ ჟანრს ახასიათებს კომიკური საწყისი და აუცილებლად აქტუალობა“ (1-1). სამამულო ფელეტონის ოსტატებს შორის არიან სულხან-საბა ორბელიანი, ივანე კერესელიძე, ანტონ ფურცელაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, გიორგი თუმანიშვილი, დავით კლდიაშვილი და სხვები. ფელეტონის ამოცანაა უჭკუობის, უფიცობის, წინდაუხედაობის, ყვეყრობის დაცინვა, ერთი სიტყვით იმ ყველაფრისა, რაც საზოგადოების პროგრესსა და განვითარებას უშლის ხელს. ფელეტონისათვის დამახასიათებელი გამორჩეული თვისება სიცილია, რომელიც ამავედროულად საზოგადოების ზნეობრივი ჯანმრთელობის ნიშანსაც წარმოადგენს. ფელეტონში მთავარია იუმორის გრძობით, მაგრამ ბოლმის გარეშე ასახო ბოროტება. ფელეტონის ავტორი ფაქტის, მოვლენის, პროცესის, სიტუაციის გადმოსაცემად მიმართავს სატირას, სატირა კი ჩვეულებრივ გროტესკისა და ჰიპერბოლის საშუალებით ცდილობს აჩვენოს საზოგადოებას ცხოვრების მანკიერებანი. სიტყვა გროტესკიც უცხო სიტყვათა\_ ლექსიკონის მიხედვით ფრანგულია და იგულისხმება: (ფრანგ. *grotesque* < იტალ. *grota* – მიწისქვეშა ნაგებობები, რომლებიც მორთული იყო ორნამენტით, რომელშიც სასაცილოდ იყო შერწყმული მცენარეების, ცხოველების და ადამიანების გამოსახულებანი). ასევე იგულისხმება სტილი, როცა უსაზღვრო კარიკატურ-

რულ გაზვიადებაზე, ურთიერთგამომრიცხავ კონტრასტებზე, პარადოქსებზე აგებული ფანტაზიით დეფორმირებულია სინამდვილე. მხატვრული ხერხი, რაც დამყარებულია მეტისმეტ გაზვიადებაზე, მკვეთრი კონტრასტების – რეალობისა და ფანტასტიკის, ტრაგიკულისა და კომიკურის შეხამებაზე, რომელიც ემყარება მოვლენის უარყოფითი, სასაცილო მხარეების განზრახ გაზვიადებას, მკვეთრი კონტრასტების შეხამებას (1-2). ჰიპერბოლა (ბერძ. **hyperbole** გაზვიადება) – საგანსა თუ მოვლენას გაზვიადებულად წარმოადგენს. ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა და გადაჭარბებას, გაზვიადებას ნიშნავს. მაგ „ღვინო მდინარესავეთ მოედინება“. საბჭოთა პერიოდში ფელეტონი პრესის ფურცლებზე და ესტრადაზე ზეპირი მონოლოგების ფორმით გაცილებით მეტად იყო გავრცელებული, ვიდრე დღეს... ამ ჟანრისადმი დამოკიდებულება ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამოქალაქო რეფორმებით, ზნეობრივი ფასეულობების გადაფასებით და ა.შ. მაგრამ უმეტესწილად ეს გამოიწვია ჟანრის სფეციფიკურმა თავისებურებებმაც. ფელეტონის დაწერა იოლი არ არის. ჯერ ერთი საჭიროა „მწვავე“, მტკივნეული ფაქტის აღმოჩენა, რომელიც თანაბრად მიუღებელია საზოგადოებისათვის და ინვესს უარყოფით ემოციას. ამასთან, არ უნდა ჰქონდეს კერძო, პიროვნული ხასიათი – მის უკან უნდა იდგეს სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტები, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან სატირის ღირს ტიპიურ მოვლენას. მეორე, ფელეტონის ავტორისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კარგად ერკვეოდეს განხილვის საგანში, იყოს იმ კონკრეტული დეტალებით შეიარაღებული, რომლებიც ტექსტში უნდა იყოს წარმოჩენილი გარკვეული ლოგიკური თანამიმდევრობით (1-3). ეს კი პუბლიცისტურ გამომსახველობასთან ერთად მაღალ ლიტერატურულ გემოვნებასაც ნიშნავს. სწორედ ამგვარი შერეული

ლიტერატურულ-პუბლიცისტური პათოსი განსაზღვრავს ფელეტონის არსს, ბუნებასა და ხასიათს, თუნდაც თვისებას. ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაზავი ნიშანია ასახვის გამორჩეულობისა, პრობლემის არსში წვდომისა, რეალობის განსხვავებულად ჩვენება-გადმოცემისა. საზოგადოებას ეძლევა საშუალება „დატკბეს“ ცხოვრებაში არსებული მანკიერებათა და ნაკლოვანებათა სასაცილო ფორმით გადმოცემითა და მხილებით. ამრიგად, ფელეტონი ეს უნარია, რომელიც მოითხოვს სიტყვის ვირტუოზულ ფლობას, კარგად ინფორმირებულობას, აგრეთვე სხვადასხვა ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის უნარს.

კაცობრიობა დაუოკებლად ისწრაფვის ცხოვრების გაკეთილშობილებისათვის, უკეთესი მერმისის დამკვიდრებისათვის. იგი ცდილობს მიაღწიოს გაცილებით უკეთეს პირობებს, ვიდრე გააჩნია. ეს ყველაფერი კი მრავალ ცვლილებებსა და სირთულეებს, განსხვავებულ შეხედულებებსა და მიდგომებს ბადებს. ამ გზაზე ბევრია ისეთი წინააღმდეგობები, რომელთა გადასალახად სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის იარაღს იყენებდა საზოგადოება. კლასთა ბრძოლა ამის საუკეთესო ნიმუშადაც შეიძლება ჩავთვალოთ. მათ შორის სიცილის იარაღი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, საინტერესო, ადამიანური ცნობიერების, მისი ფილოსოფიური წვდომის ყველაზე საინტერესო გამოვლინებად, სიღრმისეულ, გააზრებულ და ინტელექტუალურ იარაღად უნდა მივიჩნიოთ. როდესაც ადამიანებს აიძულებენ არა ძალდატანებით, სისხლით, წამებით, ტანჯვით დათმოს საკუთარი იდეალები, არამედ თვითონ ნახოს ეს ყველაფერი, თავადვე განიცადოს და დაინახოს, ირწმუნოს და დაიჯეროს საკუთარ შეხედულებათა სამართლიანობა თუ უსამართლობა. ამის მრავალი ნიმუში და მაგალითი მოგვეპოვება როგორც ქართული ასევე მსოფლიო ლიტერატურიდან. სულხან-საბა ორბელიანის იგავთა კრებული ამის საუკეთესო ნიმუშია. მე-19 საუკუნის ქართული მწერლობაც მის წინაშე დასმული მთავარი პრობ-

ლემების გადაჭრაში სიცილს ძალზე დიდი ხელოვნებითა და ოსტატობით იყენებდა. მაგ. ივანე კერესელიძის ჟურნალ „ცისკრის“ „სალაყბო ფურცელი“(1-4). ამავე ჟურნალში გამოქვეყნებული ნიჭიერი ახალგაზრდა კალმოსნების იუმორით აღსავსე წერილების სერია-ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძის ნიკო ნიკოლაძის და სხვათა, სწორედ საზოგადოების გამოფხიზლების, მისსავე წიაღში მიმდინარე მოსალოდნელი თუ მოულოდნელი დიდი და სერიოზული ცვლილებების ნათელი გამოხატულება იყო. საზოგადოება თავისთავად შინაგანად ემზადებოდა დიდი და საინტერესო წიაღსვლებისათვის, რასაც ეპოქა რეალურ ცხოვრებაში კონკრეტულ ადამიანებს პირისპირ ახვედრებდა და სწორედ ეს ფიზიკური და სულიერი ნრთობის საუკეთესო ნიმუში იუმორის დამკვიდრებაშიც აისახებოდა. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ეს გზა კიდევ უფრო მეტად განავრცეს იგივე ილია ჭავჭავაძემ მის მიერვე დაარსებულ „ივერიაში“, ნიკო ნიკოლაძემ-გაზეთ „დროებასა“ და „ობზორში“, აკაკიმ-გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „ხუმარაში“ და სხვებმა. მოგვიანებით დავით კლდიაშვილმა იუმორი გამოიყენა ქართველი კაცის სასაცილო, მეტად მძიმე და აუტანელი მდგომარეობის გასაქილიკებლად, მაგრამ არა როგორც შეურაცხყოფის, პირადი ღირსების შელახვის, არამედ მანკიერებათა და ნაკლოვანებათა მხილებითა და სააშკარაოზე გამოტანით ცდილობდა დროული რეაგირება მოეხდინა ადრესატს სიტუაციის შესაცვლელად, მდგომარეობის გამოსასწორებლად, ვითარების გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ ბევრი სხვა ქართველი მწერალი თუ პუბლიცისტი მართლაც სანიმუშონი და სამაგალითონი არიან. გამოკვეთილ ჟურნალისტურ ჟანრად ჩამოყალიბებამდე მე-19 საუკუნის დასაწყისში სიტყვა ფელეტონს ევროპაში სხვა მნიშვნელობითაც ხმარობდნენ. თავდაპირველად ფელეტონი ნიშნავდა ფურცელს (ფრანგულად ეს სიტყვა ფურცელს ნიშნავს)(1-5), რომელსაც დამატების სახით ურთავდნენ ფრანგულ გაზეთებს. ასეთ

ფურცლებზე იბეჭდებოდა თავშესაქცევი ლიტერატურული მასალები, რომლებსაც ხალხი ეტანებოდა. დღევანდელი გაგებით, ფელეტონი მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრია, რომელსაც გამოკვეთილი სპეციფიკური ასახვის ფორმა და შინაარსი გააჩნია და მის ღირებულებასა და საჭიროებაზე აღარავინ დავობს. თანამედროვე ქართული პრესის მაგალითზე ასევე ძალზე საინტერესოა ფელეტონის ასახვის სივრცე და არეალი, პრობლემატურობა და ადექვატურობა, ოპერატიულობა და ინტერესი როგორც საზოგადოების, ისე ასახვის ობიექტის მხრიდან. თანამედროვე ფელეტონის, როგორც ჟანრის არსებობისა და აქტუალურობის განმსაზღვრელი ნიშანი ქართული საზოგადოების მხრიდან სწორედაც მისდამი დიდ ინტერესში დევს, რაც განპირობებულია ამავდროულად საზოგადოების სურვილსა და მისწრაფებაზე დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრებისა და სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლის აუცილებლობით. ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ფელეტონი სწორედაც ის მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრია, რომელიც ამხელს და აკრიტიკებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებს; აჩვენებს მის უარყოფით, მანკიერ, მიუღებელ მხარეებს. ეს ყველაფერი კი ემყარება არა მოგონილ, სადღაც ფანტაზიის წიაღში აღმოცენებულ, არამედ კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, რეალობას, სინამდვილეს. ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი პუბლიცისტური შემართება, სატირისა და იუმორის ძალა და უნარი, შესაბამისი მხატვრული აზროვნების, ხატოვანი ხერხების და საშუალებების გამოყენებაში გამოიხატება. მოვიყვანოთ მაგალითები თანამედროვე ქართული ბეჭდური მედიიდან და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მსგავსი ასახვის ფორმა ჟურნალისტიკაში საჭიროების თვალსაზრისით არა თუ კარგავს მნიშვნელობას, არამედ ახალ მასშტაბებს იძენს და ასე იქნება მომავალშიც. გაზეთ „კვირის პალიტრა“ 18-07-2011, მკითხველ საზოგადოებას აწვდის მსგავსი შინაარსის პუბლიკაციას, სათაურით „გამპრავებლები“.

უმუშევრობა, უკიდურესი სიღატაკე და გაჭირვება, მძიმე სოციალური ფონი აიძულებს ადამიანებს გადადგან მათთვის მიუღებელი ნაბიჯები, უარი თქვან ღირსებასა და ადამიანობაზე, ახლობლობასა და მეგობრობაზე, თვალი დაუხუჭონ სამართლიანობას და ყველაფერი გააკეთონ, ოღონდაც ფული იშოვონ, ლუკმა-პური არ მოაკლდეთ და სხვა დანარჩენს თავშიც ქვა უხლია. ამ ყველაფერს ემატება ხელისუფლების მხრიდან გამოვლენილი უსუსურობა და უნიათობა, წინდაუხედაობა და დილეთანტიზმი, რომელთა ქმედებები პირდაპირ ხელს უწყობს საზოგადოების კონკრეტული წევრების მხრიდან ამგვარ ქმედებებს, პირიქით ხშირად სწორედ ასეთი ადამიანების წახალისებაც ხდება და საბოლოოდ კი ეს ყველაფერი აისახება ცხოვრებაზე, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე, მათ განწყობასა და ფსიქიკაზე და საერთო ჯამში კი ისევ ქვეყანა და ხალხი, საზოგადოება ზარალდება. თვალი გავადევნოთ პუბლიკაციას და მივყვეთ მოვლენებს:

„– ისევ უმუშევარი ხარ ხო, შე საწყალო? – დამინახა თუ არა, შესძახა ჩემმა მეგობარმა, მერე ჩემს ტოტალიზატორის წაგებულ ბილეთს დააცქერდა და მკითხა, – არ გინდა სამუშაო?

სამუშაო როგორ არ მინდოდა, მაგრამ დიდი ხელფასი რომ მომეთხოვა, ძალიან დაფასებული სახე მივიღე (ძმაკაცმა მასწავლა, ასე ქენიო) და ვთქვი: – გააჩნია სამუშაოს.

მეგობარი ეშმაკობას მიმიხვდა (საუბედუროდ, ის ძმაკაცი საერთო გვყავდა). ხელმკლავი გამომდო და მანქანაში ჩამსვა.

მეც მივხვდი, რომ მეგობარი მიმიხვდა და ვიკითხე:

– კარგი, რა სამუშაოა ასეთი?

– ხელფასი მაღალი გექნება, მაგრამ.....

– რა, მაგრამ? – შემეშინდა მე.

– მაგრამ ნამუსი უნდა გადადო დროებით გვერდზე.

შევეყოყმანდი, თუმცა გამახსენდა, რომ მხოლოდ ერთი

ლარი მედო ჯიბეში და დავთანხმდი. სამუშაო კი ასეთი იყო: ერთ-ერთ ოფისში, უცნაური სახელით „არლამენტი“, კლიენტებისთვის უნდა გაგვენია დახმარება. ჩემი მეგობრის გარდა ოფისში კიდევ ერთი თანამშრომელი მუშაობდა.

მალე გამოჩნდა პირველი კლიენტიც, რომელიც ცოლს სახლიდან გამოეგდო. – რატომ გამოგადგო? – ვკითხე მე.

– საყვარელი მყავდა სახლში... ცოლი ნასული იყო, მაგრამ მოულოდნელად დაბრუნდა და ლოგინში წაგვადგა თავს, მიშველეთ რამე.

– ნუ გეშინია, – გაამხნევა ჩემმა მეგობარმა, – მოვიფიქრებთ რამეს.

კლიენტი წავიდა, ჩვენ კი კრეატიული თათბირი გავმართეთ.

– მოდი, ვთქვათ, რომ ქალი ძალიან მახინჯი იყო, – თქვა ჩვენი ოფისის მეორე თანამშრომელმა. – მერე? – დავინტერესდი მე.

– მერე, ვითომ აყაჩაღებდა და ეუბნებოდა, ჩქარა, მითხარი, ფული სად გაქვსო? – მერე? – ახლა ჩემი მეგობარი დაინტერესდა.

– მერე ვითომ ამან არ თქვა, მახინჯმა ქალმა კი გაუპატიურება დაუნყო, სწორედ ამ დროს დაბრუნდა ცოლიც.

იდეა ბრწყინვალე იყო, სასწრაფოდ დაფურეკეთ კლიენტს და ავუხსენით, რა უნდა ეთქვა ცოლისთვის. მოვლენები ძალიან კარგად განვითარდა – ცოლი შეურიგდა ქმარს, ხოლო საყვარელი ციხეში ჩასვეს გაუპატიურების მუხლით. ოფისის საქმეები ნელ-ნელა ეწყობოდა, კლიენტი უამრავი გვყავდა. ერთ დღესაც მერიის თანამშრომელი მოგვადგა და გვთხოვა:

– ბიჭებო, დენის გადასახადს წაგავი უნდა მივაბათ და აბა, თქვენ იცით, ისეთი რამე მოიფიქრეთ, რომ ეს გავაპრავოთ. ხომ იცით, ფულზე გულს არ დაგწყვეტთ. ურთულესი



საქმე იყო, მაგრამ სიძნელეს არ შევეუშინდით და ფიქრი დავიწყეთ: – „მტერი ორმოც კილომეტრშია“ – არ გამოგვადგება? – ვიკითხე მე.

– არა, არ გამოგვადგება, – იუარა ჩემმა მეგობარმა.

– „თუ არ გადავიხდით, რუსეთის ნისქვილზე დავასხამთ ნყალს“? – აზრი გამოთქვა მეორე თანამშრომელმა.

– არც ეს, – ფიქრიანად უპასუხა ჩემმა მეგობარმა, – რალაც ახალი გვინდა.

– მომაფიქრდა, – დავიყვირე მე, – ვთქვათ, ვითომ ეს ისეთი კანონია, ღარიბებს გადასახადი ცოტა მოუწევს და მდიდრებს – ბევრი, რაც სოციალურ თანასწორობას დაამყარებს. როგორია?

– ცუდი არაა, – გაუხარდა მეგობარს, – თანაც დავამატოთ, რომ სამაგიეროდ ქალაქი სუფთა იქნება და მოქალაქეების სიხარულს საზღვარი არ ექნება.

– კი მაგრამ, – ეჭვიანად იკითხა მეორე თანამშრომელმა, – ხუთ-ექვსჯერ მეტი გადასახადი რომ მიუვა მოსახლეობას?

– ეგ არაფერი, – ვთქვი მე, – ასეთ ხალხს ავუხსნით, რომ რადგან ბევრი გადასახადი მოუვიდათ, ესე იგი მდიდრები ყოფილან და სანუნუნოდ კი არა, სასიხარულოდ ჰქონიათ საქმე.

– გადანყვეტილია, ბრწყინვალე იდეაა! – შესძახა გახარებულმა ჩემმა მეგობარმა და მერიაში დარეკა.

მერიაში ჩვენი პროექტი მოიწონეს და დანაპირებზე მეტი ფული მოგვცეს, თან დაგვპირდნენ, თქვენთან კიდევ უამრავი საქმე გვექნება და აბა, თქვენ იცითო. ნელ-ნელა პოპულარულები ვხდებოდით. უკვე საოჯახო წვრილმან საქმეებს არ ვიღებდით, მერიიდან უამრავი საქმე შემოდებოდა. ჩვენდა სასიხარულოდ, პარლამენტმაც ისეთი კანონების მიღება დაიწყო, რომ პარლამენტარები ჩვენს ოფისში უფრო მეტ დროს ატარებდნენ, ვიდრე პარლამენტში. მოკლედ, ფული თავზე

საყრელად გვექონდა და რეგიონებში ფილიალებიც კი გავხსენით.

ერთ დღეს ნილბიანი კაცი მოგვადგა და უფროსი იკითხა:

– მე ვარ, – მიუგო, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა ჩემმა მეგობარმა.

– თუ შეიძლება, გვერდზე გავიდეთ, – უთხრა ჩვენმა უცნაურმა სტუმარმა. მე ყურები დავცქვიტე და რამდენიმე წინადადება გავარჩიე კიდეც.

– დიახ, მესმის, – თავს უკანტურებდა ჩემი მეგობარი.

– პარლამენტარად გახვალ, ყველაფერი გექნება, რაც გინდა, ოფისსაც ლობირებას გაუწევ, – ეუბნებოდა ნილბოსანი.

მერე ხმა უფრო დაიდაბლა და აღარაფერი მესმოდა. თუმცა საუბრის დასასრულს მხოლოდ ერთი წინადადება გავარჩიე:

– ხომ გესმის, მისი პირველ პირად დარჩენა ძალიან დემოკრატიული უნდა ჩანდეს არა მარტო ქართველი ხალხისთვის, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობისთვისაც. აბა, შენ იცი“.

მსგავსი ხასიათისა და შინაარსისაა შემდეგი ფელეტონიც, რომელიც პირველ რიგში ხელისუფალთა უჭკუობასა და უვიცობას, საქმეში ჩაუხედაობასა და დილეტანტიზმს, წინდაუხედაობასა და გაუაზრებლობას ასახავს. რა კარგი გამოვნათქვამია: „თევზი თავიდან ყროლდებაო,“ მაგრამ ვინ მოაჭერას თევზს თავი? ერთი მაგალითი მოვიყვანოთ ამასთან დაკავშირებით. თავგებმა მოილაპარაკეს, კატას „ეჟვანი“ შევაბათ კისერზე და ჩვენს დასაჭერად რომ წამოვა, ეჟვანი ხმას გამოსცემს და ჩვენც გავიქცევითო. ყველამ მიიღო ეს წინადადება და მოიწონა, მაგრამ არავინ გამოჩნდა კატაზე „ეჟვნის“ შემბმელი. ან და რომელი თავი გაბედავდა კატის კისერზე „ეჟვნის“ მორგებას? ეს ხომ ყველაზე სახიფათო და დამლუპველი ნაბიჯი იყო ყველაზე უფრო მამაცი თავგისათ-

ვისაც კი? მლიქვნელობა, გაუბედაობა, სიმხდალე რიგი ჩინოვნიკებისა ზემდგომების მიმართ, ხოლო ზემდგომთა სწრაფვა ყოვლისშემძლეობასა და ყოვლისმფლობელობისაკენ, ინვევს სწორედ თევზის თავიდან აყროლებას. მაგრამ, სამწუხაროდ, თევზის სიყროლე სანამ აუტანელი არ გახდება არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, მანამ არავინ არანაირ ზომებს არ ან ვერ მიმართავს. სამწუხაროდ, ყველას აქვს სურვილი მაღალ თანამდებობასა და სკამს მოერგოს, მაგრამ რამდენად განვდება მისი ინტელექტი და გონებრივი შესაძლებლობები, რამდენად ეყოფა პროფესიონალიზმი თავი გაართვას არსებულ პრობლემატიკას, არავინ ფიქრობს. ყველას აქვს სურვილი მეტი მოიპაროს, მეტი ჩაიჯიბოს, მეტი წაილოს, ხოლო სხვა დანარჩენი არ ადარდება. მისთვის არა არის მთავარი: ვის არა აქვს საჭმლის, წამლის, წიგნების, დენის, მგზავრობის ფული, მთავარი და მნიშვნელოვანი მხოლოდ ერთია: თვითონ იყოს კარგად, ოჯახი ჰყავდეს უზრუნველად, შვილები იკვებებოდნენ მადიანად, სწავლობდნენ პრესტიჟულ სასწავლებლებში, სხვა დანარჩენი-ქვეყანა და ხალხი, რა ენაზე მოსატანია. რომ იტყვიან, ამ შემთხვევაშიც გავადევნოთ თვალი მორიგ მაგალითს და სხვა ბევრ უნიათო და უხეირო სურათსაც დავინახავთ ჩვენი ცხოვრებიდან, სარკესავით გვაჩვენებს ხელისუფალთა და უზნეო ჩინოვნიკთა სახეებს და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, როდის ეშველება ქვეყანას, ხალხს, საზოგადოებას, მის ერთ კონკრეტულ წევრს.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ 17-01-2011წელი.

„ – მთას თავი უნდა მოვაჭრათ აჭარაში, – მითხრა ჩემმა უფროსმა და ოდნავ დარცხვენილმა შემომხედა, – სულ ზევიდანაა ბრძანება...

ჯერ ვიფიქრე, რომ მომეჩვენა, მერე ვიფიქრე, რომ თმა მითხრა და არა მთა და ამ იმედს ჩავებლაუჭე.

– რას მიყურებ, ვერ გაიგე? მთა უნდა მოჭრა! – გადამინურა იმედი უფროსმა. თუმცა მე ჩემსას არ ვიშლიდი და

ამჯერად ყურები მოვისინჯე, მაგრამ ამაოდ, – ორივე ყური ადგილზე მქონდა და სრული დატვირთვით მუშაობდა.

– როგორ უნდა მოვჭრა მთა? – მოვისანწყლე თავი და უფროსს საცოდავად შევაჩერდი.

– როგორც ზემოდან მითხრეს, უნდა გააკეთოთ დიდი ბირდაბირი და იმით... თურმე ბათუმის თავზე ღრუბლებმა რომ არ მოიყარონ თავი და წვიმამ დამსვენებლები არ გააქციოს, ამისთვის ყოფილა საჭირო – მიპასუხა ზემდგომმა, ამოიოხრა და თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა.

უფროსის მდგომარეობაში შევედი და გამხნეების ნიშნად მხარზე ხელი მოვუთათუნე.

– მაგრამ ეს ყველაფერი არაა... – დაინყო ისევ უფროსმა.

საშინელების მოლოდინში წარბებიც კი ყალყზე დამიდგა.

– აბა, კიდევ რა უნდა ვქნა? – ვიკითხე სულ მთლად მომჩვარულმა.

– რა უნდა ქნა და სვანეთში მწვერვალი უნდა გაანათო, წინააღმდეგ შემთხვევაში,

დაჭერა არც შენ აგცდება და არც მე!

ზემდგომს წინადადება არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ გული წამივიდა. ჩემს უფროსს რომ არ ემარჯვა და წყალი არ ესხურებინა, სამუდამოდ დავტოვებდი ოპოზიციის გარეშე ისედაც ეულად დარჩენილ საქართველოს.

– რა იყო, შე კაცო, – გამამხნევა მან, – აგერ ვართ ყველა და მოგეხმარებით!

მოგეხსენებათ, პროფესიით ინჟინერი ვარ, ხიდება ვაშენებ, გვირაბები გამყავს, სახლების ფასადებს ვღებავ, მაგრამ მთის მოჭრა და განათება არსად გამიგია და წამიკითხავს, ამიტომ ოთახში ნახევრად გულწასული სავარძელზე დავჯექი და ფიქრი დავიწყე.

– რას შვრები, – შემომხედა უფროსმა ფიქრებში ნა-სულს, – იდეა გაქვს, თუ შევუკვეთო ბირდაბირი?

– შეუკვეთე ბირდაბირი, – ვუთხარი მე და ფეხზე წა-მოვდექი.

გიგანტური ბირდაბირი უცხოეთში ჩამოვასხმევინეთ. მეფოლადემ ჯერ პროფილაქტიკის მიზნით შუბლზე მომადო ხელი, მერე, როცა დარწმუნდა, რომ ჩემი ტემპერატურა ნორმალური იყო, მკითხა:

– თქვენ რომელი ქვეყნის ხელისუფლებიდან ხართ?

– საქართველოდან! – ამაყად მივუგე.

მეფოლადემ ჩემი შუბლიდან ხელი აიღო, ააო, – თქვა და დამშვიდდა.

– გეთქვა მერე, კაცო, რას შემაშინე, ჩემი მეგობრის ფირმიდან შენმა კოლეგებმა მთის გასანათებელი ტექნიკა შეიძინეს.

5 დღეში უზარმაზარი ბირდაბირი მზად იყო! მისი დამ-ზადება და ტრანსპორტირება ჩემი უწყების საკმაოდ დიდი ბიუჯეტის 35 პროცენტი დაჯდა. რამდენიმე თვე მე და ჩემი თანამშრომლები ვხერხავდით მთას, თუმცა მუშები ნელ-ნელა გვტოვებდნენ და სახლებში მიდიოდნენ; ერთმა მუშამ წასვლისას ისიც კი მითხრა, შენ რომ უფროსი ხარ და მე – მუშა, იმ სახელმწიფოს რა ვუთხარიო. მერე უზარმაზარ ბირდაბირს კიდევ ერთხელ შეხედა დამცინავად და კაცობ-რიობისათვის დღემდე უცნობი გინებით დატოვა მთის ტე-რიტორია.

2 თვის შემდეგ სამუშაოდ მხოლოდ მე და ჩემი უფროსი დავრჩით ხერხის და ღვთის ანაბარა, მთის წვერი კი ძველე-ბურად იდგა... სწორედ ამ დროს სულ ზევიდან ზარი გაისმა! ნომერს დახედა თუ არა, ჩემს უფროსს მკვდარსა და თით-ქმის მკვდარს შორის რომ ფერია, ის ფერი დაედო სახეზე და გისმენთო, – ჩასძახა, შემდეგ კი ასეთი დიალოგი მოვისმინე:

– დიახ, ვჭრით, ბატონო!

– დიახ, რა თქმა უნდა, ხერხით მშვენივრად იჭრება, კარგად მოგიფიქრებიათ.

– განათებაც ადვილია, დიახ, ჰესი ავაშენეთ მწვერვალთან და ახლა გავანათებთ.

– დიახ, ძალიან იაფი დაჯდა, თითქმის არაფერი, ჰესი და კიდევ რამდენიმე რალაც... სულ ეგაა...

– ორ თვეში ჩამოხვალთ და გახსნით? გელოდებით, ნახვამდის!

ყურმილის დადებისთანავე ჩემს უფროსს მკვდრისფერი ჯერ მწვანეში გადაუვიდა, მერე – ნითელში, მერე – ნარინჯისფერში, მერე – ავაჰმეო, – დაიძახა და ქარაფიდან გადახტომა დააპირა, მაგრამ მე განზრახვას მივუხვდი, თან წამის მეთასედში ისიც გავიფიქრე, რომ პირველ პირს მართო უნდა დავხვედროდი და უფროსს ხელი ვტაცე.

– ნუ გეშინია, იდეა მაქვს, – ვუთხარი და წყალი შევასხურე.

ჩემი იდეით, მთის წვერისთვის მიწა უნდა მოგვეყარა და მერე კარგად დაგვეტკეპნა, ისე, რომ ბირდაბირით გადაჭრილს დამსგავსებოდა! უფროსმა ისეთი მოსიყვარულე თვალებით შემომხედა, ცოტა არ იყოს, შემეშინდა, გრძნობა ვნებაში არ გადასვლოდა, ამიტომ სწრაფად მოვკიდე ხელი და იდეის განხორციელებას შევუდექით.

მალე ყველაფერი მზად იყო! დარჩენილი იყო სვანეთში მწვერვალის განათება, სადაც ჩვენი ბიუჯეტის 45%-ის შემწირავი ჰესი დასასრულს უახლოვდებოდა, ეს პრობლემაც მალევე მოვაგვარეთ, მართალია ქარაფებზე ჩამოკიდებული მუშები კარგა ხანს აკანტურებდნენ თავებს და ჩემს დანახვაზე პირჯვარსაც იწერდნენ ხოლმე, მაგრამ ერთ-ერთ ქარაფზე მშვენიერი ჰესი მაინც ავაგეთ და მწვერვალი ისე განანათეთ, რომ იქიდან აჭარაში გადაჭრილი მთაც მშვენივ-

რად ჩანდა, სვანები, კახელები, აჭარლები გაოგნებულები შესცქეროდნენ უდიდეს საოცრებას – გადაჭრილ მთას და განათებულ მწვერვალს... პრეზიდენტიც მოვიდა უკრაინულ დელეგაციასთან ერთად (ძირითადად – ქალებთან), ჩამრთველს ხელი დააჭირა და მთა გაანათა! ვგრძნობდი, ამის შემხედვარე ჩემს უფროსს სიყვარულიანი თვალები უკვე ვნებით უელავდა, მაგრამ რაღას დავეძებდი!.. ყველას გვიხაროდა და ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, ერთი კახელი სოფლის გამგებელი რომ არ მომახლოებოდა და არ ეთქვა:

– შენი ჭირიმე, შენ შემოგვევლე, ჩემს სოფელს მთა ფარავს და ყურძენს სიტკბოს უკარგავს, ჰოდა, პრეზიდენტმა იმ მთის იმერეთში გადატანა დამავალა! იქნებ როგორმე დამეხმარო...“

ტექსტის კითხვისას სასაცილოც ბევრია და სატირალიც, დასაჯერებელიცა და დაუჯერებელიც, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ ყველაფრის უკან მხოლოდ ერთი პიროვნება იდგა და მისი ნება-სურვილის ამსრულებელი იყო მთელი ქვეყანა. ვერავინ ბედავდა ხმის ამოდებას, განსხვავებული შეხედულების, თუნდაც სრულიად სამართლიანი და სწორი აზრის დაფიქსირებას, რჩევის მიცემას, რადგან ყველა ჩინოვნიკს ძალიან კარგად ესმოდა, რა დაუჯდებოდა ეს ყველაფერი, ხოლო სხვა დანარჩენს კი, სახელმწიფო, ქვეყანა, ხალხი, ეროვნული ინტერესები, მომავალი და ხვალისდელი დღე უბრალოდ არ აინტერესებდა. თავის გადარჩენის ინსტინქტით მოქმედებდა ყველა და ამიტომაც ყველას ყველაფერი ფეხებზედაც არ ეკიდა. არ ესმოდა სამწუხაროდ არავის, რომ ამგვარი ქცევა პირველ რიგში არა მხოლოდ ჩინოვნიკს, არამედ კონკრეტულ პიროვნებას-ქალაქად მცხოვრებს, კონკრეტულ გლეხს-სოფლად დააზარალებდა, ინტელიგენტს სულიერად და ფიზიკურად გამოფიტავდა. რატომ? ერთი უბრალო ჭეშმარიტების გამო: ქვეყანა,

სამშობლო, ისტორიული მიწა-წყალი, სადაც საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში ერსა და ბერს ერთად უცხოვრია, უქმნია, უშენებია, არავის კერძო და პირადი საკუთრება არ არის. ის თანაბრად ეკუთვნის ყველას და მასზე პასუხისმგებლობაც ყველაზე ნაწილდება. ამიტომაც ხმის ამოღებაა საჭირო და უმაქნის ჩინოვნიკთა დროულად მოცილება, ანუ ისეთი არჩევანის გაკეთება, როდესაც მუშაობს ჭკუა და წინდახედულება და არა სიხარბე, ფარისევლობა და გამყიდველობა.

მორიგი აბუჩადამგდები და ამასთან სასაცილო მდგომარეობის მაჩვენებელია კიდევ ერთი პუბლიკაცია გაზეთში „კვირის პალიტრა“ 10-12-2012, რომელიც მკითხველ საზოგადოებას სალომე გოგოხიამ მიაწოდა სათაურით: „თქვენს ძროხას საყურე აქვს?“

„ძროხების პატრონებო, იყავით ფრთხილად! თუ თქვენი ძროხა რამეს დააშავებს, პასუხს აგებთ კანონის წინაშე!

სალამო ხანი იდგა, ყვარლიდან თბილისში მანქანით ვბრუნდებოდი. გზად ნახირი გადაგველობა. ჩემი ყურადღება საყურეჩამოკონწიალებულმა ძროხებმა მიიქციეს. წარმოგიდგენიათ, რა სანახავი იქნებოდა საძოვრიდან შინ მიმავალი, დაღლილ-დაქანცული ძროხა საყურით?!. სიცილით გული რომ ვიჯერე, მერე მიზეზით დავინტერესდი. თანამგზავრმა ამიხსნა, ახალი წესი შემოიღეს, საყურე დანომრილია და გლეხი სახელმწიფოს უნებართვოდ ძროხას ვერ დაკლავს, ფული უნდა გადაუხადოსო. რა დასამალია და, წინა ხელისუფლება ფანტაზიის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდა, მაგრამ პირუტყვის საყურეებით მოკაზმვა მეტისმეტია და თანაც სულ ცინცხალია ამბავია – ძროხის „სამკაულით მორთვა“ ზაფხულში გადაწყვეტილა. რალა უჭირთ გლეხებს, ჯერ იყო და პირუტყვის მთავარ გზებზე გამოჩენა აეკრძალა. მერე, ახლომდებარე საძოვრების უმრავლესობა კერძო საკუთრების ხელში აღმოჩნდა. რა საინტერესოა, თუ გზებზე გავლა



აუკრძალეს, ეს ძროხები ფრენით ხომ არ გაეშურებოდნენ შორს მდებარე საძოვრებისკენ? ნეტა ამაზე თუ იფიქრა ვინმემ? ხუმრობა იქით იყოს, როდესაც საყურეების ჩამოკიდების მიზეზით დავინტერესდი, ძროხების პატრონებმა ამომწურავი პასუხი ვერ გამცეს. მხოლოდ ის მითხრეს, რომ მათი ძროხები გამგეობაში აღრიცხვაზე ააყვანინეს. ცნობისთვის, სახელმწიფომ რქოსანი პირუტყვის აცრა წინასაარჩევნოდ წამოიწყო. ცხოველები განსაკუთრებით საშიშ დაავადებებზე აცრეს. სწორედ ამ პროცესის თანამდევნი ყოფილა საყურეებიც. უბრალო საყურეები არ გეგონოთ, ბატონო, მასზე უნიკალური ნომერია დატანილი, რომელიც ძროხისა და პატრონის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

ამრიგად, აცრილი, საყურედაკიდებული ძროხების მონაცემები სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს სპეციალურ ბაზაშია შეყვანილი. ძროხების პატრონებო, იყავით ფრთხილად! თუ თქვენი ძროხა რამეს დააშავებს, ვინმეს მანქანას დააზიანებს ან კანონით გათვალისწინებულ არასასურველ ადგილას გადაიპარება, პასუხს აგებთ კანონის წინაშე! ალბათ ამიტომ, ბევრმა ფერმერმა აცრებსა და საყურეებზე უარი თქვა. თუმცა, სააგენტომ გლეხების უარი არაინფორმირებულობით ახსნა. „უკვე აცრილ პირუტყვს, სახელმწიფო მომავალშიც უფასოდ აცრის. სანომრე ნიშანი კი უნიკალურია, რათა პირუტყვის იდენტიფიცირება მოხდეს. ეს მეთოდი ევროპის ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული,“ – აგვიხსნა სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსმა ვერიკო გულუამ. მისივე თქმით, აცრების პარალელურად სპეციალური ბროშურები დაარიგეს, სადაც განმარტავდნენ ე.წ. საყურეების მნიშვნელობას. თუმცა, გლეხების უმრავლესობამ სიახლე დამატებით გადასახადებს დაუკავშირა“.

მასალა უკომენტაროდ შემოგთავაზეთ, სადაც ჩვენი ცხოვრების რეალური სურათია გადმოცემული და ჩვენი ყო-

ფის ამსახველ სურათს საინტერესოდ და დამაჯერებლად წარმოგვიდგენს. აქ მკითხველმა თავად უნდა გააკეთოს დასკვნები, რამდენად აუცილებელია იგივე ხელისუფალთა მხრიდან ამგვარი დამოკიდებულების გამჟღავნება. ერკვევიან კი საქმის არსში? ესმით კი რასაც სჩადიან, იმის მნიშვნელობა? გააზრებული აქვთ მოსალოდნელი შედეგი? არავინ იცის უფლის მეტი... ამიტომაც მისი გაგებისათვის თავსაც არავინ იტკიებს. ჟურნალისტების მხრიდან ასეთი პრობლემებისადმი ყურადღება და აქცენტი უმნიშვნელოვანესი და აუცილებელია, რადგანაც მართალია ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს და პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ მავანს, რომელსაც არა აქვს პროტესტის ხმამალა გაცხადების საშუალება: ეშინია, დაიჭერენ, პასუხს მოთხოვენ... რწმენა და იმედი ჩაესახება, რომ სამომავლოდ მაინც ხმას ამოიღებს ვინმე და ასეთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც ქვეყნის, მისი ერთი კონკრეტული წევრის ხვალინდელ დღეს, მის ბედსა თუ უბედობას ეხება, საშველი დაადგება და ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანა და ხალხი გაიზრებს და გაითავისებს, რომ ჩინოვნიკობა დროებითი და წარმავალია, ხოლო სამშობლო, ქვეყანა ხალხი, ერი მარადიული ცნებებია და მასზე პასუხისმგებლობა ერსაც და ბერსაც თანაბრად ეკისრება და მოეთხოვება.

### **ლიტერატურა:**

1. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
2. „კვირის პალიტრა“ 18-07-2011
3. „კვირის პალიტრა“ 17-01-2011

## XIV

### პამფლეტი

სამაგიდო ლექსიკონში პამფლეტი განმარტებულია, როგორც „(ინგლ. pamphlet < pamphilius – XII საუკუნის პოპულარული კომედიის Pamphilius seu de amore-ს გმირის სახელი), პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირული თხზულება, ძირითადად პუბლიცისტური ხასიათისა, რომელიც მიმართულია საზოგადოების გარკვეული წრის, ცალკეული პირთა ან ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის (ზოგჯერ თვით სახელმწიფოს) წინააღმდეგ. პამფლეტი თავისი ხასიათით მწვავე, შეტევითი, შეურაცმყოფელი ბუნებისაა. მასში ფაქტობრივი მასალა შეზღუდულადაა წარმოდგენილი, სიმძიმის ცენტრი გადატანილია მოწინააღმდეგის მიმართ მკითხველის გაღიზიანებაზე. პამფლეტი ცნობილია ანტიკური ხანიდან, კლასიკური სახე მიიღო და ფართოდ გავრცელდა აღორძინების ეპოქაში. (ერაზმ როტერდამელი, ბლეზ პასკალი და სხვები). ამ ჟანრს მხატვრულ-სატირულ თხზულებებსაც მიაკუთვნებენ (სვიფტის „პამფლეტები“, მისივე „გულივერის მოგზაურობა“, მიხეილ ბულგაკოვის „მენამული კუნძული“ და სხვ). ქართულ მწერლობაში პამფლეტური ხასიათისაა გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“, ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“. პამფლეტი სარკაზმით გამსჭვალული პუბლიცისტური ნაწარმოებია, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ პირის, პოლიტიკური მოვლენის და სხვ. წინააღმდეგ. საჭირობოროტო საკითხზე, ვინმეს (რაიმეს) საწინააღმდეგოდ მიმართული, პოლიტიკური ხასიათის მწვავე სატირიკული სტატია, ბროშურა“ (1-1). თუ ამ განმარტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ცხადია პამფლეტის დანიშნულება ერთობ რთული, წინააღმდეგობრივი და ძალზე სარისკოცაა, რადგან მისი არა მხოლოდ შექმნა-დანერა-ხორცშესხმაა მთავარი,

არამედ სამიზნე ობიექტის მხრიდან შემდგომი თავდაცვის ერთგვარი ინსტინქტის გამომუშავებაც.

მე-12 საუკუნის ინგლისში ცნობილი კომედიის „პამფილიუსის“ სახელწოდებიდან სათავედადებული ერთ-ერთი სატირული ხასიათის პუბლიცისტური ჟანრი, სავსებით გამოკვეთილ ჟანრობრივ თავისებურებასა და სპეციფიკას სწორედ მისსავე ბუნებაში ავლენს. პამფლეტი ისეთი პუბლიცისტური იარაღია, რომლის საშუალებითაც ოპონენტები ერთმანეთს დაუზოგავად, მათი იდეოლოგიისა და საქმიანობის განადგურების მიზნით ებრძვიან. ამიტომ პამფლეტი ხშირად სწორედ იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზზე გვევლინება, რომელშიც მნიშვნელოვან ელემენტებად გამოიყენება სატირის, ირონიის, პაროდის, სარკაზმის, გროტესკის ფორმები. ეს „ტყვიან-ნამალი“ მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს, რომელსაც მონინააღმდეგის იდეოლოგიური განადგურება ჰქვია. პამფლეტი ბუნებით მოძრავი, შემტევი, აგრესიული და დაუდგრომელ-დაუნდობელია. მას არ აშინებს დალლა, მანძილი, სიშორე. იგი ყოველთვის მზადაა დაიცვას პირადი ამბიცია, აზრები, იდეები, შეხედულებები. შთაბეჭდილებებსაც კი უტყუარ არგუმენტად ასაღებს, იცავს და აღიარებს სიმართლედ და ერთადერთ ჭეშმარიტებად. სატირა ისეთი ბრძოლის იარაღია, რომელიც არავის ინდობს, არავის ეპუება, უბრალოდ მას არავინ ეცოდება. მისი უმთავრესი ინტერესი სხვის მცდარობასა და საკუთარ სიმართლიანობა-ობიექტურობას შორის დევს, როგორც წყალგამყოფი. ზოგიერთი ავტორის აზრით, პამფლეტი, როგორც სატირულ ჟანრი, გულწრფელად ამხელს პოლიტიკურად მისთვის მიუღებელ შეხედულებებსა და იდეებს, ორ პოლიტიკურ ძალას შორის არსებულ წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებას. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ არ არის საკმარისი პამფლეტში მართო სატირა დავინახოთ. *პამფლეტი* – საბიბლიოთეკო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სატირული ხასიათის თხზულება, რომელშიც გაკიცხული და მხილებულია ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა ან ცალკეული პიროვნება

(პიროვნებები)(1-2).

გაზეთი „კვირის პალიტრა“, 28-03-2013, – გვთავაზობს საინტერესო პუბლიკაციას სათაურით: „მელია იცინის...“ მაგრამ „ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?!“

პუბლიცისტური ტექსტისათვის ზოგადად ძალზე მნიშვნელოვანია სათაური. სწორედ სათაურშივეა გამოკვეთილი ის ძირითადი მამოძრავებელი, რისი თქმაც სურს ამა თუ იმ პუბლიკაციით ავტორს. ეს რა თქმა უნდა, ყველა ჟურნალისტურ ჟანრს არ შეეხება, მაგრამ რასაც ლიდს ან უბრალოდ ქუდს ვეძახით, მეტად მნიშვნელოვანია ტექსტის მიზანმიმართულობის განსაზღვრისათვის. პამფლეტის შემთხვევაშიც ასეა, ოღონდ შესაძლოა ადრესატი სათაურშივე არ ჩანდეს, ან არ იყოს გამოკვეთილი, მაგრამ ძირითადი სათქმელი, იდეა, პათოსი, რასაც მსახურებს მოცემულ შემთხვევაში პუბლიკაცია, სათაურს ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს. მოცემული მაგალითის მიხედვით აშკარაა, რომ ავტორი რაღაც საინტერესო და მნიშვნელოვან სათქმელს ამზადებს, რადგანაც სათაურიდანვე იკვეთება, რომ მისი ავტორი „არაფრის დამთმობი არაა“, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო რამ აქვს სათქმელი. როგორც იტყვიან ხოლმე, გავყვეთ მოვლენებს: „ძალიან მეძნელება ამ თემით დაწყება და არც ის მინდა, რომ მკითხველი კიდევ ერთხელ დავამძიმო ამბით, რომელიც ისედაც ყველამ იცის. ისიც ვიფიქრე, ჯერ რაიმე სახალისო-სამაყიროს დავწერ და ამ ამბით დავასრულებ-მეთქი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, რომ არ იქნება სწორი! რა დროს ხუმრობა და ღლაბუცია?! საქართველოში, XXI საუკუნეში, 1 წლის ბავშვი შიმშილით მოკვდა!!! არავინ ჩამითვალოს ყალბ პათეტიკაში, მაგრამ როდესაც ასეთ რამეს ვიგებ (ვიგებ კი არა, ახლა გავიგე – კიდევ კარგი, ყოველდღე არ ხდება), ერთადერთი სურვილი მიჩნდება: ის სოციალური მუშაკი, ვინც ეს ოჯახი დაუცველთა სიიდან ამოიღო, იმ სოცგანყოფილების უფროსი, ამ ხალხის მეზობლები და

ნათესავეები, ვინც იცოდა, რომ ბავშვი შიმშილობდა, სოფლის გამგებელი, რომელმაც „არ იცის“ რა ხდება მის სოფელში, კიდეც უფრო ზევით – შესაბამისი მინისტრი თუ მისი მოადგილეები და ა.შ. მინდა ერთად შევყარო სადმე, კარი გადავუკეტო და შიმშილით ამოვხოცო!.. აბა, ჰე, დამცხეთ ახლა, – შენ უარესი ყოფილხარო! მაინც ვერ გადამათქმევიანებთ – ყველა იმსახურებს და ხელიც არ ამიკანკალდება ამის გასაკეთებლად“.

ამ სტრიქონებში აშკარაა სათქმელის მსუსხავი, პირდაპირი, შეუფარავი ხასიათი, აშკარაა, რომ რალაც სერიოზული დანაშაული მოხდა, მაგრამ სამწუხაროა ასევე, როდესაც არ ჩანს კონკრეტული ადრესატი, ვისაც ასეთ დანაშაულობებზე პასუხი მოეთხოვება. „XXI საუკუნეში, 1 წლის ბავშვი შიმშილით მოკვდა!!!“-აცხადებს ავტორი და იქვეა ჩამონათვალი იმ ჩინოვნიკებისა, რომელთაც შესაძლოა ამისათვის პასუხი მოეთხოვოთ. აქვე პუბლიკაციის ავტორი ბოდიშს უხდის მკითხველ საზოგადოებას, მას არ სურს კიდეც უფრო მეტად დაამძიმოს საზოგადოებრივი განწყობა და პირდება მკითხველს მხიარული ამბების მოშველიებით განმუხტოს რთული ვითარება: „კიდეც ერთხელ ვუხდი ბოდიშს მკითხველს – ახლა გპირდებით, რომ „მხიარულ“ ამბებზე გადავალ. მაგალითად, ისეთზე, როგორც შვეიცარიის ელჩის წერილი იყო ბიძინა ივანიშვილისადმი: თქვენ რა ხალხი ყოფილხართ, ოქრო და ბრილიანტი, გენაცვალეთ და გეხუტუნეთ, იმ ევროპარლამენტარების დედა არ ვატირე, თქვენ რომ ის უმსგავსო წერილი მოგწერესო?! ევროპაში თუ რამე გააჭირდათ, არ მოგერიდოთ და არ დამზოგოთო! როგორც იტყვიან, „ეს ყველაფერი, – არაფერი“, მაგრამ იტალიაში-საქართველოს-თვითონროეგონა-მუდმივი ელჩის, ტანდემ „მამა-შვილი გაბაშვილის“ უფროსი წევრის, შვეარდნაძის დროინდელი (ანუ იმდროინდელი, საქართველოში რომ კორუფციის ნატამალი არ იყო) თბილისის მერის – კოტე გაბაშვილის კომენტარი ამ წერილზე მართლა სასაცილო იყო: ჩემ-

თვის(!) მიუღებელია, რომელიმე ქვეყნის ელჩმა ევროპის სახალხო პარტიაზე ასე ილაპარაკოსო! მე(!) ვთვლი, რომ ეს დიპლომატიისათვის შეუფერებელი საქციელი იყოო!”

პუბლიკაციის ავტორის სარკაზმი და ირონია ნათლად იკვეთება მოყვანილ აბზაცში, როდესაც ის ეხება შვეიცარიის ელჩის წერილს ბიძინა ივანიშვილისადმი, „მამა-შვილი გაბაშვილის“ ტანდემს, თბილისის მერის – კოტე გაბაშვილის კომენტარს ევროპის სახალხო პარტიაზე. ირონიის, სარკაზმის, გროტესკის, დაცინვისა და აბუჩად აგდების გამოხატვაა, როდესაც პარალელს „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საკავშირო კომპარტიის შეფობას?!“ შორის ავლებს: „ნაციონალებისა“ და „ევროპის სახალხო პარტიის“ ურთიერთობაში ერთი ძველთაძველი და თითქმის დავინწყებული (სამწუხაროდ, „ახალი – კარგად დავინწყებული ძველია“...) სუბორდინაციის ანალოგია დავინახე: არ გეჩვენებათ (ვისაც გახსოვთ), რომ დაახლოებით ასეთი ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საკავშირო კომპარტიის შეფობას?! სააკაშვილი-მარტენსი „ა ლა“ შევარდნაძე-ბრეჟნევი? მართლა, ნეტავ, შევარდნაძე რას შვრება? მობერდა ალბათ, ძალიან... საინტერესო კი იქნებოდა მაგის „ტვინში ჩახედვა“ – რას ფიქრობს ამ ყველაფერზე – „მელია იცინის, კვდება სიცილით“ (როგორც ქართულ ზღაპარშია), თუ სიბერეში მაინც სინდისის ქენჯნას გრძნობს თავისი მემკვიდრეების გამო?.. ჰმ, ისევ მოგონებები მომეძალა: სააკაშვილი რომ ამერიკიდან ჩამოიყვანეს, შევარდნაძე ხალხს რომ ხვდებოდა ქუჩაში და ამასაც რომ დაატარებდა („ნატვრის ხეში“ რომ დაატარებს იმ მოდებილო ბიჭს ბებიაშისი), ერთხელ სადღაც ბაზარში შევიდა სააკაშვილთან ერთად და „მიფარცქვალე-ბულ“ ბებოებს ახარა: აი, რა კარგი ბიჭია, ეს იქნება თქვენი მომავალი პრეზიდენტიო!

არა, არა – ნამდვილად ვიცი: სინდისის ქენჯნა არა, ისა,

ნამდვილად ხითხითებს. მაშინ ისე თქვა, – ეს იქნება თქვენი პრეზიდენტიო, აშკარად, რალაც გოთვერობას გვიპირებდა და ახლა ალბათ, დაგვცინის...”

ავტორის ხუმრობანარევი, მაგრამ დაუნდობელი და სასტიკი, მწარე სინამდვილე და რეალობა, რომელსაც ელვარე მახვილივით ატრიალებს მკითხველი საზოგადოების თვალწინ, გასული კინოკადრებივით ერთხელ კიდევ ახსენებს საზოგადოებას წარსულ ისტორიას, თვალწინ წარმოუდგენს მწარე რეალობას და სიმართლეს, რომელსაც საზოგადოება არასდროს მოუხუჭავს თვალს. მაგრამ რა გამოდის ავტორის ნააზრევიდან? ამ ყველაფრის გამო ამის ჩამდენი კი არ განიცდის, არამედ ჯიუტად იმეორებს: „ არა, არა – ნამდვილად ვიცი: სინდისის ქენჯნა არა, ისა, ნამდვილად ხითხითებს.“ სატირის ავტორს ესმის, რომ საჭირო და აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი, უნდა იცოდეს რომ უზნეობისა და არაადამიანური, სასტიკი და დაუნდობელი ქმედებების გამო ყველას მოეკითხება და პასუხს აგებს. ავტორი აგრძელებს ჩამოთვლას რიგ სხვა უმსგავსო საქმიანობების: „...ქარმა და ზღვამ ლამის წაიღო ბათუმი. სააკაშვილი მაშინვე იქ გაჩნდა: ხომ ვამბობდი და გავაკეთე პროექტი ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვისო (არადა, არ ამბობდა და არ გაუკეთებია). დაივიწყეთ ჩემი არსებობა და ჩემს ჯიბრზე ნუ წააღებინებთ ამ ქალაქს სტიქიასო! ვააა!!! არადა, მაგას რომ დაცლოდა, ნაპირსამაგრი სამუშაოების არა და, „ოქროს ქვიშის“ პროექტი კი ჰქონდა მზად – მილიონებად ქვიშა უნდა გვეყიდა და ბათუმის სანაპიროზე დაგვეყარა! აბა, თუ მიხვდები, მიშიკო, ახლა სად იქნებოდა ის ქვიშა?! მაღაღეც, სწორია – „ატაში“! სამაგიეროდ, „ატადან“ მოვიდოდა „ატკატი“. ახლა კიდევ – კოვზი გაქვთ „ატაში“... უკაცრავად, ნაცარში. ჰოდა, შეირგეთ!“

P.S. ისევ შევარდნაძე და მისი დრო უნდა ვახსენო: ინტერნეტში ძველი გაზეთების სტატიები იღო: ქართველი მორაგბეე-



ბისთვის და მათი ფრანგი მწვრთნელისთვის შევარდნაძის კანცელარიას ჯილდოებზე უარი უთქვამს – ევროპის ერთა თასი დიდი ვერაფერი გამარჯვებააო.

სად ფეხბურთი და სად – რაგბი (მით უმეტეს, საქართველოში), მაგრამ გასულ კვირაში, საფრანგეთთან მატჩის შემდგომ გამართული პრესკონფერენცია გამახსენდა, ქეცბაია ყურნალისტის შეკითხვამ რომ გაამწარა და, – რატომ უნდა გადავდგეო!

იმიტომ უნდა გადავდგე, ჩემო თემურ, რომ თამაშებს ვერიგებ! ხოლო „ღირსეული დამარცხებებით“ დაბოლება, სხვა ამბებშიც გვეყოფა ქართველებს.“

საინტერესოა პუბლიკაციის დასასრული. ავტორი აქ გვევლინება, როგორც ბრძოლის ველიდან ახლად დაბრუნებული რაინდი, რომელმაც დიდი ბრძოლები გადაიტანა, მაგრამ არა დაღლილი და ქანცგანწყვეტილი, არამედ უფრო შემტევი და იმედიანი, რადგან ის პოლიტიკური „არენიდან“ უცებ ინაცვლებს სპორტულ სამყაროში და არა მხოლოდ კენწლავს ქართული სპორტის ბოლოდროინდელ აქილევსის ქუსლადქცეულ ფეხ-ბურთს, არამედ მკაცრი, მოურიდებელი ტონით მიმართავს ნაკრების მთავარ მწვრთნელს საკუთარი პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გათავისებაზე. პამფლეტის ავტორის პოზიცია ნათელია: მანკიერება უნდა გამოსწორდეს ძალიან მალე, მაგრამ პრობლემათა მრავალგვარობა, რომელიც ხსენებულ პუბლიკაციაშია წარმოდგენილი ერთად აფიქრებინებს ყველას, რომ მისი გამოსწორებისათვის დიდი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და გარჯაა საჭირო. პამფლეტის დარი „ტყვია-წამალი“ შევნიშნეთ ასევე გაზეთ „კვირის პალიტრის“ – 09-01-2013-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, უფრო სწორედ ინტერვიუში სათაურით: „რობიკო სტურუამ „ნადირობის სეზონში“ ციხის შემზარავი კადრები იწინასწარმეტყველა?!“ მართალია მოყვანილი მაგალითები ინტერვიუდანაა ამოღებული, მაგრამ აშკარაა, რომ ცნობილი რეჟისორი პამფლეტისათ-

ვის დამახასიათებელ კლასიკურ „ილეთებს“ მიმართავს და დაუნდობლად ამათრახებს იმ ჩინოვნიკებს, რომელთაც, მისი აზრით, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს. მაგალითებიც უამრავი მოჰყავს და ეს მტკიცებულებანი, სხვა ძალზე მოხდენილად „მოხმარებული“ და მოშველიებული გამონატვის სხვადასხვა ფორმებით: ირონიით, სარკაზმით, სატირით, დაცინვით, აბუჩად აგდებით ერთად ყველაფრით მიმართულია იქითკენ, რომ პუბლიკაციის ადრესატების არაადამიანური სახე და საქციელი ყველას დაანახოს, გააშიშვლოს და სახალხოდ აჩვენოს ამ დამნაშავეთა ნამდვილი სახე და ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს ყველამ ვინ არიან ეს ადამიანები: „5 იანვარი! 5 იანვარი! ქართველებო, დროზე მოვიშორეთ ეს დებილი, თავისი უზუნეო მონებით! დროზე! რატომ უნდა ვუთმინოთ ათი წელი ამ ჩათლახების (დიდი ბოდში) პარპაშს! თავისი გადარჩენისთვის ეს გახრწნილები, კარგად რომ იციან რა საშინელება ელით, საქართველოს გაანადგურებენ, საკუთარ ცოლ-შვილს დაკლავენ, მშობლებს გააქრობენ, ოღონდ ის მილიარდები, რაც ქართველებს მოპარეს, თავის უწმინდურ ვნებებს მოახმარონ (ივანიშვილს ამდენი ფული სად აქვს, რაც ამ ქურდებმა ჩაიჯიბეს!)...ამის გამო გიჟდება, ცოფს ყრის და ოჯახებში დარბის ის აბანოს მექისე... 5 იანვარი! 5 იანვარი! ხუთი იანვარი“...

...ჩემი დაპირისპირება დაიწყო დაახლოებით ორი წლის შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. შემდეგ სპექტაკლი დავედგი ლაშა ბულაძის პიესის მიხედვით, სადაც დაინახეს ჩემი დამოკიდებულება მათ მიმართ.. ადრე ეჭვი მეპარებოდა, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა დუჟმორეული ლაპარაკი იცოდა, ახლაკი ვიცი. ძალიან დავეჭვდი მის ადამიანურ თვისებებში. ახლაც მისი ქცევა სრულიად არაადეკვატურია და არ არის ეს ნორმალური ადამიანი“.

„კვირის პალიტრა“-10-12-2012, პუბლიკაციიდან: „არადა,

როგორი იმედისმომცემი ახალგაზრდა იყავი“

„გამარჯობა. ყოველ ორშაბათს მოუთმენლად ველი, რომ შეგხვდეთ. სტუმრებსაც მოუთმენლად ველოდები, მაგრამ მოლოდინი მიცრუვდება და ისევ მე მიწევს მათი მოპატიჟება. ერთკვირიანი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე თბილისის მერი გიგი უგულავა მომეწვია. ცოტა ხნის წინ განაცხადა, ვიცე-მერ შოთა ხიზანიშვილის სასჯელთან დაკავშირებით მოსამართლემ ზენოლას ვერ გაუძლო.“

პირველად გაცემისგან პირი შორეულ ბავშვობაში დავალე, როდესაც თენგიზ კიტოვანმა თქვა, პატრიოტი ვარო და მეორედ ახლა. ადამიანო, არათუ კონკრეტული მოსამართლე, არამედ მთელი სასამართლო სისტემა ზენოლას 9 წელი ვერ უძლებდა და ახლა გაგიკვირდა?! ეჰ, ჩემო გიგი, პოლიტიკური კარიერის დასაწყისში როგორი იმედისმომცემი ახალგაზრდა იყავი. ყველა პირობა გქონდა იმისათვის, რომ ხალხის გულში კარგი კვალი დაგეტოვებინა, მაგრამ შენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს (ალბათ, მიმიხვდები, ვისაც ვგულისხმობ), ისე გაანიავე ხალხის სიყვარული, როგორც თბილისის ბიუჯეტი“.

საინტერესო და შინაარსიანი დასაწყისია. მკითხველი ერთბაშად განეწყობა რალაც სასიამოვნოსა და საინტერესოს, ამასთან მტკივნეული თემებისა თუ საკითხების წასაკითხად თუ მოსასმენად. პრობლემა გიგი უგულავას ეხება. მეტად მტკივნეული თემაა. ერთია საზოგადოებრივი განწყობა, მეორეა მათი მომხრეების დამოკიდებულება და აქვე იკვეთება მესამეც – დამოკიდებულება ხელისუფლებისა. ავტორი ამ ყველაფრის გადმოცემისას პირად გრნობებსა და ემოციებსაც გადმოგცემს და გვიყვება, რომ: „ პირველად გაცემისგან პირი შორეულ ბავშვობაში დავალე, როდესაც თენგიზ კიტოვანმა თქვა, პატრიოტი ვარო და მეორედ ახლა“. ავტორი აგრძელებს ირონიის კასკადს ადრესატის მისამართით: „ეჰ, ჩემო გიგი, პოლიტიკური კარიერის დასაწყისში როგორი იმედისმომ-

ცემი ახალგაზრდა იყავი. ...მაგრამ შენი კოლმეურნეობის თავ-  
მჯდომარისა არ იყოს (ალბათ, მიმიხვდები, ვისაც ვგულის-  
ხმობ), ისე გაანიავე ხალხის სიყვარული, როგორც თბილისის  
ბიუჯეტი“.

პუბლიკაციის ავტორის ირონიული ჩამონათვალი იმ ქმე-  
დებებზე, რასაც ხსენებული ჩინოვნიკები ჩადიოდნენ, ყურის-  
თვის ადვილი მოსასმენია. ამიტომაც არ ზოგავს ავტორი ადრე-  
სატს და ცდილობს კიდევ უფრო მეტად დამცინავი, აბუჩადამ-  
გდები და მიუღებელი ტონი ჰქონდეს მის სათქმელს, უფრო მე-  
ტად მტკივნეული, სასტიკი და გამანადგურებელი იყოს მისი  
პოზიცია ყველა იმათდამი, ვინც სულ ახლოხანს ასე არაადამი-  
ანური სისასტიკით გამოირჩეოდა. „ისე, ჩვენში დარჩეს და, რა-  
ტომ ხარ ასე შენუხებული თბილისის დასუფთავების სამსა-  
ხურში ფინანსური პოლიციის შესვლით?! გული არ გამიხეთქო  
და არ მითხრა, დასუფთავების სამსახურში რაღაც სიბინძურე-  
ები მაქვს გაკეთებულიო. გიგი, ჩემთან სახლში, შესამონმებ-  
ლად გინდა ფინანსური პოლიცია შემოვიდეს და გინდაც მთე-  
ლი შსს, მაინც არ შემეშინდება, რადგან ვიცი, რომ დარღვევა  
არა მაქვს და შენი შეშფოთება, ცოტა არ იყოს, მაშფოთებს.  
ცოტა ხნის წინ ჩემმა სტუმარმა ერთი რიხიანი განცხადებაც  
გააკეთა, – „რამდენიმე თვეში სახელმწიფომ რეპრესიული მან-  
ქანა ჩამოაყალიბაო“.

ირონიული შეკითხვის მთელი კასკადი კვლავ გრძელდება  
ავტორის მიერ, რაც საშუალებას აძლევს მას, შეტევაზე გადა-  
სულს, კიდევ უფრო მეტად შემტევი იყოს და ეს „შეტევითი“  
სტილი ეფექტურობასა და საზოგადოების მხრიდან მისდამი  
მხარდაჭერაში გამოიხატოს. „გიგი ბატონო, ახლა რაც ხდება,  
თუ ამ ყველაფერს „რეპრესიულ მანქანად“ აფასებთ, მაშინ  
თქვენ ”რეპრესიული მანქანის მთელი ავტოპარკი გყოლიათ,  
ხოლო შენ „გაერთიანებული ატეკის“ გენერალური დირექტო-  
რი ყოფილხარ. ერთი კარგი მეგობარი მყავს და მინდოდა, მის-  
თვის მატყუარობა დამებრალებინა, მაგრამ ამ პატიოსანი კა-

ცის ქოსატყუილად მონათვლა მაინც ვერ შეეძელი. მაშინ ერთმა ჭკვიანმა კაცმა მიჩნია, „ნაციონალების“ წვერი გახდი და აღარაფრის მოგერიდებაო. ჰოდა, ჩემო გიგი, შენი მოსმენის მერე დავრწმუნდი, რომ ის ჭკვიანი კაცი ცამდე მართალი ყოფილა! ბარონმა მიუნჰაუზენმა უნდა თქვას, ბედი მქონიაო, „ნაციონალებს“ რომ არ მოესწრო, თორემ მაგის ამბავი რომ ვიცო, ტყუილების ფრქვევაში მეორეობას ვერ დასჯერდებოდა და გულიც გაუსკდებოდა. გიგი ბატონო, ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრს მიმართე, გირჩევთ, დამაკავოთო. ამბობენ, მაგ დროს „ნიურტა“ ჰქონდაო და მართალია? გაგონილი გექნება, კაცს ჰკითხეს, სამოთხეში გირჩევნია თუ ჯოჯოხეთშიო და ამ კაცმა უპასუხა, ჯოჯოხეთში, რადგან იქ უფრო კარგი პუბლიკააო. ჰოდა, ჩემო გიგი, ასე მგონია“, „ნიურტას“ ამბავი ჭორია, ვფიქრობ, შენც იქ გირჩევნია ყოფნა, სადაც ისეთი პუბლიკაა, შენ რომ გაგიხარდება“. კომენტარი აქ ნამდვილად ზედმეტია., პუბლიკაციის ავტორის შემტევი სტილი, ირონია და სარკაზმი იმდენად ნათელია და შორსმიმავალი, მკითხველი მისდაუნებურად ეთანხმება და ამასთან ოპონენტისადმი უარყოფითადაც განაწყობს. სხვანაირად ვერ ახსნი: ბარონი მიუნჰაუზენის, „ნიურტას“, კაცს რომ ჰკითხეს, სამოთხეში გირჩევნია თუ ჯოჯოხეთშიო“ სიტყვა-ფრაზების მოშველიებას. ეს ისეთი „ტყვია-ნამალია“, რომელიც სათქმელის მეტი ემოციურობისა და განცდის გამონწვევის მიზნით რომ იყენებენ ხოლმე.

### **ლიტერატურა:**

1. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
2. „კვირის პალიტრა“, 28-03-2013
3. „კვირის პალიტრა“, 09-01-2013
4. „კვირის პალიტრა“-10-12-2012

## დასკვნა

თანამედროვე კაცობრიობისათვის მედიის როლი განუზომელია. ახალი ტექნოლოგიები მანიპულირების ახალ საშუალებებს სთავაზობს მედიამესვეურებს. ინფორმაციას მონყურებული მასობრივი აუდიტორია ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტად იძირება ინფორმაციულ „ჭაობში“. რა მოხდება ხვალ? რთულია ამ კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცეს. გონებრივი პრაგმატულობით გამორჩეული და განსაკუთრებული ტექნოლოგიური შესაძლებლობებით დატვირთული ეპოქა კი ცნობილი კლასიკოსის გალაკტიონის ერთ მეტად გამორჩეულ და მოსწრებულ პოეტურ სტრიქონს უფრო ამართლებს: „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“. სწორედაც დღეისა და ხვალეს ჭიდილი და ქიშპი არღვევს კაცობრიობის ნონასწორობას, აღაფრთოვანებს ან სინანულს გვრის, აყვარებს ან აძულებს, ამსუბუქებს ან ამძიმებს, ეფერება ან ლანძღავს, აშინებს ან აგულიანებს ანუ ცვლის სტატიკურ განწყობილებას და ახალი ენერგიით მუხტავს მას. ტექნოლოგიათა ზღვარდაუდებ ყალიბში მოქცეული ჟურნალისტური ტექსტი რეალობის ხან მიამიტური, ხანაც ილუზიური გააზრებით მასობრივი აუდიტორიის უდიდეს ნაწილში ხშირად ბრძოლის, შფოთვისა და დელვის შესაძლებლობათა იმიტაციის კვალს ტოვებს ხოლმე. კატეგორიებად დიფერენცირებული ინფორმაცია კი უკან მოხედვას კვლავ არ აპირებს და არც ის აინტერესებს, ვინ როგორ ან რას რანაირად გაიგებს. ძველი ცნებებით გააქტიურებული ფანტაზია ახალი ტერმინების შემოტევით ლამის არის გადაიღალა და შესაბამისად შეცვალა კიდევ საგანთა არსებული კონფიგურაცია, მაგრამ შინაარსი, განლაგება და თვისება იგივე რჩება... ახალი რეალობა განსხვავებული კუთხით და განათებით გვახედებს საყოველთაოდ ცნობილ და მიღებულ ტერმინებში, ვცვლით მიდგომებს, ვიცვლით დამოკიდებულებებს, შესაბამისად პოზიციებსაც, მაგრამ ის რაც იყო, არის და იქნება მარად და

კვლავ... მრავალი ასწლეული გასულა და კვლავაც გაივლის ცისა და მიწის გზისგასაყარზე, მაგრამ ის რაც შექმნილა და მარადისობის ნაწილად ქცეულა, იმავედ რჩება: ადამიანი ვერც დროს, ვერც სივრცეს და ვერც ასაკს ვერაფერს შევლის. რას უნდა ვუშველოთ თუ მივეშველოთ ასეთ დროს? ის, რაც ადამიანის ხასიათს, გუნებას, განწყობას ცვლის, ის, რაც ჩვენს ფსიქიკაში პოულობს ასახვას და მის შესაბამისად გემუხტავს, გვაიძულებს, გვამოძრავებს? მისი მიღება, შეთავსება, განონასწორება უნდა შევძლოთ ისე, რომ პიროვნება, „მე“ არ დავაზიანოთ, არ უგულვებელვყოთ, არ უარვყოთ, არ დავკარგოთ... არადა, კაცობრიობას სწორედ დღეს, მესამეთასწლეულის დასაწყისში მრავალი თავსატეხი გამოუჩინდა, რომელიც ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ, მორალურ და ფსიქიკურ სიჯანსაღეზეც გადის. ვინ ან რა უშველის მას? ვის შეუძლია ამოდენა პასუხისმგებლობის აღება? არის კი ვინმე ან რაიმე ამოდენა სიმძიმის ტარების პასუხისმგებლობა აიღოს? რა თქმა უნდა არის და ეს მედიაა, რომელიც უპირველესად სწორედ ასახვის საგნის სხვადასხვა ხასიათისა თუ შინაარსის გადმოსაცემად განსხვავებული ფორმობრივი და ჟანრობრივი საშუალებებით ქმნის, აყალიბებს და აგზავნის ტექსტს, რომელიც კომუნიკაციის, ადამიანური ურთიერთობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ელემენტად ყალიბდება, რომელი ელემენტიც არა მხოლოდ ზემოქმედებას ახდენს, არამედ მის შესაბამისად მართავს კიდევ პიროვნების ფსიქიკას... როგორ ვუშველოთ და დავეხმაროთ ტექსტს, რომლითაც ადამიანის გონება იმართება? ნუთუ ისე გაუჭირდა მას, რომ მხოლოდ მანიპულირებისა და ზღვარდაუდები ტექნოლოგიების ამარად და იმედად რჩება?

საშველი და ხსნა ნამდვილად არის და ეს ხსნა ჟურნალისტური განათლების სრულყოფასა და მაღალ პროფესიონალიზმშია. გამოსავალი, მაღალ თეორიულ შესაძლებლობებთან ერთად მაღალზნეობრივ ღირებულებებსაც გულისხმობს. დამკვიდრებული ეთიკური კრიტერიუმები, ქცევისა

და ურთიერთობის არსებული, მიღებული ნორმა და სტანდარტი ურთიერთობის ის აუცილებელი მოთხოვნებია, როდესაც მოვალეობა და პასუხისმგებლობა კი არ მიჯნავს, ტაბუირებულსა და დისტანცირებულს კი არ ხდის, არამედ კიდევ უფრო მეტად ავსებს, ამდიდრებს და ალამაზებს ადამიანურ ურთიერთობებს, როდესაც მიღებული, დამკვიდრებული და ადაპტირებული ეთიკური ნორმებისა და კრიტიკუმიებისადმი ერთგულება და პატივისცემა თანაბრად მოეთხოვება ყველას: სტაჟიანსა თუ უსტაჟოს, დამსახურებულსა თუ გამოუცდელს, ახალგაზრდასა თუ ასაკოვანს, ჩინიანსა თუ უჩინოს... ჟურნალისტიკისა და აუდიტორიის ურთიერთობა ორივე მხრიდან მაღალ პასუხისმგებლობაზე გადის. ერთია, როდესაც ინფორმაცია შერჩევით მიეწოდება აუდიტორიას და მას ისე „აგებინებენ“, როგორადაც მიმწოდებელს სურს ან მიაჩნია და მეორე, როდესაც მომხმარებელს ისეთ მედიაპროდუქციას სთავაზობენ, როგორიც სინამდვილეშია. ორივე შემთხვევაში ყველაფერი მაღალ ჟურნალისტურ პროფესიონალიზმსა და ნიჭიერებაზე გადის და კარგია, როდესაც ნიჭიერი ჟურნალისტი რეალობას სინამდვილეს მაქსიმალური წარმატებით ათავსებს, ათანხმებს და აზავებს ერთმანეთს. სწორედ აქ იკვეთება ჟურნალისტური თეორიის, ასახვის ხელოვნებისა და ტექსტის ფორმოზრივ-ჟანროზრივი არსის წყალგამყოფი, ყველაზე მნიშვნელოვანი, მე ვიტყვოდი, ურთულესი ხელოვნება, სადაც რეალობა, როგორც ერთი მთლიანობა, სინამდვილისა და წარმოსახვის საბოლოო სახეს აჩენს და აუდიტორიის შესაბამის რეაქციას გამოხატავს. როგორია ან როგორი იქნება აუდიტორიის რეაქცია თუ ინტერესები, დამოკიდებულია იმ განწყობებზე, რომელიც შესაბამისი მედიატექსტების ფორმულირებისას არის გათვალისწინებული... სწორედ ამგვარი განწყობა ახდენს ზემოქმედებას და ქმნის წყალგამყოფს სამართლიანობასა და უსამართლობას, მიუკერძოებლობასა და ტენდენციურობას, პასუხისმგებლობასა და უპასუხისმგებლობას შორის...



რა თემები განიხილება დღეს ოცდამეერთე საუკუნეში? რას სთავაზობს კაცობრიობას რეალობა და რას აწვდის მას მედია? რა არის მნიშვნელოვანი მასობრივი აუდიტორიისათვის? მასობრივ აუდიტორიაზე საკითხების გავლენას ჟურნალისტური ტექსტების შინაარსი განაპირობებს თუ მიმწოდებლის ხმა გამოსახულების გარეშე? კითხვები, რომლებიც კვლავ აწუხებს ყველა დაინტერესებულ პირს, პასუხს მომავლისგან ელის, რომელიც მიუკერძოებლად და მოურიდებლად კუთვნილ ადგილს უჩენს ხოლმე ყველას და სამართლიანი ვერდიქტიც გამოაქვს. მაგრამ მომავალი ხომ წარსულისა და აწმყოს ურთიერთობაა, უფრო ზუსტად მისი შვილია და შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ კიდევ, რომ ის რაც იყო და არის დღეს, კვლავ იქნება ინტერესისა და კვლევის საგანი მომავლისთვისაც და შესაბამისად, მომავალი თაობებიც ამ შინაარსითა და მისწრაფებებით გააგრძელებენ ცხოვრებასა და საქმიანობას, მიუხედავად იმისა რა ხასიათის მედიატექსტებს მიაწვდის და რა იქნება მნიშვნელოვანი: ჩინური კომუნიზმი, კრემლის პოლიტიკა, ამერიკული რეალობა, ევროპული დემოკრატია, თავისუფლება, როგორც ადამიანის უპირველესი უფლება, განათლების სისტემა, გენმოდიფიცირებული პროდუქცია, გლობალური დათბობა, ტექნოლოგიური პროგრესი? მასზე გადამწყვეტ გავლენას სწორედ რომ განაპირობებს თავად ფაქტი, ჟურნალისტური ტექსტი და მიმწოდებლის ხმა, რომელიც ყველა დროში ნებისმიერი დონის, მონაცემებისა და შესაძლებლობების მქონე აუდიტორიისათვის ერთ მთლიან მედიაპროდუქტად აღიქმება, რომლის კვლავწარმოება მაღალი ჟურნალისტური სტანდარტების დაუფლების გარეშე წარმოუდგენელია.

## ЗАКЛЮЧЕНИЕ

Неизмерима роль средств массовой информации для человечества. Новые технологии предлагают их хозяевам новые средства манипуляции. Огромное число людей, жаждущих информации, ежедневно все больше и больше погружается в информационное болото. Что случится завтра? Трудно дать исчерпывающий ответ на этот вопрос. Эпоха, отличающаяся умственным прагматизмом особыми технологическими возможностями, оправдывает одну очень интересную и удачную поэтическую строку известного грузинского классика Галактиона – „О завтрашнем пусть заботится завтра!“ Именно борьба и соперничество между сегодня и завтра нарушает равновесие человечества, восхищает или вводит его в уныние, заставляет любить или ненавидеть, облегчает или затрудняет, ласкает или ругает, пугает или делает смелым, т. е. меняет статическое настроение и новой энергией заряжает его. Журналистский текст, помещенный в форму, неограниченную технологиями, то наивным, то иллюзорным осмыслением реальности, часто оставляет в большей части массовой аудитории след имитации возможности борьбы, бурления и волнения. А информация, дифференцированная по категориям, не собирается обернуться назад, ее не интересуют и то, кто, как и что поймет. Фантазия, активированная старыми понятиями, почти переутомила от наступления новых терминов и, соответственно, даже заменила существующую конфигурацию предметов, но содержание, расположение и свойства остались прежними ... Новая реальность под измененным углом и светом показывает общеизвестные и принятые термины; меняем подход, меняем отношение, соответственно, меняем и позиции, но то, что было, оно есть и будет вечно... Многие столетия прошли и пройдут еще на развилке неба и земли, но то, что было сделано и стало частью вечности, останется тем же самым: человек ничего не может поделать с временем, с пространством, с возрастом. Чему мы должны помочь в этом состоянии? Тому, что меняет характер, настроение, настрой, тому, что отражается в нашей психике и, соответственно, заряжает, заставляет, двигает нами? Мы должны так принять его, освоить, уравновесить, чтобы не нанести вреда личности, „я“, не игнорировать,

не отвергнуть, не потерять его... И это сегодня, в начале третьего тысячелетия, когда у человечества возникло много проблем, много головоломок, которые затрагивают не только физическое, моральное и психическое здоровье человека. Кто или что поможет ему? Кто может взять на себя такую ответственность? И есть ли кто или что, способное взять на себя ответственность нести такую тяжесть? Конечно есть, и это масс-медиа, которая в первую очередь для передачи точного отражения различного характера или содержания предмета передачи этого различными форменными и жанровыми средствами создает, формирует и посылает текст, становящийся важнейшим определяющим элементом коммуникации, общения людей; элементом, который не только оказывает воздействие, но и соответствующим образом направляет психику личности... Как спасти и помочь тексту, которая управляет мыслью человека? Неужели ему стало так трудно, что остается надеяться лишь на манипулирование и безграничные технологии?

Спасение и выход действительно существуют, и этот выход заключается в совершенствовании журналистского образования и высоком профессионализме. Этот выход вместе с теоретическими возможностями подразумевает и высоконравственные ценности. Утвердившиеся этические критерии, поведение и существующая принятая норма и стандарт взаимоотношений – это обязательные требования, когда обязанность и ответственность не разграничивает, не делает табуированным и отдаленным, а наоборот, еще больше наполняет обогащает и украшает отношения между людьми, когда преданность и уважение к принятым, утвердившимся и адаптированным этическим нормам и критериям одинаково будут требоваться от всех: от людей со стажем и без стажа, опытных и неопытных, молодых и в возрасте, с чинами и без. Отношения между журналистом и аудиторией требуют высокой ответственности от обеих сторон. Одно дело, когда информация избирательно подается аудитории и дают его понять так, как это хочется или кажется подателю информации, другое, когда потребителю подают такую медиапродукцию, какую получают от поставщика. В обоих случаях все это происходит при наличии высокого профессионализма исполнителей журналистов и хорошо, когда способный журналист с максимальным успехом совмещает, согласовывает и соединяет друг с

другом реальность и действительность. Именно здесь выявляется водораздел журналистской теории, искусства отображения и форменно-жанровой сущности текста. Самое важное, я бы сказал, важнейшее искусство, где реальность, как единое целое, выявляет окончательный вид действительности и воображения и выражает соответствующую реакцию аудитории. Каковы или какими будут реакция или интересы аудитории, зависит от настроения, который предполагается при формулировании соответствующих медиатекстов. Именно такие настроения оказывают влияние и создают водораздел между справедливостью и несправедливостью, беспристрастностью и тенденциозностью, ответственностью и безответственностью. Какие темы рассматриваются сегодня, в двадцатом веке? Что предлагает человечеству реальность что предоставляет ему медиа? Что важно для массовой аудитории? Что определяет влияние вопросов на массовую аудиторию: содержание журналистских текстов или голос того, кто излагает текст без изображения? Вопросы, которые вновь волнуют всех заинтересованных, ждут ответа от будущего, которое беспристрастно и бесцеремонно указывает всем надлежащее место и выносит справедливый вердикт. Но ведь будущее – результат взаимодействия прошлого и настоящего, еще точнее, его детище, и, соответственно, следует думать: все, что было, и что есть сегодня, будет предметом интереса и исследования в будущем. Соответственно, и будущие поколения продолжат свою жизнь и деятельность с этим содержанием и характером, несмотря на то, какие медиатексты будут представляться и что будет важным: китайский коммунизм, политика кремля, американская реальность, европейская демократия, свобода, как первейшее право человека, система образования, генмодифицированная продукция, глобальное потепление, технологический прогресс? Именно сам факт, журналистский текст и голос информирующего, что во все времена аудиторией любого уровня, любых данных и возможностей воспринималось и воспринимается одним единым медиапродуктом, создание которого без освоения высоких журналистских стандартов невозможно.

## ციტირებული და დამხმარე ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, თბ., 1990
2. ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, თბ. 2011
3. არონი რ., მშვიდობა და ომი ერებს შორის, თბ. 2009
4. ახალი მედია ჟურნალისტიკისთვის, www.tol.org
5. ალფაიძე თ. მედიასამართალი. თბ. 2008
6. ბერტრანი კ. მედიაეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები. თბ. 2004
7. ბიჭაშვილი მ., ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში, თბ. 2011
8. გაგოშიძე შ., ჟურნალისტიკის საფუძვლები, თბ. 1996
9. განმარტებითი ლექსიკონი – თბ., 2008
10. გეგეშიძე ა., გეოპოლიტიკა, თბ., 1999
11. გერსამია მ., ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, თბ. 2011
12. გერსამია მ., პუბლიცისტური ინფორმირების თავისებურებანი, თბ. 2004
13. დადისმანი კ., აუდიტორია, თბ. 2005
14. დეფლორი მ., დენისი ე. მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბ. 2009
15. ევროპული კონვენციები მედიის სფეროში. თბ. 2004
16. გამოხატვის თავისუფლება ევროპაში. თბ. 2003
17. გამოხატვის თავისუფლება ტ. I, II. თბ. 2005
18. გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები. თბ. 2004
19. ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2004
20. იბერი ე. რადიოჟურნალისტიკა. თბ. 2003
21. კუპრაშვილი ნ. ახალი მედია ძველი მედიისთვის, 2011
22. ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები. თბ., 2003
23. ლანგი ი. მედია და არჩევნები. თბ. 2003
24. ლეონიძე გ. ტელეპუბლიცისტის პოეტიკა. თბ. 2002
25. ლეონიძე ნ. ტელეჟურნალისტიკა. თბ. 2002
26. ლუმაინი ნ. საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია. თბ. 2002
27. მედიამენეჯმენტი თბ. 2006
28. მედიის თვითრეგულირების ქრესტომატია. თბ. 2004
29. რადიო და სატელევიზიო პროგრამების შექმნის ეთიკური სამართლებრივი რეგულირება. თბ., 1999
30. საქართველოს რეგიონული მედიარუკა. თბ., 2005
31. სატელევიზიო ჟურნალისტიკა, თბ., 1998.
32. სანიკიძე ი., ქართული პერიოდული გამოცემები, ნაკვეთი I, ბათ. 2009
33. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, 2003

34. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ. ლოგოს პრესი, 2004
35. სტეინლი პ. სატელევიზიო რეპორტაჟი. თბ., 2002
36. სურგულაძე რ. ჟურნალისტიკათმცოდნეობის საფუძვლები, თბ.1996
37. საუბარი ქართულ მედიაზე, კონფერენციის მასალები, ჩაქვი, 2005
38. სიგუა ს., კულტუროლოგიის საფუძვლები, II, თბ.2012
39. სიხარულიძე ფრ., სამხრეთ კავკასია გარდაქმნის გზაზე, ბათუმი, 2004
40. სტიუარტ მილი ჯ., თავისუფლების შესახებ, თბ.2010
41. სულხან-საბა, სიბრძნე-სიცრუისა, საბას წიგნები, 2012
42. სურგულაძე რ., იბერი ე., მასობრივი კომუნიკაცია, თბ.2003
43. სურგულაძე რ., ჟურნალისტიკათმცოდნეობის საფუძვლები, თბ.1996
44. Lansos Jerry, Stefhens Mitchell, Writing and Reporting the NEWS, New York, Oxford, Oxford Universiti Pres, 2008
45. Stefhens Mitchell, A HISTORY of NEWS, New York, Oxford, Oxford Universiti Pres, 2007
46. Stefhens Mitchell, BROADCAST NEWS, THOMSON, wadsworth, 2005
47. თათარაშვილი ნ. ტელეჟურნალისტიკის საკითხები: თბ. 2003
48. წულაძე ლ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თბ., 2008
49. Валгина Н.С. теория текста, учебное пособие ,москва, логос. 2003
50. ელიასი ნ., ცივილიზაციის პროცესის შესახებ, წიგნი-II, თბ.2008
51. ენტონი აპია კ., ღირსების კოდექსი, როგორ ხდება ზნეობრივი რევოლუციები, თბ., 2014
52. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თ. ზურაბიშვილი; -თბ. 2006
53. კოვაჩი ბ., როზენსტილი ტ., ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ.2006
54. კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები, 2009
55. ლადარია ნ., სოციოლინგვისტიკა, თბ.2002
56. ლაქენგი ი., მედია და არჩევნები, თბ.2004
57. მალანჩუკი პ., საერთაშორისო სამართალი, თბ.2005
58. მალალურაძე თ., თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები“, თბ.2013
59. მალალურაძე თ., თანამედროვე პუბლიცისტური ჟანრების თავისებურებანი, თბ.2009
60. მამარდაშვილი მ., ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში, თბ.2013
61. მაცაბერიძე მ., პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები, თბ.2003
62. მენჩერი მელვინ , ახალი ამბების გაშუქება და წერა, მე-12 გამოცემა, თბილისი, 2013. გვ.293
63. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“, თბ., 2004
64. მჭედლიშვილი ვ., ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა, თბ.1999

65. ნიკოლაძე ნ., რჩეული ნაწერები, 1945, ტ.4
66. პატნემი რ.დ. , როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, თბ.2006
67. პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპები ჟურნალისტიკაში, თბ. 1983
68. Прохоров Е.П. Введение в теорию журналистики. М. 2002
69. ჟურნალისტიკა, იდეის ავტორები მ.ვეკუა, ჟ.რუე, თბ.2013
70. ჟურნალისტური ძიებანი, თსუ გამომცემლობა, თბ.2003
71. რეპკოვა ტ., ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში, თბ.2011
72. რესურსები ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე, თბ.2014
73. რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 1996
74. ტაბიძე ნ. პუბლიცისტიკის საკითხები, წიგნი 1, თბ.2011
75. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ.1989
76. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.2, თბ.1977
77. შუბითიძე ვ., ბოჭორიძე მ. „საზოგადოებასთან ურთიერთობა“, თბ., 2005-20
78. ჭავჭავაძე ი., ტ.8 1985
79. ჩართოლანი გ. ტელერადიოჟურნალისტიკა. ნაწილი I. ტელეჟურნალისტიკა. 2008
80. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი ნ., სტილისტიკა, თბ. 2013
81. ჯაგოდნიშვილი თ, ქართული ორატორული ხელოვნება, თბ.1999
82. ჯაგოდნიშვილი თ., 2013, ჟურნალი „განათლება“, №3.
83. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი., პაპასკირი ვ., ქართული ორატორული ხელოვნება, (ქრესტომატია-პრაქტიკუმი), თბ.2000
84. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ივ. ვერბალური კომუნიკაციები, თბ., 2009
85. ჯოლოგუა თ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ.2013
86. ჰაბერმასი ი., შემეცნება და ინტერესი, ქუთ. 2003
87. ჰამილტონი ჯ.მ. , კრიმსკი ჯ., ჩაეჭიდეთ პრესას, თბ.2004
88. ჰეივუდი ე.-პოლიტიკური იდეოლოგიები-თბ.,2004
89. ჰეტჩერი მ., ნაციონალიზმის შეჩერება, თბ.2007
90. ჰიუსტონი ბრენტ, ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო, მე-5 გამოცემა, თბ.2009

## ბაზათუმი:

1. „კვირის პალიტრა“, 07-12-2009
2. „კვირის პალიტრა“, 12-10-2009
3. „კვირის პალიტრა“, 27-09-2010
4. „კვირის პალიტრა“, 12-04-2010
5. „კვირის პალიტრა“, 21-02-2011
6. „კვირის პალიტრა“, 18-07-2011
7. „კვირის პალიტრა“, 03-10-2011
8. „კვირის პალიტრა“, 28-09-2011
9. „კვირის პალიტრა“, 07-03-2011
10. „კვირის პალიტრა“ 18-07-2011
11. „კვირის პალიტრა“ 17-01-2011
12. „კვირის პალიტრა“, 10-12-2012
13. „კვირის პალიტრა“, 21-10-2013
14. „კვირის პალიტრა“ 25-02-2013
15. „კვირის პალიტრა“-23-12-2013
16. „კვირის პალიტრა“-18-02-2013
17. „კვირის პალიტრა“, 05-05-2013
18. „კვირის პალიტრა“, 29-04-2013
19. „კვირის პალიტრა“, 14-05-2013
20. „კვირის პალიტრა“, 28-03-2013
21. „კვირის პალიტრა“, 09-01-2013
22. „კვირის პალიტრა“, 23-09-2013
23. „კვირის პალიტრა“, 26-08-2013
24. „კვირის პალიტრა“, 04-03-2013
25. „კვირის პალიტრა“, 21-10-2013
26. „კვირის პალიტრა“ – 23-09-2013
27. „კვირის პალიტრა“, 27-01-2014
28. „კვირის პალიტრა“, 29-09-2014
29. „კვირის პალიტრა“, 27-05-2014
30. „კვირის პალიტრა“, 16 -05– 2014
31. „კვირის პალიტრა“, 05-05-2014
32. „ბათუმის უნივერსიტეტი“-2014 წელი, მაისი, №5
33. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-აპრილი, №4,



34. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-მარტი, №3
35. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014-მაისი, №5
36. „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2013 – სექტემბერი – №7
37. „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2010 – მარტი – №3
38. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2011 – იანვარი-თებერვალი-მარტი – №1-2-3
39. „აჭარა“, 1996 წელი, 30 ივლისი
40. „აჭარა“, 2015 წლის 23 თებერვალი, №-155

### **ელექტრონული რესურსი:**

1. [ka.wikipedia.org/wiki](http://ka.wikipedia.org/wiki)
2. [geotheatre.ge](http://geotheatre.ge)
3. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
4. [vangogen.blogspot.com](http://vangogen.blogspot.com)
5. [www.education.ge](http://www.education.ge)
6. [burusi.wordpress.com](http://burusi.wordpress.com)

## სარჩევი

1. შესავალი (რედაქტორისაგან) .....	3
2. წინასიტყვაობა .....	6
I. ჟურნალისტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი.....	10
II. ჟურნალისტური ტექსტის შექმნის გააზრებისათვის .....	18
III. სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები.....	25
IV. ჟურნალისტიკის ასახვის საგანი .....	52
IV-1. მოვლენა .....	60
IV-2. პროცესი .....	76
IV-3. ადამიანური ფაქტორი .....	94
IV-4. სიტუაცია .....	98
IV-5. სენსაცია .....	104
V. თანამედროვე ჟურნალისტური გვარები .....	113
VI. ახალი ამბების ჟურნალისტიკა .....	127
VII. ინტერვიუ.....	150
VIII. ანალიტიკურ-განმაზოგადებელი ასახვა, როგორც გამოსხატვის ფორმა .....	222
IX. კორესპონდენცია .....	241
X. სტატია.....	257
XI. რეცენზია .....	327
XII. ნარკვევი .....	388
XIII. ფელეტონი .....	402
XIV. პამფლეტი.....	419
დასკვნა .....	430
რეზიუმე რუსულ ენაზე .....	434
გამოყენებული ლიტერატურა .....	437



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)